ცისარტყელა

დეკემბერი 1919 წ. № 1

შ ი ნ ა ა რ ს ი:

რედაქციისაგან

პ ო ე ზ ი ა:

ხ. აბაშელი
1. Un déserteur
2. დათალხული ფირფიტი
3. თვთრი ხომალდი

ბაბილინა—წერილი

დუტუ მეგრელი—უკანასკნელი ნატვრა

ხარ. ვარდოშვილი
1. ხალისის დამალვა
2. გადარეული
3. უბედურება

ობოლი მუშა
1. იისფერი ლრუბლები
2. სამსხვერპლოზე
3. დილა

ვარ. რუხაძე
1. სიმღერა
2. მწუხარება
3. ნეტა ასე რატომ

გ. ქუჩიშვილი
1. ფარული სიყვ
2. ურმული
3. ცეკვა ხოფ

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

შიო არაგვისპირელი—გაბზარული

დ. თურდოსპირელი—ყვავილები

ალ. რუხაძე—ჩემს იდეალს

ლეო ქიაჩელი—იშვიათი შემთხ

კ რ ი ტ ი კ ა:

ივ. გომართელი—ვარლამ რუ

ეკაკი პაპავა—ფიქრები თეატრ

8(05)
ც 733

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 1 – 6.

ეროვ. ბ. P-133970 11687

№ 1

დეკემბერი
1919

ეროვ. ბ. 4.11.6.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჩვენი დრო ისტორიაში უთუოდ ადინიმნება, როგორც ეპოქა უდიდეს სოციალ-პოლიტიკურ კატასტროფათა. მოძალადე თაობა, ეჭვგარეშეა, განცვიფრებით შეჩერდება ამ არა ჩვეულებრივ ძალთა საშინელ ბრძოლის სურათის წინ და გაკვირვებით წარმოიდგენს იმ პროცესს, რომელმაც მთელი დედამიწა გაჭესვა დაუსრულებელ შეჯახებათა ველზლის ალში.

მეფოქმედს არ ძალუნია მის მიერ შექმნილი ხატოვარ, დაანგრია იგი, ყაუბრუნა პირველყოფილ ქაოსს და ახლა ქმნის ახალს შეკვნიერს ქვეყანას.

კაცობრიობის შეოქმედება ანთებულია ღვთიური ცეცხლით, ის არღვევს ძველს და ქმნის ახალს.

დედამიწა ძოსწყდა თავის ორბიტას და ახალ ზონის ირგვლივ იწყებს ტრიალს. იშლება ახალი პერსპექტივები, იქმნება ახალი სამყარო.

დინჯია თავისი შინაარსით ეს დროდა განუმეორებელია მისი კოსმიური მშენიერება.

ეაგრამ თანამედროვეთათვის ეს მშვენიერება თითქმის ეჩიოლავია, ის, ვინც პირადად გართულია ამ ეჩვეულო ბრძოლაში, კარგავს მოვლენათა განჭვრეტის უნარს და საბოლოოდ ძისი მოქმედება ეშორჩიდება უზენაეს ძალთა მეფეზოგ კარნახს.

ჩვენ ახლა უმთავრესად ოდესვის ხანას განვიცდიო. და ეს პროცესი კიდევ ეფრო ჩრდილავს ქეყნის ბარდაქმნის პერსპექტივას.

ეა ამიტომ თანამედროვენი, ოპიექტიურად ამსრულებელნი კაცობრიობის გლობალურ ძიზნრადეობათა, ხშირად, ხუბიექტივურად, მოკვლებულნი არიან თავისი დანიშნულების სიფიალის გრძნობას.

და, ვინაიდან ბრძოლა იწვევს სამინელ ტკივილებს, ძალალ ძიზარს, მოწყვეტილი სული ძაზინჯდება და ეგოიზმი ხდება მესამზნეგ ძალად.

გაძნელდა ცხოვრება და ყველა ცდილობს ყოველი სამყალუბიო თავი დაადნიოს განსაცდელს. ზნეობა დაქვეითდა. ბირადი ინტერესი გაბატონდა.

ნივთმა შთანთქა სული.

მიწა ძოსწყდა ცას.

სად არის ამ დროს ზელოვნება, რომელმაც უნდა გაჭალოს დაავადმყოფებული სულის ნინაშე მსოფლიო გარდაქმნის ნარმტაცი სანახაოება და ეჩვენოს მას გზა ქაოსიდან გარსკვლავისაკენ?

საქართველოში არიან ზელოვანნი, რომელთა თვალებს ეყვარს ასახვა ცეცხლის თამაშისა, ეაგრამ რად არის ეაო ზელებში ჩირაღდნები ჩამქრალი?

რათა დიდს ექმად ვერცხლის ნკირა, რომელმაც უნდა გაადვიძოს საქართველოს ზელოვანთა ქნარის სიმებზე ძიძინებული სიმდერა?

საქართველოს მწერლებმა უნდა აიღონ ხელში ეს წკირა.

საქართველოს მწერლებმა უნდა აანთონ ჩირაღდნები და გაანათონ ეროს შემოქმედების მწვერვალნი.

ჟურნალი „ცისარტყელა“ ერთი ამ ჩირაღდანთაგანია. იგი შეეცდება თავისი წვლილი შეიტანოს ქართველ მწერალთა საერთო მუშაობაში.

თავისუფალი შემოქმედება, ბატიგისცემა ჭეშმარიტი ნიჭისა და ბრძოლა შაბლონის წინააღმდეგ,—აი ის გზა, რომლითაც იცლის „ცისარტყელა.“

რამდენად შესძლებს ის ამ გზაზე წაუბორძიკებლად სვლას, ეს დამოკიდებულია იმ თანაგრძნობაზე, რომელსაც მოელის „ცისარტყელა“ როგორც მწერლების, თუ მკითხველ საზოგადოების მხრით.

პოეზია

ს. აბაშელი.

Un dèserteur.

ცათა სილურჯეს ვარსკვლავებით გაეცინება,
და ვერცხლის ელვას გააქვავებს კავკასიონი.
მდუმარ ფიქვნარში წყნარ საღამოს ჩაეძინება
და იის ფარდას ჩამოუშვებს ცის ამბიონი.

მთის გალმა ღრუბელს თეთრი მთვარე დაებადება,
და ცის გალავანს გამოჰკეტავს მძინარ მთის ტოტი.
ჩემი თვალების მინანქარი აფერადდება
იით, ზამბახით, ლალითა და ამეთვისტოთი.

წამიყვანს სივრცე. მომაშორებს მიწის შეხებას.
თვალებს ამივსებს ჭრელ ოცნებით ფიქრი აზიზი.
გაჭშლის ჰაერი მთვარის შუქის ცივ აშხეფებას,
და მიწა შორით გამოჩნდება ვით ოაზისი.

სულს უხილავის სხივთა კრთომა დაესხურება,
და აენთება ურიცხვ მზეთა მპყრობელის ქებით.
მთვარის ლოგინი ვარდის თოვლით დაიბურება
და გამშვენდება მარმარილოს ობელისკებით.

უცებ იელვებს ჩემში გრძნობა ოხერ-ტიალის:
ცაში დავკარგავ ძლიერებას ვით ანთეოსი,
და შემაშინებს ვარსკვლავთ შორის მოხეტიალეს
უსაზღვრო სივრცის ანთებული აპოთეოზი.

შორით მიიპყრობს შემკრთალ თვალებს მთათა გრეხილი,
და გავექცევი შიშის მომგვრელ ცათა მეუფეს.
ძირს დავეშვები, ვით დემონი ფრთა-მოტეხილი,
და ცრემლი წარეცხს ჩემს თვალთაგან შიშ-დაკმეულ ფერს.

ᲓᲐᲛᲘᲚᲮᲣᲚᲘ ᲕᲘᲠᲩᲘᲖᲘ.

ათი დღით ვისვენებ. მტრედისფერ აგზრაკს
ირგვლივ ახვევია სიმწვანე ფიქვების.
აქ გადავეჩვიე მოსაწყენ ლაპარაკს
და აქვე ვიგრძენი სიმწვანე იქვების.

საღამოს ჩრდილები იწყებენ საუბარს.
ღრუბლები ანგრევენ მოოქროულ ვერანდებს.
ჩამავალ სინათლეს ზევიდან ცა უბერს,
ძირს ნისლი ჩასძირავს დაღალულ ფერადებს.

ვილაცა ყოველდღე სადილზე მიბარებს.
ქალები გზავნიან ვარდისფერ ბარათებს.
და უკვირთ: ვინ არის—არავის იკარებს?
ვინ არის, რომ ღამეს ოთახში არ ათევს?

ვინ ეტყვის ჩემს ნაცვლად ან ვაეებს, ან ქალებს,
რომ მე აქ უშენოდ ცრემლით ვიტვირთები!..
საღამოს ჰაერში ფირუზი ჭკახკალებს,
და გულში იზრდება ცისფერი ზვირთები.

ცის ფარდა მოიხსნის სხივების ყაითანს
და მთაზე დასცვივა ბროლ-იაგუნდები.
უშენოდ ხეტიალს სული ვერ აიტანს,—
და ვტოვებ აგარაკს, და შენთან ვბრუნდები.

თეთრი ხომალდი.

ოხ! დამიძიმდა ტვირთი ჩემივ მოსასხამისა,
და დაღლილობის შემომერტყა ირგვლივ რკალები.
მომწყინდა მუდამ ერთ ნაპირზე თვლა დღე-ღამისა,
და ზღვას ვესროლე სევდიანი ჩემი თვალები.

დიდხანს ვაწვალე მოქანცული თვალი ლოდინით,
მაგრამ ზღვის სივრცემ არ მაჩვენა არც ერთი ნავი.
თანდათან კუბოდ გადამექცა ცივი ლოგინი,
და ბეც იმედი მძიმე ლოდ-ქვეშ დავაბინავე.

და ბოლოს, როცა აღსასრულის მანძილს ვზომავდი,
და უკანასკნელ წუთებს თვლიდა ფიქრი გვიანი,
უცებ გამოჩნდა ლურჯ ტალღებზე თეთრი ხომალდი,
და ჩემ წინ ქ'მენი გაიარა გზა ქაფიანი!

ბაბილინა.

წერილი.

ერთი ლექსი დაწერეო, რა ვქნა, რისთვის შემოთვალე!
მე თითისტარს ვატრიალებ, არ მცალია დღეს, არც ხვალე;
არ მცალია!—ჩემს ბაღანებს მოვუქსოვო ეგებ წინდა...
ნუღარ მიცნობ მგოსან-ქალად, ნურვინ მიცნობს დე, არ მინდა!

არ მცალია, არა, არა!—ძველმანს ვარღვევ, ვქსოვ, ან ვკერამ;
იცის ჩემი ტრაგედია ჩემს ოჯახში სახლის კერამ.
ტანწერწეტა ჩემს ბაღანებს ძველი, უშნო ჩვარი ჰფარავთ;
დამეჩაგრნენ... აბა, რა ვქნათ? ხომ ვერავის რას მოვპარავთ!

დღეს ცხოვრება ახლად იშვის და ბაზარიც თვალს იტაცებს,
და ქალაქიც უჩენს, აწვდის მოსაკაზმავს ქალებს, კაცებს;
ვუპვრიტინებ მალაზიებს მე ხალისით მეტის-მეტით,
ვუპვრიტინებ მადააშლით და ვშორდები გულდაწყვეტით.

რა გავლექსო? რა შეგაქო? რის მნახველი, რას განვიცდი?
ტყვეთა ვყევარ დღიურ ზრუნვას, გავირიყე, ვითმენ, ვიცდი...
ტყვეთა ვყევარ დღიურ ზრუნვას, ბატონს მახინჯს, ბეცს და ელამს,
ჩემს პატივს და ჩემს ღირსებას დასცინის და ფეხით სთელამს.

ᲓᲣᲢᲣ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲕᲠᲐ.

როს საქართველოს საშინელი დაუდგა დარი,—
თავისუფლების ცხოველ სხივით ველარ ტკბებოდა,
ღონე მიხდილი, არც ცოცხალი და აღარც მკვდარი,
მძიმე უღელ ქვეშ-ქედმოხრილი, იტანჯებოდა,
განგების ძალთა სწორედ მაშინ მარგუნეს წილად,
როგორც ქართველსა, ქვეყნად ყოფნა და მოქმედება.
და, რომ, ვით მხოლოდ ხელოვანი, ვერ ვმღერდე ტკბილად,
განა ეს ცოდვად და ბრალადა მე დამედება?!.

როცა ოჯახში საყვარელი ყველასთვის პირი
სულთმობრძავია, დასტრიალებს თავზე სიკვდილი,
განა იქ ყველას არ აწუხებს საერთო ჭირი,
და შეუძლია მხიარული ვისმე სიცილი?
და მეც, როდესაც სამარისა კარზედა მდგარი
დედა-სამშობლო საყვარელი მეგულებოდა,
განა შემეძლო უდარდელად მეყღერა ქნარი,
მამულის ხვედრი მამულიშვილს დამვიწყებოდა?..

არა! დიდებულ თამარისა დიდებულ დროთა,
როცა ხარობდა საქართველო გალაღებული,
შვენოდა ლხენის და დიდების მგოსანი შოთა,
და მოგვეელინა კიდეც; მზეებრ გაბრწყინვებული,
ჩვენს საუკუნეს-კი, დაწყეველილს, მოცულსა ბნელით,
საუკუნესა მონობის და გადაგვარების,
ეპირვებოდნენ, რომ ეწერათ სისხლით და ცრემლით,
მგოსანნი სევდის, შურის გების და მძულვარების.

და, აი, მართლაც ამ საშინელ დროს მუზა ჩვენი
ან მწარე გლოვის ზარის მთქმელი იყო ქალწული,
წამის ღიმილშიც მწუხარება-ვაების მჩენი,
და ან მებრძოლი აღგზნებული, რისხვით აღძრული!
დიდება მისგან შთაგონებულ მგოსანთა კრებას,
დიდება გმირებს მამულისთვის თავ-დადებულებს,
მისი კვნესა რომ არ აძლევდა მათ წუთსაც შვებას,
ბედით რჩეულებს და ბედითვე გაწამებულებს!

არც-კი ეღირსათ დაამება გულის მწვავ წყლულის;
უნკროსს მათ შორის მე მხვდა მარტო ეს ნეტარება,
და ბედნიერსა, მიღწეულსა საწადელს სულის,
უკანასკნელად მხოლოდ ერთი ეს მენატრება,
რომ არ ენახოს საქართველოს კვლავ ჟამი წყენის,
მის ცაზე მარად ბრწყინავდეს მზე უხვ-სხივოსანი,
აღარ მოაკლდეს, შოთასებრი, გალობა ლხენის,
უკანასკნელი მე ვიყო მის სევდის მგოსანი!..

ᲮᲐᲠᲘᲢᲝᲜ ᲕᲐᲠᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐ.

ხალისის ღრუბლებში დამალვა
მე ეხლა შევიგნე.
ვეცემი... ვიგრძენი დაღალვა
და გზასაც ვერ ვიგნებ.

მე მახსოვს ზეფირი, მდელო და—
ვარდები სხვა მოდის.
თვალებო! რამდენი გელოდე
და მაინც არ მოდი.

მიყვარდა უდარდელ ნიავის
ფრენა და სიკარგე.
გავიგე მე შენი სიავე
და სულიც დავკარგე.

ვინ იყო აქ ჩემი ნუგეში
და ჩემი მფარველი?
დაღამდა... ნისლიან გუბეში
სიხარულს არ ველი.

თვალებო, რომ იყავ ისეთი
ჩემთვის არ ითვლები.
ხომ ხედავ სანამდის მივედი,
ჭკუაზე ვიშლები.

მადარეული.

ნუ გახვალ გარეთ, დღეს ქარია გადარეული,
ზანზარებს ქუჩა და ხეები ტოტებს ტოტს ახლის.
ქარმა არ იცის შინაური და გარეული,
დღეს დაანგრია მან ბეჭები მეფის სასახლის.

მიდი დაჰკეტე, არ გააღოს გრიგალმა კარი,
არ შემოიჭრას ჩვენს ოთახში საშინელება.
ნუ გახვალ გარეთ, მოდი ჩემთან, მკერდს მომეკარი,
ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მოგველის, რა გვეშველება!

ცის შუაგულზე ინაკვთება ელვა რისხვისა,
იუდას ლანდი დღეს დაეძებს ქრისტე მაცხოვარს;
წაართვა ქარმა ცალიერი საფულე ქისა
უდროოთ წვერებ გათეთრებულ გამხდარ მათხოვარს.

ძველ სამრეკლოზე შეშლილი ხმით გატყდენ ზარები,
ღრუბლები ელდით კანკალებენ, შიშით ჰქრებიან;
ღმერთების ტაძრებს ახვევია ირგვლივ მგზავრები
და ძველ ცოდვების პატიებას ივედრებიან.

ნუ გახვალ გარეთ, დღეს ქარია გადარეული,
მიდი დაჰკეტე, არ გააღოს გრიგალმა კარი.
ქარმა არ იცის შინაური, არც გარეული,
ნუ გახვალ გარეთ, მოდი ჩემთან, მკერდს მომეკარი.

უგედურება.

გრიგალის ოხვრას და ველურ ფიქრებს
გაცივებული მზე ემდურება.
შუალამე გარს ავსულებს იკრებს,
მე კვლავ დამეძებს უბედურება.

მეხით და ელვით შემკრთალი მთვარე
სიკვდილის ცელზე ყვითელ ზოლს აჩენს;
სადა ხართ, სადა—ო მომეხმარეთ,
უბედურებას ვინ გადამარჩენს!

ქარი და მთვარე, მეხი და ელვა,
შეშლილი ღამე—უცნაურობა
როცა გრიგალი უმატებს ღელვას,
შავი ფიქრებით ცა იბურება.

ო მომეხმარეთ—უფრო ავდება
შავი გრიგალი და ზეცის რისხვა, —
ო მომეხმარეთ—დღეს გათავდება
ჩემი განკითხვა, ჩემი განკითხვა!

ოგოლი მუშა.

ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲘ ᲦᲠᲣᲒᲚᲔᲑᲘ.

ჩამავალ მზის მქრალ სხივებს გაჰყვა სული მკვნესარე,—
ღამე სევდას მომიძღვნის, გულს მიშხამავს დღე მწარე.
გულ ზვიადი ქუჩები შავად დაითალხება;
ღამე გაშლის გიშრის ფრთებს,—ლანდებს გაეხარდება!

ველურ ენებით დამთვრალი ქალაქი, ძილ-გამქრალი,
მსხვერპლებს დაეწაფება... და ახ, მე ეს წანწალი
ამ ქუჩების ხუნდებში მომბეზრდა, ვით სამარე!—
და ჩასულ მზის მქრალ სხივებს გაჰყვა სული მკვნესარე!..

თვალი მოვჰკარ ცის ნაჭერს, ლურჯათ ფრქვეულ სხივთ ნამქერს,
და იდუმალ ზეცის ქნარს, საოცნებოს, მზით ნაყღერს,
იისფერად ყვავოდა ღრუბლის ქსელი ფრთა-მარდი,—
აქ უყვარს სულს, ფრთებ-შესხმულს, ცის ლურჯ მკერდზე ნავარდი!

ჰაეროვან კოშკებში ვპოვე ბინა სულისა,—
ჰა ვიხილე ტაძარი უკვდავ სიყვარულისა!
და ლურჯ-თვალა ფერიებს, ანგელოზებს ციურსა,
ტრფობა რომ უსხივოსნებსთ სახეს ნარნარს, ღვთიურსა,
გადვუშალე ვედრებით დაჭრილ გულის წყლულები,
და შევსთხოვე მომავლის სხივთა ნაკადულები...

— ვერ გავძელი, ოჰ ვერა მე ქუჩების ბრჭყალებში,
ჩაჰქრა სხივი ღვთიური იქ ლითონის თვალებში!
ნილაბია მხოლოდ იქ ძმობა და სიყვარული,
წრფელი სიტყვა—შური და გესლის შხამი ფარული!..

ახ, ლურჯ-თვალა ფერიავ, მიგალობე მე რამე,
თორემ დასწყდა სიმი ქნარს, აღარ ძალ-მიძს მღერა მე!

ᲜᲐᲛᲘᲠᲘ

და შედრეკ ლურჯ ტბაზე ღრუბლის ქსელი ციალა,
სხივ-მოსილმა ფერიამ ქნარი ააწკრიალა:
— „მიწის შვილო, შვების ვარდს, აკოკრებულს ნამითა,
აქ ვერ ჰპოვებ, სტყუვდები, შვებას რო გრძნობ წამითა.—
შორეულ მზის ჩირაღდნის იყავ მარად მკობელი,
მისი ალით გარდაჰქმენ დედამიწა მშობელი,
და ეგ ქუჩის ლანდები, ეგ ლითონის თვალები,
ისე მალე გაჰქრები, ვით ამ ღრუბლის რკალები!“..

იისფერი ღრუბლები ცის ლურჯ ტბაში ბანაობს...
და მომავლის ხატება სულში მღერის, ნანაობს!..

4687

სამსხვერპლოზე.

სულის იდუმალ ქვითინით მოველ აქ, ლანდათ ქცეული,
ყოველ დღიური ვარამით დაჭრილი, გულით სნეული;
მოველ და ლოცვად აღვავლენ უმანკოებას ყრმობისას:
— ნუ, ნუ დამიჭკნობ სხივ-მოსილ, წმინდა ყვავილებს გრძნობისას!

არ იქნა, ველარ აივსო უფსკრული პირ-სისხლიანი,
ალარ გათენდა შვების დღე, ნათელი, სახე-მზიანი!..
მშობელი ქვეყნის გოლგოთა, უმანკო სისხლით მორწყული,
არ ძღება, მსხვერპლებს მოითხოვს, წამების ჯვარით მორთული!..

ნანგრევთა შორის ყმუილით, ვით მხეცი გაცოფებული,
დაძრწის და დაეხეტება ავ-სულთა ბნელი კრებული;
შურის და მტრობის შხამს აფრქვევს, გველივით მიმოსრიალებს,—
უფრთხის, მომავლის ალამი წითლად რო ელავს, ციალებს!

ქარიშხლის ფრთებით რხეული სისხლის ზღვა აზვირთებული,
და ნაპრალები, განწირულთ ჩონჩხებით ამოვსებული...
ეკლის გზა, ცრემლ-მოფრქვეული, წამებით გამონარები...—
იკმარე, ჰოი, სამსხვერპლოვ, იკმარე გემუდარები!

სულის იდუმალ ქვითინით მოველ აქ, ლანდათ ქცეული,
ყოველ დღიური ვარამით დაჭრილი, გულით სნეული;
მოველ და ლოცვად აღვავლენ უმანკოებას ყრმობისას:
— ნუ, ნუ დამიჭკნობ სხივ-მოსილ, წმინდა ყვავილებს გრძნობისას:

დ ი ლ ა.

თენდება... ელვარ სხივების ზოლი
შეამკობს მალე სამშობლოს მთებსა;
დილის ნიავი შორს გაიტაცებს
ქარხნის საყვირთა მჭექარე ხმებსა...

ილვიძებს სწრაფად მაშვრალთ უბანი,—
ცხოვრების აზრი, ცხოვრების წყარო,—
ადგება კვამლი... და შავი ნისლით
დაიჩრდილება ვრცელი სამყარო!

აჰა აფეთქდა ქურაში ცეცხლი,
ფოლადი თეთრად ელავს, ციალებს,
იფრქვევა ირგვლივ ნაპერწკლის ჩქერი,
კვერი ხმაურობს, გრდემლი გრიალებს...

მანქანის ღერძზე ზუზუნებს ღვედი,
ჰქრის და სრიალებს ელვასებრ მარდი;
აქვე სდგას მუშა რკინის მკლავებით,
შრომის ქარცეცხლში გამონაზარდი.

ღელავს, ბობოქრობს შრომის ტალღები,
და ფრთებს შლის ძალა უხვად მომქმედი:
აქ იქედება ძლევის მახვილი,
აქ იქედება მაშვრალთა ბედი!

ერთია აქა ათასთა აზრი,
და მანქანებიც ერთ ჰანგზე მღერის:—
„მომავლის არეს მიგვაფრენს სული,
გვსურს ხილვა სატრფოს, პირ-მშვენიერის!“

და ღელავს შრომის მედგარი ტალღა,
გრიალებს გრდემლი, ზუზუნებს ღვედი...
აქ იქედება ძლევის მახვილი,
აქ იქედება მაშვრალთა ბედი!

ვ. რუხაძე.

სიმღერა.

ა.

მზე ამოვიდა! მზე ამოვიდა!
აგერ დაჰფეთქენ სხივთა პეპლები...
და ჩემი მუზაც ეშხზე მოვიდა:
ჰა, შეარხია სიმთა წკეპლები.
კისკისებს ქნარი! ოცნების რაშით
თავსა ვევლები ყვავილთა მდელოს
და ასე ვმღერი: დიდების ტაშით
შევხვდეთ მომავალს ნორჩ საქართველოს!

ბ.

უკვე დამბხო ქვეყანა ძველი,
ბევრი კერპები ძირს ჩამოსცვივდა,
და იქ, სადაც შხამს ანთხევდა გველი,
სიმართლის დროშა ამაღლდა წმინდა!
ვინც უკან იყო—წინ მიდის ახლა,
ეშიკეშიკება ტრფობის სამყაროს:
დე, ვისიც გული ნაღველმა დაჰხრა,
აწ ნეტარების ცრემლი დაღვაროს!

გ.

ნუ დამანახვებთ მოღრუბლულ სახეს,
მოდით, ავფრინდეთ დღეს შვების მთაზე,
და მზეს ვუმღეროთ, მზეს მოჩახჩახეს,
თავისუფლება რომ უზის ფრთაზე!
იგი გაგვითბობს გათოშილ გულსა,
სულს მოაშორებს სევდის ლაინებს,
გვასწავლის ძმობას და სიყვარულსა,
ააყვავილებს დამჭკნარ ყვავილებს!

მწუხარება.

დიდხანს ვიტანჯე! წუთისოფელი
შეიქნა ჩემთვის ვრცელი უდაბნო!
ისე მივდივარ, ბედის მგმობელი,
როგორც მოვედი მე აქ, უდაფნოთ!

ვერ მივწვდი მიზანს, სიზმრათ ნახულსა,
თუმცა შავ ბედს ქედი არ მოვუხარე!..
აწ რა ვუყო გულს, ეჰვით დახრულსა?!
ვის მივაბარო ფიქრი მწუხარე?!

ზეცა ყრუ არის! მიწა უგრძნობო!
აუხსნელია ყოფნის ზღაპარი!
ეჰ, სულო ჩემო, შვების უცნობო,
არა გაქვს არსად თავ-შესაფარი!!.

ნეტა ასე რატომ ხდება?!

ა.

შემოდგომის ყვითელ ფოთლებს,
  მოწყენილებს, როგორც ობლებს,
    ფერ-მიხდილთ და თვალებ-სოვლებს,
იტაცებს და ფანტავს ქარი,
  არა აქვთ თავ-შესაფარი.
    და, ვითარცა ლტოლვილთ ჯარი,
ტყე-ღრეებში უმწეთ ყრიან,
  მწუხარების ცრემლებს ღვრიან.
    ცახცახებენ, ძრწიან, ძრწიან.
ტანჯვა მათი ცასა წვდება,
  მაგრამ ისე უხმოთ კვდება,
    რომ არვის გულს ის არ ხვდება...
ნეტა ასე რატომ ხდება?!

ბ.

ჰე, თომასაც სცივა, სცივა,
  თვალებიდან სევდა სცვივა,
    სული უწუხს, გული სტკივა...
და არ იცის, რა ქნას თომამ:
  ულალატა სულის ზომამ,
    და წყეულმა შემოდგომამ
მის გულშიაც ჩაიხედა
  და, იმდენათ ითავხედა,
    დააკვნესა: „ვაი დედა!“
კვნესა მისი ცასა წვდება,
  მაგრამ ისე უხმოთ კვდება,
    რომ არვის გულს ის არ ხვდება..
ნეტა ასე რატომ ხდება?!

გ. ქუჩიშვილი.

ფარული სიყვარული.

ღამით ბაღში დაგინახე,
თლილ თითებით ვარდებს ჰკრეფდი;
მთვარეს ჰგავდა შენი სახე,
ისე თეთრად ანათებდი.

ფეხ-აკრეფით მოგეპარე,
მოგეფერე გულში გრძნობით;
იასამნს მოვეფარე,
ვნეტარებდი ფარულ ტრფობით.

ურმული.

თეთრი ღამეა, ღამე ღვთიური,
მთვარე მეფურად მისცურავს ცაზე;
ისმის ღიღინი ტკბილ-მშობლიური,
მღერის მეურმე ნაღვლიან ხმაზე.

მღერის მეურმე და ეს ურმული
აღვიძებს ჭალებს, აღვიძებს ტყესაც;
ყველაფერია ურმულში თქმული:
სოფლის დალხენაც და სოფლის კვნესაც.

ᲪᲔᲙᲕᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ.

ᲩᲐᲛᲝᲓᲔᲥᲘᲗ! ᲒᲐᲜᲘ! ᲒᲐᲜᲘ!
ᲢᲐᲨᲘ, ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲢᲐᲨᲘᲐ!—
ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ, ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲕ,
ᲙᲝᲮᲢᲐ ᲓᲐᲘᲠᲐᲨᲘᲐ!

ᲑᲘᲭᲝᲡ! ᲨᲔᲮᲔᲗ ᲖᲔᲜᲝᲡᲐ!—
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲕᲚᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲐ!
ᲙᲐᲪᲡ ᲐᲒᲘᲭᲔᲑᲡ ᲕᲜᲔᲑᲘᲗᲐ
ᲔᲒᲒ ᲫᲣᲫᲣᲑ-ᲙᲝᲙᲝᲠᲐ!

ᲝᲰ, ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲛᲝᲒᲔᲮᲕᲘᲔ
ᲢᲐᲜ-ᲢᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲠᲮᲔᲕᲐᲨᲘ;
ᲪᲠᲔᲛᲚᲐᲗᲐᲪ ᲓᲐᲒᲔᲤᲠᲥᲕᲘᲔ
ᲗᲕᲐᲚᲗᲐ ᲔᲖᲮᲘᲡ ᲤᲠᲥᲕᲔᲕᲐᲨᲘ!

ᲢᲐᲨᲘ, ᲢᲐᲨᲘ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ!
ᲒᲐᲐᲩᲐᲚᲔᲗ ᲢᲐᲨᲘᲐ!
ᲒᲝᲒᲝᲕ, ᲨᲔᲜ ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ
ᲒᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲐᲨᲘᲐ!

ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲔᲠᲗᲘ ᲣᲧᲣᲠᲔᲗ,
ᲗᲔᲓᲝ ᲠᲐ ᲧᲝᲤᲐᲨᲘᲐ!
ᲘᲡᲔ ᲣᲕᲚᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘᲐ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲝᲠᲘ ᲪᲐᲨᲘᲐ!

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐ
ᲐᲙᲐᲚᲗᲣᲚ ᲩᲝᲮᲐᲨᲘᲐ!
ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲝᲒᲝ ᲓᲐᲐᲓᲜᲝ
ᲗᲐᲕᲐᲓᲣᲠ ᲪᲔᲙᲕᲐᲨᲘᲐ!

ᲒᲐᲜᲘ, ᲒᲐᲜᲘ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ!
ᲢᲐᲨᲘ, ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲢᲐᲨᲘᲐ!—
ᲓᲘᲤᲢᲘᲞᲘᲢᲝᲛ! ᲓᲐᲤᲢᲘᲞᲘᲢᲝᲛ!—
ᲘᲡᲛᲘᲡ ᲓᲐᲘᲠᲐᲨᲘᲐ!

ბიბლიოგრაფია

შიო არაგვისპირელი

გაგზარული გული

(ქართული არაკი)

პირველი კარი

I

... იყო და არა იყო რა, აბა, ღვთის უკეთესი ვინ იქმნებოდა, იყო ერთი უხვი ძლიერი თავადი თავის ყმითა და მიწა-წყლით. იმის სახელი განთქმული იყო მთელ სამეფოში, და მეფეც ძალიან აფასებდა იმის კეთილ-ზნეობას და სიუხვეს; ნამეტნავად იმის ყმების გალაღებას და კმაყოფილებას.

ყოველ-დღე მეფის კარს აუარებელი ხალხი მიდიოდა საჩივრით, თუ თხოვნით. მეფეც ყოველ-დღე ისმენდა იმათ საჩივარს გულის-ყურით, ასამართლებდა, ასაჩუქრებდა და ისე ისტუმრებდა. მაგრამ მეფეს ჩვეულებათ ჰქონდა: როცა მთხოვნელი, ან მომჩიკარი წარუდგებოდა, უეჭველად ჰკითხავდა: „ვისი ყმა ხარ?“ ერთხელაც არ უხსენებია ამოდენა ხალხს კაციას სახელი. დანარჩენი თავადების ყმა თითქმის ყოველთვის ათობით და ოცობით მოდიოდა.

— ეს რა ამბავია, რო კაციას ყმა ერთიც არ მინახავს ჩემ კარს, და სხვებისას კი ვერ ავდივარ?!. შეეკითხა მეფე მთხოვნელთ და მომჩივრებს.

— იკურთხოს შენი სახელი, დიდებულო მეფევ!.. უპასუხეს ერთ-ხმად... კაციას ყმები, დიდებულო მეფევ, ჩვენ ბატონებზედ უკეთ ჰცხოვრობენ და ვილას უნდა შეჰჩივლონ თავიანთ ბედნიერება?!.

მეფე ჩაფიქრდა. ცოტა სიჩუმის შემდეგ კიდევ შეეკითხა:

— კარგი... თუ კი მაგრეა, აქნობამდის თითო-ოროლა მოდიოდა მომჩივარი... ამ ბოლო დროს კი თქვენი რიცხვი მატულობს. რისთვის მოხდა ეს ასე?.. წინად კარგები იყვნენ თქვენი ბატონები, და ეხლა მაშ რამ გააუკუღმართავა?!.

— იკურთხოს შენი სახელი, დიდებულო მეფევ, წინადაც ისეთები იყვნენ, მაგრამ წინად კაცია იხიზნებდა დეევნილთ. აუარებელი ხალხი შეეხიზნა. ამისთვის

შენ არ გაწუხებდნენ... დღეს კი, რაც თავისუფალი მიწა-წყალი ჰქონდა კაციას, სულ შეხიზნულიებს უბოძა... არც ერთი ხიზანი იმის მიწა-წყლიდან აღარ გამოსულა. ყველა ეყმო. ეხლა ერთი ხიზანიც აღარა ჰყავს და იმასთან ახლად შეხიზნებულს მარტო რამდენიმე დღით იხიზნებს.

— რაც მიწა წყალი მქონდა, ყველა ყმებს უკირამს, თავისუფალი მიწა აღარა მაქვს მოგცე. მაშ შენ სტუმარი ხარ. მესტუმრე, და გაგაცილებ უშიშარ ჩემ მეზობელ თავადამდის...

— ხომ მოგეხსენება, დიდებულო მეფევ, სტუმრობა დიდი ხნით არ შეიძლება ჩვენისთანა ხალხისთვის?!. ხიზნობასაც ვთაკილობთ, რადგანაც ისევ ის სტუმრობაა, რადგანაც ბატონი მიწა წყალს გვაძლევს უსასყიდლოდ. ამიტომ ეყმნენ ხიზნები კაციას და იმის ოჯახისთვის იკისრეს დამოკიდულება...

— ხიზანი მეტის-მეტად მორცხვი და მოხათრებული სტუმარია!.. გაწყვეტინა მეფემ სიტყვა... ხიზანი, თუ კი იმას რითიმე გაუმასპინძლდი, ის ცდილობს თავის შრომით შეინახოს თავი და მასპინძელი არ შეაწუხოს, მასპინძელს არა ავნოს რა...

— ჰო და, დიდებულო მეფევ, ამისთვის ეყმნენ კაციას, რომ სტუმრობა ხანგრძლივი არ გამოსულიყო. დღეს კი იმათ ყმობამ სხვებს ხელ-ფეხი შეუკრა და აღარ იციან საით წავიდნენ, რადგანაც კაციას თავის ყმების შეწუხება არ უნდა. ამისთვის არის, რო ეხლა შენ გაწუხებთ ჩვენი ჩივილით. სხვა თავადებთან კი ვერ მივსულვართ, რადგანაც ერთი მეორეზე უარესია...

II

კაცია ბატონი მარტო ამით არ იყო განთქმული; მარტო ეს ქება არა ჰსმენია მეფეს კაციაზე... უფრო თავის ასულით იყო განთქმული...

კაციას ჰყვანდა მზეთ-უნახავი ასული ეთერი. იმის სახელი მთელ სამეფოს ბატონებში იყო განთქმული, თუმცა კი იმის მნახველი არავინ იყო..

... კაციას ასული ეთერი!.. კაციას ასული ეთერი!.. სულ ამას გაიძახდნენ სამეფოს საცოლო ბატონიშვილები და, თუ ეთერი ცოლად არ გაჰყვებოდა, ნახვით მაინც ენახათ. ეთერის ცოლად შერთვა კი ყველას ეწადდა და ამისთვის ყოველ დღე მთხოვნელი მთხოვნელზე მოდიოდა. ან კი რატომ არ მოუვიდოდნენ მთხოვნელნი?!.

ეთერის სილამაზე, თუმცა მნახველი არავინ იყო, აუწერელი იყო, და იმის მამის ქონება კი ყველასთვის სანუკარი იყო, რადგანაც კაციას ძე არ ჰყვანდა და სიძე იქნებოდა იმის მამულის პატრონი.

მიწა-წყლით და ყმით კაციას სამეფოში, თუ პირველი ადგილი არ ეჭირა, მეორე მაინც ეჭირებოდა...

კაცია ვერა ჰბედავდა თავის ასულის დაუკითხავად რაიმე გადაჭრილი პასუხი მიეცა. თავის ასულის სურვილის მონა იყო და, აბა, უიმისოდ როგორ დაიჭერ და საქმეს...

ერთხელ მამამ უთხრა თავის ასულს...

— შვილო, კარგა მოღერებული ხარ... დრო არის იფიქრო შენს ბედზედ და...

— მამავ, დიდიხანია ვფიქრობ და ველი ჩემ ბედს ამ კოშკში...

— ჩემო ნუგეშო, მაშ ამოგირჩევ მრავალ მთხოვნელთაგან და გამოგიგზავნი აქ!.. სიხარულით წამოიძახა მამამ და გადაჰკოცნა თავის ასული...

— არა, მამავ, გამომიგზავნე ყველა მთხოვნელი, და თითონ ამოვარჩევ ჩემ საქმროს...

— შვილო, ვაი თუ შესცდე, და მაშინ რაღა ვქნა?!.

— არა, მამავ, თუ შეეცდი, მაშინ მონელება ჩემთვის ადვილი იქნება. შენი შეცთომა კი ჩემთვის მოუნელებელი იქნება. მოუნელებელ ქვად ჩამერჭობა სხეულში, და შენი სიყვარულიც შეიბღალება...

— არა, შვილო, არა!... შენ ნებას ავასრულებ.

— აგრე, მამავ... უპასუხა ასულმა და გამოემშვიდობა...

და, აჰა, თითქმის ყოველ-დღე უგზავნიდა თავის ასულს მთხოვნელს. ბევრი ისეთი ახალგაზრდა გამოაბრუნა, რომ მამასაც კი ჯავრი მოუვიდა...

მიიღებდა თუ არა მთხოვნელს, მაშინვე ყურთ ერთი და იგივე სიტყვები შემოესმოდა: „ოხ, მშვენიერებავ, ცის კიდემდის შენი სიმშვენიერის ხმა მიუწვდა, და მართალიც ყოფილა... შენ“...

— მერე რა გნებავს?!. სიტყვას ეეცრივ აწყვეტინებდა მზეთ-უნახავი.

— შენი მონობა, შენი ყმობა!.. მიბრძანე და, აი, მუხლს ვიდრეკ შენ წინ...

— მძულს მონა!.. ცივად უპასუხებდა და გატრიალდებოდა.

გაწბილებული ნანაჯოგიანად გადაიკარგებოდა ხოლმე და რამდენიმე თვის განმავლობაში თვალით აღარავის ეჩვენებოდა...

რა ჰსურდა ეთერს, რო ეგრე უმოწყალოდ ექცეოდა მთხოვნელებს?!. ამან კაცია სადარდელში ჩააგდო, მაგრამ ვერ უმხელდა. თუ მამა ვერას მიუხვდა, აბა, სხვა ვინ რას მიუხვდებოდა, რადგანაც ეთერი თავის გულის თქმას არავის ანდობდა, გარდა მთვარისას, ისაც იმ დროს, როდესაც სოფელი მთლად ძილს მიეცემოდა. მაშინ გამოაღებდა თავის კოშკის სარკმელს და მთვარეს მიჰმართავდა ნაღვლიანად: „ჰოი, მთვარეე, ჩემო ერთგულო, ყურთ-უჩურჩულე ჩემი სახელი‘

თუ ის სხვაზე ვისმეზე ფიქრობს... გააბი შენი სხივების ქსელი ჩემსა და იმის შორის, რომ ამოძრავდეს იმისი გული ჩემთვის ისე, როგორც ჩემი ჰძგერს იმისთვის!.. ოჰ, მთვარევ, თუ კი ვეღირსე ჩემ წადილს და ოდესმე დედოფალი გავხდი... მთვარევ, ჩემო ერთგულო, მაშინ შენ გემონები მთელ სამეფოთი“...

ასე მოსთქვამდა ხოლმე ეთერი სიმღერით და თმა-გაშლილი, თითქმის დასაძინებლად გაშზადებული მთვარეს ემუდარებოდა...

რო გაეგოთ იმის გულის თქმა, მაშინ იმდენი მთხოვნელი კი აღარ მოუვიდოდა. ჩქარა მოახერხებდნენ მეფის ძის მოსყიდვას და აათვალისწუნებინებდნენ. თითონ მამასაც რო გაეგო, აღშფოთდებოდა და შეემუდარებოდა, გულიდგან ამოეღო ეს წადილი. მაგრამ არავის ეყურებოდა, რადგანაც მხოლოდ მთვარეს ანდობდა და ისაც იმისთანა დროს, როდესაც მთელ სოფელს ეძინა...

III

... სწორედ ეთერის კოშკის პირდაპირ ერთი საოქრო-მჭედლო იყო, რომელშიაც ერთი მოხუცებული ოქრო-მჭედელი მუშაობდა თავის შეგირდით. მოხუცი დილით მოვიდოდა, მუშაობდა, და საღამოთი კი სახლში მიდიოდა. საოქრო-მჭედლოში კი იმის შეგირდი რჩებოდა. მეტის მეტად კეთილი კაცი იყო ოქრო-მჭედელი და ამისთვის ძალიან კარგად ექცეოდა თავის შეგირდს. თითონ შვილი არ ჰყვანდა და თავის საოქრო-მჭედლოს შეგირდს უმზადებდა. უხაროდა ოქრო-მჭედელს, სიხარულით ცას ეწეოდა, რო ასეთი კარგი შეგირდი გამოადგა, და ამით ამაყობდა. „არ შემარცხვენსო“ ხშირად ეუბნებოდა თავის ცოლს და მეზობლებს. „ეხლავე მჯობნის ხელობაში და შემდეგ უფრო დახელოვნდება ჩემი მახარე და ჩვენ ხელობას ძირს არ დაუშვებს“-ო!..

მართლაც გულ-მოდგინედ მუშაობდა მახარე... სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ გამოეყვანა თავის ოსტატისგან ნაჩვენები ნიმუში. ხშირად, ძალიან ხშირად ოსტატზე უკეთესად დაიმუშავებდა ხოლმე სხვა და სხვა ნივთებს... და, აი, ამისთვის აღტაცებით იხსენიებდა ოსტატი თავის შეგირდს!..

როდესაც კი ოსტატი თავის სახლში წავიდოდა, მახარე უფრო გულ-მოდგინედ მუშაობდა. წმინდა სამუშაოს თავს ანებებდა, რადგანაც ძნელი იყო მკრთალ სინათლეზედ მუშაობა. ამ დროს ის ლითონების გადადნობ-გადმოდნობას, მორგვალებას, გამოწკეპას, ან კიდევ სხვა რამ საქმეს იჩენდა მეორე დღისთვის წმინდა სამუშაოსთვის მასალის შემზადებით...

ასე მუშაობდა მახარე საოქრო-მჭედლოში, როცა გონს ჩავარდა და თავის ხელობას შეგნებულად შეჰხედა. ისე გაერთობოდა ხოლმე მახარე, რო ხშირად

მამლის ყივილიც კი თავს ატყდებოდა. მაშინ კი საჩქაროდ წვებოდა, რო დილით ადრე გაეღვიძა და წმინდა სამუშაოსთვის ხელი მოეკიდა...

ერთ საღამოს, როდესაც სოფელს უკვე ეძინა, ასე გართულს შემოესმა ნაზი ხმა. მახარემ ყურები აცქვიტა და სმენად გარდიქმნა... სულ მოულოდნელი იყო მახარესთვის ამ დროს ეს ხმა. განცვიფრებულს სამუშაო მიავიწყდა, საბერველი მოუდუნდა, გადნობაზედ მიმდგარი, გავარვარებული და მოელვარე ლითონი თან და თან უმაგრდებოდა, და ცეცხლიც ფერფლის ლეჩაქით ებურებოდა... და აგერ ლითონი სულ გაცივდა, ქურაში ცეცხლმა ცხრა-კეცი ფერფლის ლეჩაქი თბილ საბნად წაიხურა... მიიძინა...

მახარეს ხელი მაინც არ მოძრაობდა... იჯდა მახარე სმენად გარდაქმნილი და უნებურად მთელის არსებით მიილტოდა ხმისკენ, რომელიც ხან მედგრად ეფრქვევოდა თავს, და ხანკი ნაზად, ტკბილად ეგუგუნებოდა და ესალმუნებოდა...

უნებურად ფეხ-აკრებით, მოკრძალებით, თითქოს ეშინოდა... თითქოს კი არა, მართლაც შეუგნებლად ეშინოდა თავის მოძრაობის ხმაურობით არ ჩაჰგლიჯოს ეს ნაზი ბადე ციური ხმისა...

გავიდა მოწიწებით საოქრო-მჭედლოს დერეფანში და...

ამ დროს ხმა მისუსტდა. კოშკის სარკმელში ბროლისგან ნაკვეთ ქანდაკებას ოდნავ თვალი მოჰკრა, რადგანაც სარკმელი დაიხურა... და ხმაც მისწყდა...

მახარე საშინლად ააღელვა ამ გარემოებამ. ის წამიერი ნეტარება ნაღველად შეეცვალა, და თავის თავს სასტიკად დაუწყო ყვედრება. ეგონა, გარედ რო არ გასულიყო, ის ხმა არ შესწყდებოდა... დაძმარებული შევიდა საოქრო-მჭედლოში და მთვარის შუქზე ქურა თვალებში წაეჩხირა. ლითონს ხელი წამოავლო და იატაკზე გადაახეთქა ლითონმა თავისებური ხმა გამოიღო...

ეს გარემოება მახარეს ყურადღებას არას დროს არ მიიქცევდა, მაგრამ ეხლა კი ხმით მოჯადოვებულისა მიიქცია. უცნაურ ხმად ეჩვენა ეს რაღაც წკრიალი იმ ხმასთან შედარებით, რომელიც ჯერ ისევ ყურში უტრიალებდა. მახარემ ლითონი აიღო და ხან წკიპურტის დარტყმით, ხან ქვის და ჩაქუჩის დაკვრით და ხან კიდევ ისევ იატაკზე გადაგდებით ლითონს ახმაურებდა და ადარებდა ყურებში ჩარჩენილ ხმას...

უკვირდა მახარეს, რო ლითონსაც ხმა ჰქონია... თითქოს წინად არასდროს არ ჰსმენიაო, ისე ჰკვირობდა.

აკაკუნებდა მახარე და ენატრებოდა იმ ხმას დაჰგვანებოდა. ერთი ლითონიდგან მეორეზე გადადიოდა და ეძებდა მგზავს ხმას...

IV

დილით მოვიდა ოქრო-მჭედელი და განცვიფრდა, როდესაც მახარეს შეჰხედა და იქაურობა სულ არეული იყო. კიდევაც შეეშინდა ოქრო-მჭედელს, ჭკუა ხომ არ აერიაო, ისეთი საშინელი გამომეტყველება ჰქონდა მახარეს.

— რას ეძებ, შვილო?!. სიყვარულით შეეკითხა ოქრო-მჭედელი მახარეს და ნაზად მხარზე ხელი დაადო.

— ხმას, ოსტატო, ხმას!..

შეეშინდა ოქრო-მჭედელს. ამ ბასუხმა სულ დაარწმუნა, რო მახარეს თავზე რაღაც ამბავია. ალერსიანად ხელი მოჰხვია მახარეს და ხმის კანკალით უთხრა:

— შვილო, უთუოდ მთელ ღამეს არ გეძინა... დაღლ ლობა გეტყობა!.. წამოდი, დაიძინე და... მე დავალაგებ აქაურობას.

მახარე გამოერკვა ამ სიტყვებზე. მიიხედ-მოიხედა და შეკრთა, რო დაინახა იქაურობა... თაროებიდგან სულ იატაკზე გაებნია სხვა და სხვა ძვირფასი ნივთეულობა. არც ერთი ნივთი თავის ადგილზე აღარ იდო. ყველაფერი იატაკზე იყო მობნეული...

სირცხვილისგან დაიწვა მახარე. თავი ჩაღუნა და რაღასაც ლუღლუღებდ...

— ნურა გენაღვლება რა, შვილო, ნურა!.. უფრო ალერსიანად უთხრა ოქრო-მჭედელმა მახარეს და თითქმის ძალად წაიყვანა ტახტისკენ...

გაუხარდა ოქრო-მჭედელს მახარეს გონს მოსვლა. ეხლა საშინლად შეეგრძალა. ეგონა, ღამე რამ ავი სული მოელანდა, ან დაეცა, რო ასეთი დაუხვდა, და ჩქარა გონს მოსვლას არ მოელოდა... „მადლობა ღმერთს, ჩქარა გამოერკვაო“!.. ულსიტყვოდ ღმერთს მადლობა შესწირა და კიდევ უფრო დაკინებით ურჩევდა მიწოლას...

— დავწვები, ოსტატო, დავწვები!.. მაგრამ ჯერ ავალაგებ და...

— თავად ავალაგებ, შვ ლო, შენ ნურა გედარდება რა!..

უძილობამ თავისი ჰქმნა. მიწვა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა...

კარგად მოსამზრებული იყო, როდესაც მახარეს გამოეღვიძა. ჯერ გონს ვერ მოვიდა. ეგონა, ოსტატის მოსვლა ვერ გაიგო, ისე ჩაჰძინებია. დილა ეგონა. თავის დღეში ესეთი არა დაჰმართნია რა, და ეხლა „რაღა ღმერთი გამიწყრაო“, გაიფიქრა და საჩქაროდ წამოდგა...

ოქრო-მჭედელი თავ-ჩაღუნული მუშაობდა. შენიშნა თავის შეგირდის მოძრაობა, მაგრამ არ შეჰხედა. ვითომ არ შეუმჩნევიაო, ისე მუშაობდა. უნდოდა— მოეფიქრა თითონ შეგირდს და გონს მოსულიყო...

ასეც მოხდა. შეგირდი, წამოდგა თუ არა, მაშინვე ოქრო-მჭედლისკენ წავიდა, რომ ბოდიში მოეხადნა. მაგრამ ერთი ნაბიჯის წარდგმაზედვე ყველაფერი მოაგონდა. მაშინვე ცივი წყალი შეისხა თავ-პირზედ და გარდაწყვეტილი აზრით მივიდა ოქრო-მჭედელთან.

— ოსტატო, წუხელის...

— არა უშავს რა, შვილო, ნუ რა გენაღვლება რა! შენ წლოვანებაში სხვებს უარესი ემართებათ! გააწყვეტინა ალერსით სიტყვა ოქრო-მჭედელმა...

— არა, ოსტატო... რწმენით უპასუხა შეგირდმა: ჩემ წლოვანებაში უნდა გამოიჩინოს ადამიანმა უნარი მოფიქრებისა და დაკვირვებისა, თორემ სიბერის დროს გვიანღა იქმნება...

ოქრო-მჭედელს ჭკუაში დაუჯდა შეგირდის სიტყვები, და უთხრა:

— შვილო, განაგრძე!

— წუხელის გიჟივით მოვიქეცი და, აი, მთელი დღე გავაცდინე იმის მიზეზით...

— მადლობა ღმერთს, გამოერკვიე, თორემ დილას, შვილო, შემეშინდა. სიხარულით წამოიძახა ოქრო-მჭედელმა.

უნდოდა შეჰკითხებოდა, თუ რამ ააღელვა ღამე ის, მაგრამ აღარა ჰკითხა. გაიფიქრა: „ვაი, თუ ჩემმა შეკითხვამ ამის საიდუმლოს კარი ამოულესოს, და მაშინ ჩემთვის სულ გაუგებარი დარჩება ამისი საიდუმლო“...

ჭკვიანი და გამოცდილი იყო ოქრო-მჭედელი...

V

— არა... არა!.. არ შემიძლიან შორიდგან ყურის გდება!.. უეჭველად უნდა ვნახო!.. წამოიძახა მახარემ, როდესაც იმ ღამესაც, იმავე დროს შემოესმა ის ნაზი ხმა... და ქურდულად გარედ გავიდა.

თუმცა მახარემ გარდასწყვიტა, მუყაითად ემუშავნა ამ ღამეს და ყურადღება აღარ მიექცია, თუ კიდევ განმეორდებოდა ის ხმა, მაგრამ პირველ გაგონებაზედვე მკლავი მოუდუნდა და სმენად გარდიქცა.

მხოლოდ ერთმა სურვილმა ღა შეიპყრო მახარე.. რაც შეიძლება მალე ნახოს ამ ნაზი ხმის ბუდე. სხვა ყველაფერი მიავიწყდა...

... გავიდა თუ არა, ფეხ-აკრეფით დაუპირდაპირდა კოშკის სარკმელს, საიდგანაც გამოჩუხ-ჩუხებდა ეს ხმა, და მთლად მოდუნდა... ბოძს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

ბადრი მთვარე დაჰქათქათებდა არეს. პირ და პირ მთვარისკენ ხელთარქმნილი ბროლის მკლავები აღეპყრა და მოსთქვამდა თავის ვედრებას ეთერი.

ვედრების სიტყვები არ ესმოდა მახარეს, მაგრამ ხმა კი, იმის მხურვალე შინაარსი თავის ძლიერის გრძნობით და სინაზით ძვალსა და რბილში უჯდებოდა. ეთერის მთვარის შუქზე მოძრაობა, თუმცა სახის და სხეულის მოხაზულობას გარკვევით ვერ ამჩნევდა მახარე, მაგრამ ეს გარემოება ხომ უფრო საოცნებოდ ჰხდიდა თითქმის პერანგის ამარა, თმა გაშლილ ეთერს...

მოჯადოვებული მახარე იდგა დერეფნის ჩრდილში, და თავში რა არ უტრიალებდა...

ეხლა ის მომჯადოვებელი ხმა უსაზღვროდ აღიზინებდა მახარეს, როდესაც ამ ხმის პატრონ ეთერს, ბროლისგან ნაკვეთს, სარკმელში მოღაღადეს ჰხედავდა.

ქალმა დაასრულა თავის ძილისპირი მთვარისადმი და მიიმალა...

წამს მახარე თითქოს გაჰქრა... აღარ არსებობდა... აღარც მთვარე აშუქებდა...

მახარე გამოერკვა და...

ბევრჯელ გაუგონია ეთერის სილამაზე... ბევრჯელ უსურვია თვალი მაინც მოეკრა, მაგრამ ის ხომ მზით უნახავი იყო. ეხლა კი, აი, თურმე მთვარით სანახავი ყოფილა და მერე რა ყოფილა...

ქაბუკი აიწვა და გულ-ჩაწყვეტით ხელი ჩაიქნია...

ზლაზნით შევიდა საოქრო-მჭედლოში და მოუჯდა ქურას. უსურვილოდ საბერველი დაუბერა და დაიწყო ლითონების დადნობა...

„მიუწდომელი იყო ვიღაც ხელოსნისთვის ეს სიმშვენიერე, თუმცა ვინც უნდა იყოს მახარეზე ძლიერად არავის ეყვარება ის... ის“... ფიქრობდა მახარე ამ დროს და თან ეთერის მოძრაობა, მთლად ის თავის ხმით, გავარვარებულ ქურის ალში ელმასნებოდა...

VI

მამლის ყივილს ჩაასწრო. გადაწყვეტილის აზრით მიწვა და მაგრად დაიძინა...

მეორე დილით ოსტატს ჩვეულობრივის მუშაობით დაუხვდა, და ერთმანეთში სრულებით არ მოუგონიათ იმ ღამის ამბავი.

მთელ დღეს ჩვეულებრივ მუშაობდნენ ოქრო-მჭედელი და მახარე. ერთად ისადილეს. საღამომდის ერთად იყვნენ ოქრო-მჭედელი და იმისი შეგირდი. ოქრო-მჭედელს არავითარი ცვლილება არა შეუნიშნავს რა, გარდა მომეტებული დაფიქრებისა. მაგრამ ოქრო-მჭედელმა ამის შესახებ კრინტიც არ დასძრა.

საღამოთი გამოემშვიდობა მახარეს და სახლში წავიდა...

— ქა, ი ჩვენმა შვილობილმა ხელ-ცარიელები კი არ დაგვტოვოს, კაცო!.. ცოტა ფხიზლად მოვექცეთ, წამოიძახა ოქრო-მჭედლის ცოლმა, როდესაც მოუსმინა თავის მეუღლეს მახარეს შესახებ...

— რას მეუბნები, ადამიანო, ე მაგის გაფიქრებაც კი ცოდვაა!.. მე კი მგონია, ეხლა ის მომწიფდა და კარგ ნაყოფს რამეს გამოიღებს. გუშინდელმა იმისმა საქციელმა ცოტა არ იყოს შემაშინა. მაგრამ დღეს კი გუშინდელი საქციელი მიხსნის იმის დღევანდელ ჩაფიქრებულ მოქმედებას... ის ლითონებში რაღაცას ეძებს... თუ რას ეძებს, ამას ჩქარა დავინახავთ, თუ არ მოტყუვდა მახარე...

— შენ უკეთ იცი, მაგრამ რასაც უნდა ეძებდეს, მოძებნოს, და ჩვენ კი მშრალზედ არ დავრჩეთ... მხოლოდ ამას გეუბნები...

ოქრო-მჭედელმა უკმაყოფილოდ შეიკრა შუბლი, მაგრამ ცოლს აღარ გასცა პასუხი და დასაძინებლად მოემზადა...

ოქრო-მჭედელი მიუხვდა მახარეს. ამ დღეს მახარე დინჯად მუშაობდა, ჩაფიქრებული, მაგრამ თავის ხელის მოძრაობით კვერის ხმარებაში გამოჭედვის დროს, სულ ამხელდა თავის სულის კვეთებას.

წინა ღამეს გადასწყვიტა: „თუ ეთერის ხმა დავისაკუთრე, თითონ ველარსად წამივაო“...

ეს ისე გაუჯდა მახარეს ძვალსა და რბილში, რომ ჭეშმარიტებად მიაჩნდა. იქმნება ქურის ალმა და ლითონმა შთააგონა ეს, რადგანაც ალსაც და ლითონსაც თავის ნებაზე ამოძრავებდა. ამ ძრიელის რწმენით ჩაიძინა და ამავე ძრიელი რწმენით გაიღვიძა. ეხლა უკვე გარდაწყვეტილი ჰქონდა: „თუ ეთერის დამორჩილება მინდა, უნდა ჯერ იმის ხმა დავიმორჩილო და ჩავაქსოვო ლითონში და შემდეგ კი თავის თავად ოითონ ეთერიც ჩემ ხელთ იქმნებაო“...

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ოსტატს ასე მშვიდად დაუხვდა... ჩაფიქრებული სხვა და სხვა ლითონებში მუშაობის დროს ეთერის ხმას ეძებდა, რომელიც ასე მკაფიოდ განუწყვეტლივ, თითქოს იდუმლად, უმღერდა. ლითონის ყოველ ხმაურობას ადარებდა იდუმალ ხმას, კიდევ სცდიდა მეტ-ნაკლებლივი ხელის მოძრაობით და ღრმად უკვირდებოდა იმის ხმის კრინვას... თუ კი ეთერის ხმას რაიმე ლითონის კრინვა მოაგონებდა, ის მეტის და მეტის გულ-მოდგინებით სცდიდა სხვა და სხვა ხელის ძალით და სისწრაფის მოძრაობით...

ამ დღის მუშაობით სრულებით კმაყოფილი დარჩა მახარე, რადგანაც რამდენიმე ლითონის კრინვაში ოდნავი ეთერის ხმის მგზავსება ჰპოვა...

როდესაც ოსტატი გამოემშვიდობა და მარტოკა დარჩა, მახარემ სწრაფად ხელი მოჰკიდა შემჩნეულ ლითონებს და დაუწყო ცდა. გულ-მოდგინედ მუშაობდა: ხან ცალ-ცალკე, ხან შეერთებულად სცდიდა, მაგრამ სრულ მგზავსებას ვერ ჰპოულობდა...

მთვარეც აჰოვიდა ამ დროს, და ეთერის კოშკის სარკმელიც გაიღო, საიდგანაც სანეტარო ხმა ეთერისა მთვარისადმი მოისმა: „ოჰ, მთვარეე, მთვარეე, ჩემო მეუფეე, შენ გაბარებ ჩემ გულის სურვილს!..“

მახარე სწრაფად დერეფანში გავარდა, ბოძს აეფარა და იქიდგან ადევნებდა თვალ-ყურს ნეტარ ქანდაკების ხმის და სხეულის რხევას.

მოჯადოვებული მახარე დიდხანს იდგა ისე და მხოლოდ თავის ქანდაკების მოძრაობით სტკბებოდა. იმისთვის არ არსებობდა არც მთვარე, არც საოქრომქედლო და არც თუ ედამიწა...

ქანდაკება გადმოეკიდა სარკმელს... მკერდი მთლად სარკმლის გარედ ჰქონდა. შიშველი, ბროლად ნათალი მკლავები მთვარისკენ მიპყრობილი...

„... ჩემო ღვთაებავ, მეფის წულს უთხარ... იმის სურვილით თავბრუ მეხვევა... ბევრ ვაჟკაცთ უარის თქმითა გული ჩავუკალ... შენ გელი... გელი, ჩემო საუნჯევ!..“ ასე უთხარი, ასე ასწავლე, ჩემო უფალო...“ ახ!.. წამოიკვნესა მახარემ ამ სიტყვების გაგონებაზედ და...

„მაშ მეფის წული ესურვებაა?!. მე კი... მე მაინც ვაღმერთებ და ვეძებ... ვეძებ... რას?!.“ ღრმად ჩაფიქრდა.

ეთერი კი გუგუნებდა და მთვარეს ევედრებოდა, რათა დაჰხმარებოდა მეფის წული გადმოებირებინა ამისკენ, რადგანაც მთვარე იმის და ყველასაც მესაიდუმლე არის და როგორც მოისურვებს, ისე შეაკავშირებს ქალს და ვაჟს...

„... არა!.. წაიბუტბუტა მახარემ, როდესაც მოაგონდა წინა ღამის გადაწყვეტილება, ისე მოხდება, როგორც მე მინდა, და კიდევ ღრმად ჩაფიქრდა...

მთვარე მაცდურ ხხივებს გარშემო აბნევდა და ყველას იმედს აძლევდა... აღფრთოვანებული ეთერი უფრო მეტად უმატებდა სხეულის და ხმის მოძრაობას...

მახარე კი ღრმად ჩაფიქრებული ცდილობდა გამოეცნო, თუ ეთერის ხმას როგორ დაჰპატრონებოდა და ლითონებში ჩაექსოვა.., „მაშინ... მახარის რწმენით... ეთერიც იმისი იქმნებოდა...“

აჰხედა მომდერალ ეთერს და... „ახ... ეხლა კი მივხვდიო!..“ ნისლი მოჰშორდა იმის შუბლს, აღტაცებით მიაპყრო თვალები ეთერის ბაგეს... უფრო გონების თვალით ჰხედავდა, ვიდრე ნამდვილით ეთერის ბაგის მოძრაობას, და ამის ბაგეც, თითქოს სარკედ გარდიქცაო, უხმოდ ამოძრავდა. თან მარჯვენა ხელს თავის ენის მოძრაობას აყოლებდა...

თვალი არ დაუხამხამებია, ისე უმზერდა ეთერის ბაგეს და ამოძრავებდა თავის ბაგესაც ისე, როგორც ის. თან მარჯვენა ხელსაც აყოლებდა.

როდესაც ეთერმა უკანასკნელად აღგზნებულად წამოიმღერა: „შენ ხარ უფალი, ჰოი, მთვარეე, ჩემი სულის და გულის და იმისაც... გევედრები შეგვა-

ერთეე... შეგვა... ერ... თეე... ე..."-ო და სარკმელი დახურა, მახარეს ბაგე გაეყინა და ხელიც შეუდგა უკანასკნელ მოძრაობაზე...

ასე მთლად გაყინული უმოძრაოდ იდგა, და გონება კი საშინელის სისწრაფით მუშაობდა...

დიდ ხანს იდგა ასე მახარე გაყინულად... შემდეგ ბაგე აატოკა, ხელიც აამოძრავა და ეთერის სიმღერის დროს ამოძრავებული ბაგე და ხელი სისწორით ისევ ისე უხმოდ აამოძრავა, თითქოს ეთერი ისევ სარკმელთან მღეროდა და მთვარეს ეეედრებოდა...

რაკი დაასრულა მახარემ უნაკლულოდ გამეორება ბაგისა და ხელის მოძრაობისა, აღტაცებით შევარდა სამქედლოში და შეუდგა მედგარ მუშაობას...

ეხლა უკვე მიჰხვდა, თუ უნდა ლითონმაც ისეთი ხმა გამოიღოს, როგორიც ადამიანს აქვს, ადამიანის გაღებულ ბაგის სახე უნდა მისცეს და შიგ ენასავით ლითონივე უნდა დასრიალობდეს...

უმთავრესი შებოჭა და სიამოვნებით მიწვა, რათა ძილში მოეპოვებინა ძალა წვრილმანების შესამუშავებლად...

უძილობით ძალიან დაიქანცა და ეხლა, რაკი ერთი გარდაწყვეტილება მიიღო, დამშვიდდა, სწრაფად ღრმა, გამასიცოცხლებელმა ძილმა შეიპყრო...

VII

მახარე გულ-მოდგინედ მუშაობდა. ოქრო-მჭედელმა თითქმის დაამშვიდა თავისი ცოლი, რომ მახარე ისეთს არას ჩაიდენს, რომ ისინი აზარალოს. გული მაინც სხვას ეუბნებოდა ოქრო-მჭედლის ცოლს და უსიტყვოდ საიდგანღაც გულის სიღრმიდგან თვალის გამომეტყველებით აფრთხილებდა თავის ქმარს...

მახარე კი დღე და ღამ წვრილმანებს ირკვევდა, თუ როგორ მოემწყვდია ეთერის ხმა ლითონებში... უმთავრესი მოევლინა და ეხლა წვრილმანებამ, თითონ უმთავრესის გამოსახვამ გაართთულა საქმე, რადგანაც ლითონი კვერს და ცეცხლს ემორჩილებოდა, მაგრამ ყველა ცალკეს თავისი ხმა ჰქონდა, რანაირი სახეც უნდა მიეცა ცალკე ლითონისთვის.

წვრილმანის აღსრულება, შემუშავება უფრო ძნელი გამოდგა, მაგრამ მახარეს დაუღალავმა გონების მუშაობამ და მუდმივ ლითონების წრთვნამ ესაც სძლია...

დიდი შრომის შემდეგ შეიმუშავა სახე ბაგისა და ლითონის დადნობით ჩამოასხა ბაგე ადამიანისა, მხოლოდ ენას... ენას ვერ აბამდა და ხელით ახმაურებდა...

ერთი კვირის შემდეგ ესეც სძლია. . თიხისგან გააკეთა ისეთი ფულურო ბაგე, რომელშიაც ჩაისხმებოდა ლითონი და შემდეგ გაციებისა, შეიძლებოდა თიხის დამტვრევით თიხის ბაგის მაგივრად ლითონის ბაგე მიგეღო... შუაში ენის ჩამოსაკიდიც იყო...

მახარე იმ დროსაც კი მუშაობდა, როდესაც ეთერი ემუდარებოდა მთვარეს. ეხლა მახარე გარედ აღარ გამოდიოდა, და ამ დროს იმის შრომა, გონებისა, თუ ხელისა, უფრო ორკეცდებოდა...

ბევრი დაპრკოლება გადაეღობა წინ. ერთი ლითონისგან ჩამოასხა ბაგე, ენაც ჩამოაბა, მაგრამ ერთი გარემოება დაავიწყდა: ყუნწი დაავიწყდა. დაიჭერდა ხელში, თუ არა და ენას აამოძრავებდა, ლითონს ხმა სულ ეხლიჩებოდა და, ეთერის ხმას კი არა, თავისასაც კი სრულებით აღარ ემგზავსებოდა... ამითაც გული არ გასტეხია. უფრო მეტის გულ-მოდგინებით შეუდგა მუშაობას... შეიმუშავა ახალი ბაგე თიხისა უფრო მოზრდილი, ყუნწიც გაუკეთა. პირველმა ცდამ დაარწმუნა, რომ ეთერის ხმა ერთ ლითონში ვერ მოემწყდეოდა... ვერ ჩაედნობოდა... და ამისთვის აიღო მახარემ სხვა და სხვა ლითონი, რომლებშიაც კი ჰპოვებდა ეთერის რთული ხმის ნაწილებს და ისე შეაზავა, როგორც მოესმოდა იმის ყურს... ლითონის მეტ-ნაწილს იღებდა, რომელშიაც ეთერის ხმა მეტად გამოიხატებოდა, ხოლო ნაკლებს იმ ლითონს, რომლისაც ეთერის ხმაში ნაკლებად მოისმოდა...

ოთხი, თუ ხუთი ლითონი მეტ-ნაკლებობით აიღო და ერთ ღამეს, როდესაც ოქრო-მჭედელი სახლში წავიდა, დადნობას შეუდგა... ჯერ მაგარი, ძნელად სადნობის ლითონის კერძი ჩადო დასადნობ ქოთანში... იმან რო დნობა დაიწყო, მიუმატა კერძი უფრო ადვილად დასადნობისა და ასე თანდათანობით აღებული ლითონები ერთ მასალად აქცია...

დიდი ხანია ეთერმა თავის ჩვეულებრივი გოდება მთვარისადმი გაათავა... მახარეს არც კი შეუმჩნევია ეს გარემოება...

დიდი ხანია რაც პირველად მამლებმა იყივლეს... არც ეს გაუგია მახარეს...

ხშირი მამლის ყივილი რო გაჩაღდა, მხოლოდ მაშინ გასწორდა წელში და სახე გაბრწყინვებულმა გადაჰხედა თავის ქნარს...

იმითიც უფრო კმაყოფილი დარჩა, რადგანაც თიხის ბაგემ თავის ყუნწით დაიტია მდნარი ლითონები და შევსებას არ დააკლდა... ესაც დიდი გამარჯვება იყო მახარისა... ასე მეტ-ნაკლებობის წინდაწინვე გამოზომვა მასალისა სახის ტეულობის მიხედვით...

მახარემ გამოაღო კარი და დერეფანში გავიდა. იმისი პირველი გონს მოსული ადამიანის თვალის სხივი ეთერის კოშკის სარკმელს ეკვეთა...

ვერც კი შეამჩნია ცის მომშვენიერება... ბუნების გამოღვიძება... და ადამიანთაც ამოძრავება...

— მახარე, გეტყობა, კარგად გამოგიძინია, რომ ეგრე დამშვიდებული სახე გაქვს!.. შემოესმა ოქრო-მჭედლის ხმა მახარეს...

მახარემ მოიხედა და მართლაც ოქრო-მჭედელი წინ ედგა.

მხოლოდ ეხლა შეამჩნია გათენებაც, გამვლელ-გამომვლელიც და...

— არა, ჩემო მამავ (მამას ეძახდა მიმართვის დროს მახარე ოქრო-მჭედელს), წუხელის ერთ წუთსაც არ წამილულავს თვალი, ვმუშაობდი...

ოქრო-მჭედელი გაშტერდა... თვალი ააყოლ-ჩააყოლა თავის მახარეს... თავის შეგირდს... თითქოს ის არის... და ის არ არის... ველარ იცნო... ხმა... კილო ლაპარაკისა თითქოს მახარესია, მაგრამ მახარისა... იმ შეგირდი მახარისა, რომელიც გუშინ საოქრო-მჭედლოში დასტოვა! იმისი არ არის!..

„ამ ერთ ღამეს ასე გამოცვლა?!. ჰკვირობდა ოქრო-მჭედელი... ეს ეხლა შეგირდი კი არა, ჩემი ოსტატის კილო და... არა...“

— მახარე, მართლა არა გძინებიაა?!. შეეკითხა ოქრო-მჭედელი განცვიფრებიდგან რო გამოერკვია...

— განა როდისმე სიცრუე შეგიმჩნევია, ჩემო საყვარელო მამავ?!. კითხვითვე უპასუხა მახარემ...

ოქრო-მჭედელი ეხლა კი დარწმუნდა თავის „გულ-უბრყვილობაში, თუ აქნობამდის ვერ ამჩნევდა ცვლილებას თავის შეგირდში...

— ვწუხვარ, ჩემო მახარე, რომ აქნობამდის არ შემიმჩნევია შენი ზრდა... თითქოს ამ ერთ ღამეს გაზრდილხარ... გაზრდილხარ კი არა, დავაკაცებულხარ, ისე მეჩვენები...

— არა, მამავ, წუხანდელი ღამე ჩემ ხნოვანებას მხოლოდ ერთი ღამით მიემატა... რაც შეეხება დავაკაცებას, ამაზე კი არ ვიცი, რა გითხრა... ვგონებ, მართალი ხარ... ის არა ვარ, რაც გუშინ ვიყავი... ამ ღამემ გუშინდელი მახარე და დღევანდელი ძალიან დააშორა...

— ჰოო, მაშ არ მოვტყუებულვარ, ჩემო მახარევ!.. წამოიძახა ოქრო-მჭედელმა და განაგრძო: დღევანდლამდის შეგირდი მყვანდა, ასე ვფიქრობდი, დღეს კი გამობრძნედილი ოქრო-მჭედელი მყავს ამხანაგად. ეხლა, ჩემო მახარევ, უნდა იშოვო შეგირდი და... გული აუჩუყდა, და ცრემლებით თვალები აევსო... შვილო, შენ უნდა უხელმძღვანელო ამ საოქრო-მჭედლოს.

... მო, შვილო, გულში ჩაგიკრა და დაგლოცო, წაილუღლუღა და ხელები გაუწოდა...

— მამავ! გულ-აჩუყებითვე წამოიძახა მახარემ... ოდნავ წატორტმანდა და მოდუნებული გულში ჩაეკრა ოქრო-მჭედელს და...

რამდენიმე ღამის თევამ, განუწყვეტელმა მუშაობამ და მღელვარებამ თავისი გავლენა იქონიეს მახარის გაკაჟებულ სხეულზედაც... ნამეტნავად ოქრო-მჭედლის

ლმობიერმა სიტყვებმა გაკვეთეს იმისი დაჭიმული ძარღვები, და უეცრივ მოეშვა...

გაფითრებული მახარე ძლივას შეიყვანა საოქრო-მჭედლოში ოქრო-მჭედელმა და საწოლზე დასვა...

წყლის შეპკურების შემდეგ მახარე გამოერკვა, საშინელი დაქანცულობა იგრძნო და მიწვა...

— მამავ, მაპატიე ჩემი ასეთი მდგომარეობა... უთუოდ დავიღალე... ძლივას ლაპარაკობდა მახარე...

— ნუ სწუხარ, შვილო, ვიცი, რაც შენ თავს არის...

— მერე ყველაფერს გიამბობ... ეხლა კი... ეხლა... კი... ეხ... ლა... ეხხ...— მიეხუჭა თვალები, და ღრმად სუნთქვა დაიწყო მახარემ...

ოქრო-მჭედელი დიდხანს იდგა მახარის თავით და ისმენდა მახარის მშვიდ სუნთქვას... „საწყალი, მახარე, ვინ იცის რამდენი ღამე ათია...— ფიქრობდა ამავე დროს. მაგრამ... პირველად როდის შევნიშნე?!. ჰო თითქმის თვეა ანგრეული საოქრო-მჭედლო რო დამიხვდა... მას შემდეგ“... მიიხედ-მოიხედა და საოქრო-მჭედლო აათვალიერ-ჩამოათვალიერა... „დამიძველდა საოქრო-მჭედლო... განაგრძო უსიტყვოდ ფიქრი... დროა გაახლებისა... ეხლა მახარე იზრუნებს... მე კი“... კიდევ მიათვალიერა და თვალი მოჰკრა რაღაც ხუფს, თუ რას...

ფეხ-აკრეფით მივიდა და ხელი შეახო. უნდოდა აეღო გაესინჯა, მაგრამ ხელი დაეწო. ზევიდგან დაუწყო შინჯვა... ვერ გაიგო, თუ რა არის...

ცოტა ტრიალის შემდეგ, იფიქრა: „უკვერო სამუშაოს გავაკეთებ რასმეო, რო მახარე არ გავაღვიძოვო,“ და აჰხადა ნივთების და ლითონების ყუთს თავი, რათა ამოეღო სამუშაო, მაგრამ რას ჰხედავს?!.

ოქრო-მჭედელი განცვიფრდა. ლითონები თითქმის სულ აღარ იყო ზანდუკში და გაკეთებულ ნივთებისა კიდევ ნახევარი...

VIII

... ოქრო-მჭედლის ცოლმა სადილი მოუტანა ქმარს და მახარეს, მერე სამხარი, მაგრამ მახარეს ისევ გაუნძრევლად ეძინა. ოქრო-მჭედელი კი ჩაფიქრებული ერთ სამკაულს დასცქეროდა და უაზროდ ატრიალებდა... როგორც მახარეს სადილისა არა გაუგია რა, ისე ოქრო-მჭედელმა ხელი არ ახლო სადილს, და, როდესაც ცოლმა სამხრობისას გაკვირვებით წამოიძახა: „სამხარი მოგიტანეთ და თქვენ სადილისთვისაც ხელი არ გიხლიათო“!.. ოქრო-მჭედელმა ტუჩებზე ხელი მიაფარა და წაუსისინა: „სუ... სუს... მახარეს ძლივას ჩაეძინა... უქეიფოდ არის!..“

— უი, დამიდგეს თვალი!.. წამოიძახა ოქრო-მჭედლის ცოლმა და მახარის საწოლისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ქმარმა კაბის კალთა დაუჭირა და წაჰსჩურჩულა:

— აკი გეუბნები, ძლივას ჩაიძინა!.. ნულარ ხმაურობ, არ გააღვიძო... სამხარი უკან წაიღე, და, სადილი კი—ვახშმად დაგვიგდე...

ცოლმა წაიწუწუნ-წამოიწუწუნა, გამოჰკრა სამხარი და დაღონებული ფეხაკრეფით შინისკენ წავიდა...

ოქრო-მჭედელი კი ისევ ღრმა ფიქრს მიეცა...

„რვა გაზაფხულისა ბალღი ავიყვანე მახარე... ათმა განვლო უკვე და ჯერ არც ერთი ურჩობა არ მახსოვს... ჩემ დაუკითხავად, ჩემ ურჩევლად არა გაუკეთებია რა და... ეხლა კი, აგერ ერთი თვე იწურება კიდევაც... ეს ბალღი რაღასაც ცოდვილობს და აქნობამდის არა მკითხა რა...

ფიქრობდა ოქრო-მჭედელი და გონს ვერ მოსულიყო, თუ მახარეს რა დაემართა...

მართალია, მახარე დილას შეჰპირდა ყველაფერს გეტყვიო და ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ ეს ხომ ის არ არის, როდესაც წინადვე გაუზიარებდა აზრს, ამასაც მოეწონებოდა და ორივე თითქმის შემოქმედები იყვნენ... ორივე სიამაყით იძახდნენ: „ეს ჩვენ გავაკეთეთო!..“ რამდენჯერ ყოფილა ეს ასე: აი, თუნდ ის სამკაული, რომელსაც განუწყვეტლივ ხელში ატრიალებს... ეს მთლად მახარეს მოგონილია, მაგრამ მახარემ წინ და წინვე გაუზიარა თავისი აზრი, ოქრომჭედელმა მოუწონა, ორივენი სიხალისით შეუდგნენ აზრის განხორციელებას. რასაკვირველია, მახარე ასრულებდა; ოქრო-მჭედელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს... ისაც ხშირად შენიშვნებს აძლევდა... იღებდა მონაწილეობას და... ბოლოს გაკეთებული ნივთი ორივეს შემოქმედებითი საკუთრება იყო...

პირველი სამკაული მაშინვე ბატონმა თავის ქალისთვის შეიძინა, და რაკი იმის ქალს ამკობდა და მთხოვნელნი ბევრნი მოსდიოდნენ და ჰხედავდნენ, მაშინვე უკვეთავდნენ ოქრო-მჭედელს შინაურებისთვის...

ეხლა ველარც კი ასდიოდნენ კეთებას... მახარე მუშაობდა გულ-მოდგინეთ, ოქრო-მჭედელიც კი მუშაობდა შემდეგში, უფრო ჩონჩხზე...

ეს იყო საყურე...

მახარეს ძალიან უყვარდა ბუნება... და ცდილობდა ყოველ-გვარი სამკაული მიემგზავსებინა...

ერთ გაზაფხულს საყურეს აკეთებდა. საყურე ტლანქი ნიმუშისა იყო. აკეთებდა ისე, როგორც მიღებული იყო... ოქრო-მჭედელი კი ქალს ელაპარაკებოდა, რომელიც სწორედ საყურისთვის შემოსულიყო.

— ამ წუთს არა გვაქვს და, თუ მერე შემოივლი, მზად გვექნება!..

— როდისღა მერე?.. შეეკითხა ქალი... დღეს მინდოდა!...

— მახარე, საღამოსთვის იქმნებაა?!.

მახარემ აიხედა და თვალ-წინ წარმოუდგა ლამაზი ქალი, რომელმაც ოქრო-მჭედლის შეკითხვაზე მოჰხედა. მხარზე პატარა პეპელა ეჯდა ქალს და, აი, სწორედ ამან უფრო აუმუშავა გონება. უეცრივ გაუელვა თავში: „ეს პეპელა რო ყურის ბიბილოზე ეჯდეს, რანაირად დაამშვენებდაა!!.“ და მაშინვე პეპელის ფერ ლითონს ხელი მოჰკიდა და თავის განაფიქრის განხორციელებას უნდოდა შესდგომოდა...

— მახარე, გაიგონე, რა გკითხე?!. ხელმეორედ დაეკითხა ოსტატი...

— როგორ არა, მამავ, ეს უკვე მზადაა, ემ წუთას, გავათავებ, მაგრამ, თუ ხვალ საღამოთი გამოივლის, მაშინ დავუმზადებ ძალიან ლამაზ საყურეს.

— არა, გეთაყვა, ეგ ეხლავე დამიმზადე, თორემ ხვალ საღამოთი აღარ მეცლება. დღეს ჩვენებიანთ შროშანას ქორწილი აქვს და...

— მაშ ეხლავე!.. სინანულით წამოიძახა მახარემ და სულ რამდენიმე წუთში დაუმზადა ტლანქი საყურეები...

ქალს მხარზე ისევ ისე პეპელა ეჯდა და ნაზად არხევდა ფრთებს. მახარე ადგა, მიუახლოვდა ქალს და ჩუმად ხელი წაატანა პეპელას.

ვერც ქალმა და ვერც პეპელამ ასეთი მოქმედება მახარისა ვერ შეამჩნიეს. ორივენი, ჯერ პეპელა და მერე ქალი საღლად დარჩნენ, როდესაც მახარემ პეპელას ფრთები დაუჭირა და სწრაფად ყურის ბიბილოზე უეცრობით პეპელის ხშირად ამოძრავებული ფეხები მიადო... ქალიც მთელი თავის სხეულით ატოკდა და შეჰკივლა:

— უი, ეს რას ემგზავსება?!.

ოქრო-მჭედელმაც გაკვირვებით შეჰხედა მახარეს, თუმცა კი არ იცოდა, თუ საქმე რაში იყო.

— აბა, მამავ, შენ თითონ სცადე, რა მოუხდებოდა ამ პეპელის მგზავსი საყურე?!.

ეხლა კი მიჰხედა ქალიც და ოქრო-მჭედელიც, თუ მახარემ რა განზრახვით ჩაიდინა ეს... მარტო პეპელა ვერას მიჰხვდა და ხშირად ამოძრავებდა ფეხებს...

— ეხლა პეპელეები ამიბი ყურს!.. კასკასით წამოიძახა ქალმა: ემაგეების ასხმა რო მდომნოდა, აქ კი აღარ მოვიდოდი!.. ჩაიდო ჯიბეში საყურეები და გამოემშვიდობა ორივეს.

მახარემ ნაღვლიანის სახით ნაზად პეპელა ისევ ქალს დაასვა, მაგრამ პეპელა სწრაფად შეფრთხიალდა და მოჰშორდა ქალის მხარს, თითქო იწყინა ქალის

სიტყვებიო, და დერეფანში გასრიალდა... მახარეს მარტო მადლობის ნიშნად ორ თითზე ფრთის ნაზი ფერფლი დაუტოვა...

როდესაც ქალი გავიდა, მახარემ დაწვრილებით გაუზიარა თავის ფიქრი ოქრო-მჭედელს... ისიც დაფიქრდა, ჩაუკვირდა და აღტაცებაში მოვიდა...

მაშინვე მახარე დასვა, თავს დაადგა და შეუდგნენ ორივე მუშაობას... არ შეუსვენიათ, ვიდრე თავიანთ განზრახვა ოდნავად სისრულეში არ მოიყვანეს. ეს ნასადილევს იყო. სამხარი რო მოუტანეს, დასხდნენ, სიამოვნებით ისამხრეს. თან ისევ იმ მუშაობაზედ პეპელა-საყურეზედ ლაპარაკობდნენ:

— მართლა, რა კარგი იქმნება:. ქალი ლაპარაკობს, საყურე ირხევა და პეპელის ფრთების ოდნავ რხევას ემგზავსება. ამბობს ოქრო-მჭედელი...

— ემგზავსება კი არა, თითქოს ცოცხალი პეპელა ქალის ბიბილოს დაჰკონია და ეალერსება!..

— მართალს ამბობ, ჩემო მახარე, მართალს!.. ძალიან კარგი რამ იქნება, თუ კი ცოცხალ პეპელას დავამგზავსეთ...

სულიერი განცდა ოქრო-მჭედლისა ისეთივე იყო, როგორიც მახარისა. ორივენი განიცდიდნენ შემოქმედთა კმაყოფილებას.

მართლაც მეორე დღეს პეპელა-საყურე რო გაათავეს, და კარგიც გამოვიდა, იმათ სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. სიამოვნება უფრო გაუორკეცდათ, როცა ბატონმა ნახა და მაშინვე თავის ქალისთვის იყიდა...

მერე რამდენი მოდიოდა და სთხოვდა პეპელა-საყურეს. გაკეთებას ველარც კი ასდიოდნენ. ორივე გულ-მოდგინედ მუშაობდა...

განა მარტო პეპელა საყურე იყო?!. რამდენი სხვა რამ სამკაული გააუმჯობესეს მახარემ და ოქრო-მჭედელმა!..

მაგრამ უფრო საუკუნოებით დარჩა ქინძისთავი პირველ წოდებითი სახელით... მაშინ დაერქვა სახელად ქინძის თავი და დღესაც ისევ ქინძის თავს ხმარობენ...

ბატონმა შეუკვეთა ოქრო-მჭედელს თავის ქალისთვის ოქროს სამკაული შუბლ-საკრავის დასამაგრებლად თავიანი მამალი ნემსი (უყუნწო თავიანი). მახარემ მეორე დღეს ჩვეულებრივი მამალი ნემსი უსახო თავით სადილობამდის დაამზადა და გადადო... სადილად ლობიო მოუვიდათ... თან სანელიც მოაყოლეს... როცა აიღო სანელი და უნდოდა მოეყარა, ხელში რაღაც მაგარი მოჰხვდა... ფრთხილად მოაყარა სანელი, და მაგარი კი თითებ შუა შეინარჩუნა... დაჰხედა და მაშინვე მიჰხვდა, თუ რა იყო. რამდენი უნახავს ახალი, ჯერ გაუხმობელი... მაშინვე წარმოუდგა თვალწინ ნაზად დახრილი ორივე მხრიდან ოდნავად შეზნექილი გუნდი... ეხლა, თუმცა გამხმარი იყო, მაგრამ ხაზები და მოყვანილობა მთლად შერჩენოდა...

— რას დასცქერი აგრე დაჟინებით?! დაეკითხა ოქრო-მჭედელი მახარეს...

— სანელში ბებერი ქინძიც ჩაუხმიათ, რო ქინძის თავი შიგ ჩაჰყოლია. უპასუხა და ქინძის ყვავილის გული გადააწოდა...

ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღიათ. ისადილეს გემრიელად და მოსანელებელი ტკბილი საუბარი დაიწყეს...

— ეხლა კი, ჩემო მახარე, გავუთავოთ ბატონს მამალი ნემსი, თორემ მალე მოვა წასაღებათ.

— გავათავე კიდევაც, მამავ!.. და მამალი ნემსი ხელში აიღო...

თითქოს, როცა აკეთებდა, მოსწონდა... მუყაითად მუშაობდა, რათა ლამაზად გამოეყვანა... ეხლა კი ტლანქად ეჩვენა...

— გავაკეთე, მაგრამ... რაღაც არ მომწონს!.. ოქრო-მჭედელმა ჩამოართვა და სინჯვა დაუწყო.

— რათა, შვილო, ძალიან ლამაზად არის გაკეთებული!.. ბატონი მადლობასაც გვეტყვის.

მახარეს უეცრივ თვალები გაუბრწყინდა, წამოდგა ზეზე და...

— მადლობას გვეტყვის, რასაკვირველია, მაგრამ უკეთესი რო მივაწოდოთ, მაშინ ათჯერ მადლობელი დაგვრჩება!.. ჩვენ შეგვიძლიან უკეთესი მივცეთ, მამავ!..

— როგორ შვილო?!.

— აი, მამავ, ამ ნემსის თავის მაგივრად რო წელან ქინძის თავი გაჩვენე, ისეთი გავაკეთეთ და ცოტათი თავი გადმოვხაროთ, რომ გული პირდაპირ გიცქეროდეს, მაშინ ძალიან ლამაზი იქნება!..

ოქრო-მჭედელი ჩაფიქრდა... აწონ-დაწონა და ჭკუაში დაუჯდა...

— მართალს ამბობ, ჩემო მახარე!.. მაგრამ თავის დროზე ეს ჩავაბაროთ... ახალს როცა გავაკეთებთ, ვაჩვენოთ... თუ მოეწონება, მერწმუნე, სიხარულით აიღებს...

IX

... ოქრო მჭედელი იჯდა თავის ადგილას და ყოველივე ეს თვალ-წინ გადაეშალა... თითქმის ამ დროს ოქრო-მჭედელი განიცდიდა ისევ იმ სიამოვნებას ეხლაც, ამ მოგონების დროს, როგორსაც წინად... მაგრამ, როდესაც მოგონებამ ძალაუნებურად დღევანდელ დღემდის მოიყვანა, უფრო მწვავედ ეჩვენა მახარეს საქციელი ვიდრე დილას... ეს უკვე მზის ჩასვლის დროს იყო, და აპრელებულ ცას, თითქოს იწვისო, ცეცხლის ალი გადაჰკროდა დასავლეთისკენ.

მახარემ ამ დროს გამოიღვიძა... თვალების ფშვნეტით წამოჯდა და თვალის გახილვებაზედ დაინახა ოქრო-მჭედელი...

— უჰ, რა ჩამძინებია, შენი მოსვლაც კი ვერ გავიგე, მამავ!.. წამოიძახა დარცხვენით მახარემ, წყლით სავსე ჩაფუკას ხელი დაავლო და დერეფანში გავიდა პირის დასაბანად.

ზამთარ-ზამხულ ჩვეულებად ჰქონდა დერეფანში პირის ბანვა...

გავიდა თუ არა, ოქრო-მჭედელს უეცრივ შემოესმა შეშინებული ხმა მახარისა:

— მამავ, ვგიჟდები, რაა ჩემს თავს!? ოქრო-მჭედელი მაშინვე დერეფანში გავიდა და დაინახა: მახარეს ხელიდგან ჩაფუკა გავარდნოდა და შეშინებული თვალებით ჩამავალ მზეს შესცქეროდა...

— რა დაგემართა, შვილო?!. თანაგრძნობით შეეკითხა მახარეს და მხარზე ხელი დაადო.

მახარე მთლად თრთოდა.

— ჰხედავ მზეს!..

— როგორ არა, შვილო!

— განა იქიდგან ამოდის მზე?!

— იქიდგან ამოდის კი არა, ჩადის, შვილო!.. ეხლა მზის ჩასვლაა!..

— როგორ?.. ახ, ეხლა ყველაფერი მაგონდება!.. შუბლზე ხელი გადისო და ჩაიცინა...

— მე კი მეგონა: მზეს უკუღმა სიარული დაუწყია!..

მახარემ ჩაფუკა აიღო და იქავე საოქრო-მჭედლოს ახლოს წყაროსკენ პირი ქმნა. პირი წყაროსთანვე დაიბანა და სავსე ჩაფუკით მხიარულად დაბრუნდა საოქრო მჭედლოში, რომლის დერეფანში სადაც დასტოვა ოქრო მჭედელი, იქვე ღრმად ჩაფიქრებული იდგა...

— მამავ, ეხლა ყველაფერი შემიძლიან გულ-ახდილად გიამბო!.. მხიარულად მივიდა მახარე ოქრო-მჭედელთან და ალერსით ხელი მოჰხვია...

— აი, შევიდეთ საოქრო-მჭედლოში და ყველაფერს გიამბობ.

ოქრო-მჭედელი ხმის ამოუღებლივ, ისევ ისე სევდიანი გაუძღვა წინ, და ორივენი საოქრო-მჭედლოში შეევიდნენ.

ოქრო-მჭედელი თავის ადგილას დაჯდა; მახარე კი პირდაპირ თავის ნაწარმოებთან მივიდა და ხელი დაადო... თუმცა ცხელი არ იყო, მაგრამ მახარემ ცივი წყაროს წყალი ჩაფუკით დაასხა... ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ ორთქლმა შებურა ბაგე...

მახარე მივიდა ოქრო-მჭედელთან და გვერდით მოუჯდა. ოქრო-მჭედელი კი თვალს არ აშორებდა...

— აგერ იმ თიხის ბაგეში მოვათავსე ჩვენი ლითონები...

— რა ბაგე, ვისი ბაგე!?. იქ რაღაც ხუფია...

— რა ვქმნა, მამავ, სხვანაირ ბაგეში ვერ მოვათავსე იმ ქალის ხმა!..

— ვინ ქალისა?!. უზარმაზარი ქალი ყოფილა ის ვიღაც არის, თუ მაგოდენა ბაგე აქვს...

— მამავ, როგორც გეტყობა, ნაწყენი ხარ და ამისთვის დაცინვით გინდა სამაგიერო მომიწყო ჩემი დანაშაულობისთვის...

ოქრო-მჭედელი შეკრთა. მოაგონდა დილანდელი მახარეს გამომეტყველება... შეეშინდა, ისევ დილანდელი სახე არ შიიღოს და თავი შეგირდათ არ აგრძნობინოს... ეხლა კი მახარე ისევ ისეთი მახარე ელაპარაკებოდა, როგორიც გუშინ... გუშინ წინ და...

სწრაფად კილო შეცვალა.

— მიამბე ჯერ დალაგებით და მაშინ სხვა იქმნება. თორემ ნაწყვეტი ლაპარაკით ვერა გამომირკვევია რა...

— ეხლავე, მამავ!.. და დაწვრილებით უამბო ყველაფერი, თუ როგორ დაებადა ქალის ხმის ლითონებში ჩაქსოვა, და ან რამ აიძულა ღამ-ღამობით ემუშავა...

ოქრო-მჭედელი თვალს ველარ აშორებდა მახარეს და აღტაცებაში მოდიოდა, რომ მახარე იმის თვალ-წინ იზრდება, იცვლება და... როდესაც მახარემ თავის განცდის ამბავი დაამთავრა და ოქრო მჭედელს შეჰხედა... იმის თვალ-წინ დილანდელი მახარე იჯდა...

წამოდგა ოქრო-მჭედელი. მახარეც ადგა. ხელი გაუწოდა მახარეს ოქრო-მჭედელმა და აღტაცებით უთხრა:

— მომე ხელი!.. ეგ მარჯვენა დამილოცნია, რომელსაც ამდენი რამ გაუკეთებია!.. ხომ იცოდი, მახარე, რო ყოველთვის გეხმარებოდი... მარტო ეს მაწუხებს ეს შენი ნამუშავარი, რად დამიმალე და თავიდგანვე არ მაცნობე?!. იქმნება დაგხმარებოდი რაშიმე .. ეხლა კი...

მახარე დაიბნა. ეს პირველად იყო, როდესაც ოქრო-მჭედელი ხელს უწვდიდა მახარეს, როგორც თანასწორს. მოწიწებით ჩაკიდა ხელი გამოწვდილ ხელს და, უკანასკნელი სიტყვები რო გაიგონა, უკვე გაბედულად მოუჭირა ხელი ხელს...

— ვერ გაგიზიარე, მამავ, მხოლოდ უდროობის გამო... ღამ-ღამით ხდებოდა ყოველივე ეს, და შენ კი ამ დროს აქ არ იყავი, და მეორე დღეს ნაამბობს ვერ განიცდიდი... იქმნება ხელიც შეგეშალა, რადგანაც ხმა არ გსმენია... ის ხმა, რომლის შებოჭვასაც ვცდილობდი, უნებურის რჩევით რომელიმე ლითონის ხმაურობისა. მეეხოვა, ღამე გეთია და... ეს ხომ შეუძლებელი იყო...

— რატომ, შვილო, რო გეთქო...

— როგორ, მამავ, განა გავბედავდი ემაგის თხოვნას?!. არა და არა!..

მთლად დაკმაყოფილებული ოქრო-მჭედელი სიამოვნებით შესცქეროდა მახარეს...

მახარე კი ამ დროს უფრო დინჯდებოდა და ჰგრძნობდა ზრდას...

— ეგრე, მამავ, თუ ნებას მომცემ, ეხლა ჩემ ქნარს მივხედავ... იქმნება დროა გავაშიშვლო, გაჩვენო ხოლოდ შობილად ბატონის ასულის ბაგე და გაგაგონო, თუ კი მართლა მოვახერხე შებოჭვა იმისი ხმისა...

— ეხლა მაგაზე უკეთესს ვერას ჩაიდენ...

მახარემ გადაატრიალ-გადმოატრიალა ლითონით სავსე თიხის ბაგე, ჩაიხედა შიგ და, რა დარწმუნდა თიხის უჟნობაში, ფრთხილად იწყო იმის შემომტვრევა, და მოპრიალე რთული ლითონი თან და თან შიშვლდებოდა... მთლად შემოამტვრია თიხის გარსი და თბილი ლითონის ბაგე სწრაფად გაარბენინა წყაროსკენ და შიგ ჩადო... ოქრო-მჭედელიც უკან გაჰყვა და თვალს არ აშორებდა...

მახარემ რამოდენიმე წუთის შემდეგ ამოიღო ბაგე და საოქრო-მჭედლოში შეიტანა. დადო თავის ლოგინზე და თავის საბნით წაბურა...

— რად ჩაიდინა ეს?!. რო ეკითხნა ოქრო-მჭედელს, რომელიც უკან დასდევდა, ვერ უპასუხებდა...

ოქრო-მჭედელი არ ეკითხებოდა. მხოლოდ გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა...

მახარემ წაბურვის შემდეგ—ისევ გააშიშვლა ლითონის ბაგე... ჩამოაბა ენა, ყუნწში გრეხილი გაუყარა და კაჩხაზე ჩამოჰკიდა...

უკვე შეღამდა. დრო იყო ოქრო-მჭედლის წასვლისა. ამ დროს ყოველთვის ვახშობდა შინ... მაგრამ ის შინ წასვლას არ ჩქარობდა და მოუთმენლად ელოდა შემდეგს...

— ეხლა კი, მამავ, უნდა გამოვცადო ჩემი ქმნილება... მაგრამ არ მინდა ამ დროს სხვა ვინმემ გაიგონოს შებოჭილი ხმა... მხოლოდ ჯერ-ჯეროობით!.. და კარები მიხურა...

ნაზად, ძალიან ნაზად შეახო ენა პსკერს და ხელის მოძრაობა გაიმეორა წინა დღეებისა... მოისმოდა ნაზი... ჩუმი შორიდგან ხმა. მახარე ამ ხმით გაცოცხლდა... ველარ იცნობდა კაცი...

უეცრივ შეწყვიტა ხელის მოძრაობა და აღტაცებით წამოიძახა:

— იცი, მამავ, არ მოველოდი, თუ ასე შევაზავებდი ლითონებს, რომ იმისრთული ხმა შემებოჭნა: ამალამ შევამოწმებ, როცა ის სარკმელთან მთვარეს შეევედრება. მაშინ კი...

— ამაღამ მეც შენთანა ვარ, შვილო!

— როგორ, მამავ, ეს რო მცოდნოდა, ხომ პირველ ღამესვე გთხოვდი!.. მაგრამ დედა ნარგიზა რას იტყვის... ხომ...

— არა, შვილო, დედა ნარგიზას ეხლავე წავალ და ვეტყვი, რო ამაღამ გვიანობამდის არ მივალ და ჩქარა მოვალ. ხომ ბატონის ქალი მხოლოდ სოფლის მიძინებისას იწყობს თავის ვედრებას?!. მაშ ბევრი დრო გვაქვს. გინდ ერთათ წავიდეთ და იქ ვივახშმოთ...

ესაც პირველად იყო, რო ოქრო-მჭედელმა, როგორც თანასწორი, ვახშმად სახლში მიიწვია...

— მამავ, განა შემიძლიან შენთან... ველარ დაათავა, რადგანაც ყელში მომდგარმა მღელვარებამ ხმა ჩაუკმინდა და თვალები კი ცრემლით აუვსო...

— შვილო, მახარე, ეხლა შენ ისე უნდა მოიქცე, როგორც ოქრო-მჭედელი... სრული უფლება გაქვს გაიჩინო შენი სახლ-კარი და... მაგრამ ჩემი სახლ-კარი და ეს საოქრო-მჭედლოც მე და ნარგიზას გადაწყვეტილი გვაქვს შენ დაგისაკუთროთ...

— მამავ!.. მეტი ველარა თქვა რა მახარემ და ხელი კოცნით და ცრემლებით დაუსველა...

საოქრო-მჭედლოს კარი გამოიკეტეს და გაჩუმებულები გაუდგნენ გზას...

X

მახარე... ეს განყენებული სახელი და ადამიანი იყო ამ ძლიერ და მშვიდობიანი ბატონის საბატონოში... არავის ახსოვდა იმის მშობლების სახელი და გვარი... მარტო ოქრო-მჭედელმა და იმისმა ცოლმა ნარგიზამ იცოდნენ, რომ ამ ათი შემოდგომის წინად რომელღაც მებატონეს გამოჰქცეოდნენ მამა, ცოლი და შვილი შემოსახიზნებლად და საყმობლადაც... მაგრამ მამა მახარესი საზღვარზედ უგზო უკვლოდ დაიკარგა... შეწუხებული დედა მახარესი თაღის შვილით მოადგა კარს... უხვად დაუხვდა ოქრო-მჭედელი ძვირფას სტუმრებს (სტუმარი ყოველთვის ძვირფასი იყო) და ჩქარა შეიხიზნა. მაგრამ მახარეს დედა მოსვლის უმალ ლოგინად ჩავარდა... ჩქარა გონება დაჰკარგა და ერთი კვირის შემდეგ საქაოსაც გამოესალმა და საიქიოს ესტუმრა...

მახარე დედის გვერდს არ მოჰშორებია ამ უკანასკნელ დღეებში... როცა მიწა მიაყარეს, მაშინაც კინაღამ საფლავში ჩაუვარდათ, რომ დედის გვერდით ყოფილიყო...

ამ რიგად შეჰრჩა მახარე ხელთ ოქრო-მჭედელს და იმის ცოლ—ნარგიზას...

უშვილო ნარგიზა ვერ შეეგუა მახარეს, რადგანაც არ იცოდა, როგორ მოევლო... ორმოცდა ათ შემოდგომას გადაბიჯებულ დედაკაცს ახალად დედობის დაწყობა გაუძნელდა და ამისთვის ქმარს ურჩია, მახარე საოქრო-მჭედლოში მოეთავსებინა და თან ხელობაც ესწავლებინა...

საოქრო-მჭედლოში ამ დროს ჰყვანდა უკვე გაწრთვნილი ხელოსანი და მახარე იმას მიუჩინა... თითონ ყოველ დღე მოდიოდა საოქრო-მჭედლოში და მახარეს ზრდას თვალ-ყურს ადევნებდა... რვა შემოდგომის მახარე (ეს ცნობა მახარეს დედისგან ჰქონდა მიღებული) დაბინავდა საოქრო-მჭედლოში, და იმის შემდეგ ფეხი არ შეუდგამს ოქრო-მჭედლის სახლში...

დედ-მამა ძალიან კარგად ახსოვდა. თუ რამ ალერსი და სიყვარული განუცდია, მხოლოდ მშობლებისგან, და იმათ შემდეგ კი... გულის კარი დაეხურა.

მართალია, ოქრო-მჭედელი, იმისი ცოლი ნარგიზა და საოქრო-მჭედლოს ხელოსანი სიყვარულით ეექცეოდნენ, მაგრამ ის არ იყო, რაც დედის, ან მამის გაჯავრებაც კი... გაჯავრებაშიაც კი სიტვყით გამოუთქმელი სიყვარულის სიო ეწნოდა და გულს ულბობდა... და ალერსი ხომ... უბრალოდ დედის ხელის შეხებაც კი აგრძნობინებდა მშობლის სიყვარულს....

როცა კი მოცლილი ჩაფიქრდებოდა, მაშინვე ოცნებას ეძლეოდა და წარსულ-განცდილი მომავლის ქსელში ახვევდა... გამოფხიზლება კი სიჩქვავით აგრძნობინებდა, რომ ის წარსულია და აღარ დაბრუნდება, რომ სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა...

თითქმის თვალ-ცრემლიანი მაშინვე საქმეს გაიჩენდა და გულს აყოლებდა... უფრო ხშირად დედის უკანასკნელი წამები აგონდებოდა... დედის უგონო თვალები, მაგრამ მახარესკენ მიპყრობილი... იმისი ხელის ლავსავი, თითქოს ეძებსო, და რო შეახებდა მახარეს ლოყებს, ოჰ, რა სიძლიერით აფრქვევდა იმაზე ალერსს!.. სიყვარულს... სიცოცხლეს!..

რაც დრო გადიოდა, და საქმე კისერზედ აწვებოდა, უფრო იშვიათად ეძლეოდა ამ მოგონებას... როცა ხელოსანი ოთხი შემოდგომის შემდეგ წავიდა, საოქრო-მჭედლო მთლად კისერზედ დააწვა მახარეს, ღაშინ ხომ სულ დრო აღარა ჰქონდა ტკბილ მოგონება-ოცნებას მისცემოდა და განეცადა თავის სიტკბო-სიმწარით... შხოლოდ თან და თან უფრო მეტად ჰგრძნობდა ალერსის სიმშილს... სიყვარულისას...

მაგრამ ეს გამოურკვეველი იყო მახარეში... გული დახურული ჰქონდა, მაგრამ ჰშიოდა კი...

მხოლოდ ეხლა გააღო გულის კარი, როცა ოქრო-მჭედელთან ერთად მიდიოდა სავახშმოდ, და თავის და უნებურად ცრემლებით ჩამობანა თავის სახე... მკაფიოდ

თვალწინ წარმოუდგა დედა... მომაკვდავი... ხელების მოფათურე, და იმისი უკანასკნელი ცივი ტუჩების, ვითა სიკვდილის, შეხება, მაგრამ იმისმა ტუჩებმა თუმცა ცივებმა, მაინც თრთოლვით სიყვარული, სიცოცხლე უანდერძეს...

გული ისე მიენელა, მიეფერფლა, რომ წაქცევაზე იყო, როცა ოქრო-მჭედელმა თავის ეზოს კარი შეაღო, მაგრამ ნების საშინელმა სიძლიერემ განფანტა მოგონება, სინამდვილეს სასტიკად ჩაებღაუჭა და თითქმის დამშვიდებული, თვალ-მშრალი ნარგიზას მიესალმა და ალერსით მოიკითხა...

XI

ოქრო-მჭედელი და მახარე ერთად სულ-განაბებულები იდგნენ საოქრომჭედლოს დერეფანში და ელოდნენ მთვარის ამოსვლას. მახარეს გვერდითვე იდგა სამი ლატნისგან გამაგრებული კაჩხა და ზედ მახარეს ქმნილი ბაგე ეკიდა...

ეხლა ოქრო-მჭედელი უფრო მოუთმენელი იყო, ვიდრე მახარე...

ჯერ ვახშმის დროსვე ოქრო-მჭედელი ძალიან მოუთმენლობას იჩენდა...

ვახშამი ძალიან საჩქაროდ იყო, რადგანაც ამ ვახშმის დროს მეზობლების თანა დასწრებით მახარე დალოცა, მიულოცა ოქრო-მჭედლობა და კიდევაც, რაკი მოხუცებულება ნებას აღარ აძლევს კიდევ განაგრძოს იქ მუშაობა, მთლად პასუხის მგებლობა მახარეს გარდასცა...

გულ-აჩუყებული ლაპარაკობდა ოქრო-მჭედელი, სხვებსაც გული აუჩუყდა, ნარგიზამ ხომ ცრემლები აფრქვია... რის გამო?!. ეს ძნელი გამოსაცნობი იყო.

მახარემაც ძლივას მოახერხა საპასუხოდ რამდენიმე სიტყვის წალუღლუღება... ღვინომ თუ ოქრო-მჭედლის სიტყვებმა ააღელვა, ვერ გამოერკვია...

— მამავ, ვფიცავ ჩემ მშობლებს, ჩემ გამჩენს... შენს მამობას და ნარგიზას დედობას, არ გავამტყუვნო — შენი ნდობა!..

მეტი ველარა მოახერხა რა...

ყველანი ჩაფიქრდნენ...

— შვილი არა მყავს, დაიწყო ამის შემდეგ ოქრო-მჭედელმა, შვილივით ვზარდე მახარე და, აი, მეზობლებო, თქვენ წინ ვამბობ: მახარე ჩემი შვილია და ნარგიზაც ჩემი აზრისაა... ჯერ მაშინვე ვიშვილეთ, როცა ღბედური შემოხიზნული დედა გარდაეცვალა მახარეს... ეხლა კი საჯაროდ ვაცხადებთ...

ოქრო-მჭედელმა აკოცა მახარეს, ნარგიზამ მკერდი გაიხსნა, მახარემ ძუძუს თავი პირში ჩაიდო, და შემდეგ ნარგიზამ გულში ჩაიკრა მახარე და ალერსით, თითქოს თავის პატარა შვილი უწევსო, ქოჩორი აუბურძგნა...

— აბა, შვილო მახარე, ეხლა კი დრო არის!.. აჩქარებდა ოქრო-მჭედელი.

— არა, მამავ, ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს... მთვარე ეხლა იგვიანებს და... მოვახშმე მეზობლებმაც დალოცეს მახარე, ოქრო-მჭედელს და იმის ცოლს ნარგიზას მიულოცეს სანატრელი შვილი, და გამოემღამემშვიდობნენ...

— კაცო, რაზე მიჰფანტე სტუმრები, სად მიეჩქარები?!. ცოტა წყრომის კილოთი შეეკითხა ნარგიზა ქმარს, როცა მეზობლები წავიდნენ.

— საოქრო-მჭედლოში მივეჩქარებით, ნარგიზ!..

— როდის ერთხელ წაჰსულხარ ვახშმის შემდეგ საოქრო-მჭედლოში, რო დღეს მოინდომე... მე როცა ჩვენი ნაშვილობი მახარე პირველად ჩვენთან ვახშმობს... ვგონებ ამ ღამის გათენებას სილხინით უნდა შევხვედროდით!.. ცოტაოდნივ წყენით უპასუხა ნარგიზამ ქმარს და ალერსით გაღაჰხედა მახარეს.

— არა, საყვარელო დედავ, მამას ტყუილად ბრალსა სდებთ!.. სიყვარულით უპასუხა ნარგიზას მახარემ: მამა მხოლოდ ჩემის თხოვნით მოდის საოქრო-მჭედლოში უდრო-უდროდ; მაგრამ მიზეზი დიდია და ამის გამო უარი არ მითხრა... ოქრო-მჭედლის მაგივრად უპასუხა მახარემ ნარგიზას... მაგრამ საჩქარო მაინც არა გვაქვს რა... მხოლოდ მთვარის ამოსვლისას უნდა იქ ვიყვნეთ...

— ჰო და, თუ კი მაგრეა, ეხლა მთვარე სავახშმოდ არის ჩასული, და ძალიან გვიან ამოდის... მაშ, რათ გაფანტე სტუმრები?!. ხომ იცი, მეზობლები არიან... ეწყინებათ... ეგრე იტყოდი, რო მთავრის ამოსვლისთვის გაქვთ საქმე და ისენიც იმ დროსთვის წავიდოდნენ, თორემ...

— თორემ... გაწყვეტინა სიტყვა ნარგიზას ოქრო-მჭედელმა... თორემ კი არა... მაშინ უფრო ნაწყენები დარჩებოდნენ... ხომ იცი, რაც მეტს დაჰლევენ, მით უფრო დიდხანს უნდათ სხდომა... მზის შეხვედრა... შენ თითონ გინდოდა გათენება და...

— იჰ, რაც გინდა ისა ჰქმენ, შენი ლაპარაკის თავი არა მაქვს... აკი გეუბნება მახარე, საჩქარო არ არისო!..

— დედი, დედი, საჩქარო არ არის მთვარის ამოსვლამდის, მაგრამ იმ დროისთვის ძალიან საჩქაროა... უეჭველად იქ უნდა ვიყვნეთ... მაპატიე, დედი, თუ დროებით მამა მოგტაცე და, გეფიცები, ჩქარა მევე მოვიყვან...

— შვილო, მახარე, დარწმუნებული ვარ აგრე იქმნება, მაგრამ ამან რო ისე სასწრაფოთ გაფანტა მეზობლები, ის მაფიქრებს...

— განა, საყვარელო დედავ, ამ სულ უმნიშვნელო გარემოებამ მაგრე უნდა აგაღელვოს?!. დარწმუნებული ვარ, ხვალ ისევე მეზობლურად შეჰხვდებით, როგორც დღეს და გუშინ...

— მახარე, დროა, წავიდეთ!.. შეაწყვეტინა გაჯავრებულის კილოთი ოქრო-მჭედელმა...

— წავიდეთ!..

XII

მთვარის ამოსვლას მარტო ოქრო-მჭედელი და მახარე არ ელოდნენ... ელოდა აგრეთვე სარკლმის გვერდით მჯდომი ეთერიც... იცოდა ეთერმა მთვარის ამოსვლის დაგვიანება, მაგრამ, აბა, როგორ დაიძინებდა, რო მთვარისთვის არ გადაეცა თავისი გულს-ნადები, არ შეჰვედრებოდა, და თაყვანი არ ეცა მთვარისთვის... ეხლა ხომ მთვარე ჩქარა ათი დღით გამოესალმება, და მაშინ მყუდროება სურვილიც არ იქმნება ესეთი... რამდენ ხანს მოუნდება ლოდინი ასეთ იშვიათ შემთხვევას...

ჩუმად, შეუმჩნეველად, თითქოს კატა ჩიტს ეპარებაო, ამოვიდა მთვარე; თავისი ცივი, მაგრამ თავის სიცივით და უელვარობით ძლიერად მომხიბლავი სხივები კოშკის სარკმელს აფრქვია...

წამიც არ დაჰგვიანებია ეთერს. დიდი ხანია ეთერი ამ წამს უცდიდა... მაშინვე სარკმელი გამოაღო და როგორც სატრფოს, ისე მიესალმა:

„ჩემო მთვარეე!.. ჩემო ნუგეშო, მო მიამბე...

... შესწყდა უეცრივ ქალის ხმა... ეთერს პირი ღია დარჩა... ველარ [illegible]ვა თავის გოდება...

მახარემაც შესწყვიტა თავის ხელის მოძრაობა... აღელვებისგან გაფითრდა და ხმას ველარ იღებდა. იმაზე აღელვებული ოქრო-მჭედელი იყო...

ეთერი შეკრთა და პირღია დარჩა, როდესაც თავის ხმასთან ერთად მოესმა მეორე იმისი ხმა...

რა იყო ეს?!. იმის ხმის „ჰაიჰო“ თუ ქაჯი ემანჭებოდა... წამს კანკალმაც აიტანა...

მახარე და ოქრო-მჭედელი ააღელვა ეთერისა და „ბაგის“ ხმის უცნაურობამდის მგზავსებამ...

მთვარე კი ისევ თავის მალური ცივი სხივების ფრქვევით ეალერსებოდა ეთერს და ამშვიდებდა.—

მართლაც დამშვიდდა ეთერი. უფრო მეტის ნდობით გაუწოდა ბროლად კვეთილი მკლავები, რის დანახვამ მახარე შეაეროლა, და შემოსძახა ეთერმა:

„არ შობილა ჯერ...“

მახარემაც ეთერის ხმის მიხედვით ძლიერად აახმაურა „ბაგე“.

„მაცდურიიი... ვაიიჰ!..“ მოისმა ეთერის თითქმის კივილი...

მახარეს ხილმაც „ბაგეს“ გამოაძახებინა უკანასკნელი ხმა ეთერისა და ისევ ისე უცნაურად მისწყდა „ბაგის“ ხმაც, როგორც ეთერისა...

უცნაურ კივილზე გამოიღვიძეს სოფლის ძაღლებმა და არე-მარე აახმაურეს. ამავე კივილმა გამოაღვიძა ეთერის გადიაც, რომელსაც ეთერის გვერდით ოთახში ეძინა, და გულ-გახეთქილი შემოვარდა ეთერის ოთახში. ყურში ეთერის კივილი ედგა...

ოქრო-მჭედელი და მახარე გაფითრებულები იდგნენ. არ იცოდენ თუ რა ექმნათ, როგორ დახმარებოდნენ ეთერს, რომლის მკლავები და თავი უძრაოვად გადმოკიდული იყო... კოშკი ძალიან მაღალი იყო...

— უი, დამიდგეს თვალები, ამას რას ვხედავ?!. შემოესმათ ამ დროს კივილი...

შვილო, მახარე, ეხლა კი სახლში წავალ... იმას უშველიან... ბატონი ეხლავე ეთერთან გაჩნდება და უპატრონებს... თუ ხვალ რამ მოკითხვა იყოს, ყველაფერი ვუამბოთ... ნურას დავმალავთ!..

— დასამალი რა გვაქვს!..

ჯერ ოქრო-მჭედელი არ წასულიყო, რო ეთერი ძლიერმა მკლავებმა ასწიეს და სარკმელს მოაშორეს. სარკმელი კი მაშინვე დაიხურა.

ოქრო-მჭედელი გამოემშვიდობა მახარეს. მეტი აღარა უთქვამს რა, მაგრამ სათქმელი ბევრი ჰქონდა... შინ მიმავალს გულში ჩაენერგა და სულ აუნგრია... აუწუწა გული...

ჰკიცხავდა თავის თავს, რომ არ დაუშალა მახარეს ეს საქციელი... „იქმნება მოუვიდეს რამ ეთერს და... ხომ სულ ეს არის პასუხის შგებელი... რას აჰყვა ბალღივით, ბალღის ოცნებას და... ოჰ, მთვარევ, შენ გვიშველე... შენ ხომ მოწმე ხარ, ჩვენ ცუდი არა გაგვივლია რა გულში... მაგრამ ჩემ თავზედ გეუბნები, გულთამხილავო, მახარეზე არას ვამბობ... იქმნება იმას რამ ჰქონდა გულში... არა... არა მგონია!..“ და ხელები აღაპყრო მთავრისკენ...

მთვარემ ნაზად ჩამოჰღიმა... გული დაუმალამოვა, რომ ქალი უვნებელი დარჩება...

„თუ მაგრე მოხდება, მაშინ ხომ უკეთესი... იქმნება მაშინ უფრო კარგი იყოს!..“ ამ ნუგეშით შეაღო კარი და მთლად დამშვიდებულმა ღრმა ძილს მისცა თავი...

XIII

სულ სხვა გუნებაზე დადგა მახარე ოქრო-მჭედლის წასვლის შემდეგ. დიდხანს უძრაოვად იდგა. გონს ვერ მოსულიყო, თუ ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეთერზე... ან კი რად უნდა მოეხდინა, როცა „ბაგის“ ხმა ძალიან ჰგვანდა, ჰგვანდა კი არა... შორიდგან ეთერის ხმა იყო... და მაშასადამე ეთერს

არც კი უნდა ეგრძნო ეს ხმა... მაშ რა მოხდა?.. არა... არა... ეთერის ხმას და „ბაგის“ ხმას ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი... ეს ხომ ოქრო-მჭედელმაც სცნო?!. მაშ... მაშ...“ თავს იმტვრევდა მახარე და ვერ გამოეცნო, თუ რად მოხდა ეს...

მახარეს ძლიერი ეჭვი შეეპარა „ბაგის“ ხმის მზგავსებაში და საშინელმა სურვილმა შეიპყრო, შეემოწმებინა ეხლავე ეს ხმა... ეთერის ხმა ხომ უტყუვრად ყოველ წამს ყურში უდგას...

სწრაფად ხელი წაავლო ბაგის ენას და ოდნავის ხელის მოძრაობით ნაზად აახმაურა „ბაგე...“

სარკმელი გაიღო, და სამმა შიშით ათრთოლებულმა არსებამ თავი გადმოყო...

როდესაც ეთერი გონს მოვიდა და მამას და გადიას უამბო თავის თავ-გადასავალი, ცოტა ეჭვის თვალით შეჰხედეს ეთერის სიტყვებს!..

ეთერი კი ეფიცებოდა იმათ, რომ ქვევიდგან ვიღაც მეორე ეთერი ხმას აყოლებდა... უთუოდ წყეული ამედევნა და რაღა მეშველება, აღარ მომშორდება...

— რას ამბობ, შვილო, რა წყეული?!. შენთან რა ხელი აქვს?!.

— თავს ზარი დამცა იმ ხმამა!.. გონება დავკარგე...

— ეგ ჩვენც კარგად ვიცით, რადგანაც ძლივას მოგაბრუნეთ, მაგრამ რამ დაგაკარგვინა, აი, რას გეკითხებით...

— ხმამ, მამავ ხმამ!.. მეორე ხმამ...

— ეე, შვილო?!.

— დილაზე ჩვენ მებატე ჯეირანას მოვიყვან და შევალოცვინოთ .. ძალიანა სჭრის იმისი...

— გაჩუმდით!.. უეცრივ აკანკალებით გააჩუმა გადია და მამა... ყური დაუგდეთ... გესმით?!. მეორე მე მღერის...

ეთერის მამამ და გადიამ სული განაბეს, და მართლადაც გარედგან ოდნავი, ნაზი, შორეული ეთერის ხმა მოისმოდა...

ამ სიჩუმის დროს ხმა უფრო დაუახლოვდათ, მკაფიოდ შემოესმათ და სამივეს თავზე თმა აუბურძგნა... შიშის ზარმა შეიპყრო სამივე...

ეთერის მამას ენა მუცელში ჩაუვარდა... უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა... მთელი ტანით ტოკავდა, მხრებს იშმუშნიდა და...

ხმა კი უფრო ირკვეოდა და უცნაურად ემგზავსებოდა ეთერის ხმას... სიმღერის კილოს...

— ეთერ... აქა... ხარ?!. ძლივას წაილუღლუღა მამამ და შეჰხედა ეთერს...

ეთერი ხელ-მეორედ გულის წასვლაზედ იყო... სწორედ ამ გარემოებამ აძლევინა მამას განეფანტა შიში და ეთერს მიჰშველებოდა... ძლიერად მკლავში ხელი წაავლო და მკაფიოდ... გარკვევით შესძახა:

— ნუ გეშინიან, შვილო, აქა ვარ!.. გარკვეულმა ხმამ სამივე გონს მოიყვანა და სამივე თითქოს შეადუღა ერთმანეთსო... შუაში ბატონი და აქეთ იქიდგან კი ეთერი და გადია ამოუდგნენ...

ბატონი მივიდა სარკმელთან... თუმცა შიში ჰბოჰავდა, მაგრამ უცნაურობას გამორკვევა უნდოდა...

რასაკვირველია ეთერი და გადია უკან არ ჩამორჩნენ და უნებურად მივიდნენ სარკმელთან...

ბატონმა სარკმელი გამოაღო... ეთერის ხმა უფრო მკაფიოდ შემოიჭრა და თავს ზარი დაჰცა სამივეს, მაგრამ ერთმანეთის სიახლოვემ იხსნა სამივე განსაცდელისგან...

ეს არ იკმარეს... როგორც პეპელა სანთლის შუქს ეძგერება ხოლმე, თუმცა იქ ცეცხლი მოელის, ისე ამათ სულ უნებურად თავები გადაყვეს...

— მამავ, ხომ გგჯერა, მეორე ეთერი გარედ მღეროდა მეთქი?!.

მოისმა აკანკალებული ხმა ეთერისა, და მაშინვე „ბაგის“ ხმა შესწყდა...

აღტაცებულმა მახარემ სარკმელს შეჰხედა, და სულ მთლად გაეფანტა ეჭვი...

თვით ეთერი ემოწმება: „მეორე ეთერი გარედ მღეროდა“-ო... თუ თავის ყურის სმენა ატყუებდა, ეხლა ეთერიც ხომ არ სცდება...

უმზერდა სამ თავს სარკმელში გადმოკიდულს და სამივე მხოლოდ ერთში გამოიხატებოდა ..

ეს ეთერის თავი იყო იმის თვალის მხედველობა...

— შვილო, ეხლავე წავალ, შევაიარაღებ კარის-კაცებს და მოვნახავთ იმ მეორე ეთერს...

— არა, მამავ!.. შეშინებულმა ეთერმა წამოიძახა... ამაღამ უშენოდ ვერ დავრჩები!..

მახარე დერეფანში იდგა. მთვარე არ აშუქებდა დერეფანს და ამისთვის უხილავი იყო სარკმლიდგან გადმომცქერალთათვის...

— მგონი, საოქრო-მჭედლოდგან მოისმოდა ხმა!.. წამოიძახა გადიამ...

— მეც აგრე მგონია!.. დაუმატა ეთერმა.

— მით უკეთესი!.. სთქვა ბატონმა... უფრო ადვილად მოგიყვან იმ შენ ეთერს...

XIV

როდის აქეთია სარკმელი დაიხურა... ხშირი მამლის ყივლიც დაიწყო, მაგრამ მახარე ისევ დერეფანში იდგა და სარკმელს შეჰცქეროდა... იმ სარკმლის იქით ეგულებოდა ეთერი... ეთერი იმის ოცნების ხატი...

მხოლოდ ამ ღამეს იგრძნო მახარემ, თუ რისთვის უნდოდა ეთერის ხმის ლითონში ჩაბოჭვა... ეთერის მთლად ჩაბოჭვა ჰსდომნებია და... ის კი ხმას გამოეკიდა... შებოჭა... იქმნება უნეპურად ხმას აედევნა, ეგონა, ხმის შებოჭვით თვით ხმის პატრონსაც დაეპატრონებოდა, მაგრამ ამ ღამემ დაუმტკიცა, რომ ნამდვილი ეთერი კოშკშია და აქ მხოლოდ იმის ოცნების ეთერი და ლითონში ჩაქნილი იმისი ხმა.

როცა ეთერმა შეამოწმა ხმის მგზავსება, მახარე აღტაცებაში მოვიდა და ბაგეს აკოცა თავ-დავიწყებით... მაგრამ ღამის თევის შემდეგ დარწმუნდა თავის შეცდომაში... თურმე ეთერი მთლად თავის შემადგენელობით სდომნებია, და არა ხმა... ეს მუშაობაც კი მხოლოდ ეთერის სიყვარულის ნაყოფი ყოფილა...

მხოლოდ ეხლა იგრძნო სიმწვავე სიყვარულისა და აშაოება თავის ოცნებისა... ეთერი?!. ეს ხომ იმისთვის მიუწდომელი არსებაა... ვინ ვიღაც საოქრო-მჭედლოს ხელოსანი და ეპოტინება დიდებულ ბატონის ასულს!.. აღგზნებული კოკონი სწორ-მოსაზრების თანდათანობით იფერფლებოდა... ფერფლი თანდათან კაჟდებოდა და გავარვარებულ კოკონს ჰბოჭავდა, მაგრამ კი ვერ აქრობდა სიყვარულს.

როცა მამლებმა ყივილს მოუხშირეს, მახარე თავის და უნებურად მივიდა კოშკთან, სარკმლის პირდაპირ დაემხო და აქვითინდა... სტიროდა თავის ბედს, თავის სიბეჩავეს... თავის უნუგეშო სიყვარულს და სწყევლიდა იმ წუთს, როდესაც ეთერი სარკმელში იხილა...

მთლად მოქანცული განთიადისას წარმოსდგა და საოქრო-მჭედლოში შევიდა. დერეფნიდგან „ბაგეც“ შეიტანა...

სულ უარარობას ჰგრძნობდა მახარე... ერთად-ერთი სურვილი... სიყვარული ბედმა არგუნა, და ესაც უმწეო... მხოლოდ ცივი ლითონი მისცა ხელთ ბედმა...

— ბედი რა მასხარა და სასტიკი ყოფილა!.. წამოიძახა მახარემ და „ბაგეს“ გადაჰხედა...

ბაგე უგრძნობლად იდო იქავე იმის გვერდით... იმის სულს და გულს არას ეუბნებოდა. ხელიც კი შეახო, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რო სცდება, მაგრამ სიცივის მეტი ვერა იგრძნო რა... ნატამალი სითბოც კი ვერა...

— არის ვინმე საოქრო-მჭედლოში?!. გარედ გამოდი!.. შემოესმა დერეფნიდგან ვიღასაც ხმა...

კარი ღია იყო... უკვე კარგათ გათენებულიყო... მახარემ იგრძნო ვისგანაც იქნებოდა გამოგზავნილი დერეფანში მდგომი კაცი, მაგრამ თითქოს არა იცის რაო, და არც გუნებაზე იყო, ადგილიდან დაძრულიყო.

— არ გეყურებათ, ვინ არის საოქრო-მჭედლოში?.. განმეორდა დერეფანში...

— კარი ღიაა, თუ რამ საქმე გაქვს შემოდი!.. უპასუხა ეხლა კი მახარემ ..

მახარე უეცრივ ფეხზე წამოდგა, როცა იმის თვალწინ ბატონი გამოიჭიმა...

— ბატონო... რას მიბძანებ?!.

— ოქრო-მჭედელი სად არის?..

— ჯერ არ მოსულა... შინ არის!..

— წუხელის აქ არავინა ყოფილა?!.

— წუხელის?!. გაკვირვებით შეეკითხა მახარე... მე ყოველ-ღამ აქა მძინავს, სხვაგან არსად...

— მაშ, შვილო მახარე, აქა გძინავს ხოლმე?!. დაეკითხა ბატონი გაკვირვებით და ტახტზე ჩამოჯდა...

— სულ!... რაც ოქრო-მჭედელთან ვარ, დღე და ღამ საოქრო-მჭედლოს არ ეშორდები...

— მე კი მეგონა აქ ღამოობით არავინ არის მეთქი... წაილაპარაკა თავისთვის ბატონმა და ჩაფიქრდა...

— უთუოდ ღამ-ღამობით მაგრა გძინავს... ახალგაზდა ხარ... ცოტა ფიქრის შემდეგ წაილაპარაკა ბატონმა...

— მოხდება ხოლმე მკვდარივითა მძინავს, ხან კი მთელ ღამეს არა მძინავს.—წყნარად უპასუხა მახარემ.

— რა მიზეზით?! შეეკითხა ბატონი, თითქოს მახარეს უძილობის მიზეზის გამოსაძიებლად მოვიდა...

მახარემ თვალები დააჭყიტა... ყოველ წუთს ელოდა წუხანდელი ამბის შესახებ შეკითხვას, და ბატონი კი აქეთ-იქით უხვევს... ეხლა კი ამ კითხვამ გააოცა... წამს გაიფიქრა, ყველაფერი დაემალა, მაგრამ მეორე წამს კი სულ წინაღმდეგ აზრს დაადგა...

— რა მოგახსენო, ბატონო... ყოველ უძილო ღამეს თავისი მიზეზი ჰქონდა უთუოდ, რის მოგონებაც ეხლა ძნელია...

— წუხელის უთუოდ მაგრა გეძინა?!.

— წუხელის... წუხელის... ნეტავი მკვდარივით მძინებიყო და...

— როგორ?!. შენც შიშის ზარმა შეგიპყრო, როგორც ჩვენ?!. შენც გაიგონე... წამოდგა ზეზე ბატონი უეცრივ და მხარზე ხელი დაადო მახარეს.

მახარე გონს მოვიდა... იგრძნო თავის სისულელე. კინაღამ თავის გულის ნადები გაუმხილა...

— არა, ბატონო, შიშის ზარს არ შეეუპყრივარ, და არც რამ სამაგისო მომხდარა რა წუხელის...

— მაშ, ჩემო კარგო, მაგრა გძინებია, თორემ მაგრე არ ილაპარაკებდი...

— გარწმუნებთ, წუხელის თვალი არ მომიხუჭავს, ისე, როგორც შენ...

— რა იცი, რო არ მეძინა?!.

— წუხელის რამდენჯერმე განახე...

— სად?!.

— ჯერ პირველად, როცა გულ-წასული შენი ქალი სარკმელის შოაშორე, მერე სარკმელთანვე შენ ქალთან ერთად და კიდევ სხვა ვიღაც იყო მესამე თქვენთან და უბნობდით ვიღაცის დაჭერას...

ბატონი მთლად შიშმა შეიპყრო... უარესი ამოცანა დაუდგა თვალ წინ, როდესაც მახარე წარსულ სურათს უშლ და... მახარემ ყოველივე ეს ნახა და კი არ შეშინდა, სხვა არა მოესმა რა...

— შვილო მახარე, რატომ ბატონს არ აუხსნი ყველაფერს?!. მოესმათ ორთავეს ოქრო-მჭედლის ხმა, რომელიც იმათ შეუმჩნევლად საოქრო-მჭედლოში შემოვიდა...

— მამავ, ვცდილობ ყველაფერი ვუამბო!..

— მაშ შენც იცი რამ წუხანდელის ამბავისა?!. განცვიფრებით შეეკითხა ბატონი ოქრო-მჭედელს...

— დაბძანდი, ბატონო, დამშვიდდი და ყველაფერს გიამბობ... აქ საშიშო არა არის რა...

— თუ ღმერთი გწამს, მიამბე, თორემ გონება მერყევა... იქ კიდევ ჩემ ქალს. ანიშნა თავის ქალის კოშკზე...

— დამშვიდდი, ბატონო, აქ გონების შესარყევი არა არის რა...

— მაშ შენც გაიგონე მეორე ეთერის ხმა?!.

— აკი მოგახსენებ, აქ გონების შესარყევი არა არის რა... გავიგონე... გავკვირდი და აღტაცებაში მოველი, მაგრამ შედეგმა ძალიან შემაწუხა... მერე კი დავმშვიდდი და კარგადაც მეძინა...

— მაშ მიამბე... მიამბე... ვერა გამიგია რა?!.

— ბატონო, დამნაშავე მე ვარ შენი ქალის წინაშე, სხვა არავინ... წამოიძახა მახარემ... არ მეგონა, თუ ჩემი საქციელი ისეთ შედეგს მოიტანდა, თორემ არ გავბედავდი... ეხლაც ვერ გამიგია, რატომ გონება დაჰკარგა, როცა იმის ხმას იმისივე ხმის მგზავსი ხმა აჰყვა?!.

— მარტო ეგ იყო, ბატონო!.. დაუმატა ოქრო-მჭედელმა.

— და ეგ საკმარისი არ არის, რომ კაცმა გონება დაჰკარგოს?!. წამოიყვირა ბატონმა... მაგრამ ვინ, როგორ დაემსგავსა ჩემი ქალის ხმას?!.

— აი, ეს!.. მიუთითა „ბაგეზე“ მახარემ...

— ეგ?!. დაკვირვებით წამოიძახა ბატონმა... მაგან დასცა თავ-ზარი ჩემ ქალს და შემდეგ მეც შიშის ზარმა შემიპყრო?!.

თან და თან ბატონისთვის უფრო გაუგებარი ხდებოდა ყოველივე ესი.. ის უფრო ადვილად შეურიგდებოდა, რომ ეთქვათ: მოვიდა ვილაც ეთერის მგზავსი და იმის ხმით დაიწყო სიმღერა.... ეთერს ხმა ააყოლა... ეს უფრო შესაძლებლად მიაჩნდა, ვიდრე რაღაც ლითონისა, რომელზედაც მიუთითეს ოქრო-მჭედელმა და იმის შეგირდმა...

— ეს სულ მახარეს ოინებია... დაიწყო ოქრო-მჭედელმა და მოკლედ უამბო ბატონს, თუ მახარემ როგორ მოამწყვდია ეთერის ხმა ლითონში...

ბატონმა მოინდომა მოსმენა ეხლავე, მაგრამ მახარემ უარი უთხრა, რადგანაც ხალხმა იწყო დენა და „სულ მოგვეხვევიან, თუ კი „ბაგის“ ხმა გაიგონესო“...

— მხოლოდ ჩემთვის მოვამწყვდიე შენი ქალის ხმა ლითონში და არა სხვებისთვისო... დაუმატა მახარემ...

XV

მოუთმენლად ელოდა ბატონი და იმისი ქალი სოფლის მიძინებას. მახარემ აღუთქვა თავის „ბაგის“ ამღერება მხოლოდ მაშინ. მთვარის ამოსვლასაც აღარ მოუცდიდა, თუ კი ეთერიც იმღერებდა...

რასაკვირველია, ეთერი კოშკიდგან არ ჩამოვიდოდა... ის და გადია სარკმელთან იდგებოდა. ეთერი იმღერებდა, და მახარეც „ბაგეს“—უკეთ ვსთქვათ—„შიშის ზარს“, როგორც ბატონი დაჟინებით იმეორებდა, აახმაურებდა. ამ დროს ბატონიც საოქრო-მჭედლოში იქმნებოდა, რათა თვალით ეხილნა და ყურით ესმინა, თუ „შიშის ზარი“ როგორ ახმაურდებოდა და ეთერის ხმას როგორ დაეგზავსებოდა...

მახარეც, ეტყობოდა, რაღაც მოლოდინშია... მართალია, მუშაობდა, მაგრამ მუშაობის დროს ოცნება სწრაფად იმის გონებას საამო ბადეში ჰხვევდა და მიაქანებდა საარაკო სამყოფისკენ... დილას თუ სასოწარკვეთილებას მიეცა, როცა ხელთ ცივი ლითონი შეჰრჩა, ეხლა ეს ლითონი თითქოს ხორცს ისხამდა და ეთერის სახეს იღებდა...

რამდენი არაკი მოუსმენია ბავშვობისას, სადაც მეფის ასულნიც კი მწყემს, მებატეს მისდევდნენ... თუნდ დედამ რომ უკანასკნელად უამბო. ხომ დიდი მგზავსებაა... „მწყემსი ყოველ ღამ თავის გულს სალამურს ანდობდა... თურმე კოშკში ბატონის ასული ყურს უგდებდა... ველარ გაუძლო მომხიბლავ სალამურის ხმას, გამოვიდა გარედ... გაეშურა სალამურის ხმისკენ... ახლო ეჩვენა სა-

ლამურის დამკვრელი, მაგრამ თურმე მთის წვერზედ უკრავდა მწყემსი... ფეხ-შიშველა, ნაზი არსება დაიქანცა... მწყემსს ვერ მისწვდა სასო-წარკვეთილმა. რაც შეეძლო მოუწოდა მწყემს... ქალის ნაზმა სასო-წარკვეთილმა ხმამ მთა-ღრე გაჰ-კვეთა და მწყემს ყურში ჩაეწვეთა... თითქოს ამ ხმას ეძებდა, ამისთვის უკვნესდა გული და სალამურსაც ასე აკვნესებდა... სწრაფად მოსწყდა თავის ადგილს და დაეშო მთიდგან...

„ქალს მოესმა ქვების ხრიალი, იმედი მოეცა და იწვევდა თავისკენ... როცა დაუახლოვდა ფეხის ხმაურობა, შეშ ნდა ქალი და იკივლა... სწორედ დროზედ მოვიდა მწყემსი, თორემ შიშისგან გული წაუვიდოდა... ნადირი ეგონა.

— ნუ გეშინიან... ნუ!..

— ვინაა?!.

— ვისაც უხმობდი!..

— მაშ რატომ სალამურის ხმა არა გდევს თან?!.

— რამდენიმე ნაბიჯი კიდევ წარმოსდგა მწყემსმა და საღტად დარჩა... ხმა ველარ ამოიღო, ისეთი მშვენიერება ედგა თვალწინ...

— დედოფალო... ჩემო მეფევ!.. მიმსახურე .. წაილუღლუღა მწყემსმა...

— მეშინიან!.. წამოიძახა ქალმა და ქვითინი მორთო...

მწყემსი მიუახლოვდა და კიდევ შეეეედრა:

— „მიმსახურე ბატონიშვილო!.. საიდგან მოხვედ აქ ამ ღრეებში?!. უკან წაგიყვან...

— „არა, არა!.. სალამურის ხმამ გამომიწვია აქით... მაგრამ ველარ მივაღწიე იმის სამეფოს... დავილალე... იქ მინდა, მაგრამ აღარ მესმის ხმა...

— „მე ვუკრავდი სალამურს!.. მოწიწებით უპასუხა მწყემსმა...

— „თუ შენ უკრავდი, მაშ რისთვის მეშინიან შენი?!.

— „არ ვიცი!.. დაბნეევით უპასუხა მწყემსმა, და გულს რაღაც ჩასწყდა... იქ შენი ხმა რო შემომესმა, საშველათ გამოვეშურე... მაშინ სალამური ველარ მო-აგონდებოდა, როცა ჰპოვა ის... რასაც ეძებდა... მაგრამ...

— „თუ შენ უკრავდი... გააწყვეტინა ქალმა სიტყვა, ისევ დაუკარ და შე-ვემგზავროთ შენ სამეფოსკენ...

— „ჩემი სამეფო ძირ-ბალახოვანი მთის წვერია და ჰერი კი ცა-ვარსკვლო-ვანი...

— „დაუკარ... დაუკარ, თუ შენ ისა ხარ!..

— „მწყემსმა სალამური ამოიღო და ააკვნესა... ქალი აკანკალდა და წამო-იძახა:

— „ჩქარა წავიდეთ შენს სამეფოში!.. უკან დაბრუნება არ ძალ-მიძს!..

— „წავიდეთ, ჩემო ყველავ!..

— „ფეხები აღარ მემორჩილებიან!.. კვნესით წამოიძახა ქალმა...

— „ოო... მხრებზედ შეგისომ და ისე აგიყვან ჩემ ბინამდის... თანაც სამხიარულოდ ავამღერებ ჩემ სალამურს!..

— „ოხ, ნეტარებავ!.. მაგას ხომ სიზმარშიაც ვერ ვნახავდი, ჩემო ყველავ!..—წამოიძახა ქალმა თავის მხრივ...

— „მწყემსი სულ დადნა ამ ხმაზედ... სწრაფად შეისვა მხრებზედ და სალამურს ჩაჰბერა...

— „აახმაურა სალამური სამხიარულოდ... გასაგიჟებელ სამხიარულოდ, რადგანაც გიჟსავით ბედნიერი იყო თავის ტვირთით... ეს იყო ხმა ნეტარებისა... განა როდისმე ესიზმრებოდა, რო ამისთანა ბედნიერება ერგებოდა?!. არა... არა და ათასჯერ არა!.. ეს მეხივით უეცრივ თავს დაატყდა და აკი ამისთვის ასე მედგრად შეუდგა აღმართს და თან სალამურს სამხიარულოდ ახმაურებს, რასაც სიხარულით არე-მარე ბანს აძლევს...

„ქალი?!. ქალი ხომ ნეტარების ბადეშია გახვეული და მიჰქანავს ზევით საარაკო სამყოფისკენ და სიამოვნების ნიშნად ხშირ-ხშირად ხელებს ალერსით მწყემს ლოყებზედ უსვამს და შიშველი ფეხებით უნებურად გვერდებში უღიტინებს...“

ოქრო-მჭედელმა რამდენჯერმე გადმოხედა სიყვარულით და ჩაიცინა... ფიქრობდა, მიუხვდა მახარეს ოცნების საგანს... და არ სწყვეტდა იმის ოცნების ქსელს...

მახარეს კი ერთი სიტყვაც არ დაჰვიწყებია დედის არაკიდგან: „უახლოვდება მწყემსი მთის წვერს. სუსტდება, მაგრამ სალამურის კილოს არ სცვლის... ქალიც თავის ალერს არ უკლებს... ავიდა მწყემსი მთის წვერზე, თავის სამფლობელოში შევიდა და მყის ქალი ძირს დაუშვა...

— „დავიღალე!.. წარმოსთქვა მწყემსმა და სიყვარულით თავი ქალის მუხლებზედ მიდო...

— „დაისვენე, ჩემო ყველავ, ჩემი მუხლი ბალიშად იხმარე!.. მე კი გიყარაულებ და ამავე დროს შენ სამფლობელოს დავათვალიერებ! ალერსით ჩაჰჩურჩულა ქალმა და ალერსიანად ბროლის თითები ხუჭუჭა თმაში სავარცხლად ჩაუყარა...

„და ოცნებას მისცა თავი... გამოერკვია მხოლოდ ძაღლის საშინელ, შემზარავ ყმუილზედ... „მერე რა გამორკვევა იყო?!.. ძაღლი ფეხზედ გარს და შემზარავის ხმით ყმუოდა... ტიროდა!. მწყემსი უძრავად გაშეშებული იდო იმის წინ. და იმისი თავი ლოდსავით აწვებოდა მუხლებზედ...

„რა მოუვიდა ქალს, არაკი აღარას ამბობსო, ასე დაათავა იმისმა დედამ ეს არაკი... მხოლოდ ამბობენო, დაუმატა დედამ: ძაღლმა ასწავლა ქალს მწყემსის დამარხვა... ქვევით მათის მწვერვალის კალთაზე მუხა სდგას, იმის ტოტების ქვეშ საფლავი ორივემ ამოუთხარეს და საუკუნოდ იქ მოასვენესო... დღესაც იმ მუხის ქვეშ პატარა ბოკერია ბალახით შემოსილი, თუ ზაფხულობით მ-ხვალ, რომელშიაც განისვენებს მწყემსი, როგორც ამბობენ...

„ქალისა და ძაღლის თავ-გადასავალზე აღარას ამბობენ, გარდა იმისა, რომ საქონელი ბარში ჩალალეს, პატრონებმა თავიანთი საქონელი მიიღეს, და ქალი და ძაღლი კი ისევ მთისკენ გაემგზავრენო“...

უკანასკნელმა სიტყვებმა ტანში ჟრუანტელი მოჰგვარეს მახარეს და წამოიძახა:

— ნუთუ ჩემი და ეთერის ბედიც ეგეთი იქმნება?!.

— რა იყო, შვილო მახარე, რაზე შეშფოთდი? დაეკითხა ოქრო-მჭედელი...

ეხლა კი მთლად გამოერკვა მახარე და სიმშილი იგრძნო.

— რა ვიცი, მამავ. რაღაც არაკი მომაგონდა და იმან შემაშფოთა... ცუდათ თავდება...

— არაკი იმისთვის არის, რო ისე არ გათავდეს, როგორც ცხოვრებაში ხდება...

— რა ვიცი, მამავ, ხანდისხან ცხოვრებაში ესეთი რამ ხდება, რაც არაკებშიაც არ მოიპოვება...

— მართალს ამბობ, შვილო, განა ლითონში ქალის ხმის გამოქნა არაკებშია ნაამბობი?!.

— არა, მამავ, ეგ სრულებით აზრად არ მომსვლია... სხვა რაღაზედაც ვფიქრობდი, რაც აღარ მახსოვს... არ ვიცი, რად... ეხლა კი ძალიან მშიან... თუ მეძინება, არა გამიგია რა!..

— ორივე, შვილო, გეძინება და კიდევაც გშიან... მაშ ჯერ ჭამე და შემდეგ დაიძინე...

მახარე სწორედ ისე მოიქცა...

XVI

ხმაურობა მისწყდა. ოქრო-მჭედელმა ნარგიზას შეუთვალა დაგვიანება და მახარესთან ერთად ელოდა ბატონის მოსვლას. „შიშის ზარი“ უკვე გარედ გამოიტანა მეხარემ და გონების ხმით იმეორებდა ეთერის კილოს...

სარკმელი გაიღო და იქიდგან ბატონის ხმა მოისმა:

— მახარე, გეყურება, რას გეუბნები?!.

— მეყურება, თუმცა კი ვერ გხედავ!.. ბნელა!..

— მარტოკა ხარ, თუ ოქრომჭედელიც მანდ არის.

— მეც აქა ვარ, ბატონო .. უპასუხა მახარეს მაგივრად ოქრო-მჭედელმა.

— ეთერი უჩემოთ ღიღ სარკმელთან ვერ დადგება...—დაიწყო ბატონმა: — ეშინიან... არ სჯერა, რო ავ-სული არ ემანჭება... ამისთვის ჯერ-ჯერობით აქ დავრჩები... მერე მანდ ჩამოვალ და ვნახავ... დღე გაბედული იყო ჩემი ეთერი... ეხლა კი კანკალებს შიშით!..

— თუ ნებას მომცემ და კარებს მაჩვენებ მანდ ამოვიტან და შენი ქალი თითონ ნახავს, რო აქ საშიშო არა ერის რა!.. უნებურად წამოიძახა მახარემ, და წამ იმედი მიეცა ეთერის პირის პირ ხილვისა... გული კიდევაც სიამით გადაეფერფლა...

— არა, ეგ არ შეიძლება!.. ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა ბატონმა...

მახარე ჩანელდა. ოქრო-მჭედელიც თითქოს ნაწყენი დარჩა...

— მაშ, აბა, დაიწყე?!. მოესმა ზევიდგან ბატონის ხმა...

მახარე უნძრეველად იდგა. ოქრო-მჭედელიც მახარეს არას ეუბნებოდა.

— რატომ არ აახმაურებ შენ „შიშის ზარს“?..

— დილას აკი მოგახსენე, თუ შენი ქალი იმღერებს მეთქი!..

— თუ კი წუხელის გარაჟრაჟებისას უჩემ-ქალოდ ამღერებდი შენ შიშის ზარს, რატომ ეხლა კი არ შეგიძლიან?!.

— წუხელის მახსოვდა კილო. ეხლა კი დამავიწყდა!.. გაჯიუტდა მახარე.

ძალიან კარგად ახსოვდა. ან კი როგორ დაავიწყდებოდა ეთერის კილო, როდესაც სიყვარულის ცეცხლით, სურვილის ცეცხლით იყო ამოკრილი იმის გონებაში, ყურში... სმენაში...

ოქრო-მჭედელს, თუმცა ბატონის წყენა არ უნდოდა, მაინც მახარეს პასუხი სამართლიანად მიაჩნდა. ამისთვის ის არ ჩაერია ლაპარაკში და არ ურჩია მახარეს: აეხმაურებინა თავისი „ბაგე“, ოქრო-მჭედელმა კარგად იცოდა, მახარე გულ-წრფელ პასუხს არ აძლევდა ბატონს...

რაკი მახარეს ასეთი პასუხი მიიღეს, ეთერმა სხვა ხერხს მიჰმართა... გადია წინ წაადგა, გვერდს ამოუდგა, ჩუმად უმღერდა კილოს და იმას კი ავალებდა ხმა-მაღლივ ემღერა.

ამღერდა გადიაც...

— გააჩუმე, ბატონო, მანდ ვიღაც მღერის, თუ ჩხავის, თორემ შენი „შიშის ზარი“ გასკდება!..

— ხა, ხა, ხა!.. გულიანად გადიხარხარა ბატონმა... ეთერ, დაუმატა ხარხარს ბატონმა: ვერ მოვატყუებთ, უნდა იმღერო!..

სხვა დროს გაბედული ეთერი დაიბნა...

მახარემ იგრძნო ეთერის კრდომა და შეებრალა... გაბედულად მოჰკიდა ხელი „შიშის ზირის“ ენას და წუხანდელი ეთერის გაბედული... ძლიერი მთვარისადმი მიმართვის ხმა ამოაღებინა „შიშის ზარს“ და... შემდეგ მთლად მიაყოლა ეთერის ხმის მოძრაობა გულის წასვლამდის...

ძლიერი, თავზარ დამცემი იყო ეს ხმა ზევით... კოშკში... ეთერს გული წაუვიდოდა, რო მამა და გადია გვერდით არ ჰყოლოდა. სამაგიეროდ ბატონი და გადია დაიბნენ... ეველარა გაეგოთ რა... თითქოს ეთერი გვერდით ედგათ... გარედან კი ეთერის უკანასკნელი კივილი შემოესმათ... უნდა მიჰშველებოდნენ, გაქცეულიყვნენ ეთერის კივილზედ გარედ, მაგრამ ეთერი მათ შუა იდგა უენებელი!..

— ხომ გაიგონე, ბატონო, შენი ქალის ხმა?!. შემოესმათ ქვეევიდგან მახარეს სიტყვები... ნუ იმღერებს შენი ქალი... როცა მინდა, ვამღერებ ჩემ ლითონის ეთერს...

— ცრუობს, მამავ, ცრუობს!.. ხმის კანკალით წაილაპარაკა ეთერმა. — ავისული მემანქანა, იმასაც ესმის იმის ხმა და გვატყუებს, ვითომც ის ახმაურებს თავის ლითონს!!. გევედრები, ეხლავე იქ ჩადი, შენი თვალით ნახე და, თუ მართალა ლითონი მბაძავს, მაშინვე გამოართვი და აქ მომიტანე... ჰოო, მამავ!.. ეხლა აღარ მეშინიან... იქიდგან ხმა მომეცი და...

— კარგი, შვილო!.. უპასუხა მამამ და გულში ჩაიკრა...

— მახარე, ჯერ არ დაიძინო, ეხლავე მანდ გავჩნდები!.. გადასძახა შემდეგ მახარეს...

— ადრე ძილს ჩვეული არა ვარ!.. უპასუხა მახარემ...

— მამავ!.. მერე მიუბრუნდა მახარე ოქრო-მჭედელს: მაპატიე, რო ასე ვიქცევი და ასე გაბედულად ველაპარაკები ბატონს.

— რად იბოდიშები, შვილო, გადაჭარბებულად არ ელაპარაკები ბატონს. ხელოსანი უბატონოა. მარტო ზრდილობით უნდა ველაპარაკებოდეთ ბატონსაც და ყმას... შენ კი უზრდელად არ დაჭლაპარაკებიხარ ბატონს...

— მე კი მეგონა გაბედული ლაპარაკი ბატონთან არ შეიძლებოდა...

— სიმართლის თქმა მეფესაც პირში ეთქმის ყველასთვის და მით უმეტესად ხელოსნისთვის, რომელიც თავისუფალია...

— ჰო, მართალს ამბობს, შვილო მახარე, ოქრო-მჭედელი: ხელოსანი თავისუფალია... დაილაპარაკა ბატონმა, როდესაც ოქრო-მჭედელის უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა, როდესაც სოქრო-მჭედლოს დერეფანს მოუახლოვდა:

ხელოსანი თავისუფალი რო არ იყოს, მაშინ ხელოსანიც აღარ გვეყოლებოდა. ძალით ვერ გააკეთებინებ იმას, რაც იმას უნდა თავისთვის...

— შვილო, ეთერ, უკვე აქა ვარ და... მახარე, აბა, ეხლა ჩემ თვალ წინ აახმაურე შენი „შიშის ზარი“, თორემ ჩემ ქალს ჰგონია, სწორედ გითხრა, მეც ვეთანხმები, ლითონს ადამიანის ხმის გამოღება არ შეუძლიან...

მახარემ ნაღვლიანად შეჰხედა სარკმელს, თურმე მთვარეს უკვე მიეფრქვია თავისი ცივი სხივები სარკმლისთვის და იქ... ეთერი უკვე გამოკვეთილი იყო... სწრაფად თავში გაუელვა: „იქნებ ეთერმა თავისი ხმა ააყოლოს, თუ კი მე ავა-ხმაურებ „ბაგესო“...

გაფიქრება და „ბაგის“ ახმაურება ერთი იყო...

მახარემ აახმაურა უკანასკნელი დროის კილოთი კი არა, პირვანდელის, როდესაც ეთერის ხმაში მოისმოდა სულის კვეთება და მუდარება...

მართლაც ეთერი მთვარის შუქით და „შიშის ზარის“ ხმით აღგზნებული აჰყვა ჯერ გაუბედავი ხმით... მერე კი პირველობა ხელთ იგდო, და ასე შეხმატკბილებულმა დაამთავრა თავისი გოდება...

ოქრო-მჭედელი და ბატონი ამ დროს საოქრო-მჭედლოში, და ზევით კოშკში კიდევ გადია განცვიფრებისგან პირ-ღიებე იდგნენ და ეშინოდათ თავიანთ სუნთქვითაც არ შეეშალათ ხელი ამ შეწყობილ ხმისთვის...

— უჰ!.. სიამოვნებით ამოისუნთქა ბატონმა, როცა გოდება დასრულდა: ეგ შვილო, „შიშის ზარი“ კი არა, „საამო ზარი“ ყოფილა... ამისთანა სიამოვნება ჯერ ჩემ სიცოცხლეში არ გამომიცდია...

— მართალსა ჰბრძანებ, ბატონო, მეც ამაზე უკეთესი არა მინახავს რა... ვმადლობ უფალსა ეს ჩემ საოქრო-მჭედლოში გამოიჭედა და მერე ჩემმა ნაშვილებმა გამოჰჭედა...

— საქებურია, საქებური შენი მახარე!..

მახარე კი ყურსაც არ უგდებდა. იმისი თვალი და გონება კოშკის სარკმელს არ ჰშორდებოდა, რომელშიაც გამოკვეთილიყო ეთერი... მართალია ეთერის სიმშვენიერის გარკვევა ამ შიშორეზე მთვარიან ღამეს ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ მახარის გონების თვალი მკაფიოდ ჰხედავდა ბროლისგან ნათალ ყბა-ყურს, ყელ-მკერდს, მხარ-მკლავს და იმისი უფსკრულად ქცეულ თვალებს თავის მეტ-ყველ წყარო-ვარდათ გაფურჩქნილ ბაგითა...

— ბრწყინვალე მომავალი მოგელის, შვილო მახარე, ბრწყინვალე!.. აღტაცებით მიუბრუნდა ბატონი მახარეს და ხელი მხარზედ დაადო...

ხელის შეხებამ მახარე გამოაფხიზლა, და ბატონს აბნევით შეჰხედა. ეგონა, სიზმარში იყო, და ეხლა გამოეღვიძაო:

— რას მიბრძანებ?!. შეეკითხა. უაზროთ მახარე...

— რა უნდა გიბძანო, შვილო, წელან არ ვამბობდით მე და ოქრო-მჭედელი: ხელოსანი ბატონის ბრძანების გარეშეა... მარტო ის უნდა გკითხოთ შენ და შენ ოსტატო მამისას, თუ რა ფასს მთხოვთ მაგ „საამო ზარში“, თორემ, აგერ, ჩემი ქალი მოუთმენლად მიმელის... დამავალა: „თუ მართლა ლითონი ხმაურობს, მომიტანეო“...

მახარემ ოქრო-მჭედელს შეეხედა და ფერი ეცვალა... ეშინოდა ისეთი არა თქვა რა, რის წინააღმდეგ თქმა არაფრისა შეეძლო, და გულს მოჰგლეჯდნენ... ოქრო-მჭედელიც გაჩუმებული იდგა და მახარეს ელოდა...

რაკი ბატონმა პასუხი ვერ მიიღო, მიუბრუნდა ოქრო-მჭედელს და უთხრა:

— მამისავ, როგორც უფროსს, შენ გეკითხები: რას აფასებ?..

მახარე აკანკალდა, თითქოს გააცივაო.

— რა უნდა დავაფასო?!. წუხელის ყველაფერი ჩემ შვილობილს ჩავაბარე. მე აღარა მეკითხება რა... ეხლა მახარემ იცის. ყველაფერი მაგას ეკითხება... მით უფრო მაგ ნივთის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიმიღია...

— მამავ!.. აღტაცებით წამოიყვირა მახარემ და მხურვალედ გულში ჩაიკრა...

— მამავ!.. ზევიდგანაც ჩამოჰსძახა ეთერმა...

— შვილო ეთერ, ეხლავე!..— უპასუხა ბატონმა თავის ქალს...

ეთერის ხმაზე მახარე მყის მოსწყდა მამისას მკერდს და ბატონს უთხრა:

ეს, რასაც შენ „შიშის ზარს,“ ხან „საამო ზარს“ სახელად არქმევ, თუმცა მე... უეცრივ შესდგა, რადგანაც ოქრო-მჭედელთან ლაპარაკი მოაგონდა, როდესაც იმან მასხარად აიგდო, როცა მახარემ „ბაგე“ უწოდა თავის ქმნილებას... გონებაში ყოველთვის წინ უძღოდა ამ სახელს „ეთერის“, მაგრამ არც ერთხელ არ წამოსცდენია...

ეხლა კნინალამ წამოსცდა...

— მაშ შენ რაღას არქმევ, შეეკითხა ბატონი, რაკი მახარე შესდგა: რატომ არ ამბობ?!.

— „ბაგეს“ არქმევს!.. ჩაერია ოქრო-მჭედელი ლაპარაკში...

— ხა... ხა... ხა!.. ძალიან წაგავს მოყვანილობით ბაგეს!.. გულიანად გადიხარხარა ბატონმა: კარგია კიდევ „ეთერის ბაგე“ არ დაარქვა, თორემ ვიფიქრებდი: მახარეს ჩემი ქალი ძალიან მახინჯად მოჰჩვენებია...

შიგ გულში მოჰხვდა ბატონის სიტყვები... მაშინვე მიუბრუნდა ბატონს და გამართლება დაიწყო:

— მხოლოდ ხმის გამოსაცემად ვამბობდი... აი, ამას ენათ ვგულისხმობდი, აგერ ზევით კიდევ საკლიტულს, რაზედაც ენა ჩამოკიდებულია, და ეს კიდევ

ტუჩებათ... ლითონს რო თავისთავად მოძრაობა შეეძლოს, მაშინ უთუოდ ბაგის სახეს მიიღებდა, მაგრამ...

— კარგი, კარგი, შვილო, რაც გინდა დაარქვი, ეხლა კი მიპასუხე: რა ფასია შენი...

— ზარისა!.. სწრაფად დაუმატა მახარემ...

— ჰო, ზარისა?!.

— ფას დაუდებელია. — ამ წუთს მაინც უპასუხა მახარემ...

— როგორ?!. ჩემი ქალის ხმა მოამწყვდიე და მაგას მეუბნები არ მოგცემოო?!

— მართალს უბნობ!.. გასასყიდათ არ მოიმწყვდევია შენი ქალის ხმა.

— პატრონსაც აღარ უბრუნებ?!. ცოტა წყრომით შეეკითხა ბატონი...

— პატრონისთვის არა გამომირთმევია რა.

— როგორ, ხმა ქურდულად მოამწყვდიე — და ეხლა იძახი: არა გამომირთმევია რაო?!. უკვე განრისხებული შეეკითხა ბატონი...

— ქურდულად?!. გამიგონე, ბატონო, ეგ ბრალი... რო გამექურდნა შენი ქალი, მაშინ შენ ქალს ის აღარ ექმნებოდა, რასაც მე წამოვიღებდი... მაგრამ შენ მოწმე იყავი, რომ შენ ქალს თავისი ხმა თავისთან აქვს... მაშ... აღელვებით შეეკითხა ბატონს: რა საბუთით მაგრე მლანძღავ?!. აი, ეს „ზარი“ შიშისა თუ საამოსი აქ არის... ამოიღე შენი ქალის ხმა და წაიღე... ლითონი ხომ ჩვენია და ჩვენივე დარჩება... მამავ, მიმართა მერე ოქრო-მჭედელს: ეს ლითონი, მგონი ნაქურდალი არ არის?!.

— შვილო მახარე, დამშვიდდი!.. ალერსით უთხრა ოქრო-მჭედელმა, თუმც ბატონს ამ დროს უკმაყოფილოდ გადაჰხედა... აქ ცოტა გაუგებრობა მოხდა... ბატონმა ისე ვერა სთქვა...

— ჰო... ჰო... ეგრეა, მამისავ... ქურდობაზე სრულებით არ მიფიქრნია... ამაღამ დამშვიდდი და დილაზედ მოვილაპარაკოთ... ღამე მშვიდობისათ!..

(შემდეგი იქნება)

დ. თურდოსპირელი.

ყვავილები.

ბაღნარში მინახავს უბრალო, სადა ყვავილი. სახელი არც კი ჰქვიან მას. არავინ იცის მისი არსებობა. ვარდ-გიორგინებს მიჩვეული არავინ შეაჩერებს მასზე თვალს, თორემ რომ მიექცევნათ ყურადღება, რომ მუშტრის თვალით დაჰკვირვებოდნენ,—მიჰხვდებოდნენ, თუ რა მომხიბლავი, რა თვალ-მახარა რამაა თვისი ლამაზი უბრალოებით... მის სათუთ ფოთოლთა ოდნავი ფურცვლა-შრიალი იდუმალს რამ ზღაპარს მოგვითხრობს, მაგრამ ვინ მიჰხვდება მისს ენას, ვინ შეეცდება გაიგოს, თუ რას გვეტიტინება ყვავილი, რომელიც ისე შეუმჩნეველია, რომ სახელიც კი არა აქვს და არც თუ ვინმემ იცის მისი არსებობა.

* *

ძოწ-ბადახშით, სტავრა-ნოხებით მორთულს სასახლეში მინახნია ყვავილოვანს ჰასაკში მყოფი მოახლე... იღლია დაკარწახებული, ხელებ დაშაშრული, სახე შემურული... მხოლოდ თვალები შერჩენია, რომელშიაც არ ჩაუღვენთებია ცხოვრების სისაძაგლე მკაცრ სიღატაკეს.

მხოლოდ მისს მონამულ თვალებიდან გამოჟღურტულებს ქალწულის აბულ-ბულებული კდემა-სინაზე.

ერთხელ მომიხდა ვწვევნოდი სრა სასახლეში მცხოვრებ ბედისგან ალაღებულებს. მასპინძელნი ყიჟინით გამოიშალნენ...

ჩვეულებისამებრ ყველას დაასწრო მოახლემ და პირველი მოაფრინდა კარებს...

აშიყ-მაშიყთა ზრდილობა მოითხოვს, რომ მსწრაფულ ვეახლო დიასახლისს და ვითა ბლაღოჩინს ვეამბორო ხელზე... დაშაქრულ ქათინაურებით დავუტკბო აზიზი სმენა...

მე კი არ ვაქცევ მას ყურადღებას. მე მომხიბლა ფლასებით მოსილ მოახლემ და პირველ ყოვლისა მას გაუწოდე ხელი. იგი შეჰკრთა. ჩვეული როდია ასეთს მოპყრობას. სხვა სტუმრები სრულებით არ ამჩნევენ მას. მაშ რას ჰნიშნავს ესა?—ჰმ!.. ხომ არ დამცინის?—ჰფიქრობს იგი და სწუხს, ჰფითრდება... დაჰ-

კვირვებიხართ შუქურ ვარსკვლავს განთიადის სხივებისგან გაცრეცილს? სწორეთ ასე ილეოდა და ჰკანკალებდა მოახლე...—განა რა დამიშავებია, რომ ასე გამაბიაბრუოს, სასაცილოდ გამხადოს ისედაც ბედისგან დაჩაგრული, უყისმათო...

იგი მალე შეფერიანდა და ეშხით აფანცქალდა, ოდეს ჩემმა თვალებმა დაუწყეს დაყვავება:

—რა კარგი ხარ, რა კარგი ხარ მაგ მორცხვობით, მაგ უბრალოებით... მშვენიერო, რისთვის მიგაჩნია თავი ბეჩავად... შენ მდიდარი ხარ და საესავი, ვით ზღვის სადაფში ობოლი თვალი.

დიასახლისს რას უყურებ... მართალია იგი გათქვირებულ-გაყვინიზებულია. სინებივრით, მაგრამ ფუქსავატ ცხოვრებას უკვე ჩაუფშრუკნია მისი გრძნობა... გამოურეცხნია მისი გული... გაუხუნებია მისი თვალები...

რა უყოთ, თუ მისს აბრეშუმის ტანისამოსივით შენს ძველმანს შარი-შური არ გააქვს, რა უყოთ, თუ ხელები მასავით სურნელოვან საცხებლით არა გაქვს პკურებული,—შენ მაინც სჯობნიხარ მას, სჯობნი ისე, ვით კრიალა თაღლითს წყალ-წმინდა მარგალიტი...

. . . . . .

„აგრგვინდა ცა და ქვეყანა,
ცროდეს ბროლისა ცვარითა“.

ბროლის ცვარი კი არა წყრომის ხორხოშელა წამოუშინა, გოროზად მოპირქუშდა მასპინძელთა სახე, როგორც კი დაინახეს ეს სურათი და ეს უხმო საუბარი... აიფხორნენ, გაკაპასდნენ... ამა, როგორ მომიტევებენ ასეთს უზრდელობას, ხეპრეობას. მიმიღეს, მაგრამ ვაი ასეთს მიღებას... ისხდნენ იგინი ცხვირპირ ჩამოშვებულნი და ხმას არ იღებდნენ... მხოლოდ შეკოპიპებული შუბლი და ამღვრეულ თვალთა მეტყველება კარებისკენ მიჩვენებდა გზას...

ამრუშხული ავდექი და გამოვეთხოვე...

„საწუთრო კაცსა ყოველსა
ვითა ტაროსი უხდების,
ზოგჯერ მზეა და ზოგჯერაც
ცა რისხვით მოუქუხდების“.

ღმერთო, ეს რა მესმის, რა მესმის მოახლისაგან!—დამივიწყე, კეთილო, დამივიწყე გეთაყვანე. ჩვენ ველარ შევხვდებით ერთმანეთს. ხვალ ქალაქიდან მივდივართ დედაბუდიანად...

ალხეინად, ხალისიანად გამშორდა დიასახლისი, ის კი არ იცის, რომ ორი ცხოვრება იყოფა შუა, ორი ცხოვრება ელვის სისწრაფით ჰშორდება ერთმანეთს

და ვეღარ შეერთდება, ვერ შენივთდება სიყვარულის ეშხით, მეგობრობის ცრემლებით...

აღარ მინდა, არა, აღარ მინდა ლაღობა და ნიშატობა... ხვალ დილა-ადრიანად ნიავის უმალესად აღარ წამოვიკრები მზის შესახვედრად... ხვალ ღიმილით აღარ გაუწოდებ ხელს ყვავილების გამყიდავს, რომელიც ყოველ-დილით ნაირ-ნაირ ყვავილებს მახვედრებს ხოლმე გზაში.

მე ნაღვლიანად ვეტყვი: წაუღე, ძმობილო, წაუღე ეგ ყვავილები ბედნიერებს.

წაუღე ეგენი მათ, ვინც შევარდისფერებულ თვალებით უყურებს მომავალს... მე აღარა ვარ ბედნიერი... მე გამიბედითდა ლაჟვარდოვანი სიხარული, ახ, მოულოდნელად გიმიწყდა ზღაპარი ტრფიალებისა...

* *

გინახნიათ თქვენ ბაღნარში უბრალო, უსახელო ყვავილი?

ამ ყვავილის კოკრები ცქრიალობენ და ნაზობენ, ვით იმ მოახლის თვალები, რომელნიც ეშხით გამოჭკრთიან ქვაბების მურით შემქვარტლულ სახიდან და მოგვითხრობენ ზღაპარს უცხო რამ სილამაზეზე, უბადლო კდემა-მოსილებაზე...

ვინ ცდილა დაეგდო ყური ამ ყვავილის ტიტინისათვის?

ვის მოუნდომია ჩაეხედნა მოახლის გრძნეულს თვალებში, რომელნიც ვიღაცას ეძებენ, ვიღაცას მოუხმობენ, ვიღაცას ჰპირდებიან უსაზღვრო ბედნიერებას, დაუტევარს სიყვარულს... მაგრამ ბევრს არ ესმის ის ძახილი, არ ესმის...

არჩილ რუხაძე.

ჩემს იდეალს.

ბნელა...
საშინელი, გულის მკვლელი, სევდით სავსე უკუნეთია...
ცა შეგრაგნილა შავი ღრუბლებით...
არ სჩანს მთვარე... არც ვარსკვლავები...
ძაძით მოსილა ტანჯული მხარე...
სადღაც შორს მწარეთ ჰკივის ჯოტი...
და გულს კოდავს ტურის ღმუილი...
ქარი საშინლად ზუზუნებს...
სევდით სისინებს...
და ჩამოწოლილ სევდით სავსე გულის ნაფლეთებს სერავს, ღარავს.
არ სჩანს სინათლე... წყვდიადს შეუკრავს არე-მარე...
მძაგს სიცოცხლე...
ამ განცდის წამს სჯობს საფლავი...
მაგრამ შენ გეძებ, ჩემო სიცოცხლე!..
და სანამ ვერ ვნახავ ჩემს იდეალს, შორს ჩემგან, სამარის კარო!..
სადა ხარ, სატრფო! იქმნებ სხვებთან ერთად შენც ჩაგულაბა ღამის წყვდიადმა!..

* * *

აჩრდილს აჩრდილი მისდევს...
სახეს ვერ ვარჩევ... მიდიან სადღაც, მწკვრივ-მწკვრივათ...
ეფარებიან ღამის წყვდიადს...
ვინ არიან?..
სად იკაფავენ ღამის წყვდიადში ეკლიან გზას?
სად მიდიან, სად იკარგებიან?..
ქარი ზუზუნებს... ქარი სისინებს...
აჩრდილი აჩრდილს მისდევს ფეხდაფეხ...
წინ... ბრძოლისკენ!.. წყვდიადთან ბრძოლისკენ!..

და თქვენ გთხოვთ, მებრძოლთა რაზმები, მიპოვოთ სატრფო..,

ღამის წყვდიადს ტყვეთ ჰყავს ის... ჯოჯოხეთის ცხრაკლიტულში ჩაუმწყვდევიათ იდეალი...

* *
*

რამდენი მსხვერპლი, რამდენი ძეგლი მძიმეთ აწევს დაფლეთილ გულს!..

რამდენი მეგობარი მისვენია გულის ფიცარზე!..

უკვდავი იყოს თქვენი სახელი!..

ცრემლით ვბან თქვენს უკვდავ სახელს...

გულში აღმართულ ხელთუქმნელ ძეგლს ვეალერსები...

და მწამს, მწამს გულის სიღრმემდე, რომ ამ მსხვერპლთა წმიდა საფლავზე აღმოცენდება ხე მშვენიერების, ფრთებს გაშლის ჩემი სატრფო და მოევლინება ტანჯულ ქვეყანას ბედნიერებათ.

* *
*

მაშინ გაქრება ღამის წყვდიადი... ქარი ჩადგება.

მზე ამოანათებს... ათას სხივებით იკასკასებს ცის ტატნობზე... მშვენიერი, ლაღი, კდემამოსილი...

ველ-მინდორი ვარდ-ყვავილით შეიმკობა...

ტანჯული ერი იპოვის შვებას.

თვით სიცოცხლე იქმნება მშვენიერება...

და ეს გული, დღეს დაფლეთილი, სევდით და ბოლმით ამბოხებული, გამიმრთელდება, იმედით იწყებს ცემას, სიამით დატკბება, და სიცოცხლე, დღეს მწარე, განაწამები, მზის სხივებთან ერთად აკისკასდება ლამაზ წალკოტში.

ლეო ქიაჩელი.

იშვიათი შემთხვევა.

ერთ ნაცნობ ოჯახში ვახშამზე შემთხვევა მომეცა გავცნობოდი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზდა პოლიტიკურ მოღვაწეთაგანს. როგორც მასპინძლებზე, ისე სტუმრებზედაც პატივცემულმა გვამმა ფრიად კარგი შთამბეჭდილება დასტოვა. რა მოსახსენებელია, რომ ახალგაზდა პოლიტიკოსი განსაკუთრებით იპყრობდა ქალების ყურადღებას და იტაცებდა მათი ფარულ ცეცხლით აგზნებული თვალების სხივებს. საპატიო სტუმარიც გრძნობდა, თუ რა მომჯადოებელი იყო მისი პიროვნება და ამიტომაც უნებლიედ მგალობელი ხმით საუბრობდა, რომლის მთავარი კილო უცილებლად სერიოზული იყო და საამოდ ბოხი, ხოლო დანარჩენი კილო ზოგი ზომიერად დამცინავი, ზოგი ზომიერად შემწყალებელი და ზოგიც ზომიერად გამკიცხავი...

პირადათ მე აღტაცებული ვიყავი მისი თავდაჭერილობით. განსაკუთრებით აღმიტაცა იმ გარემოებამ, რომ თითეულ იქ მყოფისათვის შესაფერი სიტყვა ჰქონდა და აგრეთვე სახის გამომეტყველება,—ცალკედ მოხუცთათვის, ცალკედ ვაჟთათვის და ცალკედ ქალებისათვის!

სიამოვნებით მაფიქრებინა კიდეცა, თუ რა ხანგრძლივსა და მაღალს კულტურას უნდა გამოეშალაშინებინა ასეთის ღირსების პიროვნება.—ჭეშმარიტად, მართალნი არიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სანამ დღევანდელი სახის კაცობრიობა დაიწყებდა ისტორიულ ცხოვრებას, ქართველობას ჰქონდა შექმნილი უმაღლესი კულტურა, აშენებული ათასწლოვან ისტორიის საძირკველზე!—ძალაუნებურად სიამაყისა და ამპარტავანობის ფრთა შემესხა და ვიგრძენი, რომ კარგა მაღლა ავიწიე!

განსაკუთრებით მასიამოვნა იმ გარემოებამ, რომ ნავახშმევს, როცა სასტუმრო ოთახში გაველით, სახელმწიფო მოღვაწე მომიახლოვდა და მშვინიერი ღიმილით მითხრა:—დამერწმუნეთ, რომ მე თქვენ კარგად გიცნობთ... შორიდან!.. პირადათ გაცნობა კი დიდად მსიამოვნობს... იშვიათად მომეწონება ხოლმე ბელეტრისტიული ნაწარმოები... უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნაკლებად ვკითხულობ

საზოგადოდ ბელეტრისტიკას... ვერ შეეჩვიე... ჰმ... მაგრამ თქვენი მოთხრობები... ზოგიერთი რასაკვირველია... სიამოვნებით წამიკითხავს!..

— ბედნიერი ვარ... მაგრამ.. იმდენს რას გასიამოვნებდათ, რამდენსაც დროს წაგართმევდათ..

— რატომ, რატომ? ხან-და-ხან ასეთი გართობაც საჭიროა! მერწმუნეთ! რასაკვირველია მოპასპნი არა ხართ, მაგრამ მაინც... ჰმ.. მწერალი ხართ!..

აქ ოდნავ წაჰორძიკდა მოღვაწე და შემდეკ, თითქო კილო გაისწორაო, უცაბედად მკითხა:

— მითხარით ერთი, მოპასანს კარგად იცნობთ?!

— როგორ მოგახსენოთ... წამიკითხავს!..

— დარწმუნებული ვარ.. ჰმ...—აქ ჩაახველა და სახეს შესაჩინევად ცბიერი გამომეტყველება მისცა.—რა საღცხოვო სიუჟეტები აქვს... ა?.. პირდაპირ საოცარია!.. დიახ... ჩემის აზრით... (ერთი თვალი დახუჭა ამ სიტყვაზე) ჩვენს შორის დარჩეს და... დიდად გარყვნილი პიროვნება უნდა ყოფილიყო მოპასანი!.. თქვენ როგორ ფიქრობთ?—

— მე კი მგონია, რომ...

— არა, ჩვენებური მაშტაბით რო ვსთქვათ!—გამოიცვალა სახე და სერიოზულად განაგრძო.—ჩვენი ზნეობა, რაც უნდა იყოს, სხვაა ჯერ კიდე და საფრანგეთის კიდე სხვა!.. ისე კი მოპასანი მე დიდ მწერლად მიმაჩნია! უთუოდ მომწონს..

— უეჭველად მოსაწონია... რაც შეეხება მის ზნეობას.. რამდენადაც ცნობილია, მოპასანი ფრიად პატიოსანი..

— ეჭვი არა მაქვს... არა, მე ისე ვსთქვი... სიუჟეტების მიხედვით!.. მართალი გითხრათ, მოხარული ვიქნებოდი, რომ საქართველოსაც გაუჩნდებოდეს მისი მოპასანი!.. თქვენ ხანდახან კი გეხერხებათ მისებური... ასე ვსთქვათ... მაგრამ.. მაინც მოპასანის ყაიდა ჩვენმა მწერლობამ არ იცის... ჰეე... ახალგაზრდობისას მეც მიცდია კალამი... მაგრამ... სამწუხაროდ ჩვენი ცხოვრება სხვანაირად არის მოწყობილი...

ჩუმად ამოიოხრა ამ სიტყვით ჩემმა მოსაუბრემ და ნაღვლიანი თვალებით შემომხედა. მერე უცებ, ოდნავ შეწითლებით და მორცხვად:

— გინდათ, მოგცეთ მშვენიერი სიუჟეტი მოთხრობისათვის!?

— მადლობელი ვიქნები... მაგრამ მგონია თქვენ უკეთესად გამოიყენებდით...

— არ მცალია, კაცო!—ფამილიარულად მომიჭრა სიტყვა.—არა... უთუოდ მოგცემთ!.. ჰახ... ნეტავი, მოპასანი იყოს ცოცხალი!.. იცით, რა შედეგს შე-

ქმნიდა ამ სიუჟეტისაგან?.. სცადეთ ყოველ შემთხვევაში... მგონია... თქვენც მოერევით!..—

ალბად საზოგადოებას შეშურდა, რომ ჩვენი მოღვაწის ყურადღება ამდენი ხნით შევიპყარ, მოგვიახლოვდნენ, შეგვაწყვეტინეს საუბარი...

— შემდეგისათვის იყოს, მეგობარო!.. შემდეგისათვის. გირჩევთ. შემთხვევა არ დაკარგოთ, იცოდეთ!—მითხრა უკანასკნელად და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა.

გვიან იყო, როცა დავიშალენით. ჩვენს საპატიო სტუმარს ავტომობილი უცდიდა. ჩვენ ერთად მოგვიხდა სახლიდან გამოსვლა.

— იცით, რა აზრი მომივიდა?.. მე და თქვენ ამ ღამეს ავტომობილით გავისეირნებთ!.. მოთხრობის სიუჟეტსაც გადმოგცემთ და სუფთა ჰაერსაც ჩაგაყნოსვინებთ! მშვენიერი აზრია!..—შემთავაზა სტუმარმა და ხელი ხელში გამიყარა. რა მეთქმოდა წინააღმდეგ? ჩავსხედით ავტომობილში.

— ერთი გაგვასეირნე, ჩემო კარგო! ნელა წადი და სწორ ქუჩებით...— უბრძანა შოფერს.

სულ მცირე ხნის შემდეგ ყურში ჩამესმოდა საამო ხმა ჩემი ნიჭიერი თანამგზავრისა.

....—ეს იყო 1906-ში. იცით ალბად, რომ 1905 ერთობას რისხვა დასცა 1906-ის რეაქციამ. მე ახალგაზდა სტუდენტი ვიყავი და როგორც მონაწილე რევოლიუციონური მოძრაობისა იძულებული გავხდი თავი მთებსა და ტყეში შემეფარებინა. სანამ დამსჯელი რაზმები აწიოკებდნენ სოფლებს, ჰკლავდნენ და სწვავდნენ, რა თქმა უნდა, ერთად ერთი ბინა ჩემისთანა ხალხისა იყო ტყე!.. ბევრი წვალება გამომივლია... თავის დროზე ვერ მოვასწარი შორს წასვლა. იმავე რაიონში მოვემწყვდიე, სადაც ცხრაას ხუთში მე ვმუშაობდი, და ამ გარემოებამ სახიფათო მდგომარეობაში ჩამაგდო! რამდენსამე თვეს ჩემთვის მოსვენება არ იყო... ღამე ძილი და დღე საჭმელ-სასმელი არა მქონდა... სანამ არ დანელდა რეაქცია... სანამ არ გაძლა კარგად ეს მხეცი, ფიქრიც არ შეიძლებოდა სხვანაირ ცხოვრებაზე. ხოლო როდესაც ჩადგა რეაქციის ქარი, მეც ნაცნობ-ნათესავებს თუ მეგობრებს და ამხანაგებს მივაშურე და ერთგვარად შევიმსუბუქე ცხოვრება. რა თქმა უნდა ფრთხილად ვიყავი მაინც. დღე გარედ არ გამვიდოდი, არავის ვეჩვენებოდი. ნათესავთა და მეგობრების პატივისცემამ მალე გამოიღო ნამყოფი და სულ ცოტა ხანში გამოვკეთდი, რაც ტყესა და მთებში ხეტიალში დამაკლდა, კვლავ შევიძინე.

ასე რო ვიყავ და უკვე სოფლიდან გასვლას ვფიქრობდი, სიყრმის ერთ-ერთ მეგობრის წერილი მივიღე, რომლითაც იგი მთხოვდა ვწვეოდი მასაც და რამდენიმე დღე მის სახლში გამეტარებინა. მპირდებოდა უფროველ მფარველობას და სრულს გარანტიას იძლეოდა, რომ არა დამიშავდებოდა რა.

მე სიამოვნებით გადავწყვიტე მეგობარს ვსტუმრებოდი, მით უმეტეს, რომ დიდი ხანი იყო არ მენახა. ესეც არ იყოს, ახალი ცოლშერთული იყო და მოვალე ვიყავ მიმელოცნა... იმავე საღამოს შევჯექ ცხენზე და დავადექი გზას მეგობრისკენ.

დიდად გაუხარდა სიყრმის მეგობარს ჩემი ნახვა. დამასწრო და მომილოცა მშვიდობით გადარჩენა.

— ღმერთი კვლავაც არას გაგიჭირვებსო!—

მეც მიულოცე ცოლის შერთვა, ახალი ცხოვრების დაწყება და სხვა ასეთი, რაც ასეთ შემთხვევას შეეფერება.

— აი, სოფელმა რა იცის: შენც ჩემსავით ჩოხა-ახალუხი, ჩემსავით წვერი... ცხენუნაგირი და რევოლვერ-ხანჯალი!.. ახლა კვლავ სწორები ვართ და მეგობრები!.. წიგნმა მაინც ვერ დაგვაშორა და ვერა!—ხუმრობით ამბობდა ჩემი მეგობარი.

სახლში რო შევედით, ცოლი შემოგვეგება კარზე. ამასაც მიულოცე, რასაკვირველია, და ხელზე ვაკოცე. მეგობრის ცოლი, შუატანის ქალი იყო, ოცი წლისა თუ იქნებოდა, თეთრი და შავთვალწარბა. ულაჩო სტუმრის დანახვაზე ლოყები შეწითლებოდა და თვალებში ცნობისმოყვარეობის ალმაცერი სხივები ჩაეყენებია.— ლამპის სინათლეზე იმდენად ლამაზი არ მომეჩვენა, რამდენადაც მოხდენილი და კოხტა.—მესიამოვნა, რომ ჩემს მეგობარს ასეთი ქალი შეეყოლა. ეს ჩემი სიამოვნება განუცხადე კიდეცა ცოლქმარს.—

ალბად მომელოდნენ, რომ ჩემდა საპატივისცემოდ ყველაფერი მზად ჰქონდათ.—რამდენსამე წუთში გაიშალა სუფრა და მშვენიერი დიასახლისის უხვმა ხელმა ნაირ-ნაირ საჭმელითა და სასმელით მორთო იგი.

დიდ ხანს შევექცეოდით საუზმეს, რასაც ვახშამი მოჰყვა.

გავაბით საუბარი. სიყრმის დროინდელ მოგონებებს დასასრული არა ჰქონდა. ჩემი მეგობარი ჩემთან სწავლობდა გიმნაზიაში. მოსაგონებელი ბევრი გვქონდა. ღვინომაც შეგვიწყო ხელი და გაიმართა ნამდვილი ჯიბრი ნეტარი ცხოვრების სურათების გაცოცხლებისა და ეპიზოდების მოგონების. დიასახლისი ყურს გვიგდებდა დაუღალავად. განსაკუთრებული ინტერესით ისმენდა ქმრის მოთხრობებს... აღელდებოდა ხოლმე, როცა ქმარს სიტყვა შეეშლებოდა ან მოხდენილად

ვერ გადმოგვცემდა აზრს.—სჩანდა, ახალგაზდა ცოლს მთელის არსებით უყვარდა ჩემი მეგობარი.

შემშურდა ეს მყუდრო ოჯახური ბედნიერება. რა მშვიდი, უწყინარი და უზრუნველყოფილი ცხოვრება მოეწყო მეგობარს! მეგონა კი, რადგანაც სწავლას თავი მიანება, ისეთივე ბედი ეწვევოდა, როგორიც საზოგადოდ სჩვეოდა ჩვენი თავად-აზნაურობის ოჯახის შკილებს:—გიმნაზიის ოთხი კლასი და შემდეგ —ჩოხა, ხმალი, ნარდი, ღვინო და... დასასრულ ციხე ან აფერისტის ცხოვრება!

ნავახშმევს უხვმა მასპინძელმა მთხოვა ახლო ხან წასვლაზე არ მეფიქრა. დამპირდა ბევრი სიამოვნება, პატივისცემა.

— აქ არავინ გიცნობს!.. კიდეც რომ გიცნოს ვინმემ, არავინ გიღალატებს!.. მშვიდად იყავ!.. ვინადიროთ, ვითევზაოთ... მართლა, იშვიათი კალმახი იცის ჩვენმა მდინარემ... ამის გამო მეც შესანიშნავი მებადური შევიქმენ!.. აი, ხვალვე გაგიმასპინძლდები კალმახით... არ მოგწყინდეს, ნუ გეშინია! გაზეთებსაც გიშოვნი და წიგნებსაც!..

მადლობა გადაუხადე ასეთი ყურადღებისათვის მეგობარს. სანამ ამას მელაპარაკებოდა, მისი ცოლი ლოგინს გვიწყობდა და ამის თავდარიგს აძლევდა მოსამსახურეს.

ჩემთვის ლოგინი პაწია სასტუმრო ოთახში გაეწყოთ, რომელშიაც მიმიპატიჟა დასახლისმა.

— თუ რამე დაგჭირდებათ, უბრძანეთ მოსამსახურეს, ჩემო ბატონო. ყველაფერს მოგართმევთ!—თავაზიანად მითხრა, მისურვა ღამენებისა და წავიდა.

— არაფრის მოგერიდოს, მეგობარო! ამ პატარა ოთახში კი დაგცხება, მგონია, მაგრამ ფანჯარას მაინც არ გავიღებ...—მითხრა მასპინძელმა—რა ვიცი, გაცივდე!.. ყოველშემთხვევისათვის იცოდე, რომ მე ზალაში ვწვები... და კარს გამოღებულს ვსტოვებ!.. მაშ, ასე!.. ღამენებისა!..

გამოვეშვიდობე მასპინძელსაც და მალე სუფთად და ფაქიზად გაწყობილ ლოგინს მივეცი თავი.—რა თქმა უნდა, თავის ბალიშზე დადება და დაძინება ერთი იქნებოდა!

არ ვიცი, რა დრო იქნებოდა, რომ გამომეღვიძა. ზალის გამოღებული კარით. მჭრთალი სინათლე შემოდიოდა.

ჰაერი დახურული იყო ჩემს პატარა ოთახში.

ავდექი.

რაკი აივანზე სასტუმრო ოთახს კარი არა ჰქონდა, ფეხაკრეფით ზალაში შეველ და იქიდან აივანის კარს მივაშურე.—კარი გაღებული აღმოჩნდა.

რიჟრაჟი იწყებოდა. გამქვირვალე ნისლი დასწოლოდა ჩემი მეგობრის ეზოს.—მთელი გულმკერდით ამოვითქვი სული.

მოულოდნელად შევნიშნე, რომ ვიღაცამ ჭიშკარი გაღო. კაცის მჭრთალ ლანდს მოვკარი თვალი. დავაკვირდი კარგა.—ჩემს მეგობარს ბადე ვადაეგდო მხარზე და აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა.

— სათევზოდ მიდის ალბად!.. ყოჩაღ... ყოჩაღ!—ჩავილაპარაკე.—მონადირე და მებადური ასეთს დილას მართლაც არ დაჰკარგავს მეთქი!

მცირე ხანს დავრჩი აივანზე. ფრთხილად, ფეხ-აკრეფით შევბრუნდი სახლში. ზალაში ჩემი მეგობრის გაწყობილი ლოგინი დავინახე. აზრი მომივიდა მესარგებლა მით, რადგანაც ჩემი პაწია გალიასებური ოთახის დახშული ჰაერი, ვიცოდი, არ დამაძინებდა. ცოტა შევყოყმანდი, მაგრამ მაინც მივბრუნდი და მასპინძლის საბანს ქვეშ მოვექეცი.

დილის ტკბილი ძილის წინ საამო თვლემა დამაწყებინებია. ისიც იყო დამიპყრო ძილმა, რომ უცებ გაიღო ზალის უკანა კარი და ყურში ჩამესმა დამხასიათებელი წკაპი-წკუპი შიშველი ფეხისა. გავახილე თვალი.—ელდა მეცა: ზალაში თმა-გაშლილი პერანგისამარა ქალი დადიოდა.

შემეშინდა.

მოჩვენება მეგონა. მაგრამ როგორც ნავი მისრიალდა ქალი ჩემი ოთახის კართან. გაყუჩებით მიაყურა და შემდეგ ფრთხილად მიხურა გამოღებული კარი. კვლავ მიაყურა... გაყუჩდა... და...

უცებ გამალებული, აკრეფილი წვრილი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ. სანამ რასმე მოვიაზრებდი, ასწია საბნის წვერი და ლოგინში შემოფრთხიალდა.

თავში გამიელვა: უთუოდ ცოლი ქმართან მოვიდა-მეთქი.

ძილი მოვიგონე... თვალები დავხუჭე... თავი მოვიმკვდარუნე.

მაგრამ არ შემომხედა, ალბად ვერ მიცნო... და... ცეცხლის ალად შემომერტყა ტანს!...

ნაკვერცხალი დამაყარა ტუჩებზე... ნაღვერდლის თმაში გამხვია!

დავიწვი ერთიანად.—გონება დავკარგე.

გაიშალნენ ჩემი ხელები და მძლავრად შეეკვრნენ ქალისას...

უცებ იკივლა ქალმა. მკრა ხელი და თავგანწირულად შეჰქანდა, რათა გამსხლტომოდა, მაგრამ ჩემი ხელების ჯაჭვის რგოლის გარღვევა ვერ შესძლო!..

გვიან მიცნო...“

ავტომობილი ვერის აღმართზე ამოდიოდა. მოთხრობის ავტორი სდუმდა.

— იშვიათი შემთხვევაა!—დავარღვიე მე მისი დუმილი.

— სწორედ, რომ იშვიათია!... საკვირველი ის არის, რომ განთიადის ბუ-რუსთან ერთად გაჰქრა იგი... და მე და ჩემი მასპინძელი ქალი ისე ვეპყრობო-დით ერთმანეთს, როგორც წინა საღამოს ჩემი სტუმრობისას... თითქო არაფე-რიც ყოფილიყოს... ასე იყო ალბად საჭირო!..

რა თქმა უნდა, მე ვერ დავრჩებოდი იმ ოჯახში და იმავე დღეს, როგორც შესაღამდა, მიუხედავად მასპინძლის თხოვნა-ვედრებისა, შევჯექ ცხენზე და სხვა-გან გავეშურე...

— ა?.. როგორ ფიქრობთ?.. არ გამოგადგებათ მოთხრობისათვის?..—დაამ-თავრა მოულოდნელი შეკითხვით ჩემმა თანამოგზავრმა.

— სამწუხაროდ,—მიუგე—მე ვერ შევძლებ მის აწერას... მგონია კი, რომ თქვენზე უკეთესად ვერავინ გამოიყენებს მას მოთხრობის სიუჟეტად!

— გეთანხმებით... გეთანხმებით!.. მაგრამ... ჰე... რას იტყვიან?.. ჩემისთანა ხალხს არ შეეფერება... ხომ იცით... ჩემი პოლიტიკური კარიერის ხასიათი...

პრიცივ

ᲘᲕ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ.

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲠᲣᲮᲐᲫᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

(ცხოვრების უკუნვიდები)

ᲘᲕᲔᲚᲡ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲩᲔᲛᲘ
ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲠᲐᲜᲘ.

ᲒᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

პოეზიისა და მისი მნიშვნელობის შესახებ სხვა და სხვა აზრი არსებობდა, არსებობს დღესაც; მაგრამ თვითონ ცხოვრება ყველაზედ უკეთა სწყვეტავს ამ საკითხს.

არის ისეთი ხანა ერის ცხოვრებაში, როდესაც ყოველისფერი—თვითონ პოეზიაც—უნდა ემსახურებოდეს მომენტის ბრძანებას; და ვერავინ იტყვის, რომ ეს სამსახური იყოს სათაკილო ხელოვნებისათვის.

როდესაც ქართველი ერი მონობის მძიმე ბორკილებს ატარებდა, პოეზიის მოვალეობა იყო, ხალხის გამოფხიზლება, ხალხის სულიერათ ამაღლება, ხალხის შეკავშირება განთავისუფლების იდეის გარშემო თავის მიზნათ დაესახა.

ჩვენი პოეზია ასეც მოიქცა და მან ღირსეულათ შეასრულა თავისი მოვალეობა.

მაშინ როდესაც აკაკის ბუკი და ნაღარა გმირებს დაეძებდა და უყიოდა, გმირებს ჩვენში დემოკრატია ამზადებდა, მაგრამ დემოკრატია ჯერ კიდევ სუსტი იყო და აკაკის ტრაღიზმიც სწორეთ ამაში მდგომარეობდა: მისწრაფებით ის იყო დემოკრატი და ცხოვრებამ კი ჩაბა თავადაზნაურული ინტელიგენციის ფერხულში.

ილიამ ადრე გამოაცხადა: მას ნუღარ ვსტირით, რაც დაკარგულა, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხსო და ეს მომავალი მას ეხატებოდა შრომის სუფევის დამკვიდრებაში.

ილიასაც მოელოდა ისეთი ტრაღიზმი, როგორშიაც აკაკი იმყოფებოდა ბოლომდე, მაგრამ ილია უფრო პრაქტიკული ნიჭი იყო და ადრე დააღწია თავი ამ

მდგომარეობას თავის რწმენასთან კომპრომისით: მან გამოუცხადა ბრძოლა იმ წრეს, რომელშიაც თვითონ მოქმედებდა, რომელსაც ეკუთვნოდა და ბოლოს დაათავა ამ წრესთან შერიგებით.

აკაკიმ თავიდანვე განაცხადა:

თავ-განწირული პირდაპირ შევეჭიდები ქვეყანას, და რაც უნდა დამემართოს, არ გავიღუნვი და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსო.

ის მართლაც ასე მოიქცა: მთელი თავისი აზროვნებით აკაკი იყო დემოკრატი და უყიოდა გმირებს, რომლებიც დემოკრატიის წრიდან უნდა გამოსულიყვნენ.

როდესაც ჩვენმა დემოკრატიამ ცოტა ფეხი მოიმაგრა, მან სცადა პოეზიაშიაც გამოეყო თავისი ჰანგი და დემოკრატიის წრიდან იწყეს გამოსვლა ახალგაზრდა პოეტებმა.

ერთი პირველთაგანი იყო ვარლამ რუხაძე.

თუ თავადაზნაურული ინტელიგენცია და მისი პოეტების ერთი ნაწილი წარსულის მოგონებით და გაზვიადებით ინუგეშებდა გულს, დემოკრატიამ სრულებით უარჰყო ეს გზა უნაყოფო ოცნებისა—გზა რომანტიზმისა და მიზნათ დაისახა შეკავშირება და ბრძოლა არსებულის გარდასაქმნელათ და უკეთესი მომავლის მოსაპოვებლათ.

მიზანი გარკვეული, საშუალებაც გარკვეული.

როგორც ყველგან ისე ჩვენშიაც დემოკრატიის საგანი სინამდვილე იყო. ამიტომ შეიყვარა მან რეალიზმი.

რეალიზმი არ ახასიათებს მარტო დემოკრატიას, ის თვისებაა ყოველი კლასისა, რომელიც კი ახალგაზრდობისა და ბრძოლის ხანას განიცდის.

სანამ ევროპის ბურჟუაზია იყო მებრძოლი, სანამ ის ანგრევდა ძველს ახალს დასამყარებლათ, მას სწორეთ სინამდვილე, რეალიზმი უყვარდა და ეს რეალიზმი მან უკიდურესობამდე მიიყვანა, სრულებით გააშიშვლა.

ხოლო როდესაც ევროპის ბურჟუაზია გაბატონდა და შავი აჩრდილი დამარცხებისა წამოიჭრა მის თავლწინ, მას შეეშინდა სინამდვილისა და დაიბნა: ხან რომანტიზმს წაეპოტინა, ხან სიმბოლიზმს.

ევროპის ბურჟუაზია მართალი იყო ამ დღიდან და მართალი იქნება, სანამ საბოლოოთ არ დამარცხდება: ის ყოველისფერს მიიღებს, რაც კი სინამდვილის მწარე დასკვნას დაავიწყებიებს.

ის რაც ბურჟუაზიისათვის მწარე დასკვნაა, დემოკრატიისათვის მეტათ ტკბილია.

ამიტომ მებრძოლი დემოკრატია ყოველივეს უარჰყოფს, გარდა სინამდვილისა. ბრძოლა უკეთესი სინამდვილის შესაქმნელათ,—აი დემოკრატიის მიზანი.

ასეთი იყო და არის მიზანი დემოკრატიის წრიდან გამოსული მგოსნისა— ვარლამ რუხაძის.

თავისი პოეზიის ერთი მხარე თკითონ ვარლამმა აღნიშნა ერთ ლექსში:

ნაღვლით სავსე, გრძნობით თქმული.

ვარლამის პოეზიაში თუ ნაღველი არის, გრძნობა უფრო მეტია და მისი ლირიკის ერთ დიდ ღირსებას სწორეთ ეს შეადგენს.

როდესაც პოეტის აზროვნებაში ერთი რომელიმე აზრია განსაკუთრებით გაბატონებული, ის ერთფეროვანია.

დიდი ნიჭია საჭირო, რომ ასეთმა პოეტმა თავი გაინთავისუფლოს, თავი დააღწიოს ამ ნაკლს, რადგანაც ყოველგვარი ერთფეროვნობა პოეზიაში ნაკლია, თუნდაც ეს ფერი მეტათ ლამაზი იყოს.

დემოკრატიის წრიდან გამოსულ მწერლებს ასეთი ერთფეროვნობა ყველას ეტყობა.

საკმაოთ ეტყობოდა ის ვარლამ რუხაძესაც იმის პირველ წიგნში.

ამ მხრით იყო მისი მესამე წიგნი საყურადღებო: რას იტყოდა პოეტი, გაიმეორებდა ისევ ძველ ჰანგებს, თუ ახალს რასმე მოგვცემდა.

პირველ შემთხვევაში აშკარა იქნებოდა, რომ პოეტის ნიჭი დასრულდა და მეტის მოცემა აღარ შეუძლია.

მეორე შემთხვევაში უფლებას მოგვცემდა გვეთქვა: პოეტის ნიჭი ჯერ ვითარდება და წინ მიდისო.

ვარლამს აქვს უკანასკნელ წიგნში განმეორება ძველი ჰანგებისა, მაგრამ აქვს ბევრი ახალიც და საერთოთ როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ დიდი წინმსვლელობა ეტყობა.

პოეზიას საში რამ ახასიათებს: ფორმა, მუსიკა და აზრი.

იყო დრო, როდესაც დემოკრატიის წრის პოეტები უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ უკანასკნელს, ფორმასა და მუსიკას ნაკლებს ან ხშირათ არავითარს.

პოეზია არ არის იქ, სადაც არ არის განსახიერებული მშვენიერება ფორმასა და მუსიკაში.

ვარლამ რუხაძეს სწორეთ ამ მხარისათვის მიუქცევია ყურადღება და ამ მხრივ საუცხოვო ნიმუშებია იმის ახალ წიგნში: აიღეთ „ბარათი“, „სიმღერები“, „ამონაკვნესი“, „დამწვარი სული“, „მზეთა მზე“ და სხვ.

შინაარსის მხრივ პოეტის ახალი წიგნი მდიდარია და ბრძოლის კიჟინასთან ერთად თქვენ აქ ნახავთ საუცხოვო სურათებს პირადი განცდისას, საზოგადო ჰანგებისას, მარადიული კითხვებისა და ბუნების საუცხოვო სურათებისას.

უტყუარ თვისებას ყოველი პოეტისას ბუნების გრძნობა შეადგენს:

პოეტი უნდა გრძნობდეს ბუნებას და სხვებსაც უნდა აგრძნობინებდეს მას.

„მგოსანი და მზე“-ში პოეტს აქვს იშვიათი სურათი ცისკრისა. თქვენს წინაშე სიტყვები კი არ არის, თქვენ ნათლათ ხედავთ ტილოზე საუცხოო ფერადებით საუცხოოთ დახატულ სურათს, რომელიც ასლი არ არის სინამდვილისა, მაგრამ სინამდვილესავით წარმტაცი და მომხიბლავია.

ამგვარსავე დიდ სურათს ბუნებისას გვაძლევს პოეტი „ოცნების ფერიას“-ში.

პოეტის სურათები ბუნებისა ცივი, გაყინული კი არ არის,—ეს ცოცხალი სურათებია, სიყვარულით გამთბარი და ამოძრავებული: ვარლამ რუხაძე მართლაც ბუნების მოტრფიალეა, როგორც ჩვენი დიდი ვაჟა.

ჰოი ბუნებავ! ყურს გიგდებ მალვით,
მსურს შევისწავლო შენი გალობა,
და ჩემ ლექსებში ავქარგო კრძალვით
შენი მხიბლავი იდუმალობა.

ეს მიზანი პოეტს საუცხოოთა აქვს შესრულებული.

თუ პოეტის აღმაფრენა უმთავრესათ ცხოვრების ჭიდილშია ჩამბული, მაგრამ მის სულს ფრთას შემოჰკრავენ ხოლმე ზოგჯერ და ატოკებენ ის კითხვები, რაც ბარათაშვილს აღელვებდა და სულის სიმშვიდეს უკარგავდა.

მსურს გადვიხედო ცას იქით,
შავ ნისლს რომ დაუბურია:
ვინ იმყოფება? რა ძალა?
კარი რათ დაუხურია?

ბარათაშვილის წყურვილს ცის საიდუმლოების ფარდის ახდა შეადგენდა:

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება.
გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაარსთ სამყოფს, რომ დასთმოს აქ ამაოება.

ეს სადგური ბარათაშვილმა ვერ იპოვა, ისე როგორც ყველა იმისმა მძებნელმა.

თუ ჩვენს პოეტს ცა იზიდავს, ამ კითხვასთან ბუნებრივათ არის ადამიანის დანიშნულება, მისი მიზანი და სწორეთ ამ საკითხს უტრიალებს მგოსნის მაძიებელი სული.

ათასგვარი საკითხები წინ მიდგება აუხსნელი:
ვინ ვართ? რა ვართ? სიდან მოვალთ?
სად მიგვიძღვის შარა გძელი?
ან სიცოცხლეს რა ჰქმნის? რა შლის? სად ანთია მისი კერა?
ან რა არის თვით ცხოვრება? ან ტანჯვა ვინ გამოკვერა?

პოეტის სული თუ მოუსვენარია, მებრძოლი, ის ამავე დროს მაძიებელიც არის, მარადიული კითხვები ყოფნა არ ყოფნისა მას თავისკენ ეზიდება და დაუსრულებელ ძიებას პოეტი მიჰყავს ერთგვარ სასოწარკვეთილებამდე.

სიცოცხლე მოკლე, სურვილი—დიდი,
ვაჰმე, ვით გავდო მათ შორის ხიდი!

ასეთი კითხვების ბრქყალებიდან ბარათაშვილმა ერთი გამოსავალი ნახა:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემზგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს-კი არა რა არგოს!

ამგვარივე საკითხები ხშირათ აღელვებდენ ვაჟას და ის სასოწარკვეთილებით წამოიძახებდა:

ერთია, თუნდა ჩვენ ვიყვნეთ
და თუნდა მინდვრის თაგვებიო,

მაგრამ მან გამოსავალი ჰპოვა სამშობლოს დაცვასა და სამსახურში:

დადამ მისთვის გვშობა, რომ სამშობლოს ვენაცვალოთ და მტერს არ გავათელვინოთო.

ვარლამ რუხაძე გადაუწყვეტელ კითხვებს თავს აღწევს და ჰპოებს გამოსავალს დემოკრატიის ბრძოლაში, მისი პოეზიაც ამ ბრძოლისა და გამარჯვების სიმღერაა.

ვარლამი დიდი რევოლიუციის წინამორბედია, მისი მახარობელი.

სულ ვერ ზიდავს მიწა ბოროტების საბანს;
აფეთქდება, ტანჯვის ცრემლებს ცეცხლით გაბანს!

აფეთქდა მართლაც და ამ აფეთქების მოტრფიალე იყო ვარლამი, აქეთ მოუწოდებდა მუდამ მისი ხმა-ტკბილი მუზა მშრომელ ხალხს.

შენ ხომ ქარიშხლის მოციქული ხარ,
თავისუფლების მღერალი გედი?—

მთელი პოეზია ვარლამისა თავისუფლების მღერაა.

ვისაც თავისუფლება უყვარს, მას ბრძოლაც უნდა უყვარდეს და ამ გზაზე არავითარი მსხვერპლი არ უნდა აშინებდეს მას.

ვარლამის მუზა ბრძოლის ცეცხლს აფრქვევდა და ამ ბრძოლის ცეცხლში მას შეჰქონდა, ნაზი, ტკბილი, მოალერსე გრძნობანი.

პოეტმა ბრძოლა იმდენათ შეიყვარა, რომ ის თითქმის მიზნათ დაისახა.

მხოლოდ ორი რამ
ყოფილა ყოფნის სიმბოლო:
პირველი—მუდამ ეძიო,
მეორე—მუდამ იბრძოლო!

და მართლაც ვარლამი მუდამ ბრძოლის ველისაკენ ეძახდა გმირებს და ჩვენი მებრძოლი დემოკრატიის დარაზმაში, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებაში მან უსათუოთ შეიტანა თავისი წვლილი.

ვარლამმა კარგათ იცის, რომ გამარჯვებისათვის მარტო ბრძოლა არა კმარა, საჭიროა განვითარება, გათვითცნობიერება და ვარლამი სწორეთ აქეთკენ მოუწოდებდა მუდამ თავის ლაშქარს.

ვარლამის წრე, მისი სატრფიალო გარემო ჩაგრულთა კერაა.

ჩაგრულთ კერასთან ჩემი სიმღერა
კვლავ იგუგუნებს, ნუგეშის მცემი.

ვარლამი თუ ცეცხლის სიტყვებით თხზავს ბრძოლის გალობას, მხოლოდ ამ ჩაგრულთა აღსადგენათ და სამართლიანი წყობილების დასამყარებლათ. ამისათვის ბრძოლა და შეგნება ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდენ მისი რწმენით.

წინსვლა, შეგნება, განვითარება,
ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის.

ვარლამის ბრძოლის სიმღერაში ცეცხლის ალს ხშირათ სევდის ჰანგი ურევია, მაგრამ ამ სევდაშიც ვარლამი ტკბილია, მომხიბლავი.

ხანდახან იმის სევდაში თითქოს საპირადოც ურევია.

სად მგოსანი, სად ვაჭარი!
მათ საერთო რა აქვთ ნეტა?!.
ფუი იმას, ჩემი ბედი
ფულის ყუთში ვინც ჩაკეტა!

მაგრამ ეს საპირადოც მხოლოდ საზოგადო ნიადაგზეა აღმოცენებული: მას უნდა მთელი თავისი არსებით ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხის ბედის გამოქედვას.

უაღრეს გამოხატულებას ჩვენ ვხედავთ „დამწვარ სულ"-ში, რომელიც როგორც ფორმით, ისე შინაარსით საუცხოვოა და საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ პოეტის პატიოსან სულში.

მე აქ მოვედი ხელოვნების წმინდა მსახურად,
ეჰ, უნდო ხვედრმა ფულის ყუთთან დამიდგა ქსელი:
დაშრა აუზი შთაგონების—ეს სულის მწველი,
და ახლა მხოლოდ ჩოთქ-დავთარი დამაქვს ჩანგურად.

პოეტი ნეტარებას მხოლოდ მგრგვინავ ტალღებში ჰხედავს, მას უნდა მთელი თავისი არსებით ამ ტალღებში იყოს, მას უნდა ყოველი წამი თავისი სიცოცხლისა მხოლოდ ამ ტალღებში გაატაროს და ხალხის მომავალს შესწიროს.

ეს შეუძლებელია და აქ არის სათავე პოეტის საპირადო სევდისა. „დამწვარი სული“ საუცხოვო გრძნობით სავსე დოკუმენტია მარტო პოეტის ტანჯვისა კი არა, მისი გულწრფელობისა და კეთილშობილებისა.

მაგრამ სევდა პოეტისა დროებითია, წუთიერია და ის ფაფარაყრილ მერანივით მიჰქრის წინ და მისი სული უკეთეს მერმისის განჭვრეტაში ჰპოებს სრულ შვებას.

მომავლისაკენ მიჭირავს თვალი,
და თუ ასრულდა, რაც უნდა ჩემ სულს,
ვით შემაშინებს ტანჯვათა ალი!

და მართლაც ვარლამი უშიშრათ, მედგრათ მიისწრაფის წინ და აქეთ უხმობს ყველა ტანჯვის შვილებს; მას შეურყევლათ სწამს, რომ მომავალი ხალხისა არის.

მშრომელი ხალხის ბრძოლის ველი ქუჩაა. ვარლამი, როგორც მებრძოლი დემოკრატიის პირმშო შვილი, ამ ქუჩის თაყვანისმცემელია.

ჰოი, მჭედელო თავისუფლების,
გადიდებ ქუჩავ, ჩაგრულთა კერავ!
დღეს შენ გაგვიღე კარი უფლების,
მრწამს მომავალსაც შენ გამოჰკვერავ!

საკაცობრიო და საერო, საქვეყნო და მშობლიური ვარლამის პოეზიაში საამოთ არის შეხმატკბილებული და თავიდან ბოლომდე ის დემოკრატია მთელის თვისის არსებით.

შეიძლება ამით აიხსნება, რომ ვარლამს განსაკუთრებით უყვარს აკაკი და ზოგიერთ მის ლექსს ეტყობა აკაკის გავლენა. ვარლამის „ბარათ“-ს ფორმისა და სახეების მხრივ ბევრი რამა აქვს საერთო აკაკის „აღმართ-აღმართ“-თან.

როგორც დემოკრატს პოეტს უყვარს თვისი სამშობლო, მაგრამ სამშობლო სულ სხვა სახით და წყობილებით.

დიახ, მეც მიყვარს საქართველო, მშობელი ერი,
მაგრამ სრულიად ახალ-გაზრდა, სულით ძლიერი,
ხელთ რომ უპყრია ბრძოლის დროშა, შრომის გენია;
თავისუფლებას თაყვანს რომ სცემს, ეტრფიალება,
მაგრამ იგივე არც სხვისთვის შურს, არ ენანება,
თანასწორობის დიდი მადლი გულს რომ ჰფენია.

ეს არის საქართველო დემოკრატიული და იმის ასაშენებლათ მოუწოდებს პოეტი მშრომელ ხალხს. დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული საქართ-

ველო,—აი საითკენ უხმობდა ვარლამის პოეზია ყველას. მაგრამ პოეტის საბოლოო მიზანი კიდევ უფრო წინ არის, უფრო მეტი სამართლიანობისა და კეთილდღეობისაკენ.

და როდესაც პოეტი ამბობს:

არ დამივიწყებს სამშობლო ჩემიო, ეს არის სრული ჭეშმარიტება; დემოკრატიის ცხოვრებაში ვარლამმა გაავლო თავისი ხაზი, რომელიც აღარ წაიშლება. თავისუფალი სამშობლოს ასპარეზზე დემოკრატია გამოიყვანს უფრო დიდ პოეტებს, მაგრამ დემოკრატიის გულში ვარლამი მუდამ დარჩება საყვარელ პოეტათ.

ჩვენს პოეტებს ყოველ გვარი მიმართულებისას ერთი დიდი ნაკლი ემჩნევათ: სამშობლოს აღდგენამ ვერა ჰპოვა მათს გულში შესაფერი გამოხმაურება, ის აგიზგიზება, ის ენტუზიაზმი, რაც ასეთს დროს მოსალოდნელი და აუცილებელი იყო.

ძველებურ ჰანგებს, ძველებურ სევდას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. რაა სისხლი, მსხვერპლი, ბევრი უსამართლობა, სისაძაგლე და სიბინძურე დღევანდელი ცხოვრებისა მისთვის, ვინც შორს იყურება?!

და ვინ უნდა იყურებოდეს შორს, ვინ უნდა ხედავდეს მკაფიოთ მომავალს, ვინ უნდა გრძნობდეს ამ მომავალს თუ არა პოეტი.

ჩვენი პოეტების შემოქმედებას ჯერ კიდევ საგრძნობლათ ატყვია დაღი წარსული, დანგრეული ცხოვრებისა; ატყვია ეს ვარლამსაც.

თავისებურია და ძლიერი პოეტი ზღაპრებში. ოხუნჯობა, ირონია, ზოგჯერ სარკაზმი, მუსიკა, რიტმი და ენა ერთმანეთს ეჯიბრებიან სილამაზეში.

ეს დარგი ახალია ვარლამის შემოქმედებაში და აქ ის სრულებით ლაღი და თავისუფალი ხელოვანია. მისი მუზა აქ სხარტულია, კეკლუცი და ვერცხლის წყალივით სრიალა.

ვარლამის პოეზიის ცაზედ ჯერ კიდევ შუადღეა, მოდუნება, მოფერმკრთალება ჯერ მას არ დაჰნევია.

ამიტომ პოეტს ჯერ კიდევ შეუძლია ბევრის მოცემა განახლებული სამშობლოსა და გამარჯვებული დემოკრატიის სადიდებლათ.

აკაკი პაპავა.

ფიქრები თეატრის პრიზისზე.

საამშობლო სცენის უსაზღვრო სიყვარულმა დამაწერინა ეგ მკრთალი სტრიქონები.

თქვენ, ქართველნო რეზისორნო და მსახიობნო, რომელთა შედი ოავიდანვე ჩაროვია საამშობლო თეატრის ბედს, კადნიერებით თქვენ მოგიმღვნიხთ ამ მცირედ „ფიქრებს"

ავტორი.

ორი სიტყვა თქვენდა.

ამ ხნის განმავლობაში ძალიან ძნელი იყო საზოგადოდ ხელოვნებაზედ და კერძოდ თეატრზე ლაპარაკი. მრავალ თაობათა მისწრაფებას—ჩვენი ერის პოლიტიკურ აღორძინებაზე ჩვენ ხორცს ვასხამდით, ახალ სახელმწიფოს ვქმნიდით, რომელმაც მთელი პოტენციალური ენერგია ისტორიულად დაცული უნდა გადმოაშლევინოს ქართველ ერს. ჩვენ დავამტკიცებთ, როგორც წარსულში, რომ არა მარტო რომაელთ ვემსგავსებით, რომელთაც სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის და უფლებრივ ნორმების შექმნის სიმტკიცე აფოლადებდათ, არამედ იმ ელინელთაც ვენათესავებით, რომელთაც ხელოვნება პლასტიურად აღაგზნებდა. ეს მომავლის საქმეა და ნურავინ იფიქრებს ჩვენი პარნასის მდგომარეობა სიკვდილის ჩუმადობა იყოს.

მსოფლიო კატასტროფის ჟამს ჩვენ შევსძელით დამოუკიდებლობის მოპოება და სახელმწიფოს გამოფოლადება, განახლებული ეროვნული ძალა შესძლებს თვის კულტურის ამეტყველებას და ხელოვნების გაცისკროვნებას. სჩანს, ჩვენ მივაღწიეთ იმ წერტილს, როცა დრო გამოშვებით მაინც შეგვიძლია დამშვიდებით მივხედოთ ჩვენს კულტურულ საქმეს და ქართულ ხელოვნებას ვემსახუროთ... შესაძლოა, სამშობლოს მტრებმა კვლავ შეგვაწყვეტინონ ეგ დიდი საქმე და ყველანი სადარაჯოზე დაგვრაზმოს. ჩვენ არც ეს გვაფიქრებს და ხალისს არ გვიკარგავს, რადგან მომავალში, ვიცით, მაინც დაუბრუნდებით ხელოვნებას.

სჩანს დადგა ჟამი ჩვენი სულიერი გაღრმავებისათვის მუშაობისა, ქართველი ერის ესთეტიურ შესაძლოებათა გარდაშლისა, დრო ახალ ძიებათა... საამისო სიმპტომები დღეს მრავლად სჩანს და მეც თამამად ვიწყებ თქმას ხელოვნებაზე და ვერ ვანუგეშებ ჩვენ მტრებს იმით, რომ ხელოვნების განახლება პოლიტიკურ რეაქციის ხანაში იწყება. ამ შემთხვევაში მაინც ეს ასე არ არის...

ჩვენი ხელოვნების ფონზე ყველაზე უფრო დაზიანებულად დღეს თეატრი სჩანს, მიზეზებს ეხლა ვერ შეუდგებით; წარსულში კი მას ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა. და მეც მინდა პირველი თქმა ამ თეატრზე იყოს.

ეს წერილები, როგორც მკითხველი დაინახავს ახალი არა რის. იგი დაწერილია 1913 წ. საერთაშორისო ქარიშხალის წინ და გამზადებული იყო მაშინ ერთ-ერთი კრებულისათვის, რომლის გამოცემა ტეხნიკურ დაბრკოლების გამო ვერ მოხერხდა; შემდეგ რუსეთში ჩემი ყოფნის დროს, ჩემდა ნებადაურთველად, 1915 წ. იანვარში ერთ-ერთ გაზეთში მისი ბეჭდვა დაიწყოთ, მაგრამ, რადგან გაზეთისათვის ასეთი მასალა შეუფერებელი იყო, ჩემის თხოვნით ეს ბეჭდვა შესწყდა. მას შემდეგ სულ შეუძლებელი გახდა მათი გამოქვეყნება და მეც სრულ ღავიწყებას მივეცი ეს რვეული.

დღეს, მისი დასტამბვის დროს ბევრი დებულება სადაოდ მიმაჩნია, ბევრი ადგილი შესწორებას ითხოვს, მაგრამ ამას იმდენი დრო დასჭირდებოდა, რომ აჯობებდა ახლად დაწერა, ხოლო არც იმდენად დაწყნარებულა ჩვენი ზღვა, რომ დამშვიდებით თავიდან შეუდგეთ ამ საქმეს. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს—ეს წერილები სრულიად უცვლელად გამოვაქვეყნო და ვფიქრობ, როცა სადარაჯოზე ნაღარის ცემა სულ მისწყდება და ჩვენი ცხოვრების წყარო, სულ დაწმენდილი, ტკბილად დაიწყებს ბუტ-ბუტს, მაშინ ვინმე შეუდგება ამ საკითხის შესწავლას და, შეიძლება, ზოგი რამ აქედანაც გამოადგეს მას მასალად.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ:

„რეზისორების თეატრი“.

დაუდგომელი ძიებანი და რეზისორის თეატრი.

I

ჩვენი თეატრი ინსტინქტიურად განახლების გზას ეძიებს და სცდილობს ევროპას არ ჩამორჩეს ამ მხრავ; თუ უკანასკნელმა, რუსეთთან ერთად, ეს საკითხი დადებითად გადასჭრა და მისი უტყუარი გზა პოვა, ცხადია, ჩვენი თეატრიც და-

ადგება ამ ახალ გზას და სამუდამოდ განმტკიცდება; ამიტომ ჩვენ უმთავრესად ლაპარაკი გვექნება რუსეთისა და ევროპის თეატრთა ძიების შესახებ და აქედან სამშობლო თეატრის საკითხზე გადმოვალთ...

ამ რამდენიმე ათეულ წლის წინად, თითქმის, საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად მიიჩნდათ, როგორც უცხოეთში, ისე ჩვენშიაც და მის მიერ არჩეული რომანტიზმ-ნატურალიზმის გზა უტყუარი და ერთად ერთი ეგონათ, ყოველი ნაკლი და დეფექტი თეატრისა ეწერებოდა მსახიობთა უნიჭობას და მთელი ენერგია აქეთკენ იყო მიმართული გასაუმჯობესებლად.

მაგრამ უცებ სურათი შეიცვალა, უკმაყოფილების ხმა კიდით კიდემდე გაისმა და დღეს ჩვენამდეც მოაღწია.

არც ცხოვრების ასახვა ფოტოგრაფიულის სისწორით, არც დაუსრულებელი რიტორიკა და მშრალი პედაგოგიკა არავის აკმაყოფილებდა.

აშკარა გახდა, რომ საჭირო იყო თეატრის ფართო რეფორმა და აი, აქ იჩინა თავი ევროპის „ძიებამ“. ამგვარი „ძიება“ ახასიათებდა არა მარტო თეატრს, არამედ საზოგადოდ ხელოვნებას და კერძოდ პოეზიას.

ცხოვრებაში შემოიჭრა ახალი ფორმები და მოძრაობა, ცვალებადობა, რღვევა-შენება აშკარა გახდა, ხელოვნება ყველასათვის რაიმე მოძრაობის სახვაა და მისი სიღრმე განსაკუთრებით სულის მოძრაობაში იშლება.

თეატრი თავიდანვე ცდილობდა შეურყეველი საძირკველი ეპოვნა და ერთხელ და სამუდამოდ გამოერკვია მტკიცე გზა. მან თითქოს ჰპოვა ამგვარი გზა და ყველამ თავისუფლად აღმოისუნთქა, ყველანი იმედით იყვნენ აღტურვილნი, რომ თეატრის კარგისა და ავის საზომი სავსებით განსაზღვრული იყო.

მაგრამ ცხოვრებამ ფერი იცვალა, მას ახალი შინაარსი მოევლინა, იგი წინ წავიდა და, აი, აქ დაიწყო ისევ უიმედობა და უკმაყოფილება თეატრისადმი; ძველი ფორმა ახალ შინაარს ვეღარ იტევდა; საჭირო შეიქმნა ახალი საზომის გამოძებნა.

და აქ ყოველი თეორეტიკოსი შეეცადა ახალ გზის ჩვენებას და, მისდა საზომად, საკუთარ გემოვნებას მიმართა.

თეატრი, მათის აზრით, ესტეტიკის, ანუ უკეთ, ესთეტიურ გემოვნების საქმე იყო. მისი გაღრმავება ინდივიდუალ ქმნის და მისი ასპარეზის გაძლიერება იყო. ასეთ ინდივიდად თეატრს მოევლინა რეზისორი და გაჩნდა რეზისორთა თეატრიც.

მას შემდეგ რაც რეზისორი შეიქნა სინტეზი ყოველ ინდივიდუალობისა, თეატრმა თანდათან იწყო სულის ღაფვა და მისი კრიზისის ხანაც თანდათან მოახლოვდა.

მრავალნი სამართლიანად ამხედრდენ რეზისორების წინააღმდეგ.

აქტიორმა თავისი უფლება მოითხოვა, ავტორიც თავისას ითხოვდა და საკი-
როდ სცნობდენ დადებულიყო საზღვარი, რომლის იქეთა მხარეს არ უნდა შე-
ერილიყო რეზისორის ძალა.

თუ ავტორის ნაცვლად რეზისორი ჩნდა, თუ მსახიობთა ნაცვლად რეზისო-
რი ჩნდა, საჭირო იყო, თვით რეზისორის გემოვნების ნაცვლად, სხვა რაიმე
ობიექტიური საზომი ეპოვნათ ანდა „რეზისორთა თეატრი“ დაემარხათ; თეატრის
ისტორიაც ამ უკანასკნელ გზას გაყვა.

განსაკუთრებით რუსეთში ამხედრდენ „რეზისორთა თეატრის“ წინააღმდეგ;
აქტიორთა ინდივიდუალობის დახშობის ნაცვლად აირჩიეს მისი ჰარმონიული შე-
თანხმება რეზისორის ინდივიდუალობასთან.

ავტორის უფლებათა დამცველად გამოვიდენ მრავალნი და, სხვათა შორის,
ფრიად კულტურული ადამიანი, განათლებული, მაგრამ არა დიდი ნიჭის პატრო-
ნი მწერალი, ბობორიკინი.

იგი აღნიშნავს, რომ თეატრის კრიზისი სინამდვილე არ არის, რომ საჭიროა
იგი კვლავ გაყვეს ნატურალიზმის ძველ გზას, რომ კვლავ სული ჩაედგას მას. სა-
ჭიროა დამოუკიდებლობა რეზისორისაგან მსახიობისა და, მით უმეტეს, ავტორისა.

პიესების „გადაკეთება“ მექანიკურ პროცესს ვერასოდეს ვერ გადასცდება და
რეზისორიც მარტოოდენ სულს ამოართმევს პიესას ამ რეფორმით. „გარდაქმნა“
კი სულ სხვა გზით უნდა ვიდოდეს; ეს ნიშნავს ავტორის იდეის, უტყუარ ერთ
აზრის აქტიურად სახვის გზას, რაიც სავსებით გან სხვავდება „გადაკეთებისაგან“,
უკანასკნელი უფლება ეექვეველად უნდა წაერთვას რეზისორს—მას არ შეუძლია
არც ერთი წერტილის დამატება ან ამოშლა დრამატიულ ნაწარმოებიდან... უკა-
ნასკნელი ყოველთვის დამთავრებული ქმნილებაა.

თუმცა ბობორიკინი ზოგიერთებთან ერთად გაიძახის, რომ თეატრის კრიზი-
სი ფიქციაა და ღრმა დაკვირვება მოწმობს, რომ იგი მარტო ზრდისა და ევო-
ლიუციის გზით მიდის, მაგრამ არ იქნა, ეგ სიტყვა ვერ განდევნეს მათ და ყო-
ველი ახალი გვერდი თანამედროვე თეატრის ისტორიისა ამ კრიზისით იწყება
და თავდება.

II

...ან შეიძლება სულ სხვა სფეროში ტრიალებდეს თეატრის კრიზისის სა-
კითხი; შესაძლოა, თეატრის ბრსებობის მხარე და ძალა ემპირიულად სავსებით
ამოიწურა და მისი აღსასრულიც დადგა. ან შესაძლოა სხვა რომელიმე დარგმა
ხელოვნებისამ იკისროს თეატრის ფუნქცია და ამით უკანასკნელის ისტორია დამ-
თავრებულად უნდა მივიჩნიოთ?

აი, სწორედ ამ მხრით მოუარა საკითხს თანამედროვე რუს მწერალთა მეორე ჯგუფმა; მათში აღსანიშნავია: აიხენვალდი, ანდრეევსკი, ანდრეევი და სხვ.

პირველი სავსებით უარყოფს თეატრს, როგორც ხელოვნებას და მისი გზა დაბადებიდანვე მცდარად მიაჩნია, იგი მისი აზრით ფალსიფიკაციაა, რომელიც მიზანს ვერასოდეს ვერ აღწევდა. მეორენი კი სცნობენ მის მისიას დამთავრებულად, რადგან გზა თეატრისა სავსებით განვლილად მიაჩნიათ... იგი იყო, მაგრამ დღეს აღარ არის საჭირო, რადგან მას სავსებით იტევს სხვა რომელიმე მხარე და თეატრიც, როგორც ავტონომიური ხელოვნება კვდება. მის მაგიერად გამოდის სულ სხვა, რომელიც უფრო ფართოდ შლის და სწყვეტს თეატრის პრობლემას.

თეატრი დრამატიული ნაწარმოების განსახიერებაა, ხოლო უკანასკნელმა კი თავისი გზა სავსებით განვლო. არა მარტო დრამატიული ნაწარმოები, არამედ მთელი პოეზია დღეს ზედმეტად იქცევა ბ-ნ ანდრეევსკის აზრით, რადგან გრძნობათა და განცდათა უმშვენიერეს და ულამაზეს საზღვარს, სიტყვის საშუალებით, უკვე მივაღწიეთ. ყოველი, სიტყვით ნასახი, პოეტური ფორმა ამოიწურა და გადაიხარშა. „ამ სფეროში სრული დეკადანსი განმტკიცდა და არავითარი იმედი რენესანსისა არ უნდა გვქონდეს“... სიტყვის ძლიერების მასალა ქრება, მის სიმბოლოთა მნიშვნელობის წრესაც გადავცდით; სიტყვის მეუფებასთან ერთად, გრძნობის გადმომცემ ძალას უფრო ღრმად ვხედავთ მიმიკაში და ვისმენთ მუსიკაში. „სიტყვა“ უმთავრეს დანიშნულებას პოულობდა ლირიულ შემოქმედებაში, საკუთარ სუბიექტიურ გრძნობათა გადმოსაცემად, დღეს კი ეს, უმთავრესად და უფრო სრულად, სახიერდება მიმიკაში და მეღავნდება მუსიკაში. მაგრამ ავტორი ამ პარადოქსს ბოლომდე ვერ მისდევს და სიტყვასაც ვერ დევნის სავსებით პოეზიიდან; მისი აზრით, სიტყვას დარჩება პოეზიის მდიდარი მხარე—ეპოსი...

ამ „სიტყვის“ უარყოფიდან ერთი ნაბიჯია დრამატიულ ნაწარმოებთა და კერძოდ თეატრის უარყოფამდე.

თეატრი, რომელიც სიტყვის საშუალებით გმირთა სულიერ განწყობილებას და კავშირის განვითარებას ხატავს, უმნიშვნელოდ იქცევა და სულ იცვლის თვის სახეს, მას შემდეგ, რაც სიტყვის ადგილს დაიჭერს—ამ დარგში უფრო ღრმა იარაღი—მუსიკა. უკანასკნელი სიტყვას განდევნის საესებით, ხოლო თეატრი უსიტყვოდ უკვე თეატრი აღარ არის, არამედ პანტომიმა.

სულ ორ საუკუნეზე მეტი არ იქნება მას შემდეგ, რაც მუსიკა დაიბადა თანამედროვე სახით; მისი დასაწყისი სჩანს საშუალო საუკუნოების იტალიაში, მაგრამ აქ მარტოკა ჩანასახია, ხოლო მისი აშკარა მეტყველება იწყება მე-XVII საუკუნის დასასრულს სებაზახიდან და გლიუკიდან.

რუსთა დიდებული პოეტი პუშკინი ინტუიციით განიცდიდა მუსიკის ძლიერებას, როცა პათოსით იტყოდა, რომ მუსიკამ მას აუხსნა: „новыя тайны, глубокія плѣнительныя тайны...“

ამ გვარ ტენდეციას ავტორი ძველ პოეზიაშიც ხედავს, როცა ბერძნები და რომაელები რითმებს არ მიდევდენ და მუსიკალობას მეტრიულ ლექსებში ხატავდენ. ასეთვე იყო შექსპირიც. დღეს კი ხმის ინტონაციით ისახება რთული გრძნობანი და განცდანი, რომელთა გადმოცემაში სიტყვა უძლური და უმწეოა. უბრალო ლექსთა კითხვა დღეს მელოდეკლამაციის სახით უფრო გვაკმაყოფილებს.

სიმფონიური კონცერტები აუარებელ ხალხს იზიდავს; აქ სიტყვა სრულებით აღარ არის და ყოველი მსმენელი თავისებურათ მარტავს ხმათა გარიგებას და ინდივიდუალურად განაგრძნობს... ასეთივეა მეორე საშვალება გრძნობათა სახვისა, მიმიკა; უკანასკნელმა შექმნა კინემატოგრაფი, რომელიც მოსპობას უქადის თეატრს. ამ დებულებას გაცხარებით იცავს თეატრალურ ჟურნალ „ნიდაბის“ ფურცლებზე ცნობილი ანდრეევიც. პირველათ კინემატოგრაფებს სკეპტიკურად უცქერდენ, მაგრამ დღეს აშკარა შეიქნა ავტორების აზრით მიმიკის საშუალებით უფრო ღრმათ გადმოიცემა ნაცადი გრძნობანი.

აქ სიტყვა ვერასოდეს ვერ გახდება ინდივიდუალურ განცდის გადმომცემ იარაღად, რადგან იგი ყველასათვის ერთნაირად გამოითქმის. ამ რიგად, ავტორებს სურთ თეატრის ადგილი ცირკის პანტომიმებს დაუცალონ და, უძლიერესი იარაღი გრძნობათა სახატავათ, სიტყვა, რომლის განმარტება მუსიკა და მიმიკაა, საესებით ჩაკლან; მაგრამ ეს ხელოვნური ზღუდე ვერ ამაგრებს სიტყვის ძალას, საკმარისია აღინიშნოს, რომ ძლიერი მუსიკაც შეუდარებელ ძალას იკრებს, როცა თვით იშლება ხმებში, ხოლო კინემატოგრაფი კი უსიტყვოდ, უკომენტარიოდ სრულებით გაუგებარი რჩება და სანამ ეკრანზე შინაარსი მოკლედ არ აღინიშნება სიტყვით, მანამ ეკრანის დრამა სრულებით ვერ გაგვიტაცებს...

წ ე რ ი ლ ი მ ე ო რ ე

საკითხის რადიკალური მხარე და თეატრის კრიზისი.

I

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით თეატრის კრიზისზე და ისეთ მწერალთა აზრს შევეხეთ, რომელნიც ან დროულათ სთვლიან ამ კრიზისს და მის მომავალს იმედით შესცქერიან, ანდა მის მისიას დამთავრებულად სცნობენ და თეატრის საერთო პრინციპების განსახორციელებლად, სიტყვის გარდა, სხვა უფრო ღრმა დარგი მიაჩნიათ (მუსიკა, მიმიკა), სანამ ამ სფეროში გვაქვს საქმე მოწინააღმდეგებ-

თან, მანამ მათი დამარცხება და თეატრის დაცვა ადვილი საქმეა, რადგან შეგვიძლია თანამედროვე რიტორიკის სიტყვის თეატრს დაუპირდაპიროთ მეორე, უფრო ძლიერი და მრავალ ფეროვანი თეატრი—სინტეზი სიტყვის, მიმიკის და მუსიკის; თეატრი, რომელიც ამ სამების სინტეზად და ფოკუსად იქცევა...

მაგრამ საკითხი უფრო რთულდება, როცა ასეთ ბუნტარებთან გაქვთ საქმე, როგორიც კარგად ცნობილი კრიტიკოსი, აიხენვალდია, რომელიც სავსებით უარყოფს თეატრს, როგორც ხელოვნებას.

მან ეს აზრი წერილობით მოკლე შენიშვნაში გამოთქვა, შემდეგ კი ამის შესახებ მოხსენებაც წაიკითხა, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამის გამო იგი იძულებული შეიქნა თავის „უარყოფით“ თეორიისათვის ერთგვარი დასრულებული სისტემის სახე მიეცა და მან კიდევაც გამოაქვეყნა წერილი: „თეატრის აღსასრული.“ „(იხ. გაზ. „რეჩ“-ი).

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეს წერილი გავაცნოთ, მოკლეთ მაინც, ქართველ მკითხველებს და გზა და გზა შეეცადოთ აიხენვალდის შეცდომათა აღნიშვნას და მით, შეძლებისდაგვარად, თეატრის ხელ-ახლა დამტკიცებას.

ბ-ნ აიხენვალდის აზრით დღეს თეატრის კრიზისის ხანა კი არ არის, არამედ დასასრულის, „რადგანაც გამოირკვა მისი პრინციპიალური გაუმართლებლობა, პარადოქსალობა. გემოვნება განვითარებულ თანამედროვე ადამიანს ვერ იპყრობს და ვერ ატყვილებს თეატრი... იგი ცდომილი და უკანონო სახეა ხელოვნებისა... ხელოვნება თავისუფალია, თეატრი კი არა. თეატრი დამოკიდებულია ხელოვნებიდან (ლიტერატურიდან); თუ ლიტერატურა არ არის, თეატრიც კვდება, ხოლო ლიტერატურა უთეატროდ კი არის (პიესა, რომანი), დრამა თავის-თავად სრულია და აიხენვალდის აზრით, თეატრი არ იძლევა პიესაში არაფერ ახალს. კანტი მას უწოდებდა ანალიტიურ და არა სინტეტიურ მსჯელობას; ეს იქიდან სჩანს, რომ შემასმენელი (სპექტაკლი) იძლევა მარტო მას, რაც სავსებით არის ქვემდებარებაში (პიესაში).

დაწერილი დრამა თავის თავად ენერგიულია, იგი სავსებით დამთავრებულია და მას მეტი არა უნდა რა; თეატრი მხოლოდ თანამგზავრია პიესისა და უმისოდაც შესაძლოა სვლა, ოღონდ გზა კი იყოს. თეატრს თავისი სფერო არა აქვს, არ მოეპოება ავტონომიური არსება“.

(შემდეგი იქნება)

სარედაქტიო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ობოლი მუშა

სამწუხაროდ დუტუ მეგრელის ლექსში მე-12 გვერდზე, სტრიქ. 4 შეგვეპარა შემდეგი შეცდომა: დაბეჭდილია—**აღგზნებული**—უნდა იყოს **ამორძალი**.

ᲕᲘᲡᲐᲠᲗᲝᲕᲔᲚᲘ

№ 2 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1920 წ. № 2

შ ი ნ ა ა რ ს ი.

პ ო ე ზ ი ა:

ს. აბაშელი—ტაძარში

ნ. ვარდოშვილი—საყდარში

იასამანი—მეექანს მიმავალ ქარავანს

ობოლი მუშა—მეტეხის ციხე

ვარ. რუხაძე— { 1. ვულკანის მოლოდინში
2. განთიადზე

გ. ქუჩიშვილი. { 1. მშრომელი ხალხის სიმღერა
2. * * *

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

შიო არაგვისპირელი—გაბზარული გული

დ. თურდოსპირელი—გაქვავებული ცრემლები

დ რ ა მ ა:

ტრ. რამიშვილი—სტუმარ-მასპინძლობა

კ რ ი ტ ი კ ა:

აკაკი პაპავა—ფიქრები თეატრის კრიზისზე

ვარლამ ხუროძე—გალ. ტაბიძის შემოქმედება.

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 2
იანვარი-
1920

პოეზია

ს. აბაშელი.

ᲬᲐᲛᲐᲠᲨᲘ

ნოემბრის ქარში ცივ ქუჩაში მოხეტიალეს
შემაკრთობს ზარი და ტაძარში შევალ შემთხვევით.
მოვისმენ ღაღადს. ძველი გრძნობა უცებ იალებს.
ავანთებ ცრემლით ჩემს წამწამებს და ჯვარს ვემთხვევი.

არ ვიცი ბრძენი განცდას ამგვარს თუ რას დაარქმევს:
არა მწამს ღმერთი და მის სახლში რად მეტირება?
გამოვა მღვდელი. საცეცხლური სურნელს დააკმევს
და ჩემი ფიქრი ცისფერ კომლში ჩაიძირება.

სიყრმის ბურუსში გაბრწყინდება დრო შორეული:
აღდგომა-ღამე. საღდგომო თეთრი ხალათი.
მამის საფლავზე დედა ჩემი ცრემლ-მორეული.
იქვე სანთელი და საკურთხით სავსე კალათი.

საბრალო დედა! ჩემი გრძნობა უზენაესი
შენს მწუხარ სახეს განუწყვეტლივ გარს ახვევია!
კეთილო დედა! ჩქარა გაჰქრა ჩემი მაისი,
და ბნელი ღამე, ო, რა მძიმე გასარღვევია!..

წკრიალებს ვერცხლის საცეცხლური, და საკმეველი
აღსავლის ჯარებს ცისფერ. ღრუბლად ენარნარება.
მორწმუნეთ შორის ვდგავარ უცხო კათაკმეველი,
მაგრამ „განვედი!“ ჩემს ოცნებას არ ეკარება.

თავდება ლოცვა. ახსენებენ ჯვარზე ნაწამებს.
დამავიწყდება რომ შემოველ მე აქ შემთხვევით.
ავანთებ ცრემლის ნაპერწკლებით დახრილ წამწამებს.
გადავდგამ ნაბიჯს მოწიწებით და ჯვარს ვემთხვევი.

ხ. ვარდოშვილი.

საყდარში.

საყდარი ენთება
ალისფერ შუქით;
თვალი იყლენთება
მოწყენით მუქით.

—

ზეცისკენ მიდის
ლოცვები ჩემი,
ვარ ღმერთის წმინდის
თაყვანის მცემი!

—

ვემთხვევი კრძალვით
მაცხოვარს ნათელს,
დავანთებ მალვით
ჩემს სულში სანთელს.

—

დააკმევს მღვდელი
ტკბილ აღსარებას,
ვდგევარ და ველი
მე ზიარებას.

—

ხმა მგალობლების
კვდება კვამლებით;
მოდის ობლები
მიმქრალ თვალებით.

—

ღვრება გრილი
აიაზმები;
შავით მოსილი
სდგას მონაზნები.

არის კანკალი
მორწმუნეთ ხელის;
იწვის კანკელი
თეთრ სამოსელით.

—

წმინდაო ღმერთო
ისმის მრავალი;
ენთება ერთად
ათასი თვალი.

—

და მაცხოვარის
საყდარში მუდამ
სანთელით არის
ხელში იუდა.

—

მიდის ბინდები
საკმევლის—ნელი;
მე ავტირდები
და ნუგეშს ველი.

—

ოჰ, გევედრები,
ლომის კარელო!
დავიღუპები...
მექმენ მფარველად.

—

გული წამერთო,
მომხედავს სხვა ვინ?
მაშაო ღმერთო,
წმინდაო—ამინ!..

იასამანი.

მექას მიმავალ ქარავანს...

ა

მექას მიმავალ ქარავანს ჩამორჩა მგზავრი ღვთიანი...
თანამგზავრთ სამოწყალეოთ ქისა გაიღეს მთლიანი,—
ოქრო, დათვლილი ძმისათვის, სიკვდილის პირად მყოფისა,
უდაბნოს უძოოთ გდებულის, მზეთა და ქართა მგმობისა...

და ფიქრობს მგზავრი: „მარტოდ მყოფს იმედათ მრჩება ეგ ქისა,
ძმათა, წასულთა სალოცათ, წინასწარმეტყველის მექისა...
ნუღა ჩაჰქრება სიცოცხლე, არ დამიბნელდენ თვალები...
წინასწარმეტყველის მორწმუნე შევსთხოვ: მინელოს ალები“...

ფიქრი შესწყვიტა... ბნელა'ში ელარუნი ისმა ზარების,
და მთელი წყება აქლემთა გამოჩნდა შორის მგზავრების...
მაგრამ ღამეში ავადმყოფს ვინღა მიხედავს წყალობით?..
აქლემი აქლემს გაჰყვება, მგზავრი მგზავრს ჩუმის გალობით...
ავადმყოფი კი დილამდე ვით გასძლებს განამწარები?
შორსაა წყება ქარავნის... მიყუჩდენ კიდეც ზარები...

ბ

მრისხანე არაბეთის ცა ღრუბლებით მორაზმულიყო,
თითქოს ლაშქარი წინ ედგა, საომრად მოკაზმულიყო...
გავარდა ჭექა კიდურზე, კიდურით ჩადგა გრიალი...
უდაბნოის ქარს ქვიშაზე შეექნა გმინვა-ტრიალი...

ისმის ნადირთა ყმუილი, შორს მილეული გუგუნი.
ირგვლივ სიკვდილი, კივილი და ბნელი, ბნელი უკუნი...
დილაზე ცას ბჭე შეეხსნა, პირი გამოჩნდა მთვარისა...
უდაბნოს ქისა არ სჩანდა. . არ სჩანდა გვამი მგზავრისა...

საუკუნეთა გაჰყვება ზაური ქარის ბობოქრის,
შემდეგ კვლავ ავა და ძვლებთან ოქროს ქვიშიდან ამოყრის,
რომ წამს უდაბნოს ნადირთა უჩვენოს მზეზე ციალით,—
შემდეგ სხვა ადგილს ჩამარხოს ზარით, ზათქით და გრიალით...

ოგოლი მუშა.

მეტეხის ციხე.

გულის ფანცქალით შემოუვლი შავსა სასახლეს,
აიშლებიან მოგონების ლანდთა ჯარები...
ფრთა მალი ფიქრი შორს, წარსულში გადამასახლებს,
და ვით ჯალათი, ხმალს იშიშვლებს რკინის კარები!..

და დამწყვდეული ბნელი საკნის სასტიკ ხუნდებში
ლამაზ სიზმრებში იელვარებს სული მღელვარე;
ნაზი ოცნება ჩაექსოვა ღრუბელთ გუნდებში,
და რწმენის ალამს გაშლის ცაზე მზე მოელვარე!

დამწვარი გული შეიყვარებს უცხო მშვენებას,
მტკვარის დუდუნი ააჟღერებს სევდის სიმღერას;
მწარ-ტკბილი ტანჯვით შევეჩვევი სატრფოს ხსენებას.
რკინის ფანჯრები მომანატრებს ნათელ ცის მზერას!

ღუღუნა მტრედებს მოვუხმობ მე, ტყვე გულ-დამწვარი,
შემეხარბება მათი ლაღი ჰაერში ფრენა...
სულს წარიტაცებს მთა მაღალი, სამოს-შემხმარი,
და ცის ლურჯ ზღვაში მოლივლივე სხივების ბრწყენა!..

მე აქ დავმარხე ყრმობის დღეთა პირველი ვარდი,
აქ არის ჩემი ოცნების და ტანჯვის სავანე;
შორეულ სატრფოს, საოცნებოს აქ შევუყვარდი...
და მე აქ ჩემი რკინის ხუნდი ცრემლით გავბანე!

და დღეს გარს ვუვლი სიყრმის დღეთა შავ სასაფლაოს,
ხან მწარეთ ვსწყევლი და ხან ნაზათ ვეალერსები;
და ასე ვუმღერ მოგონების აჩრდილებს, ქაოსს:—
მეტეხის ციხემ აჟღერა ჩემი ლექსები!

ვ. რუხაძე.

ვულკანის მოლოდინში.

მიწა გუგუნებს, მიწა ზანზარებს,
ხომ ხედავთ აგერ მის ღრმა ნაბზარებს?
ალბათ ვულკანიც ამოხეთქს მალე
და ნანგრევებში ჩაფლავს ამ ზარებს!

ბევრს ეშინია: ფრთის და კანკალებს...
მე ეს მოვლენა-ისე მახარებს,
მე ისე მიყვარს განწმენდის ცეცხლი,
რომ ჩემი სული ცეკვავს, ხარხარებს!

მიწა გუგუნებს, მიწა ზანზარებს,
ხომ ხედავთ აგერ მის ღრმა ნაბზარებს?
ალბათ ვულკანიც ამოხეთქს მალე
და ნანგრევებში ჩაფლავს ამ ზარებს!

განთიადზე.

განთიადზე ჩემთანაც მოდის მუზთა მფარველი,
შთაგონების ცეცხლს მინთებს, ვიწვი მთელი არსებით;
სულს სცილდება ჩინჩხალში სიფერმკრთალე ფარველის,
ბრწყინავს შემორითმული ალთა ასონანსებით!

მაშინ მთელი სამყარო ჩემს გულში იხატება,
ვით ზღვაში ფირუზი ცა, ვარსკვლავებით ნაქარგი,
ჰაღარა მავიწყდება, გრძნობა ჩქეფს ნაკადებათ
და ვიძახი: სიცოცხლე რა კარგია, რა კარგი!

ჰაბუკურ გატაცებით ვაწკრიალებ ჩანგურსა,
და ამ ხმებში ისმიან ტკბილ მომავლის ჰანგები,
სადაც სევდა არ სტირის, არც კვნესს ფიქრი ჩაგრული,
სიყვარულზე მღერიან შვების ფარშევანგები!

გ. ქუჩიშვილი

მშრომელი ხალხის სიმღერა.

ბევრი შავი დღე გვინახავს,
ბევრიც რამ მოგვითმენია,
მაგრამ დავამხეთ მონობა,
დღეს გამარჯვება ჩვენია.

აწ ველარავინ გაჰბედავს
ჩვენს დევნა-დაბრიყვებასა,
ვერც ჩვენი სისხლის დაქცევას,
ვერც ჩვენი ოფლით კვებასა.

ველარ გაუძლებს ვერავინ
ზღვა ხალხის მღელვარებასა;
ვერ დააბნელებს უკუნი
ნათელ მზის ელვარებასა!

* * *

ზღვად ობლად მავალს ხომალდს გადარე,
ჩემო სამშობლოვ, ჩემო ქვეყანა;
მოხეტიალე ცის ღრუბელივით
განუშრობლად თან დაგდევ, თანა.

როცა გრიგალი ამოიჭრება
და გეხეთქება დასაღუპავად,
მყის შენ გეხვევი, გულში გიხუტებ
და ვიბურები საომრად შავად.

თვალს არ გაშორებ, ჩემო საუნჯევ,
ჩემო ოცნებავ, ჩემო ქვეყანა,
და ფიქრი ჩემი, ფიქრი ობოლი,
ცის ღრუბელივით თან დაგდევს, თანა.

ბელეტრისტიკა

შიო არაგვისპირელი

გაგზარული გული[1]

(ქართული არაკი)

მეორე კარი

1

მეფის შვილი-ნადირა იმ წლოვანობისა იყო, როდესაც დაეძებს სატრფოს. მხევალნი კი მრავალნი იყვნენ, მაგრამ არც ერთმა მათგანმა გული არ წაჰსტაცა...

ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მეფეს იმის ქვეშევრდომი ბატონიშვილები, შემდეგ მეფეც იწვევდა თავისთან ბატონიშვილებს ცოლ-შვილით. თითონ სეფის წულიც ეწვევოდა ხოლმე იმათ ხან მარტოკა, ხან კიდევ თავის ერთად-ერთი დით—მარეხათი... მაშინ ხომ მთელი ქალთა კონა შეიკვროდა ხოლმე იმათ გარშემო, მაგრამ არა და არა!.. გული ვერავის შეუთვისა.

მეფეს ძალიან უნდოდა, იმის ნადირას ამოერჩია ვინმე, შეერთო ცოლად, რომ ტახტი გადაეცა თავის შვილისთვის. გარდაწყვეტილი ჰქონდა: „ცოლის შერთვის დროს ტახტიც გარდაეცა, დაელოცნა და-თითონ კი მოესვენა“... რასაკვირველია, შვილის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდა, გაჭირვების დროს სამეფოს მართვაში დაეხმარებოდა, მაგრამ ეს სხვა იქნებოდა, ვიდრე დღე-მუდამ სამეფოზე ზრუნვა... დღენი სიბერისა უდარდელად უნდა გაეტარებინა...

მეფეს საშინლად უყვარდა მეურნეობა, ნამეტნავად მეხილეობა. . მზად იყო ამისთვის ყველაფერი შეეწირა, რასაკვირველია გარდა მოვალეობისა, რომ თავის ხელით ჩაერგო ხეხილი, თვალ-ყური ედევნებინა იმის ზრდა-დახილებისათვის... ხშირად სადილსაც კი ივიწყებდა ბაღში მუშაობის დროს ..

მაგრამ ხშირად არ ჰქონდა ესეთი ბედნიერი ჟამები...

ამისთვის ასე ეჩქარებოდა ნადირას გამეფებას და ხშირად ამ საგანზე ებაასებოდა.

ერთხელ ასეთ ბაასის დროს ნადირამ უთხრა მამას:

---

1) იხილეთ „ცისარტყელა“ № 1.

— მამავ, მეც მინდა შენი ნება ავასრულო, მაგრამ რა ვქმნა, როცა საცოლო ვერ მომიძებნია?!. უცოლოდ ტახტზე ასვლა კი არც შენ გინდა და არც მე. მაშინ სულ ველარ შევჩერთავ ისეთ ცოლს, როგორიც მინდა.

— რა მოგვიდა, შვილო, რო ამოდენა ქალებში ერთსაც ვერ შეეგუე?!.

— რა ვიცი, მამავ!.. იქმნება მიზეზი მარეხა იყოს?!.

— როგორ?.. ცოტა გაკვირვებით დაეკითხა მეფე.

— ყოველ ქალს მარეხს ვადარებ და ვერც ერთი იმისთანა ლამაზი, ვერც ერთი იმისთანა სინაზისა ვერ ვპოვე... მარეხი კი ყოველთვის მეუბნება: „ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავი ხომ არ იქცევა ქალად, რო შენ დარად გახდეს... ვუიცამ მთვარესო, ჩვენში ყველა ლამაზია, ვინც კი გვინახავს... და სეფეს წულს შეჰშვენისო“...

— მართალი უთქვამს, შვილო!

— არა, მამავ, სადაც ვყოფილვარ, და ან ჩვენთან მოსულან ჩემი ტოლ-ამხანაგები სულ ერთსა და იმავე სახელს გაიძახიან... „ეთერი... ეთერიო“...

— მართალს ამბობ, შვილო, მეც ბევრი რამ მსმენია იმ ქალზედ კარგი და იმის მამაზე ხომ უფრო კარგი... მებატონეებისგან კი არა, ყმებისგან... მებატონეები კი ლანძღვით იხსენიებენ. იმის მამას: „ხალხი გაგვირყვნაო“...

— მით უკეთესი. მინდა ეთერიც ვნახო; თუ ისაც არ მომეწონა, მაშინ თვალ-ხუჭელა თითს დავადებ, როდესაც გარს შემომეხვევიან, და ის იქნება ჩემი ცოლი...

— კარგი, მაგრამ როგორ ჰნახავ?.. ეთერის მამა, აღარც კი მახსოვს, როდის იყო; ეხლა მოვიწვიო, ეგონება ვსაჭიროებ... შენ წახვიდე, მით უფრო უხერხულია... მომჩივარი რო იყოს ვინმე იმაზე, მაშინ დღესვე შიკრიკს ვაფრენდი, მაგრამ ჯერ იმაზე არავის უჩივლია...

— მეც ვფიქრობდი, მამავ, მაგაზე... და, აი, რა მოვიფიქრე: ვერც მოვიწვევთ, ვერც მე წავალ და მით უმეტესად შენ და მარეხი. ამას გარეშე ერთი გზაა... მე წავალ როგორც მეფის კარის კაცი და შემთხვევით ვითომ იმის საბატონოში მოვყევი... რასაკვირველია, ისენი მე ვერ მიცნობენ... ბევრ რასმე მოვჩმახავ როგორც კარის კაც იმის მიხედვით, ჰომეწონება, თუ არა ეთერი... თუ მომეწონა, ვეცდები მამა-შვილი აქ მოგიყვანო... შენც დაჰხვდები გულღიად და, როცა გამოვეცხადები შენ შვილად, მაშინ ხომ სულ ერთია... ის ჩემი ცოლი იქმნება...

— შვილო, ეხლა კი სრულის სულის სიმშვიდით ტახტს ჩაგაბარებ, რადგანაც შენი მოსაზრება ნამდვილი დამჯდარი ჭკუის მოსაზრებაა... ჰქმენ მაგრე!.. სიხარულით უთხრა მეფემ და შვილს შუბლში აკოცა...

2

ეთერს მთელი ღამე არ ეძინა. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა „ზარის“ ხმამ... თითქმის თავ-დავიწყებამდის მივიდა, და თავისი გულის ნადები სიმღერაში ჩააქსოვა... როცა გაათავა გოდება, მოუთმენლად ელოდა მამის დაბრუნებას, რომელსაც უნდა ამოეტანა ის... „ზარი“... „თავ-ზარი“... უნდა ეხილნა, ხელი შეეხო და შემდეგ თითონვე ამეტყველდებოდა და აამეტყველებდა იმასაც... მაშინ ვინ გაუძლებდა იმის მომხიბლაობას?!. სეფე-წული იმის წინ მუხლს მოხრიდა, და დედოფლად იქცეოდა... ეს ხომ იმისი ოცნება იყო!!. დედოფლობა, ან არარაობა!..

„რაკი ის... ჰო, „შიშის ზარი“ ხელთ მექმნება... ფიქრობდა ეთერი: მეფეს ვესტუმრებით და იქ ავმეტყველდებით ერთად... სეფეს-წული გადირევა, თავ-ზარს დავცემ და ხვეწნასაც დამიწყებს... ჯერ გავნაზდები... და როცა თითონ მეფე მობრძანდება, მითხოვს თავს შვილისთვის, მაშინ...

„მეფე ხომ ქვრივია!.. უეცრივ გაუელვა თავში ეთერს... თითონ მეფემ რო...

„ხომ დედოფალი ვიქმნები!.. უეცრივ უპასუხა თავის თავს, და სიამის ღიმილმა გაუპო მარწყვისებური ტუჩები: „მამა, თუ შვილი, ჩემთვის სულ ერთია“!..

და მიეცა ოცნებას, თუ ის როგორ მოიქცევა, როცა დედოფალი იქმნება, სამეფოს გამგე... ის განაგებს სამეფოს ისე, როგორც უნდა... იმისი სურვილი ძირს დაუშვებელი იქმნება... ჩიტის რძეც რო მოითხოვოს, ისაც კი მაშინვე გაჩნდება...

„ავაშენებ წალკოტს... შიგ ირმის ჯოგს მოვაშინაურებ და სულ დიდებულ ბატონიშვილებს ვამწყემსინებ... თუ ქვრივი მეფის მეუღლე გავხდი, მაშინ თითონ მეფესაც ხშირად სამწყემსოდ გავგზავნი“...

მამის ფეხის ხმამ შეაწყვეტინა ოცნება. მაშინვე მამას მიჰვარდა და დაეკითხა:

— მამავ, მოიტანე, ჩქარა მაჩვენე ის რაღაც?!.

— არ იძლევა, შვილო!..

— როგორ, თუ არ იძლევა?!. მამისთვის ჯერ უცნობ ხმით წამოიძახა ეთერმა, ვილაც ლატაკი ხელოსანი უარს გეუბნება შენ... დიდებულ კაციას!!.

— ოქროც შეეაძლიე, შეფასება ვსთხოვე, მაგრამ მიპასუხა: „ფას დაუდებელია“!..

— და იმ წამს თავი არ გააგდებინე?..

— ეთერ?!.. გაკვირვებით შეეკითხა მამა... რას ჭნიშნავს ეგ თავის გაგდებინება...

— კიდევაც იმისთვის გეუბნებიან უარს, მამავ, რო თავის გაგდებინება არ გესმის!..

— ეთერ, ვერა გცნობილობ, შვილო, ეს რა კილოა...

— მით უარესი, მამავ!.. ის რაღაც არის ჩემ ხელთ უნდა იყოს რადაც უნდა დაგვიჯდეს... არავის ნებას არ მივცემ ჩემი ხმა სათამაშოდ გახადოს... ჩემი ხმა ჩემთან უნდა იყოს..

— სწორედ ეგ მეც ვუთხარი... ქურდიც კი დავუძახე...

— მერე რა გითხრა?..

— რასაც ვისაც მოვპარავ, მაშინ დამკარგავს ალარ ექმნებაო... მაგრამ შენი ქალის ხმა ხომ ისევ შენ ქალთან არისო...

— ოჰ, ღმერთო, რა ავაზაკი ყოფილა!.. და ამისთანა ავაზაკებს კიდეკ ალაპარაკებ?!. ხვალვე უბრძანე: ჩამოართვან სულ-ყველაფერი და თითონ იმას კი ორმოში უკარ თავი!..

— ეთერ, შვილო, შენგან მაგის თქმას არ მოველოდი?!.

— შენ თითონ რამდენჯერ მითხარ, სხვა ბატონები აწიოკებენ თავის ყმებს... და შენ კი შენი ყმისაგან ვერ გიყიდნია!..

— ეთერ, მერე რა კარგ საქმეს აკეთებენ ისენი, რო აწიოკებენ?!. და მერე მახარე ყმა არაა... ხელოსანი თავისუფალია!..

— არ ვიცი, ის ვიღაც ოხერი მახარე თავისუფალია, თუ არა?!.— ეს კი კარგად ვიცი შენ მიწა წყალზე ცხოვრობს და შენვე გეურჩება... მამავ, უნდა უეჭველად ის... ის რაღაც არის ჩემი იყოს... გთხოვ, გეფერები!..

— კარგი, შვილო, კიდევ, შეეცდები. ლილა ადრინათ ვნახავ და ყოველივე საშუალებას ვიხმარ, გამოვართვა... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თუ ხვალ ვერ მოვახერხე თითონვე ხვეწნას დაგვიწყებს შეეიძინოთ. ხელოსანმა თავისი გაკეთებული ნივთი თუ არ გაყიდა, ვერ იცხოვრებს...

— მაგრამ, მამავ, ჩქარა მინდა!..

— მარტო მაგაშია განსხვავება, რამდენად ჩქარა მოხდება ეს... ვეცდები კია...

— სრულებით სასიამოვნო არაა, სხვას მიჰყიდოს...

— ვის უნდა მიჰყიდოს!..

— ვის და ცოტა მთხოვნელები მოდიან?... თუ კი გაიგეს ჩემი ხმა იმ „შიშის ზარშია“ გამომწყვდეული...

— მართალს ამბობ, შვილო, ცოტა შემკრთალმა უპასუხა... უეჭველად ვეცდები როგორმე დავიყოლიო და ჩქარა გამოვართვა...

3

კაცია ბატონს სამეფოს აღმოსავლეთი მიდამოები ეჭირა და ამისთვის განაპირა მხარედ ითვლებოდა. კარგა დაშორებული იყო მეფის სამფლობელოზე შუაში რამდენიმე საბატონო იყო, და მგზავრი ფეხს ვერ აუქცევდა ამ საბატონოებს, თუ გელასკენ მიმავალი იყო, ან იმისგან მეფისკენ...

მართალია კაცია და იმისი ქალი ეთერი პირად ვერ იცნობდნენ სეფის-წულ ნადირას, მაგრამ მათ შუა მყოფი მებატონეები ხომ თითქმის ყველა იცნობდა და ნადირა, როცა მამამ გზა დაულოცა, საგონებელში ჩავარდა, თუ როგორ აეხვია იმათთვის, ან თუ ეს შეუძლებელი იყო, რა მოეჩმახა, რომ თავისი განზრახვა არ გამოემჟღავნებინა...

ცოტა მოფიქრების შემდეგ მოაგონდა თავის ერთგული მონადირე ირემა და მაშინვე მოიხმო.

— ჩემო ირემავ, ჰყოფილხარ ოდესმე კაციას საბატონოში?!.

— როგორ არა, დიდებულო სეფე-წულო, ხშირად ვყოფილვარ იმის საბატონოში. ძალიან პურ-მარილიანი კაცია და ყმებისთვის თავდადებული... იმის მომდურავს ადამიანის შვილს ვერ იპოვი...

— ეგ ძალიან კარგი!.. გააწყვეტინა სიტყვა სეფე-წულმა ირემას... შეგეძლება ისე მატარო, და კაციას სამფლობელოში მიმიყვანო, რო გზაში სხვა მებატონეები არ შეგვხდნენ?..

— ძნელი იქმნება, თუ შარა გზით ვიარეთ...

— სხვა გზა კი არ მოიპოვება?!.

— როგორ არა, მაგრამ ცხენისთვის ცოტა ძნელი სასიარულო იქმნება...

— სიძნელეზე ნუ ჰდარდობ!..

— მაშინ წინ არა უდგას რა... მწყემსების მეტი და ნადირისა ჩვენ არავინ შეგვხდება...

— კეთილი. ხვალ დილით ადრიანად გავემგზავრნოთ...

— კეთილი...

— გაფრთხილებ კი, ხვალიდგან მე სეფე-წული არა ვარ... ვინმე მებატონე, და არა სეფე-წული... ნამეტნავად კაციას შინა-ყმებთან ფრთხილად იყავი. მარტო კაციამ თუ გკითხა ჩემზე რამ, მხოლოდ იმას უთხარი, რო მე მეფის კარის კაცი ვარ... მეფის სურვილი ასეთია, რადგანაც საიდუმლოდ მომანდო საქმის გამოძიება... იმაზე ერთმა მებატონემ საჩივარი შემოიტანა. რაკი...

— უთუოდ ტყუილად ედავება ის ვილაც...

— მეფეც მაგრე ფიქრობს, და ამისთვის მე მომანდო, რაკი სხვას არ ენდობა... კაცია მე არ მიცნობს, არც სადმე ვუნახივარ... ეს ძალიან აადვილებს მეფის დავალებას... მეფის ნებითვე მხოლოდ შენ გიუბნები ამას, რადგანაც მეფეს შენზე მოვახსენე, ჩემი ერთგულია და სანდოა...

— სეფე-წულო!.. განა ღირსი ვარ მაგ ნდობისა?!.

— ეგ ხომ შენ უფრო კარგად უნდა იცოდე!..

— მაშ ხვალ დილა ადრიანად?!.

— ჰო, ჩემო ირემავ, ეხლავე შედი საჯინიბოში და უთხარი ჩემი სახელით ორი ბედაური დაგვიმზადონ... მერე სამხარეულოში და იქაც ეტყვი, საგძალი დაგვიმზადონ...

— იმდენს რას წავიღებთ, დიდებულო სეფეს-წულო, რო სამ დღეს გვეყოს... მით უფრო ჩვენ ვითომ სანადიროდ ვართ წასულები...

— მართალს ამბობ, ირემავ,—მაშ მარტო ღვინო და პური წაიღოთ... დანარჩენზედ ზრუნვა შენ იკისრე...

— წელან მოგახსენე: გზაში მარტო მწყემსები და ნადირი შეგვხდება მეთქი. მწყემსებთან ყველა ხორაგს ვიშოვით, გარდა ღვინისა, და თუ შემთხვევით ნადირის ხორცსაც მივუმატებთ, მაშინ ხომ ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფავს... ჩვენ ხომ მართლა სანადიროდ არ მივდივართ... უნდა ჩქარა ვიაროთ, თორემ გზა დიდია... თუ რიგიანად ვიარეთ, მხოლოდ მესამე დღეს სადილობისას კაციასთან ვიქნებით...

— მაშ მარტო ღვინო წავიღოთ?.. მართალს ამბობ, ჩემო ირემავ, ეგრე იყოს!..

ირემა გამოელამემშვიდობა სეფე-წულს. სეფე-წული კი ეთერზე ფიქრმა გაიტაცა...

ეთერი არ ენახა. ეთერი აგერ ეს რამოდენა ხანია სანატრელად გაუხდა. ხშირად, როცა მარტოკა რჩებოდა თბილ მთვარიან ღამეს მხოლოდ იმაზე ფიქრობდა და ამ ფიქრებში ეთერი ეხატებოდა აუწერელ სილამაზისა, მომჯადოვებელ ქმნილებად... იქმნება ამაში დამნაშავენი იმისი ტოლ-ამხანაგები იყვნენ, რომლებიც გულწრფელად უამბობდნენ თავიანთ გაწბილებას?!. ხომ ყოველთვის ეთერისგან უკუგდებული მთხოვნელი მეფეს ესტუმრებოდა და სეფე-წულს უამბობდა თავის თავ-გადასავალს... „არც თუ მაგრე სახარბიელოა... ძალიან თავგამოდებულია...“ დაუმატებდა ხოლმე ზოგიერთა მათგანი... სეფე-წული კი გულიანათ იცინოდა... იცინოდნენ იმასთან ერთად გაწბილებულებიც...

როცა ისენი ჰშორდებოდნენ, მაშინ სულ სხვა გუნებაზე დგებოდა. ენატრებოდა ეთერის ნახვა... ფიქრობდა თუ როგორ ენახა ეთერი... ამ ფიქრმა ისე

შეიპყრო, რო გარშემო სხვას ვეღარავის ამჩნევდა, იქნება ეთერზედ უფრო ლამაზს...

ეთერი იმისთვის იყო მომხიბვლელი, რომ უხილავი იყო... იმაზე მხოლოდ ლაპარაკობდნენ, აქებდნენ... აძაგებდნენ... მაგრამ ყველა მძაგებელი და მაქებარი, თურმე მთხოვნელი იყო, რა სეფეს-წული ირკვევდა... ყველა ესენი ეთერისგან უარყოფილნი იყვნენ... აი, ეს აორკეცებდა იმის სურვილს და თვალს უბლანდავდა...

სხვა ქალები კი მშობლებთან ერთად ხშირი სტუმრები იყვნენ. ის იმათ შორის ტრიალებდა და ადარებდა იმისივე ოცნების ქმნილ ეთერს და არც ერთზე გული არ მისდიოდა... რასაკვირველია, ოცნების ქმნილს ვერც ერთი ხორციელი ვერ შეედრებოდა.

თითქმის განთიადისას ოდნავ მიელულა, რომ ირემა უკვე კარს მოადგა ორი ბედაურით...

4

ეს მესამე დღე იყო, რაც ბატონი მახარეს ევაპრება და ვერას გამხდარა. მახარე ყოველთვის ერთსა და იგივე პასუხს აძლევდა: „ფას დაუდებელიაო“. ოქრო-მჭედელსაც აკვირვებდა, თუ მახარე რის იმედით არ აძლევდა ბატონს... საკმარი ლითონი აღარ დარჩათ, რომ გასასყიდ გასაცვლელი ნივთები დაემზადებინათ და ამით ჯერ-ჯერობით ხელი მოენაცვლათ. ერთხელ კიდევაც ურჩია ოქრომჭედელმა მახარეს:

— შვილო, მიეცი ბატონს, თორემ, ვაი, თუ მერე ვინანოთო!..

— საყვარელო მამავ, უპასუხა მახარემ, მირჩევნია ეს ბაგე ისევ ლითონებად დავანაწილო, ვიდრე ჯერ-ჯერობით გავშორდე... თუ შენი ნებაა, მიეცი, მამავ, მე კი თანხმობას ნუ მათქმევინებ...

— არა, შვილო, უშენოთ რისამე გაცემას ვერ ვიკისრებ ეხლა, მით უმეტეს მაგ ქმნილებისას... და ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია ოქრო-მჭედელს. ბატონსაც ესეთივე პასუხი უთხრა ოქრო-მჭედელმა, და იმანაც თავი მიანება ამის შემდეგ. ეხლა მხოლოდ მახარეს-ღა ევაპრებოდა...

ბატონი პირველ დღესვე ისე გაჯავრდა, რო გადასწყვიტა აღარ შეჰვაპრებოდა, მაგრამ ეთერი აღარ უსვენებდა...

აი, მესამე დღეს კიდევ მოვიდა ბატონი; გამოიხმო გარედ მახარე და შარა გზისკენ სწორედ კოშკის პირდაპირ გაიყოლია...

— შვილო, მახარე, ის მაინც მითხარი, რა მიზეზით?!. მაშ რისთვის გააკეთე ე „შიშის ზარი“, თუ კი არ გაჰყიდიდი... ან არ გარდასცვლიდი?!.

— ბატონო, ეს მხოლოდ ჩემთვის გავაკეთე... ხმა ისეთი მომხიბლავი იყო, რო მინდოდა მაშინვე გამომემწყვდია რაშიმე, რომ მუდამ ჩემთან ყოფილიყო; და, აი, მოვახერხე ეს... ეხლა კი შენ მეუბნები მომეციო... მერე მე რაღა დამრჩება?!. შენ შენი ქალი გყავს თავის ხმით, მე კი მხოლოდ შენი ქალის ხმის მგზავსი ხმა... ცოტა არ იყოს გულ-ახდილად მოუვიდა მახარეს და ამის გამო იმის კილოსაც ნაღვლიანობა დაეტყო.

თითქოს უნდოდა ეთქვა: „შენი ქალი მიყვარს... ის მე არ მიკადრებს... შევძელ იმის მომჯადოვებელი ხმის ოდნავ მიბაძვა... სახსოვრად, სანუგეშებლად ეს მინდა მქონდეს, და ამის ხელიდგან გამოცლაც გინდათო“...

ბატონი ოდნავ მიუხვდა და ჩაფიქრდა...

უეცრივ ორივემ იქით მიიხედეს, საიდგანაც აჩქარებული ცხენების ფეხის ხმა ამ დროს მოისმა, და ორივემ დინახა იმათკენ მომავალი ორი მხედარი... ცხენები მთლად ქაფში ცურავდნენ.

ბატონი და მახარე გზის პირისკენ მიდგნენ. მხედარნიც მოუახლოვდნენ და მიემშვიდობნენ...

— გეთაყვათ, ბატონი კაცია შინ იქმნება, თუ არა?!.

— მიბრძანეთ, თქვენი მორჩილი მონა კაცია თქვენ წინა სდგას!..

— ახ, წამოიძახა ერთმა მხედარმა და სწრაფად გადმოხტა ცხენიდგან და აღვირის ტოტები მეორეს გადუგდო, რომელმაც მიჰბაძა პირველის მოძრაობას და თითქმის პირველი მიწას დაეშო.

— უკაცრავად, ბატონო კაცია, ასე კადნიერად რო მოგმართეთ!!.

— რას მიბრძანებთ, ბატონო, შუბლზე ხომ არ გვაწერია ვინა ვართ... შენ კი ძალიან ზრდილობიანად შემოგვეკითხე... მაგრე ზრდილობიანად მეფეც არ შემოგვეკითხებოდა...

— რასა ბრძანებთ, ბატონო კაცია, მეფის კარის-კაცი ვარ და მხოლოდ იმისგან ვისწავლე ზრდილობა.

— მეც მაგას მოგახსენებთ, მეფეც ვერ შემოგვეკითხებოდა მეთქი. ეხლა ვხედავ, თუ მაგრე ზრდილობიანად რად შემომეკითხე; მეფის კარის-კაცი რო არ ჰყოფილიყავი, ვერ მოახერხებდი. მაგრამ რა დროს მაგაზე ლაპარაკია, წამობძანდი... თქვენი ცხენები მოწმობენ ძალიან დაღლილები იქნებით...

— მართალს ამბობ, ბატონო კაცია, ეს მესამე დღეა, რაც უგზო-უკვლოდ მთა-ღრეს მოვედენით და დავეძებთ ფარშევანგს... გვინდა ვიპოვოთ...

— განა მეფეს გაუფრინდა ფარშევანგი?!.

— არა, ბატონო, მეფეს კი არა, ერთ მებატონეს, რომელსაც მეფე ძალიან. პატივსა სცემს და უყვარს კიდევაც. იმის ფარშევანგის შესახებ მოვიდა ცნობა

მეფემ მაშინვე გვიბძანა: მოუნახე ფარშევანგი და ჩააბარეო...

— ბედნიერი ყოფილა ის მებატონე, რო აგრე ზრუნავს მეფე!..

— ნუ გშურთ, ბატონო, მეფე ყველაზე ზრუნავს... იქმნება შენ უფრო უყვარხარ მეფეს...

— მაინც ფარშევანგისა რა გაიგეთ?..

— რას გავიგებდით!.. ტყუილად ვეხეტიალეთ და შენ საბატონოში რო გადმოველით შარა გზაზე, გვითხრეს:

„ფარშევანგს გაფრენა სრულებით არ უფიქრნიაო და მშვიდობით იმყოფება ბატონის კოშკშიაო“...

— ხა, ხა, ხა!.. გულიანად გადიხარხარა კაციამ, მაშ სულ ტყუილად მოგიხდათ სამ დღეს ტყე-ღრეს სიარული?!.

— სულ!.. მერე რა გულის ფანცქალით ყურს ვუგდებდით, იქმნება საიდგანმე შემოგვესმას ფარშევანგის ხმა...

— ვგრძნობ, რანაირად უნდა გფანცგალებოდა გული...

ამ ბაასით გაიარეს შარა გზა, სასახლის გალავანში შეიდნენ და სასახლის კარს მიადგნენ... მიიპატიჟა კაციამ სტუმარი და ეხლა ღა მოჰკრა თვალი, რო ირემა ფეხ და ფეხ მისდევდა იმათ და თან ორ ცხენს მიიყოლიებდა.

— ვეჟო, ეს კი სულ გადამავიწყდა... საჩქაროდ უბრძანა ცხენები ჩამოერთმიათ, დაებინავებინად ცხენები და იმისთვისაც ბინა ეჩვენებინათ... კარგა გაუმასპინძლდით მაგასო!.. დაუმატა ბატონმა.

5

როცა ბატონმა მახარე გამოიყვანა გარედ და კოშკის პირდაპირ შარა გზაზე დაუწყო ლაპარაკი, ეთერი ამ დროს მალვით გამოიცქირებოდა და უნდოდა ბაასის დროს გამოეცნო მახარის და მამის სახის გამომეტყველობით შედეგი. ისე მოუთმენლად ელოდა „შიშის ზარის“ შეძენას, რომ მამის დაბრუნებას ველარ უცდიდა გულ-გრილად .. მით უფრო მამამ უთხრა: „დღეს უკანასკნელად შევეკითხები ი ბალღს. თუ დღესაც ვერას გავხდი, ჩემო ეთერ, უარს ვამბობ იმასთან ვაჭრობაზე“...

აი ამისთვის ამოეფარა სარკმლის პირას და თვალ-ყურს ადევნებდა იმათ. დღეს პირველად ნახა მახარე .. ღმერთო, რანაირად არა ჰგავს იმათ, რომლებიც მოდიან და თხოულობენ ეთერს!.. ამის მგზავსი არა უნახავს რა!.. ნამეტნავად როცა იმის მამას რაღაცას ეუბნებოდა, ოჰ, რანაირი ძლიერი სახის და თვალის გამომეტყველება ჰქონდა?!. აკი იმისი მამაც ჩაფიქრდა!.. „ნეტა რა უთხრა ისეთი?!“ გაიფიქრა ეთერმა...

რა საშინლად ეწყინა, როდესაც ორი მხედარი წინ აეფარა და მახარეს ვუ-ღარ ჰხედავდა...

„ეს ვიღაც ახალი მთხოვნელი მოვიდა“!.. გაიფიქრა ეთერმა და მაშინვე გარდასწყვიტა: „უნახავად გავისტუმრებ... მერე რას ჰგავს... გაუთლელ მორგვს“... მერე რა ესიამოვნა, როცა იმისი მამა და ის ვიღაც თვალს მოჰშორდნენ და იმის თვალ წინ მხოლოდ მახარე იდგა ნაღვლიანი და იმათკენ გაიცქირებოდა... შემდეგ დაინახა, როგორ ამოიოხრა, თითქმის გული თან ამოაყოლა ამ ოხვრას და თვალები იმის სარკმელს მიაპყრო... ჟრუანტელმა აიტანა ეთერი... ტანი შეუსველდა... რა ძლიერი გამომეტყველება ჰქონდა მახარეს თვალებს, რო ეთერს მუხლები ჩაუკეცა...

— შვილო ეთერ, რატომ მაგრე ჩამჯდარხარ?!. შეეკითხა მამა, როცა ეთერ-თან შემოვიდა და ასეთი სურათი დაინახა...

ეთერმა ძლივას გონება მოიკრიფა... ზლაზნით წარმოსდგა და მამას ნა-ღვლიანი თვალებით შეეკითხა:

— მამავ, რა ვითხრა?..

— ვინ?

— ახალმა ოქრო-მჭედელმა!

— შვილო, როგორც გითხარ, იმას აღარ შეევეჰრები... მგონია, სულელს შეჰყვარებიხარ და ის შენი ხმა თავისთვის გაუკეთებია!..

— ეგ შეუძლებელია! განა არ იცის ჩვენ შორის რა დიდი განსხვავებაა?!.

— რო იცის, აკი იმისთვის შენ ხმას იჭერს და ამწყვდევს რაღაც „ზარში“... მაგრამ ამას თავი დავანებოთ... დრო მივსცეთ მახარეს და თითონვე მოგვიტანს და შემოგვეხვეწება იმის ნახევარ ფასშიაც, რასაც ეხლა ვაძლევთ... მამისამ მით-ხრა, სამუშავო ლითონი თითქმის აღარ დარჩენიათ... ახლა კი სასიამოვნო ამბავი უნდა გითხრა: ეს არის ეხლა გვეწვია...

— ვიღაც კიდევ ჩემი მთხოვნელი?!. იმედია, მეფის შვილი არ არის...

— ოჰ, შვილო, შენ ძალიან მაღლა ასწიე... მერე კიდევ მთხოვნელი არ არის. როგორც ეტყობა, ცოლიანი უნდა იყვეს...

— მაშ ვინ არის?..

— მეფის კარის კაცი...

— რისთვის მოსულა?!.

— შემთხვევით... მეფეს გაუგზავნია გაშინაურებულ ფარშევანგის საძებნე-ლად, რომელიც ვიღაც მეფის საყვარელ ბატონისათვის გაუფრთხვიათ, და ბევრი ხეტიალის შემდეგ საჩემოში შემოსულა... ხვალვე უკან წასვლას აპირობს...

— მერე ფარშევანგი უპოვია?..

— არა, რადგანაც ფარშევანგს გაფრენა არც კი უფიქრია... საჩემოში როგადმოსულა, მაშინ გაუგია... ეხლა დღეს ჩვენთან დარჩენას აპირობს და დილაზე კი წავა...

— მერე მე რა?!. მგონი, რაღაც მოპორებულია ეგ ამბავი... მოუგონია, მხოლოდ იმისთვის, რო მნახოს და თუ მოვეწონე, მითხოვოს...

— შვილო, როდის აქეთ არის ეგეთი ბრძენი გაჰხდი?!. აკი გითხარი, ცოლიანი უნდა იყოს მეთქი... მერე ზედ ეტყობა, რო მართლა ღრე-ტყეში უვლიათ საძებნელად...

— მართლა კი მეფის კარის კაცია?!.

— ეგაც ეტყობა... ეგრე ზრდილობიანი და თავაზიანი სხვა არ იქნება, თუ არ მეფის კარის კაცი...

— მაშ კარგი!.. ვეცდები თავაზიანობაში არ ჩამოვრჩე...

— მაშ წავიდეთ, შვილო, სადილობაა... მერე ნამგზავრია...

— ეხლავე მოვალ, მამავ, სადილი ხომ მზად არის?!.

— ჩემო კარგო, როდის არ ყოფილა მზათ?!.

— მაშ კარგი...

ეთერმა გაისწორა ტანისამოსი, როცა მამა გავიდა ოთახიდგან, მახარესგან გაკეთებული ქინძისთავი გაიკეთა და წავიდა დარბაზისკენ, სადაც სტუმარი იყო...

ეთერი შევიდა თუ არა, სტუმარი ფეხზე წამოიჭრა, წამს დაიბნა... ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ეთერის სიმშვენიერემ...

ეთერი მიემშვიდობა... კეთილი იყოს შენი მობრძანება, ბატონო!..

— ოხ, დედოფალო!.. წამოიძახა სეფე-წულმა, როდესაც ეთერის მიმშვიდობიანობაზე გონს მოვიდა.

— ოჰ, ბატონო, შეგცდა!.. დედოფლის წინ არ სდგეხარ... გეტყობა, სასახლეში დასჩვეულხარ ეგრე მიგებებას!..

— იქმნება ენამ მიყივლა!.. ხუმრობაზე გადავიდა სეფე-წული. შეეშინდა, არ გამოიმეტლავნონო...

— ენის ყივილი, მამლის ყივილს წაგავს... ხშირად უდრო-უდროდ ყივის, რაც განთიადს არ მოასწავებს...

— ერიჰა, ჩემო კარგო, წამოიძახა კაცია ბატონმა: მშიერ კაცს ყივილით არ ჰკვებავენ!..

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მიჰმართა ეთერმა სტუმარს: მამა მართალს ამბობს... მობძანდი!.. და წინ გაუძღვა...

სეფე-წული უკან მიჰყვა აღტაკებული ეთერის სხეულის რხევით, თან ჯავრი მოსდიოდა, რომ ეთერის სამოსი ისე ანაოჭებილი იყო, რაც იმის კუნთების მოძრაობას ჰფარავდა...

სადილიდ, რა გინდა სულო და გულო, რო არ მოეტანათ... დიდ ხანს გაგრძელდა სადილი. სეფე-წული და ეთერი ერთმანეთს უფრო გაუთამამდნენ... ნამეტნავად ეთერი დაწვრილებით ჰკითხავდა მეფის ცხოვრებაზე: როდის წვება, როდის სადილობს, როდის მეფობს და ბევრ სხვა რამეზე ეკითხებოდა მეფის ცხოვრებაზე. ბოლოს გაკვრით ჰკითხა სეფე-წულზე, თუ ის როგორიაო და ან რას აპირობსო...

— რა უნდა დააპიროს?.. მეფემ უთხრა: შვილო, ჩქარა ცოლი შეირთე, რო ტახტი დაგილოცოვო...

— მერე რატომ არ შეირთავს ცოლს?... ცოტა შემკრთალის კილოთი შეეკითხა ეთერი... ან იქმნება უკვე შერჩეული ჰყავს და მართლაც ჩქარა შეირთავს!..

ეთერი გულის ფანცქალით მოელოდა პასუხს, მაგრამ ცდილობდა სახის გამომეტყველებას არ გამოემჟღავნებინა იმის სულის კვეთება...

— არა მგონია, ჰყვანდეს ამორჩეული, რადგანაც ამის წინათ ქალთა კონა გარს ეხვეოდა, და, როცა ეს კონა გაიფანტა, წამოიძახა არც ერთს იმათგანს არ უდგება ჩემი გულიო...

— მერე შენთანა სთქვა ეგ მაგ ლექსით? .

— როგორც ეხლა მე შენ წინ ვამბობ...

— უჰ, რა წუნია ყოფილა!.. სიცილით წამოიძახა ეთერმა და იმედი მოეცა... ამავე დროს „შიშის ზარი“ წამოუდგა თვალწინ და იმისი გამკეთებელი მახარე თავის ნაღვლიანის თვალებით.

„შიშის ზარის“ შეძენის საშინელმა სურვილმა შეიპყრო. თითქოს იმის გადედოფლება მხოლოდ ამ ნივთის წყალობით შეიძლებოდეს... „თუ კი ის ჩემ ხელთ არ იქნება, რა უპირატესობა მექმნება სხვა ქალების წინ, თუ კი ისეთი წუნიაა...“

— წუნია კი არა, ცოტა სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა სეფე-წულმა, ბედს ელის... და იმედია ბედიც მალე კარს მიადგება...

— რატომ გგონია?!.

— ბატონო კაცია, მეფე თქვენზე ცოტათი გამწყრალია!.. თითქოს ეთერის შეკითხვა ვერ გაიგონაო, ბატონ კაციას გამოელაპარაკა.

— ჩემზე?!. გაკვირვებით შეეკითხა კაცია.

— ეთერიც სმენად გარდიქცა, და ფერი ეცვალა.

— დიახ, დიახ შენზე... სწორედ წინა დღეს გვქონდა შენზე ლაპარაკი და...

— რაზე მოვგონებივარ?!. ღვთის მადლით არ ვაწუხებ, კარს არ ვუიტლახებ... ვცხოვრობ ჩემთვის, რო მეფე არ შეეაწუხო მეთქი და, რა მესმის გი-,

წყრებაო!.. უთუოდ ცუდი ენა ამოძრავებულა ჩემ წინააღმდეგ მეფის წინაშე.

— დამშვიდდი, კაცია ბატონო, არავის ცუდი ენა არ ამოძრავებულა შენ წინააღმდეგ. პირიქით, ყოველთვის შენზე კარგი ხმები მოდის და, აი, სწორედ ეს სწყინს მეფეს და ამბობს: „ერთად-ერთი კარგი მებატონე მყავს და სწორედ ის ერთხელაც არ მეწვევა, რო გული გადავაყოლოვო“...

— მართალს ამბობს ბატონი...

— ნადირა მქვიან!..

— მგონი სეფე-წულსაც ნადირა ჰქვიან.

— სეხნიები გახლავართ!

— მართალს ამბობს ბატონი ნადირა მეთქი, მამავ!.. რაც თავი მახსოვს, ერთხელაც არა ჰხლებიხარ მეფეს... აი, ადექ, და ხვალვე გაემგზავრე მეფისკენ და ბოდიში მოუხადე...

— მეფესთან არ მივდიოდი, რო არ შემეწუხებინა, და თურმე ეს დანაშაულად მეთვლება... მაშ, თუ ეგრეა, ეთერის თქმისა არ იყოს, ხვალვე გავემგზავრები...

— ძალიან აჩქარებული იქმნება მარტო შენი გამგზავრება, ბატონო კაცია!... მეფეს უეჭველია ძალიან გაუხარდება, მაგრამ ამავე დროს ეწყინება კიდევაც...

— რისთვის?

ეთერმა აღარ იცოდა, რა გაეფიქრნა...

— უთუოდ არც კი იცი, ბატონო კაცია, რო მეფეს ჰყავს საყვარელი ასული მარეხი, რომელიც სულთა-მხუთავივით თავს ადგას და უეჭველად პირველად სტუმარს ერთსა და იმავეს ჰკითხავს, რასაკვირველია, სტუმარი თუ ხნიერია: ასული გყავს?... მაშ რატომ არ მოიყვანე?!.. შენ კარგი მამა არა ჰყოფილხარ... მეფევ, ამ კაცს სახლში ნულარ შემოუშვებ...

— უჰ, რა ავი რამ ყოფილაᲐ?!.. წამოიძახა ეთერმა...

— არა, ავი კი არა, ძალიან გულკეთილია და გულკეთილობით მოსდის ეს.. კარგად ვიცი იმისი ხასიათი... იმას ჰგონია, ქალებს განგებ შინ ამწყვდევენ და არსად არ მიჰყავთო...

— მაშ, შვილო ეთერ, შენც წამოსვლა მოგიხდება!...

— ჯერ ვერას გეტყვი... ვშიშობ, სხვანაირად არ იფიქრონ...

— რას მიბძანებ, ბატონო, ვის შეუძლიან სხვანაირად ფიქრი...

— სასახლეში მარეხის და მეფის მეტი რო არავინ იყოს, მაშინ სიხარულით დავთანხმდებოდი წასვლას, მაგრამ იქ სეფეს-წულიც არის, რომელიც, როგორც შენა სთქვი, საცოლეს ძებნაშიაო... დამშვიდებით წარმოსთქვა ეთერმა: ვაი, თუ სთქვას: ქალთა კონას ერთი ქალიც მიემატა, რომელსაც სახელად ეთერი ჰქვიანო

და ისიც იძულებული ვიყავ გამებნიაო!... არას დროს!... არას დროს ამისთანა საქმეს არ ვიკისრებ...

სეფე-წული წამს შეწუხდა. იფიქრა საქმე წაეგგეო... ისე ვერ მოვახერხე, როგორც მინდოდაო, და ეხლა ერთად ერთი გზა დარჩენოდა, გამოემეღლავნებინა თავისი თავი და ეთერი ცოლად ეთხოვნა... მაგრამ, გაიფიქრა, რო უარი მითხრასო!... შეკრთა... უეცრივ თავში გაუელვა ერთმა მოსაზრებამ და სწრაფად წარმოსთქვა:

— ტყუილად გეფიქრებათ ეგ... სეფე-წული, თუ შენ არ მოისურვებ, არ გეჩვენება... ამის თავდები მე ვიქნები. მე კი ხომ ნება მექმნება დრო გამოშვებით შენ და მარეხთან შემოვიდე, ან კიდევ სადილობის დროს თქვენთან ვისადილო?!

— ოოო, რა საკვირველია, თუ წასვლა გადავწყიტე!

— რაღა გიშლის ხელს?!

— ბევრი რამ!... ეთერი ოცნებამ გაიტაცა... „შიშის ზარი“ ხელთ უჭირავს... ერთად მღერიან... სეფე-წულს ესმის ეს მღერა... იმას აკრძალული აქვს ეთერის ნახვა... ვეღარ ითმენს. . შემოვარდება და იმის წინ ემხობა... „აღარ შემიძლიან... გევედრები, მომხიბვლელო, დედოფლად გაჰხდე...

სეფე-წული შესცქეროდა ეთერის აღგზნებულ სახეს და თითქმის ეთერის ოცნების გამართლება მოიწადინა... მაგრამ თავი შეიმაგრა და ოდნავ წაილულღლუღა:

— რა ბევრი რამ?!..

გამოერკვია ეთერი... „შიშის ზარი“ თვალწინ დაუდგა... მახარეც თავის თვალებით... ტანში ჟრუანტელმა დაურბინა...

— მაინც ამ წამს ვერ გარდავსწყვეტ წასვლას... დილაზედ იქმნება გითხრათ...

— შვილო ეთერ, რაღა დილაზე, ეხლავე მითხარ და სამხადისს შევუდგები...

— მართალს ბრძანებს ბატონი კაცია, დილაზე ერთად წავალთ...

— არ შემიძლიან... მხოლოდ დილაზე გეტყვით, თუ როდის შემეძლება...

— მაშ შენ პასუხს მოვუცდი, თუმცა გადაწყვეტილი მქონდა დილაზე მამლიყივილისას წავსულიყავი.

— ეგ შენი ნებაა... ეხლა კი, მაპატიეთ, და დილამდის გამოგემშვიდობებით...

— იმედია, დილაზე „ჰო“ იქმნება პასუხად...

— შეიძლება.

6

„შიშის ზარი“ და „დედოფლობა“ ისე გადაიხლართნენ ერთმანეთში ეთერის გონებაში, რომ ვეღარ ითმენდა ბოლომდის განეგრძო სტუმართან ბაასი... აკი მაინც ვერ მესძლო და გამოემშვიდობა... თავში ერთი აზრი უტრიალებდა: „სე-

ფე-წული წუნიაა... ეთერი ხელ-ცარიელი ვერას გააწყობდა... მაშასადამე ხელთ უნდა ჰქონდეს ისეთი თილისმა, რომელიც სეფე-წულს ქედს მოახრევინებს," ამ თილისმას კი „შიშის ზარში" ჰხედავდა; მაგრამ როგორ შეიძინოს?!..

რადაც უნდა დაუჯდეს შეძენა აუცილებელია, თუ კი დედოფლობა უნდა... დედოფლობა კი... უჰ... სიგიჟემდის მიდის...

მამამ ვერა გააწყო რა, და ეხლა თითონ უნდა შეეცადოს...

ეთერი გამოემშვიდობა თუ არა თავს კოშკს მიაშურა, რო თავის ოთახში მოეფიქრნა, რა გზას დასდგომოდა... შევიდა თუ არა კოშკში, მაშინვე ფარულ-მა კარმა მიიპყრო იმისი თვალი; კოშკის ძირის სართულის კედელში შეუმჩნევლად დატანებული იყო... ამ კარის არსებობა არავინ იცოდა, გარდა კაცია ბატონისა, ეთერისა და გადიხსა...

ამ კარით სარგებლობდნენ კაციას წინაპრები, როდესაც მტერი გარს შემოერტყმოდა და ჭლამობდა აღებას, რადგანაც ეგონა ციხის წყალი არ ექნებოდათ, რაკი ციხის წყაროს სათავეს ჩაჰშლიდნენ და წყალს მოწყვეტდნენ... მაგრამ ამაოდ... ციხეში უწყლოობით არავინ შეწუხებულა. ეს კარი ჰფარავდა გვირაბს, რომელსაც მდინარის მიუვალ ნაპირამდის გაჰყვანდა კაცი... აქედგან შემოჰქონდათ წყალი და სხვა სანოვაგეც ხშირად ამ გზითვე მეომარნი გადიოდნენ; ღამე უეცრივ თავს ესხმოდნენ და გულ-გახეთქილი მტერი, თუკი ვინმე ცოცხალი გადაურჩებოდათ, უგზო უკვლოდ გარბოდა...

მდინარის ისეთ ნაპირას გადიოდა, სადაც გარეშე ადამიანის ფეხი ვერ მოჰხვდებოდა და ვერც მიუდგებოდა ვერც დღე და ვერც ღამე... ცოტა ქვევით კიდის პატარა ველზე განმარტოვებით ვერხვი მედიდურად იყო ამართული და გაიცქირებოდა ქვევით, თითქოს თვალყურს ადევნებს მხიარულად მჩქეფავ მომღერალ მდინარეს...

რამდერჯერ ეთერი და გადია გვირაბით გამოდიოდნენ მდინარის პირას, ბანაობდნენ მდინარეში და შემდეგ ამ ვერხვის ქვეშ სიცხეში მოუსვენიათ...

მდინარის ნაპირი და ვერხვი გვირაბით ახლოს იყო, მაგრამ კოშკიდგან ისე გზით კარგა მოშორებით იყო, რადგანაც რამდენიმე გორაკები უნდა გადევლო, რო მდინარის პირას მისულიყო... აქიდგან კი ოდნავ მოსჩანდა ვერხვი, რომელსაც არავინ ყურადღებას არ მიაქცევდა, რადგანაც ის აქიდგან მთაზე შეფენილ ტყეს უერთდებოდა, და ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ ვერხვს დაუჭერია წარმტაცი მიდამო...

არც ადვილი იყო იმ ვერხვამდის მისვლა... კიბე-კიბე კლდეზე უნდა ბობღით აჰსულიყავი, რო გენახა ის მიდამო...

და არც არავინ ადიოდა იქ, და ვერხვზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ...

სწორედ ეს ობლად მდგომი ვერხვი წარმოუდგა ეთერს, როდესაც გვირაბის კარი დაინახა და მაშინვე ყველაფერი გაითვალისწინა... „ეთერმა ამაღამ მახარე თავის „შიშის ზარით“ უნდა ინახულოს იმ ვერხვის ძირას“... სხვაგან შეუძლებელია...

კაცია ბატონს არ დასჭირებია ამ ხვრელით სარგებლობა, რაც მამის შემდეგ საბატონოს ბრძანებელი გახდა, სამაგიეროთ ეთერი და გადია თითქმის ყოველდღე სარგებლობდნენ ზაფხულობით და მთელი საათობით მდინარეში ბანაობდნენ...

ეთერმა მაშინვე მახარესთან გაგზავნა გადია და დაავალა, ყველაფერი საიდუმლოდ ეთქვა: „მთვარის აბოსვლისას მდინარის პირას იდგეს თავისი „შიშის ზარით“ და მაშინ ეთერი თითონ გასწავლის, როგორ მიხვიდე იმასთანო“...

გადიამ ჩქარა შეუსრულა წადილი ეთერს... ყველაფერი მახარეს შეატყობინა და შემდეგ კი ეთერისავე განკარგულებით საუცხოვო ნამცხვარი და სამწვადე გვირაბით ვერხვის ქვეშ დააწყეს... გაიტანეს კიდევ დოქებით შესანიშნავი ღვინო... ეთერი თანდათან თავის განზრახვის ბადეში ებმოდა, ფრთებს ისხავდა, სადღაც, ჯერ სულ უხილავ სამეფოსკენ მიჰქანავდა... წამს სახეზედ სიამოვნების ალ-მული უკრთოდა, წამს კი შიშისა და კრძალვისა...

— გადია, ამაღამ, არ ვიცი, რა მომელის... ამას კი გადაწყვეტილებით გეტყვი: ის „შიშის ზარი“ ჩემი უნდა იყოს და იქნება კიდევაც!..

— იცი, ჩემო კარგო ეთერ, რას გეტყვი?..

— როგორ არ ვიცი!.. „მაკვირვებს შენი საქციელი... გირჩევ ყველაფერს თავი მიანებოვო“!.. არა, ჩემო გადი?!. შეეკითხა ეთერი და გადიკისკასა...

— სწორედ მაგას გირჩევ... მერწმუნე, თავი რო მიანებო, ის ემჯობინება!..

— არა, ჩემო გადი, შენი რჩევა თავს არ მომდის... მარტო ამას გთხოვ: ცოტა ბანგი მიშოვო... არა მგონია დამჭირდეს, მაგრამ ყოველივე შემთხვევისათვის კარგია ხელთ მქონდეს.

— ეთერ, განა უმაგისობა არ იქმნება?!.

— აკი გეუბნები, ყოველივე შემთხვევისათვის!..

— კარგი, მაგრამ არა სჯობია ისევ ბატონი მამა მოელაპარაკოს და...

— ეხლა უკვე გვიან არის... წელანვე ეგ უნდა გერჩია, ვიდრე მახარეს მოელაპარაკებოდი... ეხლა რასაც გთხოვ, ის უნდა აასრულო...

— ეთერ, არ მეგონა წელან...

— ნურც ეხლა გეგონება... ვეცდები ოქრო-ვერცხლით შევძინო... შევაძლევ თან წავიღებ. ვგონებ დავითანხმო... მხოლოდ მაშინ ჩავურევ ღვინოში... ოდნავ რო მიეძინება, „შიშის ზარს“ წამოვიღებ... მამამ მითხრა მძიმე არ არის. ოქრო-ვერცხლს კი ჯიბეში დავუტოვებ...

— თუ მაგრე მოიქცევი, მაშინ შეიძლება..

— შენ კი ჩემ დაბრუნებამდის, თუ მამამ, ვინიცობაა, მომიკითხა, უთხარ: „ჰსძინავს“!..

— უეჭველად!..

7

მახარე გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა გადიამ ცალკე გაიხმო და ეთერის სურვილი გაუცხადა... ვერ წარმოედგინა, თუ ეთერი მარტოდმარტო პირის-პირ შეჰხვდებოდა მახარეს და იმღერებდა... ეს ძილის დროსაც არ ესიზმრებოდა, თუმცა სიზმარი ყოვლად შემძლებელია: კუტს ფეხს აადგმევინებს, ბრმას თვალს აუხელს და მუნჯის ენას აამეტყველებს...

„მაგრამ ეს ხომ სიზმარი არ არის?!..“ გაიფიქრა მახარემ და თვალები მოიფშვნიტა...

არა, არა სძინავს... ჯერ ხომ არ დაუძინია, რაც ბატონი „ბაგეს“ სთხოვდა, და უარი უთხრა... მერე ვიღაცები ცხენებით მოვიდნენ... ბატონი და ისენი გალავანში შევიდნენ... ის კი საოქრო-მჭედლოში დაბრუნდა... მამასთან ერთად ისადილა... მერე სამხარიც ერთად ჭამეს... არ დაუძინია... და, აი, ეთერის გადია ელაპარაკა... ეთერის სურვილი გარდასცა...

„...ეთერი ჩემთან ერთად მდინარის პირას და“... ველარა დაუმატა რა, რადგანაც ეს დაუჯერებელი იყო.

მაინც გუნებაში ოდნავად ემზადებოდა იქ წასასვლელად... თავის ქმნილ „ბაგეს“ რამდენჯერმე გადაჰხედა და უნებურად წამოიძახა:

„ნუ თუ, ჩემო ბაგევ, გაიმარჯვე“?!.

— რაო, შვილო მახარე?!.

— არა მითქვამს რა?!.

— როგორ არა, „ნუ თუ, ჩემო ბაგევ, გაიმარჯვეო!“.. მკაფიოდ მომესმა შენი სიტყვები...

— ეგ სიტყვები ჩემი ნაფიქრებია, მაგრამ არ მეგონა, თუ სიტყვებში გამოეხატე... მეგონა გავიფიქრე...

— არა, ხმამაღლივ სთქვი, თორემ, აბა, როგორ შემოგეკითხებოდი...

— რა ვიცი, ბატონი ისე ჩამომციებია, რო აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე?!.. აგერ, წელან რო აქედგან გამიხმო, ბატონის ასულის გადია იყო... ისიც ჩამაცივდა ბატონის ასულის მხრივ...

— ჩემი აზრი იცი, შვილო, და კიდევ გიმეორებ: სჯობია მისცე... და თუ-

კი მაგრე გენატრება მაგისი ეგრე ყოფნა, შენ ხელთ არ არის?!.. იმოდენა საფასურს გაძლევს ბატონი, რო ხუთი მაგისთანა შეგიძლიან გაიკეთო...

— მართალს ამბობ, მამავ!.. ამალამ კიდევ ვიფიქრებ!..

ამ დასკვნით გათავდა მახარისა და ოქრო-მჭედლის საუბარი... ცოტა კიდევ იმუშავეს და კიდევაც შემოალამდათ...

ოქრო-მჭედელი შინ წავიდა და მახარე თავის აღელვებულ გონება-გულით საოქრო-მჭედლოში დასტოვა...

„ეს ღამე რას გიქადის მახარე?!“ რამდენჯერმე დაეკითხა მახარე თავის თავს, როცა მარტოკა დარჩა, და კოშკის სარკმელს თვალი მიაპყრო. ძნელი გამოსაცნობი იყო მახარისთვის, თუ ეს ღამე რას უმზადებდა...

იცოდა მხოლოდ, რომ ეთერმა დაიბარა მდინარის პირას... ეთერის ეს სურვილი იმისთვის კანონი იყო. უეჭველად წავა, მაგრამ შემდეგ რა იქმნება, რა მოხდებაზ?!.. ეს საკითხი ულრლნიდა ტვინს, და პასუხი კი ვერ მიეცა.

წამს წარმოუდგებოდა თვალწინ ეთერი, ბროლისგან გამოკვეთილი ეთერი, რომელიც იმის „ბაგეს“ ხელს ავლებს და მიაქვს... მახარე სდგას და ხმა ვერ ამოუღია... იმას უკან მისდევს იმისი გულიც: ფულურო მახარე, უგულო მახარე რჩება მდინარის პირას... ადგილიდგან ვეღარ იძვრის... წამს კიდევ სულ საოცნებო ბადეში ეხვევა და ეთერთან ერთათ დანავარდობს კიდით კიდემდის, და ეთერის ხმა და „ბაგისა“ აუწყებენ ქვეყანას მახარეს ნეტარებას...

თან მახარე სარკმელს თვალს არ აშორებს. იქ სანუგეშო არა მოსჩანსა რა... ერთხელაც არ გაიღო სარკმელი... ეს რის ნიშანია?!..

„თუ კი მე—ფიქრობს მახარე—თვალს ვერ ვაშორებ იმის სარკმელს... მინდა ნიშანი რამ მივიღო, ნუ თუ ეთერი, თუკი ჩემი ნახვა უნდა, ნუ თუ სურვილი არ აქვს გაიგოს, თუ მე რას ვაკეთებ?!...

მახარე თავის სულის კვეთების მიხედვით ჰზომავდა ეთერის გრძნობას, აზრს და ამისთვის გაუგებარი იყო... მერე სრულებით გამოუცდელი და გულუბყვრილო... ვერ წარმოედგინა მახარეს სხვა გარემოება...

ეთერიც გამოუცდელი იყო, ისაც ისეთივე ახალგაზრდა, როგორც მახარე და ამისთვის ვერ წარმოედგინა, თუ მახარე ასე ეწვალებოდა...

ეთერს ერთი აზრი ასულდგმულებდა, „შიშის ზარი ჩაეგდო ხელში და ამით სეფე წულზე ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა, რათა გადედოფლებულიყო“... მახარე კი სულ სხვა აზრისა იყო ამ შემთხვევაში...

„... რაკი ეთერმა შეხვედრა მთხოვა, მაშასადამე პირად მე ვუნდიერო,“ და ამის გამო ჯავრობდა და ვერ აეხსნა ასეთი დაუდევრობა ეთერისა...

ეთერი და მახარე ელტვოდნენ ერთმანეთის შეხვედრას სულ სხვა და სხვა

მიზნით. ეთერი აჩქარებდა გადიას ყველაფერი რიგზე დაეწყო და მოემზადებინა მახარის შესახვედრად, მახარე კიდევ ცას, რათა, რაკი სარკმლიდგან არავითარი ნიშანი ვერ მიეღო, ჩქარა ამოეშო მთვარე...

8

ჰჩქეფს, ქუხს მდინარე... არე მარე ბახს აძლევს... იდუმლად მოსთქვამს თავის მრავალ-წლოვანების ამბავს... გულწრფელად, გულღიათ გეუბნება თავის წარსულს, არ ჰმალავს არც ერთ თავის განვლილ ცხოვრების ნაბიჯს... აგერ გეუბნება, როგორ მთის გულიდგან წვეთათ გამოიცრემლა, შემდეგ როგორ ცრემლი ნაკადულად იქცა, ახმაურდა, როგორ აგეთივე ცრემლ-ნაკადულები ერთმანეთს შეხვდნენ, შეერთდნენ და ძლიერი ძარღვი ჩაქსელეს, ჩახრამეს, სძლიეს თანდათანობით წინ ჩაჩხირულ ბექობებს და ეხლა ლაღის გზით მიექანებიან სიმღერით... იმასაც კი მოგვითხრობენ, თუ დრო გამოშვებით ამღერევენ და დახშობას უპირობენ იმათ შემოსული ღვარები, როგორ სულს უმწარებენ და სუნქთვას უხუთავენ, მაგრამ ყოველთვის ანკარა ცრემლი, როგორ გამარჯვებული გამოდის და შემოსულს სწმენდავს და ქვევით ისტუმრებს...

მახარეს ეს მოთხრობა ამ წამს არ ესმის. ის მხოლოდ ეთერით არის შებოჭილი და იმაზე ოცნებობს. ის დიდი ხანია მდინარის პირას მოვიდა, ერთ ნარიყალ კუნძზე ჩამოჯდა, თავისი ქმნილება „ბაგე“ გვერდით მოდგა და მთვარის ამოსვლის ლოდინში იყო...

რა ნელის ნაბიჯით მიდის დრო?!. კუს ფეხი მოჰბმია დროს... მახარე ჯერ ათვალიერებდა არე მარეს. ბნელოდა, მაგრამ თვალი უჭრიდა. მიდამოს მოხაზულობა მკვეთრად თავის სიდიადით ეკუმშოდა თვალ წინ... ცდილობდა ამოეცნო, თუ ეთერი მიდამოს „რომელ ნაკეციდან ამოქანდაკდებოდა... ან იქმნება ეთერი მთვარეს ამოჰყვეს?!.

„ჰო... ჰო... ჰო!..“ ემოწმებოდა მდინარე. „ჰო, მთვარეს ამოჰყვებ, თორემ სხვანაირად როგორ გაჩნდება ეთერი აქ!..“ გაიფიქრა მახარემაც... და მიიხედა სამხრეთისკენ...

ცას ცოტა შუქი შეჰპარვოდა. ამის დამნახველს შეკუმშვილი გული ოდნავ მოეფონა. სულ რამოდენიმე წუთიც და სამხრეთის მთის მწვერვალს მთვარე მნათობ გვირგვინად თავს მოექცა...

— ააა უუუ!... შემოესმა მახარეს სულ წინაალმდეგ ხეხრიდგან ნაცნობი ხმა.

გული აუკანკალდა, კანკალით ფეხზე წამოიჭრა და ჩრდილოეთისკენ პირი იბრუნა...

რას ჰხედავს?!.

კლდის ნაპრალის პირას ამართულა თეთრი სამოსით ვინმე ასული... მთვარე ეალერსება ასულს. ასული კიდევ მთვარეს... აგერ ასულმა მკლავები მთვარისკენ გაიშვირა, ოდნავ წინ წამოიხარა, თითქოს მთვარესთან შესაერთებლად გასრიალებას აპირებსო. მახარეს ფერი კიდევაც ეცვალა.

— მადლობას გწირავ, ჰოი, მნათობო, რაკი ჩემი გოდება შეისმინე და სურვილი ჩემი იმას აცნობე!.. შემოსძახა ზევით ასულმა.

მახარე ჯერ ვერ გამოერკვია. ნაცნობი ხმა იყო, მაგრამ კილო კი, ნალვლიანის მაგვარად, რაღაც დიდებული... თითქოს მხიარული...

მახარე ჩრდილში იდგა და ამისთვის ზემოდგან ვერ ჰხედავდა ასული.

მახარემ ხმა მკაფიოდ გაარკვია... ის ეთერისა იყო... აიღო თავისი „ბაგე“ და ხმა შეუწყო, როცა ეთერმა მეორე მუხლი დაიწყო:

„დღეს აქ ველოდი, გადის ვავალე...“ ახმაურდა „ბაგეც“ მახარეს ხელში და...

— ხა, ხა, ხა, ხა!.. გადიხარხარა ეთერმა, რაკი თავის მეორე ხმა აედევნა, და წამოიძახა საჩქაროდ: მახარე, რას დაჰმალულხარ, თავი იჩინე?!. ეხლა ველარ დამემალები, გიპოვე!.. კლდის ძირას ჩრდილს შეჰფარვიხარ... ამოდი ჩემთან!..

— მშვენიერო მოჩვენებავ, კი არ გემალები, გეძებ!.. მაგრამ როგორ მოგიახლოვდე, არ ვიცი... კოშკში შემოსვლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მა სალ კლდეზე?!. და მიუახლოვდა კლდეს.

— ხა, ხა, ხა, ხა!..—გადიკასკასა ეთერმა... აქ ამოსვლა ძალიან ადვილია, თუ კი მოინდომებ და ხელ მარცხნივ ბილიკს შემოჰყვები...

— თუ ვიპოვე ბილიკი...

— მონახე და იპოვი!..

მახარე მიბობღავდა ზევით... ეთერი წინ ჩამოეგება და მერე კი უფრო მარდად დაიწყო სვლა... ეთერი წინ მიუძღოდა და გზას აჩვენებდა...

მოაგონდა უეცრივ მწყეტისის ამბავი და... სიმწარის ოფლმა შუბლი შეუსველა... „იქმნება მეც იქ .. ზევით სამარე ვპოვო?!.“ წამს გაიფიქრა მახარემ... მაგრამ იმავე წამს მოაგონდა, რო მახარე მისდევს მხოლოდ ქალს და არც სალამურს უკრავს.

9

მახარე განცვიფრებისგან პირ ღია დარჩა, როდესაც ზევით ავიდნენ და ვერხვს შეჰხედა. ასეთი მშვენიერი ადგილი თავის სიცოცხლეში არ ენახა... არ იცოდა რა ეთქვა.

— მახარე, ეს ჩემი სამეფოა!... აქ მე დედოფალი ვარ და შენ კი სტუმარი...

— დედოფალო, ნება მომეცი შენ ფეხის ნადგომს ვეამბორო!.. წამოიძახა მახარემ და დაიმუხლა.

ეთერი შეკრთა, მაგრამ ჩქარა შეურიგდა ასეთ პატივისცემას... „ხომ ჩქარა დედოფალი ვიქნებიო“ უნებურად გაიფიქრა და ფეხი ასწია...

მახარე ხარბად დაეკონა ნაფეხურ მოლს და აღარ ინძრეოდა, თითქოს დააკვდაო.

— მახარე, გეყოფა თაყვანის ცემა! ეხლა ამალამ ერთად უნდა ვივახშმოთ და ვიმღეროთ... აი, სუფრა უკვე მზად არის. მახარე სწრაფად წამოვარდა ფეხზე და გაფითრებით შეეკითხა:

— მაპატიებ, თუარა, შენი ხმა ძირს დამრჩა?... ეხლავე ამოვიტან!...

— „შიშის ზარი“?.. შეეკითხა ეთერი.

— ჰო, „შიშის ზარი“. ყველაფერი დამავიწყა შენმა მოწოდებამ: „აქ ამოდიო“

ეთერი საშინლად განრის ხდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და წყნარად უთხრა:

— დავიწყების გასწორება შეიძლება... მარტო იმდენ ხანს ვერ ვიქნებით ერთად, რამდენიც შესაძლებელი იყო... მაშ მოიტანე... ეხლა მარტოკა ვიქნები, ვიდრე მოიტან...

— ამ წუთას აქ გავჩნდები,—წამოიძახა მახარემ...

— ფრთხილად კი!...

ეთერი დაღონდა, თითონაც არ იცოდა, თუ რა იყო ამის მიზეზი... ან რისთვის გააფრთხილა?!.. ხომ იმ აზრით მოიპატიჟა მახარე, რომ „შიშის ზარი“ გამოერთვა და შემდეგში აღარ შეჰხვედროდა მახარეს. კისერი რო მოეტეხნა მახარეს, უფრო კარგი იქმნებოდა... ჩავიდოდა თითონ და წაიღებდა „შიშის ზარს“ უდავიდარაბოთ.

მაშ რისთვის გააფრთხილა?! იქნებ იმისთვის, რომ თითონ „შიშის ზარზე“ წარმოდგენა არა ჰქონდა და ვერ იპოვიდა...

ეთერს დომხალივით აერია თავში სულ წინააღმდეგი აზრები და კლდის პირას ჩაიკეცა... თან დილანდელი მახარეს თვალებიც წარმოუდგა წინ. ვერა გამოერკვია რა ეთერს .. თან გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მახარეს ყოველი მოძრაობას და ფეხის ხმას...

აგერ მახარე ძირს ჩავიდა... რიყე გადირბინა. პირდაპირ კლდის ძირას მივიდა... აღარა ჩანს, რადგანაც ჩრდილშია... კიდევ გამოჩნდა... რაღაც მოაქვს... რიყე გამოირბინა და შემოუდგა კლდეს... გულმა ფანცქალი დაუწყო... ოდნავ ტანიც შეუნოტიანდა, თითქოს სატრფოს ელის... მოუთმენლობა ეტყობა... წამი საათად ეჩვენება... ველარ ითმენს და წინ ეგებება...

— მახარე, მარტოკას მომწყინდა!.. რად დაიგვიანე?!.

მახარე ამოვიდა თუ არა, ეთერის ასეთ შეგებებაზედ წამს შესდგა... მკერდი საშინლად აუდიოდ-ჩაუდიოდა, სუნთქვა მძიმე ჰქონდა.

შემდეგ „შიშის ზარი“ გადაჰსცა... ეს ახსოვდა კარგად...

შემდეგ დაახსომდა კიდევ, როგორ მუხლები ჩაეკეცა... თავში კიდევ გაუელვა მწყემსის არაკმა და გონება დაჰკარგა.

ეთერი დაემხო მახარეს... ბევრს ვალერსა... თმა ხუჭუჭი თავის ბროლის თითებით უვარცხნა... უყივლებდა მახარეს... მაგრამ ამაოდ... მახარე უგრძნობლად ეგდო... ბოლოს ეთერი გონს მოვიდა. მოისაზრა წყალი ეხმარა და ამ საშუალებას მიჰმართა. ვერხვის იქით, სულ რამდენიმე ნაბიჯზედ მდინარის **ჩაბარუხის** *) სათავე, სადაც ეთერი ზაფხულობით ბანაობდა გადიასთან ერთად, ბუერის ფოთლით მოიტანა წყალი, სახე ნაზად უპკურა... ჰკურვა რამდენჯერმე გაუმეორა, და სწორედ სასწაული მოახდინა...

მახარემ თვალი გაახილა... ჯერ ვერავის და ვერცარაფერს ჰხედავდა... მძიმედ, ღრმად ამოისუნთქა და მხოლოდ ეხლა დაინახა მომღიმარი ეთერი...

ეთერს საშინლად გაუხარდა მახარის გამობრუნება. რა გრძნობა ამოქმედებდა ეთერს, ეს ვერ გამოერკვია?!. „შიშის ზარი“ ხომ ეხლა იმის ხელთ იქმნებოდა?!. ან იქმნებ ეშინოდა მახარის სიკვდილის, მხოლოდ იმისთვის, რომ მახარე ველარ ასწავლიდა „შიშის ზარის“ მოხმარებას?!. ან იქმნებ უფრო სხვა მოსაზრება რამ აიძულებდა შეჰბრძოდა სიკვდილს, მახარე იმის კლანჭებიდგან გამოეგლიჯა?!.

— უ... უ... ბედშავო, რა ღორივით დაგდებულხარ?!. მიჰმართა თავის თავს მახარემ და საჩქაროდ ტანი აიმართა: „მაპატიე, დედოფალო, ჩემი ასეთი სიბრიყვე!.. მიჰმართა მოწიწებით მახარემ შემდეგ ეთერს...

— ბრალი არა გედების რა... მიპატიებია, თუმცა საპატიებელი არა მაქვს რა... ჩემ სამეფოში, ხომ ჰხედავ, ერთი შენა ხარ ჩემი ქვეშევრდომი და მეშინოდა, ეგაც არ დამეკარგნა... ეხლა კი, აგერ იმ მნათობს მაღლს ვსწირავ, რათა საქაოსკენ პირი გაქმნევინა...

— ლაჩარი ვყოფილვარ, დედოფალო, — ლაჩარი!.. ჩემ თავს ვერ ვაპატიებ!..

— დავანებოთ თავი ბოდიშ-პატიებას და მო პური ვჭამოთ და ღვინო ვსვათ; შენ სტუმარი ხარ, მე მასპინძელი... აი, ხომ ჰხედავ, ვახშმად გადიამ რა დაგვიმზადა — მიიპატიჟა სუფრისკენ, რომელიც ვერხვის ქვეშ იყო გაშლილი.

---

*) ჩაბარუხი — წყალ-ვარდს ეძახიან ადგილობრივ, უთუოდ ორი სიტყვისგან შესდგება: ჩაბანვა და რუხრუხი. (ჰბანს ზევიდგან რუხრუხვით).

— დედოფალო, ვახშმად მე მიწვევ?!. განცვიფრებით შეეკითხა მახარე, და იწრაფად გონების თვალ წინ გადაეფურცლა მწყემსის არაკი...

„იქმნებ მე უფრო ბედნიერი ვიყო იმ მწყემსზე... ვარ კიდევაც... ის მოკვდა და მე კი ისევ ცოცხალი ვარ...“ გაიფიქრა და შემდეგ ეთერს მიჰმართა:

— იყოს ნება შენი, დედოფალო!..

— ძლივს სთქვა სასიამოვნო სიტყვა!.. უპასუხა ეთერმა და გვერდით მოისვა...

10

ეთერი და მახარე ერთი წლოვანებისა იყვნენ, მაგრამ იმათ შორის დიდი განსხვავება იყო გონების განვითარების მხრივ... ლაღად აღზრდილი ეთერი გაცილებით მაღლა იდგა მახარეზე და ოითქმის ხელმძღვანელი გამოვიდა ამ ღამეს...

ერთი ესაც იყო, რო ეთერი განსაზღვრული მიზნით შეჰხვდა მახარეს. მახარე კი გატაცებული თავის გრძნობით ყურ-მოჭრილი მონასავით ემორჩილებოდა ეთერს...

მაგრამ ამ ღამეს ეთერსაც შეეშალა ნახტომი. ეთერი თუმცა განსაზღვრული მიზნით იყო გამოსული, მაგრამ თავის თავის სიმტკიცე ვერ გამოზომა. ეს უთუოდ ახალგაზრდობის მიზეზით...

ეთერი ვახშმობის დროს მახარეს ძალას ატანდა ღვინო ესვა... როგორც ყურ-მოჭრილი მონა, ისაც ჰსვამდა და გაბედულობაც ემატებოდა... ისე მონურად აღარ ელაპარაკებოდა, როგორც პირველში...

როცა ეთერმა სიმღერა მოისურვა, მახარე უკვე გაბედულად მოქმედობდა... იმან სწრაფად აიღო „შიშის ზარი“ და ეთერს მიჰმართა:

— ჩემო ყველავ, ერთად დავიწყოთო!.. ამ სიტყვებს სიკვდილითაც რო დაჰმუქრებოდნენ ვერ წარმოაღქმევინებდნენ სხვა დროს. მაგრამ ეხლა გათამამებული ეთერის ქცევით, ვის დაერიდებოდა, ან მოეკრძალებოდა, ეთერი პირისპირ ედგა...

ეთერი ვერ მიჰხვდა მახარის სილაღეს და აღტაცებით შეეკითხა:

— რა კარგი სიტყვაა!.. ვინ გასწავლა?..

— შენ!..

— როგორ?..

— ისე!..

— მაშ ვიმღეროთ!..

— ვიმღეროთ... მე მზათა ვარ!

ეთერმა დაიწყო აღგზნებული სიმღერა... სულ სხვა... კილო სრულებით არ

ეგვანდა იმ კილოს, რომელსაც მახარე კრძალვით უსმენდა. ეს კილო უფრო წარმტაცი და ენების ამშლელი იყო, ვიდრე წინანდელი სევდიანი კილო. ეთერმა უეცრივ შეწყვიტა სიმღერა და განრისხებული შეეკითხა:

— მახარე, რაღას დაგიმუნჯებია შენი „შიშის ზარი“?!.

— განაგრძე, განაგრძე, ეთერ, და ჩქარა ჩემი „შიშის ზარიც“—უფრო შენი ხმა აგედევნება... რამდენიმე მუხლი იმღერე, და როცა გაიმეორებ, უკვე მოგყვება ხმა...

— კარგი, გაემზადე... ვიწყებ მეორედ...

— მზათა ვარ!..

შემოსძახა ეთერმა, და მახარემაც უკვე შეთვისებულად აახმაურა „ბაგე“. კილო სხვა იყო, მაგრამ ხმა კი ისევ ის იყო... რაკი მახარემ კილო დაიხსომა, ადვილი იყო იმისთვის ასდევნებოდა ეთერის სიმღერას...

მართლადაც საუცხოოდ იყო შეთანხმება ხმებისა...

— მახარე!.. ეს შენი სადღეგრძელო იყოს!.. უეცრივ შესწყვიტა სიმღერა და ფიალა ღვინით აიღო...

— ღირსი არა ვარ!..

— ეე... შენ კიდევ კუდს იქნევ!.. უკმაყოფილოდ წამოიძახა ეთერმა და ფიალა გამოცალა...

— ეთერ?!.

— შენს ყველას... შენს დედოფალს ჰსურს შეივსო ფიალა, მადლობა გადუხადო, და შემდეგ შენი „შიშის ზარი“ ხელთ მისცე და ასწავლო, როგორ მოიხმაროს...

— მზათა ვარ ყოველივე ეგ შევასრულო!..

— მაშ ეხლავე შეასრულე!..

მახარემ სავსე ფიალა გამოცალა. „შიშის ზარი“ ეთერის გვერდით მიიტანა და უთხრა:

— აი, ენა... ამას ხელი წაავლე და შენი ხმის მოძრაობის მიხედვით ენა გარს შეახე იმ სიძლიერით, რა სიძლიერითაც შენი ხმა იქმნება.

შეასრულა დარიგება, მაგრამ სრულებით რაღაც უშნო ხმაურობა გამოუვიდა ეთერს...

— ნუ თუ შენ თან უნდა მყვანდე, რო ეს „შიშის ზარი“ ჩემ სასარგებლოდ გამოვიყენო?!. უნებურად წამოიძახა და სასოწარკვთილებას მიეცა...

— ჩემო დედოფალო, მაგას რას ჰბრძანებ?!. ემაგის მოხმარება უჩემოდ ძალიან ადვილია. ხელი არა გაქვსთ მიჩვეული მხოლოდ, ხელის მიჩვევა კი ძალიან ადვილია.

— იქმნება შენთვის?!

— ყველასათვის... აი, ეხლა, თუ ნებას მომცემ, შენ ხელს ავაყოლებ და ჰნახავ რო ძალიან ადვილია...

— ოოო... ნებას გაძლევ კი არა გთხოვ!... შეემუდარა ეთერი...

მახარემ „შიშის ზარის“ ენა ხელთ მისცა, თითონ კი ეთერის ხელს თავისი ხელი ბუდეთ მოუქცია და...

— ეთერ, ჩქარა დაიწყე სიმღერა!... შეევედრა მახარე.

პირველად შეეხო მახარე ეთერის ხელს და ეს შეხება საშინელი მწვავე და თავბრუ დამსხმელი გამოდგა...

ეთერმა ხმის კანკალით დაიწყო სიმღერა... იმასაც ეტყობა რაღაც ცვლილება... ხმა კრთის... „შიშის ზარის“ ხმაც კრთის...

მახარემ ვეღარ გაუძლო... ხელი უშვა და ფეხზე წარმოსდგა...

— დედოფალო, ეხლა მიჰხვდი, როგორ უნდა მოიხმარო?!... უთხრა ჭირის ოფლისგან დანოტიავებულმა...

— მგონი, მივხვდი!.. აბა გავიმეორებ უშენოთ... და დაიწყო სიმღერა.

ჯერ ცოტათი გაუბედავად ააყოლა ხმა „ბაგისა“... ხმას სწყვეტდა და ხელის მოძრაობას უცდიდა, შემდეგ, რაკი გაიგო საიდუმლოება, აამოძრავა თავისი ბაგე და ააყოლა მწყობრად „შიშის ზარის“ ენაც. საუცხოოდ ახმაურდნენ ორივენი... მახარე აღტაცებაში მოვიდა... ათამაშდა და შეხტა მაღლა. ვერხვის ძირის ტოტს სტაცა ორივე ხელი და თვალის დახამხამებაზე ზედ წამოსკუპდა...

ეთერმა თვალი შეასწრო იმის მოძრაობას და სიმღერით შეეკითხა:

— მახარე, მახარე, რამ აგაღელვა, რამ გაიძულა მაღლა აფრენა?!..

— შენმა სიმშვენემ... შენმა ხმამ!... ჩამოსძახა ზევიდგან მახარემ... ეთერმა ხელი უშვა ზარის ენას და გულიანად გადიკასკასა...

— მახარე, ჩემმა ხმამ მთოვარს არ მიგაროს?!.. კისკისით დაუმატა.

— არა, ახლა შენკენ მიზიდავს!... და მთრთოლარე ძირს ეთერის გვერდით გაჩნდა...

— ეთერ, არ ვიცი, რა მემართება?!.. ხმის კანკალით წამოიძახა მახარემ და იმის გვერდით ჩაიკეცა: წამს ხბოსავით ფუნდრუკი მემართება... მინდა სულ ვმოძრაობდე... წამს კი ძარღვებში ვიშლები... მთლად ვდამბლავდები!... აი, ამ წამს ოდნავად ხელის აწევის არაქათი აღარა მაქვს...

მახარე შეეცადა ხელი მაღლა აეწია, მაგრამ ვერ შესძლო... მოდუნებული ხელი ისევ კალთაში ჩაუვარდა...

— აი ფიალა, ღვინო შესვი და მოჰღონიერდები... ეთერმა სავსე ფიალა პირთან მიუტანა და, რო უფრო მარჯვედ დაელია, მეორე ხელი მახარეს ნიკაპს შეახო...

მახარეს ჟრუანტელმა დაუარა ტანში. სხეული ისევ გაუმაგრდა და გაუნძრევლად ფიალა გამოცალა.

— ოო, ეთერ, თილისმიანი ჰყოფილხარ!.. შენმა შეხებამ მთლად გამკურნა... წამოიძახა მახარემ და მკლავში ხელი გაბედულად წაავლო...

ეთერი შეკრთა... მკლავი აეწო, და ტანი სინოტივემ შესხურა...

— ღვინომ, მახარე, ღვინომ!.. წაილულღლულა ეთერმა...

— არა, ეთერ, ღვინოსაც ვერ დაელევდი, რო შენი ხელი არ შემხებოდა... ეთერი ჩქარა გამოერკვია...

— მახარე, დამშვიდებით უთხრა ეთერმა: ეხლა დრო არის წავიდე... ხვალ იმავ დროს, როგორც დღეს, აქ გიპოვი...

— როგორ, ნეტარების კარამდის მიმიყვანე და ეხლა მიხშობ?!.

— ხვალ, მახარე, ხვალ ამ დროს...

— ეთერ!.. ჩემო ყველავ, არ მეგონა, თუ ასე ძლიერად შეევიბოჭებოდი?!. და მძლავრად მიიზიდა თავისკენ.

— მახარე?!.

— ეთერ!.. მიიზიდა კიდევ თავისკენ და ტუჩი ტუჩს შეუწება.

ეთერი მოიშალა, დაჰკარგა წინააღმდეგობის უნარი. წამს მომწიფდა, მომწიფებულ ხილსავით ძირს დაეცა შესაჭმელად მომზადებული. ნატრობდა კიდევაც...

ორივე ერთი სიახალგაზდევის გრძნობით შეპყრობილი მიეცა წამს თავ-დავიწყებას და მათ გარეშე აღარა არსებობდა რა...

ხმაურობდა ღაა ჩაბარუხი?!. მთვარე მნათობდა ღა?!.

ამათ აღარა ესმოდათ რა და არც რა ემხედველებოდათ... მხოლოდ ჰგრძნობდნენ ერთმანეთს... გაერთიანებას და ამით უმაღლეს სიამოვნებას...

წამს ესაც მიყუჩდა... მიფერფლდა... იმათ თავში აღარავითარი მოსაზრება ან გულში გრძნობა რამ აღარ არსებობდა... ჩააკვდნენ ერთმანეთს. ცხოვრებაში გაუთავებელი არა არის რა, ისენიც გამოერკვნენ და სულ სხვა და სხვა აზრი დაებადათ..

პირველად ეთერი გამოერკვა... შეწითლდა. მოაგონდა თავისი განზრახვა და მთვარეს პირი მოარიდა...

მახარე კი ნეტარების მორეგში გაჰცურდა... ეთერს გადაჰხედა, უკვდავების წყაროდ მოეჩვენა და კვლავ ხელი გადაავლო დასაწაფებლად...

— კმარა, მახარე, თორემ თავს დაგვათენდება!.. ცოტა სასტიკად უთხრა ეთერმა... და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა ალერსით: მახარე, ხვალ იმავე დროს აქ გელი... ეხლა კი წადი...

— ეთერ, ჩემო ყველავ, მოჩვენება ხომ არა ხარ?!.

— აჰ, რა სულელი ხარ!.. გადიკასკასა ეთერმა...

— აჰ, რა სულელი ხარ!.. წარიტაცა, „ჰეპომ“ და მთის მწვერვალებამდის აიტაცა...

წარიტაცა აგრეთვე „ჩაბარუხმა“ და ბარისკენ გააქცია.

11

სეფე-წული გამოემშვიდობა თუარა ეთერს, თავის ქერქში ველარ ჩავარდა, ისე ძლიერად აუფორიაკა სული ეთერმა... თუ ვერ მოვახერხე ამ გზით გაწვევა, უეპველად გამოვუტყდები და ვითხოვო, ფიქრობდა სეფე-წული, და გარეშე ამისას ყურს აღარას უგდებდა. ვახშამი ისე ჰამეს კაციამ და სეფე-წულმა, რო ორი სამი შეკითხვა-პასუხის მეტი არა ჰსმენია რა...

როცა კაცია გამოელამეშმშვიდა და ძილისთვის ოთახი მიუჩინა, მაშინღა გამოერკვა და ჰკითხა:

— უკაცრავად კი ვარ, ბატონო კაცია, ამ ოთახიდგან როგორ უნდა, თუ ვინიცობა ჩემი ცხენის დათვალიერება, გავიდე და საჯინიბო ვიპოვო...

— შენ ცხენზე ნურას იფიქრებ!... ნაბძანები მაქვს: ისე მოუარონ, როგორც თავიანთ თვალის ჩინს!...

— დარწმუნებული ვარ ეგრეც იქნება, მაგრამ „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო“ გვეუბნება ჩვენი მამა პაპა... ჩვეულებად მაქვს, უეპველად დავათვალიერო ხოლმე.

— მართალს ამბობ, ჩემო ნადირავ! უპასუხა კაციამ და ასწავლა, თუ სასახლიდგან როგორ გავიდოდა გარედ გალავანში, ანიშნა საჯინიბო და ისაც კი უთხრა, თუ ვინიცობაა გალავნის გარედ გასვლა დასჭირდა, უმარცვლო ურდულის კარიც აჩვენა...

სეფე-წულს არ შეეძლო გამომწყვდეულიყო ოთახში, როდესაც არ ეძინებოდა. ნამეტნავად ეხლა, როგორ დაეძინებოდა, როდესაც მთელი იმისი არსება ეთერმა შებოჭა. იმის გარეშე სხვა აღარა არსებობდა რა. მხოლოდ ეთერი ეჩვენებოდა, რასაც ოთახი ვერ იტევდა, და ამისათვის გარედ მიიწევდა... კაციაჯ დასაძინებლად წავიდა თუ არა, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ სეფე-წული გალავანში გამოვიდა და, ღრმად ამოსუნთქვის შემდეგ, ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას...

რა მდგომარეობაში ჩავაგდე ჩემი თავი, ფიქრობდა სეფე-წული—ჩემი სიცრუვით?!.. ხვალ რო უარი სთქვას წამოსვლაზე, ?ა?ინ კიდევაც რო გამოვუტყდე,

ხომ იფიქრებს: მატყუარა ვარ?!... მეტყვის: „წადი იქ, საიდგანაც მოჰსულხარო“... ვაი, სირცხვილო?! რა გამოაცხადებს ამ გარემოებას?!.. ვგონებ ერთად ერთი გზა დამრჩენია, დილაზე ადრე გავემგზავრო შინისკენ და იქიდგან შეკრიკი გამოვაგზავნინო მამას დასაპატიჟებლად... ამ გადაწყვეტილებას დაადგა, რო თავი მაღლა აიღო და სამხრეთისკენ გაიხედა... მომხიბლავი სურათი წარმოუდგა თვალწინ...

მთვარე გვირგვინად დასდგომოდა მთას და არე მარეს ნაზ სინათლის ქსელში ჰხვევდა...

ისე წარმტაცი იყო ეს სურათი, რო წამს გაეფანტა ნაღვლიანი ფიქრები და საოცნებო ფიქრებმა წარიტაცეს...

რასაკვირველია ამ ოცნების გვირგვინი ეთერი იყო.

მთვარე ეთერად მოეჩვენა. თავის თავი კი მთად... ხეივები კი... ეს ეთერის სული იყო და მთელ იმის სამეფოს სიამეს ჰფენდა...

ისე გაიტაცა ამ ოცნებამ, რომ დაავიწყდა თავის განზრახვა: ენახა ირემა და განკარგულება მიეცა, დილა ადრიანად ცხენები დაემზადებინა...

გალავნის შუა დიდი კაკალი იდგა... იმის ტოტები, ფართოდ გაშლილი იწვევდნენ თავისკენ. ვერც სეფე-წული გაუმკლავდა ამ სურვილს და დაემონავა. სეფე-წული კაკლის ქვეშ მთვარის შუქისგან ახალიჩებულ მდელოზე წამოწვა და უფრო ფართოდ მისცა თავი ოცნებას...

ღმერთო, რა სახე არ მიიღო ეთერმა?!.. იმასთან ერთად ცა და ქვეყანა მოიარა სეფე-წულმა, ზღვა და ხმელეთი განვლეს ერთად...

ეთერი ხან შიშველად, ვითა მთოვარე შუქის მრფქვეველად ეჩვენებოდა, ხან კიდე თავის გზის მნათობად, თავისი თავი კი ბრმად... ეთერი ხელს აძლევს და ბეწვის ხიდზედ გაჰყავს... ამ დროს ეშინიან არ გაწყდეს ბეწვის ხიდი და უფსკრულში არ ჩასტყორცნოს... გადიან მშვიდობიანად... უხარიან...

იმისავე გვერდით, სადაც წამოწვა, შორიდგან მილით გამოყვანილი წყარო გადმოჩუხჩუხებდა და იმის ოცნებას ახმატკბილებდა. სეფე-წულის ოცნება ათასფეროვანდებოდა, ეხვეოდა საამო ბადეში და... უკვე ეთერი დედოფალია, სამეფო ტახტზე ერთად სხედან, მთელი ერი თაყვანს სცემს... შეჰნატრის ბედნიერებას. ესენი კი მეფურად უხვად ურიგებენ მოწყალებას ყველას... აფრქვევენ სიყვარულს, ვითა მთოვარე სხივებს... ქმაყოფილი ერი აღტაცებაში მოსული „ვაშას“ უყივის და დღეგრძელობას უსურვებს...

— „ნეფე-დედოფალი დაილალა“!.. მოესმის ჩურჩული ერისა... „წავიდეთ, მოისვენონ“...

უხილავად შემოეფრქვნა ერი... აღარავინ არის... სარეცელი მზად არის. ეთერი კაბალვით იჩენს მკერდს... მკერდის დანახვაზე სეფე-წულს ცეცხლი ეკი-

დება, მაგრამ ითმენს... არ ეხმარება... არა ჰფრცქვნის სამოსისგან ეთერს, რათა არ დააფრთხოს და სამუდამოდ არ დაჰკარგოს...

აგერ ეთერმა მთლად მკერდი მკლავებიანად გამოაშიშვლა და სთქვა:

— „ეხლა წყაროს წყლით დაბანვა სიცოცხლე იქმნება“...

— ღმერთო... სიზმარია, თუ ცხადი?! წამოიძახა სეფე-წულმა და თვალებ დაჭყეტილი ჰე წამოიკრა...

— უი! იკივლა ეთერმა და წელი აიმართა...

ცრემლებათ ეფინებოდა იმის ბროლად ნაკვეთ მკერდს წყაროს წყალი...

რაკი შენიშნა მცქერალი, სწრაფად მშველივით მეორე მხარეს ამოეფარა და შეიმოსა მკერდი.

— ვფიცავ ღვთაებას, ვერა გამიგია რა!.. წამოიძახა სასოწარკვეთილებით სეფე-წულმა.

— გაუგებარი აქ არა არის რა... მშვიდად წარმოსდგა ეთერი უკვე შემოსილი. ჩვეულებად მაქვს რიჟრაჟისას ამ წყაროზე პირის ბანვა... ამ დროს ჯერ კიდევ ყველას სძინავს და ამის გამო უშიშრად ვიბან ხოლმე... დღესაც ჩვეულებას არ ვუღალატე... მაგრამ შენ როგორ გასჩნდი ამ დროს აქ?!. აქ გეძინა თუ...

სეფე-წული აწითლდა... წამს დაიბნა, მაგრამ ჩქარა გამოერკვა და წარმოსთქვა:

— თუ სულ მეტია... ნავახშმევს ცხენი მინდოდა დამეთვალიერებინა, მაგრამ გალავანში რო გამოველ მთვარეც ამოდიოდა... ისეთი ლამაზი სურათი იყო, რო თვალი ველარ მოვაშორე და ამ წყაროს გვერდით წამოვწექ... მინდოდა დიდხანს დავმტკბარიყავ ამ სურათით... უთუოდ ჩამძინებია, რო ისიც ვერ გავიგე, თუ როგორ მოხვედი აქ, თორემ წინადვე გამოგეხმაურებოდი... უნებურად გავხდი ღირსი ისეთი მშვენიერების ხილვისა...

ეთერი აწითლდა...

— უნდა დაივიწყო ეს... მკაცრად უთხრა ეთერმა...

— მხოლოდ ერთის პირობით, თუ თანახმა ხარ მეფესთან გამომგზავრებაზე...

— რო არ ვიყო, რას იზამ?!..

— სეფე-წულს ვუამბობ ამ სურათს...

— ჰა, ჰა, ჰა!.. გადიხარხარა ეთერმა: მერე რა გინდა მაგითი სთქვა?!. განა ჩემთვის სულ ერთი არ არის, უამბობ, თუ არა?!. განა გუშინ არ გითხარი: თუ გადავსწყვიტე წამოსვლა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სეფე-წული არ მეჩვენოს?!.

სეფე-წული აწითლდა... ბოლოს სიჩუმის შემდეგ დაუმატა:

— მართალს ამბობ, ლედოფალო!..

— კიდევ ღედოფალო?!. წყრომით წამოიძახა ეთერმა და გატრიალდა წასასვლელად...

მოაგონდა წუხანდელი გატაცება ამ სიტყვით... მთლად თვალწინ წარმოუდგა წუხანდელი სურათი და...

აღარ უნდოდა მოგონება... კიდევ ღედოფალი...

— ბოდიშს ვიხდი, ეთერ, როგორც გეტყობა, ღედოფლობა ძალიან გძულს... აღარ მოგიხსენიებ მაგ წოდებით...

უფრო გაუსკეცდა ჟინი სეფე-წულს და გადასწყვიტა ყოველივე საშუალება იხმაროს, რათა ეთერი თავისად იგულოს...

— შინ მიხვალ... არას მეუბნები გარდაწყვეტილს... გელოდო თუ ეხლავე გავემგზავრო მეფისკენ... ისეც დავიგვიანე... ეთერი შესდგა... წამს ჩაფიქრდა... ჩასაფიქრებელიც ჰქონდა... ყოველ ღამ მთვარეს ემუდარებოდა სეფე-წულს შეჰხვეღროდა... ღედოფალი გამხდარიყო, ეხლა შემთხვევა ეძლევა და...

— იმ პირობით, რომელიც წუხელის გითხარი, მზადა ვარ...

— წუხელისვე გითხარი მაგ პირობის შესრულება.

— მაშ წამოვალ!... მხოლოდ ღღეს არავის არ უნდა უთხრა, შენს მხლებელსაც კი... ამაღამ ისეთ დროს უნდა გავიდეთ, რო არავინა გვნახოს... აქ არავინ არ უნდა იცოდეს, თუ სად მივდივართ.

— ჩემ მხრივ ყოველივე შესრულებული იქმნება, თუკი შინაურები არ გაავრცელებენ...

— მაგისი ფიქრი ნუ გექნება! მამაჩემსაც ნუ ეტყვი, თუ თანახმა ვარ. თითონ მოველაპარაკები...

— იქმნებ ისეთი გზებით გინდა სიარული, რო არავინა გნახოს და არ გიცნოს?

— სწორედ მაგნაირი მგზავრობა მინდა...

— მაშ თუ ეგრე გინდა, ურემით მგზავრობა არ შეიძლება.

— ურმით მგზავრობა არც მიფიქრია...

კაცია ბატონი მთლად გაკვირვებული დარჩა, როცა ეთერი მივიდა და გამოუცხადა:

— მამავ, წავიდეთ მეფესთან სტუმრად. მაგრამ ისე კი უნდა გავიდეთ აქედან, რომ არავინ იცოდეს, თუ სად მივდივართ. მერე ისეთ დროს უნდა გავიდეთ, როცა ყველას ეძინება...

მაშამ აათვალიერ-ჩაათვალიერა ეთერი და ვეღარ იცნო. იმის თვალ-წინ იდგა გამობრძნედებული ადამიანი და არა გასათხოვარი უდარდელი ასული, როგორსაც გუშინ გაჰშორდა. „ერთ ღამეს?!“ გაიფიქრა კაციამ და უფრო დააკვირდა ეთერს...

— ვიცი, რადაც მაგრე განცვიფრებით მაცქერდები. . წყნარად წარმოსთქვა ეთერმა .. და გეუბნები, ეს ასე უნდა მოხდეს... რადგანაც არა მსურს ჩემზე აქაურებმა ილაპარაკონ: „წავიდა მეფესთან, სეფეწულმა დაიწუნა და უკანვე მოვიდაო“... ეს გესმის, მამავ!..

— შვილო, შენ ხომ იმისთვის არ მიხვალ?..

— სწორედ მაგისთვის არა მსურს ჩემზე ილაპარაკონ.. თუ გაიგეს, უეჭველად ილაპარაკებენ. პირზე კლიტეს ვერავის დაადებ.

— შენი ყმა ვარ, მომსახურე!.. სიცილით უთხრა კაციამ და ხელები ძირს დაუშვა..

— მაშ, აი, ჩემო მამავ, როცა სოფელი მიიძინებს, და მთვარე ამოაშუქებს, ჩვენ გავემგზავრებით. ამისთვის სამი ცხენი მზად უნდა იყოს: შენთვის, ჩემთვის და გადიასთვის..

— განა გადიაც უნდა წავიყვანოთ?!..

— უეჭველად... მხოლოდ გადიას ვენდობი... ის მომიკლის იქ...

— დაიცა, რატომ ცხენებით გინდა სიარული?! ეს ხომ ძალიან დაგღალავს?!

— იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებაც მაიძულებს მალვით აქედგან გასვლას...

— ვფიცავ შენი მშობელის ხსოვნას, ვერა გამიგია რა?! მაგრამ მიმსახურე... ველი სხვა განკარგულებას... ურემი ხომ უნდა სანოვაგისთვის?!.. მეფემდის შორი გზაა...

— თუკი ურემი იქმნება, მაშინ ხომ მეც ურმით ვიმოგზაურებდი?!.. იმისთანა გზით ვივლით, რომლითაც ურმით მგზავრობა არ შეიძლება... ამისთვის სანოვაგისთვის ორი ცხენი და ორი მხლებელი კმარა... მხოლოდ მხლებელებს უნდა უთხრა მზად იყვნენ დანიშნულ დროსთვის, მეტი არაფერი...

— ყველაფერი შესრულებული იქმნება, მაგრამ წინამძღოლი ვინ იქმნება მაგნაირი გზით მგზავრობისა, რადგანაც მე უარს ვამბობ...

— მაგისი ნუ ვეფიქრები რა!... ნადირა იქმნება წინა-მძღოლი... იმ გზით წაგიყვანს, რა გზითაც თითონ მოვიდა.

— მაშ ნადირამ უკვე იცის შენი გადაწყეტილებაა?!...

— იცის და ისაც მზად არის შეასრულოს ყოველივე ჩემი განკარგულება... მაშ ეგრე... ყველაფერი მზად იქმნება დანიშნულ დროსთვის...

მართლადაც დანიშნულ დროს ყველაფერი მზად იყო და სულ უჩუმრად გაემგზავრნენ... ძე ხორციელმა არ იცოდა, თუ სად მიდიოდნენ. თან მხლებლები ბევრსა ფიქრობდნენ, მაგრამ ვერა გაეგოთ რა. წინ სეფე-წული მიუძღვოდა კაციათი, და დანარჩენები კი უჩუმრად მისდევდნენ...

მთვარე ამოვიდა, ჩაბარუხს უკვე მიუახლოვდნენ.

— ეს ადგილი ძალიან საშიშია!... წასჩურჩულა ირემამ ნადირას...

— რისთვის?.. იმავე ხმით შეეკითხა ნადირა.

—წუხელის არ მეძინებოდა .. გალავან გარედ გამოველ და... დაიწყო იმავე ხმით ირემამ... აქეთ გამოვიარე... მთვარე უკვე კარგა ამოსული იყო. მოვუახლოვდი ამ მდინარეს თუ არა, შემომესმა რაღაცა ხმაურობა ..

— ეხლაც ხმაურობს ჩაბარუხი...

— არა, ჩაბარუხის ხმაურობის გარდა კიდევ სხვა ხმაურობა, რომლის აღწერა არ შემიძლიან... უნდა გაიგონო, რო წარმოდგენა გქონდეს...

— მერე?

— მერე, სეფე-წულო, ალების ბუქნაობა ვიხილე. თმა კალხზე ამიდგა. ქუდი გადამივარდა... სწრაფად ქუდს ხელი დავტაცე და მოვკურცხლე... ასეთი შიში ჩემ დღეში არ მიჭამია!

— უთუოდ ეხლაც შიშის ზარი გიტანს...

— მართალს უბნობ, სეფე-წულო!... სჯობს, ჩქარა გავიაროთ ეს ადგილი...

ამ დროს ეთერს და გადიას რაღაც უცნაურობა დაეტყოთ. ცხენებს შეუტიეს. საჩქაროდ მდინარე გაარღვიეს და მეორე ნაპირს მოექცნენ... იქაც არ შეუყენებიათ ცხენები. ისევ აჩქარებით მიერეკებოდნენ...

— უთუოდ იმათაც იციან, რო ეს ადგილი საშიშია, თორემ რად გააჩქარებდნენ ცხენებს?!.. ნიავსავით წასჩურჩულა ირემამ სეფე-წულს...

— ჩვენც უნდა ავაჩქაროთ!... უპასუხა სეფე-წულმა და სწრაფად ეთერის გვერდით გაჩნდა. იმას კაცია და ირემა მიჰყვა...

— ეთერმა, რაკი კარგა გასცდა ჩაბარუხს, მალვით უკან მოიხედა და დაინახა კლდის ნაპრალის პირას ქანდაკებასავით გადმოკიდულ მახარეს...

ღაწვები აეწვა და...

(შემდეგი იქნება)

დ. თურდოსპირელი

გაქვავებული ცრემლები

მე ვიცი, რომ ქალების ედემური სიამოვნებაა მზერა სიყვარულით შეღონებული კაცისა... ამას არ ამბობენ იგინი, მაგრამ მას ამჟღავნებენ მათი ცქრიალა თვალები.

მახსოვს ეროხელ, როდესაც სიყვარულის ლოცვას ვამბობდი და ცრემლები მომადგნენ თვალებზე, ჩემი სატრფო განუსაზღვრელ აღტაცებაში მოვიდა...

იმაზე ბედნიერი იგი არასოდეს ყოფილა, როგორც იყო იმ წუთს...

და მე ვკითხულობ:

რატომ ხდება ასე?

რატომაა ქალი ასეთი უცნაური, უგასაგისო?

სადაა მისი გული?..

როგორ თუ გული?

სად აბადია მას იგი?!

მართალია, ჰქონდა ერთხელ მგრძნობელი, მაგრამ იგი მოჰკვდა კაცობრიობის გარიჟრაჟისას.

პირველი კოცნა, რომელიც კი აღმოსკვნა პირველ აშიკმა პირველ მიჯნურის ბაგეზე—კუბოდ გადაექცა ქალის გულს და ჩაიხვია იგი აღუდგენლად.

ქვეყნიერობაზე პირველი სამარე სწორეთ ქალის გულისთვის გაითხარა...

ვინ გაიგებს ამის მიზეზს?..

რად დატრიალდა ეს ცოდვა?..

ვინ იცის, ვინ იცის...

განუმეორებელ საიდუმლოთა საბურველითაა იგი მობურული და ამოუცნობი...

ან სადაა ის სამარე?..

არქეოლოგებმა ეგვიპტის პირამიდებში ბევრი ეძიეს, პართენონის ნანგრევთა შორის დიდხანს იწანწალეს, პომპეის გარემონიც მთლად გადათხარეს და ვერსად ჰპოვეს პირველი სამარე, საცა პირველ კოცნის კუბოში ჩამარხულა ქალის გული...

გომერი, პრაქსიტელი, რუსთაველი, დანტე, რაფაელი, შექსპირი—ყველამ ისე განვლო სიცოცხლე და ისე განისვენა, რომ ვერ იხილა ქალის გული...

ვერც სხვა ვინმე ეღირსება.

მალე მყინვარ-იალბუზი ნისლის ქულებად გადაიქცევიან და შესრიალდებიან ცის კამარაში, ვიდრე იპოვიდეს კაცი დაკარგულ საუნჯეს...

ნეტავ ჩამახედა იმ ქალთა წყრომით აკვესებულს თვალებში, რომელნიც ამ სტრიქონებს წაიკითხავენ...

მიკვირს, რა აჯავრებთ.

მოყვასნო, კეკლუცო მოყვასნო, რათა გგონიათ, ვითომ მე თქვენი აუგი მწადდეს...

არა, თქვენმა მზემ, არა...

მე თქვენ მიყვარხართ... რომ იცოდეთ როგორ მიყვარხართ...

მაინც არა გჯერათ?..

გიჟებს!..

მაშ აბა მოცქრიალდით ჩემთან ნაინატრად და მე მაგ თვალების დაკოცნით დაგიმტკიცებთ ჩემს მხურვალ გრძნობებს...

ალალი ვარ მე და ალალივეა ჩემი სიყვარული თქვენდამი...

მე ვსჩივი, მე მოვსთქვამ მხოლოდ თქვენს უგულობას...

მეტს არაფერს...

და განა ეს დასამალია?..

აბა დაიხედეთ მკერდზე, თუ არ გენიშნოთ.

აი მარგალიტი...

ძვირფასი მარგალიტი ელვარებს სადაფში მჯდარი...

თქვენთვის ის სამკაულია, მკერდის მაშვენი, მაგრამ იცით რას მაგონებს იგი და რად მანაღვლიანებს?..

— ცრემლებს... სიყვარულის ობოლ ცრემლებს...

თვლები კი არა, იგინი მართლაც გაქვავებული ცრემლებია მიჯნურობისა.

იცით განა, რადა ციმციმებს იგი ისე კაეშნიანად, რადა თრთის ობოლ მომწყდარ ვარსკვლავივით?..

იგი სტირის, იგი სჩივის, რომ ის მკერდი ქალისა, რომელსაც იგი ამშვენებს—ცალიერია, დაყუჩებულია, გაძრცვნილია ეფრატის მიდამოებივით, სადაც ოდესღაც სამოთხის მადლი ტრიალებდა, და რაც დაიხურა მისი კარები—მიდამოც მიმკვდარდა...

* * *

ვერავინ იპოვა ქალის გულის სამარე—პირველ ადამიანის პირველ კოცნით შემოსუდრული, მაგრამ ნეტავ ის მაინც შემეტყო, თუ ვინ დაფრქვია ის ცრემლნი, რომელნიც ობოლ თვლებად გაქვავდნენ და მოსთქვამენ ქალის უგულო მკერდზე...

ღრამა

ტრ. რამიშვილი

სტუმარ-მასპინძლობა

კომედია სამ მოქმედებად

მოქმედნი პირნი

ალექსი ბესელიძე—მეაფთიაქე
ნუცა—ცოლი
სიდედრი
მამიდა
თებრო—მოსამსახურე
ოთარ გობრონიძე
დარო ცოლი მისი
ნიკიფორე ატაკუტა
ივანე ბუსხრიკიძე
ბიქტორ ბუყიაშვილი
ბეჟიკო გიდელაძე
არიმან ვახრაკიძე—მდგმური
სანდრო—მიკიტანი
ვანო—მამიდას შვილისშვილი
მიხა—ოთარის მოსამსახურე

მოქმედება თბილისში. ჩვენს დროს.

მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს სასადილო მოზრდილ ოთახს, სამი კარით; ერთი შუაში, ერთი მარცხნივ, ერთიც მარჯვნივ. ორი ფანჯარა შუა კარების აქეთ იქით. სცენის მოწყობილობა საკმაოდ მდიდარია, ერთ კუთხეში სდგას ბუფეტის შკაფი, შუაში სუფრა გადაფარებული მაგიდა ირგვლივ სკამებით შემომწკრივებული. სდგას აგრეთვე სანდიჩ-გადაფარებული ტახტი. ფარდის ასდისას თებრო სდგას სახეგრად დია ბუფეტის შკაფთან).

თებრო შეყლაპა ყველაფერი და წავიდა. უჰ! რატომ არ დაიქცა ის დღე, როცა შენ პირველათ აქ შემოხვედი. გენაცვალეთ, რა მოუშორებელი ჭირი გახდა, ჩამოგვესახლა და წასვლაზე აღარ ფიქრობს. (შეისედავს შკაფში) ტა! ტა! ტა!!! რაღა ვქნა და ან იმათ რა პასუხი გავსცე? (ზარი დაირეკება, თებრო შკაფს მიხურავს, კადის შუა კარებში და წუთის შემდეგ შემოუძღვება ალექსის, რომელსაც ხელში გაზეთში გამოხვეული ნივთი უჭირავს; ნივთს სასადილო მაგიდაზედ დადებს).

ალექსი ნუცა შინაა?

თებრო შინ გახლავს.

ალექსი სიდედრი როგორაა?

თებრო ისევ ისეა.

ალექსი ექიმმა რა სთქვა?

თებრო შაკიკიაო.

ალექსი გუშინ შენც მაგ აზრისა იყავი, არა?

თებრო დიახ.

ალექსი ვიშველა ღმერთმა, რაღა ექიმი და რაღა შენ. სხვა, რაღაც უგუნებოთ მეჩვენები. (ამოიდებს ბაბირაზს და მოუკიდებს) აბა, ერთი საფერფლე გამოიტანე ზალიდგან.

თებრო ეხლავ (შეასრულებს).

ალექსი ერთ-ერთი საფერფლე მუდამ აქ უნდა იდოს.

თებრო უკაცრავად, მე უბედურს სულ მავიწყდება.

ალექსი ჰო და რათა ხარ უგუნებოთ მეთქი, გეკითხები. ვინ იცის, ბიქტორმა კიდევ გაგაჯავრა.

თებრო როგორ გამოიცანით!

ალექსი აკი ვსთქვი.

ნუცა (შემოდის მარცხნივ კარებიდან. 30 წლის სიმპატიური მანდილოსანია. ატვია ევროპიულად). ძლივს.

ალექსი (აიდებს მაგიდიდგან ნიკთს და გადასტემს ნუცას). ესეც შენი ინგლისური კაკაო და მურაბა. (თებროს) ბა, თებროჯან მოჰყე, რა'მოხდა. (ჯდება).

ნუცა (ჯდება).

თებრო ის მოხდა, რომ საგანგებოთ მოხრაკული ვარია სულერთიან შეუპამია და ზედაც თქვენი საყვარელი ჭაშნიკიც მიუყოლებია.

ალექსი და ნუცა (იცინიან).

ალექსი (ნუცას) ვაიმე ჩემო ვარია. (თებროს) ჰო, ბიქტორი პირის ჩაგემრიელებაში მეტად ყოჩაღი ვინმეა. თითონ რაღას ამბობს? ამდენი ჭამით რისი დამტკიცება მსურსო.

თებრო „საპმელი მშიერი კუჭის გასაძღომად მოიგონეს ჭკვიანმა კაცებმაო". აი გაუხმეს იმას კუჭიცა და ნაწლევებიც.

ალექსი და ნუცა (იცინიან).

თებრო არა შენი ჭირიმე, მე ხუმრობის გუნებაზე არა ვარ. ორში ერთი: ან გადააჩვიეთ ამ სიწუწკეს ან აიკიდოს ბარგი და თავის გზას გაუდგეს. ამდენი ხნის სტუმრობაც არ უნახავს კაცს. რა მოუშორებელი ჭირი გახდა. ჩამოგვესახლა და წასვლაზე კი არა ფიქრობს.

ალექსი არა უშავს რა, ჩემო თებრო, არა უშავს. ყველაფერი გაივლის, ყველაფერი გამოსწორდება.

თებრო თუ თქვენ ხმას არ ამოიღებთ, არაფერიც არ გამოსწორდება. (გადის შუა კარებში).

ალექსი (ნუცას) როგორაა დედაშენი?

ნუცა ცოტა უკლო. წამალი ვასვი და მიეძინა. იცი, ალექსი, ოლასაგან წერილი მივიღე.

ალექსი მართლა! რაო, როგორ არიან ჩვენი ოქროს წიწილებიო?

ნუცა ჩინებულად ენაცვალოს დედა. ოჯახით აღტაცებულნი არიან თურმე. სხვა, ახალი მდგმური რა უყავ?

ალექსი შუა-გზაზედ დამშორდა. ახ, ნუცა, რა ბედში ჩავარდით, რა ბედში. ეს კაცი ღმერთმა პირდაპირ ციდან ჩამოგვიგდო.

ნუცა როგორ?

ალექსი ადამიანო, გეუბნები ძალიან დიდი ვინმეა მეთქი. მე მგონია მაგან ყველაფერი იცის, რაც კი ადამიანის გონებას შეუქმნია.

ნუცა შენ თუ არ გადააჭარბე, როგორ იქნება.

ალექსი ეი ურწმუნო თომა! დედაკაცო, გულთმისანია, გულთმისანი.

ნუცა ხა-ხა-ხა! ნუ მომკალი სიცილით ღვთის გულისათვის. ამ სიბერის დროს ლამის ცრუმორწმუნეც გახდე. გიმეორებ, ალექსი, ამ შენს გულთმისანს რაღაც შანტაჟის სუნი უდის და ვაი თუ...

ალექსი კიდევ დაიწყე? ნუცა, ნუცა, აბა რას ამბობ გენაცვალე? აფთიაქს ველარ იცნობ, საათივით ამიწყო ყველაფერი და გზა და გზა ისეთ ისეთებს მასწავლის, რომ თუ ტვინმა გამიძლო, მალე ალბათ თვალსაჩინო ქიმიკოსი გავხდები მთელ საქართველოში. გადაცმული ბედია გადაცმული. (თებრო მოდის შუა კარებიდან და კედის მარჯვნივ).

ნუცა ქალაქში დიდ ხანს დარჩება?

ალექსი არ ვიცი. წელან მითხრა, ისარგებლეთ ჩემი აქ ყოფნითო (წამოდგება სახე გაბრწყინებული). იცი, ნუციკო, თუ ეხლა მაინც დაგვანებეს თავი და კიდევ არ დაგვაქციეს, იმედია ეს სახლი შევინარჩუნოთ. ეს რომ ასე იქნება, ამას მე გული მიგრძნობს. ამ ბოლო დროს რაღაც არა ჩვეულებრივათ მიწყნარდა ჩვენი ცხოვრება. დღეს დილით ქუჩიდან რო შევხედე ჩემ კოპწია სახლს, გული სიამოვნებით ამევსო. ამ ოხერ ბიქტორას რომ მოვიშორებდე, მერე არა მიჭირს რა.

ნუცა თებრო, თებრო! აბა უამბე ალექსის იმ სოფლელი ღვდლის ამბავი.

ალექსი რას ამბობთ, ვინ ღვდელი, რა ღვდელი?

ნუცა მამა ლაზარე.

ალექსი ეი ის ღიპიანი? მერე?

თებრო წუხელ მოსულიყო გვიან ნაშუალამევს. რადგან კარები დაკეტილი დახვედროდა, მოსდგომოდა სამზარეულოს გატეხილ ფანჯარას და შემომძვრალიყო, ძირს ჩამოხტომისას იქვე მდგარ წყლით სავსე გობში ჩავარდნილიყო და სულ ერთნაირათ ამოწუწულიყო.

ალექსი და ნუცა (იცინიან).

ალექსი ნეტა როგორ შემოეტია იმოდენა კაცი იმ ერთ ციცქნა ფანჯრუკაში.

თებრო უი, რაც მე ისა ვწყევლე გუნებაში! ღამე ვანის ოთახში გაეთია. გავაღე თუ არა დილით სამზარეულო, წუთსვე გაქრა; კიდევ კარგი, თორემ ერთ კვირას ვერ მოვიშორებდით. დაილოცოს ღვთის განგება, ვინც გინდა და არ გინდა, ყველა აქ მოეხირება. ის რო კეთილი სული იყოს, რა უჭირდა სასტუმროში ჩამომხტარიყო, განა ცოტა აოხრია. მაგრამ როგორ იქნება. მაშინ ვინღა ამოიჭამს ნაცნობანათესავს. (კედის შუა კარებში).

ალექსი მაშ ისევ იწყებენ?

ნუცა როგორც ხედავ. იერიში მღვდლებით იწყება, ცუდი ნიშანია.

ალექსი ნეტა რა გვიხსნის?

არიმან (უეცრივ შუა კარებში დაეუფლება თაიგულით ხელში). ჩვენი ხალხის რიგიანობა.

ნუცა და ალექსი (შეკრთებიან) ახ, თქვენა, ბატონო არიმან! მობრძანდით, მობრძანდით!

ნუცა შეშინებისათვის უთუოდ დაგაჯარიმებთ.

ალექსი თქვენ სულ ასე იცით, გამოჩნდებით მოულოდნელად და გულებს დაგვიხეთქავთ.

არიმან (ნუცას). ჩვენს ძვირფასს დიასახლისს შეშინებისათვის. მცირედისათვის მეპატიეთ, ამაზე უკეთესი საყვავილეში ვერა ვნახე. (გადასტენს თაიგულს თაყვანისთვის. 30 წლის კაცია. ეცვია ეკვიპაჟიანდათ)

ნუცა (ენთუზიაზმ თაიგულს). ჩინებულია, ჩინებული. ვმადლობთ, დიდათ გმადლობთ. დაბრძანდით, ბატონო.

არიმან (შიგა ბუხართან და ხელებს ათბრუსავს) ძალიან აცივდა. ასეთი სუსხიანი შემოდგომა ჯერ არ მინახავს. (ბაბარეს ამოიდებს, ალექსისაც უთავაზებს) სხვა ბატონო ალექსი, როგორი იყო, ა? (ნუცას) თქვენი მეუღლე დღეს იმდენი ვამუშავე. რომ არა მგონია არ ნანობდეს ჩემს აქ დაბინავებას.

ალექსი პირიქით, თქვენი ჭირიმე, პირიქით, აი ჰკითხეთ ნუცას, თუ რა აღტაცებით უამბობდი წელან თქვენზე (თებრეს დაურეკს. შემოდის თებრო).

ალექსი თებრო,—გეთაყვა, ბუხარს შეშა შეუმატე.

თებრო შეშას რო დაპობა უნდა!..

ალექსი უნდა და ჩვენც დავაპოთ. მე წავალ სარდაფში, შენ კი ცული მომირბენინე (გადიან ორნივე შუა კარებში).

ნუცა ჩემი მეუღლე თქვენით თავდავიწყებამდეა გატაცებული.

არიმან მართლა?

ნუცა ცრუ მორწმუნე გახდა, წარმოიდგინეთ, იმასა სჯერა თქვენი გულთმისნობა.

არიმან თქვენ კი!

ნუცა მე, რა თქმა უნდა, სიცილადაც არა მყოფნის.

არიმან ალექსი, როგორც ეკზალტაციის კაცი, რა თქმა უნდა. აზვიადებს ჩემს ღირსებებს, მაგრამ ერთს რაშიმე კი რამდენადმე მართალია.

ნუცა რაში ბატონო? განა მართლა იჩემებთ გულთმისნობას? ხა, ხა, ხა, ხა! კურიოზი თუ გინდათ, ეს არის სწორეთ.

არიმან რო დაგიმტკიცოთ?

ნუცა — თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

არიმან — მხოლოდ არ შეგეშინოთ კი.

ნუცა — არასოდეს. მე არ ვიცი, შიში რა არის. აბა, დავიწყოთ სეანსი.

არიმან — მკითხეთ, რაც გენებოთ.

ნუცა — (წამით ჩაფიქრდება) აი თუნდ ეს: როდის ან რამდენი წლისამ დავასრულე გიმნაზია?

არიმან — გიმნაზია არ დაგისრულებიათ, მეექვსე კლასიდგან მიატოვეთ.

ნუცა — (ოდნავ შეკრთება და ტუჩებზედაც იკბენს) რათ მივატოვე?

არიმან — ერთი თავქარიანი აფიცრით გატაცების გამო.

ნუცა — თვით მე როგორი ვიყავი?

არიმან — „კარტველი კალი“ იყავით, გიყვარდათ ფლირტი, კალინა-მალინა, გძულდათ ია და ვარდები; მერე ალექსიმ შეგირთოთ, მოგარჯულათ და ვახდით სიმპატიური ქართველი ქალი.

ნუცა — (წამოხტება) არა, ეს წარმოუდგენელია. თქვენ ალბათ მაშინ იმ არემარეში თუ ტრიალებდით.

არიმან — გარწმუნებთ, არა. დაბრძანდით და განაგრძეთ.

ნუცა — (ჯდება) დღეს გარეშე ვინმე იყო ჩვენსა?

არიმან — იყო დილით, ჩვენი წასვლის ერთი საათის შემდეგ.

ნუცა — ვინ?

არიმან — ცნობილი დონ-ჟუანი დავით კვინწარაძე. საშიში კაცია, ვისაც ის დაუმიზნებს, იშვიათად დააცდენს. ამ ჟამად თქვენა ჰყევხართ ნიშანში ამოღებული.

ნუცა — რისთვის იყო?

არიმან — სახვალიოთ დაგპატიჟათ ქართულს ოპერაში. იმისი განზრახვა იყო, მეორე მოქმედებიდან სახლში გაეტყუებინეთ და, როგორც თითონა სთქვა, სულ ერთიან შეეჭამეთ, ჩაეხრამუნებიეთ.

ნუცა — ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

არიმან — როცა თქვენ ეს გაიგეთ, აიღეთ, დაუბრუნეთ ბილეთი და უთხარით: უკაცრავათ მე ორი კაცის ცოლობას ვერ გავწევო. ის იმ წამსვე წავიდა. როდესაც ეს სცენა ხდებოდა აქ, მე ვიჯექი კაფეში და ყავას შევექცევოდი. თქვენმა გამარჯვებამ იმდენად გამახარა, რომ აქნამდის სულ კუნტრუშით მოვდიოდი.

ნუცა — (ბოტებით) ერთ და იმავე დროს აქაც, კაფეშიც.

არიმან — დიახ, დიახ, სწორეთ მასეა. არიმანი აქ, არიმანი იქ... ხა ხა ხა ხა! იმედია, ამის შემდეგ აღარ გეცემათ შანტაჟის სენი.

ნუცა ახ, ესეც გაუგია (თვალებზე ხელებს მიიფარებს).

არიმან აბა კისერი, მოვიდა ხმალი.

ნუცა ინებეთ, ბატონო, ხოლო ვერ დაგიფარავთ, რომ თქვენი მე ეხლა ძლიერ მეშინიან.

არიმან ასე მალე? აკი ასე და ისეო.

ნუცა ამიხსენით ღვთის გულისათვის, საიდან იცით ყოველივე ეს?

არიმან ბიჭი ვარ და ქუდი მხურავს, აი საიდან.

ნუცა მართლა, მართლა?

არიმან ჭკუა, ნიჭი და განათლება თავ-საყრელი მაქვს, აი საიდან.

ნუცა ახ, რა კაცია.

არიმან ზე-კაცია. ახ, დაია ნუცა, რომ იცოდეთ, რა ადვილი იყო ჩემთვის ეს გამოცანა, ვიცი ბევრს იცინებდით.

ნუცა ხუმრობა იქით და თქვენ უთუოდ უნდა გამიფანტოთ ეჭვები, თორემ ჩემი ნერვები ვერ აიტანენ.

არიმან უთუოდ, უთუოდ, თორემ ერთიც ვნახოთ, მართლა ზე-კაცად მოგეჩვენეთ და შეგიყვარდეთ ხა—ხა, ხა—ხა!

ნუცა დამცინით? არ მოველოდი.

არიმან ქ-ნო ნუცა, დამშვიდდით. როცა კაი გუნებაზე ვიყო, მომაგონეთ და ყველაფერს გეტყვით. აგერ ალექსიც.

თეგბრო (შემოდის შეშით, რომელსაც ბუხრთან დასდებს).

ალექსი შენ წადი, თეგბრო, ამას მე ვუპატრონებ. (თეგბრო კადის ალექსი მოუჯდება ბუხარს და შეაწყობს შიგ შეშებს) „გამხიარულდი, ბუხარო, გულ ჩახვეული ნუ ხარო". (ნუცა კადის მარცხნივ).

არიმან (თვალს გაუოდებს ნელი სარკასტიული ხარხარით).

ალექსი (მოხედავს) რას იცინით?

არიმან ისე ჩემთვის.

ალექსი მაინც, მაინც?

არიმან ერთი შემთხვევა მომაგონდა და მიტომ.

ალექსი ჰოო, მოხდება ხოლმე. აი ამასაც მოვრჩი—ეხლა ჩემო ძმაო ბუხარო თავისუფალი ხარ და რამდენიც გენებოს, იმდენი იგუგუნე (მოუსხდებიან ორნივე ბუხარს). ახლა რაკი მარტონი ვართ, ნება მიბოძეთ მოგელაპარაკოთ.

არიმან ბრძანეთ.

ალექსი ვინა ხართ თქვენ?

არიმან რამდენჯერ უნდა გითხრათ, არიმან ვახრაკიძე.

ალექსი ეს მე არ მაკმაყოფილებს. უფრო ვრცლათ.

არიმან გაჭირვების ტალკვესი.

ალექსი არა, არა.

არიმან საქართველოს საყვირი, ბუკი და ნაღარა.

ალექსი გემუდარებით, მითხრათ თქვენი ნამდვილი ვინაობა.

არიმან არიმან ვახრაკიძე.

ალექსი აი სწორეთ ეს მიფრთხობს ძილს.

არიმან რა, ბატონო, ჩემი სახელი და გვარი?

ალექსი არიმანი ხომ ეშმაკს ნიშნავს, ვახრაკიც.იმასვე.

არიმან გამოდის რომ მე ეშმაკი ეშმაკიძე ვარ ხა, ხა, ხა, ხა! დამშვიდდით, ბატონო. მიწიერი ეშმაკი რამდენადმე ჩვენ ყველანი ვართ. ხუცური კი ზღაპარია. მაშასადამე მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ტომით ქართველი. ნათლობის სახელი რომანოზია, გვარი კი ვახრაკიძე.

ალექსი აი ეხლა კი მომეშვა.

არიმან მადლობა ღმერთს.

ალექსი ერთი კითხვა კიდევ.

არიმან ბრძანეთ.

ალექსი რისთვის მიშვრებით ამდენ სიკეთეს?..

არიმან თქვენ ჩემი დიდი ხნის სიმპატია ხართ და მიტომ.

ალექსი მე თქვენი სიმპატია? ხა, ხა, ხა, ხა! საიდან სადაო?

არიმან პირველი ადამიანი ხართ ვინც ასე მოინადირა ჩემი გული. უცხოეთში ჩვენი შეხვედრა დაუვიწყარია ჩემთვის.

ალექსი უცხოეთში ჩემთან შეხვედრა?! კიდევ ბურუსი, კიდევ გამოცანა. არა მესმის რა, არა მესმის რა! სადა მნახეთ პირველად?

არიმან ეხ, დავანებოთ ამას თავი, თორემ აგერ სინამდვილე კბილებს გიკრაჭუნებდა, ერთი არა სასიამოვნო ამბავი უკვე მოგაკერათ შუბლზე.

ალექსი რა ამბავი?

არიმან მოდიან.

ალექსი ვინა ბატონო?

არიმან ვისიც თქვენ ასე გეშინიათ.

ალექსი ვინ არიან?

არიმან სტუმ-რე-ბი.

ალექსი ვაი ამ დღეს!

არიმან (საათს დახედავს) ორი საათის შემდეგ, მატარებელი მოვა და ისინიც მოგადგებიან კარზე.

ალექსი რა მეშველება ეხლა! იმათ შენახვას ამ ძვირობაში დღეში ორმოცი თუმანი არ ეყოფა. ნეტავი ვინ იქნებიან.

არიმან უწინარეს ყოვლისა მამიდა თქვენი მანანა.

ალექსი ვაი ჩემი ცოლის ბრალი! მე რომ იმისი ამბავი ვიცი, სუ აამტუტებს აქაურობას.

არიმან რძალთან ვერა რიგდება. დღე მუდამ ჩხუბია იმათსა. საჭირო გახდა იმათი ერთი მეორისგან საჩქარო განშორება და, აი მამიდაშვილი შაქროც გიგზავნით გაზაფხულამდე. ის რო წავა, მაშინ რძალი ჩამოვა.

ალექსი ოი, ეშმაკებმა კი წაიღონ.

არიმან არ ღირს, ბატონო, წამ და უწუმ ამ საწყალი ეშმაკების ხსენება. იმათ თქვენთვის არა დაუშავებიათ რა.

ალექსი ვაიმე ჩემო იმედებო!

არიმან მოდით ალექსი, გავტეხოთ ნავსი და გადავდგათ ახალი ნაბიჯი.

ალექსი ეს სახლი რო კიდეც გადამიწვან, პურ-მარილზე ვერ ვეტყვი უარს.

არიმან რატომ?

ალექსი მეშინიან გამთათხავენ, სოფელში აღარ მიმესვლება.

არიმან არ მიგესვლებათ და თქვენც ნუ წახვალთ. იქ რა დაგრჩენიათ, რო არ ვიცი. კაცი უნდა ან ქალაქში იყოს, ან სოფელში, თორემ ცალი ფეხი აქ, ცალი იქ, კომედიაა სხვა არაფერი. აქსიომაა, რომ ერთ გაქალაქების მოსურნე ქართველს ცხრა სოფლელი. უკან ეწევა და საშვალებას არ აძლევს როგორმე ქალაქში ფეხი მოიმაგროს. ამიტომ არც ქალაქში ვართ, არც სოფელში, არც მტრისა, არც მოყვრისა.

ალექსი მოვითმენ, იქნება მოგვხედოს ღმერთმა და ამ მსოფლიო გადატრიალებამ როგორმე მოარჯულოს ჩვენი ბედოვლათი ხალხი.

არიმან ო, ჩემო ძმაო, ეს იქნება მაშინ, როცა ერთი ცხოველი მაღლა მთაზე დაუსტვენს. აბა წამობრძანდით ჩემს ოთახში და შევადგინოთ მოქმედების გეგმა. (კიდიან მარჯვნივ).

ბიძტორ (შეშოუძღვება შუა კარებიდგან სანდრო მიკიტანს, შემოიდაბარაკებს) მოდი სანდრო! დაბრძანდი! სხვა, რისთვის გარჯილხარ?

სანდრო გუშინ ბიჭისათვის გებრძანებინათ, ნახარჯის სია წარმოადგინოსო და აი გიახელით.

ბიძტორ ჰოო, მართლა, რამდენია?

სანდრო ბევრი არაფერი, ბ. ბიქტორ, სამოცი თუმანია.

ბიძტორ ასე ცოტა?! მე კი გაცილებით მეტი მეგონა. სანდრო, ცოდო არ დამდო, ხომ არა გამოსტოვე რა? შენ ხომ იცი, მე ვინცა ვარ?

სანდრო ვიცი, ბატონო, როგორ არ ვიცი. ვენაცვალე სულში ერთობის ხალხს, რო ასე ზრუნავს ჩვენთვის. შერცხვეს სანდრო, თუ თქვენთვის სანთელი ვით არ დადნეს.

ბიძტოლრ ვინმემ რო სთქვას ასე და ისეო, ამას მე ვერ მოვითმენ.

სანდრო არა, ბატონო, რაც არი, არი.

ბიძტოლრ ხომ ასე!

სანდრო დიახ, დიახ.

ბიძტოლრ (ძალვეს ფანქარს) აბა, ეხლა ეს სულ წაშალე.

სანდრო წავშალე.

ბიძტოლრ ეხლა ეს საერთო ჯამი მეორე გვერდზე გადმოიტანე.

სანდრო გადმოვიტანე.

ბიძტოლრ ეხლა ამას ქვემოდან ხაზი გაუსვი.

სანდრო გაუსვი.

ბიძტოლრ აი ეს ძველი ვალი ასე დარჩეს, ხაზის ზემოთ, და, რაც ამის შემდეგ დამედოს, ხაზის ქვემოდ დასწერე. გერმანულ სიფაქიზეს არა სჯობია რა. ძველი ვალი ხაზის ზემოთ, დანარჩენი ხაზის ქვემოთ; ერთი თვის შემდეგ სულ გაგისწორდები.

სანდრო (გაოცებული თავს იქნევს) რას ამბობთ, მე ვერა გავიგე რა.

ბიძტოლრ რა არის აქ გაუგებარი?

სანდრო დალოცვილო, მე ჩემი ფულებისათვს მოვსულვარ, თქვენ კი რაღაც ქვემო და ზემო ხაზებზე მელაპარაკებით, სადაური ხუმრობაა!

ბიძტოლრ სანდრო, უნდა გითხრა, რომ მე იდეის კაცი ვარ, და ხუმრობისა არც სურვილი მაქვს და არც დრო, უფრო დიდ საქმეს ვემსახურები.

სანდრო ჰოო! რაკი ასეა ღმერთმა შეგარგოს. მეცოდინება მაინც რა კაცთანაც მქონია საქმე.

ბიძტოლრ რაო? მაგრამ ღირს კი შენთან ლაპარაკი. აბა იფიქრე, უბადრუკო, ვისი წყალობით გახდი შენ თავისუფალი მოქალაქე, ვინ დაგინგრია მეფის ტახტი, ვინ მოგიტანა თავისუფალი საქართველო? ვინ იცის, რამდენი ღამე თეთრად გამითენებია თქვენზე ფიქრით, შენ კი რაღაც ნისიები ამოგიჩრია იღლიაში და, გინდა თუ არა, ანგარიში გამისწორეო. (გადის შუა კარებში).

სანდრო თუ ხელში ჩამივარდი, მე შენ ისეთ ხაზებს მოგცხებ გოგრაში, რომ სუ ვაი დედა იძახო.

ალექსი (კაშოდის მარჯვნივ კარებიდგან) რა ხმაურობაა! ახ, თქვენა ხართ? გამარჯობა!

სანდრო გაგიმარჯოს! (ხელს ართმევს).

ალექსი რაშია საქმე?

სანდრო (შუნჯურათ ეუბნება რადაცას).

ალექსი (ერთს ჩაიხარხარებს და უსწორდება) აჰა, ჯანი გავარდნია.

სანდრო აი ვაცხონე შენი დედ-მამა. (ხელს ართმევს მოწიწებით და გადის შუა კარებში).

თეგბრო (შემოდის, შკაფიდგან თეფშებს კიტანს და ისევ შუა კარებით გადის).

ბიჭტოტრი (შუა კარებიდგან).

ალექსი ხა—ხა—ხა!

ბიჭტოტრი ალექსი, სული ნუ წაგიწყდება, მითხარ, რას გეჩურჩულებოდა სანდრო მიკიტანი?

ალექსი ფული გმართებია, გაუსწორდი და წავიდა. მოგიკითხა სიყვარულით.

ბიჭტოტრი (გაჯავრებით) გაუსწორდი?

ალექსი მაშ რა მექნა, როცა შენ არა გცალიან ასეთი წვრილმანებისთვის.

ბიჭტოტრი მერე და როგორ მაკადრე ეს? ეს ხომ ჩემი შეურაცყოფაა, განა მე კაცი არა ვარ, ან ულვაშები არ მაბია?

ალექსი არა, მაგას ვინ ამბობს, კაცია ხარ და ძალიან გრძელი ულვაშებიც გაბია, მაგრამ ვალს მაინც გადახდა უნდა. ყოველ შემთხვევაში მე მეგონა სიკეთე გიყავი.

ბიჭტოტრი სიკეთე კი არა, შენ ჩაიდინე ჩემდა მიმართ უდიდესი დანაშაული.

ალექსი ეხლა მაპატიე და სამერმისოდ მეცოდინება, როგორ მოვიქცე.

ბიჭტოტრი მიპატიებია უკანასკნელად. იცოდე სხვას არ შევარჩენდი ამ თავხედობას. (გადის შუა კარებში).

არიმან (შემოდის მარჯვნივ კარებიდგან სიტყვით) ვაშა ბიქტორ, ვაშა! პროფესიით აგრონომია, არა?

ალექსი ვინა, ბიქტორი?

არიმან დიახ.

ალექსი აგრონომიას უსუნა მხოლოთ.

არიმან ეგ არაფერი, ჩვენი საქმისთვის ესეც კმარა.

ალექსი ახ, ნეტავი მაგას მოვიშორებდე.

არიმან რამდენი ხანია, რაც თქვენსა ბინადრობს?

ალექსი წელიწად ნახევარი.

არიმან (უეცრივ) ევრიკა!

ალექსი რა მოხდა?

არიმან თავის დროზე, მეგობარო, თავის დროზე. (ზარი დაირეკება).

თეგბრო (კამოდის მარცხნივ კარებიდგან).

ალექსი გაიგე, ვინ არის. (არიმანს) ვაი თუ ისინია.

არიმან ჯერ არა.

თეგბრო (შემოაღებს შუა კარებიდგან სიცივისგან აკანკალებულს და ახირებულად ჩატმულს ბეჟიკო გიდელაძეს. შედის მარცხნივ კარებში).

გეჟიკო (შემოიღაღარაკებს) თომას სცივა! თომას სცივა!

ალექსი ბიჭოს ბეჟიკო! ჩემი ბეჟიკო?! (ხელს ჩამოართმევს მოწიწებით არიმანს) ჩვენი ცნობილი მწერალი, იუმორისტი ბეჟან გიდელაძე. (არიმანზე) ჩემი მდგმური და ახლად შეძენილი მეგობარი არიმან ვახრაკიძე. (ისინი ხელს ართმევენ ერთი შეორეს).

გეჟიკო აბა, ერთი ლოთიანათ გამათბე, თორემ ვერავითარი იუმორისტიკა ვერ მიხსნის. თომას სცივა, საწყალ თომას სცივა. (ბუსარს მიუჯდება და ზმუკუნებს). ჰუუ! როგორ უბერავს შეჩვენებული ქარი.

ალექსი საიდან ამ დროს? თუმცა შენ მუდამ ასე იცი. (არიმანს) წელიწადში ერთხელ მოულოდნელად წამოგვიქროლებს, ცოტა ხნით ივლის და გაქრება სამი წლით.

გეჟიკო ამას მე ტაქტიკური მოსაზრებით ჩავდივარ.

ალექსი არა, არა ეს ვერაფერი თავის მართლებაა. უბედურებაა სწორედ. ვინც მიყვარს ის სანთლით საძებარია, ვინც არა და სუ კისერზე მაზის. მაშასადამე ამ ქარს უნდა ვუმადლოდეთ შენს მოსვლას, არა?

გეჟიკო მე აგერ შენს მეზობელ ბუზიყლაპიძესთან მქონდა სადალალო საქმე.

ალექსი როგორ, განა ეხლა დალალობაც დაიწყე?

გეჟიკო ჰო, სახლებს ვასაღებ. ეს უკანასკნელი „სტავკაა“.

ალექსი ქართველი მწერალი და დალალი—ვაი თავის მოკრავ! (იტირის, შეტრივ მარცხენა კარებს შეადებს) ნუცა, ა ნუცა. აქმო, ვინ განახო. (შემოდის ნუცა).

ნუცა ააა! ამას ვისა ვხედავ! ჩვენი ბეჟიკო, დაკარგული კაცი. (ხელს გაუწოდებს) გამარჯობა!

გეჟიკო გაგიმარჯოთ. (ხელს ჩამოართმევს).

ალექსი აბა, ნუცა დატრიალდი შენებურად!

ნუცა ეხლავ, ეხლავ. (კადის).

ალექსი (არიმანს) უნდა იცოდეთ, ეს მოუსვენარი კაცი რა ქარ-ცეცხლში გამოვლილია. ვინ იცის, თავს რა არ გადაჰხედია. (ბეჟიკოს) თავდაპირველად რითი დაიწყო შენი კარიერა?

გეჟიკო ეჰ, კარგია ერთი მამა გიცხონდა.

ალექსი სთქვი, არ მოგეშვები.

ბეჟიკო. ამან თუ დაბადებიდან არ დამაწყებინა, ხომ ვერ მოისვენებს.

ალექსი შენი ჭირიმე, შენი! ჯერ იყავი გაზეთის დამტარებელი, მერე?

ბეჟიკო. ბუკინისტის შეგირდი.

არიმანი რო წამოიზარდეთ, ალბათ თვით გახდით ბუკინისტი, არა?

ბეჟიკო. სრული ჭეშმარიტებაა, სწორედ ზედ მიარტყით.

ალექსი მერე?

ბეჟიკო. (არიმანს) იქნება თქვენა ბრძანოთ.

არიმანი არა, არა.

ბეჟიკო. ცოტა რომ ღარი დავისვი.

არიმანი ალბად ცოლი შეირთეთ.

ბეჟიკო. ეხლა კი მირტყმაზე მეტი იყო და თუ კიდევ გამოგიცვნიათ ალბათ შემეშინება და გავიქცევი.

არიმანი ბრძანეთ, ბრძანეთ, მერე?

ბეჟიკო. მერე, თქვენი თქმისა არ იყოს, მართლაც ცოლი შევირთე და ზედ მიყოლებით ექვსი ისეთი ბიჭი გავაჩინე, რომ ავ თვალს არ ენახვება (არიმანს) მადლობა ღმერთს, ეს მაინც არა გცოდნიათ. (ალექსი და არიმანი იცინიან).

ალექსი მერე, მერე?

ბეჟიკო. მერე არაფერი (არიმანს). ნამდვილი ბურჟუაა, რაკი სახლი აიშენა, ეხლა კარის მასხარაც უნდა გაიჩინოს. (ამოთი ლაპარაკის დროს ნუცა და თუბრო მტირე სიუზმის თადარიგს ეწეოდნენ. ბეჟიკო შენიშნავს რა კაწეობილ სტოლს). აი ვაცხონე თქვენი დედ-მამა. (მუცელზე მიდებს ხელს) აჰა, ამანაც გაიგო. (ორ ოთს მიუკაკუნებს). ამხანაგო! გაიღვიძე, დღეს ჩვენი გიორგობაა.

ალექსი ბეჟიკო, რა მოგდის, ვის ელაპარაკები? უჟმური ხო არ შეგეყარა?

ბეჟიკო. არაფერია, მალე გაივლის. აგერ ჩემ კუპს გამოვეხმაურე.

ალექსი რაო, კუპსაო?

ბეჟიკო. ჰო. უნდა იცოდე, რა უსიფათო რამ არის ეს არგასაშვები. რამდენიც არ უნდა ჩააყარო, მაინც უკმაყოფილოა. ქვეყანა უპურობით იხოცება, ეს კი ხაჭაპურებსა მთხოვს. ეს რომ არა მყავდეს სათრევი, რაღა მიჭირდა. ყველაფერი ამას, მე კი მუდამ ხახა გამშრალი ვარ.

ნუცა აბა, ბატონებო, მობრძანდით, ყველაფერი მზადაა. (ნუცა ჯდება თავში).

ალექსი (შუაში) ბეჟიკო, შენ აქ ჩემთან, გვერდი დამიმშვენე. ბატონო, არიმან, თქვენ კი მეორე თავში—ნუცას პირდაპირ.

ბეჟიკო აგაშენოს, ძმაო, ღმერთმა. ვცხოვრობ და ქუდიც მხურავსო შენზე ითქმის სწორედ. კოპწია სახლი, აფთიაქი და ლამაზი ცოლი.

ალექსი კაცო, რას ჩააცივდები მუდამ ამ ჩემ ცოლს. აბა ნახავთ, თუ შეყვარებული არ იყოს.

ბეჟიკო ვარ, ძმაო, ვარ. გამოტეხით გეუბნები, რომ გუნებაში ძალიან მინდა, ნუცა ჩემი იყოს და არა შენი.

ნუცა ვუი მეე! (იცინიან).

ბეჟიკო იცინეთ, იცინეთ. აბა ერთი გამოცხადდეს ქალების სოციალიზაცია, თუ ნუცა წილში არ ვირგო. დალახვროს ეშმაკმა. ეს ბედი რა ოხერი ვინმეა. ზოგს ყელამდი აავსებს, ზოგისათვის კი კუდა ვირიც არ ემეტება. (ადგებს ჭიქას) თქვენი სადღეგრძელო იყოს, ძვირფასო დიასახლისო! ვიხუმრე, არა გეწყინოთ რა (სხვებიც სვამენ და შეექცევიან). სხვისი ცოლი კი არა, ჩემი არ ვიცი ვის გაუგზავნო.

ალექსი აბა, რა დაგვიწერე ამ ბოლო დროს.

ბეჟიკო ეჰ, დალოცვილო, რა დროს წერაა შიმშილისაგან კედელ-კედელ ვეყუდებით.

ალექსი რას ამბობ, ბიჭო! გაგონილა ამ დროს გაჩუმება, ვერა ხედავ, ცხოვრება დულს და გადმოდულს.

ბეჟიკო მე რა მესაქმება, იდუღოს მანამ არ მოეწყინოს. ქართველმა მწერალმა დაგიწერა ერთი რამ სახეირო, თავი დაუკარ და გაუშვი. სულ ერთია, მერე ვერას გამორჩები. ეხ, ყველაფერს გაუძლებდი, ამ ოხერ სტუმრებს რო არ ამოვეჭამე.

ალექსი შენცა ბეჩა? (ბეჟიკო თავს უქნევს თანხმობის ნიშნათ).

ალექსი ეხლა კი მებრალები, ძმაო.

ბეჟიკო ამ ჟამად ოთხი მყავს. ვართ ათი სული ოთახ ნახევარში გამომწყვდეული. ისე გამიჭირეს საქმე, რომ სამი თვეა ცოლისთვის ვერ მიკოცნია. გამოცდილი ხალხი ხართ და გეცოდინებათ, თუ რა უფერულია უამისოთ კაცის ცხოვრება. (ნუცა და ალექსი იცინიან).

ალექსი როგორ მოგივიდა ეს?

ბეჟიკო ვერა გზით ვერ დავიმარტოვე, ვერსაიდან ვერ მიუდექი. ღამით რო შინა ვბრუნდები, ვინ იცის, რამდენ წყებას უნდა გადავახტე თავზე. ერთი პარტია მიდის, მეორე მოდის. ეხლა, როგორც გითხარით, ოთხი სული მეწვია. ერთი მათგანი ცოფიანი მგლის დაკბენილია, მეორე ქრონიკული სლოკინით არის შეპყრობილი, წამ და უწუმ (სდგებინზე აჭაგრებს) სულ დაგვიფრთხო ძილი იმ ოჯახქორმა. მესამემ შემოიტანა

„ისპანკა“, დაგვერია ყველას და კინაღამ წავედით მიქელ გაბრიელთან. ხაჭაპურები და ჩურჩხელები სხვას მიუტანა, „ისპანკა“ რო შეეყარა, მომადგა მე. გუშინწინ მეწვია გადიდკაცებული ქვისლი თავისი ორსული ცოლით. „უნდა უეჭველად ქალაქში მოვალოგინოვო“; იმ ღამესვე ასტკივდა მუცელი და გუშინ ამ დროს ეყოლა ისეთი ტყუპი მურა, თითო გამოვა თოთხმეტი გირვანქა.

ალექსი ვაი, რა გაჭირვებაში ყოფილხარ, ძმაო!

არიმან (ბეჟიკოს) თქვენი სადღეგრძელო იყოს, იშვიათო ადამიანო!

ბეჟიკო მადლობას მოგახსენებთ. ერთი ორი საათი ასე ვიქნები, მერე კი ჩავდგები პურის რიგში. სხვა, შენ კი, ალექსი, როგორა ხარ? ვგონებ დაგვიწყეს, არა?

ალექსი არა, არ დამივიწყეს. სუნი უკვე აუღიათ. გუშინ ღამ ერთი ისეთი მსუქანი ხუცესი ჩავარდნილა წყლით სავსე გობში, შენი მოწონებული. (ეველასი იცინიან).

ბიქტორ (შემოდის შუა კარებიდგან).

ბეჟიკო ბიუოს ბიქტორი, იდეის კაცი!

ბიქტორ (ცივად) თუ შეიძლებოდეს უკომენტარიოდ.

ბეჟიკო გამარჯობა! (ხელს ართმევს)

ბიქტორ გაგიმარჯოს!

ალექსი ბიქტორ, აქმო, ჩემთან. (ბიქტორი ჯდება)

ბეჟიკო სხვა, რასა იქ, როგორა ხარ?

ბიქტორ (ცივად) ჯერჯერობით არა გვიშავს რა.

ბეჟიკო კეთილი, კეთილი. (ალექსის) როდის ჩამოგესახლა?

ალექსი ნუ იცი, კაცო, ეს უკმეხი ლაპარაკი! კი არ ჩამომესახლა, არამედ მესტუმრა, რითაც მე ვამაყობ, საზოგადო მოღვაწეთათვის ჩემი ოჯახის კარი მუდამ ღიაა.

ბეჟიკო ხა, ხა, ხა? უკაცრავად. ეხლა მეცა ვხედავ, რო ვერა ვსთქვი კაი ქართული.

არიმან მით უმეტეს, საქმე შეეხება წლი ნახევრის სტუმრობას.

ბიქტორ (არიმანს) მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ ალბათ იცით არა-მკითხე მოამბის ამბავი?

არიმან ვიცი.

ბიქტორ თუ იცით, დაეტიეთ თქვენს ტყავში.

არიმან ბატონო, მე თქვენ დაგიპირეთ მხარი და არ ვიცი, ღმერთმანი, რას მემართლებით.

ბიჭტორ თქვენთვის შეინახეთ, გამოგადგებათ.

არიმან აი ახირებული კაცი. (სჩვენს) ევროპაში და ნამეტნავად გერმანიაში, წლი ნახევრის სტუმრობა სიცილადაც არ ეყოფათ. რაკი ვისმე ეწვევი, მორჩა, სამ წელზე ადრე თავს ვერ დაახწევ. (უგულანი ნელა იცინიან).

ბეჟიკო ვაშა, ბიჭტორ, ვაშა! (არიმანს) მყუდრო ბინის მიგნებაში ტოლი არა ჰყავს.

ბიჭტორ ალექსი, გააჩუმებ თუ არა ამ ყარყუმს?

ბეჟიკო ბიჭტორ, წყნარად, თორემ აპრუწუწუნს გეტყვი.

არიმან ბატონებო! მოჰქანჩეთ როგორმე თქვენ თქვენი ნერვები.

ალექსი ბეჟიკო, ბეჟიკო!

ბიჭტორ (წამოხტება) ბატონო გიდელაძევ! ამ თავხედური სიტყვებისათვის მე თქვენ თავის დროზე პასუხს გაგებინებთ. (გაგარდება შუა კარებში).

არიმან აი ინციდენტი!

ალექსი (ბეჟიკოს) რას მერჩოდი, სიმწრის ოფლი რო მადინე? მოიღე მოწყალება და როგორც დამიფეთე ის კაცი, ისევე გადმომიფეთე.

ბეჟიკო დიდი ამბავი მომხდარა.

ალექსი რაც უნდა იყოს, იდეის კაცია.

ბეჟიკო ხა, ხა, ხა, ხა! (არიმანს) ამ საწყალს თითო შანტაჟისტი მუდამ ჰყავს იღლიაში ამოჩრილი. (ისმის ზარის რეკვა).

არიმან აღსრულდა.

ალექსი რა, ბატონო?

არიმან მოვიდნენ.

ალექსი მოვიდნენ?

ნუცა არ იტყვით, ვინ არიან?

ალექსი (ბრაზი) ვინა და სტუმრები.

ნუცა (გადის შუა კარებში).

ბეჟიკო (სიცილს ძლივს იმაგრებს) ისევ დაუწყვიათ (ალექსის) მოგიტირო? (ისევ დარეკენ).

ალექსი (შეკრთება) ქარ-ცეცხლი!

ბეჟიკო როგორ შეგეშინა, შე საწყალო. (შემოდის თებრო და გადის შუა კარებში).

ალექსი ერთიც ვნახო, ისინი არ არიან.

არიმან ისინი არიან, ისინი!

ალექსი (გადის შუა კარებში).

არიმან (ბეჟიკოს) აბა, მწერალო, გეპატიჟები ჩემს ოთახში.

ბეჟიკო. არ შემიძლიან, უნდა გიახლოთ.

არიმან. რა მიგაჩქარებთ, დარჩით ცოტა ხნით.

ბეჟიკო. დრო რო მქონდეს, სიამოვნებით.

არიმან. რა კი არ იმლით, რა გაეწყობა. (ხელს გაუწვდის) ნუ დაგვიიწყებთ, შემოიარეთ.

ბეჟიკო. ვეცდები.

არიმან. თუ თქვენი ნებაც იქნება, მე დიდის სიამოვნებით დაგიახლოვებთ.

ბეჟიკო. მე მზადა ვარ.

არიმან. არ წააგებთ, იქნება გამოგადგეთ. (ბეჟიკო კედის შუა კარებში, არიმანი მარჯვნივ. ისმის კულისებში ურიამული და კასტი-კუნტი ფრაზები. „გამარჯობათ, გამარჯობათ, ამს ვისა ვხედავ, ნთლია ჩემი, ნთლი ჯალაბი! დმერთო ჩემო, მამიდაც! შვილო ალექსი, ნეცა! ახ ნიკიფორეც. ხა—ხა—ხა! ხა! შემოდიან ბარგი-ბარხანით თუბრო, **მიხა** და პატარა ბიჭი ვანო, ორი ტოტხალი ქათმით იდღიაში. შედიან მარცხნივ კარებში. შემოდის ალექსი და შემოილაპარაკებს) მერე, მერე? (შემოდის ნიკიფორე ატაკუტა,—40 წლის ჩოხოსანია, ნაბდით, თავზე უაბალახ შემოხვეული).

ნიკიფ. არა, თუ ხათრი გაქვს მეტს ნუღარას მკითხავ. ათას ჯერ მითქვამს, რომ ეს დედაკაცი ქაჯია მეთქი და არავინ იყო ჩემი გამგონე, ჯვარს მაცვა, ოთხში ამომიღო. (გზა და გზა ნაბდის ღიდსა და უაბალახს ისხნის და კუთხეში მისდებს, აგრეთვე აბგასაც).

ალექსი. ეს მეც ვიცი.

ნიკიფ. უუჰ! როგორ სუსხავს. სხვა რასა იქთ, როგორა ხართ? გავიგე სახლი აუშენებიაო და აი დაგეცი კიდეც თავზე. (ათვალიერებს გაფაციცებით).

ალექსი. მოგწონს?

ნიკიფ. (დინჯ შემოერიდა ერთი წამით ალექსის შეაშტერდება). მართლა შენია ეს სახლი?

ალექსი. ჩემია მაშ.

ნიკიფ. თუ შენია, მოდი ერთი გაკოცო (ჭიოტსის) შენი ჭირიმე, ბიჭო, შენი.

ალექსი. ეს რაა, შენ სხვა ოთახები უნდა ნახო და!

ნიკიფ. ჭმ! მოდი ეხლა და ამ ღმერთს სამართალი მოჭკითხე. მთელი ქვეყნის ნიჭი და შნო რო მარტო შენ დაგაბერტყა, ჩვენ კაცები არ ვიყავით?

ალექსი. კარგი ერთი ნუ აზვიადებ. აბა შევიდეთ ჩემ სიდედრთან.

ნიკიფ. ავად ხომ არაა.

ალექსი. საწყალს შაკიკი შეეყარა და ვერას გზით ვერ დავუამეთ.

ნიკიფ. ღმერთო მომკალი ეხლავე. არიქა მიმიყვანე ჩქარა, მე ვიცი წამალი.

(უეცრივ აბგას აიდებს) აბა ჩამომართვი! ჩვენებმა გამოგგზავნეს, მცირედისათვის ნუ დაგვძრახავ.

ალექსი აბა რას ამბობ! (შედიან მარცხნივ კარებში).

(დარო, ნუცა და მამიდა შემოდიან შუა კარებიდგან).

დარო (ლამაზი და ეშხიანია. ატვია ეგრეთვიულად). მშვიდობა აქა. ვიშ, რა სახლია!

მამიდა მშვიდობა და ბედნიერება ამ ოჯახს. ვენაცვალე ჩემ ბიჭუნას, რა სახლი აუშენებია. (ჯვარს სხსვს და ჩურჩულით რადაცა დოტვასაც ამბობს. შედიან სამნივე მარცხნივ კარებში).

ოთარ აფერუმ ბიჭო! მართლაც რომ ჩინებული სახლი წამოუტიმავს. აი ეს კი მომწონს, ამაში კი ჭკუაა. (შედის მარცხნივ).

ალექსი (შემოდასარაკებს) ისინიც რომ ჩამოგეყვანა, ძალიან მადლიერი დაგრჩებოდი.

ნიკიფ. რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ეს ასეც იქნებოდა. ეხლა ასე იყოს და საადგომოთ ყველანი ჩამოგივლენ და სული-წმინდის მოფენამდე აქ გეყოლებიან.

ალექსი აი ეს კი მიამა. აბა მოდი გათბი.

ნიკიფ. (წავა ბუხრისკენ და უეცრივ მობრუნდება) იცი, ალექსი, ერთი აზრი მომივიდა და...

ალექსი რა აზრი?

ნიკიფ. რაკი ღმერთმა შენი თავი დედა-ქალაქში დამიბინავა, მოდი ჩემი ბიჭი ქუთაისიდან აქ გადმოვიყვანოთ.

ალექსი (გასზე) ვაი ჩემ გაჩენას! (იმას) რომელ კლასშია?

ნიკიფ. მეხუთეში.

ალექსი რატომ... შეიძლება. სხვა შინ როგორა ხართ?

ნიკიფ. ჯერ-ჯერობით არა გვიშავს რა, ხოლო თქვენი უნახავობა ყველას აწუხებს. მოგიკითხეს სიყვარულით. (შემოდიან დარო, ოთარ და ნუცა).

დარო ვაშა, ვაშა!

ოთარ ძალიან სახლია, ძალიან. (ათვალიერებს).

დარიკო სახლი და რა სახლი!

ალექსი სხვა, ნათლია ჩემო, რასა იქთ, როგორა ხართ? კარგია გაგიბედნიათ ჩამოსვლა. მე კი თქვენს ლოდინში თვალები გამომიღამდა.

ოთარ რაღაც ქარები დამჩემდა და მინდა გოგირდის აბანოებში ვიბანავო. ამ ჩემ კნეინასაც თეატრები და საზოგადოება მოსწყურდა.

ალექსი ჩინებულია, ჩინებული. (დარიკოს) აბა, დარიკოჯან, რა არის ყურადღებას არ მაქცევთ. ერთი მეც შემომხედეთ, დალოცვილო. (ნუცა და დარიკო იცინიან).

დარიკო ისე მეუბნება, თითქოს შეყვარებული იყოს. აი შემოგხედე, მერე?

ალექსი ღმერთო ჩემო, რაც დრო მიდის, მით უფრო შვენდება ნათლი-ჯალაბი.

ნუცა მერე და შენ რა? ღმერთმა მის პატრონს მოახმაროს.

ალექსი ნათლია ჩემი სასწაულთ მომქმედია სწორეთ. ვინც მაგას გადაეყარა, ყველა საარაკოთ გაიფურჩქნა.

ოთარ (ნერვიულად) ჰო, ჰო, ჰო, შესტოპა, შესტოპა. მე შენ ვერა გცნობ, ალექსი, ამლაშებ, ეს არ ვარგა, მწყინს, რომ შენც დაგიწყია ფრაზიორობა. (შემოდიან არიმანი და ბიქტორი სხვა და სხვა კარებიდან).

ალექსი უკაცრავათ, უკაცრავათ, აბა, ბატონებო, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი ახლად შეძენილი მეგობარი არიმან ვახრაკიძე. (არიმანს ოთარზე) ფრიად პატივცემული და განათლებული ნათლია ჩემი ოთარ გობრონიძე. (ოთარი და არიმან ერთმანეთს ხელს ართმევენ).

ალექსი (არიმანს დარიკოზე) ნათლია ჩემის მეუღლე დარია გობრონიძისა (ნიკიფორეზე) ჩემი მეუღლის დეიდის ქმარი ნიკიფორე ატაკუტა (ბიქტორზე), ესეც ჩემი მეგობარი, ცნობილი სოციალისტი ბიქტორ ბუყიაშვილი.

ოთარ (სახეზე უსიამოვნობის ელფერი გადურბენს და შედის სწრაფათ მარცხნივ. დარო და ნუცა ერთმანეთს რადაცას ჩასჩურჩულებენ და ისინიც გადიან მარცხნივ).

ნიკიფ. (არიმანს მიაცქერდება და უეცრივ სახე გაბრწყინებული) შენი ჭირიმე, ამას ვისა ვხედავ!

ალექსი მოიცა, ნიკიფორე.

ნიკიფ. კაცო, ეს ხომ აი იმის შვილია...

ალექსი მოითმინე, ბატონო, არავისი იმის შვილი არაა.

ნიკიფ. როგორ... დავიჯერო ეს პატიოსანი არავისი შვილი არ არის?

ალექსი მხოლოთ თავისი დედ-მამის და არა იმისი, შენ რო ფიქრობ.

ნიკიფ. ნუ გადამრიე კაცი.

ალექსი დიახ, დიახ! (არიმანს) ამას ჩვეულებათ აქვს, ყველა კაცში ნათესავი აღმოაჩინოს.

ნიკიფ. ალექსი! თუ ეს ყმაწვილი კოხტა გოდორაძის ცოლის ძმა ანდრია ჩაფიძე არ გამოდგეს რაც გინდა ის მიყავი.

ალექსი არა, ბატონო, იწამე ღმერთი. (შემოდის მამიდა და პატარა ბიჭი ვახო მარცხნივ კარებიდან. ალექსი მიეგებება და ხელს მოხვევს წელზედ).

ალექსი აბა, მამიდა, მოდი ერთი, ახლოსა გნახო.

მამიდა ჩემი ბიჭი. ჩემი ჭკვიანი ბიჭი... მართლა, ალექსი, იცი ვინ ჩამოგიყვანე!.. (თვალით ეძებს) ნეტავი რა იქნა! ივანე! შვილო, სადა ხარ?..

ᲘᲕᲐᲜᲔ (შემოდის შუა კარიდგან ნაბდით, ოთხზე უაბალახით, აცვია ს

მამიდა აბა, ალექსი, აქეთ მოიხედე.

ალექსი მიბძანეთ, მიბძანეთ, მამიდა.

მამიდა ეს ბიჭი კი შენი სისხლი და ხორცია.

ალექსი ვინა, ვისია?

მამიდა ჩემი შვილის შვილია.

ალექსი შაქროსი?

მამიდა ჰო!

ალექსი ყოჩაღ ბიჭო! (თავზე ხელს გადაუსვამს).

მამიდა ეს შენ უნდა გამოზარდო, ჩემო ალექსი. როგორც შეჰფერის ჩვენს ჯიგარს. ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭია, ენაცვალოს ბებო. ნუ მოგიწყენია, ბიჭიკო. თუ ძია ალექსი ცოცხალი გეყოლება არას დაგაკლებს. აბა ეხლა გამოდი, იცეკვე და ძია, რომ ფულს გაჩუქებს არ დაკარგო. (ტაშს უკრავს) აბა ბიჭო ტაში, ტაში?

ვანო (თამაშობს).

მამიდა დაპტი პიტი, დაპტი პიტი, დაპტი, დაპტი, დაპტი პიტი!..

ალექსი (შეაჩერებს) არ უნდა ბიჭიკო. (მამიდას) რა დროს დაფტი-პიტია დალოცვილო, ბავშვს თვალები ეხუქება. წაიყვანეთ, აქამეთ და დააძინეთ.

მამიდა ჰოო? (უკმაყოფილოდ).

ალექსი დიახ, დიახ.

მამიდა კარგი, კარგი. მე მხოლოდ ისე... მეგონა მამიდის შვილის-შვილის სიყოჩაღე გაგახარებდა, თორემ ისე ვინ გაბედავდა, წამო, ბიჭო, ხომ გაიგონე, „აქამეთ და დააძინეთო“. ჩვენი ვალია, გავუგონოთ. (გესლიანად) ეს ეხლა „ბურჯუაძეა“ და მაგრე რიგად არ ვეპიტნავებით. ხი, ხი, ხი! (კაკლეს მარცხნივ).

ალექსი (არიმანს) აჰა, დაიწყო კაპრიზები. ეხლა კი მშვიდობით.

არიმან არაფერია, არაფერია.

ალექსი ყოველ ჩამოსვლაზე თითო ძიძა უთუოდ უნდა ამკიდოს ზურგზე. დალახვროს ღმერთმა, ვინ გინდა, რომ ჩემთვის ძუძუ არ ეწოვებინოს.

არიმან ვირის რძე გეწოვათ, ის გერჩივნათ, ბატონო ალექსი.

ალექსი ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად. ავიღებ ღმერთმანი და ყველაფერს ცეცხლს წაუკიდებ.

არიმან თუ დამიჯერებთ, არაფერი ეს საჭირო არ იქნება.

ალექსი არა, შენი ჭირიმე. ამ საქმის პიონერად მე ვერ გამოვდგები.

არიმან რა კაცია! სადეკორაციოთ იხტიბარს არ იტეხთ, გულში კი იტანჯებით. მარტო ის რათა ღირს, ნიკიფორეს რო უთხარით: „ისინიც რო ჩამო-

გეყვანა, ძალიან მადლიერი დაგრჩებოდიო“. ხა, ხა, ხა! ყველა ეს იქით გადავდოთ და შეუდგეთ საქმეს, რაც შეიძლება მალე. ხომ იცით რუსული თქმულება: „კუი ჟელეზო, პრიგოდიტსა ვადი ნაპიტსაო“..

ალექსი არა, არა.

არიმან კარგი, კარგი. რახან ძალა არ შეგწევთ, ვიმოქმედოთ ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ხოლო გიმეორებთ ეს იქნება პალიატივი.

ალექსი ესე ემჯობინება, თორემ სად შემიძლიან ამ საწყალს მთელ ქვეყანას ომი გამოუცხადო.

ნუცა (გამოდის მარცხნივ კარებიდან და მიემართება შუა კარებისკენ).

ალექსი აბა, ნუცა სადილი.

ნუცა (ნერვიულად) დამაცა, ბატონო. თავის დროზე ყველაფერი იქნება. (გადის).

ოთარ (თავს შემოუოფს კარებში) ალექსი!

ალექსი ბატონო!..

ოთარ უბრძანე, ვანა მომიმზადონ. (მიეფარება).

ალექსი ბატონი ბრძანდებით. ჰმ! რაც ამ ბოლო დროს ფული შევაქუჩე, ეხლა სულ თხლესავით წავა.

არიმან თუ ცხოვრების პირობები და ზოგიერთი ჩვენი ჩვეულებანი არ შესცვალეთ, ეს შენი ახალი სახლიც თან გაჰყვება.

ოთარ (კარებიდგან) ალექსი, აქ მო, რამე უნდა გიოხრა. (მიეფარება).

ალექსი ამ საათში! (მიდის).

თემბრო (შუა კარებიდგან) ქალბატონი გეძახით. (მიდის).

ალექსი ამ საათში!..

არიმან ვაიმე, ძმაო, რა გაჭირვებაში ხარ! (გულიანად იცინის).

ფარდა

(შემდეგი იქნება)

პრიფაცი

აკაკი პაპავა

ფიქრები თეატრის კრიზისზე

2

ავტორის შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ მას ვერ განუსაზღვრავს რა განსხვავებაა პიესის დადგმა-თამაშისა ერთის მხრით და მის უბრალო წაკითხვის, მეორეს მხრით. არის მრავალი პიესები, რომელთა მთავარი აზრი მკრთალი და მიუწდომელია მანამ, სანამ მას სცენაზე საერთოდ არ იხილავთ. პიესა ეპიკური ნაწარმოები არ არის, არც რომანი, რომ აქ შეიძლებოდეს ყოველივეს თქმა, რადგან **ავტორი შეზღუდულია დიალოგის ფორმით**, ამიტომ იგი მხოლოდ ამ დიალოგს მისდევს და მოქმედობის გამოხატვას აღუნიშნავად სტოვებს, რადგან მის შემოქმედ ფანტაზიას ინტენსიურ მოძრაობით სავსებით ცოცხლად წარმოუდგენია ყოველი გარეგნული ქცევა და სახვა ლაპარაკის დროს. რომ ყველა ამის ასახვას გამოუდგეს მწერალი, როგორც რომანში, ან ეპოსში, მაშინ მან ტონი და ფორმაც არ უნდა შესცვალოს და ესეც იმგვარისავე ფიგურალობით გარდმოგვცეს; მაგრამ საქმე ის არის, რომ დრამაში ეგ შეუძლებელია და ავტორიც იძულებულია უმთავრესად დიალოგს მიზდიოს და მოქმედების უმთავრესი მომენტები აღნიშნოს მხოლოდ.—მაგ.: ჯდება, გადის, შემოაქვს წიგნი, ქუდს იხურავს და სხვ.. ცხადია, ეს წუთიერი გადასვლაც კი პროზაიკულ ტონზე საკმაოდ აცხრობს ღვთიური ცეცხლის ძლიერებას და პოეტურ ექსტაზს ანელებს; ამიტომ შემოქმედიც გაურბის მას და სავსებით მის განხორციელებას იმ სახით, როგორადაც ეს შეფერის გმირთა განცდის მომენტებს. ცხადია, აქ პიესა, სიტყვა, თავისთავად ყველაფერს ვერ ამბობს და მის გარშემო რჩება მოქმედების ერთი მხარეც—მთელი დარგი.

მაშასადამე, „დაწერილი დრამა თავის თავად ენერგიული“ არ არის და მცდარია ბ-ნ აიხენვალდის აზრი, რომ მას მეტი არა რა უნდა. ამრიგად, პიესა ყველაფერს არ სახავს და მრავალ მოქმედებათა განმარტებაა საჭირო, რომ ყოველი მონოლოგი და დიალოგი გაიგო იმ სახით, როგორადაც ეს ავტორს ესმის. აქ შესაძლოა ბ-მა აიხენვალდმა გვიპასუხოს, რომ ამგვარი როლი მოსახერხია, თითონ მკითხველმა იკისროს და მანვე განმატროს სიტყვათა მოქმედებითი სახე.

ეგ შესაძლოა, მაგრამ მოითხოვს ყოველი მომქმედი პირის განსაკუთრებით დაკვირვებითი შესწავლას, მისი ყოველი მხარის დახასიათებას და აწონ დაწონვას; ამას გარდა,—საჭიროებს ერთი პირის (მკითხველის) გაორებას, გასამებას, გაათებას და საზოგადოდ გამრავლებას, რომ ყოველი მათგანის ნათქმი შეეწონებოდეს მათ მოქმედებას. ყოველი მოქმედება თანდისთან ვითარდება და ენერგიაც გროვდება, უახლოვდება კატასტროფას. მაშასადამე, მკითხველმა მრავალი ძაფები უნდა გააბას და თვითეულ პირის მოქმედება, კერძო ქცევა წინასწარისაგან წარმოადგინოს, მისგან განავითაროს, დამოუკიდებლათ და ავტონომიურად სხვა მომქმედ პირთაგან. ეს კი პირდაპირ შეუძლებელი ხდება, რადგან დიალოგის დროს ერთგვარ განცდა-განგრძნობისაგან უეცრად მეორეზე და მეათეზე გადასვლა და მასთან შეთანხმებული მოქმედების სახვა პირდაპირ შეუძლებელია ერთის პირისათვის. ამიტომ იგი იძულებული იქნება, მხოლოდ ერთი მხარე, ერთი პირი განავითაროს და დანარჩენები სულ დაჩრდილოს, რაიც დრამას, როგორც მრავალთა მოქმედების განვითარებას, კლავს. აქ ცხადია მან როლები უნდა გაანაწილოს.

ამას გარდა, ამ მოქმედებათა და დიალოგების განცდათათვის საჭიროა მკითხველს მუდამ თვალწინ უდგეს ის მორთულობა, რომელშიაც ტრიალებს მოქმედება, ე. ი. დეკორაცია. შესაძლოა, რომ თვით მკითხველმა წარმოადგინოს შესაფერად მოწყობილი სცენა, მაგრამ მის გონებას ეს მოწყობა და მისი დეტალური სახე უნდა ყოველ წუთს აშკარად თვალწინ უდგეს, რომ მოქმედების აზრი გაიგოს და შესაფერი განწყობილება შეუთანხმოს.

მე კერძოდ აშკარად მიგრძვნია მთელი სიძლიერე ამგვარის ილიუზებისა თეატრში. ვისაც უნახავს სცენაზე პიესა „იმედის დაღუპვა“, რომელიც უმთავრესად ამ ილიუზიამ დამამახსოვრა, მას აშკარად შეუძლია წარმოიდგინოს მისი ძლიერება.

სცენა, როცა მეზღვაურის გამგზავრების შემდგომ, ცოლი და დედა მოელიან მას გულის ფანცქალით და როცა საშინელი ქარი ამოვარდება, რომელიც ვებერთელა ზვირთებს აგორებს, საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს; და თქვენ ამ ქარის ქროლვის დროს აშკარად გრძნობთ ადამიანის უმწეობას, ამ ორთა საშინელ ტაჯვას განიცდით და გრძნობთ, რომ ეს ქარის ზუზუნი მეზღვაურთა კვნესა და წყევლაა, განცხომის შვილთა წინააღმდეგ მიმართული... იგი სიკვდილის სუნთქვაა.

ამრიგად თვით მკითხველმა უნდა მორთოს შესაფერად ადგილი და ხმათა ეფექტებიც შექმნას, თუ უნდა პიესის სული გაიგოს, თუმცა ეს ისეთი სავალდებულო არ იქნებოდა, რომ პიესაში ყოველი მოქმედება სავსებით განმარტებული და დამთავრებული იყოს. ამრიგად აიხენვალდს მსჯელობის განვითარებამ თვით

თეატრის დამტკიცებამდე მიგვიყვანა. გავყვეთ ჯერ კიდევ ბ-ნ აიხენვალდის გზას.

იგი ამბობს: „თეატრს არავითარი სპეციფიკური ბუნება არა აქვს, იგი სადღაც ქრება, როგორც კი ფარდა ეშვება.

შეწყვეტილი მუსიკა არსებობს ნოტებში, იგი პოტენციალურად გრძელდება, მისი ცხოვრება უზრუნველყოფილია და ხმები უკვდავი; სადღაა დამთავრებული წარმოდგენა, ან თეატრი სად არის? ყოველი ხელოვნება სტოვებს კვალს, განხორციელებას—თეატრი კი უკვალოა“.

მართლა ასეთი უკვალოა თეატრი? მართლა ასე ქრება იგი?

საქმე ის არის, რომ თეატრი არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უპიესოდ, უდრამოდ, ხოლო თუ კი დრამა, პიესა ქრება წიგნის წაკითხვისა და დახურვის შემდგომ, მაშინ აშკარაა, თვით წარმოდგენილი თეატრშიაც, გაქრება; მაგრამ ბ-ნი აიხენვალდი ამის დამტკიცებას ვერ იკისრებს. ცხადია, პიესა წაკითხვის შემდგომაც გრძელდება ჩვენში პოტენციალურად, ვით მოსმენილი მუსიკა, იგი ჩამაფიქრებელია და დიდის ხნობითაც იტაცებს ჩვენს სულს. მაგრამ შესაძლოა ავტორმა დაჟინებით მოითხოვოს ამის დამტკიცება გარეშე პიესისა, მარტო თეატრით, მაგრამ ცხადია, როგორც ზევითა ვთქვით, ეს შეუძლებლობამდე მიგვიყვანს, რადგან თეატრი მხოლოდ დაწერილი დრამის განვითარებაა, მისი განსახიერებაა მხატვრულ ფორმებში... ამიტომაც არის, რომ მათი გამოყოფა შეუძლებელია. აიხენვალდს გონია შესაძლოა დრამა გამოვყოთ თეატრიდან, ხოლო თეატრი კი ვერ გამოეყოფა დრამას. ჩვენ დავინახეთ, რომ ვერც დრამა გამოეყოფა მას და ისინი ორგანიულად არიან გადაბმულნი ერთმანეთზე და პირველი მეორეს განხორციელებაა, მეორე პირველის განვითარება. აქედან ცხადია, თეატრი უკვალო ვერ იქნება. წინაალმდეგ, დადგმული კიესა სცენიდან ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს და წაუშლელ კვალს სტოვებს.

თეატრის უკვალობას ბ-ნი აიხენვალდი იმითაც ასაბუთებს, რომ „აქტიორული ხელოვნება ტყუილია, ამიტომ მისი უკვდავება შეუძლებელია. გენიალური მსახიობი ემპირიულ სიკვდილთან სავსებით კვდება“.

პირველი ის, რომ ეგ დებულება ისტორიულად არ მართლდება, რადგან ისე, როგორც მუსიკოსები, აქტიორებიც რჩებიან ჩვენთან სიკვდილის შემდგომ. ისტორიამ შეგვინახა სახელი შესანიშნავ მსახიობ ქალისა ქ-ნ როშელისა, ბ-ნ კინისა, საამიტისა, შჩეპკინის, მოჩალოვის... იგი დიდ ხანს დაიხსომებს ქ-ი კოლმისარჟევსკის ასულს, სარაბერნარს და მრ. სხვ.

მეორეც კიდევ ისა, რომ აქტიორული ხელოვნება ნამდვილი ხელოვნებაა და არა ტყუილი, როგორც ეს ბ-ნ აიხენვალდს გონია.

ხელოვნების საუკეთესო მცოდნე ბ-ნი ტენი თავის საყურადღებო ლექციებში-

„ხელოვნებაზე“, ასე განმარტავს აქტიორულ დასაწყისს და მის მხატვრულ ბუნებას: „მხატვრულ შემოქმედებაში საგნები გარდიქმნებიან რეალურიდან იდეალურად, როდესაც აქტიორი აღადგენს მათ თავის იდეის შესაფერად, ხოლო ასე გარდაქმნის მაშინ, როცა გამოიცნობს მათში რაღაც განსაკუთრებულად შემჩნეულ ხასიათს და გამოყოფს მას დანარჩენებიდან... იგი სისტემატიურად ცვლის მის ნაწილთა ბუნებრივ დამოკიდებულებას, სწორედ იმისათვის, რომ უფრო შესამჩნევი გახადოს ეგ დამახასიათებელი დანარჩენთა რიგში“.*)

ან კიდევ მეორე ადგილას.. რომ აქტიორი უბრალო მარიონეტი არ არის, როგორც აიხენვალდს გონია, ამას მოწმობს იმავე ტენის მიერ გატარებული პარალელი მსახიობსა და პოეტს შორის: „როცა ადამიანს განსაკუთრებული ტალანტი აქვს, იგი მისი გრძნობიერება მახვილდება და სწრაფდება... და ეს ცოცხალი განცდა არ რჩება უმოქმედოდ. მთელი მექანიზმი აზრისა, ნერვების მთელი სისტემა ღებულობს აქედან უშრეტელ ძალას, უნებლიედ გამოხატავს ადამიანის თავის შინაგან განცდას, მისი ტანი წარმოშობს ერთგვარ მოძრაობას, ჩნდება მიმიკა, იგი გრძნობს მოთხოვნას გარეგნულის სახით გადმოსცეს საგანი იმ გვარად, როგორადაც იგი მას წარმოუდგენია და ხმა ეძიებს შესაფერ ინტონაციას“.**) აქედან კიდევ ერთი ნაბიჯია პოეტის შემოქმედებამდე. ამ რიგად ენათესავება აქტიორის მოქმედება პოეტურ ქმნილებას... ცხადია, ბ-ნ აიხენვალდს უკანასკნელი ხელოვნების ძლიერ მხარედ მიაჩნია, მაგრამ ნათქმიდან ისიც ცხადია, რომ აქტიორული შემოქმედებაც ვერ გამოეყოფა ამ აღმაფრენას და, მაშასადამე, სრულ ექსტაზის დროს, მისი მოქმედებაც ხელოვნებაა, ე. ი. არა უკვალო და დროული.

3

ცოტა უფრო ქვევით ბ-ნი აიხენვალდი, ჩვენ მიერ უარყოფილ დებულებას ანვითარებს თეატრისა და აქტიორის შესახებ და თვისი მსჯელობა ბოლომდე—თეატრის სრულ უარყოფამდე—მიჰყავს.

იგი ამბობს: „ხელოვნება გარედროულია (დროს გარეშე), თეატრი კი დროული.

რაც უნდა ნიჭიერი იყოს აქტიორი, იგი მაინც სხვის გზას მისდევს, იგი განახორციელებს სხვის თემას. აქტიორი მოკლებულია ინიციატივას და განა მხატვარი უინიციატივოდ შესაძლებელია, შესაძლებელია—უთვისნებოდ, უთავი-

*) იხ. იპ. ტენი „объ искусствѣ“ გვ. 148.
**) ibid გვ. 28.

სუფლოდ? მისი ხელები შეკრულია, სული წინასწარ დაკვეთილი აქვს (?) და ყოველივე, რასაც ამბობს, გრძნობს, აკეთებს წინასწარ განსაზღვრულია (?). იგი უსმენს ავტორს— სუფლიორს; მისი მოქმედება შიგ ფსიხოლოგიურ სილრმეში არ იჭრება (?).

თეატრი ცხოვრობს სხვის ხარჯზე. მას აქვს წინ კოსმოსი, სრულობა, ხოლო შემოქმედება კი ქმნის არარაიდან, ქაოსიდან (შექსპირი).

განა შესაძლოა შემოქმედება იქ, საცა საკუთარი სიტყვები არ მოეპოვება და სხვისას აწვდიან?

რამდენიმედ ამ ყოფაშია კრიტიკაც, მაგრამ იგი მსჯელობს თავისი, საკუთარის სიტყვებით".

აქაც ავტორის შეცდომა აშკარა გახდება ჩვენთვის, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემო ნათქვამს, რომ დრამატიული ნაწარმოები დასრულებული არ არის მოქმედების მხრით და—რომ აქტიორი მისი განგრძნობით ექსტაზში ვარდება და შესადარ მოქმედებით ასრულებს დაწერილ დრამას. აქ დაინახა იპ. ტენმა მსახიობის ნათესაობა პოეტთან... აქედან ცხადია, რომ სიტყვების როლს მოქმედება კისრულობს და თუ კრიტიკას, ავტორის აზრით, აქვს არსებობის უფლება, რადგან თავისი სიტყვები აქვს, აქტიორულ შემოქმედებასაც უნდა ექნეს იგი, რადგან მას თავისი მოქმედება აქვს. წინასწარ განუსაზღვრელი, როგორც სიტყვა კრიტიკოსისა.

„თვით მუსიკალური შემოქმედება და კერძოდ მუსიკის ასრულებაც", განაგრძობს ავტორი, „ხელოვნურია, რადგან დამკვრელიც ქმნის—ვინაიდან შეუსრულებელი მუსიკა კომპოზიტორისა არ არის მუსიკა, ხოლო სცენაზე დაუდგმელი დრამა მაინც დრამაა, რადგან მუსიკა უალმსრულებელოდ არ არსებობს, დრამა უაქტიოროდ კი, ამიტომ მუსიკის აღმსრულებელი უდრის კომპოზიტორს (ხელოვანია).

მუსიკის აღსასრულებლად საჭიროა მუსიკოსი. დრამა კი აღსრულებულია წიგნში.

ყველა ჩვენ თვითონა ვართ აქტიორები, მოლაპარაკენი, ამიტომ თეატრი ზედმეტია, მუსიკოსები კი ვერ ვართ და ამიტომ იგი საჭიროა. ჩვენსა და მუსიკოსის შორის ხარისხული განსხვავებაა. თეატრი დრამისათვის იგივეა, რაც წიგნებში ნახატები, ხოლო უკანასკნელი კი აზროვნების აქტიობის მომაკვდინებელია". ოდნავი დაკვირვება არკვევს, რომ თეატრისა და მუსიკის დაპირდაპირებითაც ვერ აღწევს მიზანს ბ-ნი აიხენვალდი...

4

საკმარისია აღინიშნოს მცდარი განსღავრა ავტორის მიერ იმ დებულებისა, რომ, შეუსრულებელია მუსიკოსის მიერ, ნაშრომი კომპოზიტორისა არ არის მუსიკა, ხოლო სცენაზე დაუდგმელი დრამა, მაინც დრამაა.

საიდან? განა რომელიმე შემოქმედება კომპოზიტორისა: ოპერა, მისი უვერტიერა, სიმფონია, რომელიც ნოტებში ჩაუწერია მას, განა მუსიკა არ არის?

ვსთქვათ ერთ დღეს დაახოცნენ ყველა აღმსრულებელნი ბეთხოვენის სონეტისა, ვაგნერის „ტრისტანისა", განა ამით თვით კომპოზიტორების შემოქმედება კვდება?

ცხადია, არა; უკანასკნელი რჩება, როგორც დრამა, სანამ მას სცენაზე დადგამდენ.

აშკარაა, ავტორი ყურადღებას აქცევს იმ მოვლენას, რომ მუსიკის ნოტებით გრძნობა და განცდა მეტად ძნელია, დრამის კი შესაძლოა... მაგრამ ეს ხომ იმის შედეგია, რომ ჩვენ მუსიკალურად ნაკლებათა ვართ განვითარებულნი, რომ თვით კომპოზიტორთა შემოქმედება ახალია კაცობრიობის ისტორიაში და მომდინარეობს სებასტიან ბახიდან; და ამას გარდა, განა მუსიკის კარგი მცოდნე, თუნდა მეორე კომპოზიტორი ხმათა გარიგებულებას, მუსიკალურ იარაღის უქონლობის გამო, განა ვერ გაიგებს და ვერ დასტკბება ესტეტიურად?

და ესეც რომ არა ვსთქვათ—განა ყოველი დრამატიული ნაწარმოები კი არის მისაწვდენი და გასაგები ყველასათვის?..

შემდეგ ბ-ნი აიხენვალდი აღნიშნავს ერთ მხარეს თეატრისას, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევდენ სხვები—პედაგოგიურ და აღმზდელობით მნიშვნელობას და დასძენს: „ჰო, მართალია, მაგრამ პედაგოგია სპირდება მარტოკა ბავშვებს"...

მაშასადამე, ავტორის აზრით, ვერც ეს ამართლებს თეატრის არსებობას.

ჩვენ კერძოდ გადამეტებულად მიგვაჩნია ის აზრი თეატრის ამგვარ მნიშვნელობაზე, რომელსაც ხშირად სიამოვნებით აღნიშნავენ ჩვენი მწერლები: „თეატრში იწრთვნება ხალხი, თეატრი ნამდვილი სკოლაა" და სხვ , მაგრამ არ შეგვიძლია ბ-ნ აიხენვალდსაც დავეთანხმოთ, რომ ამ მხარეს არავითარი მნიშვნელობა არ ქონდეს. რა თქმა უნდა, თეატრი არ უნდა გახდეს მშრალ პედაგოგიკის იარაღად და არ უნდა გაამეფოს ტენდენცია ხელოვნებაში; მაგრამ, ცხადია, როგორც ყოველი ხელოვნური შემოქმედება და კერძოდ პოეზია, ისიც ახდენს შესაფერ გავლენას მსმენელზე: მაყურებელის გრძნობა ფაქიზდება და კეთილშო-

ბილდება, მისი გონება იხსნება და ვარჯიშდება იმ პრობლემით, რომელიც თეატრს ცხოვრებიდან გადმოაქვს და სიმბოლიურად შლის მხატვრულ სახეობაში...

დაგვრჩა კიდევ ერთი დებულება ბ-ნ აიხენვალდისა. იგი ამბობს: „ხელოვნება არ ცდილობს, რომ მისი ნაყოფი სინამდვილედ მიიღონ, თეატრი კი. ხელოვნება არ თვალთმაქცობს, მან აიღო წმინდა სიცრუე და მას სინამდვილედ არ სახავს, თეატრი კი სინამდვილედ ასაღებს“.

ჯერ ერთი ის, რომ ხელოვნება სწორედ მოტყუილებაა, მშვენიერი მოტყუილებით იგი ცხოვრების სახედ გვაღებინებს მხატვრულ შემოქმედებას; მწერალი, მხატვარი, მოქანდაკე ცდილობს—როგორმე დაუახლოვდეს ცხოვრებას და სინამდვილედ მოგვაჩვენოს პოეტის იდეალი, მისი შემოქმედება. თეატრი კი ამ ილიუზიას ამთავრებს, რადგან მას მოეპოება ის, რაც არა აქვს მხატრობას და ქანდაკებას ე. ი. მოძრაობა და სიტყვა. თუ პირველში ის შესაძლოა, აქ უკვე ძლევამოსილია.

და მეორე კიდევ ასეც რომ იყოს, ცხოვრებასთან დაახლოება და მის სიმბოლოდ ქცევა განა უფრო არ დაახლოებდა ხელოვნებასთან თეატრს და განა უფრო არ წარიტაცებდა მაყურებელს და ესტეტიურ სიტკბოებას არ მოგვრიდა მას თავისი ცოცხალი ტიპიურობით? ამ რიგად ჩვენ კვალდაკვალ მივდიეთ აიხენვალდს და მისი მსჯელობა „თეატრის აღსასრულის“ შესახებ, როგორც დავინახეთ, უსაფუძვლო აღმოჩნდა თავიდან ბოლომდე...

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

1

ამრიგად ჩვენ დავიცავით თეატრის უფლება და დავინახეთ, რომ იგი ხელოვნების ერთი მხარეა და მასთან აუცილებელი, რომელიც ამთავრებს და სრულყოფს პოეტის, დრამატურგის შემოქმედებას აქტიორულის მოქმედებით.

ვთქვათ, ერთის წუთით დავეთანხმეთ ბ-ნ აიხენვალდს, რომ აქტიორული ხელოვნება ცრუ-ხელოვნებაა იმიტომ, რომ იგი პასიურია და სხვის ფიქრებით ფიქრობს და აზროვნობს, სხვისი მზა სიტყვებით ლაპარაკობს, მაშასადამე ხელები შეკრული აქვს და სული დაკვეთილი (заказана). მაშასადამე, თეატრი, ავტორის აზრით, უარსაყოფია **საზოგადოდ,** როგორც არა თავისუფალი შემოქმედება.

მაგრამ ხომ შესაძლოა, რომ თვითონ აქტიორმა დასწეროს პიესა და თვითვე ითამაშოს, რაც ასე ხშირად ხდება. მაშინ?

მაშინ მთელი საბუთები თეატრის ბუნების არა ესტეტიკურობის შესახებ თავის-თავად ირღვევა და ქრება.

მაშინ შესაძლებელი გახდება თვით აიხენვალდისათვის თეატრის მიღება, მაგრამ არა ყოველგვარ თეატრისა, არამედ განსაზღვრულ ტიპის, საცა თვით ავტორები იქმნებიან აქტიორები. რაკი ამ დასკვნამდე მივალთ, ცხადია, **ობსოლიუტური** უარყოფა და თეატრის დასასრული, რომელიც ასეთი რიხით განაცხადა ბ-მა აიხენვალდმა, შეუძლებელი გახდება და თეატრიც, ავტორისავე მსჯელობის მიხედვით, ზოგიერთ პირობებში თავისუფალი შემოქმედების ხორც სხმაა; მაშასადამე, ხელოვნების ერთი მხარე.

მაშასადამე საქმე სრულ უარყოფაში კი არ ყოფილა, არამედ ზოგ დამაბრკოლებელ თვისებათა და ხასიათის ჩამოშორებაში, რის შემდგომ იგი იდეალურ ხელოვნებად იქცევა.

მაგრამ ამ დაბრკოლებათა და ხასიათის შესახებ, შესაძლოა, მრავალი სხვა და სხვა გვარი მოსაზრების წამოყენება, რის შემდგომ შეგვეძლება ჩვენ სულ სხვა გვარად ვპოვოთ იდეალურ თეატრის სახე.

საკმარისია აღინიშნოს, რომ პრინციპიალურად თეატრის შესაძლოება მტკიცდება თვით აიხენვალდის აზრთა განვითარებით, მიუხედავად იმისა, რომ თავშივე სთქვა ავტორმა: „თეატრი კვდება, რადგან გამოირკვა სავსებით მისი **პრინციპიალური გაუმართლებლობა**“.

აი, ასეთნაირად დაამარცხა თვისი მთავარი დებულება ბ-მა აიხენვალდმა საკუთარის იარაღით.

(შემდეგი იქნება)

ვარლამ ხუროძე

გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება

(კრიტიკული ცდა).

ორი წლის უკან ქუთაისში საჯაროთ გამართულ მუსაიფის დროს ჩვენ შევეცადეთ ზოგადად დაგვეხასიათებინა პირველი რევოლიუციის აქეთ ამოძრავებული ჩვენი ლიტერატურა, რომელმაც ცხრაასიან წლების მიწურულში ჩვენს ძველ მწერლებთან ერთად თითქოს მიიძინა და მიჩუმდა.

ამ მუსაიფში ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ გამოცოცხლებული ქართული ლიტერატურა ერთგვარ მოსამზადებელ ხანის ელფერს ატარებს; ბევრ უთუოდ ნიჭიერ მწერალს ვახასიათებდით როგორც ვიწრო ფარგლებში მომქმედ მხატვარს, რომელსაც აკლია ცხოვრების მრავალ-მხრივობა და უთვალავ ფერიანობა. ჩვენის აზრით ამ სელოვანთა შემოქმედების ძირითადი თვისებები მომავალ დიდი პოეტის ქმნილებებში შემადგენელ ელემენტებად შევა. პოეტის სიდიადეს ჩვენ ვახასიათებდით როგორც ნიჭის სიღრმავით, ისე ცხოვრებისებურ მრავალ-ფეროვანებით და სიფართოვით.

ამასთანავე ჩვენ ის აზრიც გამოვსთქვით, რომ ასეთ დიდ პოეტად თანამედროვეებიდან შეიძლება გახდენ შანშიაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, აბაშელი და ნ. ჩხიკვაძე თქო. არ ვიცი დანარჩენი სამი როგორ გაამართლებენ ამ აზრს, ხოლო გალაქტიონ ტაბიძემ კი თავისი ლექსების მეორე ტომის გამოცემით კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი იმედები და დღეს უფრო თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტაბიძე დიდი პოეტი იქნება. დიახ, ასეთია ჩვენი განმეორებითი დასკვნა ამ მგოსნის შესახებ, თუმცა, როგორც ქვევით დაინახავთ, ბევრ რამეში არ ვეთანხმები პოეტს.

1

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ჯერჯერობით ორი წიგნია გამოსული, პირველი წიგნი 1914 წ. გამოვიდა, მეორე-კი ამ გაზაფხულში. ორივე წიგნი ძვირფასი მარგალიტებია ქართული ლიტერატურისთვის, ჩვენს ხელოვნებას უთუოდ დიდი საგანძური შეემატა ამ ტომთა გამოცემით. მე 20-ცე საუკუნის დასაწყისში

ახალ კალაპოტში და ახალ ფორმებში ჩამდგარ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უთუოდ ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ნიჭიერი მგოსანი, რომელიც საკმაო პოპულიარობით სარგებლობს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში და რომელზედაც ბევრ იმედებს ამყარებენ ჩვენი ლიტერატურის კეთილის მსურველნი.

რას შეიცავს ბ. ტაბიძის პოეზიის სული და გული, ანუ როგორც ბელინსკი იტყოდა ხოლმე—რა შეადგენს ჩვენი მგოსნის აღმაფრენას, პათოსს?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს მივიღებთ პოეტის ორივე წიგნის ზეზეურად გადათვალიერებითაც კი. ზეზეურად თქო ვამბობთ იმიტომ, რომ ახალგაზრდა მგოსანი ჯერჯერობით მაინც ერთობ სადა და ადვილად საცნობ სამოსელში გვევლინება, თითქმის ყოველ ლექსში ჩვენს თვალ წინ დგას ქართული ლიტერატურისთვის კარგად ნაცნობი ღვთაებრივი სახე „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ ნიკო ბარათაშვილისა. ხელოვნურის სურათის ყოველი ნაკვთის ჩვენებისას ბ. ტაბიძე გულ დათუთქული ჭაბუკია მისტიურის სახით, რომელიც გოდებს:

„სწუხს ჩემი სული—ვით სამრეკლო
ცის უდაბნოში! (ტ. II, გ. 34).

ამ ქვეყნიური სიხარული მას არ უხილავს სინამდვილეში,—მგოსნისთვის

„ყოველი წუთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით“ (იქვე გ. 64)

არსება მისი მოშხამულია და გულ-ამოსკვნით შესტირის ზეცას:

„ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი
რომ დამაბარე—ვერსად ვერ ვპოვე,
ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე!! (ტ. I. გ. 51)

განაწამები პოეტი სასოწარკვეთით ამბობს:

„ვიცი ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს,
მაგრამ წამებას, ჩემს წამებას კი არ აქვს ბოლო“ (იხ. გ. 58)

პოეტი გვეუბნება:

სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის!, არ არის! (ტ. II, გ. 9)

ამიტომ უიმედოთ დასკვნის:

„მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული“ (ტ. I, გ. 18)

რამ დაუდაგა ასეთ ნაირად მგრძნობიარე გული ახალგაზრდა მგოსანს, ვინ აწამა მისი სული, ვინ ურჩევს ჯვარს ეცვას?

ბარათაშვილი თავის ზრახვებს „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა“ უმ-ხელდა, ადამიანებისთვის კი ვერ გაებედა წმიდათა წმიდის გადაშლა. ასე იქცევა ბ. ტაბიძეც:

„რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკონოდ შენახული.
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკემელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეორმა ღამემ.
იცის როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე. (ტ. I. გ. 175)

ღამე ბნელი და წაუკითხავია, მაშ პოეტის სევდაც ჩვენთვის გამოუცნობი რჩება. აგრე ხელძვირობს ჩვენი მგოსანი, მაგრამ როგორც ლირიკოსი თავს ვერ იჭერს და მოზღვავებული სევდა მაინც ამოაკვნესებს:

„მე მესიზმრება როგორც წმინდა, შორი ქვეყანა,
სადღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული“ (იქ. 173)

სწორეთ ამ „ოდესღაც ზმანებულმა, ერთხელ ნახულმა“ ქვეყანამ დაუდაღა ხელოვანს გული:

„და დღე და ღამ იმ ოცნებას კვლავ ატარებს ფიქრი ჩემი,
იდუმალად არა რა მაქვს მწუხარე ჟამს ნუგეშ-მცემი“ (იქ. 171)

პოეტს მთელის თავისი არსებით სწამდა სიყვარული და კიდეც სწადდა ამ გზით გაბედნიერება, მაგრამ

„დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა!!“ გოდებს იგი. (იქ. 20)

უმიზნოთ და უაზროთ როდი მოვლინებია ამ ქვეყანას მგოსანი, ის გვამ-ცნევს:

„მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი და მოვიშხამე“ (იქ. 2)

პოეტის აზრით უბედურია ის ადამიანი, რომელსაც წუთი-სოფელში ბედნი-ერება ვერ უპოვია:

„ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა
ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა,
ვისაც აქ სურდა ბედნიერება,
მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვა“ (იქ. (60)

მგოსანს ყავდა სატრფო ამ ქვეყნად, მისის სიყვარულით და შეერთებით ის ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ რაღაც გამოუცნობ მიზეზის გამო მერიმ სხვას

უძღვნა თავისი გული და ბედის შონა ჩვენი მგოსანიც უიმედოთ უსაყვედურებს თავისს თავს—რისთვის მოვტყუვდი და ვიფიქრე ბედნიერი ვიქმნებოდიო:

„ან ცას ღიმილით რას გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?“ (ტ. II, 25)

ბედნიერების მიუწდომელობა, სიყვარულის დაღუპვა, უმეგობრობა, ადამიანთა გაუტანლობა,—აი რა სტნჯავს პოეტს, აი, რა სწამლავს მისს არსებას. ამიტომაცაა რომ:

„უსიყვარულოდ, უმნიშვნელოდ
მიქრიან დღენი,
ოჰ, ვის, ვის ძალუძს განიცადოს
ტანჯვა ესდენი? (ტ. I, 67)

ასე გოდებს და ასე სტირის ჩვენი მგოსანი. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ეს გოდება სოციალურის ხასიათისაა, პოეტი ცოდვილ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა ცხოვრების უკეღმართობას დასტირის, ამაზე ჩივის და გულ-დათუთქულია. პოეტს ამ ქვეყნად ერთი მეგობარიც კი არა ყავს, გული ვერავისთვის გადუშლია:

„არვინ არის—ვუალერსო და მივიკრა დაღლილ გულზე,
არვინ არის, რომ ვუამბო დროთ ზამთარი გაზაფხულზე“ (იქ. 26)

ჩივის პოეტი.

2

ტაბიძე სოციალური ხასიათის გოდების პოეტია, მისი გოდება მსგავსად ბაირონისა და ბარათაშვილისა მსოფლიო გოდებაა. ამ გოდებას არა აქვს მარტო ნაციონალური ხასიათი, ამ გვარი სულის ტანჯვა და ასეთ ნაირი მისწრაფება ყველასათვის ერთნაირია, განურჩევლად ეროვნებისა. დიდი პოეტები ყოველთვის ეძებდენ ადამიანის არსებობის მიზანს, უძებნიდენ აზრს ცხოვრებას და მით ცდილობდენ სოციალურ საიდუმლოებათა წიგნის წაკითხვას. ამავე წიგნზე იტეხს თავს გალაქტიონ ტაბიძე, მაგრამ სანუგეშო ვერა უპოვია რა და მისი გულიც დასევდებულია, მისი არსება დაცხრილული და მოშხამულია.

„ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს“ (ტ. I, 72) ამბობს პოეტი.

ბევრი იტანჯა მგოსანი, ეგონა რომ ბედნიერებას მისწვდებოდა, მაგრამ მოტყუვდა:

„მე მჯეროდა, რომ შვება სუფევდა
უჩინრად სადმე: ქვეყნად თუ ცაში,

ნამდვილად იგი ერსად არ სუფევს,
არც ცის სივრცეში, არც ქვეყანაში.“ (ტ. იქ. 94)

ამიტომ თავის მტვრევაც ზედ-მეტია, მიზანს ვერ მივახწევთ:

„ოჰ, ევა, ევა! ედემს დაკარგულს
ოდეს ვიგონებ, თვალნი ცრემლს ღვრიან,
დარდით სამარე მე გამეთხრება!
დავიღუპები ადრე თუ გვიან.
და ვერ გავიგებ სიცოცხლის მიზანს... (იქ. 22)

ათასი რომ ეძებოს და შეიძინოს ადამიანმა, ბოლო მაინც მიზნის მიუღწევლობა და სიკვდილია, ამ ხვედრს ვერავინ გაექცევა:

„ადამიანო, ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი, უბედურს, თვით სიკვდილიც
არ მედირსება (იქ. 67) სტირის პოეტი, რომელსაც ამ უმიზნო ცხოვრებაში სიკვდილის სურვილიც კი ვერ ასრულებია თავის დროზე.

კიდეც რომ გაბედნიერდეს ადამიანი და მიაღწიოს თავის მიზანს, შვებას მაინც ვერ ეღირსებ, მისი ბედნიერება მიუწვდომელია და მარტო მირაჟია:

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
საუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“ (ტ. II, გ. 12)

საზოგადოდ ქვეყნად სრული გაურკვევლობა და ქაოსია:

„რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“*) (იქ. გ. 12).

ადამიანს ირგვლივ გამოუცნობი სახეები და ქიმერები ახვევია, ბედნიერებისა და მისი რაობის წიგნი მისთვის „დაბეჭდილია ბეჭდითა შავითა“, გარშემო ნისლი და გაურკვევლობაა, რომელსაც მგოსანი თითქოს კიდეც შეხარის და მოწიწებით ამბობს:

„წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი“-ო (იქ. 100)

ამ შეუცნობელ სამეფოში მოძრაობაც შესაფერი და შეუცნობელია:

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,

*) ხაზი ჩვენია. ავტ.

ზევით თუ სამარეში, წყეველით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“ (იქ. 12)

და რადგან ხსნა არსად არ არის, ბედნიერებისკენ მიმავალი გზები დახშულია და განაწამებ პოეტს შავი ყორანიც ასე დასძახის:

„ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის“ (იქ. 9)

პოეტი სასოებით შეღაღადებს მაცხოვარს:

„დაქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი—გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მიცხოვარო! (იქ. 10)

იმედ-მიხდილი პოეტი, სიკვდილისკენ მიისწრაფის:

„მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი“ (იქ. 70) რადგან
არ არის არსად ბედნიერება,
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში“ (იქ. 69).

ასეთია გალაქტიონ ტაბიძის, ამ გულ-დათუთქულ რაინდის ტანჯული ხატება, რომელიც შესანიშნავის ხელოვნებით გადმოგვცა მან. რამდენი ორიგინალობა გამოიჩინა მან ამ დროს, რამდენი უცხო სურათი და ხელოვნური ხერხები იხმარა მან. მაგრამ ამაზედ ქვევით ვილაპარაკებთ, ახლა კი ჩვენი ახალი ბარათაშვილის შემოქმედებითი სახის სხვა მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

3

როგორც ამოწერილ ადგილებიდან სჩანს, ბ. ტაბიძის შემოქმედება ერთიანად პესიმისტურია, მის წინ ქვეყნიერებას შავი ჩადრი ფარავს, მისთვის ყველგან ბნელია და საშველი არ არის. მაგრამ დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა, რომ პოეტის შემოქმედების მეორე მხარე—იმედიანობაც—არ აღგვენუსხა და შესაფერად არ დაგვეფასებია. ამ შემთხვევაში მგოსნის მეზობელი სახე ცალმხრივი და ერთფეროვანი იქნებოდა. ბ. ტაბიძის გულშიც ღვივა იმედის ნაპერწკლები, ის როდია სავსებით სასოწარკვეთილი და მოშხამული, მაგრამ თუ ჩვენ მაინც პირველად ყურადღება პოეტის პესიმიზმსა და უსასოებას მივაქციეთ, ეს იმიტომ, რომ იმედიანობის ნაპერწკლები ჩვენი პოეტის ქმნილებებიდან მხოლოდ

და მხოლოდ პირველ ტომში გამოსქვივის, მეორე ტომი კი ნამდვილი შავი წიგნია, უიმედო, უსასოო. აქაა, რომ შავი ყორანი „საშველი არ არის, არ არ-ის“ ჩამოსძახის მგოსანს.

ლექსთა პირველ კრებულში, რომელიც გამოცემულია 1914 წელს, ავტორი ერთის თვალით რომ შავ სამრისა და ჯურღმულისკენ იხედება, მეორეთი ხანდისხან მაინც იმედიანობის ვარსკვლავს გაჰყურებს:

„როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით
ლურჯ ხავერდივით მოიქარგება,
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით
ბუჩქებს ედება და იკარგება,
ვიღაც მეძახის სიცოცხლისაკენ“-ო (ტ. I, გ. 101)

გვეუბნება პოეტი, რომელიც ასე ანუგეშებს თავის გულს:

„დამშვიდდი, გულო: შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო,
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღდგება გამქრალი შვება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო“ (იქ. 81)

მართალია ადამიანის სიცოცხლე სიკვდილით თავდება და პეპელას არსებობას მოგვაგონებს, მაგრამ

„წელიწადები წელიწადს შესცვლის,
შთამამავლობას — შთამამავლობა,
მხოლოდ ის ღელვა აწ უჩინარი
მუდამ იცოცხლებს და არ მოკვდება“ (იქ. 62)

მართალია ამ უჩინარმა ღელვამ პოეტის არსება უღვთოდ დათუთქა, მაგრამ

„ოჰ ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი,
განადგურების სევდიან გზაზე
ბევრი რამე მაქვს ხელ უხლებელი“ (იქ. 88) ამბობს მგოსანი, რომელსაც პეპელასთან ერთათ სჯერა, რომ

მისი „ყოფნა ვარდ ყვავილებზე
სულ არ ყოფილა ისე ამაო“ (იქ. 62)

იმედიანობასთან ერთად პოეტს ბრძოლის წყურვილიც აცხოველებს, მას სწადია გმირულად ჩადგეს მოძმეთა შორის და მედგრად შეებრძოლოს შავ ბედს:

„სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,

დაე იცნობდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე, იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მათდამი კიდევ აქვს სიყვარული“ (იქ. 5)

დამახასიათებელია ამ ლექსის ბოლოს სიტყვების „ყოფნის მგმობელის“ ხმარება. პოეტი იმდენად არის განაწამები, რომ სიყვარულის ფიცის დროსაც კი ყოფნის გმობა ახსოვს, უწმინდესი გრძნობის გადმოშლაშიც კი შხამს ურევს იგი. ასეთივე იყო ბარათაშვილის სულის კვეთებაც: მიუსაფარი და სულით ტანჯული პოეტი, როდესაც შავი ყორნის ხმაზე უგზო უკვლოდ მიაქანებდა თავის მერანს, თითქმის სასოწარკვეთით გაჰკიოდა:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთებაო“.

ადრინდელი ტაბიძე—ვიტყვით პირველი ტომის, მართალია გრძნობს სიკვდილის საშინელებას, მაგრამ წამსვე აქცევს მას ზურგს, არ უჯერის სკეპტიკ მესაფლავეს (გვ. 183) და ცხოვრების აუცილებლობასა და მიმდინარეობასთან წუთით შერიგებული ამბობს:

„ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება“-ო (იქ. 186)

ჩვენს მგოსანზე უკეთ ძვირად თუ ვინმეს უგრძნია ამა ქვეყნის მშვენიერება და მომხიბლაობა:

„მთები! როგორ შვენის მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,
როგორ შვენის ველზე ნამი გამჭვირვალე, როგორც ბროლი,
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი.
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“ (იქ. 178)

ლაჟვარდი ცის სიყვარულში ტაბიძესავით არც ერთ ჩვენს მგოსანს არ უფიქრია ანგელოზის დანახვა. მან იცის, რომ

„არსად ისე არ მღერიან როგორც აქ, ამ ქვეყანაში, (გურიაში)
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიღვარი,
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით,
ისე ცეცხლით, ისე ჟინით და იმ გვარი გატაცებით,
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ლერწამ ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში“ (იქ. 179).

ქართულ ლიტერატურაში მე არ მინახავს ამ ლექსზე ხელოვნური, აზრიანი და მომხიბლავი რამე, ასე სხარტად, ღრმად და მოკრით არ ვიცი რომ ვინმეს, ეჩვენებიოს ჩვენი ცხოვრების მიმზიდველობა და მხიბლაობა.

მაშ ტაბიძეც არ ყოფილა სრული უნუგეშო და უსაზღვრო პესიმისტი, მაგრამ ვიმეორებ იმედიან ტაბიძეს ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პირველ ტომში, მეორე

ტომის ტაბიძე კი სრული უიმედო და სასო-მიხდილია. იმედიანი ტაბიძე ერთიანად ჩაულაპა უიმედო გალაქტიონმა. 4—5 წლის უკან თუ იგი ცალის თვალით მაინც გაჰყურებდა იმედის ვარსკვლავს, დღეს ის ორივე თვალით შავს წერტილს უცქერის და მგლოვიარე სერაფიმების ენით ასე მიმართავს თავის თავს:

„იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.
ცაცხვები დგანან შენს საფლავთან ვით ცენტავრები,
მათ სიბნელეში ნისლიანი და უეცარი,
გამოჩნდებიან პოეზიის თანამგზავრები,
სდგანან მწუხარედ და იტყვიან: აი ეს არი“. (ტ. 2, 61).

ერთის მხრივ სევდა-ტირილი და მეორეს მხრივ იმედიანობა, ჩვენი ცხოვრების უმიზნობის და სისაძაგლის გმობა და თან მომავლის იმედები—ეს ნამდვილი ბარათაშვილისებურია. ბარათაშვილმა იცის ცხოვრების ამაოება, მეგობრის გაუტანლობა, სატრფოს ღალატი, მისი არსება ერთიანადაა დაშხამული ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირით, მაგრამ ბედს მაინც ებრძვის, სიკვდილს არ შეტრფის და ნაღვლიანად ამბობს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“-ო.

ამნაირად პირველი ტომის ტაბიძე და ბარათაშვილი ერთნაირის თვალთა ხედვის ისრით არიან შეიარაღებულნი, ხოლო მეორე ტომის ტაბიძე უკვე დაშორდა ბარათაშვილის მთლიან სახეს და მარტო ღა შავ აჩრდილად დგას განშორებული.

რა გვარ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენდა ტაბიძის შემოქმედება და სად უნდა ვეძებოთ მისი ჯერ ბარათაშვილისებური იმედიანობის და შემდეგ სრულის უიმედობის მიზეზები?

4

გალაქტიონ ტაბიძე პირველი რევოლიუციის შემდეგ ჩამოწოლილ რეაქციის დროს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. რეაქცია იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი. 1905 წლის დამარცხებამ ბევრს შეურყია რწმენა და იმედები. დაიწყო რევიზია და ნაგრძნობ-ნაფიქრის ხელ-ახალი გადასინჯვა და აწონ-დაწონვა. ახალი აზრებისა და გრძნობების მაგიერ დაიწყო „კვლავ ფიქრი უკვე ნაფიქრის“, ერთი ადგილის ტკეპნა და სინჯვა. „შემცდარი ხომ არ ყოფილა უწინდელი ჩემი შეხედულებაო? იმიტომ ხომ არ დავმარცხდით, მიუწვდომელისკენ რომ მივიწევდ-თ?“ ჩვეულებრივი იყო ასეთი კითხვების დასმა.

საზოგადოების ერთი ნაწილი, ინტელიგენციის ფართო წრეები, რომელიც საკუთარ სოციალურ მდგომარეობის გამო მუდამ რეევაშია და ყოველ რევოლიუციაში უფრო სტუმრის როლს თამაშობს, ვიდრე მასპინძლისას, ამ კითხვებზე უმეტესად დადებით პასუხს იძლევა: კი, მაშინდელი ჩვენი შეხედულება შემცდარი იყო, მიუღწეველისაკენ მივიწევდით და მიტომაც დავმარცხდითო. და იწყება ახალი იდეალების ძებნა, რენეგატობა, სხვათა ბანაკში გადაბარგება. ასეთი მაგალითები ბლომათ მოიპოვება ჩვენში. ძველ რწმენათა რევიზია განსაკუთრებით ძლიერი იყო ჩვენი ნაციონალისტური ინტელიგენციის ფართო წრეებში. ბევრმა 1905 წ. გასოციალისტებულმა ხელი აიღო ამ „უნიადაგო“ ოცნებაზე და უშიშარ ადგილს მოიკალათა. სოციალიზმის „გადასინჯვაზე“ ერთი მიმართულების ლიტერატურაში გვარიან ხმა-მაღლა იწყეს ლაპარაკი, მიიჩქმალა შორეული მიზანი და წინ წამოდგა პრაკტიციზმი. რუსულ „хоть клокъ шерсти“-ს იდეამ ჩვენში უფრო კლასიკური გამოხატვა პოვა განსვენებულ კიტა აბაშიძის სიტყვებში: ოთხმოცდა-ათიან წლების ერობას მძიმე-ნიშნის გამოუკლებლად მოვითხოვთო. სოციალიზმი ვის ახსოვდა ამ დროს, ნამდვილ დემოკრატიულ ერობის მოთხოვნისთვის დასელებს მასხარად იღებდენ.

ერთის სიტყვით ამეტყველდა ინტელიგენტური სული. ნოე ჟორდანია ამ ამეტყველებაზე მაშინ ამბობდა: არ არის ყველაფერი თავის რიგზე დანიის სამეფოშიო. როგორც ვიცით ამ ინტელიგენტურ სულის აფორიაქებას მოყვა ნაციონალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების განქორწილება, დასელების წრიდან ზოგიერთი პირების რენეგატობა და საერთოდ ბევრი ინტელიგენტის „ყოფილ ადამიანებში“ ჩარიცხვა. ძვირად თუ ვინმე დარჩა შეურყევლად ძველ პოზიციებზე და დროებით ბრძოლის ველზე წამოჩოქილ რწმენა შეურყეველ მუშათა კლასთან ერთად განაგრძობდა შავ და უმადურ მუშაობას.

აი, ამ ხანამ იქონია უდიდესი გავლენა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. ტაბიძე უტყუარი სარკეა ჩვენი ინტელიგენციის ფართო წრეების სულის კვეთებისა, იმ სულის კვეთების, რომელიც თავის მიზნით და სიწრფელით უთუოდ უაღრესად კეთილშობილური და სპეტაკია, მაგრამ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევებში საზოგადოებრივის თვალსაზრისით სრულებითაც არ ჩაითვალოს პროგრესიულად. უკანასკნელი სიტყვები არაფერ შემთხვევაში არ შეიძლება მივაკუთნოთ ტაბიძის შემოქმედებას, რომელიც ყოვლად სპეტაკი და ყოველის მხრივ კეთილშობილურია.

პირველ ხანებში—პირველი ტომის წერის დროს—ტაბიძეს ჯერ კიდევ უდგია ფეხი მიწაზე და ამიტომაა, რომ უიმედობასთან ერთად მისი ლირიკული ქნარი იმედიან ჰანგებსაც დამღერის. იმედიანობა და ოპტიმიზმი მუშა ხალხის

თან დაყოლილი, მდგომარეობის მიერ შესისხლხორცებული თვისებაა. მიუხედავად იმისა, რომ „ყველა დაწყევლილი კითხვები“ დემოკრატიისათვისაც არსებობს, ბრძოლისა და სიცოცხლის ინსტიკტი ისე ძლიერია მასში, რომ ბოლოს და ბოლოს ის მაინც ოპტიმისტია და ფილოსოფიურის სიდინჯით უყურებს სიკვდილსა და სიცოცხლეს, სიცილსა და ტირილს. ცხოვრებაზე ასეთ შეხედულებას, ანუ შერიგებას ასე გამოსთქვამს ვაჟაფშაველა:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ყვავისა.“

იმავე მგოსნის სიტყვით ბუნებაში ერთგვარი აზრიანობა და მიზან შეწონილება არსებობს:

„ხევი მთას მონებს, მთა ხევსა,
წყალი ტყეს, ტყენი—მდინარეთ,
ყველანი—მიწას და მიწა—
თავის აღრდელთა მდინარეთ,
და მე ხომ ყველას მონა ვარ
პირზე ოფლ გადმომდინარეთ.“

აი ცხოვრების პროცესის ფილოსოფიური განკვრეტა, მასთან შერიგების ნიმუში, რაც ასე ახასიათებს მშრომელთა კლასს, სოციალური ოპტიმიზმის ბუნებრივად მატარებელს. სწორეთ ეს ოპტიმიზმია, რომ პირველი ტომის ტაბიძეს იმედიანობის სამოსელში გვაჩვენებს, სიცოცხლისკენ მაყურებელს გვიხატავს. მაგრამ გადის დრო, საზოგადოებრივი რეაქცია თანდათან ძლიერდება, დგება ომიანობის შავი ხანა—914, 915, 916 წლები—ინტელიგენცია თითქმის ერთიანად შორდება დაბალ ხალხს... აი ამ ხანაში ტაბიძის განმარტოვებული მუზა, რომელიც უკვე დავაჟკაცებული და მომწიფებულია, ძალუმად მიექანება ლოლიკურ დასკვნისაკენ და კიდეც იწერება შავი წიგნი, რომელსაც ეწოდება გალ. ტაბიძის ლექსთა მეორე ტომი, სევდითა და უიმედობით აღსავსე.

იქონია თუ არა მეორე რევოლიუციამ შესაფერი გავლენა ჩვენი პოეტის მუზაზე? ამ დიდებულ მოვლენას ტაბიძე აღტაცებით შეხვდა, ქუთათურ „სოციალ-დემოკრატში“ მან დაბეჭდა მშვენიერი ლექსი—დროშები, დროშები,—მაგრამ

ეს აღტაცება წამიერი იყო, ტაბიძე იმდენად მომწიფებული და ფეხ მომაგრებული აღმოჩნდა, რომ ამ უდიდესმა ტალღამაც კი ვერ მოაცვლევინა ფეხი, ის ვერ გადაეშვა რევოლიუციის ემბაზში, რევოლიუციამ მის გარეშე გაიარა, კოლექტივიზმმა ვერ სძლია ინდივიდუალიზმს.

„თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვერ მე ჩემს წინაშე“-ო (ტ. II, გვ. 18).

მოსთქვამს მგოსანი უიმედოთ მეორე ტომში. დამახასიათებელია, რომ ზემოთ დასახელებული ლექსი—დროშები—ტაბიძეს არ შეუტანია მეორე ტომში, ალბად თითონ პოეტიც ჯერ სთვლის ამ ლექსს მისი დღევანდელი სულიერი მდგომარეობის დამახასიათებლად.

ამნაირად ჩვენს წინაშე დგას გულ-დათუთქული რაინდი, რომელსაც მხოლოდ ყმაწვილურ გატაცებისას ეწვევა იმედი, ესიზმრება ზღაპრული ქვეყანა, ხოლო მას შემდეგ თავჩაქინდრულია, უიმედოთ კვნესის.

„შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის“, (ტ. II, გ. 15).

ტაბიძის მუზას მართლაც განმარტოვებული სასახლე აქვს აგებული და ამიტომაცაა, რომ იგი მეორე რევოლიუციაში გარიყულივით დარჩა თავიდანვე ფართო ცხოვრების გარეშე დარჩენილი, რომელიც პირველ ტომშიც ასე ნატრულობს:

„და ვიყო ერთი—ყველგან, მუდამ მსურს ვიყო ერთი“-ო (გ. 95), დღეს მართლაც განმარტოვებულია, სურვილი აუსრულდა.

ტაბიძის შემოქმედების მეორე ხანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად სიმბოლიზმის საკმაოდ დიდი გავლენაც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვევით გვექნება საუბარი.

5

ამნაირად ჩვენ შეძლების დაგვარად ავხსენით ტაბიძის შემოქმედების სული და გული, მთავარი დამახასიათებელი გზა. ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეშალა მგოსნის აზროვნება და მსოფლმხედველობა. შევეცადეთ აგრეთვე გვეჩვენებინა ამ მსოფლმხედველობის გამომწვევი საზოგადოებრივი პირობები. ახლა კი შევეხებით ტაბიძეს როგორც მხატვარს, როგორც ხელოვანს.

ტაბიძე როგორც ხელოვანი, თავიდანვე თითქმის უნაკლულო იყო და ზედმიწევნით აკმაყოფილებდა ესტეტიკის მოთხოვნილებებს, დღეს კი თვით უსასტი-

კეს დაფასებასაც თამამად გაუძლებს. სწორეთ ამიტომ იყო, რომ ესტეტიკურად განუვითარებელი ჩვენი საზოგადოება და რამდენიმეთ თვით მწერლებიც კი ტაბიძის შემოქმედებას კარგა ხანს ჯეროვანათ ვერ აფასებდა. საზოგადოება ისე იყო გატაცებული სიტყვებით მორახუნე ლექსებით, რომ ტაბიძის ნაზი ქნარი მას ვერ ხიბლავდა, მაგრამ ხელოვნებამ მაინც თავისი ქნა და ტაბიძეც დააფასეს.

ტაბიძე ძლიერი და შეუდარებელია, როგორც ნაგრძნობ ნაფიქრის ღრმა აღბეჭდაში და მკვეთრად გადმოცემაში, ისე იმ ხელოვნურ ხერხებში, რომელსაც ის ხმარობს. ხელოვანის ალღო იმდენად ძლიერია მასში, რომ თითქმის ყოველი ლექსი დასრულებული და უტენდენციო ხელოვნური ქმნილებაა. ვერსად ვერ გრძნობთ თან აღებულ აზრის ან გრძნობის გადმოცემას, ყველგან ბუნებრივობა და მომხიბლავი უბრალოება, რაც უდიდესი განძია ყველა შემოქმედისათვის. მშვენიერი და ორიგინალური შედარება, ნარნარი და ქალწულებრივი, წრფელი გრძნობა—პირდაპირ ატყვევებს და ბოჭავს ადამიანს. ტაბიძე ყოველთვის და ყველგან გულწრფელია, მანჭვა და ნაძალადევი ექსტაზი მისთვის შეუძლებელია, არ არსებობს. მხატრული გადაჭარბება და თავშეუკავებლობა მან არ იცის. მართალია ხანდისხან ის ბარაბაშვილს ბაძავს (ხომლი, ტ. I, გ. 27), ხან ტიუტჩევს (იქვე 46), მაგრამ საერთოდ ის მაინც ორიგინალურის სურათებით მოაზროვნე მგოსანია და მისი პოეზიის საღებავიც ათასფეროვანია. თითქმის ყველა ლექსის თემა ერთნაირია, მაგრამ გადმოცემა ისე ხელოვნურია და იმ გვარის საღებავებითაა შემკული, რომ პირდაპირ იხიბლებით და სრულებითაც ვერ გრძნობთ პოეტის ერთფეროვანებას.

ტაბიძის ხელოვნური ნიჭი იმდენად ძლიერი და მომჯადოებელია, რომ ყველას დაიმორჩილებს; თქვენ შეგიძლიათ არ გაინაწილოთ ტაბიძის მსოფლმხედველობა, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფთ, რომ მისი ლექსების კითხვის დროს სწორეთ იმ გრძნობას განიცდით, რასაც თითონ პოეტი განიცდიდა, სწორეთ ისე უყურებთ მაშინ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, როგორც მგოსანი. პირადად მე არ ვიზიარებ ტაბიძის მსოფლმხედველობას, მაგრამ პირდაპირ ერუანტელს მგვრის ამ სიტყვების წაკითხვა:

„სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!
დაქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!

სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ"ო!!.

მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უაღრეს წერტილზე ასულად უნდა ჩაითვალოს, ასეთი სადა, მომხიბლავი და ძალდაუტანებელი რითმა თითონ გრიშაშვილსაც კი არ მოეპოვება, ამ მხრივ ტაბიძე პირდაპირ აკაკია ჩვენი ახალგაზდა ლიტერატურისთვის.

აი ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ—აზრის სიღრმავე, ძლიერი ხელოვნური ალღო და საშემოქმედო ტილოს სიფართოვე—ვვგონია, რომ ტაბიძეს უთუოდ მოელის დიდი პოეტის გვირგვინი. მე სრულებით არ თანაუგრძნობ მეორე ტომის ტაბიძეს, ვერ გავიზიარებ „ლურჯა ცხენების" ფილოსოფიას, ეს მიმართულება არ მიმაჩნია საღათ და ცხოვრების შესაფერისად, მაგრამ ამავე დროს ღრმად მჯერა ისაც, რომ ტაბიძესავით ღრმა და სრული ხელოვანი ამ გზაზე ვერ შეჩერდება, მრწამს რომ ტაბიძე ისევ პირველი ტომის ხაზს დაუბრუნდება და ადრე იქნება თუ გვიან თავს დააღწევს იმ მისტიურ ნისლს, რომელშიაც ის გახვეულა. ამას მოჰმოქმედებინებს პოეტს მისი მხატვრული ალღო და არა სხვა რაიმე.

მეორე ტომს აშკარად აზის სიმბოლიზმის ბეჭედი: მისტიკა, ღვთისმშობელი, წმინდა ჩასახვის მონასტერი, მაცხოვარი, ჯვარის წერა, სამრეკლო, ზარები... და სხვა საეკლესიო ატრიბუტები ხშირია ამ ტომში. გაუგებრობას და სტილის ბუნდოვანობასაც,—რაც ასე ახასიათებს სიმბოლიზმს—დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ზოგი ლექსის კითხვის დროს ლექსიკონის ხმარებაც კი არის საჭირო. აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შინაარსის ბუნდოვანებას თითონ ლექსის ფორმის—გარეგანი მხრის—ბუნდოვანებაც თან მისდევს. ფორმა და შინაარსი—ორივე ძნელად გასაგები—მშვენივრად შეუთანხმებია ტაბიძის ძლიერ ნიჭს. წაიკითხეთ მეორე ტომი და აშკარად დარწმუნდებით ამაში.

სიმბოლიზმის დახასიათება ჩვენ სხვა ადგილას მოვახდინეთ („სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში", „ერთობაში") და დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია ამ მიმართულების აწონ დაწონვა. ეს ლიტერატურული მიმართულება საზოგადოებრივი რყევის, ქანაობის და ამ ქვეყნის უარისყოფაზეა აგებული. სრულიად ბუნებრივია, რომ ტაბიძის აფორიაქებულმა ინტელიგენტურმა სულმაც აქ იპოვა თავ საყუდარი. მაგრამ ეს მიმართულება ავადმყოფურიც არის და ხშირად მომხდარა, რომ ამ მიმართულებისაგან განკურნებული მწერლები ისევ ჩვენს ცოდვილ დედამიწას დაბრუნებიან. ასე განიკურნა მაგალითად, რუსეთის ბევრი სიმბოლისტები, დასავლეთ ევროპაშიც ხშირია ამის მაგალითები. აი რასა სწერს ევროპის საუკეთესო სიმბოლისტი, მორის მეტერლინკი: „მე დავწერე რამდენიმე პატარა დრამა,

რომლებშიაც გამოიხატა მისტიურად განწყობილი აზრის წუხილი. ეს წუხილი შეიძლება მისაღებია სახეში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კეთილი გავლენა არა აქვს და არც უნდა მივეჩვიოთ ხოლმე მას. ამ დრამების წარმომშობი მთავარი მიზეზი ცხოვრების გაურკვევლობის წინაშე თრთოლვა და შიში იყო. მე მაშინ მრწამდა, რომ ქვეყნად არსებობს შეუცნობელი, აუცილებელი და ფატალური ძალა, რომლის გაგება ადამიანისთვის შეუძლებელია და რომელიც ჩვენი მტერია... აქ არეული იყო ქრისტიანულ ღვთაებისა და ანტიური ფატუმის იდეა, რომელიც ბუნების სიბნელეშია მოთავსებული და შეუბრალებლად არღვევს ყველა ჩვენს მისწრაფებას და ანადგურებს ადამიანის ბედნიერებას.“ მეტერლინკის აზრით შეიძლება, რომ პოეტი გაიტაცოს ამ ჰასიურმა მსოფლმხედველობა, „მაგრამ—დასძენს იგი,—არ შეიძლება, რომ კაცი ერთ ერტილზე გაიყინოს, არ იმოძრაოს. ადამიანური გრძნობა პოეტობაზე უფრო ღრმა და ძლიერია და წინაც დიდი მიზნები უძევსო. ძლიერ კაცს, მეტერლინკის აზრით, მშვენივრად ესმის, რომ უნდა შეისწავლოს და იცოდეს მისი ბედნიერების მომსპობი ძალები, ამ ნიადაგზე მას ბრძოლაც მოელის და სხვა. *)

აი ასე მსჯელობს ერთი დროის დიდი სიმბოლისტი და დიდი ხელოვანი მეტერლინკი, რომელიც სიმბოლიზმით გატაცების შემდეგ ისევ ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ტაბიძესაც მალე მოაბრუნებს ამ ქვეყნისკენ მისი ადამიანური გრძნობა და მხატვრული ალღო. მისი გოდება და ტირილი გამოწყვეულია სახელითა სიკოცხლისათა, სახელითა ამ ქვეყნიერ ბედნიერებისათა და დიდი ნიჭი კიდეც მიაღწევს მაზანს ტაბიძემ სთქვა რისი თქმაც კი შეეძლო მისტიციზმის გზაზე, აქ დარჩენა მას დღეიდან სიკვდილს უმზადებს; მასში ძლიერი და უსაზღვროა ცხოვრების ინსტიქტი—ამისთვისაა მისი ტირილიც აგრე გულშემზარავი—ამიტომ ჩვენის აზრით ტაბიძე ისევ ცხოვრებას მიხედავს, დაუბრუნდება პირველ ტომს, კვლავ აღინთებს ამ ქვეყნიურ სიდუხჭურესთან საბრძოლველ ცეცხლს და ერთხელ კიდევ იტყვის საყვარელ გურიის შესახებ:

„არსად ისე არ მღერიან როგორც აქ, ამ ქვეყანაში,
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი,
და არსად მთელ ქვეყანაზე არ კოცნიან ისე ენებით,
ისე ენებით, ისე ჟინით, და იმ გვარი გატაცებით,
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს გამოუცნობ ცეხლის ტბაში,—
როგორც ლერწამ-ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში.“

*) Кризисъ театра, 1908, ss. 23—4.

დავასრულეთ ჩვენი კრიტიკული ცდა. ღმერთმა გვაშოროს მსაჯულის როლი ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ვცდილობდით ჩვენი სუსტი ძალ-ღონით აგვეხსნა და განგვემარტა მგოსნის შემოქმედება და მისი მომავალი გზები. არ ვიცი რამდენათ დამაკმაყოფილებელია ჩვენი ცდა, მაგრამ ერთ ღირსებას კი მაინც ვერავინ წაართმევს ჩვენს ნაშრომს: ეს არის კეთილ-სინდისიერი დამოკიდებულება ავტორის წმიდათა წმიდასთან, მის პოეზიასთან. გვრწამს, რომ უამისობა არ მიეტევება პატიოსან ადამიანს და ამ შემთხვევაში აშკარა შეცდომებიც კი ეპატიება მას.

თქვენ გითხოვთ საკურთხevლიდან აღსავლის კარებში გარძიმით ხელში მორწმუნეთა საზიარებლად გამოსული მღვდელი, რომელიც მოწიწებით ამბობს: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით.“ ასეთ ნაირად მეხატება მე თავისი ნაწერების ქვეყნად გამომშვები მგოსანი, რომელიც ღაღადებს: კრძალვითა ხელოვნებისათა და სიყვარულით მოხვედიო. და ვაი იმას, ვინც ბინძურის გულით მიეგებება მას, ვინც შეურაცხყოფს პოეტის წმიდათა-წმიდას.

ხონი, 1919 წ., აგვისტო.

სარედაქციო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ობოლი მუშა.

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 3
თებერვალი
1920

ს. აბაშელი

ღამის მხატვარი

საღამოს ჩრდილში დაისვენებს დღის მოჩვენება.
ხენი ცისაკენ ამართავენ ტოტებს მუდარით.
მზე გარდაცვლილი ლურჯ კუბოში ჩაესვენება
და ცას მოაწყენს იისფერი ნისლის სუდარი.

ჩამქრალ მნათობის გაბრწყინდება ცაში ხსენება.
იისფერ ნისლში გათეთრდება კოშკი ღრუბლისა.
სიზმრად იქცევა სიცხადეში რაც დღეს ენება
და ცას მოივლის ლმობიერი სიტყვა უფლისა.

სხვა და სხვა სახის არ შესწყდება კოშკთა შენება
და მთელი ღამე იელვარებს ღრუბლის დიდება.
მაგრამ მოუსწრებს ღამის მხატვარს დღის გათენება
და ბროლის ქალაქს უკვე ცეცხლი წაეკიდება.

და დაინგრევა წითელ წვიმით თეთრი მშვენება.
მაგრამ მწვანე ცას ნანგრევები არ დააჩნდება.
შეწყვეტილ ზღაპარს კვლავ განაგრძობს დღის მოჩვენება
და მზე ახალი სხივთ აკვანში ათამაშდება.

ბაბილინა

დედა

I

დილა არის, ჩემს პატარას
ვასაუზმებ რძით და პურით;
ვინმე მადა დაკარგული
შეეხედავდა ამას შურით:
სავსე ლამბაქს ორი ცაცით
იჭერს ნაზად, იწვდის ისე—
ვერ გამოვთქვამ, ოღონდ ხსოვნით
სამუდამოთ შევითვისე.

II

შუადღისას საზრუნავი
მეც ქალაქში გამიტაცებს,
ბაზარია... დუქნის კართან
დავინახავ ბავშვის ცაცებს;
სამათხოვროდ გამოწვდილან
საცოდავათ, ნაზად ისე—
ვერ გამოვთქვამ! ოღონდ ხსოვნით
სამუდამოთ შევითვისე.

Კ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲘᲗᲐᲓᲔᲒᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲒᲘ

ოდესმე ქართველი მწერალი და მკითხველიც საზრდოობდენ მთელ კულტურ კაცობრიობასთან ერთად იმ ძვირფასი საუნჯით, რომელსაც ინდოეთის ლიტერატურა ეწოდება.

ძველი, ტკბილი ლიტერატურული ტრადიციის გასახსენებლად ვთარგმნი ამ სტრიქონებს...

Კ. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ.

I. ᲥᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

 თვალო თვალისა,
გულო გულისა,
ფიქრისა ფიქრო
ზრახვისა, ზრახვა!
ნეტავი იმას,
ვინცა შეიძლო
ბრაჰმანის ხილვა,
ბრაჰმანის ნახვა!!.

II. ᲘᲓᲔᲐᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲥᲛᲜᲐ

რიგვედა X, 129

1. არ იყო მაშინ არცა ყოფნა, არცა არ ყოფნა
   არ იყო სივრცე ჰაერისა გარე შემცველი
   არც თუ ცის გარსი ვრცელი გარე შეუწერელი
   არც ზღვის უფსკრული, მოკიაფე ზეფირი თხელი
2. არ იყო მაშინ არც სიკვდილი, არც უკვდავება,
   არც გათენება, არც შუადღე, არც დაღამება.
   და პირველ ყოფნის მიმოჰქროდა ქროლვაჲ ნელი.
   (არც მას შეეძლო წარმოეშვა სული ცხოველი).
3. სოფელი ესე განუპვრეტელ ბნელს დაეფარა,
   ოკეანია უსინათლო ღამეს ებარა.
   მცირე ნაპუპში ჩაისახა ყოფნისა ქმნადი,
   პირველ ერთისგან შთასახული ძალა დიადი.

4. პირველყოფნიდან წარმოიშვა ყლორტი ნებისა,
და სიყვარული სამკაული შემეცნებისა.
როგორ? არ ყოფნის საშოთაგან ყოფნა იშობა?
გულხმიერ ბრძენთაც კი გაჰმართეს ამაზე ბჭობა.

5. გაჭიმეს ბრძენთა საძიებლად აზრისა ღერძი
რა იყო ქვესკნელს, რა შეიქმნა ზეცისა კერძი.
აქ არის ფუძე არსებულის და ნატამალი.
ქვეევით წყვდიადი და მაღლიდან ნათელი თვალი...

6. დღემდის ვინ შესწვდა გაჩენილის ყოფნის რაობას?
პირველ მიზეზთა თვალის მომჭრელ სანახაობას.
თვითონ ღმერთებიც მოსათხრობად ძირს ჩამოვიდნენ,
მაგრამ ვინ გვითხრა მოვლენანი საით მოვიდნენ!

7. ეგებ ისიც კი, ვისაც ახურავს ცისა გუმბათი—
პირველ ყოფნისა შემოქმედიც ამაზე ჰკრთოდეს.
ვინც გააჩინა და წარმოშვა არსება—მათი
შეჰქმნის მიზეზი შემომქმედმა არც კი იცოდეს.

III. დიალოგი

მამა იტყვის: ჩემი ნათქვამი მე მწადია გულს ჩაგინერგო.
შვილი იტყვის: შენ ნათქვამს გულს ჩავინერგავ
მამა იტყვის: სუნთქვა ჩემი მწადის შენზე გადმოვიდეს.
შვილი იტყვის: სუნთქვა შენი შევისუნთქვე მე.
მამა იტყვის: თვალი ჩემი გადმოვიდეს შენზე.
შვილი იტყვის: თვალითა შენითა ვიხილე მე ნათელი.
მამა იტყვის: ყური ჩემი გადმოვიდეს შენზე!
შვილი იტყვის: ყურითა შენითა ვისმენ მე.
მამა იტყვის: გემოჲ ჩემი გადმოვიდეს შენზე!
შვილი იტყვის: გემოვნებაჲ შენი შემეთვისა მე.
მამა იტყვის: შემოქმედებაჲ ჩემი გადმოვიდეს შენზე.
შვილი იტყვის: შემოქმედებითა შენითა ვნაყოფიერდები მე.
მამა იტყვის: სქესობრივი ლტოლვაჲ ჩემი გადმოვიდეს შენზე.
შვილი იტყვის: შენმა სქესობრივმა ლტოლვამ განმაკაცა **მე**.

IV. სული და არსება წმინდა უანიშადების მოძღვრებისა

1. და რქვა მას ვიდაგდამ საკალას შთამომავალმა:

„ვაჯინავალკია, რამდენი ღმერთი არსებობს ქვეყანაზედ?“

—„სამი და სამასი, სამი და სამი ათასი.“

—„ომ. სულ რამდენია მაშ ღმერთი ვაჯინავალკია?“

—„ოცდაცამეტი.“

—„ომ, მაშ სულ რამდენი ღმერთი ვაჯინავალკია?“

—„სულ—ექვსი.“

—„მაშ სულ რამდენი ღმერთი ყოფილა ვაჯინავალკია?“

—„სამი.“

—„სთქვი სულ რამდენი ვაჯინავალკია?“

—„ორი.“

—„მაშ სულ რამდენი ღმერთი ყოფილა ვაჯინავალკია?“

—„ორი.“

—„მითხარ რამდენი ღმერთია სულ ვაჯინავალკია?“

—„ერთ ნახევარი.“

—„მარქვი რამდენი—ვაჯინავალკია?“

—„ერთად ერთი!“

—„ატმანი კი არც ამდენია და არც იმდენი: იგი უხილავია, რადგან მას ხელს ვერავინ ახლებს. დაურღვეველი და განუხრწნელი, რამეთუ იგი არ გაიხრწნების. შეუბორკველი, რამეთუ მას ვერა დააკავებს რა, იგი არ ირყევა, იგი არ შეიძუსვრის. ატმანი შეუმუსვრელია.

„სწორედ ამ სულზე გეკითხები მე ვაჯინავალკია, თუ ამას შენ ვერ ამიხსნი უნდა გასჭდეს შენი თავი ამ კითხვაზე.

საკალას ძეს ვიდაგდას ეს არც კი შეუტყვია. მას თავი გაუსჭდა მართლაც. მისი ძვლები კი ღამით ქურდებმა მოიპარეს, ძვირფასი რამ საგანძური ეგონათ!!!

V. უკვდავი კავშირი ადამიანში

რიგვ. (2,3)

... და ჰკითხა მას რიტაბაგას ძემ:

„ვაჯანავალკია, როცა ეს კაცი მიიცვლება მისი სულები[1]) სტოვებენ თუ არა მიცვალებულის გვამს?“

[1]) უპანიშადში ხშირად იხმარება სული მრავლობით რიცხვში.

—„სრულიადაც არა. ისინი ერთ ადგილს მოჰგრავდებიან, მიტომაც სივდება მიცვალებულის გვამი.“

„მარქვი ვაჯანავალკია“ განაგრძო მან. „როცა იგივე კაცი ცეცხლად იქცევა, მისი სუნთქვა—ქარად, თვალი მისი—მზედ, მისი „მანს“—მთვარედ, მისი ყურა—პოლარულად, გვამი მისი—მიწად, ატმანი მისი—აქასად (მოასწავებს სიმყაროს სივრცეს), მისი თმები—ბალახად, მისი სისხლი და თესლი—წყლად, ადამიანი რაღად იქცევა?

და ჰრქვა ვაჯანავალკია: მომკიდე ხელი ხელზე, ძვირფასო მეგობარო ართაბაგა, ამაზე ჩუმად მოვილაპარაკოთ, აქ ხალხში კი არა, მარტო რო ვიქნებით მაშინ.

ორნივ განმარტოვდენ. და ის რაზედაც მათ ისაუბრეს, ეს იყო შემოქმედება. ის რასაც მათ ხოტბა შეასხეს, ესეც შემოქმედება იყო.

ჰეშმარიტად მხოლოდ შემოქმედება ჰრჩება კაცისა.

აქ კი გაჩუმდა რიტაბაგას შვილი.

ბერლინი. 1918 წ. სექტემბრის 28

იასამანი

შ ფ ა ლ ს

1

შენს საუკუნოთ მიბნედილს და მიჭედილს კარებს
დაუახლოვდი, ვდგევარ მარტო სასო-მიხდილი...
თავი დავხარე... მომიტევე... ლიბანის ჩრდილი
სევდას ვერ ამხსნის, ღრუბლიან ცას ვერ გამიდარებს.

2

ამ ქვეყნის ტანჯვათ მე ვერ მივსცემ ანგარიშს ბეჯითს,
იდუმალია, მოკლებული კაცთა ცნობასა...
არ გამოითქმის, ვეღარ ვპოვებ მოთხრობას ბედითს,
რომ განსაზღვრული მსჯავრი დავდო ძულვილ-გმობასა.

3

მეწამული ზღვით ნიავი ჰქრის მაგრილებელი,
ლიბანის მთებში ბზა იშლება, სხივი კიაფობს..
აწ შენს კარებთან სდგას ის, შენი მადიდებელი,
უფალო ცათა, და უსწორო თვის გზათ გიამბობს.

4

მოწყალე იქმენ... და ვედრება უკანასკნელი
ისმინე მისი, განდგომილის, განკითხვის დროსა: —
გააღე ეგ ბჭე გარდუვალი, გულის მომკვლელი,—
და სასწაული მოუვლინე ბნელს უდაბნოსა...

5

მაშინ მე თუნდაც წარვიშალო და ქვათ შევერთო,
სხვამ მაინც იცნოს ზეციური შენი ხატება...
მე არ ვიქნები და არცა-რა მომენატრება,
მაგრამ სხვათ მაინც საიდუმლო შეიგნონ, ღმერთო!—

6

მეწამული ზღვით ნიავი ჰქრის მაგრილებელი,
ლიბანის მთებში ბზა იშლება სხივი კიაფობს. .
აწ შენს კარებთან სდგას ის, შენი მადიდებელი,
უფალო ცათა, და უსწორო თვის გზათ გიამბობს...

ოგოლი მუშა

სამი ლექსი

კაკის ხსოვნას

1. მომაკვდავთან

დაჰქრის ოთახში შავი ლანდი იდუმალობის,
და ყრუდ ქვითინებს სული ჩემი, სული დამწვარი...
წკრიალებს სადღაც უცხო ხმები უცხო გალობის...
და ფერ-მკრთალ სახეს დაციმციმებს მკრთალი ლამპარი...

სიჩუმეს არღვევს მწველი კვნესა უმანკო ყრმისა,
გაცრეცილ სახეს არხევს სევდის ნიავი წყნარი...,
დახურულია სხივ-ჩამქრალი კარები ცისა:
არც ანგელოზი და არც ღმერთი აღარსად არი!..

საყვარელ სახეს გულის კვნესით ვემთხვევი ხშირად,
და თუმც არა მწამს, მაგრამ მაინც ღმერთს ვევედრები,—
მას ნუ წამართმევს და მე მზათ ვარ თავ-შესაწირად,
დეე მოვიდნენ წასაყვანად მისი მხედრები!

მაგრამ ყრუ არის ცის უდაბნო... და კვნესა ჩემი
თავს დამსტრიალებს, ვით წყვდიადში ჭოტის კივილი...
არავინ არის საიმედო ნუგეშის მცემი,—
და ცეცხლის ალათ აელვარდა გულის ტკივილი!

ვიღაცა მოდის უხილავი, გამოუცნობი,
სურს დაბინავდეს ჩემს ოთახში ცივი, საზარი!
და მელანდება ცხედრით კუბო... საფლავის ობი!
ოხ, სად გავიქცე, სად ვიპოვო თავ-შესაფარი!..

სანატრელ სახეს გულის კვნესით ისევ ვემთხვევი.
მიწყდება სადღაც შორეული, უცნობი ხმები;
დაჭრილ სულივით ბნელ ქაოსში გამოვეხვევი,
და მწარეთ, მწარეთ, უნუგეშოთ ავქვითინდები!..

2. სასაფლაოსკენ

პატარძალივით მორთეს კუბო, და დაამშვენეს
ყვავილთ კონები მოციმციმე ცრემლის ნამებმა.
გაიღო კარი. კრძალვით გარეთ გამოასვენეს.
და კვლავ აანთო სული წმინდა ტანჯვის წამება.

ოოვლის სამოსში გახვეული ქუჩა ზვიადი
ისე დაჰყურებს ობოლ ცხედარს გრძნობა-ჩამქრალი,
თითქო თვით არის სასაფლაო, კუბო დიადი,—
ბევრჯერ უნახავს ამ ქვის კედლებს ყოფნა გამქრალი!

ნელა მივდივართ... და ენთება ფიქრი მწუხარე
ამაოების არჩდილივით უსხივ-ღიმილო:
რა არის ნეტა ეგ სიცოცხლე და ეგ სამარე?
ცივსა საფლავში რას გვიმზადებ, ბნელო სიკვდილო?!

რისთვის აფეთქდა ყოფნის ალი უმანკო გულში,
თუ ასე მალე ჩააქრობდა უცნობის ხელი?
რად გაიფურჩქნა ნაზი ვარდი მთრთოლვარე სულში,
თუ მზის მაგივრად ჩაიხვევდა საფლავი ბნელი?..

და ჩვენ მივდივართ... სასაფლაოს შეაღეს კარი...
აქ წყდება ფიქრი უსასოო, ფრთებ-დამსხვრეული.
ცივი სამარე და მიწა ღრმად ამონათხარი...
უკან ვბრუნდები გულ-დამწვარი, გულ-ჩახვეული!

3. მარტოობა.

ეხლა მარტო ვარ... სიხარულის დასჭკნა ყვავილი.
მწარე ფიქრებში იელვარებს სანატრი სახე;
სასაფლაოსკენ სამეგობროდ თუ გადავივლი,
თორემ დღეს ვერსად სანუგეშო ვერა-რა ვნახე!

შურის ძიებით ავენთები ბედის მგმობელი,
და ბრძოლის წყურვილს არ ჩავიქრობ გულში აროდეს;
მაგრამ მე შვებას ვერ მომიძღვნის მიწა მშობელი,
ველარ ვპოვებ მას—ვისი ხილვაც გულს უხაროდეს!

სიცოცხლის მიზანს მე დღეს მხოლოდ ბრძოლაში ვხედავ,
და აღარ ვიცი, რა იქნება შემდეგ, მარადის;
ეგებ მხოლოდ-ღა იმ ჩემს მტანჯველ ისრებსა ვსჭედავ,
იქნებ მხოლოდ-ღა მგოსანი ვარ სევდის ბარათის!

მაგრამ მე მაინც ვივლი მარტო, ვივლი ობოლი.
ყოფნის ცას ანთებს შორეული ვარსკვლავის სხივი.
და ვიცი მალე მოვსწყდები მეც, როგორც ფოთოლი,
და პირს დააღებს ჩასანთქმელად სამარე ცივი!

ჰო-და მარტო ვარ... სიხარულის დასჭკნა ყვავილი.
მწარე ფიქრებში იელვარებს სანატრი სახე;
სასაფლაოსკენ სამეგობროდ თუ გადავივლი,
თორემ დღეს ვერსად სანუგეშო ვერა-რა ვნახე!

Ვ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ᲒᲚᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲚᲘ

(ᲖᲦᲐᲣᲠᲘ)

I

ერთხელ მეფეს სვიანსა,
როცა ტკბილათ ეძინა,
ჭირ-ვარამის უცნობელს,
გულზე ვარდი ეფინა,—
სიზმარი დაესიზმრა,
ჯერ არავისგან ნახული:
ვითომ მისი სასახლე,
ოქროს ყავრით ნახური,—
შუბ-ხანჯლებით ავსილი,
სისხლის ზღვაში სცურავდა
და თვალით განუქვრეტი
ნისლ-ბურუსი ჰბურავდა.
შეკრთა. გამოეღვიძა.
უხმო ნაზირ-ვეზირებს,
მეცნიერებს, სწავლულებს,
მასთან ერთად შეზრდილებს,—
მაგრამ ვერვინ აუხსნა
სიზმარი უცნაური,
თუმც ბევრი დაიხარჯა
სიტყვები უთაური.
გაწყრა მეფე და ბრძანა:
„ჩემი ქვეშევრდომები,—
გლეხი თუ აზნაური,
ყველა ფეხზე მდგომები,—
დაიბარეთ ახლავე,
მორეკეთ, ვით კრავები,
ვინც ვერ ახსნას სიზმარი,
სწრაფლ დასჭერით თავები!“

II

ეს ბრძანება საშინელი
გადაეცა სოფლით სოფელს
და ნაღველი უასკეცდა,
უმისოთაც ჭირში მყოფელს.
შეძრწუნდა და აწრიალდა
კაცი, ქალი, მთელი ერი;
მოდიოდენ, მაგრამ არც ერთს
აღარ ედვა კაცის ფერი.
სხვათა შორის ერთი გლეხიც
მოდიოდა ნელა-ნელა;
ვით მთას ნისლი, ეხვეოდა
შავ ფიქრების ცისარტყელა.
კარგათ გრძნობდა ტანჯვის შვილი
სიკვდილი არ აცდებოდა
და ნაოჭათ შეკრულ შუბლზე
ჭირის ოფლი ასკდებოდა.
ამ დროს უცბათ დაინახა
გაწოლილი გზაზე გველი:
მოუქნია საბიჯგარი
და მოსწყვიტა კუდი გრძელი.
—„რას მერჩი, ძმავ?!—ჰკითხა გველმა,—
რა გაქვს ჩემთან გასაყოფი?!

ან ბეცი ხარ, ვიღაცა ხარ,
ან და—სულით ავათმყოფი!
მე მსურს რითმე დაგეხმარო,
აგაცილო ხვედრი მწარე;
შენ კი ჩემზე მტრულად იწევ?..
შესდექ! ჭკუა მოიხმარე!
ის სიზმარი, ამას წინათ
რომ უნახავს მეფეს სვიანს,
მე ვიცი და შენც გასწავლი,
აგაცილებ ამით ზიანს.
მაგრამ ჯერ კი შემომფიცე,
რომ არ მომექცევი მტრულად:
რასაც მეფე შენ გაჩუქებს,
მეც გამიყოფ შუა სრულად“.
გლეხს თვალები გაუბრწყინდა.
ხსნის იმედი კვლავ მოეცა,
და ბოდიში მოიხადა,
უმოწყალოთ რომ მოექცა.
შემდეგ უთხრა: „თუ შენ მართლა
ამ სიკეთეს დამდებ, მიზამ,—
სიკეთისთვის სიკეთესა
ერთიორად, ვფიცავ, გიზღამ“.
გველმა უთხრა: „აბა კარგი“.
და აუხსნა სიზმრის ძალა.
გლეხმა მადლი გადუხადა
და მეფისკენ გაეჩქარა.

III

კარს მიადგა სასახლეს
მხიარულის გულითა:
ნახა ერთი—მწუხარე,
და ჯალათი—ცულითა;
მეფე—ტახტზე მჯდომელი,
ნაღვლიანის სახითა:
თაყვანი სცა მუხლ-მოყრით,
დაბლა თავის დახრითა.
შემდეგ ახლო მიუდგა,
მოახსენა: „ბატონო,
მეფეთ შორის პირველო,
ზღვა და ხმელის პატრონო,
ის სიზმარი, რომელიც
ამას წინად გინახავს,
იმას ნიშნავს, რომ შენი
სამეფო დიდ ჭირს ნახავს.
სამ წელიწადს მუდმივათ
ომის ცეცხლში იქნება...
ბევრი გული დაიწვის,
ბევრი „ვაი“ ითქმება.
ბოლოს მაინც დაგრჩება
გამარჯვება ფრიადი.
და კვლავ გაიფანტება
მწუხარების წყვდიადი“.
მეფეს თქმული ენიშნა
სთქვა: „ბრძენია ქებული“
დაასაჩუქრა, ოქრო
უძღვნა ჯორ-კიდებული.
გლეხი შინ წამოვიდა,
თვალებ-გამრწყინვებული:
მას გველიც დაავიწყდა,
სიტყვაც დაპირებული.

IV

დრო გავიდა, ატყდა ომი
საარაკო, საშინელი:
ერუანტელს გვრის ახლაც კაცსა
მოგონება მაშინდელი.
ვით კალია, მოესია
ყოველ მხრიდან მტერთა ურდო;
ცეცხლს და მახვილს მისცა მხარე,
ბავშვებიც კი არ დაინდო.

კაცთა ბნელი საქმეებით
ცაც გაწითლდა, ცაც შეძრწუნდა;
მაგრამ სისხლი მაინც სჩქეფდა,—
ვიდრე თქმული არ შესრულდა.
სამ წელიწადს გაისმოდა
ჩახა-ჩუხი, ვაი-ვიში:
დაჭრილებს და დახოცილებს
აღარ ჰქონდა ანგარიში.
ბოლოს მაინც გამარჯვება
მეფეს დარჩა... გაიხარა
და მადლობა უძღვნა ღმერთსა,
რომ იხსნა და დაიფარა.

V

ისევ ნახა სიზმარი
მეფემ, ახლა სხვა გვარი:
ვითომ მის სასახლეში,
ცბიერი და მზაკვარი,
მელა დაცუნცულებდა,
აკეთებდა ხვრელებსა
და აბამდა ყოველგან
მაცდურების ქსელებსა.
მყის აფრინა შიკრიკი
და გლეხი დაიბარა.
გლეხს თავზარი დაეცა,
ვით შვილდი, მოიხარა.
თქვა „ახლა ჩემი საქმე
მართლა ჭანდრაკულია:
სიმდიდრეც და სიცოცხლეც—
ორივ დაკარგულია!
გველთან უპირულათ ვარ,
ვის მივმართო ნეტა სხვას?“
და მწარეთ აქვითინდა,
თავი მისცა ცრემლთა ზღვას.
მაგრამ მაინც ეახლა,
ან კი სხვა რა გზა ჰქონდა?
მიდიოდა, თან გულით
ჯოჯოხეთი მიქონდა.

VI

წინ დაუხვდა კვლავ გველი:
„გამარჯობა, ძმობილო!
ასე რამ დაგაღონა,
კაცო, კეთილშობილო?
ახლა ხომ კი გაიგე
ორპირობა ცუდია?
პირობის გამტეხელი—
თავის თავის ქურდია!
მაგრამ მე ერთხელ კიდევ
მოგექცევი ძმურადა,
თუ კვლავ არ მომატყუებ
ურცხვად, შენებურადა“.
გლეხი მუხლზე დაეცა,
ცრემლით სთხოვა შენდობა.
და გველმაც აპატივა
კვალად ეს თავხედობა.
კვლავ აუხსნა სიზმარი,
სიბრძნე არ დაიშურა.
გლეხმა მადლობა უთხრა,
მეფისკენ გაეშურა.

VII

რა მივიდა მეფესთან,
მოახსენა: „ბატონო,
მეფეთ შორის პირველო,
ზღვა და ხმელის პატრონო,
შენს ვრცელ საბრძანებელში
ისეთი დრო დადგება,
მამა შვილს ვერ გაიტანს,
ძმა ძმასთან არ დადგება;

ორპირობა—ღალატი
გამეფდება ყველგანა,
გარყვნილების მორევში
აცურდება ქვეყანა.
მეფეს თქმული ენიშნა.
თქვა: „ბრძენია ქებული.“
და კვლავ გამოატანა
ორი ჯორ-კიდებული.
გლეხი შინ წამოვიდა,
ძალზე გამდიდრებული:
მას გველიც დაავიწყდა,
სიტყვაც დაპირებული.

VIII

ეს სიზმარიც ასრულდა
ისე როგორც პირველი:
ერი ისე გაიხარწნა,
არვინ იყო მწირველი.
ძმობის ტახტზე დაბრძანდა
ორპირობა—ღალატი...
იცით, ვინ პირველობდა?—
ჯაშუში და ჯალათი.
არსად იყო ნამუსი,
არსად იყო გატანა:
ყველას გულში მღეროდა
ჯოჯოხეთის სატანა.

XI

მესამეთაც ნახა მეფემ
კლავ სიზმარი, სულ სხვა გვარი:
ვითომ იმის სასახლეში
დახტუნავდა თეთრი ცხვარი
და აფრინა კვლავ შიკრიკი,
დაიბარა ისევ გლეხი.
გლეხს შიშისგან ელდა ეცა
და დაეცა თავზე მეხი.
მაგრამ მაინც გზას გაუდგა,
ან კი რა გზა ჰქონდა მეტი?
„ვაი იმას,—სთქვა,—ვინც არის
სულ-მოკლე და შორს ვერ მჭვრეტი!
ვინ დამისხნის ამ ჭირიდგან
ახლა, თუ არ იგივ გველი?
მაგრამ, ვაი, რომ იმასთან
არ მაქვს პირი მისასველელი!
ორჯერ ზედ-ზედ მოვატყვილე,
ახლა კიდევ ვით მენდობა?
მაგრამ სხვა გზა რომ არა მაქვს:
უნდა ვსთხოვო კვლავ შენდობა.“
მივიდა და მოწიწებით
მის წინ მუხლი მოიყარა.
უთხრა: „რომ არ მოვსულიყავ,
აღარ იყო მეტი ჩარა.
თორემ შენთან მოსასვლელი
კიდევ მქონდა განა პირი?
მაპატიე! ერთხელ კიდევ
ამაცილე გასაჭირი!
ვფიცავ, ყველას შენ მოგიტან,
რაც მაქვს მეფის საჩუქარი,
ოღონდ ერთხელ კვლავ მაღირსე
შენი სიბრძნის ნაშუქარი!“
გველს ღიმილი მოერია,
გაუყარა თვალში თვალი.
უთხრა: „კაცო, უპირულო,
არ ხარ ჩემგან შესაბრალი!
მაგრამ ერთხელ კიდევ გიხსნი,
კარგზე კარგსა დავამატებ
და მით მაგ შენს ბოროტ გულში
სიკეთესა გავახატებ.
ეს უთხრა და კვლავ აუხსნა
სიზმარი და მისი ძალა.

გლეხმა მადლი გადუხადა
და მეფისკენ გაეჩქარა.

X

რა მივადა მეფესთან,
მოახსენა: „ბატონო,
მეფეთ შორის პირველო,
ზღვა და ხმელის პატრონო,
დრო დადგება ისეთი,
სანეტარო და ქველი,
რომ შენს საბრძანებელში
ერთად სძოვდეს თხა-მგელი;
სათნოება—სიმართლე
ძმობის ტახტზე დაჯდება,
უკან მსვლელი—წინ გასწევს,
დაცემული—აღსდგება“.
მეფეს თქმული ენიშნა.
სთქვა: „ბრძენია ქებული“:
და კვლავ გამოატანა
სამი ჯორ-კიდებული.

XI

გლეხი მყისვე გამობრუნდა,
წამიც კი არ დაახანა,
ახალ ჯილდოს მეფისასა
ძველიც ზედვე დააყარა,
და ყველა ეს უნაკლულოთ
მიუტანა ერთად გველსა,
უთხრა: „დღემდე ჩემი სული
ეგნურების ეპყრა ბნელსა,
მაგრამ შენმა გულ-ქველობამ
ამიხილა უკვე თვალი
და მოვედი, შენს წინაშე
მოვიხადო ჩემი ვალი“.
გველმა უთხრა: „არ გაქვს ბრალი.
ეს დრო იყო იმისთანა.
სხვა გვარობა ვით შეგეძლო,
შენც დროს შვილი არ ხარ განა?
პირველათ რომ არ დამინდე,
სასიკვდილოდ დამკარ კეტი—
ეს მიტომ, რომ სისხლის სუნით
თავს ეხვია ყველას რეტი;
მეორეთ რომ მომატყვილე,
არ დამიდე მცირე წილი,—
ეს მიტომ, რომ აღარ იყო
არც ნამუსი, ირც სირცხვილი;
დღეს რომ პირიანათ მოდი,
აასრულე, ძმაო, მცნება,
ეს იმიტომ, რომ გამეფდა
სიმართლე და სათნოება“.
ეს უთხრა და გასრიალდა,
შეაფარა სოროს თავი,
ოქროები—დარჩა გლეხსა,
ჩემს მკითხველს კი—ეს ამბავი.

ქნარი

ზღვის ტალღებზე

ზღვაში ნავი ტრიალებს,
ნავზე აფრა ფრიალებს,
ქარიშხალი მრისხანე
ყველგან დაჰქრის ღრიალებს;
ტალღა დგება ტალღაზე,
ზღვა ნავს გაატიალებს...

მგზავრი ჰკარგავს იმედებს,
ცრემლით თვალებს ისველებს.
უნუგეშო, საბრალო
შიშით თრთის და კანკალებს...
მიშველეთ!.. გაიძახის,
მაგრამ ვინ შეიბრალებს

და გაჰქრება... გაჰქრება
როგორც ცაზე ვარსკვლავი,
არავის შეაწუხებს
დალუპულის ამბავი...
ნავი მისთვის კუბოა
და ზღვა ბნელი საფლავი.

ბელეტრისტიკა

ლოცვა

სტ. ჭშობიშვვსკიდან

(თარგმანი ს. აბაშელისა)

შენ, ვისი ბრწყინვალე თითები აქსოვს ჩემს შავს სიზმრებში მომაკვდავ შემოდგომის სილამაზეს, გამქრალ დიდების ელვარებას, ცეცხლში დანთქმულ სამოთხის დამჭკნარ ფერადებს!

ო, ჩემო ნათელო!

ბევრი ტანჯვა განვიცადე მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გიხელე. მაგრამ ჯერ კიდევ ჩემი გული ელვარებს იმ ვარსკვლავთა ქვეშ, რომელნიც შენ მოჰფანტე ჩემს ოცნებაში, ჯერ კიდევ ჩემი სისხლიდან მთრთოლვარე ხელები ისწრაფვიან შენ მიერ ოდესღაც ჩემს სულში ანთებულ ბედნიერებისაკენ!

—

შენ, ვისი წყნარი ხელები ბნელ სიჩუმეში ჯადოსნურ ქნარზე ქსოვს ჩემს მძიმე ფიქრებს განცხრომის წუთებზე, რომელნიც გაჰქრენ ვით ხმა შორეულ ფრთათა რხევისა; მზეებზე, რომელნიც კიაფობენ დასავლზე და ზღვაში იძირებიან დასისხლულ ტალღებად; ღამეებზე, რომელთა თბილ მკერდს ეკვრიან დატანჯული გულები!

ო, ჩემო ნათელო!

მრავალჯერ ჩავიდა მზე მას შემდეგ, რაც შენ მომხიბლველ ღაღადით ამშვიდებდი ჩემი სულის მწუხარებას და მე ჯერ კიდევ ნაღვლიან ოცნებაში ვხედავ შენს თვალებს, არა მიწიერ აღტაცებით ანთებულებს, და ვხედავ შენს ნათელ ხელს, ჩემსკენ გამოწვდილს.

—

შენ, ვინც ჩემთვის ნათელ დღეებად გარდაქმენ ქარიშხლიანი ღამენი, ღრმა ძილში უარყავ სინამდვილე, უსაზღვრო სივრცეში უკუაქციე ხილული,—შენ, ჩემს გულში მბჟუტავ ცეცხლთა დამთებო და შავ ყვავილთა აღმზრდელო!

ო, ჩემო ნათელო!

ათასჯერ იცვალა ფერი ქვეყანამ მას შემდეგ, რაც შენმა უკანასკნელმა შემოხედვამ შთანთქა ჩემი სულის მომაკვდავი ბრწყინვალება, და მე ჯერ კიდევ ვხედავ შენს ბავშვურ სახეს და მის გარშემო აბრეშუმის თმათა გვირგვინს, ვხედავ ცრემლის ორ მარცვალს, გარდაქცეულს მკრთალ ლიმილად, რომელიც ენთო შენს ბაგეზე, და მესმის შენი ხმა, მწუხარე ჩივილით მგოდებელი.

—

შენ, ვინც ჩემთვის ყოველთა საიდუმლოთ მოხსენ ბეჭედი და შეიგენ აზრი დაფარულ ძალთა, და ყველა ჩემს გიჟურ მისწრაფებაზე გაჰშალე ცისარტყელა სათნოებისა ერთი ციდან მეორემდის,—არასოდეს არ ტრიალებდა ასეთ გრიგალის ფერხულში ჩემი ვარსკვლავები, არასოდეს არ ანათებდა ასეთი სისხლიანი ელვარებით შენს სახეზე ანთებული ბრწყინვალება, როგორც ახლა, როცა სამუდამოდ დაგკარგე შენ.

შენს საფეხურს ვესვრი მე ჩემს ვარსკვლავებს, შენს ფეხებს ვმოსავ ჩემი სიზმრების შავი მარმაშით, და შენს ხელებში ვასვენებ მე ჩემს გულს,—ჩემს გულს...

ვ. მალაქიაშვილი

ბედნიერი კაცი

1

გაბოს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: დადგებოდა თუ არა თბილისში ცხელი დღეები, ის მაშინვე ბარგს აიკრავდა, ოთახის კლიტეს დიასახლისს გადასცემდა და თითონ სოფლისკენ გამოსწევდა. შინ უთუოდ ღამით მოვიდოდა. როგორა ხართ, რას შვებითო, მიიკითხ-მოიკითხავდა ყველას და მაშინვე ძილს შეუდგებოდა.

— შვილო, გენაცვალოს დედა, ავად ხომ არა ხარ, ასე მალე რო წვები? შეეკითხებოდა დედა, რომელიც მზრუნველის ხელით თვითონ უშლიდა ლოგინს, — ქალიშვილებს როდი დაანებებდა ამ სასიყვარულო საქმეს.

— არა, დედა, არა! ხომ იცი—მე ადრე მიყვარს დაძინება.

დედა კიდევ დიდხანს უფუსფუსებდა გაბოს: საბანს გაუსწორებდა, ბალიშს აუმაღლებდა, პირჯვარს გადისახავდა და ბოლოს უფალს მადლობას შესწირავდა, რომ მისი საყვარელი შვილიკო ერთხელ კიდევ უვნებლად მოუყვანა შინ.

— დედა, კმარა ლოცვა, ძილს მიშლი! ეტყოდა გაბო, რომელიც მუდამ მარტოობას არჩევდა.

გულ დამშვიდებული დედა ამ შენიშვნის შემდეგ რაღაც სასიყვარულო სიტყვების ბუტბუტით კარებს გაიკეტავდა და ყველას იმას ეუბნებოდა ჩურჩულით, რომ გაბოსთვის ძილი არ დაეფრთხოთ.

მშობლიურ ჭერ-ქვეშ გაშოტა და დედის სიყვარულით აღსავსე ზრუნვა ერთიანად მოხიბლავდა ჩვენს გაბოს და ისიც ბედნიერად გადაეშვებოდა ძილის სამეფოში. ამ ბედნიერ წამს მას ავიწყდებოდა ცრუ წუთისოფლის ცვალებადობა, ადამიანთა გაუტანლობა, საკუთარი აზრის მერყეობა და ცვალებადობა, ათასნაირი იჭვები,—ავიწყდებოდა ყოველივე ეს და მთლიან, უყოყმანო არსებად ქცეული რწმენის თვალებით შეჰყურებდა ცხოვრების ვარსკვლავს, იმ ვარსკვლავს, რომელიც მას თუმც მუდამ სწამდა, მაგრამ მაინც მუდამ იჭვის თვალით და უნდობლობით უყურებდა.

დილაზე ადგომას გაბოს ვერავინ მოასწრებდა: ჯერ კიდევ ქათმებსაც კი არ ეძინებოდათ ფრთები დაბერტყილი, რომ პერანგსამარა, ჩუსტებში ტიტველ ფე-

ხებ ჩადგმული და მხრებზე პირსახოც ჩამოდებული აბურძგლულის თმით გასწევ-და წყაროსკენ. ცოტა ვენახებში უნდა ეევლო, ცოტა კიდევ ბუჩქნარში და ასე მივიდოდა ამ საყვარელ ადგილას. ძალიან ეზარებოდა ცვარში ფეხების დასოვლე-ბა, მაგრამ სამაგიეროდ უაღრეს ბედნიერებას გრძნობდა, როცა ვენახის გაბარდუ-ლი ღერწი ნამიან ყლორტებს ლოყაზე ან შუბლზე მოუსვებდა ხოლმე.

წყარო მშვენიერ ადგილს ამოქუხდა. ანკარა წყალი, თითქოს ქვესკნელის სიბნელიდან განთავისუფლებას შეხარისო, შადრევნათ ვარდებოდა ზევით და ქვეყ-ნად დაბადებისთანავე იწყებდა მომხიბლავ, მაგრამ გაუგებარ ამბების ბუტბუტს. იქავე იყო მშვენიერი მოლი, ჩრდილი, გადასახედავი ადგილიც. სწორეთ ყველა ამისთვის ეტრფოდა ამ წყაროს ჩვენი გაბო. ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებია ამ წყაროს შესახებ მას თოვლიან ზამთარში, როცა ცალის თვალით ყინვით გამო-თოშილ ქალაქს გადაყურებდა და ცალით კიდევ გავარვარებულ ბუხარს მისჩე-რებოდა.

დიდხანს იბანდა პირს წყაროზე გაბო, ისხამდა და ისხამდა ცივ წყალს; არა-სოდეს არ აჩქარდებოდა, უთუოდ მზის ამოსვლამდის უნდა ეწუმპლავა და სველი პირიც მზეზე უნდა გაეშრო—პირსახოცს არ იხმარდა. ბოლოს დედაც კი მოა-კითხავდა წყაროზე.

ოჯახში თუმც ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა და ყველანი ჯანმრთელნი იყვნენ, მაგრამ დედა მაინც წუწუნებდა, სტიროდა ოჯახის დაქვეითებას, გაბოს მამის სიბერის გამო ავადმყოფობას—თუმც სესიას ფრჩხილიც კი არ წამოტკენია და არც წამოსტკივდებოდა სამარის კარამდე,—ქალიშვილებისთვის საქმროების არ ყოლას და ვინ იცის კიდევ რას.

— ეს ასეა, შვილო, და ქათამიც რო ვერ გამოვზარდე წელს! ისეთი უბედუ-რი წელიწადია, რომ ქათმის ჭირმა საშინელი ზარალი მოიტანა. ფეფიკოს სულ გაუსრისა ქათმები, ისე კესას, დესმინეს, ანას... დედა, დედა, რა ქნა იმ შეჩვე-ნებულმა, იმან!..

გაბომ მშვენივრად იცოდა, რომ ქათმებიც ბლომად იყო შინ, ძროხაც, ბა-ტიც, ისვიც, იცოდა, რომ გათხოვება არც ისე საჩქარო იყო და საქმროებიც ორთავეს ყავდათ, იცოდა მამის სიჭარმაგე, ჯანმრთელობა, დიახ, მან ყოველივე ეს კარგათ იცოდა, მაგრამ დედაზე მაინც გული არ სტკიოდა ამ ტყვილი წუწუ-ნისათვის, პირიქით სიყვარულითაც კი ისმენდა მის უსაფუძვლო ჩივილს.

ყველა ბარონს თავისი კაპრიზი აქვსო, უთქვამთ და გაბოს დედასაც საკუ-თარი პოლიტიკა ჰქონდა: მისი ამგვარი ჩივილის მიზანი ის იყო, რომ გაბოს ოჯახზე გული არ არჩეოდა, არ დაეივწყა დედ-მამა და ერთიანად არ გადაკარგულიყო ქალაქში. გულ-უბრიყვილო დედა სრულებით ვერ ამჩნევდა, რომ მისი ნალაპა-

რაკევი თეთრის ძაფებით იყო შეკერილი და ყველა მიხვდებოდა რაშიც იყო საქმე.

— აბა, როგორ მოვექცე შვილს,—იტყოდა იგი,—თუ ბედნიერათ ვეჩვენეთ და თავი არ შევაბრალეთ, სულ გაგვივიწყებს ყველას და ერთხელაც კი არ მოგვიგონებს. არ გაგიგონიათ, ბეჩა, ნასწავლმა კაცებმა დედ-მამის დავიწყება იციან და ნათესაობა ფეხებზედაც არ კიდიათო! რა ვქნა მაშინ, რომ ჩემს გაბოსაც ასეთი გუნება ჩაეყაროს".

წყაროზე ლაპარაკი უთუოდ ასე დასრულდებოდა:

— კი, ყველაფერი კარგი, შვილო, მაგრამ ერთი ეს მითხარი ახლა შენ ცოლის შერთვას არ აპირებ? ღიმილით ეტყოდა გაბოს დედა,—სადამდის უნდა ესე იარო, ბერად ხომ არ შედიხარ?.. მაგრამ... ხა... ხა... ხა... შე ეშმაკო, შენა! შენ ვიღაცა გეყოლება ქალაქში! აკი ოლამ მითხრა მთელი ზამთარი ვიღაცა ქალს ეკურკურებოდაო... ხა... ხა... ხა.., შენი დაია, სისხლი და ხორცია, ტყვილს ხომ არ მოგიგონებს!.. მაგრამ რუსის ქალი არ ითხოვო, ე შვილო, რუსის ქალი! ჩვენებურათ ვერც ქათამს დააპურებს, ვერც ძროხას მოწველის, ლობიო რო ლობიოა იმასაც კი ვერ შეგიკაზმავს!

გაბო ღიმილით მოიშორებდა დედას და შემდეგ ორთავე ტკბილის მუსაიფით გამოსწევდა შინისკენ.

გაბო აღტაცებაში მოყავდა ამ იდილიას, რომელიც აგერ ათ წელზე მეტია, რაცა ყოველ ზაფხულობით თითქმის უცვლელად მეორდება: ენკენისთვემდინ ივნისამდე გაბო ქალაქშია მასწავლებლად, ივნისის გასულს შინ მოდის, აქ ხვდებიან წყარო, დედა, დები, მამა. თავდება ზაფხული და ისევ იწყება ჩვეულებრივი ცხოვრება.

ეს სურათი ისე ლრმადაა გაბოს არსებაში ჩაკრილი, რომ ვინ იცის რამდენჯერ აუწერია იგი მას; მგონი არც ერთი მოთხრობაც კი არ დაუწერია, რომელშიაც სხვა და სხვა გვარის სახით ეს იდილია არ ქონდეს შიგ აწერილი. ბოლოს საქმე იქამდეს მივიდა, რომ ამ იდილიის აღწერა გაბოს ერთი მოთხრობიდან ამოიღეს და სკოლებში სახმარ სახელმძღვანელოებშიაც კი შეიტანეს. მშვენიერი პლასტიკა, კლასიკური სიდინჯე, მაგრამ ამავე დროს უბსკერო ხევდით მთვრალი სიყვარული... რა არ იყო ამ სურათში ჩაქსოვილი.

2

ამ ზაფხულის დასაწყისსაც სწორეთ ასე განმეორდა ეს სურათი: გაბო ღამით მოვიდა თბილისიდან, ყველანი მოიკითხა, შემდეგ მიიძინა დედის ჩურჩულში და დილას ყველაზე ადრე მან მოინახულა წყარო, მაგრამ ერთი ცვლილება

კი მოხდა: გაბოსთან დედაზე ადრე წყაროზე მათი მეზობელი პაპუნა მივიდა. ყანაში მიდიოდა და ყელის გასაგრილებლად წყაროს წყლის წაღება უნდოდა, თოხი მხარზე გაედო და მანიკიან დოქისთვის თხილის ნედლი ფოთლით დაეცო თავი.

— ოო, გაბოს გაუმარჯოს, გაბოს! წამოიძახა პაპუნამ და გულიანად გადაჰკოცნა გაბო.

— აი ამისთვის მიყვარხარ, ამისთვის, — ღიმილით ამბობდა პაპუნა, — რომ გიყვარს შენი სამშობლო, არ ივიწყებ შენიანებს და ყოველ წელიწადს მოგვინახულებ ხოლმე... სწორეთ რომ საყვარელი კაცი ხარ მე და ჩემმა ღმერთმა! აბა ზოგიერთებმა რო იციან, გადიკარგებიან და თავისი სამშობლო ფეხებზედაც კი არ კიდიათ! აი, შევარცხვინე მე იმისთანები!..

— რას შეები, ჩემო პაპუნა, რასა იქ, შეეკითხა ამ შეხვედრით ნასიამოვნები გაბო, რომელიც ცამალებით იმშრალებდა პირს.

— რა უნდა ვქნა შენი ჭირიმე! ვცხოვრობ როგორც შეფერის ჩემისთანა ყრუ და შეუგნებელ გლეხ კაცს. ჭირი და უბედურება ბევრი ვნახე, მაგრამ წელში მაინც ვერაფერმა გამღუნა. ვებრძვი ბედს, ვებრძვი ცხოვრების უსამართლობას.

— იცოცხლე, ჩემო პაპუნა, იცოცხლე!

— შენც იცოცხლე, შენც, ჩვენი სოფლის სასახელო შვილო! შენს გამოშობილ გაზეთს რო წავიკითხავ, გული სიამაყით ამევსება, ჩვენი სოფლის შვილი რომ ხარ, გულს უხარია. არც ჩვენ ვყოფილვართ ჩამორჩენილი და ჩვენც შეგვძლებია ღირსეული შვილების გამოზრდა თქო, — ვამბობ გულში... სხვა ქალაქს რა ამბავია, ქალაქს? რას შვება ჩვენი ახალი თაობა, როგორ მიდის საქმეები, რა ნაირათ ეწყობა საწყალი ხალხის საქმე, მტრები ხომ ვერ გვჯობნიან?

— ვერა, ჩემო პაპუნა, ვერა! მტერი რას დაგვაკლებს! ჩვენი საქმე ისე კარგ ნიადაგზეა დაყრდნობილი, რომ ისე იოლად ვერავინ დაგვძლევს.

— კაი დაგემართოს, კაია,

პაპუნა თითქმის სამოცი წლის იყო, სიბერე კარს მოდგომოდა, მაგრამ ჯერ მაინცა და მაინც ვერაფერი დაეკლო მისი ჯანმრთელობისთვის. წელიწადში ერთხელ ან ორხელ თუ იტყოდა იგი — უწინდელი შეძლება არა მაქვს და მოვიკელი ჯანღონეზეო, თორემ სხვაში არაფერში არ გამოიხატებოდა მისი სიბერე. ასე წარმოიდგინეთ, თმაშიც კი იშვიათად ერია თეთრი.

ხუთის თუ ექვსის წლის ბავშვი იქნებოდა პაპუნა, რომ მშობლებმა შრომაზ დააწყებინეს; მას აქეთ დღე და ღამე ჯაფაშია, ოფლსა ღვრის, მაგრამ ერთი რაა ბედი არ დაუწყელია და გული არ გაუტეხია ცხოვრებაზე, ერთხელაც კი არ

დაუგმია მას თავისი ბედი, ერთხელაც კი არ დაუწყევლია ეს უმადური და გამუდმებული შრომა. პირ-იქით შრომა მისი სხეულისთვის აუცილებელი რამ მოთხოვნილება იყო, პაპუნა შრომაში იყო ბედნიერი, აქ ალმასდებოდა და კვესავდა მისი არსება, ამ დროს მწიფდებოდა და საღათ ვითარდებოდა მისი გონებრივი ავლა-დიდება. შრომა იყო პაპუნას ცხოვრების და აზრთა მიმდინარეობის ქვაკუთხედი: ის აალმასებდა და ამაგრებდა მის სხეულს, ის ასაზრდოვებდა მისი გონების სალაროს. მშრომელი ადამიანი პაპუნასთვის სათაყვანო არსება იყო, შრომის ნაყოფს მუდამ აღტაცებაში მოყავდა იგი. მშრომელ კაცს ის ყველაფერს აპატიებდა: ქეიფს, განავარდებას და სხვ. მშრომელი ადამიანისთვის მას მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდა სიცილი და დროს ტარება, მოლხენა, დღესასწაულების შეხვედრა, კარგად ჩაცმა-დახურვა და სხვა.

— ვინც შრომობს და ოფლსა ღვრის, ის ყველაფრის ღირსია, მას ყველაფერი უნდა ცხოვრებაში. თავის დროზე ჭკუა და გონების მოხმარაა საჭირო, თავის დროზე კიდევ გასულელებაც საჭიროა, უმხიარულოდ ცხოვრება არ შეიძლება, ბერები ხომ არა ვართ, რომ ჩვენი ბუნება შევბოჭოთ,—იტყოდა პაპუნა.

ადამიანის ცხოვრების ყოველგვარი აქტი: დაბადება, სიკვდილი, ცოლის შერთვა, მზადება ლხინისთვის თუ ჭირისთვის პაპუნას თვალში უწმიდესი რამ იყო და ის ყოველთვის მოწიწებით მონაწილეობდა ყოველგვარ ასეთ მოვლენაში. ყოველი მისი ნაბიჯი და მოქმედება ნამდვილი მღვდელთ მოქმედება იყო, უყოყმანო, სასოებით აღსავსე და შეურყეველის რწმენით გაჟღენთილი: არაფერ საქმეში პაპუნას ორპოფობა და ორაზროვნება არ ეტყობოდა: ან არ დაიწყებდა რაიმე საქმეს და თუ დაიწყებდა ყოველთვის მუყაითად და ერთგულად,—ცულლუტობა და ორგულობა მან არ იცოდა, ასეთივე იყო მისი აზროვნებაც, ნათელი, მკვიდრი და გარდაწყვეტილების შემდეგ კლდესავით მაგარი.

გაბო ბავშვობიდანვე იცნობდა პაპუნას; იცოდა მისი ავკარგი და ხასიათის სიმტკიცე; იცოდა, რომ პაპუნაზე უფრო სანდო, პირიანი და გამტანიანი გლეხი მეორე არ ყოფილა სოფელში; იცოდა რომ პაპუნაზე უფრო საღად და კეთილად მოაზროვნე პირი ძნელად თუ მოიპოვებოდა მის ნაცნობებში. დიახ, ყოველივე ეს და ბევრი კიდევ სხვა პაპუნას შესახებ მშვენივრად იცოდა გაბომ და ამიტომაც იყო, რომ პაპუნას ნახვა და მასთან მუსაიფი ყოველთვის ერთიანად გადაახალისებდა ხოლმე მას, აუჩქეფებდა სასიცოცხლო ენერგიას და მთელ მის ცხოვრებას, რომელიც აგრე დაცარეული და ეჭვით აღსავსე იყო, სულ ორიოდე წუთის განმავლობაში გაამრთელებდა, გაამთლიანებდა, გაარგვალებდა.

პაპუნასთან მუსაიფის დროს გაბო ერთიანად იცვლებოდა, ავიწყდებოდა თავისი ორპოფული არსებობა და აზროვნება, უკუყრიდა ბედნიერების მომშხამველ

აზრებს და თავდავიწყებით გადასცურავდა პაპუნას ხელით ალივლივებულ ბედნიერების ზღვაში.

— ჩემი სოფლის ბუნება და პაპუნა ელურიძე, აი ვინ მაყვარებს სამყაროს და ადამიანთა სამეფოსო,—ხშირად უთქვამს გაბოს. თორემო, ფიცით იტყოდა ხოლმე,—არ ვიცი სად უნდა მეძებნა წუთისოფლის სიკეთე და შეიძლება თავიც კი მომეკლა.

— რაკი არსებობს პაპუნა, მაშასადამე შესაძლებელია სხვა ადამიანებიც დაემსგავსონ მას და ამნაირად ეგ დაწყევლილი ცხოველთა გვარი გაუმჯობესდეს, გარდაიქმნეს. მშვენიერი ბუნება ადამიანს ჰკურნავს და აჯანსაღებს. მაშ პაპუნები და მშვენიერ ბუნებაში გათქვეფა,—აი სად არის ხსნაო,—მსჯელობდა გაბო.

როგორც თავისი სოფლის ბუნება, ისე პაპუნს ხასიათის სხვა-და-სხვა მხარეები ბევრჯელ გამოუხატავს მას თავის მოთხრობებში, ბევრჯელ დგომია თვალწინ პაპუნა, ბევრი ტიპისთვის მიუსაკუთრებია მისი თვისებანი. მაგრამ მთლიანი და სრული პაპუნა კი არასოდეს არ დაუხატავს. ამის მიზეზი თემის სიძნელე იყო. თუმც მშვენივრად იცოდა გაბომ პაპუნას ცხოვრების გარეგანი მხარე, იცოდა მისი სულიერი არსების მამოძრავებელი მუხლებიც, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც დარწმუნებული იყო, რომ პაპუნას ბუნება მისთვის მიუწდომელი რამ იყო. პაპუნას არსებაში ჩაფლული იყო ისეთი რამ, რაც გაბოსთვის გაუგებარი და მიუღწეველი იყო, გარეგნულად გასაგები და ჩვეულებრივი ადამიანი—გულში ჩახედვისას გამოუცნობელ სფინქსად იქცეოდა. ამიტომაც იყო, რომ გაბო გაურბოდა ამ ტიპის დახატვას, თუმც ემზადებოდა კი აგერ რამდენი წელიწადია. ბევრჯელ გამოუხატავს მას პაპუნა, მაგრამ მაშინვე უგრძვნია ტიპის სიყალბე და გამზადებული მოთხრობა ნაკუწ-ნაკუწად უქცევია.

— მომითმინეთ, ერთხელაც იქნება ვნახავ საიდუმლო კიდობნის გასაღებსო,—იტყოდა ჩვენი მწერალი და კიდევ კარგახნით გადადებდა ამ ძნელ საქმეს.

3

ამ დილითაც ერთიანად მოაჯადოვა გაბო პაპუნამ; ქალაქის ცხოვრებით დაღლილი და დაქანცული გაბო, სიცოცხლე მოდუნებული არსება მხოლოდ ახლა ამეტყველდა მთელის თავის არსებით და, ვით იქვე მოჩუხჩუხე წყარო, ისე აქუხდა მისი სიცოცხლის ენერგია. პაპუნას ნახვამ და ბუნების სიმშვენიერის ჩუმმა განცდამ თითქოს ერთიანად გარდაქმნა იგი და მისდაუნებურად აგერ ოცდათხუთმეტის წლის კაცი ბავშობის ხანაში გადააფრინეს; იმ ხანაში, რომელშიც უდარდელი გაბო ამაყად უსწორებდა თვალს ზეცას, ზვიადად ხვდებოდა ადამიანს

და ერთის აზრითა და გრძნობით გაჟღენთილი გიჟურის აღტაცებით მიქროლავდა ცხოვრების გზაზე. არაფერი არ აეშვებდა, არ აფიქრებდა, ყოველ წამს დღე იყო მისთვის და გზა ჯვარედინზე დაფიქრებას არ იყო ჩვეული მისი სული და გული.

— სოფლებში რა ამბებია, როგორ ეწყობით ახალ ცხოვრებას, როგორ მოგწონთ ახალი ურთი-ერთობა,—შეეკითხა თავის მხრივ გაბო, რომელიც სიყვარელით წამოჯდა გადაცვარულ მოლზე და პაპუნასაც აქეთ მოუწოდა.

პაპუნამ ჯერ დოქი აავსო წყლით, შემდეგ წყაროს გადუყუდა, ერთი ღონივრად მოსვა, დასველებული წვერ-ულვაში ახალუხის კალთით გაიმშრალა და სანამ პირდაპირ პასუხს გასცემდა, ღიმილით ჩაილაპარაკა:

— მე ასეთი ჩვეულება მაქვს, ჩემო გაბო, ყოველ დილას უზმოთ გემოზე უნდა მივაძღე წყაროს წყალს. ასე მგონია დედის ძუძუს ვწოვ, ვარდივით გამეშლება გული. რომელი კახური ღვინო აჯობებს ამ დილით ანკარა წყალს! უკვდავების წამალია პირდაპირ, უკვდავების!..

— მართლაც, პაპუნა, მართლაც...

— ჰო, აქაურ ამბებს შემეკითხე არა? ჰმ, ჩემო გაბო, ჩემო გაბო! ბევრი რამე მინახავს ცხოვრებაში, ბევრიც გამომიცდია, ბევრის შესახებ კიდევ წამიკითხავს, მაგრამ რაც ამ წელიწადში ვნახე და გამოვცადე, პირდაპირ ზღაპარია. მე როდი მჯეროდა წანაკითხავი, ყველაფერი გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, მაგრამ ახლა კი ვხედავ, რომ ერთობ მკრთალად ყოფილა დაწერილი. მხოლოდ ახლა დავინახე ცხოვრების სირთულე და ადამიანის ხასიათის სრული სახე. კაცზე ჭრელი და დაუნდობელი თითონ გველიც კი არ ყოფილა. ცხოვრების აღელვებასთან შედარებით ზღვის აღელვება მონაგონი არ ყოფილა.

— ყველაფერი შეირყა, ყველაფერი ამოძრავდა და აფორიაქდა ამ ორი წლის განმავლობაში: კანონები დაიფუშა, გაქრა, ჩვენი მომველელი მთავრობა თითქმის არ ჩანს, შეირყა თვით ოჯახური შეხედულებაც—დედას შვილის არ ესმის, შვილს მამის, ძმას ძმის ეშინია, დას დის. დიახ, ყველაფერი თავდაღმა დადგა და გადატრიალდა, მაგრამ... მაგრამ ჩვენ, მშრომლები, მაინც გამარჯვებულნი გამოვედით, გადავურჩით ამ საშინელ ორონტრიალს და ჩვენი ცხოვრება თითქმის ჩვენვე მოვაწესრიგეთ, არავინ არ დაგვხმარებია, არავის არ გამოუწვდია ჩვენთვის ხელი.

— პირველად კაცს ეგონებოდა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავერეოდით: დავიწყებდით ყაჩაღობას, უნამუსობას, ამოვხოცავდით ერთმანეთს, დედა შვილს ეცემოდა კბილით, ძმა ძმას გამოჰრიდა ყელს. დიახ, ასე ეგონებოდა კაცს პირველად, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და ჩვენ უკვე გარდავიტანეთ

განსაცდელი: მოვუარეთ ჩვენს თავს, მოვაგვარეთ ჩვენი ცხოვრება და ჩვენვე ჩავდექით ახალ კალაპოტში, ჩვენვე შევქმენით ახალი კანონები. და ეს იმიტომ მოხდა, ჩემო გაბო, რომ ჩვენ, მე და ჩემი მეზობლები, ყველა ჩემი სოფლელები მშრომელები ვართ, პატიოსანი მშრომელები. სხვას არას ვართმევთ, ჩვენის ნაოფლარით ვკმაყოფილდებით...

— ამ პატიოსან შრომას, ოფლის ღვრას თავისი პატიოსნური კანონებიც ქონია: ნამუსი და ერთმანეთის ქონებისა და სიცოცხლისადმი პატივისცემა... რაღაც უხილავი, ზნეობრივი კანონები. აი ამ კანონებმა გვიხსნა ჩვენ და არა სხვა ვინმემ. კი, სანდო მთავრობა გვყავს და საყვარელი, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენმა თავმა გვიხსნა, ჩვენმა სინიდისმა და არა მთავრობამ და მისმა პატრონობამ.

პაპუნა გატაცებით ლაპარაკობდა, ყოველ მისს სიტყვას თან მისდევდა წრფელი ღიმილი და იმედით სავსე გამომეტყველება. გაბო ერთიანად მოხიბლა და დაატყვევა პაპუნას მუსაიფმა, მას ასე ეგონა, რომ ჭეშმარიტებათა წიგნს კითხულობდა და გაასკეცებულის ყურადღებით მიჩერებოდა პაპუნას, რომლის ნათქვამი გამოუკლებლივ სჯეროდა და სწამდა.

— ჩვენ ახლა თამამად მივდივართ ცხოვრების გზაზე,—განაგრძობდა პაპუნა,—არაფრის არ გვეშინია, რადგან გვწამს ჩვენი თავი და ჩვენი საქმე. ვიცით, რომ კარგ საქმეს ვაკეთებთ, სწორის გზით მივდივართ, სხვას არ ვაწუხებთ და... ამიტომ ჩვენც ძლიერნი ვართ. და ეგ ჩვენი სიძლიერე, ჩვენი სიმართლე ეკვი არ არის, რომ ყოველგვარ ბოროტს დაგვაძლევინებს. რაც უნდა დაბრკოლება შეხვდეს წინ სიმართლეს და ჭეშმარიტებას, ბოლოს და ბოლოს ბოროტი მაინც ძლეული იქნება, გამარჯვება მაინც პატიოსნებისკენ არის. აი ამ ზაფხულში აქ იქნები და შენივე თვალით ნახავ ყველაფერს: ჩვენს მუშაობას, ჩვენს კანონებს, ჩვენს ზნეობას და პატიოსნებას. ყოველ კვირა კრებები გვაქვს, სოფლის საქმეებს ვაწესრიგებთ, ვაწყობთ, ავს ვტუქსავთ, კარგს გზას ვუკაფავთ. აი ამ კვირაა კრებაზე შენც იმედია დაგვესწრები, როგორც მცოდნე და გამოცდილი ამხანაგი დახმარებას მოგვცემ, დაგვეხმარები, გვიწინამძღოლებ, როგორც შეგფერის ისე, ჩვენი სოფლის სასახელო შვილი ხარ...

ამ ლაპარაკში გაბოს დედაც მოვიდა ჩვეულებრივად.

— აა, შეიყარეთ ახალთაობის კაცებო თავი,—ღიმილით მიმართა მათ ტასიამ,—ბევრს კი ლაპარაკობთ, მაგრამ ნაკლებად მჯერა თქვენი მიტინგების. ისევ ძველი დრო ჯობდა, მაშინ თეთრი პური მაინც გვქონდა, რამდენიც გვინდოდა ვჭამდით. ახლებმა კი შავიც სანატრელი გაგვიხადეთ.

— არა უშავს, ჩემო ტასია,—უპასუხა პაპუნამ,—გაუბედურებული მაშინ იქნება ქვეყნიერება, როცა მშრომელი მაჯა მოისჭობა ქვეყნად, როცა მშრომელს

გაუჭირდება. ახლა კი რა გვიჭირს, მთელი ქვეყანა მშრომელებისაა, კიდევ ცოტა ხანი და ამ აბურდულ ცხოვრებასაც გამოვასწორებთ, კიდევ დავდგებით ფეხზე, ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ნადირსა შავის ტყისასა.

ცოტა ხანს კიდევ იმუსაიფეს; გაბო საღამომდისაც კი არ მოსწყინდებოდა პაპუნასთან ყოფნას, მაგრამ შეატყო, რომ პაპუნას ყანაში აგვიანდებოდა, ბოდიში მოიხადა ხელის შეშლისთვის და დედასთან ერთად შინისკენ წამოვიდა.

— შენთან მუსაიფი მე ყველაფერს მირჩევნია, კიდევ გნახავ ამ კვირაშიო,— უთხრა პაპუნამ და თავის დოქითა და თოხით ყანისკენ გასწია.

4

— ჩვენი პაპუნა, ჩვენი პაპუნა! სულ ქვეყნის საქმეებზე ლაპარაკობს, სულ სხვაზე ფიქრობს, თავისი თავი და ოჯახი კი მივიწყებული ყავს,—სთქვა ტასიამ ნახევრად დაცინვის კილოთი.

— კარგი ადამიანია პაპუნა, ჭკვიანი კაცია,—ჩაილაპარაკა გაბომ.

— შვილო, ჭკუა და გონება კაცმა თავის თავს უნდა მოახმაროს და არა სხვას... ვინ დაგიმადლებს, ვინ მიგიჩნევს რამეთ. თუ ყველას აამე და სარგებლობა მოუტანე, ხომ კარგი, თუ არა და იმდენს გათრევენ და გაგინებენ, რომ... სოფელი ასეთია. არავინ არ გაგიტანს, კაი ნაქნარს არავინ არ გიმახსოვრებს.

— პაპუნა რო აგრე არ იქცევა?

— ეხ, პაპუნა, პაპუნა! განა ყველა მაგისთანები არიან? ან ვინ უმადლის საწყალ პაპუნას რაიმეს? ამუშავებენ საზოგადო საქმეზე, დღე და ღამ არბენინებენ და ბოლოს მადლობის მაგიერ ლამაზად გამოლანძღავენ. ეს კარგად ვერ გააკეთა, ამაში მოგვატყვილაო და სხვა. მაგრამ გასაკვირალი ისაა, რომ ამ კაცს არაფერზე გული არ გაუტყდება და რაც უნდა ლანძღონ, ის მაინც არ ეშვება საზოგადო საქმეს.

— იმიტომ დედა, რომ პაპუნა ნამდვილი ადამიანი და პატიოსანი კაცია.

— რა გითხრა, შვილო! რო ვაკვირდები არც ამ პატიოსნობით გამოდის რამე ქვეყანაზე. ვუძახით საწყალ პაპუნას პატიოსანს, მართალი კაციაო და მას კი ამ ძახილით არაფერი შეეძინა, პირიქით დაიფსო კიდეც კაცი. ჯერ იყო და შვილი მოუკვდა, ალმასივით ბიჭი ყავდა უბედურს. მერე ცოლი გარდეცვალა. სულ მოუვლელობით და უწამლობით მოუვიდა, თორემ რო ეპატრონებია, ორთავე ცოცხალი ეყოლებოდა. დოხტურის მოსაყვანი ფული ვერ იშოვა მაგ საწყალმა, მაგან! ამხანაგო, ამხანაგორ, ბევრი ეუბნებოდა და ახლაც უძახის, მაგრამ გაჭირვების დროს ყველა შემოეცალა და დასალევი წყლის მიმწოდებელიც კი არ ყავ-

და მის ცოლს უბედურს. შენი თუ არაფერი გაქვს, შვილო, ისე ყოველთვის დაჩაგრული იქნები, ამხანაგები და მეგობრები შუა გზაზე მიგატოვებენ.

პაპუნას შვილისა და ცოლის სიკვდილის ამბავი პირველი გაგონება იყო გაბოსთვის. ის ძალიან გაანაწყენა ამ ამბავმა და საკუთარი თავისაც დიდი უმადური დარჩა.

— რისთვის არ ჩავკითხე ოჯახის ამბები, რად მომივიდა ესაო,—ეტყოდა თავისს თავს და თანაც უკვირდა: თუ მართლა იმდენი უბედურება ნახა პაპუნამ, რათ ვერ შევატყვე გარეგნობაზე, რისთვის არ ემჩნეოდა ბედის უკუღმა დატრიალებაო.

— იცი, დედა! მე პირდაპირ შერცხვენილი ვარ პაპუნას წინაშე, ეხლავე წავალ მასთან ყანაში და ბოდიშს მოვიხდი, როგორ მომივიდა ასეთი დაუკვირვებლობა?

დედას არ უნდოდა გაბოს ყანებში გაშვება—რა საჭიროა პაპუნასთან მობოდიშება, ყოველთვის მოესწრებაო,—მაგრამ გაბომ არ დაიჯერა და ერთი საათის შემდეგ უკვე პაპუნას წინაშე იდგა და დარცხვენილი ბოდიშობდა.

— არა უშავს, გაბო, არა უშავს,—უპასუხებდა თავის მხრივ პაპუნა,—რა უყოთ, ცხოვრება ასეთია: სიცოცხლეს სიკვდილი მოყვება, სიკვდილს სიცოცხლე, დღეს კარგი დარია, ხვალ წვიმა იქნება. ასე მომდინარეობს წუთისოფელი გაჩენის აქეთ და ასე იქნება მომავალშიაც. ყველა სიკვდილის შვილი ვართ. ბევრი ვიჯავრე, ბევრი ვითავცემე, ბევრიც ვიტირე, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა, კვდრები ვერ ავაყენე. სანამდის შემეძლო—მოვლითაც მოვუარე, არაფერი საცდელი არ დამიკლია, ბარე ორჯელ დოხთურიც კი მოუყვანე, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა მაინც თავისი ქნა...

— არა, მე იმიტომ ვემდური ჩემს თავს, რომ ამდენი უბედურება გამოგივლია და მე ვერ შეგამჩნიე, ვერ შეგატყვე,—ეუბნებოდა გაბო,—ჩემს სიცოცხლეში ერთხელ შეგცოდე, ჩემო პაპუნა, და გთხოვ მაპატიო, გემუდარები გულში არ ჩაიჩნიო.

— აბა რა საკადრისია მაგისთანები, ჩემო კეთილო! როგორ შეიძლება, შენი სამდურავი ღმერთმა ნუ მათქმევინოს, როგორ გეკადრება! მე, ჩემო გაბო, ჩემს თავზე და ჩემს უბედობაზე ლაპარაკი და წუწუნი არ მიყვარს. ჩემს დარდსა და ვარამს მე ჩემს გულშივე ვიმარხავ და კვლავ დავიმარხავ. ვინც ადამიანია და კაცური გრძნობა აქვს, ის ჩემდა უთქმელადაც კი თანამიგრძნობს შენი არ იყოს, ხოლო პირუტყვ ადამიანისაგან რას უნდა გამოველოდე! მადლობელი ვარ, ჩემო გაბო, მადლობელი, სათნო ადამიანი ხარ და ღმერთიც არ მოგაკლებს სათნოებას. დეე, ქვეყანა იყოს ბედნიერი და ჩემი უბედურება რა სახსენებელია. დღევანდელი ცხოვ-

რება ისეა მოწყობილი, რომ ბევრი რამე უწყობს კაცის გაუბედურებას ხელს, მაგრამ ჩვენ მაინც მედგრად უნდა ვიყოთ და კუბოს ფიცრამდე უნდა ვიბრძოდეთ ბედნიერებისთვის.

გაბო სრული დარწმუნებული იყო, რომ პაპუნა მისამძიმრებისთანავე მოყვებოდა წუწუნს და საწყლად დაიწყებდა უბედურებაზე ჩივილს. უთუოდ ცრემლებსაც კი გადმოყრის საყვარელ შვილის და ცოლის მოგონებაზეო, მაგრამ პაპუნას მშვიდმა და ბრძნულის გამომეტყველებით წარმოთქმულმა სიტყვებმა ერთიანად გააკვირვეს იგი. პირველად კიდეც ეწყინა პაპუნას ასეთი ლაპარაკი—ეგ ხომ უგულობა და სულელური ოპტიმიზმის შედეგიაო სთქვა,—მაგრამ ბოლოს და ბოლოს თითონაც დარწმუნდა, რომ პაპუნას ლაპარაკში მართლაც ღრმა სევდასთან ერთად ღრმა აზრებიც იყო ჩამარხული.

— პაპუნა აქაც პაპუნათ დარჩა, არ უდალატა თავის მე-ს, ბოლომდის მისი ერთგულიაო,—სთქვა გულში გაბომ და ერთიანად შეურიგდა ცხოვრების სიბრძნით დატვირთულ მოხუცს.

— იცი, გაბო, მე ისე მეამა შენი აქ მოსვლა, რომ იცოდე შუადღემდისაც არ გაგიშვებ და სულ გალაპარაკებ, ხა... ხა... ხა... ხომ თანახმა ხარ?

— დიდის კმაყოფილებით, ოღონდ შენი გაცდენა კი მეძნელება.

— არა უშავს, შენთან ლაპარაკი გაცდენა კი არა, ჩემისთანა კაცისთვის პირდაპირ აღდგომის გათენებაა.

მონახეს ჩრდილი და დაიწყეს მუსაიფი. პაპუნას ჩიტი უფრინავდა სახეზე, ის წამდა-უწუმ იგრეხდა ულვაშებს და კითხვას კითხვაზე უსვამდა გაბოს. ხან მთავრობის მოქმედების ამა თუ იმ ნაბიჯის ახსნას თხოვდა, ხან სხვა ქვეყნების ამბებს ეკითხებოდა და ხან ვინ იცის კიდევ რას.

— ჰო, მართლა,—განაგრძო პაპუნამ,—წავიკითხე შენი მოთხრობების კრებული, მთელი ერთი თვე მოუნდი, თესვა მქონდა გახურებული და ვერ მოვიცალე. შენს კალამს ვენაცვალე, შენს კალამს. ოო, რა მომწონს აი ის... ნიკოლომიაშვილი რომ გყავს გამოყვანილი. ოხ, მისი ჭირიმე, რა ბიჭი ყოფილა, რა უშრომია! რა წმინდა გულით ყვარებია ხალხი და თავიც კი შეუწირავს მისთვის! აი მესმის ადამიანი! რა ეშველებოდა ჩვენს წუთი-სოფელს, რომ ასეთი ადამიანები არ იბადებოდენ ქვეყანაზე? ისინი ალამაზებენ და ამშვენიერებენ ჩვენს არსებობას, ისინი გვაყვარებენ სიცოცხლეს. ჭეშმარიტად ასეთი ადამიანების გამოა, რომ კაცი განირჩევა პირუტყვისაგან და ადამიანი ეწოდება.

— იცი რა ჭინდა გითხრა ჩემი მოკლე ჭკუით,—განაგრძობდა პაპუნა,—არც ერთ მოხელე კაცს არ მოაქვს იმდენი სარგებლობა, რამდენიც მოაქვს მწერალს. აი ამიტომაა, რო მე შენ მიყვარხარ და სასახელო კაცად მიმაჩნიხარ. რამდენ

ჭკუას გვასწავლის მწერალი, რამდენ კეთილ გრძნობას აღგიძრავს! გდიხარ შენთვის სადღაც კერაში, ჩაფერფლილი, ჩანაცრული, დასაწყლებული. მიტოვებული ხარ ყველასგან, გული გიღონდება მარტოობით. აიღებ ამ დროს რაიმე მოთხრობას და დაიწყებ გულ დაწყვეტით კითხვას. და მწერალიც—იკურთხოს მისი კალამი, შენდა შეუმჩნევლად წაგიყვანს სადღაც ახალ ქვეყანაში, გაცინებს, გატირებს, სხვას სრულიად უცნობს დაგაამხანაგებს, დაგიმეგობრებს... და შენს მარტოობასაც ბოლო ეღება, შენი სისაწყლეც სადღაც იკარგება. ეგ ჩაფერფლილი და ჩანაცრული კაცი უცებ ხედავ, რომ შენც ცხოვრების მონაწილე ხარ და ათასნაირის ძაფებით ხარ მასთან შეერთებული... იკურთხოს მწერლის მარჯვენა, იკურთხოს!..

— რამდენი სიამოვნება ჩემთვის ნინოშვილის მოთხრობებს მოუგვრია, რამდენი რამე მე იმისგან ვისწავლე! რამდენი მიტირია განკარგულების წაკითხვაზე, ისე პალიასტომის ტბის, სიმონას, ქრისტინეს. და ეს რატომ არის, ჩემო გაბო, იცი? იმიტომ რომ თქვენ, მწერლები, პატიოსნათ შრომობთ, თქვენი შრომა პატიოსანი და შეუბღალავია. ნინოშვილი წერს ერთ ადგილას, რომ ეს მოთხრობა ყარანდაშით დავსწერეო. შეხედე საწყალი, მელან-კალმის ფასი არ ქონდა ისე ღარიბად იყო და უბრალო, ორ კაპეიკიანი ყარანდაშით წერდა, პატიოსნათ მუშაობდა. ალბად ქაღალდიც მამასისხლად ნაყიდი ექნებოდა. მშიერ-მწყურვალი იქნებოდა, მე წამიკითხავს მისი ცხოვრების აღწერა და ყველაფერი ვიცი. დიახ, ასე სწერდა ნინოშვილი, მაგრამ მისი ნაწერი ბევრ ოქროს კალმიანებისას ჯობს. პატიოსანი მშრომელი იყო და იმიტომ, საწყალი ხალხის ბედი ტანჯავდა და იმიტომ... აბა!

— აი ამიტომაა, რომ მე მწამს ცხოვრება და მიყვარს იგი. ვიცი, რომ ცხოვრების ბოროტების იქეთ, სადღაც კუნჭულში ჩუმათ სხედან ნინოშვილები და ორ კაპეიკიანის ყარანდაშით, პურის ფულზე გადანარჩენ გროშით ნაყიდ ქაღალდზე კეთილ აზრებს და გრძნობებს გამოსახავენ. იქავე იბრძვიან ლომიაშვილები და ბედნიერებას ამყარებენ. წარმომიდგება ამ დროს გუთანზე დაყრდნობილი გლეხი და ჩემს ბედნიერებასაც საზღვარი არა აქვს. იკურთხოს პატიოსანი შრომა, იკურთხოს მისი გზა და სავალი!

— ყველაფერი კაი, მაგრამ ამ ქალს რაზე არ თხოულობ შე კაი კაცო? სიცილით შეეკითხა კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ პაპუნა გაბოს, რომელიც ცოტა არ იყოს კიდეც შეწითლდა ამ მოულოდნელ შეკითხვის გამო.

— ხა...ხა...ხა... თქვი, რაღას იგვიანებ, ბერად ხომ არ მიდიხარ?

— აგრე უცებ ვერ გადავწყვეტ, ჩემო პაპუნა, ცოლის შერთვა აგრე იოლი

როდია. ჯერ შენი გულის სატრფო უნდა მონახო, შემდეგ მის რჩენაზე უნდა იფიქრო, მერე კიდევ შვილები, მოყვრები...

— ოჰ,—ჰო, ჰო! მერე კიდევ სიდედრი, სიმამრი, ცოლის და, ძმა... ჩამოთვალე რაღა, შე კურთხეულის შვილო! ღიმილით უთხრა პაპუნამ,—შენ თუ მაგებზე იფიქრე, ვერასოდეს ცოლს ვერ შეირთავ, განა სხვებს არა ყავს ცოლის ნათესავები და შვილები? განა შენზე ნაკლებებს ცოტას ყავს ცოლი! არა, მამაშვილობამ... უკაცრავად ვარ მამაშვილობის შეკადრებისთვის, მაგრამ ამნაირი ფიქრები მე არ მომწონს. რაც რომ ცხოვრებაში აუცილებელია, ის ყოველთვის გაბედულად და თავის დროზე უნდა მოახდინოს კაცმა. ვის გაუგონია ასე უკანუკან ხევა! ამდენი ხანია ეგ კითხვა ვერ გადასწყვიტე? ჩვენ გლეხები, ამდენ ხანს რომ ცოლის შერთვაზე ვფიქრობდეთ, შენი მტერია ჩვენს ცხოვრებას არ ეშველებოდა არაფერი. მე მეგონა რაიმე სხვა მიზეზი გედგა წინ, თვარა ამას როგორ ვიფიქრებდი! შენც იშრომებ, ისიც იშრომებს... შვილების მოვლა კიდევ წმინდა მოვალეობაა, მორჩა და გათავდა, მეტი რაღაა საჭირო, ფერი კარგი გაქვს და ხორცი, ჯანი გაქვს და ღონე...

გაბოს ისე შერცხვა ამ სიტყვების გამო, რომ არ იცოდა რითი ემართლებია თავი, ვითომ გაეპირა რაღაცის წამოლუღლუღება, მაგრამ წამსვე შეაჩერა პაპუნამ.

ცხოვრება არც ისე ძნელია ჩვენ რომ გვგონია, უნდა იცოდე მხოლოდ გაბედული სიარული, უყოყმანო, ვაჟკაცური. უკან ხევია არ უნდა იყო, მუდამ წინ უნდა იხედებოდე, ფეხები უკან არ უნდა გრჩებოდეს... და გამარჯვებაც შენი იქნება, ბედნიერებაც შენს ხელთ იქნება, რაც ცხოვრებაში კარგი შეგხვდეს უყოყმანოდ მიიღე, ცუდი შორს გადისროლე, და მარცხი წელში ნუ გაგტეხს, გამარჯვება გონებას ნუ დაგიკარგავს, თავი მუდამ მაღლა გეჭიროს, სულის სიგლახე არ დაგეტყოს...

— მე რა მაგალითი ვარ შენისთანა ნასთავლი კაცისთვის, მაგრამ მე მთელი ჩემი სიცოცხლე ასე გამიტარებია. არაფრის არ შემშინებია, არასოდეს სულით არ დავცემულვარ. ტირილიც ბევრი მიგვია და სიცილიც, მაგრამ არასოდეს გონება არ დამიკარგავს. ოთხი შვილი მყავს გარდაცვლილი, წელსაც ორჯელ დამეცა თავს მეხი და ოჯახიც თითქოს ერთიანად დამეცა—ცოლი მომიკვდა, მაგრამ მე მაინც ჩემებურად დავუხვდი განსაცდელს, ბედის წინ ქედი არ მომიხრია...

გაბო ერთიანად მოიხიბლა და დაატყვევა პაპუნას მუსაიფმა, ასეთი შთაბეჭდილება არასოდეს არ მოუხდენია მასზე პაპუნას, ასეთნაირად არასოდეს არ ჩაწვდენია იგი სულსა და გულში ამ ადამიანს. მოხუცის ყოველი აზრი და სიტყვა

სულის წმიდის გადმოსვლასავით ელვინებოდა მას და თანდათან ეხეოდა კრეტსამბელი იმ საიდუმლო ქვეყანას, რომელსაც პაპუნას სულიერი ცხოვრება ეწოდებოდა. მხოლოდ ახლა, ამ მუსაიფის დროს გრძნობდა გაბო, რომ დღემდის მისთვის შეუცნობელი ადამიანის არსება თანდათან ნათელი ხდებოდა.

— ვნახე ის გრძნეული კლიტე, რომლითაც პაპუნას სულის კარების გაღება შემეძლებაო,—ფიქრობდა გაბო და გაათასკეცებულის ყურადღებით მიჩერებოდა გატაცებით მომუსაიფე მოხუცს.

პაპუნა კი ისევ რწმენით, იმედით და ამაყის სიამოვნებით განაგრძობდა ლაპარაკს. გაბო კიდევ უფრო იხიბლებოდა ამ რწმენით, ხარბად უცქერდა ამ მომჯადოვებელ მოხუცს და სრულიად გადავიწყებოდა თავისი თავი.

5

გაბო იმ საღამოსვე შეუდგა ახალი მოთხრობის წერას. ასეთის გატაცებით და თავდავიწყებით მას დიდი ხანია კალმისთვის არ წაუვლია ხელი. სათნოებით, იმედებით და რწმენით აღსავსე სახე პაპუნა ელურიძისა მას მოსვენებას არ აძლევდა. მომხიბლავი მოხუცი აჩრდილივით დასდევდა მას, არ შორდებოდა მეხსიერებიდან და მთელს თავის არსებით მოითხოვდა ქაღალდზე გამოხატვას. გაბო რომ მოქანდაკე ყოფილიყო, ან კიდევ მხატვარი, ის უთუოდ მამა ღმერთისებურად გამოხატავდა პაპუნას; დაიჭერდა იმ წუთს, როდესაც მამა-შემქმნელი ამაყად გადმოყურებს ქვეყნიურ ქაოსს და მთელის ქვეყნის რწმენით აღსავსე დინჯად ბრძანებს: იყოს ნათელიო.

მაგრამ გაბო სიტყვის ხელოვანი იყო და პაპუნას არსებაც სიტყვათა მეოხებით უნდა განესახიერებია. მან მოწიწებით მოკიდა კალამს ხელი,—თითქოს მღვდელთ-მოქმედებას იწყებსო... მაგრამ მუშაობის დაწყების ნაცვლად მისი გამომეტყველება მთვარე-ვარსკვლავებით შემკულ ზეცას მიაგავდა, დიდხანს იდგა გაქვავებული გაბო, ბევრი ღიმილი და სასოება ამოკითხა მისს სახეზე ვერცხლის სხივთა კონამ და... გაბოს ხელიდან კალამი გავარდა...

— ღმერთო! წამოიძახა მან, თავზე ხელები იტაცა თოფნაკრავივით და თავზარდაცემული წამოიჭრა ზეზე.

— განა უბედურს შეუძლია ბედნიერის დახატვა?!—ამოიგმინა მან და მწარედ აქვითინდა.

ეს ქვითინი პირველი იყო გაბოს ცხოვრებაში. მართლა იგი უკმაყოფილო იყო ცხოვრებით: გულს უსერავდა ადამიანის სივერაგე და ცხოვრების სიდუხჭირე; მძიმე ლოდათ აწვა ბუნების საიდუმლეებათა შეუცნობლობა, მაგრამ სასო-

წარკვეთილი მაინც არასოდეს არ ყოფილა. ცხოვრების სიდუხჭირით განაწამები ყოველთვის შესძლებდა ხოლმე თვალზე მომდგარ უიმედობის ცრემლთა ნაკადის შეჩერებას და თითქოს იმედ მიცემული გაორებულის არსებით ჩაილაპარაკებდა: მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისაო. დიახ, ბოლოს და ბოლოს, დიდი რყევისა და ორპოფობის შემდეგ გაბო მაინც ცხოვრებას ურიგდებოდა და ბრძოლის ველიდან გაქცევას მაინც მასთან ჰიდილს არჩევდა... ასე მიმდინარეობდა მისი ცხოვრება, მაგრამ დღეს კი სრულიად იმედ-მოხდილმა გააგდო ხელიდან კალამი და გულის გამგმირად ამოიტირა.

მოულოდნელი იყო ეს წამი გაბოსთვის, მასთან საშინელი და თავზარდამცემი. მხოლოდ ახლა გადაეშალა მას მთელი თავისი არსებობის ნამდვილი სახე — დაუსრულებელი რყევა, ორპოფობა და ნაძალადევი რწმენა, გადაეშალა და კიდეც შეძრწუნდა.

— ქვეყანა პაპუნებისთვის არის შექმნილი, მათ სწამთ თავიანთი თავი, ისინი გაბედულად მიდიან ცხოვრების გზაზე და არასოდეს უკან არ იხედებიან. მაგრამ მე ვინა ვარ, მე! რა არის ჩემი დანიშნულება, რა წილი მიძევს ცხოვრებაში, სად არის ჩემი ფეხის დასადგამი მიწა?! ეკითხებოდა თავის თავს გაბო.

— არც მრწამს ჩემი თავი და კიდეც მრწამს, მივდივარ და თანაც ვბორძიკობ. ერთის თვალით რომ ვითომ წინ ვიხედები, მეორე უკან მიმიქცევია, იმედის გვერდით უსასოება მშხამავს... რა ვარ, ვინა ვარ?.. რამდენი რწმენა და სასოება გამოიხატებოდა პაპუნას თითეულ სიტყვაში, თითეულ ბგერაშიც კი!.. მე კი, მე?.. თითქოს ყველაფერი ვიცი, ფილოსოფოსად მომაქვს თავი, ვმწერლობ, სხვებს ვასწავლი და ამავე დროს ბითონ ჩემს არსებაში ერთი რამე მკვიდრი და შეურყეველი რწმენაც კი არ არის? ნეტავი ერთი რაიმე საგანი ან იდეა თუ მრწამს უყოყმანოდ, უეჭვოდ და უდაოთ?

რამდენიმე ხნის უკან იმედებით აღსავსე და რწმენით გატაცებულ გაბოს ერთიანად გადაეშალა მთელი თავისი დაცხრილულ-დაცარული წარსული და სავსებით ჩაიფერფლა, გაცამტვერდა. ის ფრთები, რომლებითაც სულ რამდენიმე წუთის უკან ძალუმად დაფრინავდა იგი პაპუნას ხატებასთან ერთად საოცნებო მომხიბლავ ქვეყანაში, უღვთოდ დაეკეცა და სასიკვდილოდ განეგმირა. წელან ლაღად მფრენი სირთა მეფე, ამ წუთს ფრთებ შეკრილის და თავ ჩაქინდრულის არწივის აჩრდილი ღა იყო.

— პაპუნას ხელაღებით სწამს და სჯერა მშრომელთა სიკეთე, სათნოება, ზნეობრიობა, სწამს მისი აწმყო და მომავალი, შუბლ გაშლილი შეჰყურებს სამყაროს... მაგრამ ვინ გარდაქმნა და ვინ გადიკეთა საზოგადოდ ადამიანის ბუნე-

ბა? ის ხომ ცხვრის ტყავში გახვეული მგელია, მგელი, რომელიც ყოველ წუთს, იმაზე ფიქრობს, რომ სხვა შესჭამოს და თითონ გაძღეს... ყოველ ადამიანში ბოლოს და ბოლოს პირადი „მე"-ღა არის, საკუთარი კეთილდღეობა, პირადი ბედნიერება. საკუთარი შვილი რაა, ღვიძლი სისხლი და ხორცი იმასაც კი უღალატებს ადამიანი,—ოღონდ თითონ კი იყოს ბედნიერი და მაძღარი. თითონ პაპუნასაც ხომ მარტო პატიოსან მშრომელთა სიკეთე სწამს, მაშ დანარჩენი რაღა არიან?

გაბომ მაშინვე დაარწმუნა თავისი თავი, რომ პაპუნას ამ გვარი რწმენა ერთგვარი გონებრივი სივიწროვის შედეგი იყო. მისი აზრით პაპუნა რომ ფართო გონების პატრონი ყოფილიყო და შეძლებოდა იქამდე ამაღლება, რომ ყველა ადამიანთათვის გადაეხედა, აგრე ოპტიმისტიურად არ შეხედავდა მაშვრალთა ბედს, თითონ გაბოს თვალშიც არც მშრომელნი იყვნენ მაინც და მაინც მიმზიდველნი და ყოველ გვარ სახნოების მატარებელნი. ამ დასკვნამდე ის ნელ-ნელა და თან და თან მიდიოდა. აშკარად და გულ ახდილად ეს თავისი გრძნობა მას არსად არ უთქვამს, არც ერთ მოთხრობაში არ გაუტარებია მას ასეთი აზრის მკრთალი სახეც კი, მაგრამ... ისიც ფაქტი იყო, რომ ეგ აზრი ეჭვიანობის ჩრჩილად იჯდა მისი სულის სიღრმეში და მოსვენებას არ აძლევდა. ეს ჩრჩილი განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში ამოძრავდა,—ბოლოს და ბოლოს, რო ვაკვირდები, ეს დაბალი ხალხი, მშრომელნი, ანუ უფრო კიდევ გარკვეულად, რომ ვსთქვა—ბრბო,—არც ისე სათაყვანო არსება ყოფილა,—ეტყოდა ხოლმე თავისს თავს გაბო,—დღეს ერთ კერპსა სცემს თაყვანს და ხვალ მეორეს, არაფრის ერთგული ის არაა, არავინ არ უყვარს ბოლომდის. ვფურცლავ ისტორიას და განცვიფრებაში მოვდივარ; დაბალი ხალხი დღესაც ის არის, რაც ათიათასის წლის უკან ყოფილა: დაუნდობელი და ცვალებადი, პირადი კეთილდღეობის და საკუთარი კუჭის მალმერთებელი. ავიღოთ საბერძნეთი, რომი... მაშინდელ მშრომელთ, ბრბოს ხან ერთი პირი ულმერთებია და ხან მეორე, დღეს აღმა ნახნავი, ხვალ უკუღმა უფარცხავს, ვისაც მეტი უკმევია, გუნდრუკიც მისთვის უკმევია... აგრეა დღესაც, მრავალი ასის წლის შემდეგ; ვინც მეტს პირდება, ვინც მეტს ატყვილებს, ხალხიც იმას მიყვება და უჯერის, დღეს ერთი პოლიტიკური მოღვაწეა გალმერთებული, ხვალ მეორე იქნება უთუოდ და ასე დაუსრულებლივ, სად წავიდა ამდენი ხნის კულტურული მუშაობა, საკაცობრიო პროგრესი? რით არის ბრბო ისევ ბრბო: კუჭის მონა, გაუტანელი, დაუნდობელი, პირადი მე-ს მალმერთებელი, სისხლის მოწყურე? რად ვერ განკაცებულა იგი და ვერ დაახლოვებია ადამიანის იდეალს?

ამ კითხვის პასუხი გაბოსთვის ნათელი იყო. მისის აზრით ადამიანის ბუნების გარდაქმნა შეუძლებელი იყო, ადამიანი მხეცად გაუჩენია ბუნებას და მხე-

ცადვე დარჩებაო. რომ ეს აგრე არ იყოს და ადამიანთა ხასიათის გაუმჯობესება შეიძლებოდეს, ამას უთუოდ დავინახავდით ისტორიიდანო. გაბოს სწამდა ქვეყნიური ცხოვრების ევოლიუცია და თანდათანი გარდაქმნა, მაგრამ ეს ევოლიუცია საზოგადოდ არ ეხებოდა ადამიანის ბუნებას და ხასიათს, რომელიც უცვლელად მომდინარეობდა მრავალ საუკუნეთა მთა-გორებ შუა.

6

გაბომ ერთიანად მოხადა ეჭვთა კიდობანს თავი და თითქმის სასოწარკვეთილი დაეყრდნო სამწერლო მაგიდას. გაღებულ ფანჯარაში ვაშლის ტოტები შემოსულიყო და თითქოს ძვირფასი ძღვენი მოუტანიათო—მწვანე ფოთლებს აწვდიდენ თავ-ჩაქინდრულ გაბოს. მწიფე ნაყოფის სურნელება ერთიანად ატკბობდა იქაურობას. მთვარე-ვარსკვლავებიც კარგა ხანია გამზადულნი იყვნენ საძღვნოდ სხივთა კონებით ხელში, მაგრამ მაგიდაზე ანთებული ლამპარი ერთიანად ჩრდილავდა მათ.

— ბედნიერია პაპუნა, ბედნიერი,—ფიქრობდა გაბო,—მას ყველა სწამს, უყოყმანოა, გაბედულად მიდის ცხოვრების გზაზე: აკეთებს რაც უნდა, ლაპარაკობს რასაც გრძნობს. მე კი... ვერც იმას ვაკეთებ რაც მინდა და ვერც იმას ვაღიარებ, რაც ეჭვად მევლინება. ვშიშობ, ვზომავ, ვსწონი, ვყოყმანობ. ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადამიდგამს გაბედულად: ვლაპარაკობ და არ მჯერა, ვმოქმედებ და არა მრწამს... ერთი აზრი, ერთი გრძნობა—ჩემთვის უცნობია!.. ოოხ, წყეულიმც იყოს მრავალ აზრიანობის წარმომშობელი საათი!

კიდევ დიდხანს იყო მწვავე ფიქრებში გახვეული გაბო, დიდხანს ათვალიერებდა თავისს დაფლეთილ გულს და დაცარულ ცხოვრებას, რომელიც გარეგნულად თითქოს სათაყვანო და მისაბაძი იყო, მაგრამ შინაგანის მხრივ ერთობ აფორიაქებული და სევდით აღსავსე. აგრე მკაფიოდ და გარკვევით ჯერ ერთხელაც კი არ წარმოედგინა თავისი ცხოვრება გაბოს, მხოლოდ ახლა, როდესაც მოწიწებით აიღო ხელში კალამი და მოინდომა რწმენით აღსავსე პაპუნას გამოსახვა,—მხოლოდ ახლა დაინახა საკუთარი თავის ნამდვილი სახე და ჭეშმარიტი ხატება, რომელიც თავიდან ბოლომდე გაორებული არსება იყო: პირველს სწამდა ის, რასაც ასამარებდა მეორე, მეორე აკეთებდა იმას, რასაც არღვევდა პირველი.

— პაპუნას სწამს ხალხის მეთაურთა უანგარობა, გარეგნულად მეც ვეთანხმები მას, მაგრამ ვიცი რა უძევს გულის სიღრმეში ყველა მეთაურს—როგორც ადამიანს—და რწმენა მერყევა, ყველგან ანგარებას ვხედავ: თავმოყვარეობა, კარიერა, პირადი უფლებიანობა და დაწინაურება. პაპუნას მწერალთა სიწმიდეც

სწამს, ნაბეჭდი ქაღალდი მისთვის სახარებაა. ეეხ, ჩემო პაპუნა, ჩემო პაპუნა! რამდენ სისაძაგლეს აქვს აქ თავი მოყრილი, რამდენს!.. რომ იცოდე, რომ იცოდე!.. მაშინ შეიძლება შენც ჩემსავით გაგიორდეს არსება და შენი რწმენაც ჩემსავით შეირყეს...

გაბომ სანთელი ჩააქრო და უიმედოთ მიწვა. არ გაუვლია ხუთ წუთსაც და ფანჯარას ვიღაც კაცი მოადგა.

— გძინავს, გაბო?

— არა.

— სანთელი დავინახე შენს ოთახში და წამოველი, შენ კი ჩემს მოსვლამდე ჩააქრე.

— პაპუნა ხარ? უკაცრავად, ეხლავე.

— არ არის საჭირო, არა. მთვარეა და თუ არ გეძინება ეზოში გამობრძანდით, ვილაპარაკოთ. ძილი ხომ არ შეგაშლევინე?..

ცოტა ხნის შემდეგ გაბო და პაპუნა გადანამულ ბალახში ისხდენ და მთვარეს მიჩერებოდენ. პაპუნას ჩვეულებრივი გამომეტყველება ჰქონდა, მთელი მისი არსება ამუშავებული იყო და გაბოს დასტრიალებდა: ის ჩვეულებრივად დაუსრულებელის კითხვებით მიმართავდა გაბოს და მოსვენებას არ აძლევდა. გაბო კი სულ იმის ცდაში იყო, რომ პაპუნას ელაპარაკნა და კვლავ შთაებერა იმედიანობის სული მის არსებაში. პირველ ხანებში მისი ცდა უნაყოფო იყო—პაპუნამ უამრავის კითხვებით მიიტანა მასზე იერიში, ბოლოს კი გამარჯვება გაბოს დარჩა—პაპუნა შეუდგა ლაპარაკს:

— არასოდეს გული არ გამტეხია,—ლაპარაკობდა იგი,—მუდამ მრწამდა, რომ საწყალი ხალხის საპედნიერო დღეც გათენდებოდა, ვიცოდი, რომ ბოროტი დაითრგუნებოდა და კეთილი გაიმარჯვებდა, და კიდეც ასე მოხდა. ვინ იცის, რამდენი უბედურება მე გამოვიარე პირველი რევოლიუციის აქეთ. დევნა, ციხე, კიდევ ციხე, ცოლშვილის აწიოკება, ქონების აფორიაქება, დამარცხება-დამდაბლება. მაგრამ მე მაინც ის პაპუნა ელურიძე ვიყავი და ვარ, რაც ერთხელ ვყოფილვარ. ბევრი რამ მავნო ქვეყნის სიმუხთლემ, ბევრი მაწამა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩემი გავიდა. იმიტომ რომ მე სხვისი არა მინდოდა რამ, ჩემის ოფლით ვცხოვრობდი, დაღვრილი ოფლი წმინდაა და ვერვინ შებღალავს მას.

გაბო სულ განაბული ისმენდა პაპუნას სიტყვებს. ის ერთიანად გამოცვალა პაპუნამ, თითქოს მკვდრეთით აღდგაო წელან უიმედოთ მოშხამული გაბო, ის კვლავ შეიპყრო მძლავრმა ოცნებამ, კვლავ დაიმონა და მოხიბლა პაპუნას ხმამ, გამომეტყველებამ, კილომ. კვლავ ეწვია ცოტა ხნის უკან შორს გადატყორცნი-

ლი პაპუნას ღვთაებრივი ხახე, რომელიც ასე ძალუმათ მოითხოვდა მისგან სიტ-ყვათა და სურათთა თამაშში განსახიერებას, კვლავ აღენთო ზეციურის ცეცხლით მწერლის არსება. დაიღუპა ეკვები, უიმედობა, გაქრა ყოყმანი! გაბო კვლავ პაპუნას მგოსანია და კიდევ წუთი და მთელის თავის გატაცებით შეუდგება მომჯადოვებელ მოხუცის უკვდავ ხელოვნების სურათებში აღბეჭდვას.

— იცი პაპუნა,—გააწყვეტინა აღტაცებულმა გაბომ,—მე გეტყვი შენ ერთ ზღაპარს და მიპასუხე როცა გკითხო.

— კი შენი პირიმე.

— იყო ერთი ყმაწვილი, ჭკვიანი, ჯანსაღი, სათნო, ლმობიერი. მას ყველა უყვარდა და ყველასათვის კარგი უნდოდა, მაგრამ ის არავინ შეიყვარა და არ იმჭო. ამის გამო სევდა დაეუფლა მის არსებას და გოდებამ შეიპყრო იგი. დაჯდა, შავი ჩაიცვა, თავს ფერფლი წაიყარა, აიღო ქნარი და მწარედ სტიროდა, გულის საკლავად ქვითინებდა გრძნეულ სიმებზე. ტიროდა ჭაბუკი და სტიროდენ სხვებიც, იცრემლებოდა ყმაწვილი და ცრემლით იწურებოდენ მსმენელნიც. გეკითხები მე შენ—რისთვის ტიროდა ჭაბუკი?

— სახელითა სიყვარულისათა,—იყო პასუხი პაპუნას მხრივ.

— გულ დასერილმა ყმაწვილმა,—განაგრძო გაბომ,—იგრძნო სიკვდილის მოახლოვება და კიდევ უფრო გაძლიერდა მისი ქვითინი და ოხვრა, ძრწოლა და შიში, კვნესა და ვაება. გეკითხები მე შენ—რისთვის შიშობდმ და ძრწოდა საბრალო ჭაბუკი?

— სახელითა სიცოცხლისათა,—იყო პასუხი პაპუნას მხრივ.

— უნდოდა რწმენა ქონოდა და ურწმუნოდ ჰყვეს იგი,—ამბობდა გაბო,—ამოცალეს უკანასკნელი იმედი, წაუბილწეს ყოველივე სიკეთე. და კვლავ სტიროდა იგი, თმა-წვერს იხოკავდა, უნუგეშოდ ჰკვნესოდა. კვლავ გეკითხები მე შენ—რისთვის ჰკვნესოდა იგი?

— სახელითა რწმენისათა,—უპასუხა პაპუნამ და განაგრძო,—ხომ ყოფილხარ ეკლესიაში და მოგისმენია მღვდლის სიტყვები წირვის დაწყების წინ: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. აი ვისის სახელით იწყებს მღვდელი წირვას. ჩვენც უბრალო ადამიანებიც რაიმეს სახელით ვიწყებთ ხოლმე საქმეს. იმ შენი ზღაპრის ყმაწვილსაც ასე უქნია: ტიროდა სიყვარულზე გულ-დაწყვეტილი, სანატრელ სიცოცხლეს მოკლებული, რწმენის შურყევისთვის. ასე ვიყავით ჩვენც, მშრომელებიც: ვიტანჯებოდით სახელითა ბედნიერებისათა, სიკეთისათა, სათნოებისათა...

— შეუძლია კი უბედურს წარმოიდგინოს ბედნიერება? გააწყვეტინა გარინდებიდან გამოსულმა გაბომ.

— და მერე როგორ? ათას წილად უფრო უკეთ, ვიდრე თვით ბედნიერს.

— მაშ უბედურსაც შეუძლია ბედნიერის დახატვა,—წამოიძახა გაბომ და ელვის სისწრაფით მიაშურა სამწერლო მაგიდას. რამდენიმე წამის შემდეგ ის უკვე მღვდელთმოქმედებდა ხელოვნების საკურთხევლის წინაშე და პაპუნას სურათს აღტაცებით აქანდაკებდა მომხიბლავ სიტყვათა მძივებით.

გაბო სწერდა ახალ მოთხრობას, რომლის სათაური იყო: „ბედნიერი კაცი.“

1919 წ. აგვისტო

ს. ᲞᲐᲠᲗᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ

შავი ღრუბლებით ჩაწყვდიადებული და დამძიმებული ცა მრისხანეთ სქელდა, დრო-გამოშვებით ელვის ენები ცას თვალის მომჭრელი სინათლით სერავდა.

განრისხებული ცა ჩამოსაქცევათ ქუხდა, და მეხს მეხზე უგზავნიდა დედამიწას.

ცა-დედამიწა თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლოთ შებმულიყვნენ.

მიწა ირყეოდა და ცეცხლს აფრქვევდა მთის წვერვალებიდან; ხოლო ბუდიდგან ამოვარდნილი ზღვა თავ-დაუჭერლათ მიჰქროდა, ღელავდა, დაგორებულ ტალღებს ერთი მეორეს ახლიდა.

ქვეყანა განსაცდელს ელოდა; თითქოს მეორეთ მოსვლა იწყებოდა; ყველგან სისხლისა და ცრემლის ზღვები გუბდებოდა.

და აი ამ საზარელ ჭექა-ქუხილში, სისხლისა და ცრემლის ზღვაში დაავადებული და ცოდვით სავსე ძველი ქვეყანა ძრწოდა, სასოწარკვეთილი აქეთ-იქით აწყდებოდა.

დიდ ხანს, დიდ ხანს გაგრძელდა ეს ჯოჯოხეთი; ის შესწყდა მხოლოთ მაშინ, როდესაც ცა ცრემლათ, ხოლო დედა-მიწა სისხლათ დაიწურა; უმაგალითო წარღვნამ გადიღო მხოლოთ მაშინ, როდესაც გმირთა გმირმა ამირანმა ძველი ქვეყნის ყველა ჯაჭვები დალეწა, დაამსხვრია და მის ნანგრევებზე ახალი საუცხოვო და საოცნებო ქვეყანა ააგო; ცა დაცხრა, დედა-მიწა დაყუჩდა; ხმელეთთან ერთად ზღვაც დაწყნარდა და ახალ კალაპოტში ჩამდგარი სანეტაროთ აბიბინდა.

აღმოსავლეთით ირაჟრაჟა, მტრედის ფრათ ინათლა. შავი ღრუბლებიც გაცრიაქდნენ, დაიფლითნენ, დადნენ და ბითებს იქით გადიყარნენ.

ცისკიდური თანდათან ცეცხლით აინთო და ცა-დედამიწამ მიჯნურებსავით ერთმანეთს შეეღიმეს.

ცა გაიხსნა და აფერადებულ ქვეყანას ცისარტყელა საუცხოო გვირგვინათ თავს დაედგა.

არჩილ რუხაძე

ოგოლ საფლავთან

არც ძეგლი, არც ლოდი...

არც არვის ახსოვს ის...

მხოლოთ ერთი მანდილოსანი, შავი-ძაძებით მოსილი, მოდის ხანდისხან, მთელი საათობით აფრქვევს ცრემლს ობოლ საფლავთან, დაადებს მას გულზე ყვავილთა კონას და გულ ამოჩუყებული დაბრუნდება სახლისკენ.

შემოდგომის ფოთლები უხვათ სცვივიან ველურ ბალახით შემოსილ საფლავზე...

შემოდგომის ქარი არხევს გამხმარ ბალახთა ღერებს და ათამაშებს საფლავის თავზე მოგროვილ ფოთოლთა გროვას...

ხალხი მიდი-მოდის...

ის სადღაც მიეჩქარება...

ქალაქის გარეთ, გაშლილ მინდორზე თავისუფალი ერი ზეიმობს...

აქ კი, ამ ობოლ საფლავთან არვინ ჩერდება...

რამდენი ხანია, რაც ამ მიყრუებულ საფლავს მხოლოთ ქარი უმღერის ნანინას...

ჭოტი კი ღამით დასჭივის, თითქო სცდილობს დაუფრთხოს გმირს ძილი...

მაგრამ ძლიერი ძილით სძინავს შავს მიწას ქვეშ გმირსა...

ის ვერ გაახელს თვალებს და ვერ დაინახავს იმ უხვ-სხივ მზეს, რომელსაც ეტრფოდა ოდესღაც და შესწირა თავი...

სამშობლოს ტრაპეზზე ზვარაკათ მიტანილს მაგრათ სძინავს და მისი თვალი ვერ დაინახავს დამსხვრეულ ხუნდებს, თავისუფალ ხალხს, ბედნიერ ერს...

ხუნდებ-აყრილი ხალხი ზეიმობს, სიხარულით დამთვრალა...

ბედნიერების მზე თავს დასცქრიალებს ოცნებათა სამეფოში შეტყორცნილ ერს...

აქ კი, ამ მივარდნილ საფლავთან საშინელი სიცივეა დღესაც... გული იყინება, შავათ ითალხება...

მხოლოთ ერთი შავიანი ქალი ზოვა ხანდახან, ყვავილს დააყრის ობოლ საფლავს, ერთხელ კიდევ შეფიცავს, რომ მის მწარეთ დაკოდილ გულს ვერვინ

გაამრთელებს, ეამბორება შავ მიწას და თვალებ გაწითლებული წავა ისევ შინ, რომ იქ დაამთავროს დაღუპულ სიყვარულზე ტირილი...

შემოდგომის ცივი ქარი ჰქრის...

გაძარცულ ბალახთა ღერები ერთმანეთს ეკვრიან...

ჩაყვითლებულ ფოთოლთა გროვა შრიალებს, ფორიაქობს...

ობოლ საფლავს გულ-საკლავათ თავს დასტირის ცივი ქარი...

არე-მარე ყრუა...

გაქვავებულა მიდამო...

მხოლოთ ღაპა-ღუპით წამოსული ცრემლი ჰბანს საფლავს... სტირის დაობლებული გული დამჭკნარ სიყვარულს...

ჩადექი, ქარო, ნუ მძაფრობ!..

მზეო, შემოკარ სხივი ამ ცივ საფლავს... და ახარე მშვენიერი დღეები ჩამქრალ სიცოცხლეს...

ნუ სტირი, ქალო!..

ნუ აღრჩობ ცრემლთა ზღვაში გმირის გულს!..

მას არ უნდა ცრემლი... ის ბედნიერია, რომ ქვეყანას მოუტანა ნაყოფი... ცას მოსწყდა ვარსკვლავი, მაგრამ სხივი ჯერ კიდევ ჰკრთის...

და მჯერა ამ ობოლ საფლავს არ დაივიწყებს მადლიერი ერი...

ის მთვრალია ეხლა... სიხარულით თავბრუ ესხმის...

მაგრამ მოვა დრო, გაივლის ეს სიხარულის სტიქია, შეუდგება ერი მსხვერპლთა დათვლას და მოვა ამ ობოლ საფლავთანაც თაყვანსაცემათ და შესამკობათ.

ᲞᲠᲘᲐᲛᲘ

ტრ. რამიშვილი

სტუმარ-მასპინძლობა

კომედია სამ მოქმედებად

მეოთხე მოქმედება

იგივე დეკორაცია.

ნუცა (ფარდის ახდისას სასადილო მაგიდასთან დგას და სარძეგვედს ადუღებულ რძეს ჩაის ჭიქაში კადასხამს, ცოტას დაშაქრავს და კოვზითაც მოურევს).

მამიდა (კარადის მარცხენა კარებიდან საკარეოთ გამოწუობილი).

ნუცა თქვენ საით, მამიდა?

მამიდა თბილი ამინდია და მინდა გავისეირნო.

ნუცა ჩინებული აზრი მოგსვლიათ. რომ მეცალოს, მეც თან გამოგყვებოდით.

მამიდა დედა შენიც უნდა წამეყვანა, მაგრამ უარი მტკიცა.

ნუცა უმე, სად შეუძლიან, თავი მაღლა ვერ აუწევია.

მამიდა იჰ, აუწევია კი არა დაუწევია. (გესლიანად ხითხითებს) გენაცვალეთ, რა დრო დაგვიდგა. ვინ ისა და ვინ ასეთი სინაზე, შაკიკი კი არა, ლოგინში შავი ჭირიც ვერ ჩამაწვენს. რა უჭირს, ბედს შეჭყრია და სარგებლობს კიდეც. მე შენ გითხრა, სოფლის ცივი ქარი შეუზუზუნებს გვერდებში. ჰაი გიდი! ჰაი გიდი! რათა ღირს ეხლა მისთვის ერთი წათაქება.

ნუცა მამიდა, მამიდა, აბა რას ამბობთ! განა თქვენ კი გაკლებთ პატივის ცემას? ან და ავათ რომ გამიხდეთ, განა იმაზე ნაკლებ მოგივლით?

მამიდა არა გეწყინოს რა, შენ შემოგევლოს ჩემი თავი. სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვსთქვი, თორემ ისე ვინ აკადრებდა. მე მხოლოდ ვნანობ, რომ ღმერთმა ალექსისთანა კაცის სიდედრობა არ მაღირსა. აბა ეხლა ჩემი პატარა მოვნახო. ნეტა სად არის (ეძახის ხმამაღლა) ვანო, ბიჭო, ვანო!

არიმან (მოადგება მარჯვენა კარებს) მამიდა! მე ვმუშაობ და თუ შეიძლებოდეს ცოტა ხმა დაბლა ილაპარაკეთ (გადის).

მამიდა ჰმ! მოდი ეხლა და გულზე ნუ გასკდები.

ნუცა (ჩაიცინცინებს).

ᲛᲐᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲡᲐᲪ ᲠᲝ ᲛᲔᲫᲐᲮᲘᲡ. ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲨᲔᲜᲪ ᲨᲔᲒᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲘᲓᲐᲪᲐ, ᲨᲔ ᲞᲐᲛᲞᲣᲚᲐᲕ, ᲨᲔᲜᲐ. (ᲐᲯᲐᲒᲠᲔᲑᲡ) „ᲛᲔ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑ“. ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ! ᲜᲔᲢᲐ ᲠᲐᲡ ᲛᲘᲙᲔᲗᲔᲑᲡ. (ᲜᲣᲪᲐᲡ) ᲥᲐᲚᲝ! ᲔᲡ ᲕᲘᲜ ᲝᲮᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲘᲧᲕᲐᲜᲘᲐᲗ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ᲕᲘᲜᲐᲐ, ᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐ! ᲙᲐᲪᲡ ᲛᲐᲘᲜᲪᲐ ᲰᲒᲐᲕᲓᲔᲡ. ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲗᲣᲐ, ᲙᲣᲓᲘ ᲠᲐ ᲣᲧᲝ?

ᲜᲣᲪᲐ (ᲪᲘᲡᲘᲜᲘᲡ) ᲐᲮ, ᲛᲐᲛᲘᲓᲐ ᲜᲣ ᲛᲝᲛᲙᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲗ.

ᲛᲐᲛᲘᲓᲐ ᲣᲘ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲝ, ᲨᲔᲜ ᲡᲣᲚ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲮᲐᲠ. ᲡᲮᲕᲘᲡᲐ ᲰᲘᲠᲘ ᲦᲝᲑᲔᲡ ᲩᲮᲘᲠᲘᲝ, ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ. ᲐᲠᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲛᲔᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲠᲐᲦᲐᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲣᲢᲘᲤᲐᲠᲘ ᲮᲕᲐᲚᲕᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲒᲓᲔᲑᲘᲜᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ. (ᲥᲘᲡᲘᲡ) ᲕᲐᲜᲝ, ᲕᲐᲜᲝ! (ᲘᲡᲛᲘᲡ ᲕᲐᲜᲝᲡ ᲮᲛᲐ: ᲐᲥᲐ ᲕᲐᲠ, ᲐᲥᲐ! ᲒᲐᲓᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ).

ᲛᲐᲛᲘᲓᲐ ᲐᲥ ᲛᲝ ᲨᲔ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲔ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲐᲧᲕᲘᲠᲝ. (ᲛᲘᲣᲤᲐᲠᲔᲑᲐ).

ᲜᲣᲪᲐ (ᲠᲝᲯᲐᲚᲡ ᲒᲐᲐᲤᲝᲚᲔᲑᲡ) ᲐᲮ, ᲛᲝᲮᲣᲪᲝ, ᲠᲐ ᲫᲕᲘᲠᲐᲗ ᲛᲘᲖᲘᲡ ᲛᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲐᲥ ᲧᲝᲤᲜᲐ. (ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲘᲥᲘᲗ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ).

ᲐᲚᲔᲥ. (ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲥᲣᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲐᲚᲢᲝᲡ ᲘᲥᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲔᲑᲘᲡ. ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲣᲙᲐᲙᲣᲜᲔᲑᲘ) ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲐᲠᲘᲛᲐᲜ, ᲒᲪᲐᲚᲘᲐᲜᲗ?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ᲐᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ! ᲛᲪᲐᲚᲘᲐᲜ, ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲪᲐᲚᲘᲐᲜ. ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲗ?

ᲐᲚᲔᲥ. (ᲐᲛᲝᲯᲓᲔᲑᲡ ᲯᲘᲑᲘᲓᲒᲐᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲣᲠᲯ ᲨᲣᲨᲐᲡ) ᲘᲜᲔᲑᲔᲗ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ (ᲣᲩᲕᲠᲔᲢᲡ ᲨᲣᲨᲐᲡ) ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲕᲐᲨᲐ! ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲗ. (ᲣᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲓᲔᲑᲡ) ᲛᲔᲠᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲣᲗᲣᲫᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲕᲡᲘᲜᲯᲐᲕ.

ᲜᲣᲪᲐ (ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ) ᲫᲚᲘᲔᲡ, ᲐᲑᲐ ᲩᲔᲛᲝ ᲮᲐᲖᲘᲜᲐᲓᲐᲠᲝ, ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲯᲔ ᲤᲣᲚᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲚᲔᲥ. ᲤᲣᲚᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲚᲔᲑᲘ! (ᲐᲠᲘᲛᲐᲜᲡ) ᲐᲘ ᲕᲘᲜᲐᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲯᲘᲑᲘᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲘ.

ᲜᲣᲪᲐ ᲛᲐᲨ ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲝ. ᲐᲛᲓᲔᲜ ᲡᲣᲚᲡ ᲭᲐᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ!

ᲐᲚᲔᲥ. (ᲐᲠᲘᲛᲐᲜᲡ) ᲬᲣᲮᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲘᲯᲓᲐ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ᲘᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲮᲐᲠᲗ.

ᲐᲚᲔᲥ. (ᲜᲣᲪᲐᲡ) ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲒᲔᲧᲝᲤᲐ?

ᲜᲣᲪᲐ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ, ᲔᲥᲕᲡᲐᲡᲘ, ᲗᲣᲜᲓ ᲐᲗᲐᲡᲘ.

ᲐᲚᲔᲥ. ᲐᲰᲐ, ᲯᲐᲜᲘ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲐ, ᲓᲔᲔ ᲘᲧᲝᲡ ᲔᲥᲕᲡᲐᲡᲘ, (ᲫᲚᲔᲕᲡ) ᲰᲝ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲦᲕᲘᲜᲝ ᲕᲘᲧᲘᲓᲔ, ᲡᲐᲪᲐᲐ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲗ.

ᲜᲣᲪᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ. (ᲒᲐᲓᲘᲡ)

ᲐᲚᲔᲥ. ᲔᲮ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲔᲠᲗᲡ ᲒᲐᲣᲫᲚᲝᲡ ᲙᲐᲪᲛᲐ. ᲐᲛ ᲑᲣᲡᲮᲠᲘᲙᲘᲫᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲣᲮᲔᲠᲮᲝ. ᲬᲔᲚᲐᲜ ᲕᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡᲔ ᲐᲓᲔᲕᲘᲚᲘᲐ. „ᲣᲗᲣᲗᲝᲗ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲐᲧᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲐᲪ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲘᲩᲘᲜᲝᲕᲝ“.

არიმან ვაი ჩვენი მილიციის ბრალი!

ალექ. ჩავაყენო, ვაი თუ შემარცხვინოს, არა და ვაი თუ მდრინგოს.

არიმან ეს მოსაზრება ჭკვასთან ახლოა.

ალექ. თქვენ ამბობთ ავაზაკიაო?

არიმან დიახ, დიახ. თქვენ ამაში ერთი საათის შემდეგ დარწმუნდებით.

ალექ. აბა როგორ?

არიმან ყური მიგდეთ! გეგმა უკვე შეეიმუშავე, თანაშემწეთ ავირჩიე თქვენი მეუღლის დეიდის ქმარი ნიკიფორე ატაკუტა.

ალექ. ბიჭოს, ბიჭოს! მერე?

არიმან ის იმას ჩემით დააინტერესებს როგორც კაპიტალისტით, ძალით შემომეეჭრება ოთახში, ჩემს ძირგაფხეკილ პორტფელს გაიტაცებს და დაჭერის შიშით სულ მიატოვებს ამ არე-მარეს.

ალექ. შენი ჭირიმე, შენი, თუ ეს მოხდა, ძეგლს დაგიდგამ ძეგლს. (გაივლგამოიცლის და ფანჯრებს დაატეხდება. თებრის დაურეკს).

თებრო (გამოჩნდება შუა კარებში).

ალექ. თებრო ჩემო! თუ გცალია ამ ფანჯრებს სველი ტილო წაუსვი, ძალზე გაჭუჭყიანებულია.

თებრო ამ საათში. (გადის).

ალექ. (არიმანს) უკაცრავად, ეხლა ცოტა ხნით ოჯახს მივხედავ.

არიმან მიბრძანდით, ბატონო.

ალექ. თქვენ შინ იქნებით?

არიმან არა. მინდა ცოტა ხნით გავისეირნო.

ალექ. არ წააგებთ, საარაკოთ თბილა.

არიმან მაშ ღეიდან ვიწყებთ.

ალექ. როგორც გენებოთ. ჩემი ბედი თქვენ ხელშია. (შედის მარცხნივ).

არიმან (შედის მარჯვნივ).

თებრო (შემოდის შუა კარებიდან ბატარა ტაშტით და სველი ტილოთი და შეუდგება მუშაობას).

არიმან (გამოდის ბალტო ჩაცმული, ქუდით ხელში და გადის შუა კარებში).

თებრო (ღიდინებს).

ნიკიფ. (მცირე ბაუზის შემდეგ შემოდის ფეხ-აკრეფით) აი თურმე სად ყოფილა.

თებრო (შეკრთება) ვუი! (ერთს უკმაოფილოდ მიჭხედავს ნიკიფორეს და განაგრძობს მუშაობას).

ნიკიფ. ნუ გეშინია, ჩემო კუდრაქავ, ეს მე ვარ, შენი ნიკიფორე.

თებრო (ტუჩაბზეკით) „შენი ნიკიფორე“. ვინ მოგახსენათ?

ნიკიფ. თავი, რომ ქვას ახალო, მაინც შენი ვარ. მერწმუნე იადონო, რომ ქალაქში მხოლოდ შენთვის ჩამოვდივარ. „გურიაში რა მინდოდა შენ, რომ არ მეგულებოდე“-ო იტყვიან ამისთანა შემთხვევაზე. ფანჯრებს ასუფთავებ? აი ვინც ეს ქარი გააჩინა. კიდევ კარგი, რომ ჩადგა თორემ აღარ ვიცოდი, რა მექნა.

თებრო. თავი დამანებე, რა კუდში დამდევ.

ნიკიფ. გამიგონე, ნამუაღამევს, როცა ყველას მიეძინოს, აიღე და შემომისრიალდი ვანის ოთახში, თბილა, როგორც აბანოში. ხომ იცი, იქა მძინავს.

თებრო. ფუჰ! უნამუსო!

ნიკიფ. თავს ნუ იკატუნებ, ჩემო შუქურავ, ხომ ხედავ, ხუთი წლის ნაქვრივალი ვეღარ ეტევი თავის კანში. ჩემი ცეცხლი კი სულ სხვა გუნებაზე დაგაყენებს.

თებრო. ანგარიში შეგშლია, შენი ამყოლი სხვაგან ეძიე.

ნიკიფ. სიკაპასე, რომ ქალს ასე შვენოდეს, შენს მეტი არ მინახავს ჯერ. ორში ერთი: ანუ მომეც განკურნება, ანუ მიწა მე სამარე.

თებრო. განკურნებისა რა მოგახსენო, და სამარეში კი დიდის სიამოვნებით ჩაგიძახებდი.

ნიკიფ. (უეცრივ ჯოცებს).
(ალექსის ხმა: თებრო, თებრო)!

ნიკიფ. ფუჰ! რა დროს შემაწყვეტინა ამ ულმერთომ. (თებროს) თებრო, სულის დგმავ, თუ ხათრი გაქვს ნუ ამიტეხ დავიდარაბას. გექნა მადლი, გიჩვენებდი ჩემ ბიჭობას. არ ინებე, გზა მშვიდობისა. (მიეჯ მარცხნივ და ალექსის გასძახებს). ალექსი! თებროს თუ ეძებ, აქაა. (კარის შუა კარებში).

თებრო. საძაგელი, უნამუსო, გაფუჭებული!

ალეკ. რა იყო, თებრო, ვის უკურთხებ ასე მაგრად?

თებრო. ბატონო, შენი ჭირიმე, დამიფარე?

ალეკ. რას ამბობ, ვისგან დაგიფარო?

თებრო. ის თქვენი მოყვარე არ მასვენებს.

ალეკ. რომელი მოყვარე?

თებრო. ნიკიფორე—მიწა გასახეთქი.

ალეკ. ნიკიფორე, ჩემი ნიკიფორე? რა მინდაო?

თებრო. მეარშიყება.

ალეკ. ეს მისი ხელობაა, მერე?

თებრო. წუხელ კინაღამ ძალით შემათრია ვანის ოთახში, ახლა კი მაკოცა.

ალეკ. ღმერთო, მომკალი! დაიცა, მაგ საქმეს სასტიკად გამოვიძიებ. ნუცას არა უთხრა რა, თუ ხათრი გაქვს. თუ საჭირო იქნება, მე თითონ ვეტყვი, გესმის? თორემ ხომ იცი...

თებრო. მესმის, ბატონო.

ალეკ. ცოლა წადი, მაგრამ არა, ჯერ აქ დაიცა! (შეადგებს შუა კარებს) ნიკიფორე! ნიკიფორე!

(ნიკიფორეს ხმა) ბატონო!

ალეკ. აქ მო ერთს წუთს.

ნიკიფ. რას მიბრძანებს ბატონიშვილი?

ალეკ. კაცო, ეს რა ჩაგიდენია. შენ, რომ არშიყი ხარ, ეს ყველამ იცის, მაგრამ მეც თუ გამიმეტებდი, არ მეგონა სწორედ.

ნიკიფ. (მხრების ჩეჩვა) რას ამბობ, არა მესმის რა. ისე გამოდის, თითქოს ჩემ შენ გეარშიყებოდე, ღმერთი გამიწყრეს, თუ ოდესმე ასეთი ბოროტი ფიქრი გუნებაში გამეტარებინოს.

ალეკ. მოიცა, ნუ იცი სიტყვის ბანზე აგდება. საქმე მე კი არ შემეხება, არამედ ამ ჩემ თებროს, რომელსაც არ ასვენებ თურმე.

ნიკიფ. (თებროს მიხედავს) ხომ არ შეიშალე ქედაკაცო?

თებრო. აბა თუ გამოტყდეს.

ნიკიფ. ადამიანო, თუ მხარი გექცა, პირჯვარი გამოისახე.

თებრო. აბა თუ წამწამი შეახამხამოს ამ უსვინდისომ. (ალექსის) ბატონო, ეს კაცი ქვეყნის დამქცევია.

ნიკიფ. ცილის წამება არ იყოს, თორემ შეიძლება აქ დღეს თოფიც გავარდეს.

ალეკ. იცი რა, ნიკიფორე.

ნიკიფ. (შეაწუვეტინებს) მოიცა, შენ გენაცვალე, ჯერ მე მათქმევინე: ათას ხატზე დავიფიცავ, რომ მაგის თავს რაღაცა მარცხია; რაკი იცის, რომ მე ხანდახან ხუმრობით წაარშიყება მიყვარს, ღნდა ისარგებლოს და ჩემი ხარჯით თვისი ცოდვები ჩაფარცხოს. ვაი შენს ტყავს, ვაი შენს ტყავს.

თებრო. ფუჰ! შეგირცხვეს კაცობა.

ნიკიფ. არა რა ქალის უნახავი მე მნახა ამ ოჯახ ქორმა, ვინც ააბვინტრიცა პასუხიც იმას მოკითხოს.

ალეკ. წადი ჩემო თებრო, მე თუ ცოცხალი გეყოლები ვერავინ ვერას დაგაკლებს.

თებრო. (გადის სველი ტილოთი და ტაშტით).

ნიკიფ. მაშ შენ ჩემი არა გჯერა რა?

ალეკ. ამ საქმეში არა. ნიკიფორე, ყველაფერს გაპატიებ ოღონდ გამოტყდი.

ᲜᲘᲙᲘᲤ. შეჩვენებული ვიყო, თუ ამ საქმის რამე ვიცოდე. გუშინ ვანას, რომ ახუ-
რებდა, ისე, ჩემთვის წამოვიძახე: ვაი სულო რა კაი იქნება ამაში ჩაგო-
რება მეთქი და უცაბედათ გევეხლახუნე. ამაზე ატყდა, ბატონო, და კი-
ნალამ ჯვარს მაცვა. რაკი შენ ვანა ახსენე და თანაც გემეხლახუნე, ალ-
ბათ მეც შიგ მეპატიჟებიო და ვინ იცის, რეები არ მაკადრა.

ᲐᲚᲔᲥ. ხა, ხა, ხა! აბა როგორ გაგიჯავრდე, შე წყეულო, როცა ტყუილებ-
შიც ასე საინტერესო ხარ! მართლა, ხუმრობა იქით და შენის მიზეზით,
რომ მე თებრო გამექცეს, იცოდე, მოუკლავი არ გადამირჩები.

ᲜᲘᲙᲘᲤ. ჯვარი სწერია, ბატონო, უკუნითი უკუნისამდე.

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ ალექსი, მინდა ცალკე მოგელაპარაკო.

ᲜᲘᲙᲘᲤ. მე ხომ არ დაგიშლით?

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ ძალიან დამიშლით.

ᲜᲘᲙᲘᲤ. უკაცრავად. (გადის შუა-კარებში).

ᲐᲚᲔᲥ. აბა?

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ უწინარეს ყოვლისა არ შემიძლიან არ გამოვსთქვა ჩემი აღშფოთება
ამ შენი სტუმრების საქციელის გამო.

ᲐᲚᲔᲥ. როგორ?

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ ლამის დაგაქციონ, ძმაო. მაგათ შენახვას ამ ძვირობაში განა ცოტა
უნდა?

ᲐᲚᲔᲥ. გმადლობ, ჩემო ბიქტორ. შენც, რომ არა მყვანდე ჩემს ახლოს, გავ-
გიჟდებოდი სწორეთ. აბა რა უნდა გეთქვა?

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ იცი, ალექსი, უნდა გამირკვიო ერთი ფრიად სერიოზული საკითხი.

ᲐᲚᲔᲥ. სთქვი.

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ ალბათ შენც იცი, რომ სადღაც შორეულ სოფელში არის კაცი, რო-
მელიც მე შვილს მეძახის.

ᲐᲚᲔᲥ. ის მამაშენია, მერე?

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ აი ის ამ ჟამათ მძიმე ავათმყოფია თურმე და შემოუთვლია, უთუოთ
მნახეო.

ᲐᲚᲔᲥ. ბიჭოს, ამას რა დიდი ფიქრი სჭირია. შემოუთვლია და წადი.

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ აი სწორედ აქა მჭირია შენი ავტორიტეტული რჩევა. ღირს კი, რომ
წავიდე?

ᲐᲚᲔᲥ. როგორ თუ ღირს?

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ რამდენად შემეფერება მე—სოციალისტს ასეთი ჩამოქვეითება, ასეთი გა-
მეშჩანება:

ᲐᲚᲔᲥ. (განზე) რა ეშველება ამდენ გადარეულს! (იმას) წადი, უთუოდ წადი.

ბიჭტორ. რატომ, რისთვის, რა დამსახურებისათვის? იმიტომ ხომ არა, რომ ოდესღაც პირადი სიამოვნების ჟამს თავისდაუნებურად გამაჩინა, მერე აიღო და მიმცა სატანჯველად ცხოვრების მღელვარე ტალღებს.

ალეკ. უთუოდ უნდა ინახულო, ნუ დაივიწყებ, რომ იმან მოგანიჭა უუდიდესი საუნჯე „სიცოცხლე“.

ბიჭტორ. ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

ალეკ. დიახ!

ბიჭტორ. ჰმ! შენ მართალი ხარ როგორც ყოველთვის. მივდივარ.

ალეკ. წადი, დღესვე წადი. (განზე) იქნებ მომხედოს ღმერთმა და მართლა წავიდეს.

ბიჭტორ. ეხლა მინდა გავიგო, რამდენად მსუქანია (თითებს ასთამაშებს) შენი ქისა.

ალეკ. ბიჭოს, ჩემი ქისა რა შუაშია.

ბიჭტორ. ამისათვის საჭიროა ორმოციოდე თუმანი და შენი სერთუკი.

ალეკ (განზე) ვაიმე ჩემო სერთუკო! (ბოლს) იცი, ბიჭტორ, როგორცა ვხედავ, ჩვენ ერთი-მეორეზედ ძალიან დიდი გავლენა გვაქვს.

ბიჭტორ. როგორ?

ალეკ. ეხლა მეც შემეცვალა აზრი. წასვლა თუმც გირჩიე, მაგრამ, წარმოიდგინე, წაუსვლელობითაც არა დაშავდების რა. შენი მაღალი, ზეკაცური აზრები, 'შენი ფილოსოფია მუდამ მხიბლავდა თვისი სიმკვეთრით.

ბიჭტორ. მაშ ნუ წავალ?

ალეკ. (მოუჭრის) არავითარ შემთხვევაში.

ბიჭტორ. (თავის ქნევით) ჰმ! „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“-ო, გვასწავლის მეცნიერება და მართალი ყოფილა.

ალეკ. როგორ?

ბიჭტორ. შენ ჩემო კარგო, ამ ბოლო დროს სულ სხვა ჰანგებზე იწყებ ჭიკჭიკს. გუშინ თითქოს დემოკრატობდი, მაგრამ დღეს აიშენე ეს სახლი და გახდი ვაჭარი. აფსუს!

ალეკ. მაგაზე შემდეგ, ჩემო ბიჭტორ, შემდეგ.

ბიჭტორ. თავის დროზე შენს ფიზიონომიასაც საჯაროთ აეხდება ფარდა და ვაი თუ ინანო.

არიმან (რომელსაც შემოჭვევება ბეჟიკო, შუა კარებიდგან). ვაშა, ალექსი, ვაშა!

ალეკ. ოჰო, ჩხირი კედელს. (ხელს უჭერს მაგრად).

ბეჟიკო. მოიცა, კაცო, ნუ მომტეხე ხელი.

არიმან (ალექსის სმა დაბდა) თქვენი გარდაქმნის პროცესი უკვე დაიწყო.

ალეკ. (ბეჟიკოს მუხლზე დაჭერავს ხელს) ახ, შე მოუსვენარო, შენა.

ბეუიკო (შეხტება) თავი დამანებე. თუ ძმა ხარ.

არიმან (ჩაავლებს ბიქტორს ხელს) ბატონო ბიქტორ, მიეცით ბეუიკოს ხელი, ამასთან ჩხუბი არ გამოგადგებათ, ხომ იცით რა გესლიანი ხალხია ეს იუმორისტები.

ბეუიკო (ხელს გაუწვდის ბიქტორს) გამარჯობა, ფხუკიანო.

ბიქტორ (ტიკად) გაგიმარჯოს. (ხელს ართმევს).

არიმან აი ასე.

ალექ. (ბეუიკოს) აბა წავიდეთ ნუცასთან. ვიცი, იამება შენი ნახვა. (უეცრივ) ბიკო, შე რჯულ ძაღლო, შალვარი ხომ არა გაქვს უკან გახეული, რა სულ ხელს იფარებ.

ბეუიკო მართალი ხარ, მაგრამ ამ შემთხვევაში საბოდიშოც არა მაქვს რა, ვინაიდან ბედის წიგნში მუდამ მოკლე და უკან გახეული შალვარი მიწერია.

ალექ. გასწი, შე ჩათლახო, გასწი ჩქარა, დავაკერო.

ბეუიკო ეს რას მიშველის, როცა მთელი ჩემი ცხოვრებაც დასაკერებელია.

ალექ. გასწი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, (არიმანს) ნებას გვიბოძებთ, თქვენს ოთახში...

არიმან დიდი სიამოვნებით.

ალექ. და ბეუ. (შედიან მარჯვნივ).

არიმან (ბიქტორს) ძლივს მარტო დავრჩით.

ბიქტორ აი მეც წავალ და მაშინ სულ მარტო დარჩებით.

არიმან უნდა მიმატოვოთ? საწყენია. მე კი თქვენზე ხშირად ვფიქრობ.

ბიქტორ ვერ გამიგია, თქვენ ჩემზე რისთვის უნდა ფიქრობდეთ, მმართებს რამე?

არიმან ვერც მე გამიგია, ბატონო ბიქტორ, რად ამითვალწუნეთ და ყოველ შეხვედრისას რად მიბრიალებთ თვალებს. ღმერთია მოწამე, კარგის მეტი არა მსურს რა.

ბიქტორ არა მგონია ვისთვისმე თქვენ კარგი ისურვოთ.

არიმან თქვენ ასე ფიქრობთ! ხა, ხა, ხა, ხა! რა შეცდომაა. კარგი, დეე ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში... (უეცრივ) ეხ, გადავდოთ ეს უაზრო კამათი და გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე!

ბიქტორ რა საქმეზე?

არიმან (საიდუმლოდ) დღეს სადილზე შეამჩნიეთ, როგორ მოგჩერებოდათ ოთარის ეშხიანი ცოლი?

ბიქტორ (მიხედავს) არა.

არიმან მე ნამდვილათ ვიცი, რომ იმას თქვენ მოსწონხართ.

ბიჭტორ (ეურებს აცქვეტს და სახეზედაც დიმი გადურბენს) ჰმ. თქვენ ამბობთ—ნამდვილადო?

არიმან დიახ, და მანამ დრო გაქვთ ეშურეთ. იმისი ჟუჟუნა თვალები და იაგუნდის ტუჩები ელიან პასუხს. დამსახურებული კაცი ხართ და აი განგებაც გიმზადებთ ქალის სახით იშვიათ ჯილდოს, მართლა, ხომ თავისუფალი ხართ?

ბიჭტორ სრულიად. ჩემი გული მუდამ თავისუფალი იყო.

არიმან როგორ?.. დავიჯერო, ჯერ სატრფო არა გყოლიათ?

ბიჭტორ საყვარლები ბლომად, სატრფო კი არც ერთი.

არიმან როგორ მოხდა ეს?

ბიჭტორ ამისთვის მე დრო არა მქონდა, რადგან უფრო დიდ საქმეს ვემსახურებოდი. ისე კი ბევრი ამიწრიპინებია. უფრო მეტს გეტყვით. უცხოეთში ყოფნისას მქონდა შემთხვევა, ვყოფილიყავ სატრფო ლინა კავალიერისა, მაგრამ ჩემს იდეას ისიც ვანაცვალე.

არიმან ოჰო! მართლა, თუ არა ვსცდები, მე თქვენ ერთხელ იტალიის რომელიღაც ქალაქში განახეთ: ვგონებ, ფლორენციაში.

ბიჭტორ შეიძლება, შეიძლება (კაიყდ-გამოიგლის თავმომწონედ).

არიმან (კარზე) ისემც ღმერთი შენ აგაშენებს, რაც ეს მართალი არ იყოს. (იმას) აჰა ისიც! ღმერთო ჩემო, როგორ მოგჩერებიათ. აბა, გაიხედეთ მარცხნივ. კარებთანაა მომდგარი.

ბიჭტორ (გეზად გახედავს) დიახ, დიახ!

არიმან მოდი ერთი ესეც ავაწრიპინოთ. აჰა, შემოგვანათა და გაჰქრა. (ხელით შეეხება).

ბიჭტორ (კაკურჟოლებს) აი!

არიმან რა მოხდა!

ბიჭტორ თქვენმა შეხებამ რაღაც ჟრუანტელი მომგვარა.

არიმან ბიჭტორ ბუყიაშვილო! გადაჭრით მითხარით, მოვკიდო მაგ საქმეს ხელი, თუ არა.

ბიჭტორ მოჰკიდეთ, რაც გახდეს, გახდეს!

არიმან მოიტათ ხელი.

ბიჭტორ (აძლევს) ინებეთ.

არიმან ახლა ენას მაგარი კლიტე. ძლიერ მალე ის თქვენი იქნება.

ბიჭტორ (კშაუოფიდებით ხელებს ისრესავს) აბა, აბა! ტომბახი ჩემზე იყოს.
(შემოდიან შუა კარებიდან ალექსი და ბეჟიკო).

ალეკ. (შემოიდაპარაკებს) ასე არა სჯობს: აბა ნახეთ, ბატონებო (იმას) მიბრუნდი

ახალში ვერ გაარჩევთ. დავაკერე და ბენზინითაც გავუწმ ნდე. აი ეხლა კი დიემზგავსე ადამიანს, თორემ რასა ჰგავს: ცნობილი მწერალი და შალვარ-გამოგლეჯილი! (კიდეგ უჩვენებს არამანს და ბიქტორს) როგორია?

ᲑᲔᲣᲘᲙᲝ (არამანს) მე რომ ამისი ამბავი ვიცი, თუ სადმე არ დავიმალე, ამიკლებს ტრაბახით.

ᲐᲚᲔᲥ. აბა ერთი ნახეთ როგორია და! (ბეუიკოს) მიბრუნდი!

ᲜᲘᲙᲘᲤ. (შემოდის შუა კარებიდგან) მშვიდობა აქა! (ალექსი და არამან იმის დანახვისას ერთის გუდიანსთ ჩაიკისკისებენ).

ᲜᲘᲙᲘᲤ. ნეტა რა ვსთქვი ისეთი რომ...

ᲐᲚᲔᲥ. აქ მო, ვინ გაგაცინო.

ᲜᲘᲙᲘᲤ. (ბეუიკოს) ბიჭო, შენი ჭირიმე! (გაშლის ხელებს გადასახვევათ).

ᲐᲚᲔᲥ. (შეაჩერებს) ტსს! არც ეს ნომერი გავა.

ᲜᲘᲙᲘᲤ. კაცო, ეს ხომ ჩვენი ბუჭაა, დრანანა ბუჭა.

ᲐᲚᲔᲥ. რამ გაგაფუჭა. დავუმატებ მე. დრანანა კი არა, ის არ გინდა. გაიცანი ჩვენი ცნობილი მწერალი ბეჟან გიდელაძე. (ბეუიკოს ნიკიფორეზე) ჩემი ნუცას დეიდის ქმარი, ცნობილი ასკეტი ნიკიფორე ატაკუტა.

ᲑᲔᲣᲘᲙᲝ. რაო, ატაკუტაო?

ᲐᲚᲔᲥ. მერე რა, რომ ატაკუტა?

ᲑᲔᲣᲘᲙᲝ. ღმერთო ჩემო, რა ჭრელია ჩვენი ქვეყანა. კაცო, ატაკუტა ხომ იაპონური გვარია.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ. მოპარული თუა.

ᲜᲘᲙᲘᲤ. აი ხათაბელა! როგორ წარმოვიდგენდი, თუ ჩემ საწყალ გვარზე ამდენი შფოთი ატყდებოდა. (ბეუიკოს) თქვენი გვარი ბატონო სჩანს გიდელისაგან წარმოსდგება.

ᲑᲔᲣᲘᲙᲝ. ალბათ.

ᲜᲘᲙᲘᲤ. რა მიზეზია ბატონო, გიდელის ხსენებაზე, რომ კაცს ყურძენი აგონდება მუდამ?

ᲑᲔᲣᲘᲙᲝ. მიზეზი (თავზე უჩვენებს) ამ საოცარ აპარატშია. მე, მაგალითად, ქუდი თავს მაგონებს, ჩექმები კი ფეხებს.

ᲜᲘᲙᲘᲤ. რას მეუბნებით! რა არის ნასწავლი კაცი! (ეგვლანი იცინიან). ხუმრობა იქით და ძაღლს, რომ გიდელში ყველი და მჭადი შეუგდო, იმ წუთშივე თავს შეჰყოფს შიგ.

ᲑᲔᲣᲘᲙᲝ. კარგათაც იზამს. ამ შემთხვევაში მეც ასე მოვიქცეოდი.

ᲐᲚᲔᲥ. სთქვა რუქამ არაკი, მერე რა რომ შეჰყოფს?

ნიკიფ. საქმეც იმაშია, რომ შეჰყოფს და ველარ კი გამოჰყოფს. მერე მიადექი და უთაქე რამდენიც გენებოს. მოჰკურცხლავს კვილ-კვილით თავზე. გიდელ წამოხურული და უნდა ნახო ბავშვების მხიარული ზღრიალი.

არიმანი (ჯიბრისებით უმსჯინძდება ყველას) ბატონებო! ბეჟიკო ახალ ამბავს გეტყვით.

ალეკ. და ნიკ. აბა, აბა!

ბეჟიკო ამბობენ, კომუნისტები მალე ქალების სოციალიზაციას მოახდენენო.

ალეკ. მართლა?! ვენაცვალე ბიჭებს, ასწორებენ მთა და ბარს. (ნიკიფორეს) შენ რას იტყვი ამაზე?

ნიკიფ. მტკივანი ადგილის მიგნება ქვით უკეთესი.

(ყველანი იცინიან).

ნიკიფ. ვინა ხართ ქრისტიანი, მოდით ურჩიეთ ამ ჩვენს მთავრობას, ამაში მაინც მიბაძოს იმ მადლიანებს.

(ყველანი იცინიან).

ნიკიფ. მე შენ გეუბნები, ალექსი, რომ რესპუბლიკის გამაგრებას სხვა არა უნდა რა. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ეს კომუნისტები დიდი რეშიტელნი ხალხი ყოფილა. თუ რამე აიჩემეს, მორჩა. უბრძანებენ, მაგალითად, ამ ჩვენს ტკვარს: ბ-ნო ჩემო! თუ შეიძლებოდეს, ცოტა ხნით ფოთისკენ ჩაუხვიეო, ბიჭია და ნუ აასრულებს.

ბეჟიკო (ნიკიფორეზე ალექსის) აკი ესკეტიაო?

ნიკიფ. ამიხსენით ბატონო რას ნიშნავს ეს თქვენი ასი კეტი? თუ ჩემი გალახვა გინდათ, ასი კი არა, ერთიც, რომ ჩამცხოთ ისიც კმარა.

(შემოდიან მარცხენა კარებიდან ნუცა, დარო და ოთარი).

ნუცა (შემოსვლისას) აჰა, ყველანი აქა ყოფილან, ბეჟიკოც, აი ყოჩაღ! (ხელს გაუწოდებს, ისიც ეამბორება).

ალეკ. ჰო, ეხლა რაკი დაიწყო, იმედია ხშირად გვინახულებს. ბეჟიკო! აბა მოდი, ვინ გაგაცნო, ჩემი ნათლია, პატივცემული ოთარ გობრონიძე, ნათლი-ჯალაბი დარია გობრონიძისა; (ბეჟიკოზე) ჩვენი ცნობილი მწერალი იუმორისტი ბეჟან გიდელაძე. აბა დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე, დაბრძანდით. (სხდებიან დარო და ნუცა ერთად. არიმანი ბეჟიკოსთან, ნიკიფორე ბუხართან დგას, ალექსი კი ოთარის შორი-ახლო).

ალეკ. (ნიკიფორეს) ნიკიფორე! ნუ გინდა პატიჟი. აგერ სკამი და დაჯექი.

ნიკიფ. ნუ სწუხდებით, არა მიშავს რა.

ალეკ. (ოთარს და დარეს) წელან რუსთაველის ქუჩაზე დაგინახეთ, მტრედებივით მიღუღუნებდით.

ოთარ (თავისთვის) კიდევ დაიწყო.

დარო მართლა? მერე და რატომ ჩვენთან არ მოხვედით!

ალეკ. არ მეცალა, აფთიაქში მიმეჩქარებოდა. სხვა, ხვალ ხომ მივდივართ ქართულ ოპერაში?

დარო უთუოდ, ვერ წარმოიდგენთ, რა გულის ფანცქალით მოველი ხვალინდელ დღეს.

ალეკ. მჯერა, მჯერა. თქვენ ხომ მუსიკის იშვიათი მოტრფიალე ხართ. ჰხედავთ, რა მალე მოგვიტანა თავისუფლებამ ეროვნული ოპერა.

ოთარ (უეცრივ) ჰო, მართლა, ნიკიფორე, წელან თითქოს რაღაც საინტერესო უნდა გეთქვა და შეგაწყვეტინეს.

ნიკიფ. შენი მეხსიერების ჭირიმე, შენი.

ოთარ ჰო, ჰო, ჰო! კარგია ერთი მამა გიცხონდა. აბა?

ნიკიფ. ერთი რამე მაწუხებს, დიდო ბატონო, და თუ არ გამირკვიეთ, უთუოდ დავქლეკდები.

ოთარ ხა, ხა, ხა! ბატონებო! განა თქვენ წარმოგიდგენიათ ასეთი კაცის დაქლეკება? მაინც რაშია საქმე?

ნიკიფ. გუშინ მატარებელში ის თქვენთან მობაასე უცნობი ხშირად ერთსა და იმავეს იმეორებდა.

ოთარ მაგალითად?

ნიკიფ. „ას ოცი ასიაო“ თქვენ კი თანხმობის ნიშნად სულ თავს უქნევდით, თითქოს ას ოცი მართლა ასი იყოს.

ოთარ ხა, ხა, ხა! შე სულელო, ის კაცი ასოციაციას ამბობდა და არა ას ოცი ასიას, როგორც შენ მოგჩვენებია.

(ფეელანი იცინიან).

ნიკიფ. ფუჰ, ჩაიცეს უსწავლელი კაცის ამ ქვეყნიური ჩანჩალი. (მოუჯდება არმანს და ბეჟეოს).

ალეკ. (ოთარს) აბა, ნათლი, ახლა თქვენ ჩამაბარეთ ანგარიში, იყავით ექიმთან?

ოთარ ვიყავი და ერთი თვით უკვე დამაბა.

ალეკ. (განზე) ოი, ეშმაკმა დააბას ის ჩემი ცოდვით სავსე. (იმას) გეთანხმებით სრულიად. მაგ საქმეში ისინი მეტად ყოჩაღი ბიჭები არიან. რაო, რა სთქვა?

ოთარ ელექტრონის ვანები დამინიშნა და სხვათა შორის ესეც გამომიწერა. (ამოიღებს რეცეპტს და აძლევს).

ალეკ. (ჩაათვალიერებს) ჩინებულია, ჩინებული.

ოთარ ვიცოდი, გეწყინებოდა და მიტომ სხვაგან არ შევუკვეთე.

ალეძ. (ოთარს) ამ პატივისცემას არ დავივიწყებ.

ოთარ ხომ გაქვს ეს წამლები შენს აფთიაქში?

ალეძ. როგორ არა მაქვს და ხვალ დილით ყოველივე მზათ იქნება. მართლა, ნათლი, რა მოხდა წუხელ? ნაშუაღამევს ერთი ისეთი წამოიყვირეთ, რომ მე და ნუციკოს კინაღამ გულები გაგვისკდა. სიცხეში ხომ არ იყავით?

დარო მართლა, ოთარ, მეც როგორ შემაშინე. წარმოიდგინეთ, ჯერ ამის მსგავსი ამას არა შემთხვევია რა.

ოთარ სიცხე არ მქონია, მაგრამ მთელი ღამე მაინც ბურანში ვავატარე. ათასი სიზმარი, ათასი მოჩვენება. (არიმანზე) აი ამ ყმაწვილის ანთებული თვალები და სახე ამეკვიატა და საითაც გადავბრუნდი, სულ თვალ წინ მედგა.

ნუცა (არიმანს) აი პრეტენზიები!

არიმან (მხრების აჩეჩვა) მე რა შუაში ვარ, ბატონო.

ნიკიფ. ალბათ სახლია უკურთხებელი.

ოთარ (არიმანს) ხუმრობა იქით და თქვენ თითქოს მეცნობით.

არიმან მეც ასე მგონია.

ოთარ აკი ვსთქვი! თუ გახსოვთ, პირველად სად შევხვდით ერთმანეთს?

არიმან რუსეთში.

ოთარ სახელდობრ?

არიმან პეტრეს ქალაქში, თქვენი პროკურორობის დროს, ერთ ბობოლას ოჯახში, დიდ ვახშამზე.

ოთარ (სახეზე უსიამოვნების ელფერი გადურბენს) მერე?

არიმან თქვენმა საისტორიო სიტყვამ დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის და მთელი ჩემი არსებაც, როგორც ქართველის, სიამაყით აიესო.

ოთარ (გმაუოფიდი) მართლა? გესმის, დარიკო?

დარო როგორ არა, მესმის და მეც ვამაყობ.

ოთარ (არიმანს) ნეტა რა ვსთქვი ისეთი?

არიმან ო დიდი რამ, დიდი რამ. ხელმწიფის სადღეგრძელო იყო. ვრცელსა და მოხდენილ სიტყვაში თქვენ ის აზრი გაატარეთ, რომ, თუ საჭირო იქნებოდა მეფისა და რუსეთისათვის, მთელ საქართველოს გადასწვავდით.

ყველანი აი, აი, აი!

დარო ოთარ, ოთარ, ეგ რეები მესმის შენზე?

არიმან (ოთარს) ეს ის მომენტი იყო, როცა დამონებულ ქვეყნის შვილმა პირ-

ველად მხოლოდ მაშინ ვიცან თავი თვისი და ნიშნად მადლობისა გუნებაში მეორე დიმიტრი ყოფიანი გიწოდეთ.

ოთარ (გაცეცხლებული) არაფერი მაგის მსგავსი. ეს საშინელი ცილის-წამებაა, რისთვისაც მე შემიძლიან ბ-ნი ვახრაკიძე სამართალში მივსცე და ძალიან სასტიკადაც დავსაჯო. ათას ხატზე დავიფიცავ, რომ მე ეს კაცი არსად ჩემ სიცოცხლეში არ მენახოს.

არიმან ბატონო, ვერ გამიგია, რა ნახეთ აქ თქვენთვის სათაკილო.

ოთარ ისა ვნახე, რომ ამიერიდგან მე არა მსურს თქვენთან ლაპარაკი და გადაჭრითაც ვამტკიცებ, რომ საქართველოს თქვენზე მავნე შვილი ჯერ არ ჰყოლია.

არიმან (უეცრივ შუბლზე მიიდებს თითს) ღმერთო ჩემო, ნუ თუ გამიწყრა ღმერთი და მართლა აურია.

ოთარ აი მეც მანდა ვარ სწორედ.

არიმან ახ, რა მივქარე მე უტვინომ, მაპატიეთ ღვთის გულისათვის, მაპატიეთ.

ოთარ რაკი ასე მალე ინანიებთ ცოდვას, მიპატიებია. აი თურმე რას ნიშნავს მოუფიქრებელი ლაპარაკი. (დარროს) ეხლა რაღას იტყვის ჩემი ხელმწიფა?

დარო მადლობა ღმერთს, მშვიდობით გადარჩი.

ოთარ ჰო, ჰო, ჰო! გადავრჩით, გადავრჩით.

თემბრო ქალბატონო, დედა თქვენი გეძახით.

ნუცა უჰ, გამიჭირა საქმე. რა უნდა, ეხლა იქ არ ვიყავი?

თემბრო რა მოგახსენოთ. (ზიდის).

ნუცა (მიაძახებს) კარგი, მოვდივარ, (წამოდგება) აბა, ალექსი, ვინძლო სტუმრები არ მოაწყინო.

ალეკ. ვეცდები, ჩემო კარგო, ვეცდები. აბა შენ იცი, როგორც მასახელებ. ჯერ თუმც ადრეა, მაგრამ მაინც ამ თავითვე სჯობია თადარიგის დაჭერა. ხომ გესმის, რაზე ვამბობ.

ნუცა მესმის, მესმის (გადის მარცხნივ. ალექსი მიუჯდება ოთარს და მუნჯურად დაბარაკობენ. ოთარს ცალი თვალი უჭირავს ცოლისკენ, რომელსაც შემოხვევიან გარს ნიკიფორე, არმანი და ბეჟიკო).

ოთარ ჰო, ჰო, ჰო! გააქვთ და გამოაქვთ, გააქვთ და გამოაქვთ.

ალეკ. რაო? გააქვთ და გამოაქვთო?

დარო (ხელთათმანი დაუგარდება).

ბეჟიკო (დასტატაცებს ხელს, მიართმევს და ხელზედაც ეამბორება).

ოთარ (ალექსის) უნდა გითხრა, რომ ეს შენი იუმორისტი დიდი მატრაკვეცა ვინმე სჩანს. არა, ალექსი, ამ ხანად მე შენი დახვედრით-არა ვარ კმაყოფილი.

ალეძ. ვაი შენ ჩემო თავო! რათა, ბატონო, რა მიზეზია?

ოთარ არ ვიცი, ამდენ ვახრაკიძე-ჩახრაკიძეებში რა ნერვები უნდა შერჩეს კაცს. იცოდე, მე თუ არა გყოლოდი, დღეს არც ასე იქნებოდი მოწყობილი.

ალეძ. ამიხსენით, ბატონო, რაშია საქმე?

ოთარ აუხსენით ამას, ყველაფერი აუხსენით, (ამ დროს მეორე მხრიდან მოისმის საერთო სიცილ-კისკისი).

ოთარ ჰო, ჰო, ჰო! გაუსვეს და გამოუსვეს, გაუსვეს და გამოუსვეს.

ალეძ. ნათლი, რა სხვანაირად ლაპარაკობთ, ვის გაუსვეს, ვის გამოუსვეს?

ოთარ თუ ეს ხუნტრუკი ასე გაგძელდა, ავიღებ და დღესვე გადავალ სასტუმროში, დიახ გადავალ!

ალეძ. ო, მაგის ნებას კი ვერ მოგცემთ.

ოთარ შენ მოგეპრება თავი, თორემ მე რა.

ალეძ. ჯერ მე მომკალით და მერე საცა გნებავთ, იქ მიბძანდით.

დარო (ერთს ჩაიკისკისებს და წამოხტება) ახ, მოვკვდი, მეტი არ შემიძლიან, ღმერთმანი. (კარბის მარცხნივ. თან გასდევს სიცილით ნიკიფორე).

ოთარ (წამოხტება და ისევ დაჯდება) მეტის მოთმენა არც მე შემიძლიან, მე და ჩემმა ღმერთმა.

ალეძ. (როცა ოთარი წამოხტება, ეტყმა და შეაკავებს) ნათლი, ნათლი!

ოთარ ეს ჟულიკი ატაკუტა პატიოსან სახლში არ შეიშვება. გადავალ, უთუოდ გადავალ!

ალეძ. ვერსადაც ვერ გადახვალთ. (არმენ და ბეჟიკო მიდგენ ოთართან).

არმენ ბატონო ოთარ! თუ ვისმე შეუძლიან ბედნიერებით დაიკვეხოს, ეს უთუოდ თქვენ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი მეუღლე მეტად მომხიბლავი არსებაა.

ბეჟიკო ეშხიანი სახის მოხაზულობა და რომაული ცხვირი უკანასკნელი სიტყვაა ბუნებისა.

ოთარ ავია თუ კარგია ჩემი ცოლი მაინც ჩემია და ვერ გამიგია, ვის რა ესაქმება იმის ცხვირთან და სახესთან.

ალეძ. ყმაწვილებო! ნათლია ჩემს ეგენი არ უყვარს, სჯობს სხვა რაზედმე ვილაპარაკოთ.

ოთარ სრული ჭეშმარიტებაა, სრული ჭეშმარიტება.

არმენ (ბეჟიკოს) იუმორისტო, წინ წამოიწიეთ. როგორც წელან გითხარით ეს ცნობილი მეცენატი სამს რასმე ეტრფის ცხოვრებაში: ტურფა მეუღლეს, ხელოვნებას და საყვარელ საქართველოს. გაშალეთ შუბლი, ნუ

ხართ სკეპტიკი. დანამდვილებით შემიძლიან გითხრათ, რომ ეს დიდი პატრიოტი უხვი ნივთიერი დახმარებით წაგაქეზებთ და მით მოგცემთ საშუალებას, უფრო ნაყოფიერად ემსახუროთ მშობლიურ ხელოვნებას.

ᲝᲗᲐᲠ მადლობას მოგახსენებთ! მე მეცენატი არა ვარ და არც არაოდეს ვიქ-ნები.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ (ბეჟიკოს) გული არ გაგიტყდეთ, ჩვენი ბატონი ჩვეულებრივად მორცხვობს და მასთან ოხუნჯობს კიდეც.

ᲝᲗᲐᲠ არც ესაა მართალი! (ალექსის) აბა ვის უნახავს მორცხვი კაცის ოხუნ-ჯობა?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ფრიად სამწუხაროა, მე კი ეს დავაიმედე.

ᲝᲗᲐᲠ ახირებულია. ჯერ ჩემთვის უნდა გეკითხათ და მერე დაგეიმედებიათ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ხუთას-ექვსასი თუმანი თუნდ ჯიბეში გდებია მეთქი.

ᲝᲗᲐᲠ მე არავის არას მივსცემ და ისე კი, ენუქას ანდერძისა არ იყოს, ჯიბეში თუნდ ათასი თუმანი ედოს. ჰაიგიდი ოთარის ჯიბევ! ერთი მიბრძა-ნეთ, გეთაყვა, დიდი ხანია, რაც ეს ახალ-მოდის რეკვიზიცია შემოიღეთ? ხა, ხა, ხა, ხა!

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ თქვენ იცინით? მოიგონეთ ბრძნული თქმულება: „იცინის ის, ვინც გაი-ცინებს უკანასკნელიო“.

ᲝᲗᲐᲠ როგორ, მემუქრებით კიდეც. ეი ყარაულ!

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ დამშვიდდით, ბატონო. იმედის გაცრუებას ჩვენ შეჩვეულნი ვართ და როგორმე ამასაც გაუძლებთ.

ᲝᲗᲐᲠ არ არსებული იმედის გაცრუება თქვენს კარაბადინში თუ სწერია. გა-დავალ, უთუოდ გადავალ.

ᲐᲚᲔᲥ. (ხელს ჭხვევს) გაგვებუტა ნათლია ჩემი, გაგვებუტა. (მუსჯურად ელაპარა-კება ოთარს).

ᲑᲔᲟᲘᲙᲝ (არიმანს ხმა-დაბალ) ჩინებულად ჩატარდა. გაიქცევა, უთუოდ გაიქცევა.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ სანამ ბიქტორს არ ავკიდებ, აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლის. მეტად უწესო. რომ მეტად წესიერს შეეფეთება, აბა ნახეთ კორიანტელი.

ᲐᲚᲔᲥ. (ოთარს) აბა დაბრძანდით! (იმათაც) ბატონებო! თქვენც შემოგვიერთდით და ვახშმობამდინ წავიმუსაიფოთ. (არიმან და ბეჟიკო მივდენ და იმათ ჰირდაპირ ჯდებიან).

ᲑᲘᲥᲢᲝᲠ (შემოდის და კანშარტოებით ჯდება).

ᲐᲚᲔᲥ. (ოთარს) აბა, ნათლი, ეხლა უთუოდ უნდა მითხრათ თქვენი აზრი ჩვენი ცხოვრების ახალ ვითარებაზე. წარმოდგენილი მაქვს თქვენი სიხარული მშობელი ქვეყნის გაბედნიერების გამო.

ოთარ — თავი დამანებეთ, სოციალისტების ხელში არაფერს არ აქვს მადლი. მიწები ჩამოგვართვეს, ისტორიული წოდება მოსპეს და, ვინ იცის, კიდევ რა სიურპრიზებს გვიმზადებენ.

არიმან — ჰმ, რა არის ჭკვიანი კაცი! (იმას) ვაშა! მეც მაგ აზრისა ვარ.

ოთარ — გაგიგონიათ, თქვენ? ჭირიმე, ასეთი ყოფა! ძველი მოშალეს, ახალი არა მოგვცეს რა, „დაიცათ ჯერ დუღილშიაო“, ჭოი თუ დაგვიბრუნდებოდა ძველი დრო!.. (ბიქტორს) მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ თვალებს ძალზე მიბრიალებთ, მე მაინც არ მეშინიან თქვენი.

ალეკ. — ბიქტორ! ეგენი არ იყოს, თუ ძმა ხარ.

არიმან — ყმაწვილებო! თავდაჭერით იყავით—ნუ გგონიათ თქვენ? თავი უცოდველი რომის პაპი.

ოთარ — ჰმ! ქვეყანა ლამის სპეკულიანტ-ქურდ-ბაცაცებმა შესჭამონ და ეს დონკიხოტები კი დემოკრატობით ირთობენ თავს. ნამეტნავად სოფელში, ზღარბი-ყლაპია გლეხს, რომ თავზე დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაცვეს? ხა, ხა, ხა, ხა!

ბიქტორ — (წამოხტება) არა, ამის მოთმენა არა გზით არ შემიძლიან. (კედის სწრაფად შუა კარებში).

ოთარ — (ალექსის თვალს ჩაუკრავს) ერთი უბრძანე, იმ ყმაწვილს ცივი წყალი ასვან.

არიმან — არაფერია, შეხტება და დაწყნარდება.

ალეკ. — ძალზე ცეტია ოჯახ-ქორი.

ოთარ — მაგათ რესპუბლიკა კი. არა, მეფის მათრახები თუ მოარჯულებს მხოლოდ. (ბეჟიკოს) აი თქვენც ულვაშებში ჩაიცინეთ, მაგრამ ჯვარს რომ მაცვათ ჩემსას მაინც არ დავიშლი.

ბეჟიკო — არა, ბატონო, ხატი, რჯული. სულ სხვა რაზედმე გამეცინა.

არიმან — (ბეჟიკოს) ალბათ შანტეკლერზე.

ოთარ — ჰო, ჰო, ჰო! შანტეკლერიო, არა, გადავალ, უთუოდ გადავალ.

არიმან — (ოთარს) შანტეკლერი ერთი ყოყოჩა მამალი იყო, რომელსაც ეგონა, რომ თუ ის არ დაიყივლებდა, არ გათენდებოდა. (უეცრად) ჰმ! მართლაც, რა უსამართლობაა. მიწები ჩამოართვეს იმ წოდებას, ვინც ესე თავ-გამოდებით უვლიდა თავის მამულ-დედულს.

ბეჟიკო — და ვისაც საუკუნეთა განმავლობაში ერთი მტკაველი მიწაც არ მიუყიდია უცხოთათვის.

არიმან — ამით თვისი ქვეყანა გადაარჩინეს აჭრელებას.

ბეჟიკო — რომ უდავო სადავოთ არ გამხდარიყო, განა!

არიმან დიახ. ეს წოდება მუდამ მომჭირნე, შორს-მჭვრეტელი და წინდახედული იყო.

ბეჭიკო შენი გულისა! ვენაცვალე მამულიშვილებს.

ოთარ (წამოხტება) ვათავებ თქვენთან კამათს, მხოლოთ მოგაგონებთ აკაკის იგავ-არაკიდან ძაღლისა და მამლის გაამხანაგების ამბავს: სოფლის აშენება რომ მოინდომეს. მელა არ მიიღეს კამპანიაში. ძაღლმა რომ იმას კუდის რიკი მოაკვნიტა, ავარდა საწყალი მაღლა სურზე და გადმოსძახა მეგობრებს: მე ხომ ჩემი დამემართა, მაგრამ თქვენც კი უნდა გითხრათ. თქვენ რომ სოფელს ააშენებთ, დაგირჩებათ თქვენვე. ოხრადო. აი რა! (დადის ქეთაიქით).

არიმან აი კიდევ სიტყვა უტყუარი და მართალი. ბატონებო! გვეყო პოლემიკა. ყური დამიგდეთ, ახალ ამბავს მოგახსენებთ.

ბეჭიკო და **ალეძ.** აბა, აბა!

არიმან დაბეჯითებით ამბობენ, საქართველოს საკუთარი მეფე ეყოლებაო.

ოთარ (გეზად გადახედავს).

არიმან იმასაც ამბობენ, მომავალი მეფე ირაკლი მესამის სახელით მოგვევლინებაო.

ოთარ (ნასიამოვნები) აი ამას კი არა ეჯობინებოდა-რა. ყმაწვილო, უკაცრავად... თქვენ... ღვთის გულისათვის, ხუმრობთ, თუ მართალს ამბობთ?

არიმან რა დროს ხუმრობაა, დალოცვილო, საცაა გვირგვინოსანი კარებს მოგვიკაკუნებს.

ოთარ თუ ეს გამართლდა, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

არიმან (თავს უკრავს).

ოთარ (ალექსის ხმა დაბლა) იცი ეს ვიღაცაა, სალი გონების ბიჭი სჩანს.

ალეძ. მეტად, მეტად.

ოთარ ჰაიგიდი მაგ ბედნიერ დღეს შემასწრებდეს ღმერთი! გაგიხარიან, მივსცხო მაშინ ზოგიერთებს. წავიდე, ერთი ჩემ დარიკოს ვახარო. (შედის მარცხნივ უფელანი იტინოსან).

ბეჭიკო ვაი ამ ცოდვას. უნდა გითხრა, ალექსი ჩემო, რომ ეს შენი ნათლია ადამიანის ტყავში გამოხვეული მგელია. შეამჩნიეთ, ბ-ნებო, მეფის ხსენებაზე როგორ გამოცოცხლდა, ტუჩები აუტოკდა და თვალთაგანაც. რა ნაპერწკლები წამოისროლა.

ალეძ. (არიმანს) მართლა, ბატონო არიმან, დავიჯერო რაც წელან პროკურორობის დროინდელი ამბავი უთხარით, მართალია?

არიმან მართალზე მართალი. ვუჩვენე განა ფეთება!

ალექს. ისე მალე რათ დაიხიეთ უკან?

არიმანი ამას მოითხოვდა ტაქტიკური მოსაზრება. (უეცრივ შუა კარებს შეადებს და დერეფანში იშვრიტება) აჰა! (მარცხენა კარებს ეცემა და სიდუმლო ხმით) ბატონო ნიკიფორე, ბატონო ნიკიფორე! მოსულა, დავიწყოთ. (ალექსის და პეტიოს) აბა, შედით საჩქაროთ ჩემს ოთახში და ბალშენიკის ვინაობაც გამოვარკვიოთ. დაიმალეთ შკაფის უკან და ყველაფერს ნახავთ, რაც ეხლა იქ მოხდება. (შედიან).

ნიკიფ. (შემოდის მარცხენა კარებიდან, შუა კარებთან მივა თუ არა, შემოდის ივანე) ძაღლი ახსენე, ჯოხი გვერდზე მოიგდეო, ამაზე იტყვიან სწორეთ.

ივანე (ბრაზით) ვის უბედავ—ძაღლიც ხარ და მამაძაღლიც. ხომ არ გინდა წაგაბრო ბებერი თავი.

ნიკიფ. მოიცა, ძალიანაც ნუ გამითამამდები. ჩემ თავთან ხუმრობა, რომ ასე ადვილი ყოფილიყო, დიდი ხანია, უთავო ვიქნებოდი. ეხ, შევწყვიტოთ ეს დავა, წინ ისედაც დიდი საქმე გვიძევს.

ივანე რა საქმე?

ნიკიფ. ჯერ ეს მითხარ, ალექსი შენზე ზრუნვას შეუდგა, თუ არა?

ივანე გაგიგონია!

ნიკიფ. რაო, რა სთქვა?

ივანე რა ვიცი, რაღაცას იგრიხება, იპრანქება. მგონი ისე მიგიბერტყო, რომ შენი მოწონებული.

ნიკიფ. ნუ აჩქარდები, თუ ჩემს ქკუაზე გაივლი, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ივანე როგორ?

ნიკიფ. (მიუთითებს არიმანის ოთახზე) ის მოშავო კაცი ხომ ნახე?

ივანე ვნახე, მერე?

ნიკიფ. (სიდუმლოდ) ყური უგდე, ფულიანი სჩანს.

ივანე (ახლოს მიიწევს) შე უღმერთოვ, დროზე მეტყოდი.

ნიკიფ. მოდი ცოტა იქით მივიწიოთ. ეშმაკს არ სძინავს. ეს ვიღაცაა, ინდოეთში ნამყოფია თურმე და ათასნაირი ფოქუსი ექნება შეთვისებული. (მუნჯურათ კამათობენ).

ივანე ჯან ნიკიფორე, ჯან!

ნიკიფ. მე შენ გეუბნები, თუ ეს მოხდა, მერე რა ოხრათ გინდა მილიცია. მართალია, გამორჩენა იქაც ბლომად გექნება, მაგრამ ასე იოლად გამდიდრებას რა შეედრება.

ივანე შენი სიტყვა ოქროა.

ნიკიფ. მე იმას შენი თანადასწრებით გამოვკითხავ, ყურადღებით იყავი. ჩვენი

კითხვა-პასუხიდან არა გამოგეპაროს რა. თუ საიმისო გამოდგა, განიშ-ნებ და ეცი. ფულით სავსე დიდი პორტფელი იქ უდევს თავის მაგიდა-ზე. ეს მე ნამდვილათ ვიცი.

ივანე ვეცემი და თუ ურჩობა გამიწია წავახრჩობ.

ნიკიფ. არა, მოკვლით ნუ მოვკლავთ. გაძალიანებას ვერ გაბედავს. თუ ვინი-ცობაა, იარაღს მოჰკიდოს ხელი, მაშინ, რა თქმა, უნდა ჩვენც ვბრი-გოთ.

არიმან ახ, თქვენა ხართ ბატონებო! ხმა შემომესმა, ალექსი მეგონა, უკაცრავად. (უნდა გასვლა).

ნიკიფ. ბ-ნო არიმან! გვიკადრეთ, დარჩით ჩვენთან.

არიმან თუ კი ასე გნებავთ, მე დიდის სიამოვნებით... (ჯდება და ბაბირონის უთა-ვაზებს ორსავეს).

ნიკიფ. ნება მიბოძეთ, გკითხოთ თქვენი ვინაობა.

არიმან დაგავიწყდათ! ვახრაკიძე არიმან.

ნიკიფ. ვახრაკიძე კი არა, ხი, ხი, ხი, ხი!

არიმან როგორ, გეეჭვებათ?

ნიკიფ. ნუ გამირისხდებით და თქვენი ქართველობა მართლაც არ მჯერა.

არიმან (ტოტა ჩაფიქრების შემდეგ) თქვენ მართალი ხართ, მე ბერძენი ვარ.

ნიკიფ. (ივანეს) აკი ვსთქვი! ბერძნები დიდათ ნიჭიერი და განათლებული ხალ-ხია. ქართულიც რა ჩინებულათ უსწავლია. (არიმანს) რა საქმეს აწარ-მოებთ, ბ-ნო?

არიმან მსხვილი ვაჭარ-მრეწველი გახლავარ.

ნიკიფ. (ივანეს ჩუმათ ხელს წაჭკრავს) (იმს) კაი დაგემართოს, კაი საქმე ეს იყოს. ჩვენს დროში ვაჭრობა აღებ-მიცემობა პირველი საქმეა. (ივანეს) წინეთ ქვეყანა თავადაზნაურობის იყო, ეხლა კი მაგ ბურჯუებს დარჩათ ბურთი და მოედანი. მაგრამ ამ წუთი სოფელში ერთი დრო ვის შერ-ჩენია. მაგათ ბატონობასაც დროს შესაფერი მეტოქე ამოეტუზა და-რაზმული მუშების სახით. მუშებს ვინ შეეცილება. მომავალში, ეს კი არ ვიცი.

ივანე არავინ.

არიმან მოგახსენებენ, რომ მუშების მცირე ხნის ბატონობის შემდეგ ყოველი-ვე ისევ თავიდან დაიწყებაო.

ნიკიფ. (ივანეს) ალბათ, ალბათ. ეს ცხოვრება ჭიდილია. ხან ერთია ქვეშ, ხან მეორე. რითი ვაჭრობთ, ბატონო?

არიმან ყველაფრით.

ნიკიფ. რა უნდა გაიტანოთ ჩვენი ქვეყნიდან!

არიმან კაკლის კუნძები, დაფნის ფოთლები, თაფლი, ღვინო, მატყლი, აბრეშუმი, ჯაგარი და შავი ქვა.

ნიკიფ. გადვირიე კაცი!

ივანე (თავს იქნუეს).

არიმან ახლახან იმერეთი მოვიარე და სამი მილიონის საქონელი დავაბევე. მალე ქართლ-კახეთსაც ვესტუმრები.

ივანე და ნიკიფ. ოი, ოი, ოი!

ნიკიფ. ძლივს ერთი ბერძენი ხელში ჩავიგდეთ. შურს ვიძიებთ, ბ-ნო ჩემო, შურს.

არიმან შურს? რატომ?

ნიკიფ. ჰმ. მკითხავთ კიდეც! მარტო იასონ ბერძენის ამბავი რათ ღირს, ჩვენს მეფეს, რომ მზეთ უნახავი ქალი მოსტაცა და მზითვად ოქროს მატყლოვანი ვერძი გაიყოლია.

არიმან ხა, ხა, ხა, ხა! რა ოხუნჯი ყოფილხართ. (ადგება) უკაცრავად, უნდა მიგატოვოთ, მოგეხსენებათ, ჩემი ხელობის კაცის მოუსვენარი ცხოვრება, ათასი ფიქრი, ათასი საანგარიშო. (კადის).

ნიკიფ. აბა ბიჭო, ივანე, აგვიშენდა ოჯახი და ესაა. ყური მიგდე: პირველ სადგურამდის ფეხით გაირბენ. მერე ჩაჯექ მატარებელში და ჰაიდა! როცა შინ დაბრუნდები, ნადავლი შუაზე უნდა გამიყო. ივანე ბუსხრიკიძევ! თუ გიღალატნია, დედა შეგერთოს ცოლად.

ივანე შენ მარცხვენ მაგ ეჭვებით. პირველად ხომ არა მხედავ. ნიკიფორე ატაკუტავ! თუ კაცი ვარ, ამ სიკეთეს არ დავივიწყებ. ერთს კი გეტყვი, ძმაო, რაც ქვეყანაზე ჭკუაა, ყველა შენს თავში მოგროვილა.

ნიკიფ. აბა ეხლა კი დიდგა გადამწყვეტი ჟამი. მე კარებს მივუკაკუნებ, გააღოს თუ არა, ეკი. რაკი პორთფელს ჩაიგდებ ხელში, ისკუპე ღია ფანჯრიდან.

ივანე აბა მიდი ჩქარა, გული ვერ ითმენს, მიდი.

ნიკიფ. (მიდა კარებთან) ივანე, სმენა! მე ვიწყებ.

ივანე ჩქარა მეთქი, შე ოჯახ-ქორო!

ნიკიფ. (უკაკუნებს).

არიმან ვინა ხარ?

ნიკიფ. ცოტა ხნით აქეთ გამობრძანდით.

არიმან (გამოდის და ფანჯარაზე) ღმერთო ჩემო! ეს კაცი როგორ მიბრიალებს თვალებს!

ნიკიფ. (სტაცებს არმანს ხელს) ჩუმად შე წუპაკო! (ივანეს) აბა მიდი, გზა თავისუფალია.

ივანე (შეეარდება ოთახში).

არმან (ვითომ გაუსხლტება ნიკიფორეს და შეეარდება ისიც ოთახში. ისმის მისი ხმა: „ვაიმე დოელათო, ვაიმე საცხოვრებელო“!)

ნიკიფ. (კარს ოდნავ შეაღებს და იცინიტება) ხა, ხა, ხა! გადახტა, გადახტა. ხა, ხა, ხა! (არმან და ბეყიკო გამორბიან ხარხარით).

ალეკ. (იმათ თან გამოსდევს) ღმერთო, ჩემო! რეები ვნახე ეს, რეები!

არმან ეს დღე ჩინებულად ჩატარდა.

ალეკ. აი თურმე ვინ ჩამომიყვანა საყვარელმა მამიდამ. (უფელანი ალექსის მიჭეადვენ და გულიანათ ხარხარებენ).

ფარდა

მესამე მოქმედება

იგივე დეკორაცია

(ფარდის ახდისას **მამიდა** ზის ტახტზე ფეხ-მოკეცით და კრიალოსანს ათამაშებს).

ალეკ. (ზის ერთ ერთ ფანჯარასთან და გაზეთს ჭკითხულობს).

ნიკიფ. (ზის მაგიდის თაეში ფეხი-ფეხ გადადებული და პაპიროზს ეწევა).

მამიდა ძალიან ნასწავლი ვინმე სჩანს, ყველგან ყოფილა, ყველაფერი უნახავს. საწყალს რა ძალიან უნდა, უცხოეთის წესები ჩვენშიც გადმონერგოს.

ნიკიფ. სტუმართ-მოყვარეობას რომ გვიწუნებს, ეს კი არ მომწონს. ღმერთმა ნუ გაათახსიროს ქართველი კაცი ისე, რომ პურ-მარილში ანგარიში შეეტანოს.

არმან (შეშოდის მარჯვნივ კარდაიდან შემოილაპარაკებს) ახალი ცხოვრება შეატანინებს.

მამიდა შეატანინებს კი არა, გამოატანინებს. ის თქვენი ახალი ცხოვრებაცა ვნახეთ, მაგრამ შიგ რომ არა ჰყრია რა?

არმან მამიდა! ნეტა ეხლა რასა იქს ის ჩემი ამშენებელი?

მამიდა უი მიწამ კი სპამოს ის ავაზაკი, ის ჩემი ყელის გამომჭრელი, ისა.

ნიკიფ. ამანაც მოუყვანა საიმედო კაცი თავის ძმისწულს. ხა-ხა-ხა! ან იმ საწყალ მილიციას რაღა იმისი მიმატება სჭიროდა.

არმან ბედი ჩემი, რომ შეცდომით ცარიელი პორთფელი გაიტაცა. ასე თუ ისე, ალექსი ჩემი ხარჯით ძალიან დიდ ხიფათს გადურჩა. (ნიკიფორეს

ხმადაბლა). თუმცა იმ სიმაღლიდან, რომ გადაახტუნეთ, ეს კი ვერ მოგვიდათ კარგად.

ალეძ. ღმერთო, როგორ გადარჩა ის წყეული, როგორ!

ნიკიფ. აბრაგი კაცი იალბუზიდანაც რომ გადაახტუნოთ, მაინც გადარჩება.

ალეძ. მამიდა! თუ ოდესმე კიდევ ჩამოგიყვანია ვინმე, იცოდე გაგეთიშები.

მამიდა. უი, უმალ მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს. ალექსი! შენ ამბობ, ოთარიც უნდა გაეცარცვაო?

ალეძ. განა მარტო ოთარი, მეც მამიდა, შენი ალექსი.

მამიდა. უი დამიდგეს თვალები, დამიდგეს თვალები.

არიმან. მერე ალბათ ბატონ ნიკიფორესაც შეავლებდა ხელს.

ნიკიფ. თუ შეავლებდა, მამა უცხონდა, მილიონებს ჩაიჩხრიალებდა.

არიმან. (ეუტრიგ ამოიღებს ფანქარს და უბის წიგნს) აბა მამიდა, ნება მიბოძეთ გკითხოთ, რამდენი ხნით ჩამობრძანდით?

მამიდა. (განზე) დალახვროს ღმერთმა, საიდან სად გადახტა. (იმას) ჩემი ნებაა, მინდა წავალ, მინდა არა.

არიმან. მაინც, მაინც?

მამიდა. (განზე) იჰ, რას ჩამაცივდა ეს ოხერი. (იმას) გაზაფხულამდე აქ ვიქნები, თუ არ მენდომება, არც მაშინ წავალ.

არიმან. აი პასუხი სწორი და გადაჭრილი. (მამიდას) ჯვარი გწერიათ, ჯვარი გწერიათ. (უბის წიგნში იწერავს და ბუზდუნებს ოავისთვის). მამიდა გაზაფხულამდე, ოთარი, მისი მეუღლე და მოსამსახურე მიხა ერთი თვით, ნიკიფორე ორი კვირით, პატარა ბიჭი ვანო, ბიქტორ ბუყიაშვილი და ის რაინდი, მუდამ რომ სადილობისას შემოგვესწრება, განუსაზღვრელ დრომდე.

ნიკიფ. ეს ყველა კარგი, მაგრამ, მაინც ვერ გამიგია, რაში დაგჭირდათ ეს ახირებული გამოკითხვა?

არიმან. არა, ღვთის გულისათვის, სხვანაირათ არ მიიღოთ, უბრალო საქმეა. მინდა ამის და კვალობაზედ შევადგინო ხარჯთ-აღრიცხვა. ეს ჩვენი ალექსი ანგარიშში ცოტა იაღლიშობს და მინდა, როგორმე მოუწესრიგო აწეწილი საქმეები.

ნიკიფ. ჰოო! კაი დაგემართოს, კაი აზრი მოგსვლიათ.

არიმან. ეხლა ცოტა ხნით ჩავიკეტები და ყველაფერი მზად იქნება.

მამიდა. შენ ეი, არა მკითხე მოურავო! სხვის საქმეში ნუ ერევი, თორემ მე ვიცი შენი!

ალეძ. მისცხე, მამიდა, შენებურად, მისცხე!

არიმან ვაშა, ვაშა! (უეცრივ) სუს! ალექსი! თქვენ და ნიკიფორეს ქალბატონი ნუცა გეძახით.

ალეკ. მართლა! აბა ნიკიფორე, წავიდეთ (კედან მარცხნივ კარებში).

არიმან (ერთს თითქოს ნერვიულად კაიფდ-გამოიფდის) ჰმ! თურმე ყველაფერს უნდა მოველოდეთ ამ გაუტანელ წუთი სოფელში.

მამიდა მით უმეტეს, თუ შენისთანა კაცთან გვექნება საქმე.

არიმან ვაიმე, ვაიმე!

მამიდა რა იყო, რა მოხდა, რომელმა ქარმა დაგიბერა?

არიმან არა, ბატონო, რაც მე მაღელვებს, შეგეხებათ მხოლოდ თქვენ.

მამიდა მეე?

არიმან დიახ, აბა მიაქციეთ ყურადღება, რა აბუჩად გიგდებთ დიასახლისი ქმრის ნათესავებს და რა ტუჩაბზეკით მიგიღოთ განსაკუთრებით თქვენ.

მამიდა აი ვაცხონე შენი დედ-მამა, როგორ გამოიცნო.

არიმან ეს კი სულ დედის გავლენით ხდება. თავის თავად ნუცა მეტად გულკეთილი არსებაა, მაგრამ როცა ის აქა ჰყავს, სრულიად ეცვლება გუნება. გამოდის, რომ ცოლის ნათესავების შიშით, ერთად ერთი დედის მაგიერი მამიდისთვისაც ვერ გვიცია პატივი. დრო კია, ბოლო მოეღოს ამ თავხედობას. მიკვირს, როგორ ითმენს ამას თქვენისთანა თავ-მომწონე ადამიანი.

მამიდა (ადგილგებით) ვითმენ, მაგრამ თუ ვიფეთქე, ვაი იმათი ბრალი.

არიმან თუ არა ის კუდიანი, განა ნუცამ არ იცის, რომ თქვენ სულ მუდამ სამ ჭიქა ჩაის მიირთმევთ? მაგრამ ერთის მეტი ვერ გაიმეტა.

მამიდა ჰმ, გულთმისანია, გულთმისანი, ვენაცვალე სულში.

არიმან ერთი ციცქნა პური და ჩაიც კრიპუსტით. „ძვირობაა“, იტყვის ალბათ, თავისი დედა კი რაღაც შაკიის გულისთვის აბრეშუმის ლოგინში ჩაუგორებია და ნაირ-ნაირ ბულიონებს ახვრეპინებს.

მამიდა მე იმას შავ ჭირს ვახვრეპინებ, თუ მანანა ვყოფილვარ. უი, რა მომდის! თუ ერთი გული არ ვიჯერე, შევიშლები სწორედ. (კედის მარცხნივ კარებში სწრაფად).

ბიჭტოკრ მარტო ხართ?

არიმან კაი დროს მოხვედით, სწორედ თქვენზე ვფიქრობდი. სხვა, როგორა ხართ? მოგედოთ განა!

ბიჭტოკრ არ ვიცი, ღმერთმანი, რა მემართება!

არიმან რაღაც თქვენთვის უჩვეულო, არა!

ბიჭტოკრ დიახ, დიახ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ აი ამასა ჰქვიან ნამდვილი სიყვარული. თქვენ კი უარყოფდით. (მოისმის ნაზი მუსიკა) გესმით, ქუთათურების „მინდა გიყვარდე“-ს უკრავს. ნაზი ნარნარი ჰაეროვანი, თვალები ვნებით სავსე და მოსიყვარულე. ისა და მისი ბებერი ზუბრი, რა კონტრასტია, ღმერთო ჩემო, რა დამათრობელი მუსიკაა!

ᲑᲘᲫᲢᲚᲠ დიახ, დიახ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ იმას თქვენ უკვე უყვარხართ. (მუსიკა მისწყდება).

ᲑᲘᲫᲢᲚᲠ გავგიჟდები სწორედ. სხვა, რა იცით, რა გაარიგეთ?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ საქმე ჩინებულად მიდის. ისინი თქვენ დაგიქირავებენ მოურავად. მე უკვე ჩავაწვეთე ეს აზრი მშვენიერ დარიკოს, ის თქვენით დავაინტერესე.

ᲑᲘᲫᲢᲚᲠ ახ, რა ჩინებული აზრია! გენიოსი ხართ, ბატონო არიმან, გენიოსი, მერე?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ აი თურმე რა მტერი ვყოფილვარ. თქვენ კი სულ თვალებს მიბრიალებდით.

ᲑᲘᲫᲢᲚᲠ ახ, მაპატიეთ ღვთის გულისათვის, მაპატიეთ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ვრთი სიტყვით ნიადაგი მზადაა, ეხლა უნდა დაგაპირისპიროთ და საქმეც გათავდება. მე თქვენ გიფეშქაშებთ ამ თიღლისმა ბეჭედს, რომელიც ეშხიან დარიკოს თქვენ საუკუნო კუთვნილებათ გადააქცევს, მაგრამ სიყვარულის მაცდურ ქსელში, რომ არ გაიხლართოთ, მე შევზღუდე ამისი ძალა ოთარის ცოლით (წამოაცმევს ხელზე).

ᲑᲘᲫᲢᲚᲠ რა საუკუნო დავალებაა! განა მარტო იმისი დასაკუთრება არ მეყოფა? (შემოდის დარიკო მარცხნივ კარებიდან).

ᲓᲐᲠᲚ ახ, უკაცრავათ, ხომ არ დაგიშალეთ?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ პირიქით, ბატონო, მობრძანდით და თქვენი მადლიანი სხივი ჩვენც მოგვაშუქეთ.

ᲓᲐᲠᲚ ხა, ხა, ხა! რა ქათინაურები გცოდნიათ, ბატონო არიმან. არ მოვეღოდი.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ აი ბატონო, მოვიწვიოთ ექსპერტები და თუ ისინი უარსყოფენ თქვენს სიტურფეს, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

ᲓᲐᲠᲚ ოჰ მამაკაცნო, რა კუდიანები ხართ!

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ხა, ხა, ხა! აი ამასა ჰქვიან ჭეშმარიტების უკულმა შებრუნება; (უეცრივ) ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ თქვენი მომავალი მოურავი.

ᲓᲐᲠᲚ (ბიქტორს) თქვენი თავი მარტო სოციალისტად გამაცნეს, თურმე აგრონომიც ჰყოფილხართ.

ᲑᲘᲫᲢᲚᲠ (თავს უკრავს) დიახ, ბატონო!

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ (ბიქტორსე) ღმერთო ჩემო, რამდენი ვნება და სიცოცხლეა ამ კაცში

მოგროვილი. თოფის წამლის სარდაფია! თუ ნაპერწკალი მოხვდა ქვეყანას გადაბუგავს.

დარო ახ, რა ჩაგონებით ლაპარაკობთ! თქვენ ნამდვილი ჰიპნოტიზიორი ხართ! კიდევ!—კიდევ!

არიმან აი რა: მე პირდაპირი და გულწრფელი კაცი ვარ, ამიტომ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ იმას, რაც მინდა გითხრათ.

დარო პირიქით, ბატონო, პირიქით, მე დიდის სიამოვნებით მოგისმენთ.

არიმან ეს კაცი მამულთან ერთად თქვენს პირად ცხოვრებასაც გააცისკროვნებს. მე თუ მკითხავთ, ეს საკუთრად თქვენი მოურავი იქნება, თქვენი რაინდი, თქვენი თავადი.

დარო (დუდდება და სიუვარულით თვალებ მინაბული გადახედავს ბიქტორს) მართლა, ყმაწვილო!

ბიქტორ მთელის ჩემის არსებით, მშვენიერფა მეფავ.

დარო ახ ეს დამათრობელი ხმის კილო მუსიკაა, მუსიკა!

არიმან დიდი ცოდვა ჩაგიდენიათ ბუნების წინაშე. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ქალი ცოლად გაჰყოლიხართ ბებერ კაცს და ეს ჩაიდინეთ ხარისხისა და მსუქანი მემკვიდრეობისათვის. გრცხვენოდეთ.

დარო (შეფხუკიანებით) ბატონო ჩემო!

არიმან მოიცათ, თავს ნუ იკატუნებთ. თითქოს გეწყინათ, მაგრამ გუნებაში, ვიცი, მლოცავთ. უმჯობესია, იყოთ გულწრფელი, სულ ერთია, ვერას დამიმალავთ. ადამიანის ბუნება ხელის გულზე მიწერია.

დარო განა თქვენ ვინა ხართ, რომ ასე გაბედულად ლაპარაკობთ? ან ჩემს წარსულს საიდან იცნობთ?

არიმან ვიცნობ, ქალ-ნო, ვიცნობ.

დარო აბა რა იცით?

არიმან ეხ, უმჯობესია, მაგ საგანს სულ არ შევეხოთ, თორემ მე რომ ყველაფერი გითხრათ, რაც თქვენზე ვიცი, არა მგონია კმაყოფილი დარჩეთ.

დარო ერთი უყურეთ!

არიმან (ბიქტორს) მაშ მოდი ჩემო რომეო და გადაეხლართე შენს ჯულიეტას. ხელი მიეცი და მაგრადაც მოუჭირე? (კადის სწრაფად შუა კარებში).

დარო (ბიქტორის მიერ ხელის მაგრა მოჭერისას ოდნავ შეჰკივლებს და გულზე მიეკვრება) ატა—ტა—ტა—ტა! შენი ჭირიმე შენ გენაცვალე ნუ დამდაგე, ნუ დამადნე, თუ შუბლზე შენ მიწერიხარ, ბარემ დროზე მაზიარე.

ბიქტორ (ბოტნის გაშმაგებით) თუ მართლა გიყვარვარ, რაც შეიძლება, ჩქარა წამიყვანე იქ, ბუნების წიაღში და მერე თუნდ მომკალი, სიცოცხლის ჩარხო. (ჭეოტნის).

დარო უთუოდ, დღესვე პირველი მატარებლით. აქ რა გამაჩერებს, როცა შენ შეგიძინე, ჩემო საუნჯევ. მითხარ, სულიკო, ხომ მართლა გეყვარები!

ბიქტორ თუ ჩემ სულს რაიმე მოვალეობით არ დაამძიმებთ, ჩვენი განშორება არა ძალას არ შეუძლიან.

დარო (ჭკოტნის) ჩემი მოურავი, ჩემი თავადი, ჩემი რაინდი!

არიმან (ოთარს შემოჭეოფს კარებში) ოთარი მოდის.

დარო ო. მეხმა კი ჩაიტანოს ის ტარტაროზი, ისა, (ბიქტორს) მოემზადე, დღესვე მივდივართ. (ჩაჭკოტნის და შედის მარცხნივ კარებში, ბიქტორი კი მარჯვნივ). (შემოდიან ოთარი და არიმან).

არიმან (ოთარისთვის გაუერია მკლავში ხელი) მობრძანდით, მობრძანდით, ბრაზიანო კაცო! რა მიზეზია, რომ მებუტებით, ხმასაც არა მცემთ! ღმერთო ჩემო, რა უბედური კაცი ვარ. დაღლილი მეჩვენებით, დავიჯერო ფეხით იარეთ!

ოთარ (ჯდება).

არიმან ნუ დარდობთ, ნუ; რაკი მეფე გვეყოლება, ყოველივე უკლებლივ დაგიბრუნდებათ.

ოთარ (ხელებს ჩაიქნევს) ნუ მაღიზიანებთ, არაფერიც არ იქნება. ფქვენ მეფეს კი არა, ჩვენამდე ღმერთსაც არ მოუშვებთ.

დარო იცი, ოთარ, ახალი ამბავი? ბატონი ბიქტორ ბუყიაშვილი თურმე აგრონომი ყოფილა.

ოთარ მე რა, რომ ყოფილა? ვერ გამიგია, რა დიდი ამბავი ესაა.

დარო როგორ თუ რა, ეს რა პასუხია?

ოთარ ჰო და ისე. რა თქმა უნდა, ქვეყნად ზოგი რაა და ზოგი რა.

დარო ყური მიგდე, მე გადავწყვიტე, ბატონი ბიქტორი წავიყვანო სოფელში და ჩავაბარო ჩვენი მამულების მოვლა.

ოთარ რას ამბობ, გონს მოდი! მიწები ჩამოგვართვეს და შვიდი დესეტინისათვის აგრონომი რა ოხრად მინდა.

არიმან მით უმეტეს ახლა უნდა დავტრიალდეთ, რომ ცოტა მიწას მეტი ნაყოფი გამოვაღებინოთ. მთავრობის დეკრეტმა ფართო ასპარეზი გაუხსნა პირად ინიციატივას.

დარო სრული ჭეშმარიტებაა.

ოთარ (არიმანს) ო, რა თქმა უნდა. ხა, ხა, ხა, ხა!

დარო დაიცა, ეს ჩვენთვის ჩინებული შემთხვევაა და ვისარგებლებთ კიდეც.

ოთარ მე არა მსურს.

დარო რატომ?

ოთარ (გაცეცხლებული) არ მინდა მოურავი, არ მინდა მოურავი!

დარო შენ როდის აქეთია ეს უკმეხი სიტყვა-პასუხი შეითვისე! გულს ნუ მისიებ თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი.

ოთარ დარო, ნუ შემოიყვან ჩვენს წალკოტში მესამე პირს, რომელიც სულ აგვირევს დავთარს.

დარო ეს შენ გეჩვენება მხოლოდ. გადავწყიტე, ჩვენი მამული თანამედროვე წესებზე მოვაწყო, ამისათვის კი საჭიროა სპეციალისტი.

ოთარ (ნერვიულად) ვიცნობ მე მაგ სპეციალისტებს.

დარო ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია და წერტილსაც აქა ვსვამ.

ოთარ დარო, გონს მოდი!

დარო ოთარ! კიდევ ერთი წინააღმდეგობა და მე შენი აღარ ვიქნები. მოემზადე დღესვე მივდივართ (კადის).

არიმან (ჩუმთ ოთარს) დაუთმეთ, თორემ თუ დედაკაცი ატყდა, შენი მტერია.

ოთარ (ბოდთასა სტემს).

ბიჭტორ (შემოდის მარჯვნივ კარებიდან).

არიმან (ოთარს) ესეც თქვენი მოურავი. (ბიჭტორს) წარუდექით!

ოთარ (ბიჭტორს სასტიკად) თქვენი გვარი?

ბიჭტორ ბუყიაშვილი.

ოთარ რაო?

ბიჭტორ ბუყიაშვილი.

ოთარ სად მიიღეთ სპეციალური განათლება?

ბიჭტორ რუსეთში.

ოთარ ცოლი გყავთ?

ბიჭტორ ჯერ არა, მაგრამ მალე მეყოლება.

ოთარ ჰო, ჰო, ჰო! ეყოლება, რატომაც არ ეყოლება!

ალეკ. და ნიკიფ. (შემოდიან მარცხნივ კარებიდან).

არიმან ბატონებო, ახალი ამბავი!

ალეკ. და ნიკიფ აბა, აბა!

არიმან ბატონი ბიჭტორ ბუყიაშვილი (ოთარზე) ამ პატიოსნებმა მოურავათ დაიქირავეს და დღესვე სოფელში მიჰყავთ

ნიკიფ. ოჰო!

ალეკ. ვაი, რა მეგობარს მაშორებენ (დადის ფითრამ შეწუხებული).

ნიკიფ. (ბიჭტორს) აფერუმ, ბიჭო მომილოცნია. ოთარ გობრონიძის ოჯახი პირველია საქართველოში და, თუ ჭკუით იქნები, ყველაფერი თავსაყრელი გექნება.

ოთარ (ბრაზით) ტყუილი იმედებია, არაფერიც არ ექნება.

ალეკ. (ვითომ გულჩუყებული) ბიქტორ, შე ულმერთო, დავიჯერო მართლა მრმატოვებ?

ბიქტორ რა ვქნა, თუ კი გარემოებამ ასე მოიტანა!

ალეკ. ალალი იყოს, ძმაო, ჩემი ოჯახის პურ-მარილი შენზე.

ოთარ ალექსი! არ გებრალები, ცოლი რომ გამიგიჟდა!

ალეკ. როგორ თუ გაგიჟდა!

ოთარ ამტეხია, გინდა თუ არა მოურავი დავიჭიროთო.

ნიკიფ. მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი. „იმისთანა საქმეს გიზამ, თვალებს გაცეცებინებო, ერთი კაპეიკის ნაცვლად თუმანს გასესხებინებო“, უთხრა ცოლმა ქმარსო, ამბობს ხალხური გადმოცემა.

ალეკ. (ოთარს) არა უშავს-რა, ნათლია ჩემო. ჯერ-ჯერობით როგორმე დაუთმეთ. თუ ეს საქმე არ გამოდგება, შეცდომას თითონვე გაასწორებს.

ნიკიფ. მით უმეტეს დაროსთანა ჭკუის კოლოფი.

ოთარ (ნიკიფორეზე) ჰმ! მოდი ეხლა და ამისი გაიგე რამე. ხან ჩემია, ხან სხვისა, ხან მტრისა, ხან მოყვრისა.

ალეკ. ტიპიური მანასე, ხან ისე და ხან ასე.

ოთარ ფუ ასეთ ყოფას! (გადის).

ნიკიფ (შიმოგულ ოთარზე) გაის ამ დროს, რომ მემკვიდრეს აუკიხვინებენ, მეცა ვხნავდიო, იტყვის ალბათ, ხა, ხა, ხა! (ბიქტორს) მგელი ფარეხში და ვირი ბოსტანშიო, ამაზე იტყვიან სწორედ.

ბიქტორ (ბრაზიანად თავისთვის) ვირიცა ხარ და ჯორიც.

არიმან აბა, ბატონებო, წავიდეთ ჩემს ოთახში და თითო ჭიქა კახურით გზა დაულოცოთ ახალგაზრდა მოურავს.

ნიკიფ. რა დიდებული აზრია! (შედიან ვეჯანი მარჯანიგ კარებში. იმავე დროს მოისმის მარცხენა მხრიდან მამიდის ხმა: მოითმინე, ნუ გარბიხარ, სულ ერთია ვერსად დამემალები. შემორბის ნუცა ნერვიული სახით, თან მოსდევს მამიდა).

ნუცა თავი დამანებეთ, თქვენთან ლაპარაკი არა მსურს. (ჯდება).

მამიდა რა თქმა უნდა, როგორ გეკადრება დიდი კაცის შვილს. მაშ გეგონა, ხმას არ ამოვიღებდი! უკაცრავად, ამ ოჯახს რომ დაეპატრონე, თავს გაგივიდა განა!

ნუცა ახ, რა ტანჯვაა, ღმერთო ჩემო, რა ტანჯვა!

მამიდა დედა შენი რომ მუდამ აქ ბრძანდება არაფერია და ქმრის საყვარელი მამიდა რომ ათასში ერთხელ გეწვევა, ქვეყნის დაქცევაა განა! ერთი მიმიშვით, მოუგრიხო ნისკარტა ცხვირი.

ნუცა ჩუმად, არ გაბედოთ დედი ჩემის ავად ხსენება.

მამიდა ხმა ჩაიკმინდე, თორემ მე ვიცი შენი! ჩემი თანხმობით შეგირთო და, თუ მოვინდომე, ისევე ადვილად გაგყრით, როგორც შეგყარეთ. განა დაგავიწყდა, ქალბატონო, ვადა გადასულს არავინ გირთავდა? ეხლა ადამიანს რომ დაემზგავსე, იბღინძები განა? ჩაი კრიპუსტით და ერთი ციცქნა პური. ჩემთვის ძვირობაა და დედაშენისთვის კი არა? აი აქ წამოვწვები და, ქალი ხარ, არ მემსახურები. ჭიჭინაზე რომ გასკდე, მაინც არ მოგეშვები. სამუდამოთ ჩამოვსახლდი, გესმის, სამუდამოთ. (გამოჩნდება მარცხნივ კარებში ალექსის სიდედრი თავშესვეული).

სიდედ. შვილო, ნუცა, ვინაა, ასე რომ იქაჩება? მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ? მართალია, შეუძლოთ ვარ, მაგრამ ამ კოდალას ჩანისკარტებას მაინც შევიძლებ.

მამიდა (თავის ქნევით) უფალო! ნუ შემიყვან მე განსაცდელში, არამედ მიხსენ ბოროტისაგან.

სიდედ. აბა, გაიმეორე, ქალბატონო, ვინ უნდა გაჰყარო? რა თავი მოგაქვს ამ შენი ალექსით. დაგავიწყდა, რომ თუ არ ჩემი მზეთ უნახავი, შენს უდღეურ ალექსის არავინ ცოლად არ მიჰყვებოდა! ზოგი დოყლაპიას ეძახოდა და ზოგი კიდევ ბუზიყლაპიასა.

ნუცა ჩუმათ, დედა ჩემო!

სიდედ. შენთვის ეგდე!

მამიდა თუ მაგას ერთი ჩემებურად არა ვდრუზე, უთუოდ შევიშლები.

სიდედ. აბა მობრძანდი! (დაიკარწახებს).

მამიდა თავი დამანებე, თორემ, თუ გეძგერე, სულ პანტასავით გაგიხდი მაგ შაკიკიან თავს.

სიდედ. აბა მობრძანდი და ვნახოთ.

მამიდა (ისიც დაიკარწახებს და გაექანება მისკენ).

ნუცა ალექსი, მიშველე! (მოხუცნი ერთმანეთს შეებმიან. გამორბიან მარჯვნივ კარებიდან ალექსი, არამანი და ნიკიფორე).

ალეკ. რას ჩადიხართ, შესდექით! (ნიკიფორესთან ერთად აზავებს. ამ დროს ორივეს მაგრად ჩასცხებენ მოხუცნი. ნუცას გაჭეავს სიდედრი, არამანი ამშვიდებს მამიდას).

მამიდა (სიდედრს) ხომ ნახე რასაც ეძებდი?

ალეკ. ეს კარგა ჩამცხეს.

ნიკიფ. არ ვიცი, ძმაო, ჩვენ ორში ვის უფრო მაგრა ჩასცხეს. ახია ჩემზე, რას ვერეოდი სხვის საქმეში.

არიმანი ეს იყო ინგლისური ბოქსი.

ნიკიფ. რას მეუბნებით, ეს იყო ბუქსი?..

არიმან ბოქსი და არა ბუქსი.

ნიკიფ. ჰმ. დავიჯერო ეს მოუსვენარი ინგლისი ამ საქმეშიც ჩაერია!

მამიდა (ალექსის) ყური მიგდე! უნდა დღესვე გაეყარო.

ალეძ. ვისა ქა, ჩემს ნუციკოს?

მამიდა არ მაფასებს, არა მცემს შესაფერ პატივს, ან გადაჩვიე ან გაეყარე.

ალეძ. ვაი შენ ჩემო თავო, მერე და როგორ გაბედა, ეს როგორ გაბედა მეთქი?

მამიდა მე შენ გითხრა, შენი შეეშინებოდა.

ალეძ. დამშვიდდი, მამიდა, ყოველივე გაივლის.

მამიდა სთქვი, გაეყრები, თუ არა!

ალეძ. რას ამბობ, მამიდა, ძლივს ცოლი მაღირსა ღმერთმა და გავეყარო.

მამიდა ან მე ან ის, აირჩიე ორში ერთი.

ალეძ. შენც მიყვარხარ, ისიც.

მამიდა თუ ცოლს ვერა სთმობ, სიდედრი გააგდე.

ალეძ. არც ეს შეიძლება.

არიმან (მამიდას ჩუმათ) ერიჰა!

მამიდა რატომ?

ალეძ. ცოლს ეწყინება და ვაი თუ გამექცეს.

მამიდა. მაშ მამიდას სიდედრი გირჩევნიან?

ალეძ. ახა, ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა. მამიდა მოდი, შევრიგდეთ, შენი ჭირიმე.

მამიდა იქით, შე ლაჩარო, შე ქალაჩუნა, შენა.

სიდედ. (გამოჩნდება მარცხენა კარებში უკანიდან ნუცა ებდაუჭება) გამიშვი მეთქი გეუბნები.

ნუცა (სიდედრს) ადამიანო, წამო სახლში.

სიდედ. თავი დამანებე, ერთი მიმიშვი, ბარემ ვიჯერო გული.

მამიდა (წამოხტება და დაიკარწახებს) გამოდი!

სიდედ. (წინ იწევს მუშტის მოდერებით) ა, ტა—ტა—ტა, ტა!

ნუცა (არ უშვებს).

მამიდა (ისიც იწევს) ა, ტა, ტა, ტა! (არიმანი არ უშვებს).

ნიკიფ. ხედავთ ინგლისი რა ამბებშია!

მამიდა გამიშვი, შე უღმერთო, გასკდა გული.

არიმან (მამიდას) ჩემი რჩევაა, დღესვე გაეცალოთ, თორემ წვენში დარიშხანას ჩაგიყრიან.

მამიდა გულთმისანია, გულთმისანი. შენ ეი, ბიკო ვანო, დაიხურე ქუდი, მივდიეართ. (შედის მარცხენივ კარებში. მიხა და თებრო კამოდიან იმავე კარებიდან.

ბარგი-ბარხანით და გადიან შუა კარებში. იმათ შემდეგ დარო და ნუცა გამოდიან).

ნუცა ალექსი, ჰხედავ, რა ამბებია!

ალექ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, რაკი თითონ ასე ინებეს, მე რაღა მეთქმის. მშვიდობით, ძვირფასო დარო! (ხელზე ეამბორება).

არიმან (ისიც ხელზე ეამბორება).

დარო აბა ეხლა ჩემს მოურავს დამიძახეთ!

ბიძტოლრ (გამოდის სამგზავროთ გამოწყობილი ჰატარა ჩემოდანით და სავვოიაჟით მარჯვენა კარებიდან). აი მეც მზათ გახლავართ.

არიმან აბა ეახელით.

ბიძტოლრ (გაუერის მკლავს მკლავში და გადიან).

ოთარ (გამოდის სწრაფათ და რა შეასწრებს ბიქტორს თვალს) არ მინდა მოურავი, არ მინდა მოურავი! (გადის და კულისებშიაც მიაძახებს) არ მინდა მეთქი მოურავი!

მამიდა (იდდიაში ორი ქათამი ამოუჩრია).

ვანო (ცალიერი ტიკეტორით).

ალექ. ოჰო! ქათმები ისევ მიჰყავს.

არიმან ხა, ხა, ხა!

ნიკიფ. შენი გულისა, რა სეირში ვარ.

არიმან ალექსი! რადგან ბ-ნი ნიკიფორეც მიბრძანდება, მიეცით მამიდასთვის სახარჯო ფული. გზაც იქითკენ აქვს და ბარემ სახლამდის მიაცილებს.

ალექ. (ნიკიფორეს) როგორ, შენც მღალატობ!

ნიკიფ. (თავისთვის) დალახვროს ღმერთმა, წასვლა არ მიფიქრია და...

ალექ. (ჯალეგს ფულს) რა მიგაჩქარებს?

არიმან მერწმუნეთ, თქვენი წასვლიდ მეც მიკვდება გული, მაგრამ ეს გიჟმაჟი თებრო, რომ არ გისვენებთ! ერთიც ვნახოთ, შეგითრიათ ვანის ოთახში და შეგაცდინათ წმინდა კაცი. ვაია წასვლა, ვუია წაუსვლელობა. ნეტა რას ჩაგციებიათ ეგ წყეული ქვრივი. (ალექსის) თქვენი ოჯახი ლამის მაცდურების ბუდეთ იქცეს. (ალექსის ეჩურჩულება).

ნიკიფ. (თავისთვის) მე შენ გიტირებ დედას, თუ კაცი ვყოფილვარ.

არიმან (უეცრივ მოხედავს ნიკიფორეს) ფეხებსაც ვერ მომეკამთ.

ნიკიფ. უკაცრავად, მე მიბრძანებთ რამეს?

არიმან (ზრდილობიანი დიმილით) არა, ბატონო, არა.

ნიკიფ. ეხ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ალექ. მომიკითხე ჩვენები დიდი სიყვარულით.

არიმან მშვიდობით და გამარჯობით! გამოთხოვების ჟამს არ შემიძლიან, არ გამოვსთქვა გულწრფელი აღტაცება თქვენი ნიჭისა და უაღრესი გონებამახვილობის გამო. გამოგიტყდებით, რომ თქვენზე ძლიერ ჯერ კაცი არ შემყვარებია. როცა მოვიცლი, უთუოდ გნახავთ.

ნიკიფ. რა საუკუნო დავალება იქნება! (თავისთვის) წადი, შენი სული არ იყოს. (კედის სწრაფად).

ალექ. და **არიმან** (თან გაჭეშვებიან ნელი სიცილით).

თეგბრო (შემოდის შუა კარებიდან) გვეშველა, გვეშველა. ოი ფუფალავ, დაილოცოს შენი სამართალი. (კედის მარცხნივ კარებში. მოისმის კულისებიდან სიცილ-კისკისი).
(ნუცა, არიმან და ალექსი).

არიმინ (შემოიდაუბარაკებს) რას იტყოდით, ბატონო ალექსი, ცოტა ხნის შემდეგ, რომ მეორე პარტია მოგადგეთ კარს?

ალექ. აბა გაბედონ. დავდგები აქ და კუდით ქვას ვასროლინებ იმ უნამუსოებს.

ნუცა ხა, ხა, ხა! დამიხედეთ როგორ იქაჩება.

არიმან ნახეთ ბიჭი! ეს იმდენათ გაეშმაკდა, რომ მართლაც გადირჩენს თავს. ვაშა, ალექსი ვაშა! გიმეორებთ ამ საქმეში ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ. აგერ ბეჟიკოც.

ბეჟიკო მომილოცნია და მომილოცეთ.

ყველანი როგორ?

ბეჟიკო ჩემი სტუმრებიც ვიფრინე.

ყველანი მართლა!

ბეჟიკო დიახ, დიახ. უნდა გითხრა ჩემო ალექსი, რომ დიდი ოხერი ვინმე ვყოფილვარ და აქამდის არ ვიცოდი.

ყველანი (იცინიან) მერე, მერე!

ბეჟიკო ღმერთო ჩემო, სად იყო ეს დაუშრეტელი ენერგია, სად იყო ის ცეცხლი, რომელიც თურმე ჩემს არსებაში ასე უხვად გუზგუზებდა. ისეთი სიცხე მივეცი, ისეთი რომ... თუმცა, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, არც იმათ დამაკლეს.

არიმან ეს არაფერი. ყოჩაღ!

ალექ. აბა ნუცა, დატრიალდი შენებურადა. ამ გახარებულ გუნებაზე ერთი წაგვაქეიფე.

ნუცა ეხლავ, ეხლავ. (მიდის).

არიმან ქალბატონო ნუცა, ცოტა ხნით.

ნუცა (შედგება) ბრძანეთ.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ბატონებო! მალე ჩვენი განშორების ზარიც დაირეკება.

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ რას ამბობთ, როგორ თუ განშორების?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ მეც მივდივარ.

ᲑᲔᲣᲘᲙᲚ საით ბატონო!

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ საცა საჭირო ვარ.

ᲜᲣᲪᲐ ღმერთო ჩემო, რა საწყენია.

ᲐᲚᲔᲫ. ვაი შენ ჩემო თავო! გაჭირვების ტალკვესო, ნუ მიზამ ამ საქმეს.

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ განა სამუდამოდ გშორდებით. ჩვენი ცხოვრების ჭრელ ასპარეზზე არიმან ვახრაკიძეს ხშირად იხილავთ.

ᲐᲚᲔᲫ. რომ არ გაგიშვათ?

ᲐᲠᲘᲛᲐᲜ ეხ, ნუ იქნებით ეგოისტნი. „განა კაცი ეჩო არის სულ თავისკენ მიითლიდეს“. თქვენ ერთი პატარა რგოლი ხართ იმ დიდი მექანიზმის, რომელსაც ჰქვიან ქართველი ერი. ნუ დაივიწყებთ, რომ დიდი ბატონი—ახალი ცხოვრება—მოდის და თუ ნიადაგი არ განუმზადეთ, გაჯავრდება და ყურებს აგვიწევს. (თვისი ხაერდოვანი ბარიტონით გუდკეთიდან ხარხარებს. სხვები ტაშს უკრავენ).

ᲤᲐᲠᲓᲐ.

პრიფაცი

აკაკი პაპავა

ფიქრები თეატრის კრიზისზე

2

რომ უფრო კარგად გავითვალისწინოთ იდეალურ თეატრის ყოველი მხარე და მას ზედმეტი ნაშენი, სქოლასტიური კანი ჩამოვაშოროთ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ თეატრის განვითარების გზას ამ ულანასკვნელ საუკუნოებში და მის საერთო ტენდენციას. რაკი ჩვენ უმთავრესად გვაინტერესებს ქართული თეატრის ბედი, განსაკუთრებით შევჩერდებით იმ ხასიათის თეატრზე, რომელსაც ჩვენში დიდი გავლენა ქონდა და დღესაც აქვს, რის გამო ახალი სკოლა ფეხს ვერ იდგამს და ტრადიციულ თეატრს სიცოცხლის ძალას ჯერ კიდევ ვერ აცლის.

საზოგადოდ ცნობილია, რომ თეატრი უფრო მეტ ჯიუტობას იჩენს და კონსერვატიული ხასიათის მატარებელია; მას არ უნდა დიდხანს გასწყვიტოს ძველ ზნე-ჩვეულებასთან.

„არ არის არც ერთი სალიტერატურო ჟანრი“, ამბობს რენე დუმიკი, „საცა უფრო სჭირდეს ტრადიციის დამარცხება, მინამ თეატრში. აქ ავტორები, აქტიორები და პუბლიკა ერთნაირად კონსერვატორები არიან და ახლოვდებიან, რომ წმინდად დაიცვან ძველ დროით ნაკურთხი ჩვეულებანი და მემკვიდრეობით გადმოცემული ზნე. თვით თეატრის მორთულობაში და დეკორაციებში ინახება ფარული ძალა, რომელიც წინააღუდგება ახალ მეთოდის შემოღებას“.

აი, ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ რუსეთში საზოგადოდ და კერძოდ, მიუხედავად მრავალ ენერგიულ ძიებათა, მაინც ძლიერია ძველი ტიპის თეატრის სახე.

მე მოგახსენებთ რომანტიულ თეატრზე და კერძოდ მელოდრამაზე, რომელთაც დღესაც დიდი გასავალი აქვს ჩვენში გარეგნული ეფექტების წყალობით.

თითქოს ქართულმა სცენამ გარდალახა ეს დრო და რეალიზმის სფეროში შეიჭრა, მაგრამ, ცხადია, ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ დიდ კონსერვატორობას იჩენს; მას ამ მელოდრამაზე აღზრდილს, არ შეუძლია შეეგებოს სიმპატიით რეალურ დრამას და იგი ინსტიქტით ითხოვს ავტორისაგან რეალიზმის საზღვრების

გარდალახვას. თეატრსაც, ძალა უნებურად უხდება ანგარიშის გაწევა ამ მოვლენასთან და ჩვენს სცენაზე ძველი რეპერტუარი ჯერ კიდევ ზეურყევლად რჩება ისტორიულ დრამეისა და მელოდრამების სახით. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, დღეს ისეთი პირებიც გაჩნდენ, რომელთაც ესმით ამ ხალხის გემოვნება და თავისი მოქმედება შეუფარდენ მოთხოვნას.

გადაკეთებული მელოდრამის სახით: „ქრისტინე", „ჩვენი ქვეყნის რაინდი" და სხვა აუარებელ საზოგადოებას იზიდავს და ეს ყალბი დრამატიული განვითარება ნასკვნისა და ცრუ ტრაღიკული პოზები, ეფექტები, ცრემლთა ზღვას შობენ ჩვენს საზოგადოებაში. ცხადია, რეალიზმისა და ნატურალიზმის თეატრის ხანაში ძლიერია რომანტიზმის თეატრის მოტივები.

დროა, ჩვენმა ხალხმაც იგრძნოს მთელი ეგ სიყალბე და მით თანამედროვე თეატრსაც გზა გაუხსნას ბუნებრივ ზრდისაკენ. დროა სავსებით გავიგოთ იაფ-ფასიან ეფექტაციების ღირებულება.

ევროპაში ამას კარგა ხანია, რაც მიხვდენ... რომანტიულ თეატრსა და მელოდრამას დაბადებითვე თან დაყვა მისი ადრე მომაკვდინებელი ძალები და ამ ძალებმა მალეც დაასამარა იგი...

ჩვენში ეფექტების თეატრი, რომანტიულის სულით, პირდაპირ შემოიჭრა. მას არ შეხვედრია დაბრკოლება კლასიციზმის სახით. სულ სხვა გვარად მოხდა ევროპაში, რომლის ხელოვნების მსვლელობის დამახასიათებელია კერძოდ საფრანგეთის ხელოვნება. იქ რომანტიზმი ბუნებრივი რეაქცია იყო კლასიციზმის წინააღმდეგ

კლასიციზმმა დოქტრინალური ხასიათი მიიღო და დავითის სკოლა თავის თავს „ბერძენთა მიმდევარს" ეძახდა, მაგრამ იგი უფრო ცრუკლასიციზმის ხანას სახავდა. ეს კლასიციზმი გამეფებული იყო თეატრშიაც, როგორც საზოგადოდ პოეზიაში. მე-XVIII საუკუნის მიწურულს პოეტი რომანტიკოსი ბერშუ, ამხედრებული ამ კლასიციზმის წინააღმდეგ, გაიძახის:

„Qui me dèlivrera des Geecs et des Komanis?" (ვინ მიხსნის მე ბერძენთა და რომაელთაგანო?)

ამ კლასიციზმის გეგემონიის წინააღდეგ შემოიჭრა ძლიერი შუქი რომანტიზმისა და მან თეატრიც ჩაიგდო ხელში, კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ.

საუკეთესო დამცველი რომანტიულ თეატრის თეორეტიულ მხარისა იყო შლეგელი (Courde. litt. dram).

თუმცა თვით მელოდრამა ალ. დიუმას პიესებით იწყება (მამის), მაგრამ მის საუკეთესო წარმომადგენლად სამართლიანად ითვლება ცნობილი პოეტი ვიქტორ ჰიუგო.

აქ ჩვენ სულ მოკლედ შევეხებით ამ დრამების ნაკლს, რომ მით ნათელ ვყოთ, რამდენად ძლიერია ჩვენშიაც ამ გვარი იაფ-ფასიანი ხელოვნების თეატრის ტრადიციები, და რამდენად სტყუვდება ფართო საზოგადოების გემოვნება, რომელიც ჩვენს თეატრს განვითარების გზას უხშობს, მის ახალ ძიებას არ იზიარებს და სკეპტიკურად უცქერის.

თვით ჰიუგოს პიესების დიდ სახელს შემდეგნაირად ხსნის რენე დუმიკომი: „ხალხი გაუნათლებელი და გემოვნება განუვითარებელია, მას უყვარს წარმტაცი სანახაობა. იგი გრძნობს საჭიროებას, რომ სულის სიღრმემდე შეძრწუნებულ იქმნას. საჭიროა, რომ მისი ნერვები მუდამ დაჭიმული იყონ. მისთვის არ არსებობს უფრო დიდი ნეტარება, ვიდრე გრძნობა შეძრწუნებისა და შფოთისა შიშისაგან, ზარისაგან და თანაგრძნობისაგან. მას უსაზღვროდ უყვარს სიკვდილის სცენები და წყვდიადისებური მდებარეობა“.

და ყველა ამ თვისებებს ჩვენ ვიპოვით ვ. ჰიუგოს დრამებში. ეს დრამები გარეგნულადაც ატარებენ ამ ეფექტების და სიყალბის სახეს: „იგი მოითხოვს განსაზღვრულ დეკორაციებს და აქსესუარებს, რომელთაც საჭიროებენ ბნელი მახინაციები, მოულოდნელობანი, კენწლაობანი, სიკვდილი, ქალთა მოტაცება და სხვა, საიდანაც შეთხზულია ამ ჟანრის პიესები. და ეგ აქსესუარებიც აუარებელია ჰიუგოს პიესებში: სასახლეები, რომლის ქვეშეთ აღმოშენებულია ციხე, საცა ვერ აღწევს ვერც ერთი სხივი; ხვრელები, მალული კარები, დარკინული ფანჯრები; საიდუმლოებანი ამოფარებულნი ან ფარდის, ან სურათის უკან; აგურის ფერი მოსასხამნი, დიდ მინდვრიანი ქუდები, ნიღაბები, რომლითაც იფარვენ სახეს გმირები ან ავაზაკნი და გამცემნი. ამ გარდერობთან მთელი აფთიაქიც ნარკოტიულის საშუალებით, რომელნიც იწვევს ძილს, მზგავსს სიკვდილისას; სხვა და სხვა გვარისა და ჯიშის საწამლავები, რომელნიც მოქმედებენ წუთის, დღის, თვის და წლების განმავლობაში, ახლო და შორს, კლიენტის სურვილისამებრ. მიუმატეთ ამას საგვარეულო პორტრეთები, მედალიონები და ჯვრები დედისაგან, რათა დაამოწმოს, შემთხვევისას; თავისი შვილის პიროვნება. სხვა და სხვა საიდუმლო გასაღებები, კუბოები, ცული, ხანჯალი, ფარი, სანთლები, ჩირაღდნები, მიხაკის ფერი ტომრები, მკვდრების დასაფარავად; შავი მაუდის ნაჭრები, ვერცხლის სირმებით მორთული და „ყველა ნივთები“ დასძენს კრიტიკოსი, „რომლებიც შეადგენენ საკუთრებას დამშარხველ პროცესიის ბიუროებისას“.

4

ამ გარეგნულ ფორმებს სავსებით შეესაბამება შინაგანი მოქმედება და ფაბულის განვითარებაც. აქაც ყველაფერი მოულოდნელობაზე და შემთხვევებზეა აგებული.

პირველი დამახასიათებელი თვისება ამ დრამებისა მდგომარეობს არაჩვეულებრივ **სიტუაციების** გამოხატვაში, რომელნიც შობენ სრულიად მოულოდნელ ეფექტებს.

ეგ სიყალბე აშკარა ხდება იქედან, რომ პიესის მოქმედებაში არავითარი ლოღიკა არ არსებობს. ყოველ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს, რომელიც მას აძლევს შესაფერ მიმდინარეობას. აქ ჩვენ გვესმის ამ ლოღიკის ძალით, რომ სწორედ ამ სახით უნდა მომხდარიყო ესა და ეს მოვლენა ე. ი. მხატვრულად ვტყუილდებით.

ჰიუგოს დრამებში კი არავითარი ლოღიკა არ არსებობს. მომქმედნი პირნი ლაპარაკობენ წინააღმდეგ იმისა, რაც უნდა თქვან და სჩადიან იმას, რასაც არ უნდა სჩადიოდენ, „ეს ერთად ერთი კანონია, რომელსაც ისინი მიდევენ". აქედან ცხადია, რომ პრინციპებს და განცდას ეწინააღმდეგება მოქმედება და სიტყვა ამ პიესებში.

აი, ასეთია მეორე მხარე ამ დრამების დამახასიათებელი—**ეფექტები** და ფსიხიური ანტოგონიზმი.

მესამე—მდგომარეობს დაუსრულებელ **დეკლამაციაში**. ისინი აღელვებულად ეწევიან ამ დეკლამაციას, მაგრამ უკანასკნელი არ უდრის არავითარ შინაგან იმპულს და, ამის გამო, თვის სიყალბით მსახიობთ მარიონეტკებს ამსგავსებენ, რომელთაც კულისების უკან მართავს იმპრესარიო.

მეოთხე—**მოქმედების უქონლობაში** გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასე თრთოიან, ღელავენ და ფართო ფრაზებს ისვრიან, პიესაში სულის მოძრაობა სრულებით არ მოიპოება, არ არის მოქმედების ნასახი. აქ მხოლოდ ტიკინების თამაშია, რომელნიც ცრუ კლასიკურის პათოსით გაიძახიან: „იცით თქვენ თუ რას ნიშნავს დროშა? ხმლის პრიალი, როცა ზედ სამშობლოს თავისუფლება აღიბეჭდება სისხლის ასოებით" და სხვა...

ამგვარი ყალბი და ცრუ ტრაგიზმი გარეგნულ რიხს აჩვენებს მსახიობთ და სულის მოძრაობის გზას უხშობს. ამიტომ არის, რომ ჩვენ მსახიობთ დიდი გარდაქმნა სჭირია, რომ ახალ დრამას, სულის და მოქმედების, და არა ეფექტების დრამას, შეეჩვიონ.

კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება მელოდრამისა არის **ანტიტეზები**.

მთელი პიესები ამ ანტიტეზებზეა აგებული: მეფეს უეკველად უპირდაპირდება გლახაკი, ახალგაზრდას—მოხუცი, მდიდარს—ღატაკი, ლამაზს—მახინჯი, ზნეობრივს—უზნეო და სხვ. არც ერთ ამაში არ არის სინამდვილის სახე, ტიპიურობა, არ არის სიმართლე.

ავტორის მიზანს გრძნობათა ამოძრავება კი არ შეადგენს, არამედ მხედველობის განცვიფრება; და ჩვენაც გვაკვირვებს მოულოდნელი სიტუაციები, ეფექტაციები და სხვ., მაგრამ უკვირს თვალებს, ხოლო გული ჩვენი გაყინულია, გრძნობა ცივი, სული უმოძრაო.

აი, როგორ კლავს ამ ხასიათის დრამა თეატრის სიყვარულს და ხელოვნების ძალას. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცნოს მისი ყალბი საფუძველი და, ერთხელ და სამუდამოდ, გასწყვიტოს მასთან, თუ არ უნდა მუდამ პრიმიტიულ გემოვნებას შერჩეს...

5

ამგვარმა კონტრასტმა სინამდვილისა და პოეტის და კერძოდ თეატრის შორის გამოიწვია ახალი რეაქცია რომანტიზმის წინააღმდეგ. აშკარა გახდა მთელი სიყალბე მისი საძირკვლისა და ახალმა მხატვრებმა საჭიროდ დაინახეს—ცხოვრებას, სინამდვილეს დაბრუნებოდენ. მთელი ცხოვრების აღწერა აუცილებელ საჭიროებად იცვნეს და თან შეეცადენ—არც ერთი უმნიშვნელო მხარე არ დარჩენოდათ და არც ერთი წერტილი, არა სინამდვილიდან აღებული, არ დაერთოთ მისთვის.

ასეთმა მიმართულებამ წარმოშვა ნატურალიზმი; იგი ემყარებოდა უმთავრესად ბუნებას და მის კანონებს და მის გარეშე არა სწამდა რა. მაგრამ ამ მიმართულებამაც მალე აშკარა ჰყო მთელი თავისი უძლურება, რადგან საგნის დეტალური აღწერა, მისი ფოტოგრაფიული გადმოცემა უბრალო მექანიკური პროცესია, რომელიც უმწვერვალესობამდე აღწევს, და არა ხელოვნება. ხელოვნება ყოველთვის მეტია, ვიდრე სინამდვილის უბრალო სურათი, როგორც ამბობს ბ-ნი ტენი.

გარდა ამისა, ყოველ წვრილმანის ერთნაირი აღწერა უსიცოცხლო სარკეა, რომელშიაც არ არის არაფერი მთავარი, **იდეა**. ნატურალისტ მხატვარს არ ეძლევა უფლება: რაიმე თვისებას მეტი ყურადღება მიაპყროს, მთელი შემოქმედების სიმბოლოდ იგი აქციოს და, ამრიგად, იდეალური მხარე და იდეა დაგვისახოს.

ასეთი იყო ეგ მშრალი ნატურალიზმი, რომელიც მხატვრულის ნაცვლად მეცნიერულ კვლევა-ძიების გზას ადგებოდა.

ცხადია, ამგვარი მიმართულება დიდხანს ვერ გამეფდებოდა მწერლობაში, საზოგადოდ, და კერძოდ დრამატიულ შემოქმედებაში და, მაშასადამე, სცენაზეც.

ნატურალისტურ თეატრის დღეებიც დათვლილი იყო; მე აქ არ გამოვუდ-

გები დაწვრილებით ნატურალიზმის თეატრის უსაფუძლობას, მოკლედ იგი აღნიშნე კიდეც.

მით უმეტეს ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის, რადგან ქართულ სცენაზე მას თითქმის არასოდეს არ სჭერია ადგილი, ხოლო ქართულ მწერლობაში ეს გზა. გ. წერეთელმა და ორიოდე სხვამ გადმოიღეს, მაგრამ მას დაბადებისათანავე აეგო წესი...

6

მშრალ ნატურალიზმის წინააღმდეგ გამოვიდა, უმთავრესად, ორი მიმდინარეობა, რომელთაც შეერთებულის ძალით უნდა დაემარცხებინათ პირველი, რომ შემდეგ თვითვე გაემართათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ეს იყო მისტიციზმი ერთის მხრით და მეორეს მხრით რეალიზმი.

ჩვენ ორთავეზე შევჩერდებით მოკლედ, რადგან ქართულ სცენაზე ორივე მიმდინარეობას ქონდა და დღესაც აქვს ადგილი...

რამდენადაც ხილულ სინამდვილის დაწვრილებით აღწერას ყურადღებას აქცევდა რეალიზმის თეატრი, იმდენად მას უმნიშვნელოდ სტოვებდა ან, უკეთ შემთხვევაში, უცნობის სიმბოლოს სახეს აძლევდა მისტიური სცენა. სინამდვილე საგანთა და მოვლენათა მისტიურ სცენაზე არსებობს არა იმ სახით, როგორადაც იგი ეჩვენება ადამიანს, ან როგორადაც იგი კინემატოგრაფის ლენტზე აღიბეჭდება, არამედ სულ მეორე მხარით; ყოველ საგანს აქვს გარდაღმა მხარე, რომელიც მისი მთავარი აზრი და შინაარსია და რომლის უბრალო სიმბოლო საგანია. იგია გარდაღმა ქვეყნის მხარე, საგანთა სულიერ სამეფო, რომელშიაც ქვეყნიური ქაოსი და უაზრობა ყოფას ურიგდება და მტკიცდება ჰარმონიულად. წაართვით იგი საგანს და უკანასკნელიც უსულოდ და უმნიშვნელოდ იქცევა... მაშასადამე საჭიროა „იმა ქვეყნის ხელშეხება“, მისი მიწვდენა და ამით საუკუნოებასთან ზიარება, კოსმოსთან დაკავშირება ორგანიულად; მაგრამ ამ ქვეყნიურის, რაციონალურის საზომით ვერ მიხვალთ ამ საიდუმლოების სამეფოსთან, მას ემპირიულად ვერ განვმარტავთ, შეიძლება მხოლოდ მისი ძალის გრძნობა, თუ საგანთა მეორე მხარეს მივაპყრობთ ყურადღებას.

მაშასადამე, მისტიურმა თეატრმა უნდა ეცადოს საგანთა და ამ ქვეყნიურ სინამდვილის გადმოცემა კი არა, არამედ მოვლენათა მეორე მხარის გრძნობის ილიუზიის შექმნა. ამას იგი აღწევს ღვთიური ექსტაზის მპყრობელ ძალით, მისტერიული ღვდელ-მოქმედებით.

მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ სცენაზე სჩანს მარტოოდენ სული ადა-

მიანთა და საგანთა და სცენაზე მოქმედება მხოლოდ სულის მოძრაობად უნდა მიაჩნდეს მას. უნდა სავსებით განთავისუფლდეთ ამ ქვეყნიური სინამდვილის გავლენიდან და მისი ხილვიდან, რომ ამ სულთა სამეფოს დაუახლოვდეთ, რომელიც ნამდვილი სინამდვილეა, ემპირიულის შინაარსი.

და აი, მისტიური პიესების მწერალი, მეტერლინგი უმთავრესად ამ გაორების მხატვარია. მისი აზრით, იმ საიდუმლო ქვეყანას აშკარად გრძნობს ამ ქვეყნის პირველულობიდან თავისუფალი პიროვნება, რომელსაც სიმბოლიურად „ბრმის“ სახით გადმოგვცემს დრამატურგი.

ბრმა ეს ისეთი სიმბოლოა, რომელიც, განთავისუფლებული გარეშე (ემპირიულ) ქვეყნის ხილვის აუცილებლობიდან, სჭვრეტს ყველა სიღრმეს და არსებას საგნებისას.

„მუდამ დაიბნევი, თუ არ დახუჭავ თვალებს,“ ამბობს მეტერლინგის გმირი.

იმავე წელს, როცა ავტორმა დასწერა „მონა-ვანა“ მან გამოუშვა ფილოსოფიური ეტიუდების კრებული: „Je Frésor des humbles“, რომელშიაც განმარტა თავისი აზრები: სიჩუმის, ქალის, მისტიურ მორალის და სხვათა შესახებ.

აქ მან თავისი მსოფლხედვა დაუკავშირა კანტის სისტემას: იმ საგანთა შესახებ, რომელნიც ჩვენს გარეშე არსებობენ, ჩვენ ვიცით მარტოოდენ იმ მოქმედებით, რომელსაც ისინი ჩვენზე ახდენენ. თვითონ საგნები თავის თავად ჩვენთვის უცნობნი რჩებიან. ჩვენ ვცხოვრობთ, ამბობს მეტერლინგი, ორგვარ ცხოვრებით. ერთს ეკუთვნის: აზრი, გრძნობა და მოქმედება რამდენადაც ესენი შეგნებულნი არიან და ამ ცხოვრებას იგი უწოდებს გარეშე, არა ნამდვილ ცხოვრებას, ხოლო ნამდვილი ცხოვრება სულისა, რომელიც მეტყველებს სიჩუმით... მისი წიაღი ჩვენთვის საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მისთვის კი ყოველივე: სიცოცხლე, სიყვარული და სხვა.. წინასწარ განმარტებულია.

წ ე რ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე

1

ჩვენ დავინახეთ, რომ თეატრის განვითარების გზა იმავ კანონებს მიზდევს, რომლითაც ლიტერატურა მიმდინარებდა.

ამ დაუცხრომელ ძიებათა დროს კრიზისი უფრო და უფრო მწვავდებოდა, რადგან საშინელის სისწრაფით სცვლიდენ მიმდინარეობანი ერთი მეორეს... საბედისწერო ხლართებში გაება თეატრი და საჭირო იყო გზა ხსნილის ჰოება და გაშლილ მტკიცე ნიადაგზე დამყარება ან და მისი სრული უარყოფა, როგორც ხელოვნებისა.

ეს უკანასკნელი, როგორც დავინახეთ შეუძლებელი გამხდარა; მაშასადამე

საჭირო იყო კიდევ ახალი გზების გამოძებნა, რომლის სახით შესაძლო გახდებოდა თეატრის ახალის სახით აღორძინება.

აი, სწორედ ამ დროს თავი იჩინა გერმანიაში ცნობილ რეინჰარტის თეატრმა, რომელიც შეეცადა ელინურ ტრაგედიის აღდგენას... ამგვარი ცდა ლიტერატურაში კერძოდ არა ერთხელ გამოსჭვიოდა, მაგრამ საუბედუროდ, აქ იგი, უმეტეს შემთხვევაში, საშინლად მარცხდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ ცნობილ პოეტის, ჰენრიხ ჰეინეს ლტოლვა ელინიზმისადმი, რომელიც მიუხედავად ავტორის ხალისიან და სილაღით სავსე განცდათა, მიუხედავად მის მდიდარ ბუნებისა, ყველა ამ თვისებათა და მაღალ ნიჭის მიუხედავად, ეგ ლტოლვა ხორცშეუსხმელი დარჩა და საშინელ დამარცხებით გათავდა, მის ელინიზმს უბრალო, უვნებო ჭვრეტითი ხასიათი ქონდა, რის გამო, მას სამართლიანად, პლატონიურ ელინიზმს უწოდებენ.

ეს, რა თქმა უნდა, კიდევ არ მოწმობს ელინიზმის აღდგენის აბსოლიუტურ შეუძლებლობას ლიტერატურაში, მაგრამ დღევანდელ პირობებში იგი შეუძლებელი ხდება, რადგან თანამედროვე ბუნება დაწეწილი, ნება დაქუცმაცებული ადამიანი ვერ ეზიარება ელინიზმის მთლიანობის იდეას.

საჭირო იყო უმაღლესი ნიჭისა და შეუდარებელ ჭკვის ადამიანი, გენიოსი, რომლისთვისაც მსოფლიო ნება და აზრი გასხივოსნებულად გადაშლილიყო, და რომელსაც ქვეყნიური საიდუმლოება თვის ახსნილობით ტანჯვისაგან იხსნიდა.

ასეთი ადამიანი, გენიოსი იყო გიოტე, რომელმაც განავითარა ელინიზმის ჭვრეტითი მომენტი, მისი აპოლონიური დასაწყისი. გიოტე-ფილოსოფოსი, განთავისუფლებული ფაუსტისებურ იჭვნელობა—უძლურებისაგან.

მეორეს მხრივ, საჭირო იყო ელინური ჭირვეულობით შეპყრობილი ადამიანი, ჰენიოსი, რომლის გულს ანთებს ვნების ცეცხლი და რომელიც ამ უშრეტელ ცეცხლზე სჭედს ფოლადის ნებას.

ასეთი იყო უკვდავი ნიცშე, ნიცშე-ზარატუსტრა, რომელმაც სრულჰყო მეორე მხარე ელინურ მთლიანობისა, დიონისიური დასაწყისი. ვნების ნაკადი, წმინდანი გრძნობა.

ამ რიგად ჩაისახა გენიოსთა ბუნებაში ორი დასაწყისი ელინიზმისა: აპოლონისა და დიონისეს; მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი იყო; აქ კაცობრიობამ, ევროპის შვილმა მარტოკა ელემენტები პოვა ელინიზმისა, მაგრამ არსად იყო მისი სინტეზი, არ ჩნდა მათი შემაერთი ძალა (ნიცშეს შემოქმედებაში აპოლონიური დასაწყისი სუსტია, დიონის იური კი სჭარბობს), არ იყო მათი ჰარმონია. მაგრამ ეს ხომ რჩეულთა გზაა მარტოოდენ და არა საზოგადოდ, თანამედროვე კულტურის მატარებელ კაცობრიობისა.

გიოტეს ნეოელინიზმი მარტო გიოტეს ბუნებაში ბინადრობდა, საცა მას მდიდარი მასალა ეპოვნა გენიოსურ უშრეტლობაში. იგი ვერ გახდა კრებულობით თვისებად, ვერ იქცა უნივერსალურად და თანამედროვე კაცობრიობა მას ვერ ეზიარა.

ევროპის ადამიანი ვერ ესხეულა ორგანიულად ამ ნეოელინიზმს და მათ მომდევნო მწერლებმა მარტოოდენ დაწვრილმანეს და დაახურდავეს ელინიური მთლიანობის მცნება...

ყოველი შეურიგებლობა, აღშფოთება, უენებო ადამიანთა კაპრიზი დაუკავშირეს დიონისის კულტს და აქედან, ნეოელინიზმის ნაცვლად, მარტოოდენ ლიტერატურული დეკადანსი განვითარდა...

2

რაკი ლიტერატურაში სავსებით დამარცხდა ნეოელინისტური შიმდინარეობა, საკითხს სულ სხვა მხრიდან მოუარა ევროპამ და შეეცადა ძველი, ელინური ტრაგედია მაინც აღედგინა. ეს იდეა მით უფრო იპყრობდა ყურადღებას, რომ ამ ხანებში თეატრი მოდერნიზმის ხან ერთ მიმართულებას სახავდა და ხან მეორეს; მისი შინაარსი დაუდგომელი შეიქმნა, აზრი ცვალებადი და, სასოწარკვეთილი, გემოვნება მოყიჟებული, გულ ასუყვებული, ევროპიელი ამ სახით (ელინიზმის აღდგენით) ლამობდა თეატრის განახლებას და მტკიცე საძირკველზე დაფუძნებას, და აი სწორეთ ამ ნავთსაყუდელის ძიების დროს, უმწეო ადამიანს მოესმა ძლიერი ხმა... იგი არ ამბობდა არაფერ ახალს კაცობრიობისთვის, მისი სული მდიდარ წარსულში ბინადრობდა, მისი შინაარსი ძველ კლასიკურ ხალხის არსებაში იყო. არაფრის შეცვლას არ ითხოვდენ ამ ახალ თეატრის თეორეტიკოსები: არც ერთი ზედმეტი წერტილი არ შეიძლება მივუმატოთ ელინთა ძველ ხელოვნებას, რადგან იგი სავსებით დამთავრებული და ყოვლად სრული ინდივიდუალობაა.

ახალმა აქტიორმა წარსულის თამაში უნდა გადმოგვცეს, ახალმა მაყურებელმა ძველ ელინისებურად უნდა განიცადოს ეგ თამაში—ღვდელ-მოქმედება და უნდა ორგანიულად შეესისხლხორცოს მას.

არც ერთი ახალი ტრაგედია, ამ ძველ ელინურ ჰანგებზე დაწერილი, არ არის სრული და საღი; იგი უფრო ცრუ კლასიკურია. მაშასადამე, საჭიროა თვით საკლასიკო ტრაგედიის აღდგენა, ძველ სოფოკლეს ღრმა აზრების ნაქანდაკევ ენით გადმოცემა.

ახალ დროში დადგმულმა სოფოკლეს პიესამ უნდა უკვდავი წარსული გადაგვიშალოს და განგვაცდევინოს; დღევანდელი სცენა უნდა უმეშვერ ანარეკლი გახდეს სოფოკლეს თეატრისა.

აი მიზანი ცნობილ რეინჰარტისა, რომელმაც ასეთი ყურადღება მიიპყრო მთელი ევროპისა და კერძოდ რუსეთის.

მისი აზრების განმტკიცებას ერთხანად ჩვენი ნიჭიერი მამულიშვილი, მარჯანიშვილიც შეუდგა (ტფილისში დადგა პირველად ეს ტრაგედია).

ქართულმა თეატრმა მალე მიაპყრო ამ გარემოებას ყური და შეეცადა ევროპას არ ჩამორჩენოდა ამ ახალ ძიებაში და თვითონაც ზიარებოდა ელინიზმის სცენას. ამ საქმეში საკმაო ნიჭიც გამოვიჩინეთ და, შედარებით, „ანტიგონე“ და „ედიპუს მეფე“ ურიგოდ არ მიდიოდა ჩვენს სცენაზე. მან აუარებელი ხალხი მიიზიდა და პიესებიც რამდენიმეჯერ განმეორებით დადგეს.

საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანებში ქართველი ხალხის ნიჭი უმეტესად წამბაძველობაში იხატება. რა თქმა უნდა, ამას თავისი მრავალი მიზეზები აქვს და უმთავრესად კი ის, რომ ჩვენი ეროვნული ორგანიზმი სავსებით დამოკიდებულია; აქ მას ეხშობა ინიციატივის გზა, რომელიც ინდივიდუალობის მქნე ძალაა და უფრო მეტის ხალისით უცხო ერის კულტურის გადმოტანას და შეთვისებას სცდილობს; ეს გზა ადვილია, მაზე ყველაფერი მზა-მზარეული ხვდება ჩვენს ხალხს, მაგრამ, ამავე დროს, საბედისწერო; იგი ჩვენი ინსტინქტის თავისებურობას მხილობის გზას უხშობს და ინდივიდუალობას კლავს; ქართული კულტურა ამ გზით ქრება და, მასთან ერთად, ქრება ქართული სახეც, თავისებურობა—ყველა ის, რაც შეადგენს ეროვნულ სულს.

აქედან ცხადია—ხელოვნება და კერძოდ ლიტერატურაც უცხო ერთა გავლენის ქვეშ იმყოფება და, მრავალ ნიჭიერ მგოსანთა შორის, არა გვყავს არც ერთი ეროვნული (თითო ოროლას გამოკლებით), თეატრის მრავალფერობის დროს, არა სჩანს ეროვნული ელ-ფერი და იერი.

მიმბაძველობაში გამოწვრთნილმა, ქართულმა თეატრმა რეინჰარტის თეატრსაც ღირსეულად წაბაძა; მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ შესაძლოა თუ არა, საზოგადოდ, თანამედროვე თეატრის მიერ ელინურ ტრაგედიის აღდგენა?

თუ იგი დამარცხდა ევროპაში და ვერ სძლევს დაბრკოლებებს, ცხადია, ჩვენშიაც ასეთი უნდა იყოს მისი ბედი მომავალში.

(შემდეგი იქნება)

სარედაქციო კოლეგია:
ივ. გომბრთელი
ს. ახაშელი
პ. ირეთელი
ბრ. რუხაძე
ობოლი მუშა

ᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘ



№ 4 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1920 Წ. № 4

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა:

ს. **აბაშელი** —შემოღამება

ი. **გრიშაშვილი**—სონეტები აშპაშხანიდან, 1. აილაბარი

ხ. **ვარდოშვილი**—კვიმატი ღამე

ობოლი მუშა—

ვარ. რუხაძე—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

გ. ქუჩიშვილი—მე და ქარი

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

ბაბილინა—დედა

ს. **რემონიძე**—ძმები

არ. რუხაძე—დამჭკნარი ვარდი

დ რ ა მ ა:

კ. **გერგესელი**—გზა-ჯვარედინზე

კ რ ი ტ ი კ ა:

ივ. გომართელი—წერილები ხელოვნებაზე

აკაკი პაპავა—ფიქრები თეატრის კრიზისზე

შიო არაგვისპირელის „**გაბზარული გული**“-ს **გაგრძელება** დაიბეჭდება **შემდეგ ნომერში**

ავტორები მოთავსებულია ანბანსა

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 4
ბარი
1920

პოემა

ს. აბაშელი

შემოღამება

ციდან ნარნარით ძირს დაეშვა ფერთა სინაზე,
და მწუხრის ჩრდილი აქვითინდა ფანჯრის მინაზე.

იის ფოთლები გაერია ოქროს ვარდებში
და მიმალული დღის სინათლე მოკვდა ფარდებში.

ჩემი ოთახი ბრმა სარკმელმა ვერ დაიფარა,
და შიგ საღამო შეუმჩნეველად შემოიპარა.

შენი სიწყნარე ახმაურდა ნელი ტირილით
და მეც ფიქრები შემემოსა მჭკნარი გვირილით.

შენს წინ დავემხე სინანულით აცრემლებული.
ჰგავდა საღამოს შენი სახე გაფითრებული.

გთხოვე შენდობა მორიდებით და მოკრძალებით,
და შენს ხელებზე დავასვენე ჩემი თვალები.

მაგრამ იისფერ აბრეშუმის ხელთათმანებმა
შენი თითების სურნელება არ დამანება.

და შენ დასტოვე შენით სავსე ჩემი ოთახი.
ჩრდილმა დაჰბურა ჩემი სულის უსხივო თაღი.

მტირალ ფარდებში მოკვდა ჩუმად ფერთა სინაზე
და ჩემი ლანდი აქვითინდა ფანჯრის მინაზე.

ი. გრიშაშვილი

ავლაბარი

სონეტი პირველი

ძველად ამ ნაწილს ქალაქისას ერქვა: ისანი.
ჯალალ-ედინი აქა სთხოვდა რუსუდანს ხელსა.
აქ უგზავნიდა თვალ-მარგალიტს აურაცხელსა.
აქ გურჯისტანზე რამლს ისროდა სპარსი მისანი.

მეტეხს, შუშანიკს დღესაც ამკობს შუქნი მზისანი. —
მაგრამ ქვეშ მტკვარი თუ გაჰყინავს ტალღას ფიცხელსა,
მყის მეტეხიდან სისხლს აწვდიან უმანკოს, ცხელსა,
და სოღალუხში მიდის მტკვარი ოქროისანი.

ბევრჯერ აიკლეს ეს მიდამო და სპარსთა ჯარსა
ალეწინებდნენ ზუჩ-მუზარადს, ჩაჩქან-აბჯარსა,
მაგრამ ვცხოვრობდით მოყვარულნი დროთ ტრიალისა.

დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს,
და წყეველა იმას ვინც ჩრდილეთის ველურ ყაჩაღებს
გაუღო კარი თერგ-დალეულ დარიალისა.

ხარ. ვარდოშვილი

კვიმატი ღამე.

შუაღამეში მომწყინდება სარკის ყურება,
დავაქრობ სანთელს და მოკვდება მისი ზღაპარი.
ჩემი ოთახი ღამის თმებით დაიბურება
და ყრუ სარკმელთან ატირდება დეკემბრის ქარი.

მინდა ვიძინო და ფიქრები დამბურავს ნელი,
და მე ამ წუთში აღარ ვუთვლი ჩემს ბედს სამდურავს;
მაგრამ შემოვა იქვთა გროვა ჩემს სულში—ბნელი
და გამოუცნობ—შავი შიშის ბინდით დამბურავს.

გავახელ თვალებს... ღამის გარდა არავინ არი.
და ვამბობ: ღმერთო, შეცოდება ჩემს სულს შეუნდე.
ავდება ღამე, კვლავ გაისმის ქვითინი ქარის,
და მიდის შორი უფსკრულისკენ ლანდების გუნდი.

მსურს გავარღვიო კვიმატ ღამის შავი ქედები
და მოვკლა ჟამი უძილობის—ულვთო წამებით.
მომიგებს ღამე: „ჩემს სარკეში ნუ იხედები,
მე დავილევი ჟამთ სირბილის ჩქარი წამებით.“

„მე მომკლავს წამი და აღმადგენს იგივე წამი,
და დავბრუნდები ისევ ისე გიშრისფერ თვლებით.
ჩემი მეფობის ვინ შეზღუდოს აქ დრო და ჟამი,
და თუ შენ ელი ჩემს აღსასრულს—ცდით დაიღლები.“

„მე მოვალ, მაგრამ სამშვიდობოთ კვალად ნუ მელი,
შვებას ვერ ჰპოებს შენი სული ჩემის ხსენებით.“

...ცისკრის სხივებით აენთება ჩემი სარკმელი,
მოკვდება ღამე ჩემთვის თეთრად განათენები.

ოგოლი მუშა

* * *

ტანჯვის ქსელში გამოხვეულს მომელანდება
სიყრმის დღეთა მოცომცომე უცხო ჩვენება,
და ფიქრებში ყვავილები გაიფანტება:
სულს იტაცებს სხივად-შლილი, ნაზი მშვენება...

მე შევქმენი შორეული ყოფნის დიდება,
და ავანთე გულში სხივი ჩაუქრობელი...
და მიკვირს დღეს—სულის წიაღს რათ ეკიდება
სევდის ალი—უცხო ფიქრი შეუცნობელი?!.

ხომ ვამბობდი: უკვდავებას დავედარები,
რწმენის ალამს ცის ტატნობზე ავაელვარებ.—
და დღეს აგრე ვინ დამიხშო შვების კარები?
გაორებულ სულის კვნესით რისთვის ვმღელვარებ?..

ხშირად მოდის იგი ჩემთან... შავის თვალებით
ამოუხსნელ კითხვებს მაძლევს და თვით მდუმარებს,
გარემოცულს პირ-დაღებულ, ბნელ ნაპრალებით,
ჩემს მეორე მე-ს იდუმალ სიტყვებს უბარებს!..

როცა წავა, ბნელი რიდე ჩამოეშვება,
და დავრჩები წამების და ტანჯვის ამარა...
ირგვლივ ზღუდე გარდუალი ამოივსება...
უდაბნოა მიწის ბურთი და ცის კამარა!

სასაფლაოს ცივ ლოდებთან ავქვითინდები,
ყრუ სივრცეში დაინთქება კვნესა სულისა;
უგზო-უკვლოდ ბნელ წყვდიადში გადავფრინდები,
და გაჰქრება მოჩვენება ბედით კრულისა!

ᲕᲐᲠ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

საქართველოს ცაზე ოქროს ასოებით,
მრწამს, დაიწერება ეს დღე, მზის მსახველი,
და იმღერებს მაზე რწმენით, სასოებით
დიდი, თუ პატარა, ყოველი ქართველი!

„საქართველო აღზდგა!“ ეს სიტყვა დღეს ითქვა
და აზვირთდა ხალხი, შვებით დანამული,
შორს გასტყორცნა სევდა, გულს რომ აწვა ვით ქვა,
და ჭაღარა ბელადს უსმენს განაბული.

სიტყვა ცეცხლნაფრქვევი არე-მარეს ფარავს,
ყველგან გრგვინავს ტაში, დაფი და ნაღარა.
დიდი ნეტარება სულს სიამით გვპარავს:
ცეკვავს ახალგაზრდა, ცეკვავს თმა-ჭაღარა.

მათთან ვცეკვავ მეცა, ცრემლებ-მორეული,
ვერ თავსდება გული თავის საბუდარში:
უკვე გამიცხადდა ფიქრი შორეული
და ვით არ ვიმღერო, ვით არ დავკრა ტაში!

და მეც ვმღერი ასე: საქართველოს ცაზე
დაიწერება დღეს ოქროს ასოებით
ერის სილამაზე და იმღერებს მაზე
ყოველი ქართველი რწმენით, სასოებით.

გ. ქუჩიშვილი

მე და ქარი

ოჰ, რა მიყვარს მოზუზუნე
შემოდგომის ქარი,
ამაყი და ფრთა მედგარი,
სულის მეგობარი;—
ოჰ, რა მიყვარს მოზუზუნე
შემოდგომის ქარი!

მიყვარს, რადგან იგი არი
ჩემი ბედის დარი,
ჩემსავით რომ დახშული აქვს
ყველგან ბინის კარი,—
მიყვარს, რადგან იგი არი
ჩემებრ გარეწარი!

ოჰ, რა მიყვარს შემოდგომის
მოზუზუნე ქარი,
ამაყი და ფრთა მედგარი,
სულის მეგობარი;—
ოჰ, რა მიყვარს შემოდგომის
მოზუზუნე ქარი!

ბელეტრისტიკა

ბაბილინა

დედა

(ნოველა)

ვცხოვრობ მთაწმიდის მიდამოში; ერთ ღარიბ სახლის მაღლა წამომდგარ პატარა ოთახში.

ძირს, თვალწინ ქალაქის სანახაობაა; მაღლა—მშვენიერი და ზომხიბლავი ცა, ხან სევდით მავსებს და ხან ნეტარებით.

რა თქმა უნდა შეყვარებული ვარ, ლექსებსაც ვწერ...

ერთი მშვენიერი დილაც მაშინ გათენდა.

გავიღვიძე —

ოჰ, ნეტარება! სიზმარში სატრფომ მაკოცა!

... და სამოთხეში ანგელოზი თუ განიცდის ამ გვარს ნეტარებას.

მეცნიერებანი, დღეს კვირაა, სამუშაოზედ აღარ წავალ, დავისვენებ, ე. ი. წიგნებს წავიკითხავ, შევიკერავ რასმე, გავირეცხავ; საღამოს თუ თეატრშიაც წაველ, სხვა რაღა მინდა! კმაყოფილი ვარ. მაგრამ...

მეყოფა ლოგინში წოლა და ოცნება, ავდგები, ტანთ ჩავიცვამ, თორემ ეხლა სხვა ახირებული აზრები ამეშლება და სევდასაც ამიშლის.

კარებს დაუკაკუნეს.

— მოითმინეთ, ეხლავე!

საჩქაროდ ვიმოსები.

— მობრძანდით!

კარი გამოვხსენ და შემკრთალი შევჩერდი.

ჩემი ოთახის კარს მოსდგომია ნაცნობი ქალი, ხელში უპირავს კაბაშურებში გამოკრული ახალ-შობილი ბავშვი.

ეს ქალია წინაზედ რომ ჩემი დიასახლისისგან ორ მანეთად ყურთუკის ბალიში იყიდა; მაგრამ როგორ მოხდა, რამოდენიმე თვის წინ ეს ქალი სანატრელი შესახედაობისა იყო.

გეგონებოდათ ერთი ცვარია უმანკო, მეორე ესაო.

ეხლა მოვისაზრე: ის მაშინ შეყვარებული თუ იყო.

ხელში უპირავს გამოხვეული ბავშვი და იღიმება...

— მობრძანდით.

მომაგონდა:

ეს ქალი ხშირად შემოდიოდა ერთ ხანად ჩვენს ეზოში, დაბლა სართულში, მხიარულ ქვრივ ქალთან ბაასობდა, იმ დროს სახე ალეწილი და თეძო გასქელებული იყო, მათი ლაპარაკი შეეხებოდა მუდამ ერთ საგანს—სომეხ მეფურნეს.

ვიფიქრე ბავშვი ხომ არ უნდა დამიტოვოს?.. ეს აზრი იმ წუთსვე გამიქარწყლდა;—

ტახტზე ჩამოვსვი ნეტარებით იღიმება.

— აი, შეჰხედეთ! არ მოელოდით... ბიჭია! მამასა ჰგავს.

პირმშოს თვალს არ აშორებს, მხიარულია.

პატარა ბოღჩა გაშალა, სუფთა შესახვევი ამოიღო და სველი გამოსცვალა. ხელსაქმე აიღო და ჰკერავს, თან მოუტანია.

ეხლა-ღა ვიაზრე წინათ ყურთუკის ბალიში რად იყიდა მან ჩემი დიასახლისისგან,—საიდუმლო დანიშნულის სანებიეროდ.

— თქვენებმა რომ გაიგონ ხომ, არ მოგიწონებენ?

— ჩვენებმა არ იციან, ამას ჩვენს ქვეყანაში არ წავიყვან; დამიჩაგრავენ უკანონოს...

— ამისი მამა!

— დამემალა, წავიდა აქედან...

მე მომწონს, რომ გაიჩინეთ და ჰზდით კიდეც. მერე რა რიგად სუფთად უვლით, ხელსაქმეც მოგიტანიათ, როგორ მუყაითი ყოფილხართ.

* *
*

გაივლის წლები და მე ქალაქის სხვა უბნის მცხოვრები ვარ. ერთხელ ძველ უბანში გავიარე ჩემის შვილით;—ნაცნობებს ვნახავ, ჩემს შვილსაც ნახავენ ისინი.

ჩემს ნადგომ ოთახში ის ქალი დამდგარიყო, პირველი მისი ვაჟი გაზდილა, მეორე ჰყავს, ეს სხვა რამისაა... დედა მხიარულია, კოხტად აცვია, თმა დაუხვევია, პატარა ბიჭის მამას ეკეკლუცება თუ თავის ორ ვაჟს დაჰხარის; არც მათი რჩენა უძნელდება; იქნება უძნელდება კიდეც და არა ჩვენ.

აი ჭეშმარიტი დედა!

დაბლა ქუჩაბანდში დედაკაცები და უბნის მედუქნე ასამარილებენ... ის მაღლაა, თავისი საქმე აქვს.

ჩემ ნადგომ ოთახის მდგმური გმირი დედაკაცი უნდა იყოს.

მაგრამ... ნუ თუ ის მხიარულ ქვრივის ნადგომ ოთახში გადავა!

ძირს ჩავა?

არა! ის ჩემ ნადგომ ოთახში იცხოვრებს.

ს. რემოლნიძე

ძ მ ე ბ ი

(მოთხრობა)

1

სოფრომ გულისაშვილს მეზობლები ჰკვიან კაცად სთვლიდენ.

— ცოტას შრომობს და ბუვრს აკეთებს, ფული აქვს და საქონელი; მე კი დღე და ღამეს ვაერთებ, მარა მაინც მიქირს თავის რჩენა, მჭადი ყოველ წლობით საყიდელი მაქვს, ვალები ვერ მომიშორებია... რა უნდა იყოს ამის მიზეზი?!.— გაკვირვებით ეკითხებოდენ ერთმანეთს სოფრომის მეზობლები.

ისინი მართალი იყვენ: სოფრომი არავის ახსოვდა სიმინდის საყიდლათ სოფლათ მოსიარულე. ვერც შუა დღისას, პაპანაქება სიცხეში მომუშავეს მას ვერ ნახავდით, მაგრამ სამაგიეროთ საქმე საათივით ქონდა აწყობილი და გაწესრიგებული. საზეგ-საახვალიო საქმის გეგმის შედგენა ადრევე იცოდა. ყოველგვარი მნიშვნელოვანი საკითხი საერთო თანხმობით კეთდებოდა სოფრომის ოჯახში.

დილით ადრე ადგომა და შრომა-მეცადინეობა ყველასათვის საავალდებულო იყო.

როცა ცოლი შეირთო სოფრომმა, ქცევა ნახევარი მიწა და პატარა ფიცრული ჰქონდა, დღეს კი ხუთი ქცევა მიწა, შკერის ლობით შემოვლებული, შეადგენდა მის საკუთრებას, რომლის შუა ალაგას კოპწია წაბლის ოდა ჩაედგა. ეზოც საუცხოოთ გაეშენებია: რა ხეხილი და ყვავილები გინდა, რომ მის ეზოს არ ამშვენებდა. ყველაფერი თავის რიგზე და ალაგას იყო. ულელი ხარი და ორი მეწველი ძროხა სანაქებო ყავდა. წვრილფეხა საქონელს და ფრინველს ხომ სათვალავი არ ქონდა.

ახალგაზრდობისას ჰყავდა აგრეთვე ცხენი და ხანდისხან მოყვრებში გასეირნებაც უყვარდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ერთხელ მაყრობის დროს ვილაცამ მტრობით თუ ხუმრობით მის ლურჯას კუდი ძირში მიაჭრა, ცხენზე ალარ შემჯდარა და ალარც ჰყოლია...

ცოლიც, მისებრ დინჯი, კეთილი, მშრომელი და ადამიანის მოყვარული შეხვდა სოფრომს.

მართალია ხშირათ ცოლ-ქმარი არამც თუ ზნე-ჩვეულებით და ხასიათით, სახითაც კი ემზგავსება ერთმანეთს, მარა ამ შემთხვევაში ვერავინ იტყოდა სოფრომი დაემზგავსა ესმას თუ ესმა სოფრომს!.. მათი ტკბილი, შეთანხმებული ცხოვრება და მოქმედება მაგალითის მაჩვენებელი იყო. არ ახსოვდათ მათ, რომ როდისმე ტყუილი ეთქვათ ვისმესთვის, ან ვინმე პირს უკან ცუდათ ეხსენებიათ.

— თუ გინდა შვილი პატიოსანი და მართალი კაცი გამოზარდო, პირველ-ყოვლისა შენ უნდა იყო პატიოსანი და მართალი. შენ თუ არ შეგიძლია სხვისი შეყვარება, ნურც სხვას სთხოვ სიყვარულს—ამბობდა სოფრომი და თითონაც ამ დევიზით ხელმძღვანელობდა ცხოვრებაში.

ამიტომ შვილებიც მშობლებს დაემზგავსენ. ირაკლი და სანდრო თითით საჩვენებელი ყმაწვილები იყვენ მთელ სოფელში.

კაცი, რომელმაც არავითარი ხელობა არ იცის, თუ გინდა რვა-კლასიანიც იყოს, მაინც ცოდვაა ცხოვრებაში. სიმდიდრეც არაფერია ხელობის ცოდნასთან. ქონება დაიწვის, წაგართმევენ, ხელობას კი ვერავინ ვერ შეეხება. სადაც წახვალ წაგყვება, ცხოვრების არ გეშინია-ო, ამბობდა სოფრომი და ამიტომ იყო, რომ ირაკლის მეურნეობა შეასწავლა, სანდროს კი დურგლობა.

ყმაწვილები პატარაობიდანვე იყვნენ შრომას და გარჯას შეჩვეულნი; ჯერ კიდევ შვიდი-რვა წლისანი არც იქნებოდენ, თოხები უყიდა მათ მამამ და გვერდში ამოიყენა. ჯერ კიდევ სასწავლებელში სწავლობდენ კარგა მოზრდილები, რომ ტომრებ მოკიდებულებს წისქვილზე გზავნიდა მათ სოფრომი ქადის დასაფქვავათ.

— შრომა და ჯაფა კი არ არის, შვილებო, სირცხვილი, არამედ ქურდობა, სიცრუის ლაპარაკი და კაცის ღალატი--არიგებდნენ მათ მშობლები. სამაგიეროთ, უნდა გენახათ ისინი კვირა-უქმე დღეებზე: ორნივე ისე კოხტად და ლამაზათ ჩაცმულნი წინ მიუძღვებოდენ მხიარულ მშობლებს, ასე გეგონებოდათ ვიღაც მდიდრების შვილები იყვენ და ღმერთს მადლობას სწირავდენ, რომ მათი საქმე, ასე კარგათ მიდიოდა.

ძმებსაც, პატარაობიდანვე ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. მათ არ იცოდნენ რა იყო მტრობა, შური და ავკაცობა.

ეზო-მიდამო კიდევ უფრო გაამშვენიერეს შვილებმა. უფროსმა ძმამ ირაკლიმ ისე გააწესრიგა ხეხილები და ვენახი, ისეთი ნაირ-ნაირი ყვავილები და ლამაზი მცენარეები ჩაამწკრივა, რომ ეზო ედემის ბაღს დაამზგავსა. სანდრომ კი სახლი გადააკეთა, ორი ოთახი მიუმატა, ლამფა შემოაკრა და ისე ლამაზათ შეღება, რომ გამვლელს ძალაუნებურათ ზედ დარჩებოდა თვალი.

სოფრომის და ესმას საზრუნავი ეხლა კარგი სარძლოების გამონახვა და შვილების დაქორწინება იყო.

— დავაცოლშვილოთ, ჩემო სოფრომ, აწი ჩვენი შვილები და ორი დღის სიცოცხლე შევიტყოთ—მიეალერსა ქმარს ერთხელ ესმა.

— ვაი თუ სიცოცხლის შეტყობის მაგიერ სიცოცხლე წაგვამწაროს ისეთი ვინმე შეგვხვდეს—მიუგო ცოლს სოფრომმა ალერსიანი ღიმილით.

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს, ერთი ისეთი ლამაზი ქალი მყავს ჩემი ირაკლისათვის ამორჩეული, რომ არა მგონია მოვსტყუვდეთ; ქალსაც კარგათ ვიცნობ და მშობლებსაც.—სთქვა ესმამ.

გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს, უფროსი ვაჟი ირაკლი დააქორწინეს მშობლებმა და დიდი წვეულება და ნადიმი გადაიხადეს; უნდოდათ ბარემ სანდროც დაექორწინებიათ, მაგრამ მან უარი სთქვა ჯერჯერობით ცოლის შერთვაზე.

ესმა არც მოსტყუვდა არჩევანში: რძალი სწორეთ ისეთი კარგი ქალი გამოდგა როგორიც სოფრომის ოჯახს შეეფერებოდა. მეტადრე არა ჩვეულებრივი სიმხიარულე იგრძნეს ყველა ოჯახის წევრებმა მას შემდეგ, რაც ირაკლის და ნინას ვაჟი შეეძინათ. ასე გეგონებოდათ სახლის კედლები, ფანჯრები, ეზოში ჩამწკრივებული ხეებიც კი იცინოდენ მეტის მეტი სიხარულით...

— მისი ჰირიმე, მთლად მე მგავს,—ამბობდა გახარებული სოფრომი და შვილისშვილს გულში იკრავდა, კოცნიდა, ბავშვივით ეალერსებოდა.

ეხლა უმცროსი ვაჟი სანდროც იწყობდა ფრთებს ცოლის შესართავად; ახალგაზრდა გასათხოვარ ქალებს მუშტრის თვალით ათვალიერებდა და ის იყო ერთ მათგანზე დანიშვნას აპირებდა, რომ ამ დროს ორივე ძმა მოულოდნელათ ომში გაიწვიეს...

ეს ამბავი მეხივით დაატყდა მთელ ოჯახს თავზე; დატრიალდა სოფრომი, ხუთას მანეთამდე შეაგროვა მისი იყო თუ სხვისი და შეეცადა თუ ორივე არა—ცოლშვილიანი მაინც გადაერჩინა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ფული დასტყუეს, გადაგირჩენთო, დაჰპირდენ და მოატყუეს... არამც თუ განთავისუფლება, ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ ძმები ერთ პოლკში მოხვედრილიყვენ.

სანდრო ოსმალთა ფრონტზე გაგზავნეს, ირაკლი კი გერმანიისაზე.

2

ორივე ძმა თოფით მხარზე საჩქაროთ გზას გაუყენეს. პირველ ორ თვეს ბრძოლის ველიდან ხუთი ექვსი დღის საველელ მანძილზე იდგა სანდროს პოლკი, დღიან-ღამიანად ემზადებოდენ და ბრძანებას უცთიდენ.

ამანაც არ დააყოვნა, პოლკის უფროსმა ფიცხელი განკარგულება მიიღო

საჩქაროთ მიშველებოდა მებრძოლ ჯარს და ზურგი გაემაგრებია. ბრძანება ფრ-ცხლათ სისრულეში მოიყვანეს, დაბანაკებული ჯარი წამოიშალა და სიმღერა მუსიკით დანიშნულ ადგილისაკენ გაქანდა. მათ შორის იყო სანდროც. დაღლილობის გამო ხვითქი გადაზღიოდა და სულს ძლივს იბრუნებდა. მეტადრე ამძიმებდა და სიარულს უშლიდა ზურგზე გადაკიდებული საომარი მასალები და სხვები. რა გინდა რომ მას არ ეკიდა ზედ. დაგორგლილი ფარაჯა, შავი პურით სავსე თოფრა, წელზე შემოკრული ტყვიებით სავსე ფალასკა, თოფი, ბარი, ნიჩაბი, საწყლე, პატარა ქვაბი, ჩაის ასადუღებელი თუნუქი და სხვა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, სანდრო შუაგულ ბრძოლაში მოეკცა. ტყვია ისე მოდიოდა, როგორც სეტყვა. მას გვერდით ხან ერთი ამხანაგი ეცემოდა ძირს, ხან მეორე. ზარბაზნების გრიალი აყრუებდა ყველაფერს, დედამიწას ზანზარი გაჰქონდა. ყუმბარა, სადაც დაეცემოდა, დიდრონ ორმოებს თხრიდა და გალომებულ ვაშკაცებს ვის ცოცხლათ მარხავდა, ვის ნაფლეთებათ აქცევდა და მიწასთან შეერთებულს ჰაერში აპნევდა.

ზზზზ... ზზზზ... გაჰქონდა ტყვიებს ზუზუნი სანდროს გარშემო, მაგრამ ის ჯერ კლდესავით იდგა და მედგრათ იბრძოდა, ღონე და გამბედაობა თანდათან ემატებოდა, ადამიანის სისხლი სწყუროდა... ხან დიდრონ ქვებს ამოუჯდებოდა, ხან ხეებს, ხანაც მკვდრების გორას ხმარობდა საფარათ და ისე მისდევდა დაშარცხებულ მტრის ჯარს. ტყვიამ თავზე გადაურბინა, ქუდი გადაიგლიჯა და თმა გაუხუხა, ფარაჯის კალთები საცერივით ჰქონდა დახვრეტილი, მაგრამ რაღაც ილბლათ ჯერ არ დაჭრილიყო. როცა ცოტათი მიწყნარდა ქექა-ქუხილი, მხოლოდ მაშინ იგრძნო ხელზე არა ჩვეულებრივი სითბო. მას ოფლი ეგონა, მაგრამ მოსტყუვდა, მტრის ტყვიას მარცხენა ხელის ნეკი წაეგლიჯა?.. როდის და როგორ, ეს სანდროს არც კი გაუგია.

დაღამდა. ზარბაზნების გულ შემზარავი ღრიალი შეწყდა... ისმოდა მხოლოდ დაჭრილთა გმინვა, კვნესა და გულის მომკვლელი ქვითინი. ზოგი უკანასკნელათ ეთხოვებოდა წუთისოფელს, ზოგს მორჩენის იმედი კიდევ არ დაჰკარგოდა, მაგრამ მშველელი არავინ იყო; მკვდრები, ცოცხლები, მოყვარე, მტრები, ერთად იყო არეული. სანდრომ შეიხვია ხელი თუ არა, სცადა სხვებსაც დახმარებოდა, მაგრამ ველარ შესძლო და ჯოჯოხეთს მოშორდა, მახლობელ ტყეში მიეგდო ნაძვის ძირში, დაქანცული, მშიერ-მწყურვალი. მას მხოლოდ ეხლა მოაგონდა საყვარელი ძმა. ვაი თუ მკვდარია, ან დაჭრილი გდია ბრძოლის ველზე, მე მეძახ-ს, მშველელს დაეძებს, მაგრამ არავინ არის, რომ ჭრილობა შეუხვიოს—გაიფიქრა სანდრომ და თვალები ცრემლებით აევსო.

გათენდა დილა. საყვირის ხმა ეძახდა სანდროს. გადაარჩიეს დაჭრილები; ვი-

საც მორჩენის ნიშანწყალი კვლავ შერჩენოდა, მკვდრებს მოაშორეს. მიცვალებულთ კი საძმო საფლავი გაუთხარეს და ერთად დაკრძალეს. ვინც უვნებლათ გადარჩა, მაშველ ჯარს შეუერთეს. სანდრო კი დროებით შეასვენეს... აოხრებული სოფლების დავლა და სანოვაგის შოვნა მიანდეს.

საზარელი სანახავი იყო აოხრებული და უპატრონოთ მიტოვებული მტრის სოფლები.

უპატრონოდ მიტოვებული სახლ-კარი ნაღვლიანათ გამოიყურებოდა. გულშემზარავი ბღავილით აყრუებდენ მიდამოს პირუტყვები, რომლებსაც უბოდიშოთ მიერეკებოდენ ჯარისათვის მოიჯარადრეები. ძაღლები ყეფდენ, წკმუტუნობდენ, უბედურებას ისინიც გრძნობდენ და მიტოვებულ სახლ-კარს ერთგულათ დარაჯობდენ, მაგრამ მათ არავინ ეპუებოდა; შედიოდენ სახლებში, მიჰქონდათ რაც მოეწონებოდათ, დანარჩენს თოვების კონდახებით ამტვრევდენ, აოხრებდენ, სწვავდენ და ანადგურებდენ...

ადამიანების ჭაჭანება არსად ჩანდა. ერთ სახლში აღმოჩნდა მხოლოთ ლოგინში მწოლარე ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჯარის-კაცებმა გაუპატიურება მოუნდომეს, მაგრამ სანდრო გადაეღობა მათ წინ.

— ყმაწვილებო! რატომ არ გრცხვენიათ?!. უმწეო, უპატრონო ქალს ნუთუ ასე უნდა მოექცნენ ვაჟკაცები?!. რას იზამთ სახლში უპატრონოთ მიტოვებული დაი, ცოლი ან დედა რომ ვინმე ძალათ გაგიუპატიუროთ?!.—სანდროს სიტყვებმა ჯარის კაცები შეაჩერა, განზრახვაზე ხელი ააღებინა. ზოგს შერცხვა, ზოგს უკმაყოფილება დაეტყო სახეზე და სახლი დასტოვეს.

ქალი შიშის ზარმა აიტანა; ჯარის-კაცების დანახვაზე ის საშინლათ დაიღრიჯა, ლოგინიდან ადგომა და გაქცევა სცადა, მაგრამ ველარ შესძლო, რამდენიმე დღის უმეელს არაქათი გამოლეოდა, შემდეგ სასთუმლის ქვეშიდან ხანჯალი გამოიღო და მოიმარჯვა დაუპატიჟებელი სტუმრების მოსაგერიებლათ, მაგრამ იმისი მოხმარება აღარ დასჭირებია, რადგანაც მასთან მხოლოთ სანდრო დარჩა, რომლის თვალებში ქალმა სულ სხვა ამოიკითხა ვინემ თითონ მოელოდა.

ჯარის-კაცი მიუახლოვდა ქალს და დამშვიდება დაუწყო. ქალი კი ხელებზე მოეხვია მას და ცრემლების ფრქვევით კოცნა დაუწყო, მასში მან მხსნელი ძმა დაინახა, გადარჩენის იმედი მიეცა. სანდროს ქალმა ტირილით გააგებინა თუ როგორ მოუკლეს მას მშობლები, ძმები, ის კი შემთხვევით, დამალვით გადარჩა, მეოთხე დღეა არაფერი უჭამია. ქალმა სანდროს კვლავ ორივე ხელები დაუკოცნა, ცრემლების ფრქვევით სთხოვა არ მიეტოვებია ის და დაღუპვას გადაერჩინა. სანდრომ აღარ იცოდა რა ექნა, სად უნდა წაეყვანა ქალი; დატოვება კი იგივე სიკვდილი იყო. გაშხეცებული ჯარის-კაცები გააუპატიურებდენ ან შიმშილით

მოკვდებოდა. გადასწყვიტა როგორც უნდა დაჯდომოდა გადაერჩინა ეს უმწეო ადამიანი. შიმშილისაგან დასუსტებული დაანაყრა და ხელქვეით ჯარის-კაცს უბრძანა, როგორც უფროსმა, მის დაბრუნებამდე ქალთან სახლში არავინ შეეშვა და კარებში, თოფით ხელში დარაჯათ დასდგომოდა, თითონ კი უფროსთან გასწია სათხოვნელათ, როგორც დაჭრილი ერთი კვირით გაეთავისუფლებია, მაგრამ უფროსისაგან ცივი უარი მიიღო. სანდრო მაინც დაბრუნდა მეორე დღეს. ნაზი, ასე ერქვა ოსმალოს ქალს, უვნებლათ დაუხვდა. სანდროს დანახვაზე ნამტირალევი თვალები მზესავით გაუბრწყინდა; მას გადაეწყვიტა, სანდრომ ის მიატოვა, ამიტომ საწამლავი მოემზადებია დასალევათ... სანდროს ხელზე აკოცა ნაზიმ. სანდრო კი ფართე შუბლზე ემთხვია. ეს მის უნებურათ მოხდა.

— ადე, ჩემო კარგო, წავიდეთ აქედან, სამშვიდობოს გაგიყვან და მე ისევ ჯარში უნდა დავბრუნდე—უთხრა სანდრომ და ნაზის მკლავში ხელი სტაცა, ლოგინიდან წამოაყენა; ქალი დამორჩილდა, მძიმეთ წამოჯდა. აწეწილი თმა გაისწორა. ნაღვლიანი თვალები გარშემო მიმოავლო, შემდეგ თვითეულ საგანს ცალ-ცალკე დაუწყო თვალიერება, თითქოს რაღაცას ეძებსო, და ბოლოს მწარე ქვითინი მოერთო.—ჩემო მშობლებო... ჩემო ოჯახო...

— ქვითინებდა ის.

— კმარა კარგი, ადე ჩქარა წავიდეთ აქედან, იქნება ცოცხალი გადაგარჩინო, რა დროს ტირილია—უთხრა მას სანდრომ და წამოაყენა. ნაზი მძიმეთ წამოდგა, ერთხელ კიდევ გადახედა იმ კერას, სადაც ბავშვობიდან აღიზარდა, კარი ფრთხილათ მიხურა და უკანასკნელათ ისე გრძნობით აკოცა ამ კარებს, როგორც საყვარელი დედა თავის დიდი ხნის უნახავ შვილს, ან სატრფო შეყვარებულს.—მშვიდობით, ჩემო საყვარელო სახლკარო,—წაიჩურჩულა მან და ბრძოლის თითები თვალებზე მიაფარა.

— ნუ სტირი, ჩემო ნაზი, ცხოვრებაში ყველაფერი მოსავალია, ჩვენსავით უბედური დღეს უთვალავია, ყველანი სიკვდილის პირას ვართ, ისეთი დრო დადგებოდა, რომ ადამიანსა და მხეცს შორის არავითარი განსხვავება აღარ არის. ვეცადოთ როგორმე ცოცხლები გავიდეთ უშიშარ ალაგას და მხეცებათ ქცეულ ადამიანების ბრჭყალებს უვნებლათ გადაურჩეთ,—მზრუნველობით უთხრა სანდრომ ქალს და გზას გაუყენა.

სანდრო გაოცებული იყო ნაზის სიმშვენიერით: ისეთი ლამაზი, ტანადი, შავთვალწარბა, მაღალ თავყელიანი, მარჯნის ტუჩებიანი, თოვლივით თეთრი გულმკერდით, ყველაფრით შემკული ქალი, მას ჯერ არ ენახა! ნახევრად ჩამოშლილი ვრძელი გიშერივით შავი თმა განიერ ბეჭებზე დაჰყროდა, რომელსაც ცელქი ნიავი დაჟინებით ათამაშებდა და სანდროს სახეზე თითქოს განგებ უცაცუნებდა.

ქალ-ვაჟნი ხელიხელ გაყრილნი ფრთხილათ, ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ. მტრისაც ეშინოდათ და მოყვრისა. რომ არავინ შეხვედროდათ, გზა დაეტოვებიათ და ვიწრო ბილიკს მისდევდენ. სანდროს უნდოდა ნაზი სოფელში გაეყვანა. იქ ვინმე სანდო პატიოსანი ოჯახისათვის ჩაებარებია და მერე ისევ ჯარში დაბრუნებულიყო.

ნაშუადღევი იყო. მზე უხვად ფენდა თავის ოქროს სხივებს იმ ლამაზი ტყის ნახევრად გაცვივნულ ფოთლებში, სადაც ნაზი და სანდრო ფრთხილათ მიძვრებოდენ. მიუხედავათ სიფრთხილისა ხშირ ფოთლებს მგზავრების ფეხქვეშ შარიშური გაჰქონდა.

სრულიად მოულოდნელათ ჰაერი მძლავრათ შეინძრა და ტყე აახმაურა; დასავლეთიდან შავი ღრუბლები გამოჩნდა, რომელიც სწრაფად გაეშურა მაღლა მთებში; იმას მეორე დაედევნა, მეორეს მესამე და დედამიწას წინწკლები დაეპკურა.

— დავიღუპეთ, მგონი წვიმას აპირებს; ვაი თუ ამ ტყეში დავრჩეთ ამ ელამ— შეშინებით სთქვა ნაზიმ და სანდროს უფრო მაგრათ ჩასჭიდა მკლავში ხელი.

— შენ დარდი ნუ გაქვს, ჩემო ნაზი. გზიდან ახლო ვართ, დაღამდება თუ არა, გზაზე გავალთ. მერე გზით სიარული იმდენად საშიშო აღარ არის, სოფელში ამაღამ როცა იქნება უსათუოდ ჩავალთ და მერე ფიქრი ნუ გაქვს.—გაამხნევა ნაზი სანდრომ. ამ მუსაიფში წვიმამ უფრო უმატა.

— თუ არ გადვიყუდრეთ შეუძლებელია, დავსველდებით, ეს მართლა აღარ ხუმრობს,—განაგრძო სანდრომ და ფართე შტოებიან ნაძვისაკენ გადაუხვია.

— გამრებია. ნახე როგორ მალე გადიღოს.—საკმაოდ გაწუწული ნაზი უსიტყვოდ ემორჩილებოდა სანდროს. ორივე ქალ ვაჟი მაღლობზე აზრდილ მაღალ ნაძვის ძირში ისეთ მოხერხებულ ალაგას ჩამოსხდენ ქვაზე, რომ მათ ერთი წვეთი წვიმა არ ეცემოდათ. გარშემო კი წვიმის შეერთებულ წვეთებს ფართე ფოთლებზე ტყაპატყუპი გაჰქონდა.

მეუდროება ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ წვიმამც გადიღო. ქალ-ვაჟი ისე ახლოს ისხდენ ერთმანეთთან, რომ ერთმანეთის სუნთქვა აშკარათ ესმოდათ. ვერც ერთი ვერ ბედავდა ხმის ამოღებას. ეტყობოდათ ამ უდაბურ ტყეში ორნივე ბედნიერათ გრძნობდენ თავს.

— ნაზი! ხედავ რა სურათია?!—დაარღვია სიჩუმე სანდრომ და გაღმა ქედზე მიუთითა, სადაც მართლა საუცხოვო სურათი გამოიხატა: მაღალი მთის ხავერდოვანი მწვერვალო განსაკუთრებით გაეწათებია სქელი ღრუბლებიდან გამოშუქებულ საღამოს მზის სხივებს! თვით მთის მწვერვალს კი ისე შემოხვეოდა მთის თხელი თეთრი ნისლი, როგორც მაღალ თავყელიან ლამაზ პატარძალს გულ

მკერდზე თეთრი მანტია. იქვე მოსჩანდა რკალივით მოხრილი ცისარტყელა, რომლის ბოლო ამ მთის მწვერვალიდან იყო ამართული და გაღმა მთის მწვერვალს შეერთებოდა...

— უჰ... მართლა რა ლამაზია...—წამოიძახა ნაზიმ და ბუნების იშვიათ საჩახრობას ხარბათ მიაპყრო დიდრონი შავი თვალები.

— რა კარგი, რა მშვენიერია ბუნება... მაგრამ რათ გინდა, საბრალო ადამიანი ვერ ახერხებს დასტკბეს ამ სიმშვენიერით... ეხ...—ამოიოხრა სანდრომ და ნაღვლიანი ხმით განაგრძო—წავიდეთ, ჩემო ნაზი, თორემ ვინ იცის, რა მოგველის.—ნაზიმ თითქოს ეხლა გამოირკვაო, მძიმეთ ამოიგმინა და წასავლელათ წამოდგა.

— გზასთან ახლოს ვართ. აწი არა გვიშავს რა, გზითაც რომ ვიაროთ,— სთქვა სანდრომ და ნაზის იმედიანათ გადახედა. პასუხის მაგიერ ნაზიმ უფრო მაგრათ ჩასჭიდა მკლავში სანდროს ხელი. გული თანდათან სიხარულით ევსებოდა სანდროს და იმედი ეძლეოდა, რადგანაც ტყიდან გასვლას ბევრი აღარ უკლდა და შემდეგ, ღამე გაპარვა ადვილი იყო, რომ ამ დროს მოულოდნელათ გავარდა თოფი და მგზავრები შეაჩერა... სანდრომ ქალს ხელი გამოსტაცა, ერთ წამში თოფი გადმოიღო და უნდოდა მოემარჯვებია, მაგრამ გვიანღა იყო...

— არ გაქანდე, თორემ გაგათავებთ!.. შესძახეს მას ჯარის-კაცებმა, რომლებიც უზარმაზარ ხავსიან ქვას ამოფარებოდენ და იქიდან უმიზნებდენ. სანდრომ დაინახა, რომ საქმე ცუდათ იყო და არჩია თოფი ძირს დაეშვა. ჯარის-კაცების უკან ოფიცერი გამოჩნდა, სანდროს ვინაობა ჰკითხა და წამოსვლის ნებართვა მოსთხოვა.

— მაპატივე, თქვენო აღმატებულებავ, გზაში უპატრონო ქალი ვნახეთ მშიერ-მწყურვალი, არ მოგვეშვა, დახმარება გვთხოვა, ჩვენმა ჯარის-კაცებმა მას დახმარების მაგიერ გაუპატიურება მოუნდომეს!.. შემებრალა, მეც მოვინდომე მისი სიცოცხლის შენარჩუნება; რა ვუყოთ, რომ თათრის ქალია, ისიც ადამიანია, უმწეო, უპატრონო; ნება მომეცით სოფელში გავიყვანო და ისევ ჯარში დავბრუნდე.—შეევედრა უფროსს სანდრო. ოფიცერს კი ისე მოეწონა ნაზი, რომ პირს ნერწყვი მოადგა, სანდროს სიტყვები ნახევარი აღარ გაუგონია, მაგრამ ეს მან არ შეიმჩნია და სანდროს უბრძანა ქალი დაეტოვებია და თითონ ეხლავე უკან გაბრუნებულიყო.

— ვერა, თქვენო აღმატებულებავ, მე ამ ქალს ძმობა შევფიცე, ან უნდა მოვკვდე, ან დაღუპვას გადავარჩინო. გთხოვთ გზა მომცეთ—შესძახა მან ანგარიშ-მიუცემლათ, მტირალ ნაზის მკლავში ხელი სტაცა და გაქცევა დააპირა, მაგრამ უფროსის ბრძანებით ჯარის-კაცები ეცენ მას და გააჩერეს.

— ხელი, თქვენ უგუნურებო!— შესძახა სანდრომ, ორივე ჯარის-კაცი მიწაზე დაანარცხა და წამში თავის თოფით მახლობელ ხეს ამოეფარა. იგრიალა თოფმა და დაჭრილი ოფიცერი ძირს დაეცა. უნდოდა ჯარის-კაცებიც მოეშორებია, რომ ამ დროს მეორე მხრიდან გამოვარდა ტყვია და დაჭრილ სანდროს თოფი ხელიდან გაუვარდა...

— ნაზი!.. დავმარცხდით!.. თუ შეგიძლია, თავს უშველე!— შესძახა დაჭრილმა სანდრომ ნაზის, მაგრამ ნაზი გაქცევის მაგიერ, კარგი გამოცდილი ვაჟკაცივით სანდროსაკენ გაქანდა, მის თოფს ხელი დაავლო და იმას დაუმიზნა, ვინც სანდრო დასჭრა, მაგრამ თოფის ფეხის გამოშლა აღარ დასცალდა, ჯარის-კაცის ტყვია ნაზის მკერდში მოხვდა და იქვე ჩაიკეცა... შავი ლმობიერი თვალები უკანასკნელათ შეანათა სანდროს... ხელები გაუშვირა...— სან... დრო...— ძლიეს ამოიძახა მან და სული განუტევა...

— უჰ! რა ლამაზი ყოფილა ეგ წყეული.— სთქვა ახლად მოსულმა ახალგაზრდა ოფიცერმა და ჯერ კიდევ თფილ გვამის მკლავზე ხმალი გასინჯა... ბროლის თითებიანი, თოვლივით თეთრი ხელი მსწრაფლ მოშორდა ნაზის მკლავს და იქვე ფოთლებით დაფენილ ფერდოზე ჩაგორდა.— ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომ არ მოგეკლათ!?. ერთს მაინც გაკიხსნილებდით.— ღიმილით უსაყვედურა მან ჯარის-კაცებს...

დაჭრილ ოფიცერს და სანდროს ჭრილობა შეუხვიეს და თან წაიყვანეს; ნაზის გვამი კი იქვე დასტოვეს...

3

დაუბრუნდეთ ირაკლის. გერმანიის ფრონტზე მან თავი ისახელა. პირველ შეტაკებაზე მისი ჯარი დამარცხდა: დიდი ბრძოლის შემდეგ მტერმა ალყა შემოარტყა მათ, მაგრამ უმრავლესობა თავ განწირვით ეკვეთა მტერს, ალყა გაარღვია და თავს უშველა, მხოლოთ მცირე ნაწილი ჩაუვარდა ტყვეთ გერმანელებს, მათ შორის მოექცა ირაკლიც. გერმანელებმა ტყვეები უშიშარ ალაგას გაგზავნეს, ხოლო თვითონ ახლად აღებულ ალაგზე არხეინათ მოიკალათეს. მტერმა ჩვენს ჯარს მრავალ სანოვაგესთან ერთად ნახირიც დაატოვებინა. ირაკლიმ სიბნელით ისარგებლა, ნახირს შეუერთდა და აქედან უთვალთვალებდა მტერს, თან ცდილობდა თავისიანებთან გაპარულიყო; ჯარის-კაცებმა და მათმა უფროსებმაც ივახშმეს, მოშორებით დარაჯები დააყენეს და ჯგუფებათ მოგროვდენ. მეტადრე ორ ალაგას გაკეთდა დიდი ჯგუფი ჯარის-კაცების და ცალკე უფროსების. იცინოდენ, ლაზღანდარობდენ.

ირაკლიმ დრო იხელთა, ფეხაკრეფით მიეპარა უფროსების ჯგუფს და წინ-დაწინ მომზადებული მათივე ყუმბარა სტყორცნა... ირაკლი უვნებლათ გადარჩა; ის არ დაიბნა, ეხლა მეორეს სტაცა ხელი და შიშისაგან დამფრთხალ ჯარის-კაცთა გუნდში გადააგდო... საშინელმა ხმაურობამ მოიცვა არე-მარე. ირაკლიმ გაქცევა დაიპირა, მარა ვეღარ შესძლო, უკანასკნელი ყუმბარის ნატეხი მასაც მოხვედროდა და დარეტიანებული იქვე წაიქცა.

მოულოდნელმა უბედურებამ მტრის ჯარი დააფრთხო და არია; იმათ გადასწყვიტეს, რომ რუსის ჯარი ჩუმათ დაესხა მათ... დაჭრილ-დახოცილები და ნადავლი მიატოვეს და გაქცევით თავს უშველეს. ეს არ გამოეპარა რუსის ჯარს და მტერს გამოუდგა, ნადავლიც წაართვეს და ტყვეებიც გაათავისუფლეს. არ იცოდენ თუ ვინ იყო ყუმბარის მსროლელი; გაიგეს მხოლოდ მაშინ, როცა მეორე დღეს ნახევრად სისხლიდან დაცლილი ირაკლი იპოვეს. ის ფეხში იყო დაჭრილი. ჯარის უფროსს მადლობაც კი არ უთქვამს ირაკლისათვის!.. მას შემოეხვივნენ მხოლოდ ჯარის კაცები და კოცნა დაუწყეს, ჭრილობა შეუხვიეს და საავათმყოფოში წაიყვანეს.

ფეხის მორჩენის შემდეგ, მან სთხოვა უფროსს რამდენიმე თვით სახლში გაეშვა და შემდეგ იმ ფრონტზე დაენიშნა, სადაც მისი ძმა სანდრო მსახურობდა, მაგრამ ჯარის უფროსმა ირაკლი მხოლოდ რამოდენიმე დღით გაუშვა სახლში, დანიშვნით კი ბათომის ფრონტზე დანიშნა ჯარში.

ირაკლი აღფრთოვანებული მიდიოდა სახლში. მალე ერთი წელი შესრულდებოდა, რომ მას არ ენახა საყვარელი ცოლ-შვილი და მოხუცი დედ-მამა. არ იცოდა აგრეთვე ძმის ამბავი. სახლში იმ დროს მივიდა, როცა ყველას ეძინა. სახლიდან კარგახანია წერილი არ მიეღო და ამიტომ გულის ფანცქალით მიაკაკუნა კარებს. თვითეული წამი საუკუნეთ ეჩვენებოდა.

— ვინ ხარ ამ შუაღამისას!—მოესმა სოფრომის შეშინებული ხმა ირაკლის.

— მე ვარ, მამა, მე... შენი ირაკლი... გამიღე კარი.

— დედავ, ღმერთო!... ჩემი ირაკლი... ამფერუმ, ბიჭო... ქალებო, ადექით, ირაკლი მოვიდა...—ხმის კანკალით ამბობდა სოფრომი და შვილს გულში იკრავდა, თან ათვალიერებდა—ფეხი ან ხელი ხომ არ აკლია, წომ არ დევიღუპეო, მაგრამ ირაკლის არაფერი აკლდა, რამაც კიდევ უფრო გაახარა მოხუცი და თეთრ წვერებზე სიხარულის ცრემლები ერთი მეორეს დაედევნა...

სოფრომისას აუწერელი სიხარული დატრიალდა... ხმაურობაზე გამოეღვიძა პეტიკოსაც, მაგრამ პირველათ მან მამა ვერ იცნო, შემდეგ კი გულში ჩაეკრა და აღარ მოშორდა. სიხარულით რა ექნა აღარ იცოდა, დაუსრულებლათ კოცნიდა ლოყებზე, შუბლზე, ხელებზე... არავის უნდოდა დაწოლილიყო დასაძინე-

ბლათ. გათენებამდე კი ჯერ დიდი დრო იყო. პეტიკო ხომ ველარ მოაშორეს მამას.

— შენ წახვალ, მამიკო, გამეპარები.—ამბობდა ის და დაუსრულებლათ ეფერებოდა მამას, გულში ეკვროდა.

ირაკლიმ სანდრო იკითხა და რა გაიგო, რომ მისგან მესამე თვეა წერილი არ მოსლოდათ, ძლიერ დაღონდა, თუმცა მან ეს მშობლებს არ შეამჩნევია,—წერილი ეხლა ხშირათ იკარგება-ო სთქვა მან და შვილს დაუწყო ფერება.

ირაკლი სამი დღე დარჩა სახლში. მეტი დარჩენა არ შეეძლო, რადგანაც იცოდა ამისთვის სასტიკათ დაისჯებოდა და ამიტომ ის იყო უნდა წასულიყო, რომ პეტიკოს ავათმყოფობა შენიშნა. ყმაწვილს სიცხე მისცა. მეორე დღესვე ექიმი მოიყვანეს.

— სიხარულის გამო გული გაგანიერებია და მორჩენა საეჭვოა-ო სთქვა ექიმმა. ამის გაგონებამ ყველას თავზარი დასცა. ირაკლიმ გადასწყვიტა ორი-სამი დღე გადაეცილებია ვადისათვის რაც უნდა დამართოდა, ოღონდ საყვარელი შვილი ეხსნა სიკვდილისაგან, მაგრამ ბავშვი არ კეთულობდა.

— უნდა წავიდე, ჩემო ნინა, შენ არ იცი რა არის სამხედრო სამსახურის დისციპლინა. ხუთი დღე გადავაცილე, ვინ იცის რა სასჯელი მომელის, რომ დავიღუპო უარესია, საშვალება არ აკლია ბავშვს, ექიმი ხშირათ მოიყვანეთ, გაყიდეთ ყველაფერი რაც გვაბადია და დაახარჯეთ. ნუ მომიკლავთ ჩემს პეტიკოს.—სთქვა ირაკლიმ და პირი მიიბრუნა, რადგანაც ცრემლები ველარ დაიმაგრა. შემდეგ ისევ მიბრუნდა, ავადმყოფ შვილს გრძნობით აკოცა, სხვებსაც დაემშვიდობა და გულ ამომჯდარი მოშორდა სახლ-კარს.

— ნინა! პეტიკო შენ იცი... ვეცდები მე მალე ამოვიდე,—მოაძახა მან აივანზე მდგომ აქვითინებულ ცოლს და მიიმალა. ირაკლის გულში ცეცხლი ტრიალებდა. ნეტავი სულ არ მოვსულიყავი სახლში. ეხლა რომ ჩემს ბიჭიკოს რამე მოუვიდეს, მეც თავი უნდა მოვიკლა, რათ მინდა სიცოცხლე მის შემდეგ... ოხ, შვილი... შვილი... რა საყვარელი ყოფილა შვილი... რა ტკბილი, რა ბედნიერებაა ცოლშვილთან ცხოვრება, მაგრამ... ვინ გაძლევს ამის ნებას, წადი იომე, მტერი დაამარცხე, ბრძანება აასრულე, ვისთვის არის საჭირო, ღარიბი ხალხისთვის, თუ მდიდარი ბურჟუებისთვის, ამას შენ არავინ, გკითხავს, ეს შენი საქმე არ არის. მერე იმათაც ხომ ყავთ ცოლ-შვილი!.. ის მის სახლში იყოს, მე ჩემს სახლში ვიქნები, რა გვაქვს გასაყოფი, რატომ უნდა ვეჭლიტოთ ერთმანეთი?!. რა დაგვიშავა ჩვენ გერმანიის ან ავსტრიის მშრომელმა ხალხმა, ან ჩვენ რა დავუშავეთ მათ?! მაგრამ ეს ყველაფერი ერთი მუჭა მდიდრების ბრალია, მათ თავიანთი ნაწარმოები უნდათ სხვა და სხვა ქვეყნებში ადვილათ გაასაღონ, მიწა-

წყალი გააფართოვონ... ომი მათთვის მისწრებაა, ჩვენთვის კი დაღუპვა, მაგრამ რას იზამ, რომ ხალხი შეუგნებელია.... მე რომ ეხლა პეტიკო მომიკვდეს, ეს ხომ ომის ბრალი იქნება! რას ვამბობ!.. რამდენი ლომივით ვაჟკაცი დაღუპა და იღუპება!. რამდენი გადავაცილე, ვინ იცის რას მიზამენ, ფეხებზე ჰკიდიათ შენი ცოლშვილი, გიბრძანებენ, აასრულე; არა და დაგხვრეტენ, ჩამოგკიდებენ, მორჩა და გათავდა... დამნაშავე ხარ თუ უდანაშაულო, ამის განხილვაში არავინ შედის, ვის სცალია შენთვის... ოხ, ღმერთო, როდის იქნება ადამიანი ისე მოაწყობს ამ წუთიერ სიცოცხლეს, რომ ის ადამიანს გავდეს, რომ მუდამ სიკვდილის შიშით არ იყოს შეპყრობილი... ვინ იცის, როგორ სასჯელს მომისჯიან ამ დაგვიანებისათვის... ვაი თუ მოწინავე პოზიციაზე გამიძახეს... მაგრამ მე ხომ ისეთი დიდი სამსახური გავუწიე მათ... თავი სასიკვდილოთ გავიმეტე და ნუ თუ ხუთი ექვსი დღის დაგვიანებისათვის მეტყვიან რასმე...— ამ ფიქრებით ჩავიდა ირაკლი ბათომში და იმავე დღეს ჯარის უფროსს გამოეცხადა.

ირაკლის იმედები არ გაუმართლდა. სასტიკმა ჯარის უფროსმა მას დაგვიანებისათვის ხუთი როზგის დაკვრა გადაუწყვიტა, მაგრამ ერთი გავლენიანი პირის დახმარებით სასჯელს გადარჩა.

ეხლა შვილის ავათმყოფობა სტანჯავდა. მეოთხე, მეხუთე დღე გადიოდა და წერილი არ იყო. ირაკლის ტანჯვას საზღვარი არ ქონდა. ხანდისხან პატარა ბავშვივით დაიწყებდა ტირილს; მეტადრე მას შემდეგ, რაც სიზმარში მის ეზოში ახლად დამყნილი ვაშლის ხე გატეხილი ნახა, გადასწყვიტა, რომ პეტიკო ცოცხალი აღარ იყო და დაბრუნდა სახლში გაპარვა, მაგრამ ამხანაგები არ უშვებდენ,— თავი არ დაიღუპო, ყოველთვის არ გაპატიებენო.

მოულოდნელათ მორიგმა ჯარის კაცმა ირაკლის დახურული კონვერტი გადასცა, მან ნინას ხელი იცნო და გულის ძგერით, საჩქაროთ გახსნა წერილი: — „ძვირფასო ირაკლი! ვიღუპებით, ჩვენი ბუთინიე პეტიკო გვიკვდება, როგორც კი გონს მოდის, მაშინვე შენ გეძახის, მამიკო სად არის მომიყვანეთო, იცოდე მის სიკვდილს მე ვერ ავიტან, ექიმები იმედს აღარ იძლევიან, წყალმა წაიღო ყველა, არაფერი არ შესძლებიათ, ყველამ სხვა და სხვა ნაირი წამალი გამოუწერა და ბავშვი უფრო დასუსტდა. ამოდი რაც უნდა დაგემართოს, სთხოვე უფროსს შვილი მიკვდება, ვიღუპებითქვა, ნუ მომიკლავ პეტიკოს შენ უნახავთ, უსათუოდ ამოდი, თორემ, იცოდე, არც მე დაგხდები ცოცხალი. გწერს შენი უბედური ნინა.“

წერილის წაკითხვაზე ირაკლის სისხლი აუვარდა თავში, დაიბნა, დაბარბაცთა, იქვე ჩაიკეცა და ქვითინი მორთო...—ვსთხოვ უფროსს, ავუხსნი ჩემს მდგომარეობას, ისიც ხომ ადამიანია, მასაც ყავს ალბათ ცოლშვილი, ნუ თუ არ შე-

ვა ჩემს მდგომარეობაში,—გაიფიქრა ირაკლიმ და წამოდგა, მაგრამ სანამ მასთან წავიდოდა, თავისი აზრი ჯერ ამხანაგებს გაუზიარა.

— ბიქო, თავი არ დაიღუპო, ძლივს გაროზგავს გადარჩი და ეხლა სახლში გაგიშვებს!.. შენ არ გცოდნია მისი ამბავი... ან რა უნდა გააკეთო წასვლით! . რა ვუყოთ, რაც მოვა მოვა, ყველაფერი მოსავალია; შვილიც რომ მოგიკვდეს და შენც თავი დაიღუპო, უარესია.—განმეორებით ურჩევდენ ამხანაგები ირაკლის.

როგორ, ჩემი პეტიკო ისე მოკვდეს, რომ მე ის უკანასკნელათ ვერ ვნახ. ხო!.. ნინა ხომ ვერ აიტანს მის სიკვდილს!.. მერე მე რაღათ მინდა სიცოცხლე!.. ჩემი სიცოცხლის მიზანი, ჩემი სიხარული, ჩემი იმედი ხომ ისინი არიან... რა მომივა ამაზე უარესი,—გაიფიქრა ირაკლიმ და იმავე ღამეს გაიპარა სახლში. .

პეტიკო უკანასკნელ დღეში დაუხვდა მას, მაგრამ მამა მაინც იცნო; ჩვეულებრივათ მამას ვეღარ დაუძახა, მაგრამ ლურჯი თვალებით ანიშნა აჩიყვანეო. ბავშვს ცრემლებით აევსო თვალები. აცრემლებულმა მამამ ფრთხილათ აიყვანა ბავშვი და გულზე მიიკრა, მაგრამ ისევ მალე დაწვინა, რადგანაც ყმაწვილი დასუსტდა, სული შეეხუთა, ერთხელ უკანასკნელათ მოავლო საყვარელ მშობლებს დიდრონი მეტყველი თვალები და დახუჭა. .

— პეტიკო!.. შვილო... პეტიკო!.. გულის მომკვლელი ხმით ჩასძახოდნენ გამწარებული მშობლები, მაგრამ გვიანღა იყო... პეტიკო მოკვდა.

ყველანი ცრემლით იმდუღრებოდნენ; მათი ტანჯვა ქვასაც კი აატირებდა... მეტადრე გულს უკლავდა ყველას მოხუცი სოფრომის ბავშვივით ქვითინი...— ღმერთო, სად არის შენი სამართალი!. მე დამტოვე და ჩემი პეტიკო წამართვი.— მოსთქვამდა ირაკლის მამა სოფრომი. ულმობელმა სიკვდილმა თავისი უსამართლობა დაამტკიცა, ბედნიერ ოჯახს მოსტაცა პირველი სიხარული, უმანკო პეტიკო.— ამბობდნენ მეზობლები და გულ დაწყვეტილი მშობლებს ანუგეშებდნენ.— ღმერთმა მოგვცა, ღმერთმა წაიყვანაო...

ირაკლი შვილის დაკრძალვის მეორე დღესვე გამოცხადდა სამსახურში,— იქნება ჯერ არ გაუგია უფროსს ჩემი გაპარვა და დაუსჯელათ გადავრჩეო, მაგრამ მოსტყუვდა, მას მეორე დღესვე გააგებინეს ირაკლის გაპარვა და პასუხის გებაში მიეცათ უკვე. მოსვლისთანავე ირაკლის ბორკილები დაადვეს და ბნელ საკანში ჩასვეს.

სამხედრო პირებმა ის ერთ კვირაში გაასამართლეს და სხვების სამაგალითოდ, როგორც მეორეჯერ დანაშაულობის ჩამდენს და სამხედრო წესრიგის დამრღვევს— ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს...

4

ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც თბილისის მატარებელი ბათომის სადგურის წინ მისრიალდა. ლამაზი, ფართე სადგური დიდრონი ფარნების სინათლით იყო გაჩირაღდნებული. ხალხი ბუზივით ირეოდა სადგურზე. მგზავრები ფაცა-ფუცით გადმოდიოდენ ვაგონებიდან.—насильщикъ сюда!—ისმოდა მატარებლის ფანჯრებიდან. ყველას წინ უნდოდა გაესწრო ერთმანეთისათვის. არ ჩქარობდა მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მგზავრი, რომელიც პირველი კლასის ვაგონიდან გადმოდიოდა. ის ევროპიულათ იყო ჩაცმული, თავზე „ჟრკე“ ეხურა და ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა. თუ დააკვირდებოდით, მის პალტოს ჯიბეში ბოთლს შენიშნავდით!.. სახე წამოწითლებოდა და ფეხებს ბარბაცით მიაბიჯებდა, ეტყობოდა გადაკრული იყო. სადგურის უკან მან ეტლს დაუძახა.

— Извощикъ!.. подавай!.. მეეტლე ადგილიდან არ იძროდა.

— Извощикъ!.. слышишъ, мерзавецъ... подавай скорѣй!..—გულის მოსვლით შესძახა მან.

— Занятъ—უდარდელათ და თან უზრდელი კილოთი მიუგო მეეტლემ.

— Жандармъ!—უცნობი მგზავრი ეხლა იქვე მდგომ ჟანდარმს მიუბრუნდა—подавай фаэтонъ.

— ვისთან გვაქვს ლაპარაკის ბედნიერება?—შეეკითხა ჟანდარმი. უცნობმა პასუხის მაგიერ უბიდან სადარბაზო ბარათი ამოიღო და მიაწოდა, რის შემდეგ უცნობს ჟანდარმმა ეტლი მოართვა, თითონაც შიგ ჩაუჯდა და თან გაჰყვა.

ეტლი სამხედრო შტაბის კანცელარიის წინ გაჩერდა. ახალგაზრდა კაცი მოურიდებლათ შევიდა შიგ და შტაბის უფროსი იკითხა.

— არ შეიძლება თქვენი ვინაობა ვიცოდეთ!—ზრდილობიანათ შეეკითხა კანცელარიის მოსამსახურე.

— რატომაც არა... შეიძლება... ნუ თუ არ მელოდით?—მიუგო ახლად მოსულმა და სადარბაზო ბარათი წააკითხა.

— ხოო!.. თქვენ... დიახ, გელოდით... ბინაც აქვეა თქვენთვის დამზადებული, მობრძანდით,—მიუგო მას ახალგაზრდა მწერალმა ჯარის-კაცმა და თითქოს შეეშინდა ახალ მოსულისო, თვალები მოარიდა. მისდა უნებურათ უკან დაიწია, სტუმარი მეორე ოთახში მიიწვია და რაღაც უსიამოვნოთ დაიღრიჯა, რაც ახალ მოსულს არ გამოეპარა.

— რა მოგდის, ყმაწვილო, ხომ არ გეშინია ჩემი?.. ნუ თუ ასე საზიზღარი ვარ?!. შენ ხომ არაფერს გერჩი...—სთქვა მან და დახრინწიანებული ხმით გადიხარხარა... შემდეგ ჯიბიდან ბოთლი ამოიღო, პირზე მოიგდო და გადაჰკრა...—

აა... მაშ შენც გეზარები, არა?!. მეც ვიცი, რომ საზიზღარი ვარ... მაგრამ, მაგიერში ხვალ უკანასკნელი იქნება...—განაგრძო სტუმარმა ბარბაცით.—მეხუთეა, მეხუთე... მერე თავისუფალი ვარ...— მან კიდევ მოსვა არაყი —ხომ არ დალევ, ა?.. ძალიანია... ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია... სულ ასე დამაქვს თან ჯიბით... არ იფიქრო მყვარებოდეს როდისმე... წვეთი არ ჩამიშვია პირში არასოდეს, მაგრამ... ეხლა ძალათ შემაყვარეს... როცა საქმეზე მგზავნიან, სამ ბოთლს ერთად მაძლევენ, თუ ვისურვებ მეტსაც... ორი უკვე შევსვი... ერთს ხვალისათვის ვინახავ... რაღა მე გამომიწერეთ, ნუ თუ აქ ვერ იშოვეთ კაცი!.. ჰგავს იშვიათია ჩემისთანა ბიჭები, ა ..—სთქვა მან და გადიხარხარა...—ბიჭი ვარ, ბიჭი... მარა ხვალ კიდევ და მერე მშვიდობით... თავისუფალი ვარ ხუთი საათის შემდეგ... რა კარგია თავისუფლება... რას იტყვი, ძმობილო, ა?.. ხომ კარგია თავისუფლება?!. რას იკრიჭები, შენ ალბათ მე სოციალისტი გგონივარ? მართალია, იყო დრო მე ახალთაობის კაცი ვიყავი, თავისუფლებას ვეტრფოდი, კრებებზე დავდიოდი, ამხანაგებთან ვმუშაობდი... ახლა კი... ახლა ჯალათი ვარ... გესმის, ძმობილო? მე ერთხელ ახალთაობის კაცი, ასისთავათ ნამყოფი, პარტიული მუშა, დღეს ჯალათი ვარ... ჯალათი...—სთქვა და ბავშვივით აქვითინდა... ბოთლი იატაკზე დაანარცხა.—მე, ჩემი საყვარელი, კარგი დედის შვილი ჯალათი... მამავ! ჩემო საყვარელო დედმამავ! თქვენი სიმამაყე შვილი ჯალათია... რა კარგი ხელობაა... ჯა...ლა...თი... ნეტავი პირველათ ვინ გამოიგონა ქვეყნათ ჯალათობა?!. მაგრამ ეს ფილოსოფია ჩვენი საქმე არ არის... შენ, ჩემო ძმაო, უკეთესია მომისვენო მე... გესმის? დილას ადრე ასადგომი ვარ, ღამიანა... ხუთ საათს შემდეგ თავისუფალი ვარ... სახლში მეჩქარება... შენ იქნება ფიქრობ, მე უპატრონო ვარ... нѣтъ, братъ! მე დედაც ცოცხალი მყავს და მამაც... ჩემი ძმა ომშია... წელიწადზე მეტია აღარ მინახავს... საწყლები, როგორ გაეხარდებათ ჩემი მოულოდნელი სახლში მისვლა... ჩემმა ძმამ თუ გაიგო, რომ მე ჯალათი ვარ, ვიცი ხელს არ ჩამომართმევს. ჯალათებს ხელს არ ართმევენო მეტყვის და მიუხედავათ იმისა, რომ მე მას ძლიერ ვუყვარვარ, ერთს კიდეც შემაფურთხებს... გესმის შენ, ჩემი საყვარელი ძამიკო, რომელიც საშინლათ მენატრება ერთს მაგრათ შემაფურთხებს... მაგრამ იმას კი აღარ იკითხავს მე დამნაშავე ვარ თუ არა... სულელები... უნდოდათ ჩემთვის მოესპოთ სიცოცხლე, მაგრამ უკაცრავათ... შევუბრუნე კეხი... მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და სიცოცხლე მინდა... არა, რა დავაშავე რომ დახვრეტა დამიპირეს!.. უპატრონო, საწყალი ქალი მინდოდა გადამერჩინა... რა ვუყოთ, რომ ქრისტიანი არ იყო... მე ხომ ქრისტიანი ვარ... ჩემ თვალწინ მომიკლეს... როგორ მეევედრებოდა გადამარჩინეო... ძალიან უნდოდა სიცოცხლე... მაგრამ ვერ შევძელი... დავმარცხდი... თავი გადავაყო-

ლე... რა ლამაზი იყო... კარგი რომ ჯალათობა ვიკისრე, თორემ ეხლა მეც მიწაში ვიქნებოდი ჩაგოზილი... როგორ მევაკრებოდენ... ჯერ ოცი კაცის ჩამოხრჩობა მთხოვეს, მე კი ერთიდან დავიწყე ვაკრობა და ძლივს ხუთზე ავედი... ერთი კიდევ და მორჩა... ა!.. რას გაჩუმებულხარ, ჩემო მეზობელო, მოდი ერთი მაკოცე და წადი დაიძინე... რა გაცინებს, ეხლა მთელი ქვეყანა ჯალათია, ჩემო ძმაო... не правда-ли?.. მართალს არ ვამბობ?..

— დაწექით, ბატონო, მოისვენეთ.— ეეედრებოდა ჯარის-კაცი.

— ჰო... კარგი... მოვისვენებ... მაგრამ დილას ღამიან გამაღვიძე; სახლში მეჩქარება... ეგ ჩემოდანი არავინ მომპაროს... ამაშია ჩემი ხელსაწყო... წითელი ხალათი... გასანთლული თოკი... ხომ კარგი ხელსაწყო მქონია?.. რა კარგია ეგ არაყი... ერთს კიდევ დავლევ, ტკბილათ დამეძინება... მიდიხარ?.. წადი... მაგრამ ღამიან გამაღვიძე... რაც ღამე იქნება მით უკეთესი... თვალებში შეხედვის მეშინია... თვალებს ვერ ვუძლებ... მაგრამ სულ არ შევხედავ... უკანასკნელია, რაც იქნება, იქნება... დაპირება ხუთია .. სიტყვა სიტყვაა, ეხლა კ... დაეიძინებ... მაშ... აგრე... ხვალ. . ხო... ხვალ... დილით... თვალები... მეშინია. . თვალ...—ბუტბუტებდა ის.

5

დილის ოთხი საათი იქნებოდა. ჯერ კიდევ ბნელოდა. ეძინა ქალაქს. არ ისვენებდა ხოლოდ ზღვა, რაღაცას ჯავრობდა, პირიდან დორბლს ჰყრიდა, თითქოს აშფოთებდა მის კიდეზე აგებული საპყრობილის ეზოში ახლად ამართული სახრჩობელას ბოძები და მის გარშემო რამოდენიმე აჩრდილის ფუსფუსი...

— ვიჩქაროთ, თორემ სადაც არის მოვლენ, თენდება.—სთქვა ერთმა მათგანმა.

— აჰა, გავათავე, თუ გინდა კამეჩი ჩამოჰკიდე, დაიმაგრებს,—სთქვა მეორემ და ცხენივით ჩაიხიხვინა... ცოტ:ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს მყუდროება საპყრობილის რკინის კარების ხმაურობამ დაარღვია; ეზოში შემოვიდენ: პროკურორი, შტაბის უფროსი, ექიმი, მღვდელი, ციხის უფროსი, რამდენიმე თოფიანი ჯარის-კაცი და ევროპულად ჩაცმული კაცი ჰატარა ჩემოდნით ხელში.

— აბა, მზათ არის?—იკითხა მაღალ-მაღალმა საკმაოთ გამხთარმა ციხის უფროსმა, რომელსაც ეტყობოდა გადაკრული იყო, რადგანაც მოგრძო წვეტიანი ცხვირი ძალზე წასწითლებოდა და თან ბარბაცობდა, თუმცა ცდილობდა თავი შეემაგრებია.

— მზათ გახლავს, თქვენო აღმატებულებავ,—ხელის აღებით მოახსენა უფროსს ჯარის-კაცმა.

— მაშ წადით, გამოიყვანეთ.—უბრძანა უფროსმა დარაჯებს. ისინიც მაღლა სართულზე აემართენ ფეხაკრეფით, თითქოს ეშინიათ არავინ შეგვიტყოსო.

— შენ რაღას უდგეხარ?! მოემზადე,—მიუბრუნდა ციხის უფროსი ევროპიულათ ჩაცმულ ყმაწვილ კაცს, რომელმაც პასუხის მაგიერ ჯიბიდან არაყი ამოიღო და გადაჰკრა... შემდეგ პატარა ჩემოდანი გახსნა, წითელი ხალათი გადაცვა, გასანთლული თოკი კი ორ ბოძზე გადებულ ხეს გამოაბა ბარბაცით, შემდეგ კარგათ მოსინჯა—ხომ არ გაიხსნებაო და, როცა ამაში დარწმუნდა, კვლავ არაყი გადაჰკრა... ყველანი უსიტყვოთ იდგენ, თითქოს ქანდაკებაო, თვალყურს ადევნებდენ მხოლოდ ჯალათის მოქმედებას.

— მოჰყავთ—სთქვა ციხის უფროსმა და იქაურობა დაათვალიერა, ხომ ყველაფერი მზათა მაქვსო. ჯალათმა ერთი ბიჯი უკან გადადგა, ხელში ტუსაღის თავზე ჩამოსაფარებელი დოლბანდი მოიმზადა და თვალებით მიწას დააშტერდა, სულის თქმას უშატა... მოაგონდა მისი პირველი მსხვერპლის შემოხედვა... ლმობიერი, ცრემლებით სავსე გამომეტყველი თვალები, რომლებიც ევედრებოდა მას: რა დამიშაკებია შენთვის?.. რათ მისპობ, ძმაო, სიცოცხლეს?.. მეც შენსავით ადამიანი ვარ... მეც შენსავით სიცოცხლე მწყურია... ცოლი მყავს და შვილი, მოხუცი მშობლები... ნუ დამახრჩობ, ნუ...—ევედრებოდა ცრემლიანი თვალები მას... აი, ეს თვალები ეხლაც მოელანდა ჯალათს და უკან დაიწია... თვალებით მიწას დააშტერდა, არ უნდოდა უკანასკნელი მსხვერპლისათვის თვალებში შეეხედნა...

ტუსაღი მოიყვანეს. ხელები თოკით ქონდა უკან გაკრული. გამხთარ, ტანჯულ სახეზე მწუხარება ემჩნეოდა. აღშფოთება კი არა.

— აბა, მამაო! აღსარება! რაღას უყურებ!—მიმართა მღვდელს ციხის უფროსმა.

— ჯერ განაჩენი—ჩაეცილა ახალგაზრდა და სახე წამოჭარხალებული პროკურორი და ხელში მომზადებული განაჩენი დიდი რიხით წაიკითხა.

— მე სამხედრო პირი, ჯარის კაცი ვარ, ამიტომ მოვითხოვ ჩამოხრჩობა დახვრეტით შეეცვალოთ.—მიუგო ტუსაღმა.

— განაჩენის შეცვლა შეუძლებელია. დოინჯის შემოყრით მიუგო პროკურორმა და იქვე მღვდელს შეხედა, რომ საქმეს შესდგომოდა, მღვდელი აშას მიხვდა და ტუსაღს მიმართა:

— შვილო! აღსარება სთქვი და წმინდა ზიარება მიიღე, რაც ცოდვები მიგიძღვის, ყველა დაუფარავათ აღიარე, უფალი შეგინდობს, გაპატივებს.—მიუახლოვდა მას საკმაოთ მაღალი, ტიკივით ჩამრგვალებული, ლოყებ-ლაჟღაჟ, ძვირფას ქურქში გახვეული მღვდელი.

— ცოდვები არაფერი მიმიძღვის, მამაო. ზიარების მიღებაზე კი არ გაგაწბილებ, მხოლოდ მეც გთხოვ ერთ რამეს და ამისრულე.

— შვილო! ისეთი არაფერი მთხოვო, რაც კანონს ეწინააღმდეგება!..

— არა, მამაო, მე მხოლოდ წერილის გაგზავნას გთხოვ სახლში ჩემს მოხუც მშობლებთან და ცოლთან. წერილი ჯიბეში მიდევს. თუ შეიძლება შემიხსენით ხელები, წერილს ამოვიღებ.

— ჯალათო! გაუხსენი ხელები!—უბრძანა ციხის უფროსმა ჯალათს, რომელიც ამ დროს ტუსაღის უკან იდგა თავ-ჩაქინდრული, გაშტერებული, ყველა ეს სიზმრათ ეჩვენებოდა, თითქოს ტუსაღის ხმაც კი ეცნობოდა...—მომეჩვენა... შიშს მოჩვენება სცოდნია,—გაიფიქრა მან და ბრძანება შეასრულა, ტუსაღს თოკისაგან ხელები გაუთავისუფლა.

— გთხოვ, მამაო, წერილის გაგზავნა არ დაგავიწყდეს.—უთხრა მღვდელს ტუსაღმა ზიარების მიღების შემდეგ და სახრჩობელას ქვეშ დადგმულ სკამზე შედგა.

— აბა! რაღას უდგეხარ!?.—გაკვირვებით და თან ჩასისხლიანებული თვალების ბრიალით მიმართა ჯალათს ციხის უფროსმა. ჯალათი დაიბნა, ხელები აუკანკალდა... ძლიერ უნდოდა შეეხედა ტუსაღისათვის, მაგრამ ვერ ბედავდა... ცრემლიანი თვალების ეშინოდა...

— ჩქარა!..—განმეორებით უბრძანეს მას. ჯალათმაც ნახევრათ თვალებ-დახუჭულმა, ხელების კანკალით ჩამოაცვა თავზე დოლბანდის ტომარი, შემდეგ გასანთლული, მარყუჟათ გამოსკვნილი თოკი და სკამი გამოაცალა...

ხუთი წამის განმავლობაში თოკზე დაკიდული კაცი საცოდავათ ფართხალობდა, იგრიხებოდა. შემდეგ ექიმმა, რომელსაც გულზე უმაღლესი სასწავლებლის გათავების დიდი ნიშანი ჰქონდა გაკეთებული, თოკზე ჩამოკიდებულ გვამს მაჯა გაუსინჯა, დიდი ყურადღებით დააკვირდა და მტკიცეთ წარმოსთქვა:

— მზათ არის.—რის შემდეგ ყველანი საჩქაროთ მოშორდენ სახრჩობელას ყარაულებს გარდა.

ციხის ეზოდან გამოსვლის დროს მღვდელს დაუვარდა წერილი, რომელიც ჯიბეში უნდოდა ჩაედვა.

— მამაო! მაჩვენეთ ეგ წერილი.—უბოდიშოთ მიმართა მას ჯალათმა და მისამართს დააშტერდა, საჩქაროთ გახსნა, რომლის წაკითხვის შემდეგ დაჭრილი ლომივით აღრიალდა და ციხის კარებისაკენ გაქანდა, მაგრამ რკინის კარები დაკეტილი დაუხვდა...

— მიშველეთ... ჩამქოლეთ... მომკალით... ძმა დამიხრჩვია... ჩემი საყვარელი ირაკლი... დავიღუპე... მშობლებო... ძმაო... გიღალატეთ, მომკალით...—

გულსაკლავი ხმით ბღაოდა სანდრო და ორსავე ხელს რაც ძალ-ღონე ჰქონდა თავ-პირში იცემდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა...

მკითხველი ალბათ ადრე მიხვდა, რომ ჯალათი ირაკლის ძმა სანდრო იყო. ოფიცრის დაჭრისათვის მას დახვრეტა გადაუწყვიტეს და თან წინადადება მისცეს, თუ საჭიროების დროს სამხედრო ტუსაღების ჩამოხრჩობას იკისრებდა, სიცოცხლეს აჩუქებდენ. პირველათ სანდრო ცივ უარზე იდგა, მაგრამ როცა ბოძზე გააკრეს და თოფები დაუმიზნეს, მისი სასაფლავო მის თვალწინ გათხარეს... შეეშინდა სიკვდილისა, მოაგონდა მოხუცი მშობლები, საყვარელი ძმა, ტკბილი ოჯახი, ამხანაგები და... სიკვდილს შერცხვენილი სიცოცხლე არჩია, ხუთი კაცის დახრჩობაზე დაითანხმეს... უკანასკნელათ ბათომში მიიწვიეს და კიდეც გაათავისუფლეს...

6

თებერვლის უკანასკნელი რიცხვები იყო. ზამთარს თითქოს ეხლა მოგონებოდა თავის სიმკაცრე, ახლად დაეფარა დედამიწა და კიდევ ენერგიულათ ბარდნიდა.

ბამბის თეთრ ქულაში გახვეულ სოფელს ტკბილათ ეძინა; თუმცა მამლების გახშირებული ყივილი ამტკიცებდა, რომ გათენებამდე დიდი დროც აღარ იყო. ბაიბური არ ისმოდა. აქა-იქ გაიგონებდით მხოლოდ ძაღლების ყრუდ ყეფას. ჰაერში გაყინული თოვლის ურიცხვი თეთრი პანტელები კი საამურად მოთამაშობდა ზემოდან და ფიფქ თოვლს ემატებოდა. დაებურა სახლები, მოაჯირები და ხეები. ადამიანის კვალი აღარ ჩანდა. სად იყო სასოფლო გზა, სად ხიდი ძნელი გასარჩევი იყო; თუმცა თოვლი საკმაოთ ასინათლებდა. ვინ იფიქრებდა თუ ამ დროს ცის ქვეშ მგზავრი გაივლიდა.

ის კი უშიშრად მიარღვევდა მუხლებამდე ფიფქ თოვლს... ასე გეგონებოდა ბამბის ქულა აცვიაო, ისე დაეფარა მთელი ტანი თოვლს. მოსჩანდა მხოლოდ მგზავრის პირის სახე, რომლიდანაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თითქო პაპანაქება სიცხეში თოხით მუშაობდა ყანაში... ეტყობოდა შორიდან მოდიოდა.

— უჰ!.. დავიღალე, მაგრამ კიდეც მივედი... ესეც საბრალო მამაჩემის ჭიშკარი, რომელიც მე გავაკეთე ამ სამი წლის წინათ,—სთქვა მგზავრმა და ჭიშკრის კარს აკოცა...—ჩემო საყვარელო სახლ-კარო... კაი დროზე მოვედი, თორემ დავიღუპებოდი, გათენებას ბევრი აღარ აკლია, ფეხების ბაკუნით სთქვა მან და ჭიშკარს ფრთხილათ მოსწია, უნდოდა ხმა არ გაეღო, მაგრამ კარი ოდნავ მაინც აჭრიალდა, რაც არ გამოეპარა მასპინძლის ერთგულ ყარაულს და ყეფით ჭიშკრისაკენ გაქანდა.

— მურია... მურია... ჰა, მურია... ჰაა...—მიეფერა ახლად მოსული ძაღლს. მურიამ ის იცნო და იმის მაგიერ, რომ დაეკბინა, წკმუტუნი მოართო, თითქოს ბოდიშს იხდიდა, ფეხებში ჩაუვარდა, შემდეგ ტანზე ტორტმანი და ხელების ლოკვა დაუწყო, უზომო სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა; უცებ ახლად მოსული დატოვა და სახლისაკენ გაქანდა. ოდის პარმაღში ავარდა, კარებს შეეტორტმანა, თითქოს უნდოდა სახლის პატრონისათვის ეხარებია—გაიღვიძეთ ვინ მოვიდაო, მაგრამ სახლიდან ხმა არ ისმოდა. ჭკვიანი პირუტყვი ისევ ახლად მოსულს მოეგება და კვლავ ტორტმანი, გაუთავებელი წკმუტუნი, ლოკვა და ფერება დაუწყო.

— ოხ, ჩემო მურია, როგორ გამეხარდა, რომ შენ მაინც გნახე... სხვების ნახვის ღირსი მაინც არა ვარ და ვერც ვნახავ...—წაიჩურჩულა ახლად მოსულმა, მურიას თავზე ხელი გადაუსვა და ფეხაკრეფით ოდის პარმაღში ავიდა. კარების წინ გაჩერდა. კარგახანს იდგა ასე თითქოს დიდი დამნაშავე ხატის წინ დგას და ცოდვებს ინანიებსო. ბოლოს ცრემლები წასქდა და ბავშვივით აქვითინდა...

— მამავ!.. საყვარელო დედმამავ!... მოვიდა თქვენი უბედური შვილი სანდრო... მოვიდა შერცხვენილი... თავლაფდასხმული—საყვარელი ძმის მკვლელი... თქვენი და მისი ცოლშვილის ყელის გამომჭრელი... ჩემო საყვარელო მშობლებო! მოვედი, მაგრამ რაკი ღირსი აღარა ვარ თქვენი წახვის, ისევ მივდივარ... საუკუნოთ, სამარადისოთ... თუმცა ძლიერ მენატრებით, დიდი ხანია არ მინახავხართ. ჩემო დედიკო! შენი ტკბილი ალერსი, უკანასკნელათ გულში ჩაკვრა, ვინ იცის, რას მირჩევნია. მთლად შენმა სიყვარულმა და სიბრალულმა გადამაწყვეტია ეგ სისაძაგლე.!. ბოლოს კი საკუთარი ღვიძლი ძმის მკვლელი გავხდი და ასე დასაჩუქრებული გავთავისუფლდი... შხამათ შეერგოს შენს უბედურ შვილს შენი ტკბილი ძუძუ. ძვირფასო დაიკო ნინა! ჰაპატივე, შენს საყვარელ ქმარს მე გადავაცვი გასანთლული თოკი ყელზე... მაგრამ, ღმერთმა იცოღეს, მე არა ვარ დამნაშავე. ძალათ დამღუპეს... მომსპეს... გემშვიდობები ყველას... თქვენც ჩემო ტკბილო მშობლებო... მშობლებო... მშვიდობით,—წაიჩურჩულა სანდრომ ცრემლების ყლაპვით და კარებს ისეთი გრძნობით აკოცა, როგორც დედა უკანასკნელათ აკოცებს თავის საყვარელ შვილს... უცებ მოშორდა და ის იყო ძირს უნდა ჩამოსულიყო, რომ ამ დროს ძმის წერილი მოაგონდა.—მართლა ირაკლის წერილს მაინც დაუტოვებ ამ საბრალოებს. ეს არის თქვენი მეორე შვილის მაგიერი, რომელიც თავის ღვიძლ ძმას ჩამოახრჩობიეს,—ცრემლების ფრქვევით სთქვა სანდრომ და წერილი კარებში გააკეთა.

— დამაგვიანდა. გათენდა კიდეც, სად სჯობია... ისევ მარანში, იქ უფრო მოხერხებული ალაგია—გაიფიქრა სანდრომ და ეზოზე მოშორებით ისლით გად-

მოხურულ მარანში შევიდა.—საბრალო მამაჩემი, ჩვენს შემდეგ არც კი გაუ-ლოცავს, ისევ ის ძველი ჩიჩილაკი, უკანასკნელათ რომ გავილოცეთ... რამდენ-ჯერ წმინდა სანთლებით გვილოცავს ამ მარანში... როგორი წრფელი გულით შევსთხოვდით წმინდა ბასილს ჩვენს ბედნიერებას, კარგ მომავალს... როგორი ბედნიერი იყო მაშინ ჩვენი ოჯახი.. ყველანი ჩვენ შეგვნატროდა, დღეს კი ასე სამარცხვინოთ დაიღუპა ჩვენი ბედნიერი ოჯახი... ჩვენი ცხოვრება... მოხუც მშობლებს უკანასკნელი დღენი ჩავუმწარე... ნეტავი ვიცოდე რატომ გადაუწ-ყვიტეს ირაკლის ჩამოხრჩობა!.. ნუ თუ მოჰკლა ვინმე? როგორ უშიშრათ მიე-ეგება სიკვდილს!.. ერთხელაც არ დაუკვნესია... მაგრამ ვინ იცის, მის გულში რა ცეცხლი ენთო მაშინ... მე კი... მე ღაჩრულათ მოვიქეცი, ხუთი ადამიანის ცოდვა დავიდე და ბოლოს ჩემი ხელით ვიხრჩობ თავს. მაგიერში ეხლა აღარ მე-შინია, დეე მეც იმ თოკმა ჭმისპოს სიცოცხლე, რომელმაც ჩემი საყვარელი ძმა გამოასალმა წუთი სოფელს... ომის მსხვერპლი შეიქნა ჩვენი ოჯახი... წყე-ულიმც იყოს მისი მომგონი.—ამ ფიქრებში მან მოხერხებულ ალაგას ჩამოაბა თო-კი, ჯირკზე შედგა, ყელზე მოიბა და...—ჩამოეკიდა...

7

— სოფრომ! კაცო! სოფრომ! გაიღვიძე, რა მოგივიდა, რომ ასე შფოთავ, ხომ არაფერი დაგესიზმრა?!. გაიღვიძე, გათენდა,—გამოეხმაურა სოფრომს თავი-სი მოხუცი ცოლი ესმა, როცა დაინახა, რომ ძილში რაღაცას ბორგავდა, იტან-ჯებოდა.

— უჰ... არს ღმერთი... მადლობა ღმერთს სიზმარი ყოფილა.—სთქვა სოფ-რომმა თვალების ფშვნეტით და პირჯვრის წერით.

— რამდენი ხანია რაღაცას სწუხარ, ლაპარაკობ, გლახა ხომ არაფერი და-გესიზმრა, მე ქე გადამრია სიზმრებმა, მარა ჩემს სიზმარს ახლა ჭკუა ხომ აღარ ეკითხება—სთქვა ესმამ.

— ჩვენს თავზე კაი აღარ არის... ჩაგვიმწარდა სიბერის დღე... დაგვეღუპა შვილები,—გადაწყვეტით სთქვა სოფრომმა და ბავშვივით ატირდა.

— ეე... დეიწყო ახლა ამან.. სიზმარს რომ ჭკუა ქოდნეს, ჩვენ ამ დრომ-დი ყველა უნდა დავხოცილვიყავით.

— რაღა გვაკლია, ვიხოცებით და ეს არის. მე და შენ რომ არ კვდებით, იმიტომ თუ!..

— ხო, კაი ახლა, ნუ გააბდლებულხარ, ადექი ბერჯვარი დაიწერე, ღმერთი ახ-სენე, კვირა დღეა, ეკლესიაზე გადი, ბიჭებიდან იქნება წერილი გამოჩდეს; და-

მესიზმრა ვითომ ჩვენს ეზოში თოფი გავარდა, დაცდილი მაქ ამან წერილი და სასიხარულო ამბის გაგება იცის. შენ რომ ასე ტირი, რაღა ქნას ახალგაზდა ქალმა, ათი დღეა შვილი დამარხა და ქმრის ამბავი არ იცის... იმან რომ ატირებული დაგინახოს, ხომ გადირევა! —ანუგეშებდა მოხუც ქმარს ესმა, მაგრამ თითონ უარესი ცეცხლი უტრიალებდა გულში. ირაკლის წერილის დაგვიანებას ვერც ის ხსნიდა კარგათ. რამდენ კაცსაც დაინახავდა ეზოში ჩამოსულს, იმდენჯერ გული კანკალს დაუწყებდა, ცუდი ამბავი არაფერი მოგვიტანოსო.

— რა ვიცი, იქნება კარგათაც ახდეს, ვინ იცის,—დაიწყო სოფრომმა. ორივე ბიჭი ვნახე, მათი ჭირიმე, მოვიდენ გამოცვლილი, გალამაზებული, გულზე ჯვარმენდლები აღარ ეტეოდა, იმდენი ქონდათ და ორსავე ყელის მენდლები ეკიდათ წითელი ლენტებით. მაგრამ რათ გინდა, იმათი სახლში შემოსვლა და იმ უბედური ბავშვის მოსვლაც ერთი იყო. ჩაეხვია მამას კისერში და არ მოშორდა. აღარც მამა და არც ბიძამისი ჩვენ არ მოგვაკარა, დედამისთან კი არ მიდიოდა, მათი მოსვლა ყველას გვიხაროდა, მარა პეტიკო რომ არ უშვებდა ჩვენთან, ამას ვწუხდით და ამ დროს ის იყო შენც გამომაღვიძე.—სთქვა სოფრომმა.

— არაფერია მაგი. კაი და კეთილია, მშვიდობა იცის. შენ ნახავ თუ დღეს ორივესაგან წერილს არ მივიღებთ, ენაცვალოს მათ დედა.—სთქვა ესმამ და ბუხარში ცეცხლი შეანთო.— შენ ადექი, ტანზე ჩაიცვი —ამხნევებდა ქმარს ესმა, მაგრამ თითონ ჯავრით გამშრალი იყო, რა ექნა აღარ იცოდა...

სოფრომს არ უნდოდა ადგომა, მაგრამ ცოლის დაეხათრა. ზლაზვნით წამოდგა და ტანზე ჩაცმა დაიწყო.

— წუხელის რამდენი უთოვია!.. რაც აქამდი იდარა, აწი წაგვამწარებს,— სთქვა ესმამ და კარები გამოაღო. კარების გაღება და წერილის იატაკზე დავარდნა ერთი იყო.

— წერილი!.. წამოიძახა მან სიხარულით და სახლში შემობრუნდა. აკი ვამბობდი, დღეს წერილი მოვა მეთქი, სთქვა ესმამ და ნინასთან გაეშურა მეორე ოთახში. სოფრომიც იმას შეჰყვა მუხლების კანკალით.

— აწი ვინ მეიტანა, ვთქვათ... რეიზა არ გაგვაღვიძა ვიღაცა იყო!.. ღმერთო, კაი ამბავი გამაგონე—ამბობდა ის ხმის კანკალით და ცრემლების ფრქვევით.

ნინა საჩქაროთ წამოდგა ლოგინიდან, ნამტირალევი თვალები მოიწმინდა; მის სახეზე შიშიც იხატებოდა და სიხარულიც. წერილის კარებში გაკეთებას ის ვერ ხსნიდა კარგათ, ალბათ არ არის კარჯი ამბავი და მომტანი მიტომ აღარ შემოვიდა შინაო, ფიქრობდა. არეულმა და შეშინებულმა ნინამ წერილი ხელის კანკალით ჩამოართვა დედამთილს და უნდოდა გაეხსნა, მაგრამ ის უკვე გახსნილი იყო. ამან კიდევ უფრო გააოცა ნინა, მან მაშინვე იცნო ირაკლის ხელი.

„ჩემო საყვარელო ნინა და ძვირფასო მშობლებო! ჩემი საქმე საუბედუროთ ვერ წავიდა კარგათ, მაგრამ რა გაეწყობა, კაცის თავზე ყველაფერი მოსავალია, ჩვენ არც პირველი ვართ და არც უკანასკნელი. გთხოვთ გულს ნუ გაიტეხთ და სულით ნუ დაეცემით, სადაც არის სანდროც ჩამოვა ალბათ. ჩემს მაგიერობას ოჯახს და მტერ-მოყვარეს ის გაუწევს. მე გამასამართლეს, არავინ ფიქრობდა ჩემს ასე სასტიკათ დასჯას, არ შევიდენ ჩემს მდგომარეობაში, არ მიაქციეს ყურადღება ბრძოლის ველზე ჩემს თავ-განწირვას, არც ჩემი პეტიკოს სიკვდილს და სხვების მაგალითისთვის მე ჩამოხრჩობა გადამიწყვიტეს...“

ამის შემდეგ ნინას წერილი ალარ წაუკითხავს... ერთი საშინლათ შეჰკივლა და ლოგინიდან გააფთრებული, დაჭრილი ვეფხვივით წამოიჭრა... მის გულ-შემზარავ კივილს შეუერთდა ესმას და სოფრომის ბღავილი... ესმას ძუძუებიდან და გულ-მკერდიდან იფრთქიალა სისხლმა. ხმაურობაზე შეგროვდენ მეზობლები და, როცა გაიგეს რაშიაც იყო საქმე, იმათაც შეუერთეს თავიანთი მოთქმა-ტირილი მშობლების და ნინას განუსაზღვრელ მწუხარებას...

ტანჯვა და მწუხარება გაუორკეცა ყველას მარანში ნახულმა სურათმა...

ყელზე თოკ-წაჭერილი და თვალებ-წამოკარკლული სანდრო მეზობლებმა ცრემლების ფრქვევით და ვაი-ვის ძახილით შემოასვენეს სახლში... ყელზე ალ-მოაჩნდა მას ირაკლის სურათი...

— რა კარგი ოჯახი დაიღუპა!..

— რა ალალმართალი ხალხი მოისპო!..

— ნეტავი სანდრომ რატომ ჩამოიხრჩო თავი?!. ან წერილი ვინ მოიტანა?!.

— ეკითხებოდენ ტირილით თვალებ-დასიებული და გაოცებული მეზობლები ერთმანეთს, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო...

ახლად ამოსული მზე კი საამურად ათამაშებდა სოფრომის ოდის ფანჯრებზე თავის მადლიან სხივებს...

არ. რუხაძე

დამჭკნარი ვარდი

ძველი რომანის დაფლეთილ ფურცლებში განისვენებს ის...
დამჭკნარი ვარდი...
მოგონებათა მთელი გროვა...
გაზაფხულის მზის სხივებით გამხიარულებულ ბაღში მოსწყდა კოკობი ვარდი...
და ნაზმა თითებმა ჩადეს ამ წიგნში...

* * *

ყამთა სრბოლამ დაფლითა ვარდი...
ის არ ატკბობს დღეს ყნოსვას...
მისი ფოთლები მტვრითაა სავსე...
მაგრამ ის ატკბობს გულს, მიშლის მოგონებათა მთელ რიგს.

* * *

ნაზმა თითებმა ის მოსწყვიტეს ყვავილოვან ბაღში...
და ჩასდეს ამ წიგნში...
რომანი დაიხურა... და შიგ მოემწყვდა ვარდი...
მეშინოდა არ გაფრენილიყო, არ მოეტაცათ...
და მაგიდის უჯრაში მაგრათ ჩავკეტე წიგნი...

* * *

დღესაც გაზაფხულია...
მაგრამ სად არის ეს ყვავილოვანი ბაღი?..
ის გადამხმარა, არ ყვავის...
ყვავილთა ღერები ობლათ გაჰყურებენ ცის სივრცეს...
და თავის ობლობას სტირიან...
აი ის ვარდის ბუჩქიც...
გამხმარი, გაშეშებული, ობოლი...
თითქო ვიღაცას ის ღამის წყვდიადში გაუძარცვავს...

* *
*

დღესაც გაზაფხულია...

ხელში მიჭირავს ეს ძველი წიგნი...

ცრემლ-მორეული ჩავყურებ ამ დაფლეთილ-დამჭკნარ ვარდს...

და სადაა ის ნაზი თითები, რომლებიც ოდესღაც შეეხენ მას!..

ამ ობოლ ბაღში დღესაც ვზივარ წიგნით ხელში, მაგრამ არ მადგება თავზე მისი აჩრდილი...

ის არ მოდის დღეს ჩემთან მორცხვათ და არ მესვრის მაისის ვარდს...

გაჰქრა ტკბილი სიზმარი...

ცივმა ქარმა დაბერა ყვავილოვან ბაღს...

და მორცხვი, ნაზი ეთერი მიეფარა ცის სივრცეს...

* *
*

დამჭკნარი ვარდი...

ეს-ღა დარჩა ტკბილ მოგონებათ!..

და აბრეშუმის ძაფს მაგრა ვუჭერ ამ წიგნს...

ისევ ვკეტავ მას ჩემი მაგიდის უჯრაში...

მეშინია, ცივმა ქარმა არ მომტაცოს დაფლეთილი ფოთლები დამჭკნარ ვარდისა...

მეშინია, ქარმა არ მომტაცოს ეს ტკბილი მოგონება...

ზუზუნებს ქარი...

და მის ზუზუნში მესმის გლოვის ხმა!.. და თან მუქარაც...

ის გაჰქრა...

მას ვერ იხილავ ვერასოდეს...

და ჩქარა მოგტაცებ იმ ვარდის ფოთლებსაც...

მეშინია...

მძაგს ქარის ზუზუნი...

და შორს ფიქრებში გართული ვიგონებ ნაზ თითებს...

ნუ თუ ისინიც ამ ვარდივით დასჭკნენ?..

ლრკვა

კ. გერგესელი

გზა-ჯვარედინზე

დრამა ოთხ მოქმედებათ

მოქმედნი პირნი

ლუკა—ცოფილი ასოთამწყობი—60 წ. ჭლექიანი

სანდროო } ლუკას შვილები
ლენა }

ვლადიმერი—სტამბის და სხვა სამრეწველო დარგების მეპატრონე

ილია—ვლადიმერის მეგობარი, ექიმი

იოსები—სტამბის გამგე

ლეო—ასოთ ამწყობი, სანდროს მეგობარი

მსახური—ვლადიმერის

მსახური—სასტუმროსი

მოქმედება პირველი

(ლუკას ბინა, შესრბის ქვედა სართულში, სამი კარები აქვს, ოთახის მოწყობილობას სიღარიბის ბეჭედი ახსის, მაგრამ ყველაფერს სასეფთაფე ემჩნევა, ფარდა რომ აიხდება, სცენაზე არიან ლუკა და ლეო. ჰირველი კუთხეში მუშაობს—ხისგან ასოებს სჭრის, მეორე გაზეთს კითხულობს)

ლუკა მე მაინც ვერ დავრწმუნდი, რომ მშრომელი ხალხი ოდესმე ბედნიერი იქნება.

ლეო (გაზეთს გადადებს) არა, ლუკა, სრული ბედნირება კაპიტალისტურ ხანაში მიუწდომელია. მხოლოდ მუშათა გათვითცნობიერებით, მჭიდრო ეკონომიური ორგანიზაციების შექმნით შესაძლებელია არსებული მდგომარეობის საგრძნობლათ შეცვლა.

ლუკა ეხ, შვილო, იმ ბედნიერ დღეს მე ვერ მოვესწრები, მძიმემ და აუტანელმა შრომამ ჩემი საარსებო ჯან-ღონე უკვე საბოლოოდ დაშალა; განუკურნებელი სენიც ყოველ დღეობით სიკვდილს მიახლოვებს.

ლეო რას იზამ, ასეთი სენი მუშების განუყრელი მეგობარია და მოისპობა მაშინ, როდესაც არსებული მდგომარეობა ძირ-ბუდიანათ გარდაიქმნება.

ლუკა შორეულ მერმისზე ოცნება აწმყოში ტანჯვას ვერ ამსუბუქებს.

ლეო საკვირველია, ლუკა, თქვენ ძლიერ დაუძლურდით, მე მგონია არც ისე საგრძნობათ უნდა იყვეთ მოხუცებული.

ლუკა აკი გითხარი—მძიმე შრომამ დამჩაგრა მეთქი.

ლეო ასეთს მდგომარეობაში ეცადეთ ზედმეტი შრომა აიცდინოთ.

ლუკა კარგი რჩევაა, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე ადამიანის სურვილები.

ლეო მართლა ულმობელია მისი კანონები.

ლუკა როცა სტამბაში მუშაობა ვერ შევძელი, სანდროს რჩევით დასვენება მინდოდა, მაგრამ მარტო სანდროს ჯამაგირმა ვერ დაგვაკმაყოფილა, და გადავწყვიტე მესარგებლნა ვლადიმერის თანაგრძნობით და სახლში ასოები მეკეთებინა, ძალიან გულკეთილი კაცია ვლადიმერი, ასე რომ მხედავს ყურადღებით მეპყრობა, მამა მისი-კი ცუდი კაცი იყო, მუშებს სულს უხუთავდა.

ᲚᲔᲝᲜ ვლადიმერი-კი მუშებს სულს უცისკროვნებს, არა?

ᲚᲣᲙᲐ მამას სჯობნის. ეს სამი ოთახი გვიჭირავს და ღირებულებაში 25 მანეთი დაგვიკლო; მიუხედავათ იმისა, რომ სანდრო ძალიან ხშირად თვრება ხოლმე, მაინც სამსახურში წინ გასწია.

ᲚᲔᲝᲜ სჩანს, ვლადიმერს თავისი გულკეთილობით გავლენა მოუხდენია თქვენზე, მაგრამ ერთი გარემოება არას დროს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ. (ᲚᲣᲙᲐ მაჩერდება ᲚᲔᲝᲜს) დარწმუნდი, მოხუცო, რომ ვლადიმერის ბუნებაც ისეთივე ცივია, როგორც მამა-მისის იყო. თუ თქვენ სამუშაო მოგცათ, ამ შემთხვევაში მის ინტერესებს უფრო მეტი ადგილი უჭირავს ვიდრე შენს თანაგრძნობას.

ᲚᲣᲙᲐ შეიძლება ესეც იყოს.

ᲚᲔᲝᲜ დარწმუნდით, თქვენ ალბათ არ დაკვირვებიხართ იმას, რომ თქვენ მიერ გაკეთებული ასოები მას იაფათ უჯდება. სანდროს სამსახურში წინ წაწევა-კი ეს თვით სანდროს ენერგიას მიეწერება და არა ვლადიმერის გულკეთილობას.

ᲚᲣᲙᲐ არ ვიცი, მე ასე დაწვრილებით არ გამეგება ეს კითხვა, სინამდვილეს უწევ ანგარიშს.

ᲚᲔᲝᲜ სინამდვილე ზოგჯერ ადამიანს თვალებს უხვევს, თუ ის შეუგნებელია. (ისმის მუსიკის მელოდიური ხმა. ᲚᲣᲙᲐ უსმენს. ᲰᲐᲣᲖᲐ)

ᲚᲣᲙᲐ ვლადიმერი მუსიკაზე უკრავს.

ᲚᲔᲝᲜ გატაცებით ისმენ.

ᲚᲣᲙᲐ სევდიანათ უკრავს ხოლმე. სულს მითრთოლებს... მალე ლენაც ისწავლის.

ᲚᲔᲝᲜ ლენა?!. მერე ვინ ასწავლის?

ᲚᲣᲙᲐ ვლადიმერს ძალიან მოსწონს ლენას ხმა, ნოტების სწავლა დააწყებინა.

ᲚᲔᲝᲜ კარგი იმედია.. (ᲒᲐᲘᲦᲘᲡ ᲣᲛᲯᲝᲠᲗᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ.

ᲚᲣᲙᲐ ეხ, ჩემს ილიკოსაც კარგი ხმა ჰქონდა, მაგრამ სიმღერამ შეიწირა!

ᲚᲔᲝᲜ სიმღერამ როგორ შეიწირა?

ᲚᲣᲙᲐ მუდამ უყვარდა სიმღერით გატაცება. ერთხელ ქარხანაში მუშაობის დროს თავდავიწყებას მიეცა და მანქანის ბორბალმა დაიხვია. როცა სახლში მოვიყვანეთ სიკვდილის პირზე იყო, სამ დღეს იტანჯა და... (ᲐᲢᲠᲔᲛᲚᲓᲔᲑᲐ).

ᲚᲔᲝᲜ ატირდი კიდეც?

ᲚᲣᲙᲐ მას მერე სული დამეთალხა, ის არა ჩვეულებრივი იყო, ყველას გატაცებით გვიყვარდა. სანდრო იმის სიკვდილის გამო მიეჩვია ღვინის სმას.

ლეო. ვლადიმერი კი ჩვეულებრივ უკრავდა, არა?

ლუკა. სწორეთ ასეთი ხმა იყო.

ლეო. და მას მერე გატაცებით ისმენ?

ლუკა. შვილს მომაგონებს. ეხ... (მუსიკა წუდება)

ლეო. ეცადე დავიწყო მწუხარება.

ლუკა. შეუძლებელია. (ადგება) ეხლა დრო არის წავიდე, ნამუშევარს ჩავაბარებ. იქნებ დღეს ფულიც მომცენ. სანდროც საცა არის მოვა. მთვრალი იქნება.

ლეო. რა იცი, რომ მთვრალი იქნება?

ლუკა. ასე სჩვევია. როცა ჯამაგირს აიღებს უნდა დალიოს. (ფეხზე კიდის. ცოტა ხნის შემდეგ ფეხ მიდის ფანჯარასთან ოთახის კარებთან).

ლეო. (შეაღებს კარებს) გამოდი, ლენა! მოხუცი წავიდა. რამ დაგაღონა ასე? (გამოდის ლენა, მუსიკის გავლენით თვალები სიფრცისთვის მიუპყრია) ალბათ ვლადიმერის მუსიკის ხმები... ჯადოსნურ გავლენას ახდენს მთელს ოჯახზე.

ლენა. (განცდით) რა წარმტაცია მუსიკა, ლეო! ადამიანს მისდაუნებურათ გულში წვდებიან მისი იდუმალი და სევდიანი ბგერა. ვკერავდი... დავიღალე... ვისვენებდი და მუსიკაც ახმაურდა, თითქოს მომზადებული იყო იმ წუთებისთვის.

ლეო. მუსიკა გრძნობაზე მოქმედებს... გაგიტაცებდა...

ლენა. იცი, ლეო! მე განსაკუთრებული სახით მიტაცებენ ასეთი სევდიანი მელოდიები. მახსოვს, როცა ჩემი ძმა სიკვდილს ებრძოდა, უკანასკნელ წუთებში ნელი და ჩაწყვეტილი ხმით თვალ-ცრემლიანი იმღეროდა. თვალები ებნედებოდენ, ეძნელებოდა ჩვენი მოშორება, ხელით გვანიშნა, რომ ჩვენც ავყოლოდით მის უკანასკნელს სულის ქვითინს, მახსოვს ვიმღერეთ... სანდროც აგვყვა... მას შემდეგ სანდროს არ უმღერია. ვტიროდით და მოღიმარე სახით მოგვშორდა გაუშლელი, ახალგაზრდა სიცოცხლე.

ლეო. (თვალებზე ცრემლები ერევა) სჩანს მძიმე სევდა კიდევ გულზე გაწევს, ლენა!

ლენა. მერე როგორ... ამ საშინელებამ ჩემს სულში წყვდიადი გაამეფა. ჯერ ერთი, მე დავრწმუნდი, რომ მისი ნორჩი სიცოცხლე ჩვენმა სიღარიბემ იმსხვერპლა... გამოუცდელი, ობოლი სულით. პირველად ქარხანას ესტუმრა. ის სუსტი იყო, მგრძნობიარე; მისთვის საჭირო იყო სულ სხვა გზა.

ლეო. კაპიტალის ვეშაპი ასეთ მსხვერპლს ბევრს იწირავს.

ლენა. არ ინდობს... განა არ ვიცი... მე მას მერე სრულიად დავობლდი... დედის ალერსი არ მახსოვს; მხოლოდ ის ერთად ერთი ძმა იყო ჩემი სულის მეგობარი, მას ყველაფერს ვეტყოდი... გონივრულ პასუხს მომცემდა. მამა-ჩემი და სანდრო ცივი არიან (დაფიქრდება. ბაუზა) რა საშინელებაა როცა დავფიქრდები.

ლეო. რა არის, ლენა, საშინელება?

ლენა. რისთვის უნდა იყოს ცხოვრება ასე უსამართლო: ვლადიმერი სიამით ცხოვრობს, ბედნიერია, ჩვენ-კი მისივე გვერდით ასე ვიჩაგრებით.

ლეო. არაფერია, ლენა! ეს გარდამავალი კანონია ცხოვრების, მასაც ბოლო აქვს, ამასთან შენ, ლენა, ძლიერ აზვიადებ თითქოს თქვენს მეტი არ იყოს დუხჭირ პირობებში.

ლენა. და ესეც ხომ მეტი უბედურებაა!

ლეო. ყოველ გვარი უბედურება წინააღმდეგობის და ბრძოლის წარმომშობია. ჩვენ, ლენა, არსებულ ცხოვრების გარდასაქმნელად ვიბრძვით და ამ მოძრაობაში უფრო მეტი სიცოცხლე და აღფრთოვანებაა. ის მუსიკის ხმები, რომელიც არე-მარეს გლოვის მელოდიებათ ეფინებიან—ეს მათი სიკვდილის წინასწარი გლოვაა. ჩვენი სიმღერა ბრძოლის ყიჟინაა, მომავლის ძახილია.

ლენა. მიზანი-კი შორსაა... შენც ამ მებრძოლთა რიგში იმყოფები, მუდამ გდევნიან, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი პირობები. (ბაუზა) იცი, ლეო! როცა ჩვენი ოჯახის მდგომარეობას წარმოვიდგენ, მომავალი რაღაც ბნელად დამესახება თვალ წინ.

ლეო. რამ გამოიწვია შენში ასეთი შიში?

ლენა. ხომ იცი, მამა-ჩემი—ეს ერთად ერთი იმედი ჩემი ობოლი სულისა, ყოველ დღე სიკვდილს უახლოვდება. სანდროც ექიმებმა გააფრთხილა—ღვინო არ დალიოს. მეც ზედმეტი შრომა ამიკრძალეს, არ ვიცი, რა უნდა ვქნათ.

ლეო. რას ნიშნავს შენი ასეთი სასო მიხდილი ლაპარაკი, შენს სიტყვებში გულის მომკვლელი კვნესა ისმის, თითქოს განმარტოვებულ კლდის ფრიალოზე იდგე და ქარიშხალის ამოსვლისა გეშინოდეს.

ლენა. ნუ დამძრახავ, ლეო! მე საშინლად მაშინებს ცხოვრების მძაფრი ქარიშხალი. მე იგი განვიცადე... დავისუსხე.

ლეო. შეიძლება ცხოვრების ქარიშხალი მძაფრი იყვეს, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო ხომ არა ხარ?

ᲚᲔᲜᲐ ვხედავ... შორეულ სივრცეში ასეთივე ფრიალო კლდეზე—მეორეს, რომელსაც ხელები ჩემკენ აქვს გამოწვდილი, მაგრამ...

ᲚᲔᲝ. მაგრამ...

ᲚᲔᲜᲐ სუსტია.

ᲚᲔᲝ. დარწმუნდი, ლენა! თუ შენი მოსიყვარულე გული მისკენ იქნება, ის გულადი გახდება, ყველაფერს დასძლევს, მხოლოდ ვინ არის, მითხარი?

ᲚᲔᲜᲐ განა ვერ მიხვდი?

ᲚᲔᲝ. თითქოს გული გრძნობს, (ხელს მოჭიდებს, კატაცებით მიაჩერდება ლენას).

ᲚᲔᲜᲐ შენ არა ხარ ფრთებ გაშლილი—რო გადმოფრინდე, გდევნიან... და მეც მძიმე ტვირთად...

ᲚᲔᲝ. ლენა! ნუ მასმენ ასეთს სიტყვებს, პირველად მესმის. შენ ხომ არ გაშინებდა ჩვენი მომავალი, ეხლა რას ნიშნავს, ნუ თუ შენს სულში ვინმე სხვა შემოიჭრა.

ᲚᲔᲜᲐ სად გავახაროთ, ლეო, ჩვენი სიყვარულის სათუთი მცენარე, რომ ყინვამ არ დააზროს იგი.

ᲚᲔᲝ. კარგი, ლენა! დაჩუმდი, როცა სიყვარულის პირველ დასაწყისს ასეთი ცივი აზრი დაედება სარჩულად, მაშინ მას მნიშვნელობა ეკარგება, აბა გაიხსენე პოეტის სიტყვები.

შუბლს—ნაოჭი, გულს—ეკალი,
ნორჩი სახე—მოღრუბლული,
და ბრძოლისა ქარიშხალში
სიყვარული დამარხული.

დიახ, ლენა! ჩვენი ცხოვრება არ არის ვარდ-ყვავილებით მოფენილი, ბევრჯერ დაუნდობელი ცხოვრების სტიქია ჩვენს ბედის ნავს გააფთრებულ ზღვის ტალღებში შეაცურებს და, ვინ იცის, იალქნებიც დაგვეფლითოს, მაგრამ დაღუპვა ამ ბრძოლაში თვით სიყვარულია.

ᲚᲔᲜᲐ (მძიმე ფიქრით და კატაცებით) „და ბრძოლისა ქარიშხალში სიყვარული დამარხული.“

ᲚᲔᲝ. საოცარი გრძნობაა, ზოგჯერ, როცა ამხანაგები მოვშორდებით ქალაქის ერიამულს და მდუმარე ტყეს ვესტუმრებით, და ერთი მეორეს მოუთხრობთ მომავლის სიდიადეს, ამ დროს ჩემს თვალწინ გამარჯვებულთა სურათები იშლებიან. და შენ, ჩემო ლენა! თავისუფლების წითელი სიმბოლითი წინ მიღძვი გამარჯვებულთ.

ᲚᲔᲜᲐ რა კარგია, ლეო! ოცნება საუკეთესო მერმისზე... იმ დღეს კრების გათავების შემდეგ უშიშრათ მარსელიოზა გიმღერიათ.

ლეო (ადტაცებით) ვერ მოვითმინეთ. ზოგჯერ არის წუთები, სულით გადავდივართ აღთქმის ქვეყანაში, და ყოველივე არსებული გვავიწყდება, ვიმღერით გატაცებით, სანდროს მეექარე ხმა ხომ რაღაც უცნაური სახით გვიახლოვებს ახალ გრძნობებს.

ლენა სანდრო რა მალე გაიტაცა ახალმა იდეებმა.

ლეო ურყევი მებრძოლი გვეყოლება.

ლენა უკანასკნელად ძალიან სვამს.

ლეო ღვინო უყვარს. ვერც მოიშლის, მაგრამ ბევრჯერ მის სიმთვრალეში ბევრი სილამაზეა.

ლენა მამაც დადის კრებებზე, არა?

ლეო დადიოდა. უკანასკნელად ვეღარ შესძლო, ეტყობა თანდათანობით ძალას კარგავს.

ლენა საწყალი მამა... არ ვიცი, ლეო... ვერ წარმომიდგენია მამის სიკვდილი.

ლეო ნუ გეშინიან, ლენა! მოვლას არ დავაკლებთ. ხომ გითხარ, მეც ასეთი მოხუცი მამა მყავს ჩემი საცხოვრებელი, ზაფხულობით საგარაკო ადგილია, მამას იქ წავიყვანთ, გამობრუნდება.

ლენა და მერე მამა ამას როგორ ახსნის.

ლეო როგორ ფიქრობ, ლენა! ერთხელ არის ხომ უნდა უთხრათ ჩვენი ურთიერთობა. სანდრო ჩვენი შეერთებით პირდაპირ დაინტერესებულია. მამაც ხომ იცი მას უჯერებს ხოლმე.

ლენა (დუნას სახეზედ ორჭოფული და გადაწყვეტილი ელფერი გადაკრავს) ლეო...

ლეო (კაკვირვებით მიაჩერდება) რა არის, ლენა?

ლენა (ადგება და მიდის ფანჯარასთან).

ლეო ლენა! ვერ ამიხსნია, რაღაც რყევა გემჩნევა. (მიდის ახლო და ხელს მოჭიდებს). მითხარი ყოველივე, მე არ მინდა ჩვენს მომავალ ცხოვრებას რაიმე გაურკვევლობა თან დაჰყვეს.

ლენა არაფერი, ლეო. (გულზე მიეკრდნობა).

ლეო თითქოს მეგონა რაღაც წინასწარი აზრი გაწუხებდა. (კოცნის, დუნა მოშორდება, დგების ვერ აუხსნია მისი რყევა) ლენა!.. (ამ დროს კარედან ისმის სანდროს სიმღერა. სანდროს შემოსვლა შექმნილ უხერხულობას გამოურკვევლად სტოვებს).

სანდრო (შემოდის, მუშის ხალათი აცვია, ცოტა მთვრალია, ხელში დვინით ბოთლი უჭირავს და ბური) „მუშავ წინ გასწი.“

ლენა სანდრო! როგორ თავისუფლად გრძნობ თავს?

ლეო ხმა მაღლა მღერი.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ მართალია, ლენა! მე როცა ბახუსის ტაძარში ნუნუათი ვეზიარები მაშინ მეტ თავისუფლებას ვგრძნობ, მავიწყდება მტარვალობა! და ლეო... თუ ამ დროს ჩემი სიმღერა ხმა მაღალია მე ამით ქუჩაში „დვორნიკებსა და გოროდოვებს“ ვაცნობ, რომ ერთხელ იქნება ამ სიმღერას იმავე ქუჩაზე ფხიზელი ხალხი დაიგუგუნებს.

ᲚᲔᲝ რომ დაგიჭირონ და ციხეში ამოგაყოფინონ თავი?

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ სულელი! ეს რომ მაშინებდეს, ასეთს ლაჩარს მართლაც დამიჭერენ. იცი ლეო! როცა სიმღერით მოვდიოდი, არც ერთი პოლიციელი ქუჩაში არ იყო.

ᲚᲔᲜᲐ ვერ დაინახავდი.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ როგორ?..

ᲚᲔᲝ ალბათ სიმღერის თუ ეშინიათ.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ნამდვილია. და არა ჩემი. (გადახედავს ლეოს და ლენას) თქვენ კი აქ არალეგალურათ საუბრობდით არა?! იცით, ლეო და ლენა, ან ლენა და ლეო! მე სიყვარულს ყოველგვარ გრძნობაზე მაღლა ვაყენებ. კაცობრიობა ამ დიადი მიზნის მისაღწევათ მიისწრაფის... ხომ ასეა?

ᲚᲔᲝ მართალია, სანდრო.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ და ასე მგონია, თქვენი სიყვარული თითქოს იმ დიადი მცნების პატარა ჩანასახი იყვეს. (ლენა და ლეო ერთი მეორეს გადახედავენ).

ᲚᲔᲝ სწორია...

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ აბა, ლენა, წადი მოიტა ჭიქები, დავლიოთ სიყვარულის და ძმობა-ერთობის სადღეგრძელო.

ᲚᲔᲜᲐ ეხლა ღვინო არ გინდა, სანდრო! ლეო ხომ იცი არა სვამს, სჯობს პოლიტიკით გაერთოდ.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ რავო?? ლეო, ნუ თუ ამდენი ხანია ვერ გააგებიე ლენას, რომ პოლიტიკით არ ერთობიან, არამედ იბრძვიან.

ᲚᲔᲜᲐ ესეც ვიცი.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ მაშ თუ იცი ყველას თავის დრო აქვს, მოიტა ჭიქები. მამაჩემი სად არის?

ᲚᲔᲜᲐ სტამბაში წავიდა. (ლენა გადის და შემოაქვს ჭიქები, სანდრო დგინოს ასხამს და სვამს).

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ სტამბაში... იცი, ლეო, როცა მე ვთვრები, მაშინ უფრო მწვავეთ ვგრძნობ არსებული მდგომარეობის უკანონობას, მე ბავშობიდან ქარხნის შავ კედელთ შორის აღვიზარდე. მუდამ ვგრძნობდი, ჩვენი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, შენ ჩემი ჩირაღდანი ხარ, ლეო. მამა კი-

დევ მუშაობს, ის უნდა ისვენებდეს. როცა ვლადიმერი მუსიკაზედ უკრავს, მე მაშინ გრდემლზე ჩაქუჩს ურტყამ. (ოთხს ჩადუნაეს, მოგონება თვალებს უცრემლებს).

ᲚᲔᲝ. რა იყო, სანდრო.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. (დადგეს დვინოს) ვლადიმერი მაშინაც მუსიკაზედ უკრავდა, როცა ჩემი ძმა სიკვდილს ებრძოდა. (სევდიანი სიჩუმეა).

ᲚᲔᲝ. ჩვენი ცხოვრება ასეთი ცრემლებით ირწყება. უნდა ავიტანოთ.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. ლენა! სად არის მამა-ჩემი, მე მინდა ყველანი ავტირდეთ. კარგია, ლეო, ზოგჯერ ტირილიც, იყო დრო ჩემთვის ცრემლები არ არსებობდნენ, მაგრამ ის ოთახი, (ადგება, შეადებს კარებს) თითქოს ეხლაც იქ არის, ეხ... მას მერე გაქრა ჩვენს ღარიბ ჭერ-ქვეშ აღმაფრენა და სიხალისე.

ᲚᲔᲝ. მოდი, სანდრო, დავლიოთ. (სვამენ დვინოს).

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. როცა ქარხნიდან გამოვდივარ, მივალ ხოლმე იმ მანქანასთან, რომელმაც ჩემი ძმა იმსხვერპლა, ექვს თვემ განვლო, მაგრამ ერთს ალაგს სისხლი ემჩნევა. დავინახამ თუ არა, სარდაფისკენ გავსწევ ხოლმე.

ᲚᲔᲜᲐ. კარგი, სანდრო, შემიბრალე.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. კარგი გავჩუმდი. (სვამს დვინოს).

ᲚᲔᲝ. სანდრო! ხომ იცი დღეს რომ...

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. ვიცი, ლეო, ყველაფერი მახსოვს. მართალია დღეს არა ჩვეულებრივათ დავლიე, მაგრამ სხვაფრივ არ შეიძლებოდა. კრებას აუცილებლად დავესწრები. (ამოიღებს ფულს და აძლევს ლენას) ლენა! ეს ფული ოთახების ქირა არის, მიეცი იოსებს. 25 მან., რომელიც ვლადიმერმა დაგვიკლო, არ გვინდა.

ᲚᲔᲜᲐ. რისთვის დავკარგოთ თვეში 25 მან., მით უმეტეს მამაჩემის წამლების ფული არ მოგვეპოვება.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. ეგ მე ვიცი რასაც ვშვრები. ხალათს გადავიცვამ. (გადის მეორე ოთახში).

ᲚᲔᲝ. ამაზედ ლაპარაკი ზედ-მეტია, მოიქეც ისე როგორც სანდრომ გითხრა. (სასთს ამოიღებს და დახედავს, მერე მიდის სანდროს ოთახისკენ). სანდრო, მე წავალ სტამბაში გავივლი, ფურცლებს ვნახავ.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. (ოთახიდან) მეც ამ წუთს გავჩნდები.

ᲚᲔᲝ. ლენა! ჩვენი მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. (მიაჩერდება. ლენა თავს დახრის, ცოტა პაუზის შემდეგ ლეო გადის. ლენა თავის ოთახში შედის. შემოდიან ლუკა და იოსები).

ᲘᲝᲡᲔᲑ. როგორი იყო, ბერო ლუკა? მაგარი იყო არა? ხი, ხი, ხი.

ᲚᲣᲙᲐ. აღარ შემიძლიან, ჩემო იოსებ. იყო დრო, როცა არაფრად მიმაჩნდა

არაყის და ღვინის სმა, სიმთვრალეც არ დამეტყობოდა, ეხლა რაღა ვარ, დაუძლურდი, ცოტა მყოფნის.

ᲘᲝᲡᲔᲑ რას ამბობ ლუკა! ჩვენ ხომ ერთ წელში ვართ დაბადებულნი, აბა შემომხედე, როგორ კირკაჟივით ვარ.

ᲚᲣᲙᲐ შენ, ჩემო იოსებ, კარგი ცხოვრება შეგხვდა, მძიმე შრომა აიცილე. ხომ გახსოვს, როცა ჩვენ დიდი გაფიცვა გამოვაცხადეთ, შენ მუშაობა დაიწყე. (*ᲘᲝᲡᲔᲑᲘ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ*) ეს ვლადიმერის მამამ დაგიფარა და კარგი ალაგი მოქცა.

ᲘᲝᲡᲔᲑ მერე ეს რა მოსატანია, ლუკა!

ᲚᲣᲙᲐ უკაცრავად, იოსებ! მგონი გეწყინა, ისე მომაგონდა.

ᲘᲝᲡᲔᲑ არა, საწყენი რა არის, მაგრამ, მაინც არა სასიამოვნოა, რომ ჩემზე ასეთი შეხედულება გაქვს... შენი ქალიშვილი სად არის?

ᲚᲣᲙᲐ ოთახში იქნება.

ᲘᲝᲡᲔᲑ იცი რა გითხრა, ლუკა! შენი შვილები თავიანთი ქცევით ჩემში კარგ შთაბეჭდილებას ვერ იწვევენ. სანდრო მაინც მეტის-მეტად იქცევა, თავის ნება და მოურიდებელია. ლენაც ჩემი დაკვირვებით არ დგას სწორ გზაზედ.

ᲚᲣᲙᲐ არ ვიცი, იოსებ! ლენა და სანდრო უკვე მომწიფებულნი არიან, მე მგონია თეთრსა და შავს დამოუკიდებლათ გაარჩევენ.

ᲘᲝᲡᲔᲑ აი ეს კი არ არის მოსაწონი შენგან, როგორც მამისგან. რას ჰქვიან დამოუკიდებლობა. მე რომ ჩემი შვილები თავის ნებაზე გამეშვა, ვინ იცის რა დაემართებოდათ, მაგრამ ჩემი გონივრული მოქმედებით ყველა სწორ გზაზე დავაყენე, შენ კი შვილები თავისი ნებაზე მიგიშვია. ეს კი ჩემი სწორი შეხედულებით არ ვარგა. (*უბიდან წერილს ამოიღებს*) მართლა ვლადიმერმა რაღაც წერილი გამომატანა ლენასთან. საინტერესო კია, ლუკა, რა აქვთ საერთო.

ᲚᲣᲙᲐ არც მე ვიცი. ამ უკანასკნელად ვლადიმერი ყურადღებით გვეპყრობა, ოთახის ქირაზე 25 მან. დაგვიკლო, ლენას ბევრ რამეს ჰპირდება. ისიც კი უთქვამს სიმღერის სასწავლებელში შედი და ნივთიერად დაგეხმარებიო.

ᲘᲝᲡᲔᲑ კიდევ ახალი ყურადღება... ვლადიმერმა მითხრა, რადგანაც ლუკას ოჯახი ღარიბათ არის, ოთახების ქირას არ გადავახდევინებო

ᲚᲣᲙᲐ სრულიად მუქთად.

ᲘᲝᲡᲔᲑ ხო, მითხრა და გადმოგეცი.

ᲚᲣᲙᲐ როგორ გადაუხადო ამდენი პატივისცემა.

იოსებ ალბათ ეცოდები, ლუკა, მაგრამ სანდრო ისეთი ამაყია, რომ ვლადიმერის ასეთი ყურადღება მის მიერ მაინც არ იქნება შეგნებული.

ლუკა შეიძლება ძალიან ეწყინოს ოთახების მუქთად დათმობა.

იოსებ და თუ ის გასულელდა, შენც უნდა დაუჯერო?

ლუკა მეც თითქოს გული არ მირჩევს, მართლა ისე დავრდომილები ხომ არა ვართ. (შემოდის ლენა).

ლენა (მიესალმება იოსებს) გამარჯვება ბ. იოსებ.

იოსებ სალამი, ჩემო ლენა.

ლენა სწორეთ თქვენი ნახვა მინდოდა, ბ. იოსებ.

იოსებ რით შემიძლიან გასიამოვნოთ.

ლენა აი ეხლა სანდრომ ოთახების ქირის ფული მომცა ვლადიმერზე გადასაცემად. იმედია გადასცემთ.

იოსებ ოთახების შესახებ მე ეხლა ლუკასთან მქონდა ლაპარაკი.

ლუკა ოთახებს ვლადიმერი უფასოდ გვითმობს.

ლენა უფასოდ?

იოსებ რაღაც წერილიც გამომატანა თქვენთან.

ლენა წერილი?! (იოსები წერილს კადსტუმს. ლენა კადის ოთახში).

იოსებ დღეს სანდრო დავინახე, ყველა მას მისჩერებოდა, მთვრალი იყო. ვლადიმერს ძალიან სწყინს, როცა სანდროს მთვრალს დაინახავს.

ლუკა ვერ მიატოვა, მაგრამ ეხლა ხშირად არ თვრება.

იოსებ დრო-გამოშვებით, მაგრამ მეტის-მეტი იცის.

ლუკა მეც ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა.

იოსებ მართლა, ლუკა! ერთი რამე მინდა შეგეკითხოთ.

ლუკა რა?

იოსებ ვინ არის ის ახალგაზრდა, რომელიც შენს სახლში დაიარება ხოლმე.

ლუკა არ ვიცი ვისზე მელაპარაკები.

იოსებ საკვირველია, ლუკა! თითქოს ცდილობ დამიმალო. მე ისე სხვათა შორის გეკითხები.

ლუკა არ ვიცი, სანდროსთან ბევრი ამხანაგები დადის.

იოსებ ის რაღაც უცხოა ჩვენს ქალაქში, უცხოთა ვხედავ.

ლუკა შენ უფრო ნაცნობხარ.

იოსებ ბრმა-კი არა ვარ. ერთს-კი გეტყვი, ლუკა, რომ სიფრთხილეს თავი არ-ასტკივა.

ლუკა ვერ გავიგე, რა უნდა მითხრა?

იოსებ ხომ იცი ეხლანდელი ახალგაზდების მოქმედება ზოგჯერ სახიფათო სა-

ხეს იღებს. მე ბევრჯერ მინახავს შენი ქალიშვილი და იგი ისეთ ადგილებზე, სადაც კეთილი პირები არ დადიან ხოლმე. ეჭვს მიბადავს, მე ყველა კუნჭულს ვიცნობ, ისიც ვიცი, ვის რომელი შეეფერება.

ლუკა მერე სად იყვნენ ისეთს ადგილზე?

იოსებ ქუჩებში, ბაღებში და კიდევ, ვინ იცის, სად.

ლუკა ლენა არაფერს ცუდს არ ჩაიდენს. ამაში მე ღრმად დარწმუნებული ვარ.

იოსებ არა, მე იმას კი არ გეუბნები, რომ ცუდს ჩაიდენს მეთქი, მხოლოდ ისე, ხომ იცი საზოგადოებას თავისი აზრი აქვს. ერთმა რომ რაიმე თქვას, ხვალ გაზეთშიც-კი იქნება. (ისმის ფანჯიდან სანდროს სიტყვები). „როგორ თუ უფასოდ“.

ლუკა სჩანს სანდრო გაჯავრდა.

იოსებ რისთვის?

ლუკა ალბათ ოთახების მუქთად დათმობისთვის.

იოსებ საკვირველია, პირიქით უნდა უხაროდეს. (შემოდიან ლენა და სანდრო).

სანდრო (გესლიანად) გახსოვდეთ, ბატონო იოსებ, რომ ჩვენ არავის ვთხოვთ არც შემწეობას და არც შებრალებას.

ლუკა სანდრო, შვილო, მე მგონია ეს შებრალების გრძნობით არ არის გამოწვეული.

ლენა მეც ასე მგონია.

სანდრო მომიტევე, მამა-ჩემო, მაგრამ შენ ვერ ამჩნევ თუ ოთახების მუქთად დათმობაში რა იფარება.

იოსებ მაგალითად?

სანდრო სხვა მდგმურებს რისთვის არ აქცევს ასე განსაკუთრებულ ყურადღებას ბ. ვლადიმერი?!

ლენა მე მგონია...

სანდრო (აწყვეტინებს) ვიცი რაც გგონია, საკმარისია მდგომარეობით მონობა და ამასთან სულითაც მონებათ ვერ გადავიქცევით.

იოსებ საკვირველია, აქ რა მონობაა.

ლენა თავისებური გაგებაა.

სანდრო მე დამავიწყდა, შეიძლება სხვა მდგმურებს ლამაზი დები იქნება არ ყავდეთ.

ლენა სანდრო!..

სანდრო დიახ, სანდრო...

ლუკა სტუმრის პატივისცემა მაინც...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ დის პიროვნების გაბიაბრუება, სწორეთ გითხრათ, არ არის მოსაწონი.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ნუ სწუხდებით ბ. იოსებ, ლენას პიროვნებას ჩემს წინაშე არავის გამოსარჩლება არ დასჭირდება. (აძლევს ფულს იოსებს) ეს ფული გადაეცით ვლადიმერს და უთხარით: სანდრო ჯერ კიდევ არ დაუფლეთია მანქანასა-თქო, რომ მისი ოჯახი დახმარებას მოითხოვდეს-თქო. (დუკა აგრძელებული გადის).

ᲘᲝᲡᲔᲑ რა გაეწყობა, ამ ფულს მე გადავცემ ვლადიმერს, მაგრამ შეგეძლოთ ისე მოქცეულიყავით, რომ შეურაცყოფა არ მოგეყენებინათ. მამა-შენმა ვერ აიტანა შენი საქციელი და გავიდა. (კასვდას აბირებს).

ᲚᲔᲜᲐ ბ. იოსებ! გთხოვთ ეს წერილი გადასცეთ ბ. ვლადიმერს. (წერილს აძლევს).

ᲘᲝᲡᲔᲑ გადავცემ... ეცადეთ, რომ გონიერულად მოიქცეთ. ცხოვრებას მიყოლა უნდა. (გადის).

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ რა არის ის წერილი, ლენა?

ᲚᲔᲜᲐ საკვირველია... ნუ თუ უფლება არა მაქვს ვისმეს წერილი გავუგზავნო?

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ვისმეს შეიძლება გაუგზავნო, და არა ვლადიმერს.

ᲚᲔᲜᲐ და მერე მას რა დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაშე.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ის დანაშაული, რაც შენთვის კიდევ დიდხანს იქნება აუხსნელი.

ᲚᲔᲜᲐ სანდრო! შენი უკიდურესი გამოსვლები საშინელ მდგომარეობას ჰქნის ჩემში. აუტანელი ხარ მაშინ, როცა ღვინოს დალევ.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ლენა! ღრმად დარწმუნდი, მე ღვინო ისე ვერ დამათრობს, რომ მდგომარეობაში ვერ გავერკვე. ვლადიმერისადმი შენი თანდათანი ლტ[illegible]ვა-კი მე ბევრს რასმეს მეუბნება.

ᲚᲔᲜᲐ დარწმუნებრლი იყავი, რომ აქაც არავისი დამერიდება და არაფერსაც არ დავმალავ.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ მაშ შეიძლება იმ წერილის შინაარსის გაგება?

ᲚᲔᲜᲐ წერილის შინაარსი მუსიკის სწავლის შესახებაა.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ მუსიკის სწავლა... ლენა! წინ დაიხედე, რკალის იქით ნაპრალია. (შემოდის ლეო).

ᲚᲔᲜᲐ ცხოვრება მარტო ერთი საფეხურით არ ისაზღვრება.

ᲚᲔᲝ მართალია... მრავალი ზედა საფეხურებიც არიან.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ლეო, მგონი დამაგვიანდა.

ᲚᲔᲝ მეც ასე მგონია.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ამ წუთს, პიჯაკს გადავიცვამ. (გადის ოთახში. შემოდის დუკა).

ᲚᲣᲙᲐ ალბათ კიდევ არ არის გამოფხიზლებული. (ნელა ახველებს).

ლეო. საკვირველი ის არის, სანდრო მუდამ სწორეთ იზროვნებს.

ლენა. და შენი ასეთ შეხედულებიდან ის გამომდინარეობს, რომ ის მუდამ მართალი გგონია.

ლეო. მისი სწორი ნაბიჯები მიკარნახებენ, რომ ასე ვიფიქრო. მე მაინც არ ვიცი, რამ გამოიწვია თქვენს შორის უთანხმოება.

ლენა. ვლადიმერს თანაგრძნობისთვის სამადლობელი წერილი გაუგზავნე და სანდრო აირია.

ლეო. რამ გამოიწვია ასეთი მადლობა მისდამი.

ლენა. ეს ოთახები მუქთად დაგვითმო.

ლეო. მუქთად... რა დამცირებაა, ასაღელვებელიც არის. (შეშფოთებულ სანდროს).

სანდრო. წავიდეთ, ლეო. (ამ დროს ლუკას მძიმე ხვედა აუვარდება და კუთხეში მიდგება. ლენა მივა მასთან).

ლენა. აბა შეხედეთ მამა როგორ იტანჯება, წამალი რომ გვეყიდნა... (ლეო წყალს მიუტანს და დაანდვეინებს ლუკას).

სანდრო. რაც აქ გადმოველით, მამა უფრო ცუდათ ხდება.

ლუკა. (კვნესით) ნესტიანია, მზე არსაიდან არ ადგება.

სანდრო. ლენა! ყველაფერი მოამზადე, მე აუცილებლათ ოთახს ვიშრავ. (სანდრო და ლეო კარდიან).

ლუკა. ეხლა, შვილო, დავწვები. (ადგება).

ლენა. მამა! გუშინ ვლადიმერმა მითხრა: ზედა სართულში მოგცემთ ბინასო. იქ კარგათ გახდები, მზეც იდგება ოთახებს.

ლუკა. ზედა სართულში?! (გაკვირვებით უყურებს).

ლენა. დიახ, მამა! გამობრუნდები.

ლუკა. გამოვბრუნდები... გვიანღაა.

ფარდა

მოქმედება მეორე

(იგივე სცენა, რომელიც პირველ მოქმედებაში იყო. ლენა მაგიდას უზის და ნოტებს ათვალიერებს).

ლუკა. (შეშფოთებულ) ლენა, შვილო! ხელი გავიქერ და შემიხვიე.

ლენა. ღმერთო, რა დაგმართვია?

ლუკა. სიჩქარით მომივიდა, შეკვეთილი ასოები უნდა გამეთავებინა და...

ლენა დაანებე თავი, მამა-ჩემო, აბა როგორ შეიძლება ასე დაუსვენებელი შრომა. ისედაც სუსტათა ხარ.

ლუკა ეხ, შვილო, ცხოვრება სისუსტეს არ დაგიდევს. ვინც ცხოვრებას ვერ გაუმკლავდება, ის ჭიასავით გაისრისება.

ლენა ჩვენი მდგომარეობა, მამა, გამოკეთდება. სულ ასე ხომ არ ვიქნებით.

ლუკა იმედი.—სინამდვილე-კი მაინც უცვლელია.

ლენა (შორიდებით) მამა-ჩემო, იცი, რა უნდა გითხრა?

ლუკა რა უნდა მითხრა, შვილო?

ლენა ვლადიმერი ძალიან ხშირად ლაპარაკობს შენზე. ვატყობ, რომ ყოველ-მხრივ დაგვეხმარება.

ლუკა ვლადიმერი... არა, შვილო, სხვისი დახმარების შემყურე ადამიანი ვერ იცხოვრებს. ძნელია როცა გიბრალებენ.

ლენა რა არის, მამა-ჩემო, ასეთი შეხედულება, ნუ თუ შენც სანდროს აზრისა ხარ?

ლუკა მერე და რისთვის უნდა დაგვეხმაროს ვლადიმერი. შენ რომ თანახმა იყვე მის გაყოლაზე კიდევ იფიქრებდა კაცი, რომ დახმარება მისაღები იყო. ეხლა...

ლენა შენ სწუხხარ, მამა, არა, მე რომ ამ შემთხვევაში გარკვეული შეხედულება არა მაქვს.

ლუკა გარკვეული შეხედულება არც მე მაქვს. ვლადიმერი და შენ... რაღაც სასიამოვნოც არის და დაუჯერებელიც.

ლენა რა მხრივ არის დაუჯერებელი?

ლუკა ნუ თუ დავიჯერო, რომ იგი სხვას ვერ შეხვდა შენზე უკეთესს.

ლენა მამა! ვლადიმერის ჩემდამი ლტოლვა რომ გულწრფელი და ჭეშმარიტი იყოს, რას იტყოდი?

ლუკა (კაჩუმდება, თავს კადაქნევს).

ლენა ხედავ... ვერაფერს მეუბნები. არავინ არა მყავს, რომ დამეხმაროს, თითქოს თავს სრულიად ობლათა ვგრძნობ. შენ ჩემი მამა ხარ და ერთხელაც ჩემთვის სავალდებულო რჩევა და დარიგება არ მოგიცია. გატყობ, რომ სანდროსი ძალიან გერიდება, იმის დაუკითხავად ვერაფერს სწყვეტ.

ლუკა როცა კითხვა შენ შეგეხება, შვილო, მაშინ მე სანდროს ვუჯერებ.

ლენა მერე რას ნიშნავს ეს?

ლუკა მე, შვილო, უკვე ცალი ფეხი სამარეში მაქვს, მომავალი თქვენია და თქვენ უფრო კარგათ გაითვალისწინებთ იმას. ვინ იცის, შვილო, იქნება ჩემი რჩევა ახალს ვერ შეეგუოს. მე მუდამ ვაკვირდები, როცა სანდრო

კრებაზე ლაპარაკს დაიწყებს, თითქოს ყველა იმის აზრს იწონებს, ის ახალ ცხოვრებას უფრო იცნობს და რაც სჯობს იმას გააკეთებს.

ლენა სანდრო-კი ჩემზე არასოდეს არ ფიქრობს. ვის დავეყრდნო, ვინ გამიწევს პირისუფლობას?

ლუკა როგორ სევდით ლაპარაკობ, შვილო, გატყობ რაღაც გაწუხებს.

ლენა მაწუხებს ჩემი უმიზნო ცხოვრება, უშინაარსო მოძრაობა. მე ვგრძნობ, მამა-ჩემო, რომ რაღაცის გაკეთება შემიძლიან, მაგრამ არ ვიცი-კი რა არის ეს, ბურუსში ვარ, გაურკვეველი მდგომამარეობა სულს მიხუთავს.

ლუკა მერე რა იწვევს შენში გაურკვეველობას.

ლენა ლეოს აქ ყოფნა.

ლუკა ის რა შუაშია?

ლენა მას სიტყვა მივეცი.

ლუკა (გაჩუმდება).

ლენა სანდრომ ეს იცის.

ლუკა სანდრომ იცის? მერე რა აზრისაა?

ლენა შენ რას იტყვი, მამა?

ლუკა ლეო... ის ხომ...

ლენა დევნილია, არა?

ლუკა როგორ უნდა გიპატრონოს?

ლენა მეც ეს მაფიქრებს, მამა-ჩემო, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია ჩაითვლება თუ არა ეს საკმარის მიზეზათ.

ლუკა მითხარ, შვილო, შენ ლეო გიყვარს, თუ ისე...

ლენა საყვარელი... თითქოს ასე მგონია—ეს გრძნობა ჩვენს ბედში მყოფთათვის არ არსებობდეს.

ლუკა არ ვიცი, შვილო, მაგრამ დღეს ამ გრძნობას ხშირად იხსენიებენ. მე მაინც მინდა გარკვევით გავიგო, ვლადიმერისკენ გული უფრო მეტად გიწევს, არა?

ლენა მე თითქოს ასე მგონია, მამა, ჩვენი ცხოვრება გადახალისდება. ბევრჯერ მიოცნებებია და თითქოს მშვენიერ სურათს უმზერდი, შენ ვითომც კარგად გახდი, არ გახველებს, სანდრომ უფრო წინ წაიწია, ეს ნესტიანი სადგომი დავსტოვეთ და ასე...

ლუკა ოცნებასა და სინამდვილეს შორის დიდი მანძილია, შვილო, ნუ აჩქარდები, სანდროსაც დავეკითხოთ, ისიც დავითანხმოთ. ლეო სანდროს ძალიან უყვარს. მოველაპარაკოთ კიდევ. ძნელია როცა ადამიანს ორი აზრი უტრიალებს. (გადის).

ლენა (სიჩუმეა) ორი აზრი... რა მდგომარეობაა. (მიდის მაგიდასთან, აიღებს ნოტებს, დააჩერდება, მერე ჩამოჯდება და ღრმა ფიქრებში წავა. ამ დროს შეამჩნევს ვლადიმერი, როცა დაინახავს ლენას ფიქრებში წასულს, მიუახლოვდება მას და ღიმით დაეტაცება).

ვლად. „ძნელი არის მარტოობა სულისა".

ლენა (გაშორკვევა) უკაცრავად... ვლადიმერ, მობრძანდით.

ვლად. აქა ვარ, მხოლოდ არა მობრძანებით.

ლენა ყველაფერზე კრიტიკა.

ვლად. უცნაური თვისება გაქვს, ლენა, ყოველგვარ კრიტიკის შემდეგ მაინც სრულ ქმნილი ორიგინალი რჩები.

ლენა არ ვიცი, როგორ გიპასუხოთ.

ვლად. კარგი. . პასუხი შემდეგისთვის გადავდოთ, ეხლა მუსიკის დარგი ვნახოთ.

ლენა მე უკვე ვიცი, დღეს შევისწავლე.

ვლად. მწამდა, რომ შეისწავლიდი. მე ისიც მწამს, რომ დადგება დრო, როცა მშვენიერი ლენა თავისი ნაზი და წკრიალა ხმით, ელექტრონით გაჩირაღდნებულ სცენიდან, აუდიტორიას ნეტარების მორევში შეაცურებს, აბა წარმოიდგინე ეს ბედნიერება.

ლენა განა შესაძლებელია წარმოვიდგინო ის, რაზედაც ჯერ არ მიფიქრნია.

ვლად. მე ვეცდები, ლენა, შენს ბუნებაში ჩაქსოვილი პოტენციური ნიჭი ავაყვავო.

ლენა ჩემში ასეთი ნიჭი?.. ვერ დავრწმუნებულვარ.

ვლად. იცი რა გითხრა, ლენა, არის ხოლმე გამონაკლისი შემთხვევები, როცა ნიჭი მუშათა წრეებშიაც იბადება, მაგრამ სიღარიბე მას ფრთების გაშლას უშლის, და აქრობს ღვთიურ ნაპერწკალს შემოქმედებისას. მე, ლენა, ბევრჯერ შენი სიმღერა გატაცებით მომისმენია, ვისმენდი და სევდიან გამოძახილში ისმოდენ რაღაც მუდარის კვლო, თითქოს ლენას ობოლ სულს მეგობარი უნდა, რომელიც მის განცდას მიხვდება და გაუღებს პოეზიის კარებს. დიახ, ეს ძახილი იყო ძახილი ტყვედქმნილ შემომქმედ ნებისა. შენ უნდა გადაფრინდე ამ ბუდიდან, ლენა, უნდა იხილო ახალი ქვეყანა, ახალი განახლებული სიცოცხლე.

ლენა ვლადიმერ... მე აქედან... აქ ხომ ჩემი მშობლიური...

ვლად. ვიცი რაც გინდა სთქვა, მაგრამ იწამე, რომ შენ ხარ ის მარმარილო, რომლისგანაც ხელოვანმა მოქანდაკემ უნდა გამონაკვეთოს მშვენიერი და უკვდავი სახე, და არა ხელოვანმა იბსენის გმირის მგზავსმა, რომე-

ლიც მშვენიერ ქალში მარტო თავის მიზნის საგანს ხედავდა, არამედ ისეთმა, რომელიც შენს ცოცხალ გულს ესხეულება და მთლიანობისკენ მოგიწოდებს.

ლენა მშვენივრად ლაპარაკობ, ვლადიმერ.

ვლად. მხატვრული სიტყვები—ეგ შინაგანი განცდის მუსიკალური ბგერაა, და თუ საგანი ლაპარაკისა მშვენიერია, მაშინ ადამიანი გამოთქმის ნაპოლეონად იქცევა.

ლენა იცი, ვლადიმერ, რა მომაგონდა... შენ რომ წიგნი მათხოვე, იქ...

ვლად. უილდის „დორიან გრეი“, არა?

ლენა საწყალი სიბილა... დორიანის სიყვარულმა ხელოვნების ნიჭი მოუკლა.

ვლად. ...დორიანი ცოცხალი შემოქმედება იყო, სცენა კი უბრალო ბუტაფორა, სიცოცხლე-კი სიცოცხლისკენ მიისწრაფის. ჩვენ სინამდვილიდან დავიწყებთ, ლენა, შემოქმედებისადმი სიყვარულს, ვიგემებთ ცხოვრების სიტკბოებას, და აქედან გამაგრებულნი თანდათანობით გავექანებით წმინდა სამსხვერპლოზე. (ლენა დაფიქრდება) ლენა, რამ დაგაფიქრა ასე?

ლენა. ვლადიმერ, თქვენ ბევრი რამ იცით. ამიხსენით სიყვარული, როგორც მცნება, არსებობს თუ არა?

ვლად. ვისაც შესწევს მისი მთლიანი სახით გაგება, მისთვის არსებობს.

ლენა. როგორ! განა სიყვარული ლოლიკის კანონებს ექვემდებარება? აქ ხომ ადამიანში წარმოშობილი მისდა უნებური გრძნობა იპერს ადგილს.

ვლად. ყოველთვის შესაფერი ნიადაგი სჭირდება, რომ ის აღიზარდოს და მშვენიერებათ გარდიქმნეს.

ლენა. მე ასე მგონია, სიყვარულის გრძნობამ ნიადაგის შერჩევა არ იცის.

ვლად. ერთ შემთხვევას გიამბობ: მე ნადირობა მიყვარს, ერთხელ სტუდენტობის დროს მე და ჩემმა მეგობარმა ტყეში გავისეირნეთ, შემთხვევით წავაწყდით შაშვის ბუდეს, ამოვიყვანეთ ორი ბარტყი და ორივემ თითო წამოვიყვანეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ისინი ერთგვარი გრძნობით მოგვეწონა და გადავწყვიტეთ მისი აღზრდა. დაზე უბედურებას... ჩემს მეგობარს ბარტყი მოუკვდა.

ლენა თქვენი?

ვლად. აღვზარდე. ჩემმა მეგობარმა-კი მოვლა დაიკლო, ნივთიერ უსახსრობის გამო კერძო გაკვეთილებზე დადიოდა და ბარტყი შიმშილით მოუკვდა. ჩემი საყვარელი ჩიტუნა-კი დღესაც მატკბობს თავის გალობით.

ლენა მერე ამით რა უნდა მითხრა, ვლადიმერ.

ვლად. ის, რომ მე შევქმენი კარგი პირობები და აღვზარდე ფრინველი. სიყვა-

რულიც ასეთ სათუთ აღზრდას მოითხოვს. დაუშვათ, რომ შენი სიდლამაზე შენს წრეში ვისმეს შეუყვარდა.

ლენა მერე რა მოხდება ამით?

ვლად. საგანს სიყვარულისას ხომ სათუთი მოვლა უნდა, რომ პირველი გრძნობა არ გაქრეს.

ლენა შენი აზრით ჩვენი წრისთვის სიყვარული არ არსებობს?

ვლად. და მერე კიდეც რომ წარმოიშვას, განა აქ ის იცოცხლებს? აბა დაუკვირდი, ლენა, შენს ოჯახურ პირობებს, აქ ოდნავი ჩანასახი არ არის საუკეთესო მომავლისა. (დენა მიაჩერდება) აქ დაქნები, ლენა, დაისუსხები ისე, როგორც ჭინჭარში ამოსული ვარდი.

ლენა თქვენთან-კი, როგორც ის ბარტყი ოქროს გალიაში, ისე აღვიზრდები, არა?

ვლად. დიახ, ოქროს გალიაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მარტო არ იქნებით.

ლენა მარტო არ ვიქნები?

ვლად. გვერდით გეყოლება ადამიანი, რომელიც თქვენზე იოცნებებს და მოგივლის.

ლენა ერთ სურათს ვერ ვიშორებ გონებიდან, თითქოს წინასწარი გრძნობაა.

ვლად. რა არის ისეთი?

ლენა თითქოს ასე მგონია, ის ფრინველი და მე ერთს მდგომარეობაში ვიქნებით, მშობლიურ კერას მოწყვეტილი... სულ სხვა წრეში სულით, გულით უცნობ საზოგადოებაში.

ვლად. ეს აზრი უსაფუძვლოა, ლენა, მე სულის მეგობარი ვიქნები, მამა თქვენიც ჩვენთან იქნება, დაუძლურებულ მოხუცს ცალკე ოთახში მოვათავსებთ. გამობრუნდება და ასე ვიცხოვრებთ ბედნიერათ.

ლენა მამა მუდამ ჩვენთან იქნება?

ვლად. განუშორებლივ.

ლენა სანდრო-კი...

ვლად. ვიცი თავისებურობას არ მოიშლის, მაგრამ მისი აზრი ჩვენთვის ხომ კანონიერი არ არის.

ლენა სანდროს გადაწყვეტილი აქვს ამ ბინებიდან დღეს ან ხვალ გადავიდეს.

ვლად. მარტო ლეო გაყვება. მამა შენი აქ დარჩება, მერე ზევით მესამე სართულში დავბინავდებით.

ლენა ლეოს საიდან იცნობ.

ვლად. ხვრელების გმირებსაც ვიცნობ, დაწრწიან.

ლენა ლეო...

ვლად. არ ღირს მასზე ლაპარაკი, მე მინდა, ლენა, თქვენი პასუხი, უკანასკნელი სიტყვა კიდევ არ გითქვამს.

ლენა (დაფიქრდება) არ ვიცი რა გითხრა.

ვლად. არაფერია, ასეთს დროს კაცმა ახალგაზრდა ქალის პასუხი მის გრძნობაში უნდა ამოიკითხოს. (უნდა აკოცოს, ლენა არ ნებდება).

ლენა ნუ, ვლადიმერ, თქვენ ძლიერი ხართ, ნუ ეცდებით ჩემს დამორჩილებას.

ვლად. ლენა, მე თქვენმა მიუკარებლობამ ყველაფერი დამავიწყა.

ლენა მხოლოდ ეს არის ჩემში, რომელიც თქვენთვის არ იქნება საკმარისი.

ვლად. არა, ლენა, ჩემი უნდა იქნე. (მიიწევს).

ლენა აქ მამა-ჩემია, სირცხვილია.

ვლად. ჩემი კოცნა არ არის საშიში, დე დაინახოს (მიიწევს ლენასკენ, მიიკრავს გულზე, ლენა ცახცახებს, ვერ გასხლტომია ხელიდან, ვლადიმერი აკოცებს, ლენა მოსხლეტით მოშორდება).

ლენა ლეო .. ნუ... თუ...

ვლად. რა იყო, ლენა, რამ დაგაფრთხო.

ლენა წადი ღვთის გულისთვის, წადი, შემიბრალე... ნუ ისარგებლებ ჩემი ობლობით.

ვლად. ლენა, არ იქნები ობოლი. (მიდის ლენასთან და კიდევ კოცნის, ლენა მოდალი სახით მიესვენება გულზე, ამ დროს გაიღება კარები და გამოჩნდება ლეო; როცა ის ამ სურათს დაინახავს, ეროს ავტომატიურათ შეტორტმანდება და მერე დარწმუნდება რა სინამდვილეში, მოწყვეტით გადის).

ლენა (დამფრთხალი სახით) თითქოს ვიღაცამ დაგვინახა!

ვლად. მარტო ჩვენა ვართ.

ლენა წადი... წადი...

ვლად. (მოშორდება) კარგი წავალ, გახსოვდეს, ლენა, თქვენ და მამა არ გადახვალთ, მე ვეტყვი მსახურს ზედა სართულში თქვენთვის ოთახები დაამზადოს. (გადის).

ლენა (თითქოს ბურანშია) ზედა სართულში, მე და მამა-ჩემი, სანდრო? ლე... (შემოდის ლუკა) მამა-ჩემო!

ლუკა რა იყო, შვილო.

ლენა ჩვენ გადავალთ... ზევით კარგათ გახდები, ვლადიმერმა მითხრა. (ლუკა დაფიქრდება) რა არის, მამა, რამ დაგაფიქრა.

ლუკა ვლადიმერი აქ იყო, არა?

ლენა დიახ, მამა.

ლუკა გადაწყვეტილი სიტყვა უთხარი?

ლენა (თვალებში შესცქერის) გადაწყვეტილი სიტყვა (სახეზე ხელს მოისვამს) შენ, შენ ხომ მომხრე იყავი, მამა-ჩემო.

ლუკა რადგანაც გადაწყვიტე, რა გაეწყობა, მხოლოდ ჩემი აქ დარჩენა სანდროს ეწყინება.

ლენა არა, მამა, შენ ჩემთან უნდა იქნე, მე უშენოთ არ შემიძლია გაძლება.

ლუკა კარგი, შვილო, ვნახოთ. (შემოდის სანდრო).

სანდრო ლეო აქეთ წამოვიდა, არ მოსულა?

ლენა აქეთ წამოვიდა, არ მოსულა?

სანდრო ლენა, რაღაც თითქოს ფერმკრთალი და გაფითრებული მეჩვენები.

ლენა არ ვიცი, ისე ცოტა თავი ამტკივდა. (რადაც უნდა უთხრას სანდროს, ვერ ახერხებს) სანდრო.

სანდრო რა არის, ლენა!

ლენა არაფერი. (გადის ოთახში).

სანდრო (ლუკას) რაშია საქმე, მამა-ჩემო, არაჩვეულებრივი განწყობილებაა.

ლუკა ლენას არ ყავს ჟირისუფალი, სანდრო.

სანდრო ვერ გავიგე, მამა-ჩემო. (შემოდის ლეო დადვრემილი, ლუკა ლენასთან კადის) სად დაიკარგე კაცო.

ლუკა შენ სად იყავი?

სანდრო გაზეთი მოვიტანე.

ლეო რა არის ახალი?

სანდრო მილიუკოვის პროგრესიული ბლოკი არ ხუმრობს, ალბათ ქაობის გველები რაღაცას გრძნობენ, მინისტრის კაბინეტები იცლებიან, გარბიან.

ლეო ალბათ გემს დაღუპვა მოელის.

სანდრო და ვირთაგვები გარბიან, ეხ ლეო, აფრიალდეს თავისუფლების დროშა.

ლეო დროც არის, ხალხის ეკონომიურათ დავალება უკიდურესობამდინ აღწევს.

სანდრო ლეო, რაღაც თითქოს უხასიათოდ მეჩვენები, თუ მე მგონია ასე?

ლეო მართალია, ცუდათ ვგრძნობ თავს.

სანდრო მიზეზი?

ლეო არ ვიცი, მეც ვერ ამიხსნია.

სანდრო ლენას თავი სტკივა, შენც ცუდათ გრძნობ თავს, ალბათ თანაუგრძნობთ ერთი მეორეს?

ლეო ლენა თანამიგრძნობს? სანდრო, შენ იცნობ თუ არა ლენას?

სანდრო უცნაური შეკითხვაა.

ლეო. და რთულიც.

სანდრო. რას მელაპარაკები, ჩემს ხელში აღზრდილ ბავშვს ვერ ვიცნობ?

ლეო. ლენა იყო ბავშვი, მაგრამ ეხლა ჩამოყალიბებული ასაკოვანი ქალია, რომელმაც დამოუკიდებელი აზროვნება და მოქმედება იწყო.

სანდრო. ეს ესეც უნდა იყვეს.

ლეო. და ესეც არის.

სანდრო. მერე რა მოხდა ამით?

ლეო. ის, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს ლენას ვაიძულოთ რაიმე საქმეები.

სანდრო. ვერ გავიგე.

ლეო. იცი, სანდრო, აი ეხლა შენ რომ დაგშორდი, ერთს წუთს წარმოვიდგინე, რომ ლენამ ჩვენ გვიღალატა მოცემულ სიტყვაში. ამან ისე მძლავრათ იმოქმედა ჩემზე, რომ ერთი ბოთლი ღვინო ჩემდა უნებურათ დავლიე.

სანდრო. ეს რა მესმის, შენ რომელსაც ღვინო შესახედავათ გძულდა, ასე სწრაფად ერთი ბოთლი დალიე და ისიც რაღაც უსაფუძვლო წარმოდგენის ზეგავლენით.

ლეო. შენ თქვი, სანდრო, რომ უსაფუძვლო წარმოდგენით, არა?

სანდრო. მაშ რა?

ლეო. ზოგჯერ, სანდრო, ჩვენ თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობაში საცოდავათ ვიბნევით ხოლმე; უნდა დავრწმუნდეთ, რომ სიტყვები „მეგობრობა“, „სიყვარული“, „გრძნობები“ და სხვა ასეთი განყენებული მცნებები მხოლოდ პოეტების ლექსიკონის სიმშვენიერეს წარმოადგენენ. სინამდვილეში-კი ისენი არ არსებობენ და ვინც ასეთს უჯერის, ის ბევრს დამარცხებას და დაცინვას მიიღებს.

სანდრო. ეს მცნებები, როგორც იტყვიან ხოლმე, პრობლემატიურია. მე მასზე სწორი პასუხის გაცემა არ ვიცი.

ლეო. მართალი ხარ, სანდრო, ალბათ ეს ჯერ ცხოვრებამ უნდა ახსნას და მერე ჩვენ შევისწავლით. ეხლა, სანდრო, შენ წადი და ვასოს დუქანში პატარა კამპანია მოამზადე, დღეს ბევრს ახალს რამეს გიამბობ. მეც მოვალ ეხლა, ლენას ვინახულებ.

სანდრო. ჯერ არ გინახავს და...

ლეო. წარმოიდგინე, რომ არა.

სანდრო. შენ მართლა დაუთრიხარ ერთ ბოთლ ღვინოს, მაგრამ მოიცა კიდევ დაგალევინო.

ლეო. დავლევ.

სანდრო მაშ მივდივარ. (გადის. დეო მიდის ლენას ოთახის კარებთან და უძახის) ლენა, ბოდიშს ვიხდი, შეიძლება თუ არა ერთ წუთს განახოთ.

ლენა (გამოდის) მოხველით?

ლეო მოვედი და ისევ წავალ.

ლენა სად?

ლეო გადავდივართ აქედან, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ, ლენა?

ლენა (სდუმს).

ლეო სიჩუმე თანხმობის ნიშანია.

ლენა რისთვის გგონია ასე? (ჰკუმბა).

ლეო მე მინდა, ლენა, შეგეკითხო, რამდენმა დღემ განვლო მას მერე, რაც ჩვენ ერთი მეორეს სანდროს თანადასწრებით სიტყვა მივეცით?

ლენა ვერ გავიგე, ლეო, რა გინდა ამით მითხრა.

ლეო მართალია, ვერ გაიგებდი, გასაგებ და თან სასიამოვნო ენაზე გეტყვი: როდის გამოგიცვალა ვლადიმერმა უკანასკნელი გაკვეთილი?

ლენა რათ დაგჭირდათ ეგ?

ლეო ისე, უბრალოდ გეკითხებით?

ლენა ვლადიმერი დღეს აქ იყო.

ლეო არ შეიძლება, რომ გავიგო ახალი გაკვეთილი მოგცათ თუ არა?

ლენა არა.

ლეო თქვენ გავიწყდებათ, ლენა, არა თუ გაკვეთილი, მას დღეს გამოცდაც სწორეთ ჩააბარე.

ლენა მართალია, მე გაკვეთილი ვიცოდი, მამაც აქ იყო. (იბნევა).

ლეო მამაც აქ იყო, აზრთა არევა. მაშ არ მომჩვენებია.

ლენა რა უნდა მოგჩვენებოდათ?

ლეო არაჩვეულებრივი მოჩვენება იყო, ვითომც დავინახე თქვენ და ვლადიმერი აქ... ერთი მეორეს ჰკოცნიდით. (ლენა კაფიტრდება და აიბნევა).

ლენა ლეო!.. (ოთახეში ხელს მიიფარებს და ქვითინებს).

ლეო კარგი, ლენა, ნუ სტირით, ბოდიშს ვიხდი, რომ არაჩვეულებრივი ილოთი თქვენ მიერ ჩადენილი საქციელი ალბათ მწვავეთ გაგრძნობინეთ. ნუ მიწყენთ, ლენა, თქვენდამი ჩემი სიყვარული ისე მძლავრი იყო, რომ მისმა დაკარგვამ ასეთი კილოთი ამალაპარაკა. მე არ მეგონა, თუ ჩვენი გრძნობა მთლიანი არ იყო. ალბათ შემთხვევით ვისარგებლე. (მიდის ფანჯარასთან და სეფდისაკენ იტყვის).

ლენა ლეო, თქვენ მე მსჯიან, მე ვლადიმერი არ მაყვარს.

ლეო. სირცხვილია, ლენა, თუ ერთში დაკარგე სიმტკიცე, მეორეში მაინც შეინარჩუნე. ღალატშიაც მტკიცე უნდა იყვე.

ლენა ლეო, მითხარ, სადა ვარ.

ლეო. კარგი, ლენა, თქვენ უკვე ამოირჩიეთ გზა. მე რა უფლება მაქვს დაგიშალო. მხოლოდ გახსოვდეს ჩემი უკანასკნელი სიტყვები: ვლადიმერმა შეგიყვაროს ისე, როგორც მე მიყვარდი. მე გისურვებ, ის კოცნა, რომელიც ვლადიმერს აქ უძღვენი...

ლენა კოცნა... მე... არა... ეს...

ლეო. დიახ კოცნა, ყოფილიყოს სულიერი ნათესაობა ორი სულისა, და არა ისეთი, როგორც ჩვენს შორის იყო იგი.

ლენა ლეო, ნუ თუ არ მომისმენ!

ლეო. ყველაფერი გათავდა. სინამდვილე სიტყვებზე უმტკიცესია.

ლენა სინამდვილე.

ლეო. ხვევნა-კოცნით დადასტურებული, და ლეოს პიროვნება თქვენს წინაშე ურცხვად შეგინებული.

ლენა ლეო, არ არის მართალი... მომისმინე. (ქვითინებს, შემოდის სანდრო, გაკვირვებული მაცქერდება ორივეს).

სანდრო. რა გატირებს, ლენა?.. ლეო?

ლეო. ლენა გამომშვიდობებისას უკანასკნელ ცრემლებსა ღვრის.

სანდრო. მითხარით რაშია საქმე?

ლეო. ჩვენ ხომ გადავდივართ აქედან. (შემოდის ლუკა).

სანდრო. მერე?

ლეო. ლენამ აქ ირჩია დარჩენა. ბედნიერი ხარ, მოხუცო, ზედა სართულში იცხოვრებ.

ლუკა მე არაფერი არ ვიცი, შვილო, როგორც სჯობდეს ისე მოიქეცით, ლენას ვლადიმერზე გატანე...

სანდრო. (გაწყვეტინებს) როგორ, მამაჩემო, ლენა?

ლეო. ნუ გაგიკვირდება, სანდრო, ლენას ასე სურს, მას თავის თავზე უფლება აქვს.

სანდრო. ლენა, მიპასუხე, ნუ თუ ყოველივე ეს.

ლენა (სტირის) არ ვიცი...

ლეო. სანდრო, მე წავალ, იქ დაგხვდები (გადის).

სანდრო. მამაჩემო, შენ ყველაფერი იცოდი?

ლუკა საბოლოო გადაწყვეტილება ეხლა გავიგე. (შემოდის ვლადიმერი).

ვლად. შესაფერი შემადგენლობაა, შემიძლიან...

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ყველაფერი ვიცი, ბ. ვლადიმერ, ნაყიდ ნივთზედ არავინ შეგეცილებათ, მიისაკუთრეთ.

ᲚᲔᲜᲐ სანდრო, ნუ თუ...

ᲕᲚᲐᲓ. შეუფერებელია.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ. მამა-ჩემო, მე ამ წუთს მივალ; ეხლავე უნდა გადავიდეთ აქედან. (ᲒᲐᲓᲘᲡ).

ᲚᲣᲙᲐ სანდრო, შვილო, მოიცა.

ᲚᲔᲜᲐ (მიეკვრება ᲚᲣᲙᲐᲡ ᲒᲣᲚᲗᲡᲔ) მამა, ნუ ᲓᲐᲛᲢᲝᲕᲔᲑ, შენ ჩემთან უნდა იქნე. (ᲡᲢᲘᲠᲘᲡ).

ᲕᲚᲐᲓ. ნუ სტირი, ᲚᲔᲜᲐ, ყველაფერი მოეწყობა, მოხუცი არ მოგშორდება.

ᲚᲣᲙᲐ არ ვიცი, სანდრო უნდა დავითანხმო.

ᲚᲔᲜᲐ ნუ მიმატოვებ, მე უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლიან. (ᲩᲐᲔᲙᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ. ᲚᲣᲙᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲪᲠᲣᲛᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘ ᲛᲦᲘᲛᲐᲠᲔ ᲮᲘᲮᲘᲗ ᲓᲐᲪᲥᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲝᲠᲘᲕᲔᲡ).

ᲤᲐᲠᲓᲐ

(ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

პრიფაცა

ᲘᲕ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ

როდესაც რუსის ჯარი თბილისში შემოსულა მუსიკით გიორგი უკანასკელის გარდაცვალების შემდეგ, ვიღაც პატრს წარმოუთქვამს:

— მუსიკა უკრავს, საქართველო კვდებაო.

საქართველო მართლაც მოკვდა; ყოველი ერი, რომელიც ჰკარგავს დამოუკიდებლობას, ჰკარგავს ამით თავისი არსებობის უმთავრეს ნაკადულს.

საქართველოს ერთი დღის მოსვენებაც კი არა ჰქონდა. ის მტრებით იყო გარემოცული და, მშვიდი ცხოვრება რა იყო, არ იცოდა.

რუსის გაბატონებას საქართველოსათვის მოჰყვა მოსვენება, წყნარი მოქალაქეობრივი ცხოვრება.

ეს ისეთი ცვლილება იყო ჩვენს ცხოვრებაში, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც კი გრძნობდა მადლიერებას რუსეთის მთავრობისადმი.

ცხოველური შიში დიდია როგორც ადამიანში, ისე მთელ ხალხში, ვინც სიკვდილს გადაგვარჩენს, ჩვენი სათაყვანებელიც ის არის.

როდესაც მადლიერების პირველი ბურუსი გაიფანტა და ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილს თვალები გადაეწმინდა, აშკარა შეიქნა ერთი გარემოება: თუ აღმოსავლეთის მტარვალები ერთბაშათ გვიპირებდნენ ამოჟლეტას, რუსეთის მთავრობასაც ამგვარივე მიზანი ჰქონდა დასახული; ის მხოლოდ სხვა საშუალებას ხმარობდა: მას უნდოდა ჩვენი მოსპობა თანდათანი გადაგვარებით.

მოწინავე ინტელიგენციაში გაიღვიძა ეროვნულმა გრძნობამ; ის აინთო მამულისადმი სიყვარულით და მიზნათ დაისახა მისი გადარჩენა.

ამ დღიდან მოყოლებული ჩვენ ვხედავთ ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას: რუსული რეჟიმი ცდილობს ქართველი ერის მოსპობას სხვა და სხვა გადამგვარებელი საშუალებით; ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია უწევს სასტიკ წინააღმდეგობას და ცდილობს, ერი იხსნას მოსპობისაგან.

ორი მტერია დარაზმული ერთი მეორის წინააღმდეგ და მათ შორის არავითარი შედარება არ შეიძლება.

პირველია ყოვლად შემძლებელი, მეორე კი ყოვლად უმწეო.

უმწეობა და შეგნება თავისი სისუსტისა ჰბადებს სევდასა და სასოწარკვეთილებას.

მოწინავე ინტელიგენცია იკვებებოდა რუსული აზროვნებით, რასაც იმ დროს ახასიათებდა ლიბერალური მიმართულება.

ლიბერალიზმი ნორჩი, ულვაშებ ამწვანებული ბურჟუაზიის პოლიტიკური მრწამსია.

რუსეთის სინამდვილეში ისახებოდა ასეთი ბურჟუაზია და მას გზას უკაფავდა აზროვნებაში ლიბერალიზმი. ჩვენი ინტელიგენცია დაეწაფა ამგვარ აზროვნებას, მაგრამ ის დარჩა გარიყული: ბურჟუაზიის შორეული აჩრდილიც კი არსად სჩანდა, გლეხობა ყრუ იყო, თავად-აზნაურობა კი—ლიბერალიზმის სრული მოწინააღმდეგე.

სამოქმედო ასპარეზი ჩვენს ლიბერალურ ინტელიგენციას მეტათ ვიწრო ჰქონდა, აქ ის ვერ ჰპოვებდა კმაყოფილებას და შვებას.

მთელი თაკისი ენერგია მან მწერლობაში გადიტანა. სულიერი განწყობილების უშუალო გამომხატველი პოეზია არის:

სევდა, გოდება და ცრემლები გადიქცენ ჩვენი პოეზიის მუდმივ თანამგზავრებათ, სამშობლო იმის მთავარ საგნათ, მამულისადმი სიყვარული—იმის მთავარ განდათ.

მტერი—რუსეთის თვითმპყრობელობის სახით—იყო მეტათ ძლიერი.

მოწინააღმდეგე ჩვენი ინტელიგენცია მეტათ სუსტი.

სისუსტის შეგნებამ თუ გოდება და ცრემლები წარმოშვა, მანვე წარმოშვა სიძულვილი, შურის ძიების გრძნობა და სისხლის სიყვარული.

აკაკისა აქვს ერთი ლექსი, სადაც შემდეგი სტრიქონებია:

არ ვნატრობ მეტს აღარასა,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
ვიღებავდე ჯაღარასა.

საშინელი სიტყვებია და უფრო საშინელი პოეზია.

იმ პოეტს, რომელიც თავის ღვთიურ ცეცხლს ასე ულვთოთ აქრობს, ზეგრელის შეხედვით არაფერი არა აქვს თითქოს საერთო პოეზიასთან, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ეჩვენება ასე, ვინც საგნის ზედაპირს უკვირდება, შიგ შუაგულში ჩახედვა კი არ შეუძლია.

მაშინდელი ჩვენი ინტელიგენცია ორ ბანაკათ გაიყო.

ერთი იყო თავადაზნაურული ნაწილი, მეორე ლიბერალური.

პირველი იყო კონსერვატიული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ყოველივე

ძველის მოტრფიალე; მეორე კი მესამოცე წლების ლიბერალური რეფორმების მომხრე.

პირველი ეკედლებოდა თავად-აზნაურობას და იყო მისი მისწრაფების გამომხატველი; მეორე კი ოცნებობდა შრომის სუფევაზე და იყო ბურჟუაზიის წინამორბედი.

ამ ორ ბანაკს შორის შეურიგებელი ბრძოლა იყო. პირველის სულის ჩამდგმელი იყო გრიგოლ ორბელიანი, მეორისა—ილია ჭავჭავაძე.

გრიგოლ ორბელიანს, როგორც ძველი ბატონყმური წყობილების თაყვანის მცემელს, ყველა ლიბერალები—ხელჯოხიანები და თერგდალეულები—მამულის დამღუპველათ მიაჩნდა. თერგდალეულებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ძველი აზროვნების ბუდეზე და ბოლოს დაამარცხეს კიდეც. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა და ბრძოლისა ამ ორ ბანაკს ერთი რამ აერთებდა: სამშობლოს განთავისუფლების აზრი.

ვახტანგ ორბელიანი, გრიგოლი ისევე ოცნებობს თავისუფალ საქართველოზე, როგორც აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე.

თუ სამშობლოს მიერ თავისუფლების დაკარგვა სევდით ავსებდა ვახტანგ ორბელიანის პოეზიას, იგივე სევდა იყო გამეფებული ილიასა და აკაკის პოეზიაში.

სანამ ჩემი საყვარელი
ქაჯებსა ჰყავს ცხრა კლიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფეველს,
ჯოჯოხეთი მიძევს გულში.

ასე სწერდა აკაკი და ეს ჯოჯოხეთი ახასიათებს მთელს მაშინდელ პოეზიას.

მშვენიერო, შენ გეტრფი!

და ეს ტრფობა მამულისა ახასიათებს ყველას—გრიგოლს, ვახტანგს, ილიას, აკაკის.

ილია ჭავჭავაძის მარტო პოეზია კი არა, მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა ერთი ჩამოყალიბებული პრაქტიკული გეგმაა: ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღდგენა.

როგორი ვართ, როგორი აღარ უნდა ვიყოთ, როგორი უნდა ვიქნეთ და რა საშუალებით უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს,—აი რა აქვს დასახული ილიას „კაცია ადამიანიდან“ მოკიდებული „ოთარაანთ ქვრივამდე“.

როგორც რომელიმე ინჟენერი შეადგენს გეგმას ხიდისას, სწორეთ ისე აქვს ილიას შედგენილი გეგმა თავისი შემოქმედებისა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს და ამ გეგმას ახორციელებს ის მთელ თავის სიცოცხლეში.

როგორ, რა ნაირათ უნდა ავაგო ხიდი, ანგარიშობს ინჟენერი.

როგორ, რა ნაირათ უნდა აღვადგინო ქართველი ერი, ანგარიშობს ილია.

თავისთავათ ცხადია, აქ არც თავისუფალი ხელოვნებაა, არც თავისუფალი შემოქმედება.

აქ არის მიზნათ დასახული ერთგვარი პრაქტიკული გეგმა და ხელოვნებას დავალებული აქვს ამ გეგმის შესრულება.

არის პროგრამა და არის საპროგრამო პოეზია,

მთელი თავისი დიდი შემოქმედებითი ნიჭი აკაკიმ ამ საპროგრამო პოეზიას შეალია.

სამშობლოს სიყვარული, სამშობლოს განთავისუფლება, ეროვნული სევდა და გოდება, ერის მტრებისადმი ზიზღი და სიძულვილი,—აი რა მოტივებია აკაკის პოეზიაში.

როგორც ილიას, ისე აკაკის შეხედულებით სამშობლოს აღდგენას წინ ეღობებოდა შინაური უკულმართობა და სიდუხჭირე და ამიტომ ერთიცა და მეორეც გესლიანის სატირით ილაშქრებენ ყველა შინაური მტრებისა და წვრილ-ფეხა ადამიანების წინააღმდეგ.

ცხადია, არც აკაკის პოეზიაშია თავისუფალი შემოქმედება. სადაც პროგრამაა, იქ თავისუფლება არ არის, იქ არის ერთგვარი ძალდატანება.

თავისუფლება კი ერთი აუცილებელი პირობაა ხელოვნებისა.

აიღეთ მოცეკვავე—ხელოვანი და მოცეკვავე—ხელოსანი. პირველს ახასიათებს სრული თავისუფლება მოძრაობაში, მეორესკი გაზეპირებული ფარგლები.

მართალია, წარსულმა პოეზიამ პირველის შეხედვით თითქოს უღალატა თავის მიზანს, თავისუფალი შემოქმედება მან პროგრამას დაუმორჩილა, მაგრამ მე ვამბობ:

ეს იყო აუცილებელი და ამიტომ მთელი წარსული პოეზია აღნიშნული ხანისა გასამართლებელი და მისაღებია.

სიცოცხლე დიდი განძია, დიდი სილამაზე.

რა მიზანი აქვს სიცოცხლეს?

უქმი კითხვაა,—ის თვითონ არის თავისა მიზანი.

მაგრამ ცხოვრებაში არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანი შეგნებულათ სწირავს თავის თავს რაიმე მიზანს.

გოგია დიაკონი ბევრი იცის ისტორიამ და გოგიას მოქმედებაში უდიდესი სილამაზეა.

ჩვენმა პოეზიამ გაიღო უდიდესი მსხვერპლი: მან თავისი თავი ზვარაკათ მიიტანა სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენის სამსხვერპლოზე.

თუ ოდესმე პოეზიას გაუკეთებია დიდი საქმე, ჩვენმა წარსულმა პოეზიამ სწორეთ გააკეთა ასეთი საქმე და მან ღირსეულათ შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება.

აქ ჩვენს წინაშე ისევ იშლება საკითხი პოეზიის დანიშნულების, წმინდა ხელოვნების, მიზნიანი ხელოვნების შესახებ და სხვ.

დიდი საკითხია, საყურადღებო სარკვევი.

ერის ცხოვრებაში არის ზოგჯერ ისეთი მომენტი, როდესაც ყოველისფერი—თვითონ პოეზიაც—განსაზღვრულ მიზანს უნდა ემსახუროს. საერთოთ პოეზია, ხელოვნება ღირსია იმისი, რომ ის თავისუფალი იყოს, მაგრამ ერს მეტი მნიშვნელობა და ფასი აქვს, ვიდრე პოეზიას.

შეიძლება ერი კი არა კაცობრიობა მთლათ ერთიანათ მოისპოს და მშვენიერება კი არსებობდეს.

მაგრამ როდესაც ერის არსებობა მსხვერპლს ითხოვს, დეე პოეზია შეეწიროს ერს: გადარჩენილი და თავისუფალი ერი შექმნის ღირსეულ პოეზიას.

ჩვენი წარსული პოეზია სწორეთ ერს შეეწირა და ამაშია მისი დიდი, დაუვიწყარი ისტორიული ღვაწლი.

როდესაც თურმე მტერთან ომში სპარტანელებს გაუჭირდათ, ჯარი შედრკა, ათინელებს თხოვეს დახმარება.

ჯარის ნაცვლათ პოეტი ანთეოსი მიიღეს.

სპარტანელებმა იწყინეს, დაცინვათ მიეგებენ.

მაგრამ ანთეოსმა უკუქცეულ ჯარს ისეთი სული ჩაბერა თავისი პატრიოტული პოეზიით, რომ აგზნებული, გადახალისებული ჯარი ლომივით ეკვეთა მტერს და სძლია.

ანთეოსის პოეზია საპროგრამო იყო და ისტორიამ ამ პოეტის სახელი შეინახა, შარავანდედით შემოსა; ბევრი სხვა კი წმინდა პოეზიის მიმდევარი სრულიათ დაივიწყა.

ვინ იტყვის, რომ ანთეოსმა დიდი საქმე არ გააკეთა?

დიდი საქმე გააკეთა, იმიტომ რომ დიდი პოეტი იყო.

წარსული პოეზიის უნიჭიერესი წარმომადგენელი აკაკია. მან პოეტი ასე დაახასიათა: გარემოების საყვირი.

რა თქმა უნდა, საერთოთ შემცდარი აზრია.

პოეტის საგანი მარადიულია, უკვდავი, გარემოების საყვირი ის არ უნდა გახდეს.

მაგრამ არის ისეთი ხანა ერის ცხოვრებაში, როდესაც ყველამ უნდა გჯილოს

უდიდესი მსხვერპლი, პოეტმაც; ასეთ დროს ის გარემოების საყვირათაც უნდა გადიქცეს.

თეთრი ხელმწიფე მარტო თავისი პოლიტიკით კი არ იყო ჩვენში საშიში, ის საშიში იყო უფრო იმით, რომ ერეკლეს დროის ქართველი ხალხი მას მოუთმენლათ, სიყვარულით მოელოდა, მასში თავისი მსხნელს ჰხედავდა.

თეთრი ხელმწიფე თეთრ გიორგის აგონებდა მას.

ასეთ შეხედულებასა და რწმენას ჰქონდა თავისი გასამართლებელი საბუთი.

ხალხი ფიზიკურათ ისპობოდა.

ლეკები, სპარსელები, ოსმალები, შინაური ფეოდალები — ყველა ერთათ მუსრს ავლებდა მას.

ხალხს სიცოცხლე გაუმწარდა, ის თეთრ ხელმწიფეზე ოცნებობდა.

ხალხი არ მოსტყუვდა: რუსის ხელში მან გარეშე მტრები და შინაური დამრბევნი მოიშორა, სიცოცხლე შეინარჩუნა, მოისვენა, ტკბილი ლუკმა შეჭამა.

საშინელება იმდენათ რუსულ რეჟიმში კი არ იყო, არამედ ხალხის სულიერ განწყობილებაში: მან რუსეთი შეიყვარა, ამით მთავრობას მისი პოლიტიკის წარმოება გაუადვილა და უფრო გაუნაყოფიერა.

აი ასეთს პირობებში ყოველისფერი უწყობდა ხელს — საშინელი რეჟიმი, ხალხის სულიერი განწყობილება, ახლობელი წარსულის მწარე გაკვეთილები — რომ მშვიდი მოქალაქეობრივი ცხოვრების ჭერ-ქვეშ ჩვენი ხალხი თანდათან გადაგვარებულიყო და მომკვდარიყო.

და თუ ის ეროვნულათ არ მოკვდა, აქ სწორეთ პროგრამამ გააკეთა დიდი საქმე და სხვათა შორის საპროგრამო პოეზიამ.

საქართველო პოეზიაში არ მოკვდა, დამონებული, დანარცხებული საქართველო პოეზიაში იყო თავისუფალი, ამაყი, წელში გამართული.

ცხოვრების სინამდვილე ჰკლავდა საქართველოს. პოეზია კი თავდავიწყებით, თავგანწირვით დასტრიალებდა მას და ასმევდა სასიცოცხლო ნექტარს.

ამ მიზანს ძველმა პოეზიამ ყოველივე შესწირა და ანაცვალა, ამ დიადი საქმისათვის მან ყოველივე დაივიწყა და გასწირა — საკუთარი სახეც.

პოეზიამ გაიმარჯვა, სამშობლო განთავისუფლდა, აღსდგა და ეს გამარჯვება სრულებით ამართლებს ძველ პოეზიას.

ხელოვნება ჩვენ შეგვიძლია სამშობლოს შევადაროთ და აი რა მხრით: სამშობლო ყველა კლასსა და წოდებას უნდა, მაგრამ ყველას — საკუთარი სხეულისათვის.

ხელოვნებაც ყველა კლასსა და წოდებას ესაჭიროება, მაგრამ ყველას — საკუთარი სხეულისათვის.

ამიტომ ხელოვნებაში საერთოც არის და კერძოც, საკაცობრიოც, კლასობრივიც.

როდესაც ესა თუ ის კლასი მტკიცეთ გამოდის ცხოვრებაში, მას საკუთარი სახე შეაქვს ხელოვნებაში, საკუთარი სული პოეზიაში.

პოეზია ხშირათ მატიანეა კლასის ყრმობის, დავაჟკაცების, სიბერისა და დაძაბუნების.

რაც საერთოა, ის ყველასთვის მისაღებია.

რაც კლასობრივია, ის მხოლოდ კლასისათვის არის მისაღები. ყოველ კლასსა აქვს თავისი საკუთარი შეხედულება პოეზიაზე, საკუთარი ესთეტიკა.

ოთხმოცდა ათიან წლებში ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა ქალაქის მუშათა კლასი.

მან შემოიტანა ჩვენს პოეზიაში კლასობრივი ბრძოლის ცეცხლი. ამ ცეცხლის მუგუზალი ხელთ უპყრიათ ევდოშვილს, ვარლამ რუხაძეს, ქუჩიშვილს, ობოლ მუშას, გელას. ესენი უწინარეს ყოვლისა პროლეტარული ბრძოლის პოეტები არიან.

მეგობრებო! წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული.
დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს—ოფლის ნაკადული.

მათი ესთეტიკა—ბრძოლის ესთეტიკაა. მუშათა კლასი მოითხოვს, რომ პოეზია ჩირაღდნებით ხელში წინ მიუძღოდეს მას დიადი მიზნისაკენ.

აღნიშნული პოეტები სწორეთ ამ გზით მიდიან და მათა აქვთ ერთგვარი კავშირი ძველ პოეტებთან.

ძველი პოეტების ჩანგზე არის ეროვნული ბრძოლის სიმი.

ამ პოეტების ჩანგზე—კლასობრივი ბრძოლის სიმი.

ძველი პოეტები სამშობლოს განთავისუფლებას სწირავდენ თავის პოეზიას; ესენი—მუშათა კლასის განთავისუფლებას.

ძველი პოეტები იყვნენ მღაღადებელნი, ისინი ლაშქარს ჰკრეფდენ, გმირებს დაეძებდენ თავის მიზნისთვის.

გმირებს დაეძებს, უყივის
ჩემი ბუკი და ნაღარა.

ამათ კი გმირები ჰყავთ, ესენი არიან მუშათა კლასი და ამ კლასზე არიან ისინი დაყრდნობილი.

ძველი პოეტები სამშობლოს განთავისუფლებას მთელი ერის საქმეთ ჰსახავდენ.

ჩვენში მუშათა კლასმა გაიმარჯვა: მან გაანთავისუფლა საქართველო და აწყობს მას საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამით გაიმარჯვა ედემშვილის, რუხაძის, ქუჩიშვილის პოეზიამაც. მივიდა თუ არა ამათი პოეზია თავისი აღსასრულის კარებამდე? სანამ იქნება მუშათა კლასი, მას ექნება საკუთარი აზრი და შეხედულება ყოველი საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ, ექნება საკუთარი შეხედულება ხელოვნებაზედაც, საკუთარი ესთეტიკა.

სანამ საბოლოო მიზანი მუშათა კლასისა არ განხორციელებულა, მისი საკუთარი ფიქრი და გრძნობა უსათუოდ ჰპოებს თავის გამოსახვას პოეზიაშიც...

უკანასკნელ წლებში ჩვენს პოეზიაში დიდის ხმაურით შემოიჭრა ახალი მიმართულება, რომელიც ძველს პოეზიას სრულებით ანდერძს უგებს. „ჩვენ უარს ვეუბნებით ჩვენს ახლობელ წინაპართა ნაშრომს“.

„გილიოტინა, რომელიც ცისფერმა ყანწებმა დაუდგეს წინა პოეტებს, ჯერაც ვერ ნახულობს მსხვერპლს, რადგან არავინ არ არის ღირსი თავის მოკვეთის,“ სწერს ტიციან ტაბიძე ყანწებში და შვილდოსანში. ეს მიმართულება არის სიმვოლიზმი, მოდერნიზმი.

მოდერნიზმი ქალაქის შვილია, ისიც დიდი ევროპიული კულტურისა და ტეხნიკის ქალაქის.

პარიზი, ლონდონი, ნიუიორკი — აი მოდერნიზმის სამშობლო და ასპარეზი.

ჩვენი ცხოვრება ევროპისასა არა ჰგავს, არც ჩვენი ქალაქია ევროპის ქალაქი.

მიუხედავად ამისა თუ კი ჩვენი ცხოვრება მიდის ევროპისაკენ, ჩვენი ქალაქიც თანდათან დაემგზავსება ევროპის ქალაქს.

ამიტომ ევროპის ქალაქის პოეზიას ჩვენს ქალაქშიაც უნდა ჰქონდეს ბინა.

ეს ბუნებრივია.

მაგრამ მოდერნიზმი ჩვენში სპობს, უარყოფს მთელს პოეზიას თითქმის რუსთაველს აქეთ და თვითონ ლამობს მთელი ერის მესაიდუმლოებას.

საინტერესოა, მიიღებს თუ არა მას მთელი ერი?

თუ არ მიიღებს, ვინ მიიღებს?

რა ახასიათებს მოდერნიზმს?

სრული თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, ინდივიდუალიზმი და სხვა.

მაგრამ ყოველივე ეს ჩვენს მკითხველს ცოტას ეუბნება.

გაცილებით მეტს მასალას გვაძლევს ვალერიან გაფრინდაშვილი შვილდოსანში და თავის დაისებში.

ვალერიან გაფრინდაშვილის ბოგემა სხვათა შორის გვეუბნება, რომ დღევან-

დელი პოეზია შექმნა ბოგემამ. სიმოლიზმი, მოდერნიზმი ბოგემის პირმშო შვილია, ბოგემა კი შექმნა საფრანგეთმა მე-19 საუკუნეში.

„ლოთი და ღატაკი ბოგემა ქმნის ახალ პოეზიას.“

ეს პოეზია ხშირათ ავადმყოფია და იქ „ალკოგოლს, ჰაშიშს და ოპიუმს უკანასკნელი როლი არ უჭირავთ.“

ბოგემის პოეტები უმთავრესათ „ცხოვრობენ არა ნორმალურ პირობებში და ქმნიან სხვა ნაირ სილამაზეს.“

„ბოგემა ქმნის სიმახინჯის ესთეტიკას.“

რადგანაც ავტორის რწმუნებით თანამედროვე შემოქმედება ბოგემის ნიშნის ქვეშ მიდის, ცხადია მოდერნიზმიც ანუ სიმოლიზმი ბოგემის სიმახინჯის ესთეტიკას იზიარებს. სიმახინჯის ესთეტიკის ერთ საუცხოვო სურათს თვითონ გაფრინდაშვილი იძლევა ერთ თავის ლექსში:

ქალს ჩაჟენილი თვალით.

აქ პოეტს ბუნებრივი თვალი კი არ იზიდავს, არამედ შუშის თვალი.

„ო, რა უცხოა შენი თვალი მხიბლავი ყალბათ—
ნეტავი იმას, ვინც ამ თვალზე ნაზათ გაკოცებს!
თვალის მაგივრათ შენ ძვირფას ქვას მუდამ ატარებ,
რომ მე ყოველთვის ვიოცნებო ხელოვნურ თვალზე“.

აქვე არის ერთი დიდი თავისებურობა სიმოლიზმისა—სინამდვილის სრული უარყოფა

ქიმერები სიმოლიზმს სწორეთ იმიტომ უყვარს, რომ ქიმერები სინამდვილის სრული დავიწყებაა.

ამავე წერილში ავტორი ახასიათებს პარიზს და სხვათა შორის ამბობს:

„პარიზი ახელებს ფანტაზიას თავისი ძვირფასობით და გარყვნილებით, თავისი ქუჩებით და ბრბოთი, თავის ტრამვაებით, ავტომობილებით, ეტლებით, აეროპლანებით, ხმაურობით. აქ ჩნდება ყველაზე საოცარი ქიმერები.“

უბრალოთ რომ გამოვხატოთ ეს აზრი, მივიღებთ იმას, რომ პარიზში აუარებელი სიმდიდრეა და გარყვნილება; მდიდრულ გარყვნილებას აუარებელი შეძლება სჭირდება.

ბოგემა დაიბადა აი ასეთს ნიადაგზე, მან უარჰყო სინამდვილე, იწამა სიმახინჯის ესთეტიკა.

მაგრამ სიმახინჯეც ხომ სინამდვილეა.

და თვითონ გაფრინდაშვილიც ერთ თავის ლექსში აღიარებს:

სინამდვილეში დაბრუნება დამეზარებაო, სრულებითაც არ უარჰყოფს მთელ

სინამდვილეს, — ამ სინამდვილიდან ის იტოვებს ჭლექს, სიფილისს, თავის მკვლელებს, შეშლილებს, აშორდიებს.

სანამდის ყოველივე ამაში გავერკვეოდეთ, საჭიროა გავიგოთ, რას ნიშნავს თვითონ ბოგემა?

ამის გასაგებათ საჭიროა მივმართოთ ისევ დიდ ევროპიულ ქალაქს და გავითვალისწინოთ მისი საზოგადოებრივი შემადგენლობა.

ევროპის დიდმა ქალაქმა წარმოშვა მსხვილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზია.

მსხვილი ბურჟუაზია ჩამოყალიბებული, გარკვეული შეხედულებისა და შეურყეველი მიზნის კლასია.

პროლეტარიატიც დარაზმული, შეკავშირებული და ნათელი მიზნის კლასია.

ორივე ეს ერთი მეორის სრული მოწინააღმდეგე კლასი იბრძვიან ცხოვრებაში, ახორციელებენ თავის საქმეს და მტკიცეთა სწამთ მიზანი თავისი ბრძოლისა. ორივე ესენი სინამდვილის, რეალიზმის კლასია.

ბურჟუაზია ევროპაში გაბატონებულია, მის ხელთ ყველაფერი არის და რევოლიუციის მოლოდინი მას ზოგჯერ სასოწარკვეთილებაში აგდებს, აშინებს: ვაი თუ ყოველისფერი დავკარგოვო.

აქედან იბადება ერთგვარი მისტიციზმი, რაც ხან და ხან იზიდავს ამ ბურჟუაზიას, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი, შემთხვევითი და წარმავალი მოვლენაა.

ყოველ შემთხვევაში ეს არ არის ბოგემის მისტიციზმი.

წვრილი ბურჟუაზია დგას კერძო საკუთრების ნიადაგზე. მისი მიზანი გამდიდრებაა.

არსად არ არის სიმდიდრის ძალა ისე დიდი და აშკარა, როგორც ევროპის ქალაქში. წვრილი ბურჟუაზიის იდეალი ქონების ზრდაა, მსხვილებში გადაჩოჩება.

ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის მეტათ მცირე ნაწილს ერგება ხოლმე წილათ; დიდი ნაწილი სიმდიდრისა და სიღარიბის სამზღვარზე რჩება მთელი თავისი სიცოცხლე.

ერთი ნაწილი წვრილი ბურჟუაზიისა მარცხდება ბრძოლაში, რჩება ცხოვრებისაგან გარიყული და გადადის ღატაკთა ბანაკში.

ის სამუდამოთ ეთხოვება თავის მისწრაფებას, გამდიდრებას, ფუფუნების აჩრდილი სამუდამოთ შორდება მას. ასეთ პირობებში ის უარყოფს სინამდვილეს, რომელმაც დაამსხვრია ყველა მისი იმედები და ალკოგოლსა, ჰაშიშსა, ხაშხაშსა, კოკაინსა და ქიმერებში ეძებს თავდავიწყებას.

ინტელიგენცია ევროპის დიდ ქალაქში სამ მთავარ ნაწილათ იყოფა: ერთი

ეკედლება მსხვილ ბურჟუაზიას, მეორე პროლეტარიატს, მესამე ნაწილი უპარტიოა.

პირველ ორ ნაწილს გარკვეული სახე აქვთ და გარკვეული მიზანი. ისინი დგანან ცხოვრების სინამდვილის ნიადაგზე და მტკიცე რწმენით მიდიან თავისი გზით.

უპარტიო ინტელიგენციას აქვს ერთი უმთავრესი მისწრაფება: მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, რომ დიდი ქალაქის ფუფუნება მისთვის ხელმისაწდომი გახდეს.

მე განგებ ამოვწერე ბ. გაფრინდაშვილის წერილიდან, თუ რა ჰხიბლავს ადამიანს პარიზში: სიმდიდრე, ფუფუნება, აეროპლანები, ავტომობილები, შანტანები, ნახევრათ შიშველი ქალები და სხვ.

ვისაც მუდამ ქეიფი და დროს ტარება უნდა, ამისათვის ყველაფერია პარიზში. საჭიროა მხოლოდ ფული. უპარტიო ინტელიგენციაც იბრძვის ამ ფულისათვის. დიდი ნაწილი რასაკვირველია მარცხდება და სამუდამოთ ეთხოვება გამდიდრებისა და ფუფუნების იმედს. მას სხვა აღარა დარჩენია რა.

— ის უარჰყოფს ამ ცხოვრებას და ქიმერებსა, ლოთობასა და ნერვების გამაბრუებელ ნივთიერებაში ეძებს თავ დავიწყებას.

ასეთ ცხოვრებას თან დასდევს ჭლექი, სიფილისი, სიგიჟე, თვითმკვლელობა.

და აი ეს გარიყული ნაწილი, რომელმაც სინამდვილეში დაჰკარგა ფუფუნების, ბრწყინვალე ცხოვრების ყოველგვარი იმედი, ურიგდება თავის ერთათ ერთ თანამგზავრს— ცხოვრების სიმახინჯეს: ჭლექს, ალკოგოლს, სიფილისს, თვითმკვლელობას, ქიმერებს და სხვ.

პროლეტარიატს გარკვეული გზა აქვს და სწამს თავისი მიზანი. ის ბრძოლის კლასია და ყოველი მებრძოლი სინამდვილეს უწევს ანგარიშს. ოცნება მას უყვარს, მაგრამ ისეთი, რომელიც არსებულ სინამდვილეს გარდაქმნის უკეთეს სინამდვილეთ.

ცხოვრებაში ის ებრძვის და უარყოფს ყოველგვარ სიმახინჯეს და მიისწრაფის ისეთ წყობილებისაკენ, სადაც ერთგვარი კეთილდღეობა და ბედნიერება ყველასათვის ხელ მისაწდომი გახდება და სადაც სიმახინჯე დაძლეული იქნება.

ბრძოლის დროს მას ზოგჯერ წილათ ერგება დამარცხება, მაგრამ ეს ვერ ერევა იმის სულს; ცოტა იჭვისა და განვლილი ნაბიჯების გადასინჯვის შემდეგ ისევ მალე გასწორდება ხოლმე წელში და მიისწრაფის თავისი მიზნისაკენ.

პროლეტარიატის წრიდან ირიყება დიდ ქალაქებში ერთი ნაწილი—ლუმპენ პროლეტარიატი, რომელსაც არც წარსული აქვს, არც მომავალი.

მისი მიზანი კეთილი ცხოვრებაა, ფუფუნება, მაგრამ რადგანაც ამისათვის მას ხელი არ მიუწვდება, ხან მშიერია, ხან მთვრალი და საერთოთ ლოთების, შანტანებისა და მეძავი ქალების დიდი მოტრფიალეა.

თუ ყოველივე ამის შემდეგ დავუბრუნდებით ჩვენს კითხვას, ვინ შეადგენს ევროპის დიდ ქალაქში ბოგემას, პასუხი ადვილია: ყველა ცხოვრებისაგან გარიყული.

ასეთები არიან უმთავრესათ ნაწილი უპარტიო ინტელიგენციისა, წვრილი ბურჟუაზიისა და ლუმპენ-პროლეტარიატისა.

ბოგემა არის ქაფი ევროპის დიდი ქალაქისა.

რადგანაც ინტელიგენციაში მეტი კულტურული ძალაა, შუაგულს ბოგემისას ინტელიგენცია შეადგენს.

ეს ინტელიგენცია უარჰყოფს სინამდვილეს, რადგანაც სინამდვილე მას არაფერს აძლევს, გარდა სიმახინჯისა. ის ღებულობს, ურიგდება ამ სიმახინჯეს და გუნდრუკს უკმევს ჭლექს, მშვენიერ ნაგავს, თავის მკვლელებს, შეშლილებს, ოპიუმს, ჰაშიშს, ალკოგოლს. ის გაურბის რეალობას, სიცხადეს და ეძებს უცნაურობას, ბურუსს, გაუგებრობას, ბუნდოვანობას, აჩრდილებს, ორეულებს, ქიმერებს, საშინელებას, კოშმარებს და სხვა.

ხელოვნებაშიაც ამ ინტელიგენციას სწამს მხოლოდ სიმახინჯის ესთეტიკა.

რაც შეეხება ნიჭს, ყველასათვის ცხადია, რომ არავითარ სკოლასა და მიმართულებას ნიჭის წარმოშობა არ შეუძლია. უნიჭო და ნიჭიერი, ჭეშმარიტი შემოქმედი და ხელოსანი ყოველ მიმდინარეობაშია.

ასეა ბოგემის ინტელიგენციაში ანუ სიმვოლიზმის ნაკადშიაც. ბოგემის ინტელიგენციის ყურადღებას პოეზიაში განსაკუთრებით ლირიკა იპყრობს; ეს ადვილი ასახსნელია. ის ვინც უარჰყოფს სინამდვილეს, წარსულს, მომავალს, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ წყობილებას ვინც არ აქცევს ყურადღებას, ვინც მსოფლიოს შუაგულში საკუთარ მე-ს ათავსებს, მისთვის განსაკუთრებული ღირებულება საკუთარ ფიქრს, გრძნობას, განცდას, სიხარულსა და ტკივილსა აქვს. ლირიკაში ბოგემას მეტათ ნიჭიერი წარმომადგენლები ჰყავს, დიდი პოეტები, მაგრამ ყოველი დიდი პოეტი ყველასათვის მისაღები არ არის მთელის თავის შინაარსით.

როდესაც ადამიანი ხელს იღებს მთელს ცხოვრებაზე, ის თავს იკლავს, თუ ძლიერი ნების პატრონია.

თუ სუსტია, ქედს იხრის თავის მკვლელის წინაშე.

ამიტომ არის, რომ ბოგემის ინტელიგენციასა და იმის პოეტებს განსაკუთრებით უყვართ თავის მკვლელები.

პაოლო იაშვილსაც კი ენატრება მყრალ დარაბაზე თავის ჩამოხრჩობა.

ვისაც თავის მოკვლა არ ძალუძს, ის მუდმივი ფიქრის, ტანჯვის, ალკოგოლისა და ხაშხაშის ზეგავლენით სულიერათ სნეულდება, ჭკუიდან იშლება.

ასეთი შეშლილებიც განსაკუთრებით უყვართ ბოგების პოეტებს.

ვინც ორივე ამ გზას აცდება, ის ცხოვრობს დღევანდელი დღით, ხვალინდელი დღე მისთვის არ არსებობს. თუ არაფერი აქვს მშიერია; თუ აქვს, ქეიფობს და დროს ატარებს.

დღეს რომ მილიონი ჩაუვარდეს ხელში, ხვალ კაპიკი აღარ გაჰყვება.

ბოგებამ თავ-დავიწყებით, გატაცებით, მთელის თავისი არსებით იცის ქეიფი და დროს ტარება.

აი აქ არის სწორეთ ახსნა იმ მოვლენისა, რომ ბოგემა ხშირათ თავისი წრის გარეშეც ჰპოულობს ამყოლს, თანამგრძნობს, მიმდევარს.

პოეზიაში ბოგემასა აქვს თავისი შინაარსი, თავისი ესთეტიკა, თავისი ფორმა.

ვისთვის არის ასეთი პოეზია მისაღები?

პოეზია კი, განსაკუთრებით ლირიკა, საკუთარი სულის მოძრაობის გამოხატვაა; ლირიკა უმთავრესათ პიროვნულია, ანუ ინდივიდუალური.

ადამიანის სული ბრინჯაოდან არ არის ჩამოსხმული და ის ცხოვრების ზეგავლენის ქვეშ ვითარდება.

ბოგემის პოეზია გამოჰხატავს სულის კვეთებას იმ წრისას, რომელიც დიდი ქალაქის ცხოვრებამ გარიყა. დიდი ქალაქის თავბრუ დამსხმელმა ფუფუნებამ, სიმდიდრემ, ავტომობილებმა, გასაგიჟებელმა კაფეებმა აათამაშეს ამ უპრინციპო წრის ოცნება, მაგრამ სინამდვილემ მას არ მისცა შეძლება, საშუალება დატკბეს, დაითროს დიდი ქალაქის ფუფუნებით. ევროპის დიდი ქალაქი წარმოადგენს ზღვას საარაკო ფუფუნებისას და ავხორციანი ნეტარებისას.

ბოგემის წრეს, იმის ინტელიგენციას აქვს გემოვნება, აქვს უძლიერესი წყურვილი ამ ზღვაში ჩაყურყუმალებისა, მაგრამ სინამდვილემ მას შეუკრა ყველა გზები და მოუსპო ყოველგვარი იმედი.

საარაკო კაფეს მაგიერათ მას დარჩა ხელში უბრალო, ჭუჭყიანი რესტორანი; სასახლის ნაცვლად—სარდაფი ან მეექვსე სართულის მტვერიანი ოთახი, ავტომობილის ნაცვლად—ჯოხი; კეკლუცი ქალების მაგიერ სიფილისისაგან ხმა ჩახლეჩილი ქუჩის ქალი.

ასეთმა მდგომარეობამ შექმნა თავისებური პოეზია და თავისი ესთეტიკა. ეს პოეზია მისი ესთეტიკით საუცხოო გამომხატველია ამ სნეული მდგომარეობისა.

ასეთ პოეზიას აქვს თავისი გამართლება, ის აუცილებელია, როგორც დიდი ქალაქის განსაზღვრული წრის სულის კვეთება.

ამ წრის გარეშე ეს პოეზია მიუღებელია და განსაკუთრებით კი ერის უმრავლესობისათვის—მშრომელი კლასისათვის.

რატომ?

იმიტომ რომ ის სრულებით არ გამოჰხატავს მშრომელი კლასის სულისკვეთებას, იმის მისწრაფებას.

სიმვოლიზმი უნდა დაკმაყოფილდეს იმ ვიწრო წრით, რომელმაც ის წარმოშვა და რომელსაც ის სრულიათ შეეფერება.

მშრომელ კლასს, როგორც მებრძოლსა და ცხოვრების იდეალურათ მოწყობისათვის, გარდაქმნისათვის მოწოდებულს, უწინარეს ყოვლისა უყვარს ის, რასაც სიმვოლიზმი უარჰყოფს,—ეს არის სინამდვილე.

მშრომელი კლასი იხედება ცისკენ, შეტრფის მზეს, მაგრამ იმ მიზნით კი არა, რომ სინამდვილე დაივიწყოს, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სინამდვილე უკეთ გარდაქმნას და მზეს დაუახლოვოს.

ცისა და მზის მშვენიერების მიწდომა მას დედამიწის გასალამაზებლათ უნდა და არა დედამიწის დასავიწყებლათ. სიბნელეში ბრძოლა და მოქმედება მშრომელ კლასს არ უყვარს, რადგანაც ეს მისთვის დამღუპველია. მას უნდა სიცხადე, ნათელი, თვალით დანახული, აშკარა,—ასეთია ბუნება ყოველი მძლავრი მებრძოლისა.

ამიტომ ბუნდოვანს, გაუგებარს, უცნაურს, ორეულებს, ლანდებსა და ქიმერებს, რასაც ასე ეტანება სიმვოლიზმი, მშრომელი კლასი უარჰყოფს.

მშრომელი კლასი ებრძვის ცხოვრებაში სიმახინჯეს: მასა სწამს, ცხოვრებას მოაწყობს ისე, რომ სიმახინჯეს, ჭლექს, სიფილისს, გამრყვნელ ფუფუნებას ალაგი აღარ ექნება.

ამიტომ სიმახინჯის, ქიმერების, შეშლილების, თავის მკვლელების, ჰაშიშით გაბრუებულების ესთეტიკა არასოდეს არ გახდება მშრომელი კლასის ესთეტიკათ.

მშრომელმა კლასმა იცის სიღატაკე, იცის შიმშილი; ბოგემამაც იცის სიღატაკე და შიმშილი.

მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ მშრომელ კლასსა და ბოგემას საერთო აქვთ რამე?

ბოგემა არ ებრძვის სიღატაკესა და შიმშილს! თავი მოიხარა მათ წინაშე.

მშრომელი კლასის მთელი ცხოვრება კი ბრძოლაა სიღატაკესა და შიმშილთან. ის დარწმუნებულია, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა.

მშრომელი კლასის სულის კვეთება და მისწრაფება ითხოვს შესაფერ პოეზიასა და შესაფერ ესთეტიკას.

აქედან მე ის დასკვნა არ გამომყავს, თითქოს სიმვოლიზმის პოეზიიდან ყვე-

ლაფერი მიულებელი იყოს მშრომელი კლასისათვის. სხვა-და-სხვა მიმდინარეობის პოეზიაში ყოველთვის არის რამე საერთო და ერთნაირათ სავალდებულოც:

ასეთია სხვათა შორის ფორმა.

ფორმა, აღსავსე მარადიული სილამაზით, რუსთაველმა გამოჰკვეთა. წარსულ საუკუნის პოეზიაში ფორმა აზრმა ჩაჰყლაპა.

ფორმას ჩვენი დიდი პოეტები ბარბაროსულათ ეპყრობოდენ და ხშირათ ციური ცეცხლით უხვათ გამთბარი აკაკი და ვაჟაც კი მიუტევებელ დანაშაულს ჩადიოდენ ამ მხრივ.

ახალგაზრდა მგოსნებმა დაინახეს ეს დიდი ნაკლი და იწყეს მისი გამოსწორება. გრიშაშვილმა, აბაშელმა ამ მხრივ ჩვენს სიმვოლისტებზე გაცილებით უფრო ადრე დაიწყეს მუშაობა და გაამშვენიერეს კიდეც ლექსის ფორმა.

ჩვენმა სიმვოლისტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ლექსის გარეგნობას და დიდი მიღწევაც მოგვცეს.

ეს მათი დამსახურებული ღირსებაა.

იაშვილმა, გაფრინდაშვილმა იმდენი თავისებურობა, ისეთი სილამაზე, სიახლე და მდიდრული ფერადობა შეიტანეს ლექსში, რომ მათი სახელი დღეიდან დაკავშირებულია ქართულ განახლებულ ლექსთან.

ფორმის თვალ-მომჭრელი სილამაზის ბრალია უმთავრესათ ის გარემოება, რომ მათ ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა.

ჩვენი სიმვოლიზმის აი ეს მხარე სრულათ მისაღებია მშრომელი კლასისა და მთელი ერისათვის. ის შევა ეროვნულ პოეზიაში დიდ განძათ.

შინაარსი და ესთეტიკა სიმვოლიზმისა მშრომელი კლასის სულიერი განწყობილების, მსოფლ-მხედველობისა და პოეზიის თვალსაზრისით სრულებით მიუღებელია.

აკაკი პაპავა

ფიქრები თეატრის პრიზისზე

3

ანტიურ ტრაგედიის აღდგენის ბედი თანამედროვე სცენაზე უფრო სავალალო შეიქმნა, მინამ საზოგადოთ ელინიზმის განახლებისა ამ დროულ ლიტერატურაში.

მის დასაწყისშივე დათვლილი იყო ელინიურ ტრაგედიის დღენი ევროპის თანამედროვე სცენაზე; და თუმცა დღემდისაც ურჩობენ მრავალნი, რეინჰარტის მიმდევრები გულს არ იტეხენ—რა ხედავენ ახალ მიმდინარეობის თეატრის სწრაფ ზრდას, მაგრამ სხვა მრავალთათვის აშკარა გახდა, რომ ეს მოდებული ალი წუთიერი ძალის იყო და ისიც მალე სულ ჩაქრება.

დაიმსხვრა რეინჰარტის იმედი, დამარცხდა მისი თეატრიც და დამარცხდა იმიტომ რომ საფუძველი მისი ყალბი იყო, იმიტომ რომ ელინთა სულის კვეთებას, მის ხალისიან ლტოლვასა და სრულ მთლიანობას ვერას გზით ვერ განიცდიდა და მით უმეტეს, ვერ გამოხატავდა თანამედროვე კულტურის შვილი. რომ უფრო კარგად გავიგოთ ამ დამარცხების მიზეზები, საჭიროა, რამდენიმედ მაინც გავეცნოთ ელინთა სულის მთლიანობის, ნების სიმტკიცის და, უშრეტელ ნაკადულად მდინარე ვნების სახეს; სახეს, რომელსაც ანხორციელებდა ანტიური ტრაგედია...

ფსიხოლოგია ელინისა, რომელმაც სული ჩაბერა ანტიურ ხელოვნებას და კერძოდ ტრაგედიას, სადა, გარკვეული და უსაზღვროდ ნათელია.

მთელი მისი ბუნება ხალისიანი მზის სხივთა ძნით გაშუქებულა, მან არ იცის გაორება, ანალიზი წინასწარი—აქტიობის ჩამკვლელი; იგი თავისუფალია რეფლექსიიდან. ყოველ მოვლენას იგი ცხოვრების წარმავალ და ცვალებად სახეს აწერს და სტოიკურ სიმაღლიდან უცქერის. მარტოოდენ ჰერაკლიტეს ცეცხლია მუდმივი და უშრობი...

ანტიური ქვეყნის და მის ბუნების კარგა მცოდნე ლ'ანუნციო „სიკვდილის ტრიუმფში“ დეორდეო აურისპას ენით საკმაოდ ნათლად განმარტავს ძირითად

თვისებებს ელინისასა: „ელინის არსებაში ფესვი გაიდგა ჰომეროსიულმა გრძნობამ ცხოვრებისამ“.

ელინი მუდამ მხიარულის სალამით ეგებებოდა კეთილსაც და ბოროტსაც და მხოლოდ ერთი სწყუროდა: „გაეხსნა მთელი რთულობა თვის ძალთა და თან-დაყოლილი ინსტიქტი ბატონობისა განუწყვეტლივ ევარჯიშებინა“.

მას შეეძლო ეპოვნა ძლიერი სიხარული საშინელებაში და ტანჯვაში.

იქამდე თვის მცდარობაშიაც, თვის ნაღველში, თვით ტანჯვაში იგი ცხოვრების დღესასწაულს და გამარჯვებას ხედავდა. ტანჯვა მისთვის სტიმული იყო, იგი ისე მოქმედებდა, ვით წამალი, რომელიც აცხოველებდა, აჩქარებდა და ანვითარებდა ორგანოთა მოქმედებას, ცხოვრების ძალას.

მის ტრაგიკულ გრძნობათა სიღრმიდან იზრდებოდა არა შიში კატასტროფისა და საშინელების, არამედ, როგორც ნიცშემ აღნიშნა, ლტოლვა—რომ თვითვე გამხდარიყო საუკუნო სიხალისედ ყოფისა, ყოველ თანაგრძნობათა და საშიშროების მაღლა, რომ თვითვე ქცეულიყო სიხარულად... საშიშროების და თრგუნვის სიხარულის გამოუკლებლად.

„ელინის ძლიერი ნება საგანთა ბუნებაში მხილდებოდა. მიზანი მისი ინდივიდუალურ არსებობისა და კოსმიური პროცესი მუდამ ჰარმონიულად ვითარდებოდენ“.

რამ განავითარა ასეთი მტკიცე ნება და ხალისიანი ლტოლვა, ენებიანი წყურვილი სიცოცხლისადმი ელინის ბუნებაში?

ამისი მიზეზი მრავალია.

უმთავრესი, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ელინის სულის ინდივიდუალურ მხარეებს... ეს მისი თან-დაყოლილი თვისებაა, რომელსაც ხელს უწყობს და ძლიერ ნაკადად ანვითარებს ფიზიკური ბუნების თავისებურობა საბერძნეთში: გაშლილი ზღვა, ნათელი ცა, ხალისიანი მზე, მშვენიერი და მჩატე ჰაერ, ჩუხჩუხა მდინარეებით დასერილი მწვანე არე-მარე, ლამაზი გორაკები და სხვ...

ამრიგად თვით ბუნებამ ჩაბეჭდა ბერძნის აზრში თავისი ფორმები და განავითარა ლტოლვა ნათელისა და ცხადისადმი.

ამ სახელმწიფოს ვიწრო ფარგლები არ ბადებდა მოქალაქეში მიდრეკილებას აუხსნელ მკრთალ და განყენებულისადმი.

ელინთა რელიგიაც ამ ბუნებრივ სიხალისეზე აგებულა; მათი ღმერთებიც განუწყვეტლივ განცხრომასა და ლხინში ატარებენ დროს.

ისინი სცხოვრობენ ოლიმპის მწვერვალებზე და ვერავითარი მოვლენა წუთითაც კი ვერ შეაშფოთებს ამ ოლიმპიურ მშვიდობიანობას, ვერ გასწყვეტს განცხრომის წუთებს.

მუზის ღმერთები მათ მშვიდ ყოფას სიამით დალიღინებენ და აფრქვევენ ტკბილსა და ხალისიან ჰანგებს.

ელინთა ღმერთები ადამიანურ თვისებების მატარებელია, ისინი იმდენად არ დაშორებიან უბრალო მომაკვდავ ელინს, ვით სხვა ერისა და რწმენის ხალხი თავიანთ ღმერთებს.

ამიტომ მათი ცხოვრება ბრძნული და ტკბილი ყოფაა, მაგრამ ადამიანური, და ელინიც მას იდეალად ისახავს, მისდამი ილტვის და მის განხორციელებას თვითვე სცდილობს.

იგივ ხალისიანი ბუნება, რომელმაც ხელი შეუწყო „ცხოვრების ტრიუმფს", სიცოცხლის კულტს, იძლევა დაუშრეტელ მასალას მხატვრულ სახეობისათვის... ბუნება ცოცხალი სიმბოლოა და თავისთავად მეტყველებს და, საკმარისი იყო ელინის მხატვრული ინტუიცია, მისი მახვილი ალღო, რომ ხელოვნება ამ ქვეყანაში შეუდარებელის სისწრაფით განვითარებულიყო და ცხოვრების ერთი მხარე გამხადრიყო... ამრიგად, მიზეზი ანტიურ ხელოვნების სიცხადისა, გარკვეულობის, ხალისიანობის და მთლიანობისა უნდა მის ბუნებაში, სულში და ფიზიკურ არეში ვეძიოთ, ისტორიულ მიზეზებთან ერთად...

4

ელინს სავსებით იტაცებს და ატყვევებს ამ ქვეყნიურ მშვენიერების ძალა. მისთვის სრულებით საკმარისია ეგ ხილული ქვეყნიერება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას სიამეში, ნეტარებაში, მამაცობაში წვრთნის. ელინი აქ ლაღობს და იმქვეყნიურობა თავის მისტიურ ბუნდოვანობით და გამოუცნობით სრულიად არ იტაცებს მას.

დღევანდელი ევროპიელის ლტოლვა სიკვდილის საიდუმლოებისადმი და უკანასკნელის კულტი, ელინისათვის სავსებით უცნობი და უცხო გრძნობა იყო.

როცა ულისი იხილავს სიკვდილის შემდგომ აქილიესს გადესთან და მიულოცავს, რომ იგი პირველია აჩრდილთა შორის, უკანასკნელი მას მიუგებს: „ნურას მეტყვი მე სიკვდილის შესახებ, მამაცო. ჩემთვის სჯობს ვიყო მიწის მუშა და ქირაში ვმსახურებდე რომელიმე ღატაკთან, რომელსაც საკვები ძლივს მოეპოება, ვიდრე ვბრძანებლობდე ყველა მიცვალებულთ!!.

ასეთი დაუშრეტელია წყურვილი სიცოცხლისადმი, რომელიც ამდენად აშორებს ძველ ელინს თანამედროვე ადამიანიდან; უკანასკნელს სიცოცხლე თითქოს მობეზრებია, იგი ძალად იხშობს ამ ქვეყნიურ ხალისსა და ნეტარებას და გონებით უფრო იმ არყოფნის ქვეყანაში ცხოვრობს. მაგრამ აქედან ის დასკვნაც არ

უნდა გამოვიტანოთ, თითქოს ცხოვრების მოყვარულ ელინს სიკვდილის ეშინოდა.

წინააღმდეგ, იგი მას მშვიდად ეგებებოდა და ხანდისხან მასში ნეტარებასაც პოებდა მისი სული, საკმარისია გავიხსენოთ ბრძენ სოკრატის ტრაღიკული სიკვდილი, რომელიც შეუდარებელ მამაცობასა და მხნეობას გამოხატავდა.

აი, რას ეუბნებოდა საბერძნეთის ფილოსოფოსი სიკვდილის წინ თავის მოსამართლეებს: „აუცილებლად ორისაგან სიკვდილი ერთი უნდა იყოს: მკვდარი ან სრულებით ვერაფერს ვეღარ გრძნობს, ანუ, როგორც ამბობენ, სიკვდილი მხოლოდ ცვლილებაა, გარდასვლა ამ ქვეყნიურ საყოფელიდან მეორეში. თუ სიკვდილის შემდგომ არ არის არავითარი გრძნობა, თუ ადამიანი თითქოს მუდმივ ძილშია, რომელიც მოკლებულია ოცნებას, ჭეშმარიტად ამ შემთხვევაში სიკვდილი უაღრესი ბედნიერებაა. მაგრამ თუ კი სიკვდილი მარტო გადასვლაა სხვა მხარეში, საცა ყველა მიცვალებულნი ცხოვრობენ ერთად, მაშინ განა შეაძლოა, მოსამართლენო, წარმოვიდგინოთ ამაზე უმაღლესი ნეტარება?.. მაშასადმე ორივე შემთხვევაში ჩვენ უნდა მოვკვდეთ **სამხიარულო იმედებით**“...

ასე გმირულად გარდალახა საბერძნეთის ხალხმა, დღეს ჩვენთვის საბედისწეროდ და საშიშროდ ქცეული, სიკვდილი!..

5

ამ მხრივ თანამედროვე ადამიანი საშინელ უმწეობას განიცდის; იგი ასეთი გარკვეულისა და ნათელი ბუნების მატარებელი ვერ გამხდარა. მის ფსიხიკაში საშინელი ქაოსი გამეფებულა და მან არ იცის სად თავდება ამ ქვეყნიური და იწყება „გარდალმა მხარე“... ცოცხალი იგი უფრო მკვდარსა გავს და მისი უვნებოდ მბჟუტავი, მიმქრალი სული მუდამ ამ ორ სამეფოში ირევა. მოღლილი, მოქანცული, ნება დამსხვრეული, იგი მუდამ საზღვარზე სდგას და შიშით ვერ გადაუდგამს ფეხი. . მას უნდა, სწყურია სიკვდილი, მოსვენება, მაგრამ იმ ქვეყნიური არსება მისთვის სრული ლაბირინტია და ეშინია მისი სიახლოისა, მას არ შეუძლია რეალური აქტის სახე მისცეს თვის წარმოდგენას, ბოლომდე მიიყვანოს ოცნება.

ფიქრი და ზრახვანი მისთვის თვითონ განხორციელებას უდრის, იგი იქვის მსხვერპლი გამხდარა და თვითონვე სჯის თავის თავს.

ინტესიური წარმოდგენა სასურველ იდეალისა მისთვის, ან უკვე აღსრულებულ აქტად არის მიჩნეული, ან და იგი წარმოდგენა ორდება და თვითვე ახშობს წარმონადენ ნების ნაკადს.

ელინისათვის იდეალი იმდენად წარმტაცი და სასურველია, რამდენადაც იგი რეალურად ხორციელდება; თანამედროვესათვის კი ოცნება ოცნებისათვის არის საჭირო და მას მუდამ აკლია რეალობა, სხეული.

ელინმა იცის, რომ მისი ბედი ღმერთებს წინასწარ განუსაზღვრავს, მაგრამ იგი მაინც მოქმედებს, თავის ნებით მართავს სურვილებს, იგი აქტიურობის სიმბოლოა; მას არას გზით არ უნდა ბრმად დაემორჩილოს ბედს, იგი დატყვევებულია ლამაზი და ლაღი სიცოცხლის წყურვილით და ღმერთებსაც შეებრძოლება, თუ წინ გადაუდგებიან მას.

თანამედროვე ადამიანს კი აუტანელი შიში იპყრობს და უფლობს, იგი უმოქმედოა და პასიური, აქტიობის ფანტაზიით მოტრფიალეა.

ელინი თავის მიზანს ასრულებს, რეალურად ამთავრებს და შემდგომ იჭვნეულობს; თანამედროვე ადამიანი კი ოცნების განხორციელებას ლამობს, მის სხეულობას ცოცხალის სახით განიცდის და წარმტაც ფერადებით ხატავს დასაწყისში; მაგრამ ამ ინტესიურად მოქმედ ფანტაზიას წინ უდგება განხორციელების პრობლემა და აი, აქ იწყება ტრაგედია თანამედროვე ადამიანისა...

იგი წინასწარ იჭვნეულობს, მოქმედების შედეგი მას საშინლად აფრთხობს და სცდილობს ამოიშალოს გულიდან ეგ წადილი... ამ გაორებასთან იწყება ბრძოლა ფსიხიური, თვის თავის ანალიზი, რეფლექცია, რომელიც წინ უსწრებს მუდამ მქნე ძალას და გზას უკრავს მას.

ტრაგედია ელინისა მოქმედების ნაყოფია და, მაშასადამე, უაღრესი მოქმედება, სტიქია ბუნებისა; ტრაგედია თანამედროვე ადამიანთა ფანტაზიის და ოცნების ნაყოფია და შორს არის ნების მოქმედებისაგან; იგი დამწყვდეული სულის უმწეო ფართხალია.

აზრი და ლტოლვა მისი უნაყოფოა.

ეს უნაყოფობა და მისგან წარმოდგენილი ტრაგედია თანამედროვე ადამიანისა მშვენივრად გამოხატა ნიჭიერმა დ'ანუნციომ ზემოაღნიშნულ შესანიშნავ რომანში: „ტრიუმფი სიკვდილისა“.

გმირი მისი დჟორჟო აურისპა ტიპიური წარმომადგენელია თანამედროვე ადამიანისა, რომლის სული იჭვის ისრებით დაცხრილულია. მას სწყურია მოქმედება, სიცოცხლე, სიყვარული, მაგრამ იგი უნებლიეთ, მარტოოდენ სიკვდილზე ფიქრობს და სიცოცხლის ნაცვლად იწყება „სიკვდილის ტრიუმფი“, რომელიც ნელი-ნელ უფლობს მას. „ო“, ამბობს იგი, „საიდან ვპოვო რწმენა ჩემის თავისა? იჭვი მღრღნის მუდამ, იგი იპყრობს ჩემს ნებას და წეწს ჩემს სულს, ოცნებას, მაწამეთ ყოველგვარ წამებით, მაგრამ მაგრძნობინეთ ძლიერი ნება, რომ გზა ხსნილი მივსცე ჩემს ოცნებას... ოხ, რომ შემეძლოს ზეკაცის შობა“...

მისი ოცნების უნიადაგობას ავტორი სიმბოლიურად გვიხატავს მის უშვილობაში; მან იცოდა, რომ შთამომავლობა არ გაუჩნდებოდა, რომ თესლი მისი უნაყოფოდ ქრებოდა...

მას სტანჯავდა აზრი, რომ ვერავითარ გზით იგი ვერ განამტკიცებდა თვის ინტელექტს, ვერ გახსნიდა შინაგან ქვეყანას. „მისი პიროვნება მარტოოდენ დროული შეკავშირებაა მოვლენათა ერთი ცქითის (ცენტრის) ირგვლივ, თითქოს სვეტზე შიბმული ძაღლი იყოს“. მისი უნაყოფობა განუკურნელია და მას შეუძლია ისურვოს მარტო აღსასრული.

და რომ დასასრული მიეცეს ყველა ოცნებას, მან **უნდა იოცნებოს მარტო იმაზე, რომ აღარ ისურვოს მეტი ოცნებობა**“.

აი, ბედი თანამედროვე ადამიანის უნაყოფო ოცნებათა. აი, ტრაგედია, რომელიც უნაყოფოდ ქრება და ნებას სავსებით აქრობს.

ასეთი დიდი კონტრასტია ელინისა და თანამედროვე ადამიანთა შორის და ცხადია იგივე განსხვავებულობა ხელოვნებაზეც გადადის და კერძოდ მის განცდაზე.

ასეთი დიდია საზღვარი ძველისა და ახალის შორის და ამ საზღვრის წაშლამდე ტყუილია ზრუნვა ელინურ სულის კვეთების შექმნის შესახებ; ტყუილია ოცნება ანტიურ ტრაგედიის აღდგენისა: თანამედროვე ადამიანის უნებო, დაწეწილი, დაქუცმაცებული სული თვის უმოქმედობით სულ მოწინააღმდეგე პოლიუსზე იმყოფება, ვიდრე მძლავრი ელინის მთლიანი, ენებით ანთებული, აქტიობის წყურვილით შეპყრობილი სული. მაგრამ ცოტა კიდევ ჩავყვეთ და ეს კონტრასტი ძველისა და ახალის შუა საშინელ უბსკრულად გადაიქცევა...

ვაი, თუ მართლაც უბსკრული შეიქმნეს იგი და მომავალშიაც დაკარგოს კაცობრიობამ იმედი ელინიზმის რენესანსისა!..

წ ე რ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე

1

თუ ხელოვნების ისტორიას ოდნავ თვალს გადავავლებთ, ჩვენთვის აშკარა გახდება მთელი განსხვავება ელინურ ხელოვნებისა თანამედროვესთან შედარებით; ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი სულ სხვა-და-სხვა გზით ვლენ და მათი შერიგება თანდისთან შეუძლებელი ხდება.

ავიღოთ მარტივი მაგალითი და შევადაროთ ძველი ტიპი ახალს.

იქ საღი შეგნება ცხოვრებისა, ნაკლებად დასახიჩრებული სული, გარკვეული და ნათელი აზრი, ცხოველი ხალისიანობა და სიცხადე ამჩნევია ყოველ ქანდაკებას. არც ერთი ღარი ტანჯვისა, არც ერთი ნაკვთი სხეულზე, წამებით წარმოვლენილი; მთელი სტიქია მხატვარისა ძლიერ და დასრულებულ ქანდაკებაში ლამაზად ლაღობს.

დღევანდელ მხატვრობაში და ქანდაკებაში სულ სხვა სჩანს: აქ დაქუცმაცებული სული მეტყველებს, ამღვრეული თვალები ტანჯვის ზღვად ქცეულან; სულის უმწეო ძახილით ნატანჯი სხეული ათასნაირ ნაოჭებს შეუპყრია.

ღაწვებზე ობლობისა და უმწეობის ცრემლები ჩამოსდის; სხეულის სილამაზე და სილაღე სადღაც გამქრალა, იგი თითქოს სულ ზედ-მეტად ქცეულა, რომელიც სულს უნდა შეეწიროს სავსებით.

ეს შედარება აშკარად ყოფს ორ ქვეყნის განსხვავებას: წარმართ ელინისას და ქრისტიან თანამედროვესას.

ქრისტიანობამ კაცობრიობის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა, იგი მსწრაფლ მოედო მთელ განათლებულ ქვეყნებს და მის გავლენის ქვეშ განვითარდა და გამოიწვრთნა სულ სხვა გვარი ფსიხიკა, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ელინურს.

მან მოსტეხა და მოსპო ელინური სულის კვეთება, მას ქვეყანა ბოროტების სამყოფელად წარმოედგინა, მისი აზრით ადამიანი ამ ბოროტების ჭურჭელი იყო, სხეულის მონა. ადამიანმა, ქრისტიანობის მცნებით, უნდა შესცვალოს თავისი გზა. ამ ქვეყნიური ცხოვრება მარტოოდენ მზადებაა, მივაპყროთ მთელი ჩვენი სული და არსი იმ ქვეყნიურს.

ბუნებრივი დასაწყისი ადამიანისა ცოდვილია, მოვკლათ ჩვენში ეგ ბუნება, მთელი ჩვენი ლტოლვა ჩავახშოთ, მთელი ენება დავაცხროთ, მოვკლათ სხეული, სულის სახსნელად.

მთელი ჩვენი ცდა, მეცნიერული საზომი მცდარია; ყველაფრის მამოძრავებელი ძალა იმ ქვეყნიური საიდუმლოებაა, რომელსაც უნდა ვეზიაროთ ამ ქვეყნიურის დამარცხებით.

შენანიებით და ლოცვებით განვავითაროთ ჩვენში მეორე დასაწყისი, დასაწყისი სულისა, მთელი ჩვენი ცხოვრება მწირობად ვაქციოთ; ვიყვნეთ განდგომილებათ, რომელთაც კლავს მარტო სულიერი წყურვილი.

როგორც ვხედავთ, ქრისტიანობის იდეა საესებით უარყოფს ენების ძალას; ცხოვრების ხალისიანობის წყურვილს, მეცნიერულ გზას და ყოველივე ამ ქვეყ-

ნიურს; იგი კლავს ნებასა და სილამაზეს, სხეულსა და მიწიერობას, რაიც ასულდგმულებდა ელინთა სულს და მათ ხელოვნებას.

ეს განსხვავება ორ ქვეყანათა შორის საკვანძოთ გადმომდინარებს ხელოვნებაშიაც.

2

ამ მხრივ საინტერესოა ორ პოეტთა შედარება, რომელნიც საკვანძოთ და ღრმად გამოხატავენ ამ ორ მიმდინარეობის თვისებებს.

მე მოგახსენებთ ჰომეროსსა და დანტეზე.

აქ ეს შედარება შორს წაგვიყვანდა და ჩვენ მხოლოდ გაკვრით აღენაშნავთ მას.

დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ იმ ქვეყნიურობის ხატებაა. მან თითქოს სრულიად გასწყვიტა მიწასთან კავშირი და თავისუფლად ნავარდობს ცაში. იგი არც კი გრძნობს სხეულს და მის ლტოლვას. საუკუნოებათა სამეფოში გადასული, იგი ხედავს უსაშინელეს ტანჯვას, ცოდვათა გამოსყიდვას და ნეტარებას; იგი შეძრწუნებულია ზეკაცური საშიშროებით... „და მთელი პოემა მის ჯოჯოხეთურისა და ღვთაებრივ ნაწილებით წარმოგვიდგება ჩვენ სიზმრად, რომელიც იწყება საშინელებით და თავდება აღფრთოვანებით“ (იპ. ტენი).

ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეია“ ამ ქვეყნიურ ცხოვრების ჰიმნია; მასში უმთავრესად მომაკვდავ ბერძენთა გრძნობანი, მათი ზნე ჩვეულებანი და განცდანი იხატება. ამიტომ ჰომეროსის წიგნი ნამდვილი ისტორიული დოკუმენტია; მასში ყოველი ისტორიკოსი უხვ მასალას პოებს.

არა მარტო სიტყვა-კაზმულ მწერლობას, არამედ მთელ ხელოვნებას აშკარად ამჩნევია ეს განსხვავება და თავისებურობა.

ჩვენ აღვნიშნეთ იგი სკულპტურაში, ამასავე დავინახავთ ხუროთ მოძღვრებაში, თუ შევადარებთ ბერძნების ტაძრებს თანამედროვე და საზოგადოდ გოტიურ სტილის ტაძრებს, რომელთაც მისტიურობის და ბუნდოვანობის ხასიათი აქვთ.

ამასვე დავინახავთ მხატვრობაშიც.

ელინიურ შემოქმედების ნაყოფი მხნეობის, მამაცობის და სულის სიმტკიცის მატარებელია.

იგი უსრულეს მშვენიერების სიმბოლოა; ძველმა ელინმა იცოდა ამ სილამაზის ფასი და იგი ერთნაირად ავარჯიშებდა და წრთვნიდა როგორც სულს, ისე სხეულსაც; იგი არ ფარავდა თავის ტანს. უკანასკნელი ვერ დაუმორჩილებია სულს და ისინი ჰარმონიულად შეერთებულან.

ბრძენი არისტოტელიც აფასებს სხეულის სიმტკიცეს და სილამაზეს და იმ ყრმას, რომელიც ფილოსოფოსის აზრებს ეზიარება, იგი პირდება: „შენ მუდამ გექნება გაშლილი მკერდი, თეთრი კანი, ფართე მხარ-ბეჭი, დიდრონი ფეხები, ყვავილოვანის სილამაზით განვლი შენს დროს.“ ამრიგად ცოცხალი ტანი და მისი ყოველი ნაწილის სილამაზე იზიდავს ელინს.

იგი არ სდებს საზღვარს ცენზურულ და არა ცენზურულ ნაწილებ შუა ამ სხეულში; მასში ყველაფერი, ყოველი ნაკვთი ესტეტიურ სიამის გრძნობას შობს და არასოდეს არ იწვევს ბინძურ აზრებს, რომლითაც იმსჭვალება თანამედროვე ადამიანი, სიშიშვლის მნახველი.

მას შემდგომ, რაც სხეული და მისი ყოველი ლტოლვა ცოდვის დასაწყისად აღიარა კაცობრიობამ, იგი ზრუნვით მალავს და განგებ სიმახინჯის სიმბოლოდ გამოჰყავს ტანი, რომელიც მუდამ ებრძვის სულის წმინდა დასაწყისს.

ამ ბრძოლის ზრდის და სურვილთა შებოკვის ნაყოფია სხეულის დამონვება და მისი მტანჯავი გამომეტყველება, რომელიც უმთავრესად იხატება სახის ხაზებში, მიმიკაში.

ამ მოვლენით იხსნება ისიც, რომ თანამედროვე ადამიანი მხატვრობაში პირველ და თითქმის **მთელ მნიშვნელობას სახის ქცევას და მის ღარებს აპყრობს.**

თუ ელინს ერთნაირად აინტერესებდა სახე და ყოველი ნაწილი სხეულისა, მთლიანი სიხალისით შეკრული და შედუღებული, დღეს მარტოოდენ სახე გამხდარა ყურადღების ღირსი და ისიც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი სრულად გამოხატავს სულის ტანჯვისა და კვეთების თვისებებს.

ასეთი სურსათების სიმბოლოდ თვითონ ქრისტეც კი გაუხდიათ თანამედროვე მხატვართ და დიადი მეფე, ეკლის გვირგვინით შემკული, აუწერელ ტანჯვას და თან მამისადმი ლოცვითი გრძნობებს გამოსახავს თვის სახეზე; თვალები ზეცისაკენ აუპყრია და სისხლის ღვარი შუბლის ნაოჭზე ჩამოსდის, ირგვლივ კი სულის სინათლის რგოლი არტყია ..

ცალმხრივად განვითარდა თანამედროვე კულტურულ ადამიანის ალღო: მას მარტოოდენ სახის მოძრაობით და სიტყვით შეუძლია გაიგოს სხვისი ტრაგედია, ამის გარეშე მას არაფერი აინტერესებს და არც შეუძლია სხეულის ნაწილების მოძრაობით, მისი რხევით რაიმე გაიგოს.

3

ელინის ქანდაკება ყველა ნაწილებით მეტყველებდა, იგი მუდამ დამთავრებული იყო და მხატვარსაც და მჭვრეტელსაც ერთნაირად იზიდავდა სხეულის ყო-

ველი ნაკვთი, სულის სილაღე-სილამაზესთან ორგანიულად შესხეულებული... ასეთივე იყო ელინური თეატრი და მისი მსახიობნიც, რომელნიც სახის ქცევასთან ერთად, ავარჯიშებდენ სხეულს და მის რითმულ რხევაში ხსნიდენ ტრაგედიის სულს.

თანამედროვე მსახიობი ამ მხარეს აბსოლიუტურად მოკლებულია და არც ანვითარებს მას, რადგან მაყურებელიც ვერ ამჩნევს მის მნიშვნელობას და სრულებით კმაყოფილდება მარტოოდენ სახის ქცევით.

თუმცა აქა-იქ იჩინა თავი ამგვარმა ტენდეციამ და კერძოთ რუსეთში, ცნობილი თეორეტიკოსი თეატრისა, თავ. ს. ვოლკონსკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტანის ვარჯიშობას, მაგრამ მისი ლტოლვაც უნიადაგო გამოდგა, საჭიროა მთელი ფსიხიკის გარდაქმნა... და არა მარტო მსახიობთა, არამედ მაყურებელთაც, რადგან ამათაც უნდა ტანის რხევაში და მის ნაწილთა თავისუფალ, რიტმიულ მოძრაობაში, სულის მხარე ამოიკითხონ და განმარტონ.

დღეს მთელი მოქმედება მარტოოდენ სახის ქცევით იხატება და მსახიობმაც ზედმიწევნით განავითარა მიმიკა.

ამგვარ ელინურ დასაწყისის განვითარებას ამას წინად მოსკოვის ინტერნაციონალურ თეატრშიაც შეეცადენ.

აქ თავი იჩინა ახალმა სკოლამ; მათ დასდგეს „ხრიზისი", რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ მარტო ქალები.

მთელი თამაში დაფუძნებული იყო ტანის გარეგნულ პლასტიურ სილამაზეზე.

ყოველივე სახე და მოძრაობა სტილური იყო, თითქო მოთამაშენი ბერძნულ ვაზას მოსწყდენ და ცოცხლად, იმავ მშვენიერ რხევით სცენას გადმოეშვენ.

სახის ქცევას და მიმიკას ამ წარმოდგენაზე ან სულ არ ქონდა არავითარი მნიშვნელობა, ანდა იმდენი, რამდენიც ყოველ თვითეულ ნაწილს ტანისას.

მაყურებელს უნდა სხეულის რხევაში და ჟესტებში აღმოეკითხა სულიერი განცდანი და, საზოგადოდ, სულიერ მხარის სარკედ გაეხადა აქტიორ ქალების მოძრაობა.

მაგრამ დამსწრემ ეს ვერ იკისრა და, თუმცა განცვიფრებით შესცქეროდა ახალ ჯიშის სცენას, მაგრამ უგულოდ და მარტოოდენ კვირვობდა... გრძნობა მისი დატყვევებული არ იყო, სული ვერ შეეთვისა ამ უცნობ თამაშს და თამაშით ვერ დაკმაყოფილდა. ვერ გაიგო მისი ავან-ჩავანი.

ასე დამთავრდა ეს ცდაც, რომელშიაც იხატებოდა ელინურ ტრაგედიის აღდგენის წყურვილი და მისი თვისების ერთი მხარის ჩანასახი...

თუ რამდენათ დაშორებულია თანამედროვე ადამიანი ამ მხრით ელინისაგან, ამას ისიც მოწმობს, რომ მრავალ სხვა და სხვა გვარ ჰიპოტეზების შემდეგაც კი ვერ ავხსენით—როგორი მხრით ქონდა მიქცეული ხელები მილოსის ვენერას და ან რას აკეთებდა იგი მოქანდაკის აზრით. ჩვენ თითქმის გავიგეთ მისი მშვენება, სილამაზე, ლაღი სულის კვეთება, მაგრამ სხეულის სხვა ნაწილების მიმართულებას ვერ შევუგუეთ, ჰარმონიულად ვერ შევუთვისეთ ეს ნაწილებიც, რომელთაც, მთლიანობის ნაზიარევი ელინი, უეჭველია, სავსებით ახსნიდა...

(შემდეგი იქნება)

სარედაქტიო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ობოლი მუშა

ცისარტყელა



№ 5 აპრილი 1920 წ. № 5

შ ი ნ ა ა რ ს ი

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ:

ს. აბაშელი—საღამოს ჰაერი

იასამანი—ხალხურ კილოზე

ობოლი მუშა { 1. ჩემი ტაძარი
2. ემილ ვერჰარნიდან—ქალაქის სული

ვარ. რუხაძე—მდიდრის შვილი

გ. ქუჩიშვილი—მე ზარი ვარ

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐ:

შიო არაგვისპირელი—გაბზარული გული

ᲓᲠᲐᲛᲐ:

კ. გერგესელი—გზა-ჯვარედინზე

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ:

ვარლამ ხუროძე—ემილ ვერჰარნი

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 5
აპრილი
1920

პოეზია

ს. აბაშელი

სალამოს ჰაერი

მოვიდა ღამე უცნაურად ანაჩქარები
და შემოსუდრა ქარვისფერი სახე მიწისა.
შესცივდა მიწას და დაჰხურა ირგვლივ კარები;
ლილისფერ ფარდით ჩამოჰბურა სარკმელი ცისა,
და წამოისხა მთრთოლავ ტანზე სითბო ნისლისა.
და ცისკიდეზე მიწვა ჩრდილით განაწვალები.
და მისწყდა უცებ შელამების ხმა ეკვნიანი.
ჩაჰქრა ჰაერში ბრწყინვალება კაეშნიანი
დაჰხუჭა მიწამ დანისლული მწვანე თვალები.

ასე მწუხრის ჟამს ავადმყოფი ნაზი ქალწული
იგრძნობს სიცივეს და სარკმელზე ჩამოსწევს ფარდას.
და მოიხურავს თბილ მოსასხამს. და მოქანცული
მიწვება ჩუმად. და უსიტყვოდ რომ არ იდარდოს
დაიწყებს ლოცვას მყუდროებით სავსე ასული.
და შემოსილი ტკბილი ლოცვით და მდუმარებით
ავადმყოფ ქალის დამშვიდდება სულის კვეთება.
და თეთრ ბალიშზე შეუმჩნევლად დაიკეტება
სიზმრით დაბინდულ ცისფერ თვალთა ღია კარები.

იასამანი

ხალხურ კილოზე

ენგურის პირათ პირი მზე
მეგრელის ქოხში გნახეო.
თვალი გიყავი, მენიშნე,
გულს ჩამრჩა შენი სახეო.
სიმშვიდე უცბათ წამერთვა,
მემატა სივაგლახეო;
მაგრამ არ გეტყვი ჯერ სათქმელს:
ის ჩემთვის შევინახეო.

ილორს მივდივარ სალოცათ:
წმიდა გიორგის, ნათელსო,
შენთვის და ჩემთვის ავუნთებ
ურიცხვსა წმიდა სანთელსო.
რომ დავბრუნდები ნალოცი,
მაშინ ღა გეტყვი სათქმელსო.

მზეს მანათობელს დაგჩრდილავს
პირმობურული გორები.
ამ ღატაკ ქვეყნათ რა გინდა:
იხარებ მონაშორები!
ტოლ-ამხანაგებს შემოვყრი,
გადაიშლება სეფაო.
მთელს თეკლათს ესმას მაყრული,
ადესის ღვინის ჩქეფაო.
გვერდს მიმშვენებდე პირ-ბადრი,
ჩემი სიცოცხლის მეფაო.
ქება-დიდება შენს მშობლებს:
გაგზარდეს მაგისთანაო
სვანურ ვაზივით გაშლილი
თმა გახვევია თანაო.
ეგ კაბა ფოჩებიანი
მანდე — ვინ მოგიტანაო?
სასიძომ? მითხარ — ის მიჯობს
ყელს გავიყარო დანაო.
მედიდურობა გეტყობა:
აზნაური ხარ განაო!?

ოგოლი მუშა

ჩემი ტაძარი

მე თვით შევქმენი შორეულ მზის ნათელ არეში
უცხო ფერებით დახატული ჩემი ტაძარი;
უმანკო ლოცვის მონარნარე სიელვარეში
ავანთე სული სხივ-გაშლილი, როგორც ლამპარი!

აქ, ვით სანთელი, იწვის ჩემი სიყრმის აჩრდილი,
ლამაზ ოცნების ყვავილებით შემოსუდრული...
ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი, ტანჯვით აღზრდილი,
აქ ვილტვი მარად, სულს იტაცებს მხსნელი კუნძული!

როცა ქალაქის მძიმე სუნთქვით დავიქანცები,
ტყვიისფერ კვამლში დაინთქება გალია რკინის,
და ბნელ ბურუსში გაეხვევა ქუჩის ლანდები,
იფეთქებს შავად სიველურე ბოროტთა ლხინის:—

ღრუბლის ნელ რხევას სულის ღელვით ავედევნები,
ცის მწვანე მდელოს აათრთოლებს ნაზი ფერია,
უკვდავი გრძნობით დამათრობს მე შვების მტევნები,
სამოთხის ბაღში ცხოველ სხივს რომ დაუფერია!

მივალ, ვემთხვევი მოწიწებით სულის სალოცავს,
გულში იელვებს რწმენის ალი დაუშრეტელი;
იმედის სხივი შემომაცლის ტანჯვის სამოსავს,
და ტკბილ ღიმილით შემომხედავს ბედის მჭედელი!

მარადისობის სხივთა ელვით გავიმსჭვალები,
და ვიგრძნობ ძალას ცეცხლათ მფეთქავ შემომქმედისას.—
გულს ვერ დაკაწრავს ლითონების ბასრი ბრჭყალები...
და მე თვით დავსწერ მატეანეს ჩემის ბედისას!

მე თვით შევქმენი შორეულ მზის ნათელ არეში
უცხო ფერებით დახატული ჩემი ტაძარი;
უმანკო ლოცვის მონარნარე სიელვარეში
ციმციმებს სული სხივ-გაშლილი, როგორც ლამპარი!

ემილ ვერჰარნიდან

ქალაქის სული

წყვდიადს დაუნთქავს სახურავები
და სამრეკლოთა არ სჩანს მწვერვალი,
სად კვამლ-მოხვეულ წითელ რიჟრაჟზე
დახეტიალობს სიგნალთა ალი.

გრძლად გამბულ რკალით შავ-ბნელ ქუჩებში
მატარებელი ახმაურდება,
და სახლებს იქით—ნავთსადგურებში
გემთა საყვირი აზუზუნდება.

სანაპიროებს ზღვისას, ხიდეებს
და ქუჩებს, გულის სევდით შემზარავს,
ცივ შემოდგომის ყომრალ ბურუსში
იქ მცხოვრებ ხალხთა ლანდები ჰფარავს.

ჰაერი სუნთქავს ნავთით, გოგირდით,
და მზე ამოვა ბურთად გზნებული,
შეუძლებელით და უცნაურით
გაიმსჭვალება უეცრივ სული.
სიკეთის სწრაფვა, თუ ცოდვის ქულა—
შენობათ შორის რა აღმართულა?
თუ შავ უბნების სახურავებზე
ამოდის იგი ზევით და ზევით,
რკინის კოშკები, ყოფნას რო იპყრობს
ულრმეს ოცნების სხივების რხევით?

დიად წარსულით ანთებულ ქალაქს
საუკუნენი მედგარ ჭენებით
თავს დაჰყურებენ,—ვით ამ დილის ჟამს
სავსეა იგი ურიცხვ ჩვენებით.
ო, საუკუნე, კვლავ საუკუნე,
თვისი უსაზღვრო ცოდვებით სავსე,
ყოველ შენობას და ყოველ ქვასა

რაოდენ წლობით ზვირთებს სცემს ასე!
შემშლილ სურვილთა ჰღელავს ტალღები,
და რისხვა, სისხლში ამონავლები!

პირველად– ორ-სამ ქოხების ახლოს—მწყემსობდა მღვდელი;
ტაძარი ყველას თავ-შესაფარი, იქვე სარკმელი,—
საყდრის მცნებათა სხივიდ შუქდება გონება ბნელი.
მღვდელი და ბერი, მეფე, თავადი, მონა, და ყმები,
ჭრელი ჩაფხუტი, ანაფორა და ძვირფასი ქვები;
ვნებათა ღელვა—დროშის პატივის დაცვის მდომელი;
ერების ბრძოლა... და მეფეები დაუდგრომელი.
ღერბთა ზამბახით სურთ რომ დაჰფარონ ბეჭდა ფულების;
მახვილთა ცემა სჭედს აქ რვეულს კანონ-უფლების,—
და მოედნებზე ბრმა სამართალი—თავისუფლებას.

შემდეგ იშვება—როგორ ნელი-ნელ!—მოქალაქობა:
ძალნი, რომელთაც მტკიცე სამართლით სურთ ამაყობა.
ხალხთა ბრეკალები, თვითმპყრობელთა წინ აღმართული...
ჭერ-ქვეშ ღრიალი, მძვინვარე დინგი ჩრდილში ფარული,
ვინ იცის, რომელ უცხო იდეალს, ბურუსში დანთქმულს,
რეკავს ნობათი, იდუმალ ღამეს მძვინვარედ აღთქმულს;
რწმენა, იმედი, თავისუფლების სიტყვების ელვა;
ჰაერსაც იპყრობს აჯანყებათა დუღილი, ღელვა;
წიგნთა ფურცლები, ანაზდეულად გაშუქებული,
სწვავს სათნო გრძნობით, ვითა მორწმუნეთ სამლვთო რვეული;
ნათელ გმირებად, ვით კიდობნიდან, მოვლენ ძახილით,
გულით მედგარნი და აღჭურვილნი ძლევის მახვილით;
ყველას გულს უნთებს გიჟური რწმენა,
ეშაფოთები, კოკონთა ბრწყენა,—
და ჯალათები, ხელთ რო უპყრიათ სისხლისა თასი...

მტკიცე ქალაქმა თავს გადიტარა წლები ათასი!
მედგარ შეტევას დროთ ტრიალისას არ შეუდრკება
და ფაროულ ძალთან მუდმივ ბრძოლაში არ დაიღლება!
ქარიშხალია მისი ძარღვები
და ოკეანე—იმისი გული!
მის მტკიცე ნებას რამდენი ნასკვი
ექნება ცეცხლით გადაჯაჭვული!
საუნჯე ლხენა-ბედნიერების,

დარღვევა — ქვეყნის საშინელება;
ყველგან, წინსვლა თუ დამარცხებაში,
ისევ და ისევ გიგანტათ რჩება:
მისი ხმა ჰკივის, სახელი ბრწყინავს
და ღამეს ანთებს მისი სანთლები,
ლითონის ცისკრად ცის კამარამდე
ციმციმებს მისი სხივთა კანდლები.

საუკუნეთა ჰფარავს მას რიდე!
ამ შავ დილის ჟამს იმისი სული
ნისლის ნაკვთებში სუნთქავს, და ღრუბლის
დაწეწილ გუნდში არის დანთქმული:
სული დიადი, მოუსვენარი,
ვით ეს ტაძარი კვამლ-მოხვეული,
სული მღელვარე, ვით ეს ლანდები
პირქუშ ქუჩებში მიმობნეული;
სული ამაყი, აზავთებული,
სული, რომელშიც წარსული სახავს
აწმყოს გადაღმა მომავალ დღეთა ბუნდოვან სახეს,—
სამყარო თავხედ, გიჟურ სწრაფვათა,
მძიმედ მსუნთქველი, ალ-მოდებული,
წინ რო იტაცებს შორეულ მხარის
უცხო ხატება, სხივად-გზნებული;
მაგრამ სამყარო, რომელსაც ელის
თვით სათნოება და სიყვარული,—
თუმც მას არ იცნობს, მაგრამ ოდესმე
გაარღვევს წყვდიადს მზე დაფარული.
სამყარო კუშტი, გაფითრებული და ტრაღიკული,
მედგარ სწრაფვაში სიცოცხლეს ჰპირავს,
ყოველ საათებს, დღეებს და ღამეს
მარადისობის სამსხვერპლოს სწირავს.

ო, თავხედ ქალაქს თავს დასტრიალებს წლები მრავალი!
წარვიდა ძველი, და იჭედება რწმენა ახალი;
ის ჰფეთქავს ტვინში, ჰფეთქავს ძარღვებში
და ორთქლად ადის მაშვრალთა ხელებს,
ყრუდ ღელავს იგი მძლე შეგნებაში,
და ამაყ გულებს მარად ახელებს;

ღელავს მათ სულში, ვინც თან ატარებს
სურვილთა ტალ-კვესს, და ვინც მზათ არი,
რომ მხნედ დასჭექოს და გაარღვიოს
ამაყ ქვითინით ცის ბნელი კარი!

ყოველი მხრიდან ილტვიან მისკენ,
სტოვებენ ველებს, სოფლებს შორეულს,
უხსოვარ დროდან მოდიან მარად,
და წელთა დენა ნთქავს ხსოვნის რვეულს.
გზათა მუდმივი მოტკეპნილობა
მოწმეა მათი მისწრაფებისა:
ქალაქის მედგარ გულის ფეთქვაა
დენა ამ ცოცხალ ნაკადებისა.
მოშხამულ კვამლის ღრუბლებზე მაღლა
ციმციმებს მისი ოცნების ფრთები!
და მაშინაც კი, როცა გულს სწამლავს
სასოწარმკვეთი შავი იჭვები,—
ის, ვით ვარსკვლავთა ცეცხლით მგზნებარე,
და გვირგვინების ლამაზი წყება,
პირქუში ღამის საფარველს ზევით—
ცის კამარაზე ბრწყინავს, ენთება...

მაგრამ რად გინდათ მისი წყლულები?
ის იყო წინეთ და ჩაიფერფლა...
რას დასცქერთ იმ შავ გამოქვაბულებს,
ბოროტი სული რომ დაძრწის ეხლა?
თუ კი ოდესმე წითელ ღრუბლებში
აციმციმდება სხივთა კანდელი
და ძირს გადმოვა შარავანდედით
სულ სხვანაირი ქრისტე ნათელი,
და იხსნის იგი კაცობრიობას,—
მადლის, სიცოცხლის მომნიჭებელი,—
ახალ ვარსკვლავთა მგზნებარე ცეცხლის
ჩანჩქერში გაჰბანს ნათლისმცემელი

ვარ. რუხაძე

მდიდრის შვილი

(ზღაპარი)

როგორც ბუხვალ სვინაო,
ის; წახვალ მინაო.
ხალხური ანდაზა

I

იყო ერთი მდიდრის შვილი,
უდარდელი, მხიარული;
დღე და ღამე ქეიფობდა,
წინ უძღოდა ჭიანური.
აქებდენ და ადიდებდენ
ვიდრე ჰქონდა სავსე ქისა;
მაგრამ როცა დაეფუკა,—
მეგობრებიც გაეთვისა.
დადიოდა მარტოთ მარტო,
დახეული, დაფლეთილი;
გროშიც კი არ უჭყივოდა
ჯიბეში ყურ-გახვრეტილი.
წინანდელი მეგობრები
ახლა თავსაც არ უკრავდენ;
ყბა-მოღრეკით დასცინოდენ
და ამ ქცევით გულს უკლავდენ.

II

ერთხელ, როცა მარტო იყო
და ახრჩობდა ბოღმა-დარდი,
უცბათ თავზე წამოადგა
მამა-მისის განაზარდი.
მიესალმა. მოიკითხა.
განვლილი დრო მოაგონა
და მით კიდევ უფრო დაჭრა,
კიდევ უფრო დაალონა.

შემდეგ უთხრა: „როს წინ მიდგას
სიდუხჭირე შენი ყოფნის,—
სიბრალულით გული მტკივა,
მოთმინება აღარ მყოფნის.
რა იყავი? ახლა რა ხარ?
დღეს კაცათაც არვინ გაგდებს;
დაგცინიან, როგორც სულელს,
ქუჩის მტვერში ნათრევ-ნაგდებს.
აფსუს! განა ეს შეშვენის
მამა-შენის შთამომავალს?
ეჰ, რა ვუთხრა წუთი სოფელს,
უკეთმართს და მრუდეთ მავალს!
განსვენებულ მამა შენსა
აქ ბადალი არვინ ყავდა:
მოძძეს ძმურად ექცეოდა,
გაჭირვებულს ხელს არ კრავდა.
ბევრი კარგი მახსოვს მისგან,
პატივს ვცემ, ვით მამას შვილი,
და მეც ამის აღსანიშნათ
მსურს მოგიძღვნა მცირე წვლილი.
მაგრამ უნდა გაგაფრთხილო:
არ გაფლანგო ძველებურად;
მუქთა-ხორა ლოთი-ფოთებს
კვლავ არ აყვე შენებურად.
მამის კვალზე გაიარე:
შენც ვაჭრობა გააჩაღე...

დანგრეული კარ-მიდამო
ააშენე, გააბაღე.“
და გადაცა ასი ოქრო
სულ ბაჯაღლო დაყურსული.
ის ხარცხვილით ხმას ვერ იღებს,
ზის თავისთვის გალურსული.
მხოლოდ ნიშნათ მადლობისა
მოწიწებით უხრის თავსა.
გულში ამბობს: „ახლა უკვე
კარგათ ვარჩევ თეთრს და შავსა.
ხვალვე წავალ საზღვარ გარეთ:
მამის საქმეს განვაახლებ.
უმნიშვნელოთ ცალ გროშსაც კი
არ დავხარჯავ, ხელს არ ვახლებ.“

III

მეორე დღეს დილით ადრე
გზას გაუდგა ჩვენი გმირი.
მიდის, მიდის... ვერ აშინებს
გზა გრძელი და ტყე-ღრე ხშირი.
მაგრამ, როცა შემოღამდა
და შიმშილიც იგრძნო ძალზე, —
ერთ დუქანში შეუხვია
და თავისთვის მიჯდა განზე.
ზის და ხედავს მის გარშემო
ერთი აურ-ზაურია:
რიგი მღერის, რიგი დაობს...
ყურთ წამღები ხმაურია.
მხოლოდ ერთი მოხუცი კი
ზის თავისთვის, ვით ეული,
და აკვირვებს ყველას მისი
გამოხედვა თითეული.
მედიდურად იყურება,
როგორც ბრძენი, ან სულელი
და ბუტბუტებს: „მოვა, მოვა
იგი, ვისაც მე სულ ველი.“
ხედავს ამას ჩვენი გმირი,
უკვირს მისი ყოფა-ქცევა,
გულში ფიქრობს: „ეს მოხუცი
აქ ყველასგან განირჩევა.“
და მეზობელს ეხვეწება:
„თუ ძმობა გრწამს, ამიხსენი,
ვინ არის ის ბერიკაცი,
უცნაური სახის მჩენი?“
— ჩვენი სოფლის სალოსია,
უხუცესი, ჭკუით ბრძენი,
მაგრამ პასუხს არ გაღირსებს,
თუ ოქრო არ მიუძღვენი“
ისიც ფიქრობს: „მოდი ვშინჯავ,
ეგებ მითხრას კარგი რამე;
სულ ერთია, მაინც ხომ აქ
გავათიო უნდა ღამე.“
მოკრძალებით მიდის მასთან,
თანვე მიაქვს ოქრო სამი,
ეუბნება: ბრძენო კაცო,
შემომწირე ორი წამი:
მითხარ რამე საგულისხმო,
ცხადათ, ანუ არაკებით. —
და მოხუციც დინჯათ, მძიმეთ
პასუხს აძლევს ქარაგმებით:
— როცა სადმე მიდიოდეთ,
თუ ცას აწვეს ღრუბელთ ქულა,
ფეხიც კი არ გადაადგათ,
ბრძენ კაცთაგან ასე თქმულა.
— ამხანაგათ ნუ გაიხდი
კაცს ღარიბს, გინდ ოქროთ ნამოსს,
ვიდრე შენთან ათი ჯამი
მან მარილი არ შესჭამოს.
— არაფერი გაგიკვირდეს,
რა გინდ ნახო საკვირველი,
თითქო არაფერი იყოს,
ჩაიქნიე შენთვის ხელი!

მოისმინა ეს პასუხი,
ეჯაშნიკა, დაიჯერა
და სახსოვრათ სათითაოთ
უბის წიგნში ჩაიწერა.

IV

რა გათენდა, სხვასთან ერთად
გამოვიდა ისიც გარე,
ცას შეხედა და რა ნახა
თალხ-ჩაცმული, მგლოვიარე, —
დაბრუნდა და არ წასულა,
ვიდრე ცამ არ გადიკარა.
მაგრამ როცა მზემ სხივები
ძირს ისრებათ გადმოყარა,
მაშინ ისიც გზას გაუდგა
ისე სწრაფათ, ისე ჩქარა,
რომ საველი ერთის დღისა
სამ საათში გაიარა.
ხიდს მიადგა. ხედავს ხევში
ჭგდია ვიღაც მკვდარი კაცი,
ყორნები თავს დაჩხავიან,
თმას უბურძგნის ქარი ანცი.
დააკვირდა. იცნო მისი
დილანდელი თანამგზავრი.
სისხლში მოსვრილს პირის სახე
შავი ჰქონდა, ვითა მავრი.
თურმე მეხი დაცემოდა
და მოეკლა უბედური.
„მადლობა ღმერთს, — თვის გულში თქვა,
არ ვარ ბედის უმადური,
რომ დავბრუნდი და ამ დილით
ამ კაცს თან არ წამოვყევი,
თორემ მეც ხომ სასაფლავოთ
მექცეოდა ეს ღრმა ხევი!“
და სამარე გაუთხარა,
დამარხა და დაიტირა.
შემდე ისევ წინ გასწია,
გზა მიზნისკენ დაიჭირა.

V

უკან ქურდი მოეწია.
„გამარჯობა, მეგობარო!
ნეტა სითკენ მიიჩქარი?
მო, ვიაროთ მხარდამხარო.
დამეგობრდენ. ერთმანეთსა
გადუშალეს სული, გული
და, უცნობმა რა გაიგო
მისი ფიქრი დაფარული, —
თქვა: „ეს კარგი შემთხვევაა,
უკეთესი არ იქნება,
და მეც უნდა ვისარგებლო,
ავისრულო გულის ნება.
მაგრამ ჯერ კი საჭიროა
მოვაჩვენო ისე თავი,
რომ დამენდოს, როგორც ძმა ძმას,
ვერ გამიგოს ფიქრი ავი.“
უთხრა: „მოდი, მეგობარო,
ამხანაგათ ამიყვანე
და იქ, სადაც შენ მიდიხარ
სავაჭროთ, მეც წამიყვანე.
ამ საქმეში მე ისე ვარ
გამოცდილი, ჩახედილი,
რომ უკეთეს ვერ ინატრებს
კაცი ჭკუა-დახედილი“
უპასუხა: „რატომ არა,
თანახმა ვარ, დეე წამო;
მაგრამ ერთის პირობით კი:
ათ ჯამ მარილს თუ შესჭამო.
სახტათ დარჩა ჩვენი ქურდი,
ვერც „ჰო“ უთხრა და ვერც „არა,“
და როდესაც დრო იხელთა,
შეუმჩნეველათ გაეპარა.

VI

უკვე საზღვარს გადასცილდა
და მიადგა უცხო მხარეს.
ხედავს წალკოტს აყვავებულს,
ვარდ-ყვავილებს მონარნარეს;
ეზოს ოქროთ შემომესრილს,
შიგ სასახლეს ტურფათ ნაგებს;
სად მარაოთ გაუშლიათ
კუდი ფრთაჭრელ ფარშევანგებს.
ხედავს, მაგრამ გაკვირვება

სახეზე არ ეხატება,
ხელს იქნევს და კვლავ წინ მიდის,
წინსვლის ჟინი ემატება.
სალამს აძლევს კარის-კაცი,
ეუბნება გაკვირვებით:
„ოცი წელი აქა ვდგავარ,
თვალს ვადევნებ დაკვირვებით,
მაგრამ კაცი არ მინახავს
აქ გამკლელი არასოდეს,
რომ ნახულით განცვიფრება
სახეზე არ აღბეჭდოდეს.
დღეს პირველათ შენა გხედავ
და, გთხოვ, მომცე მე ალება,
რომ მეფესთან წაგიყვანო,
შეკასრულო დავალება.“
ეს უთხრა და წინ წაუძღვა,
ისიც გაყვა, არ დაზარდა,
ეს მოხუცის ნათქვამ სიბრძნეს
აღფრდა აქ მთლად ფარდა.

VII

ოცა ჰეფეს წარუდგინა,—
მოახსენა, რაც რომ ნახა.
შეფემ თვისი აღტაცება
ტაშის დაკვრით გამოსახა.
უთხრა: „სიტყვა დამიდვია,
რომ მას მივცე ჩემი ქალი,
ბირათ-მზე და ტანათ-სარო,
ლაჟვარდი და მკერდ-ფიქალი,—
ვინც ბრძენია: ვერ აკვირვებს
ვერც სიმდიდრე, ვერც დიდება,
და ცხოვრების მძიმე ჯაპანს
უდრტვინველათ ეზიდება.“
და თან ხელი დაუჭირა,
თეთრ დარბაზში შეიყვანა,
და უბრძანა გამდელს: „ჩქარა
აქ მომგვარე ჩემი ანა!“
ტახტზე დასვა ორივ ერთად,
დალოცა და გადაკოცნა...
და სახსოვრათ ამ დიად დღის
მოკრულ ქისას თავი მოხსნა.
სამი დღე და სამი ღამე
ლხინი იყო გამართული...
ჩანგი ჟღერდა, თარი ჰკვნესდა,
ერთმანეთში ჩახლართული.

VIII

დრო გავიდა. ჩვენი გმირი
შინ დაბრუნდა სავსე ქისით.
ნახა ძველი ნამოსახლი,
ამაღლდა და დასტკბა მისით.
დანგრეული ქოხმახები
შესცვალა დიდ დარბაზებით;
მოქარგა და დაამშვენა
ჩუქურთმებით ლამაზებით.
სანადიმოთ მოემზადა:
დაჭკლა ძროხა, დაჭკლა ცხვარი...
დაპატიჟა, ვინც კი ყავდა
ნაცნობი და მეგობარი.
დასხდენ. ამბობს მასპინძელი:
„ჯერ ხელს ჩაყოფს ჯამში ისა,
ვისაც მხოლოდ მე უყვარვარ,
არა ჩემი სავსე ქისა.“
მაგრამ ერთიც არ აღმოჩნდა
ამისთანა სტუმართ შორის
და სუყველა სათითაოთ
გაიპარა, გარდა ორის.
დარჩა მხოლოდ მისი და და
მამა-მისის განაზარდი,
მისი პირის მოზიარე,
მასთან ერთად შენაზარდი.
გულიანათ ხარხარებდენ
და ამბობდენ: „ჩვენო სვინა,
რა გულითაც ჩვენთან მოდი,
იმ გვარათვე მიხვალ შინა.“

გ. ჟუჩიშვილი

მე ზარი ვარ!

მე ზარი ვარ მოგუგუნე,
მტერთა გლოვის ზარი;
ჩემს რეკაზე ირაზმება
შრომის შვილთა ჯარი!

მე ზარი ვარ მოწკრიალე,
სასოების ზარი;
ხან მწუხარი,
ხან მქუხარი,
ხან კი ხმა ნარნარი!

მე ზარი ვარ მოგუგუნე,
მოწოდების ზარი,
და ჩემს რეკას ფხიზლად ისმენს
ჩაგრულ ძმათა ჯარი!

ბიბლიოგრაფია

შიო არაგვისპირელი

გაგზარული გული [1])

(ქართული სრული)

მესამე კარი

1

„მახარე!.. მახარე!..“ ხშირად იხმობდა თავის თავს მახარე, ეთერს განშორდა თუ არა, და მდინარის პირს ველარ ჰშორდებოდა. თუ რა უნდა ეთქვა თავის თავისთვის, რად იწვევდა, ვერ გეტყოდათ... ან კი ფიქრობდა რამეს?!.

არა და არა. ეხლა ის გახვეული იყო მხოლოდ გრძნობის ქსელში, როდესაც აზრი არ მუშაობს, და თუ რამ ენის მოძრაობა, ან კიდევ სხეულისა ხდება, მხოლოდ უნებურად, უაზროდ.

აი, სწორედ ამ დონემდის იყო მახარე მისული...

ერთხელ კიდევაც ისე გადიხარხარა, რომ ჩაბარუხის ხარხარს შეეჯიბრა... თითქოს კიდევაც ცდილობდა თავის ხარხარით ჩაბარუხის ხარხარი ჩაეხშო... მერე კიდევაც იკივლა და ამ სიჩუმეში „ჰეეჰო“ ხუთ მუხლად გამოეხმაურა...

კარგია კიდევ მოწმედ არავინ იყო, თორემ გიჟად ჩასთვლიდნენ...

აგერ ახლა იდუმალის ღიმილით ცას თვალები მიაპყრო და თან ტანისამოსის ხდა დაიწყო... ჩქარა მთლად გაშიშვლდა...

წამს ასე იდგა გაშიშვლებული... თითქოს არე-მარეს არ ამჩნევსო!.. ნელ-ნელა ტანმა რხევა დაიწყო... ფეხებიც აამოძრავა... აათამაშა...

თანდათან გააძლიერა ტანის რხევა, ფეხების თამაში და...

უეცრივ მოსწყდა და იმის გვერდით მორევში გადაეშო...

წამს ჩაიმალა მახარე მორევში, მეორე წამს კი გამოჩნდა და ფრუტუნით და ხელების ფლასუნით ნაპირას გამოვიდა...

— ღმერთო, ეს რა ამბავია ჩემს თავს?!. წამოიძახა მახარემ და აქეთ-იქით მიიხედა...

---

[1]) იხილეთ „ცისარტყელა“ № 2.

ეხლა კი აუმუშავდა გონება. თავს ძალა დაატანა მოეგონებინა, თუ აქ ასე შიშველი წყალში როგორ გაჩნდა, მაგრამ ვერა და ვერ მოიგონა...

„ნუ თუ კლდიდან გადმოვარდიო, ან კიდევ... იმან...“ მაგრამ ამ დროს თავის ტანისამოსს ფეხი წამოჰკრა და აღარ დაამთავრა თავისი ეჭვი...

საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ... განთიადი მოტანებული იყო. ცოტათი კიდევაც შესცივდა. ტანი აუკანკალდა... მაგრამ ადგილიდგან არ იძროდა, თავს ძალას ატანდა, მოეგონებინა ყველაფერი...

კარგად ახსოვდა კლდეზე ასვლა. ეთერის ნახვა... იმასთან ვახშმობა... პირველი კოცნაც კი მოაგონდა და ტანში ერუანტელმა დაურბინა, გული გადაეფინა, ისე ესიამოვნა...

მაგრამ შემდეგ რა მოხდა?!. ჩაეკითხა თავის თავს და პასუხი კი ვერ მიიღო...

— არა, უნდა უკანვე ავიდე და ყველაფერი გავიგო!.. გადაჭრით წამოსთქვა, სწრაფათ კლდეს მიაშურა... „იქნება ეთერი ჯერ იქ იყოსო“ დაუმატა, მაგრამ სწრაფად აწითლდა და გაიფიქრა: „თუ იქ არის, ხომ დამინახავდა შიშველს და ეხლა როგორღა ვეჩვენოვო...“

„ამ აზრის შემდეგ კლდეზე ასვლა ნელის ნაბიჯით დაიწყო. ფიქრობდა: ჩუმად მივათვალიერებ; ეთერი თუ იქ არის, მაშინ... მაშინ...“ ფიქრობდა, და ვერ მოეფიქრა, თუ რას ეტყოდა, ან როგორ მოიქცეოდა...

ამ ფიქრით ავიდა კიდევაც ზევით და უეცრივ მოაგონდა ეთერის ნათქვამი სიტყვები: „ხვალ მთვარის ამოსვლისას აქვე ვიყოთო...“ და გაუხარდა... უსაზღვროდ გაუხარდა, მაგრამ ისაც მოაგონდა, რომ ეთერმა თითქმის ძალით გამოისტუმრა, და ფეხი შეუდგა...

„ხომ მითხრა მთვარის ამოსვლისას აქვე შევხვდეთო, და რაღას ეხლავე ვეჩრებიო“ გაიფიქრა და მაშინვე უკან დაბრუნდა.

საჩქაროდ ჩამოირბინა კლდე და საოქრო-მჭედლოსკენ გაეშურა.

მხოლოდ ეხლა მოაგონდა საოქრო-მჭედლო, მამისა და ნარგიზა. მოაგონდა თავისი ქმნილიც, რომელიც ეთერს უსასყიდლოდ გადასცა და...

როგორ თუ უსასყიდლოდ?!. წყრომით შეუტია თავის თავს. „განა ეთერთან ყოფნა, ეთერის გვერდით ჯდომა, იმისი კოცნა დაუფასებელი სასყიდელი არ არის?!.“

ხა... ხა... ხა... ხა!.. საიდგანღაც წამოესკუპა გზაზედ პატარა მახარე, შეგირდი მახარე და ხარხარი დაეყარა თავს დიდ მახარეს: ვისია ის, რაც შენ ისე ადვილად უბოძე ეთერს?!.

— ჩემი!.. მოკლედ უპასუხა ხელოსანმა მახარემ...

— შენიი?!. გაკვირვებით და დაცინვით შეეკითხა პატარა მახარე... საოქრო-

მეედლოც შენი იქმნება, რომელშიაც რამდენიმე მისხალიც აღარ მოიპოვება ლითონი...

— ჩემია, მაშ!.. და ჰნახავ, საოქრო-მეედლო სავსე იქნება ლითონებით...

— ჩქარა წადი, თორემ, ვაი, თუ სხვა პატრონი მივიდეს და...

— სუუ, კარგი!.. წამოიძახა მახარემ და რისხვით შეჰხედა პატარას.

2

მამისა ოქრო-მეედელი დილა ადრიანად ჩამოვიდა საოქრო-მეედლოში... ნახა, კარები გარედგან იყო გადარაზული...

„უთუოდ მდინარისკენ წავიდოდა მახარეო“, რაკი წყაროსთან არ მოჰჩნდა, გაიფიქრა და გულ დამშვიდებით კარები გააღო და იქავე ჩამოჯდა.

წინათაც ოქრო-მეედელს ესე კარები დაჰხვედრია, მაგრამ მაშინ ზაფხული იყო. მახარე სისხამ დილით მდინარისკენ გარბოდა საბანაოდ. იბანავებდა, ოქრო-მეედლის ჩამოსვლისას ხანდახან მოასწრობდა, და ხან კი ოქრო-ეედელი, როცა მახარე ბრუნდებოდა, იქ უხვდებოდა... მაშინ ორივენი მხიარულად მუშაობას ერთად იწყობდნენ.

ეხლა კი ოქრო-მეედელს ცოტათი ეეცხოვა. ჯერ ერთი, ამ ბოლო დროს მახარე გართული იყო „ზარის“ მუშაობით და ბანაობა არც ერთხელ არ მოჰგონებია, მეორე კიდევ, ეხლა შემოდგომას ფეხი წამოეყო, და ბანაობისთვის ცოტა დაგვიანებული იყო, რადგანაც დილაობით კარგად ციოდა. ასე უეცრად, ამოდენა დროის უბანაობის შენდეგ, საშიშო იყო.

— კი არ გაცივდეს ი ბალღი!.. გულ-მტკივნელობით ხმა-მაღლივ წამოიძახა ოქრო-მეედელმა.

ამ დროს აჩრდილივით თავს წამოადგა პირ-აბურული მანდილოსანი, და მოსვლისათანავე წამოიძახა:

— მახარე აქ არის?!.

— არა!.. უთუოდ მდინარეზე წავიდა საბანაოდ.

— კარგია, მარტოკა შენა გნახე!.. სთქვა და სწრაფად სავსე ქისა ხელში გადასცა.

— ეს რაა?!. შეეკითხა ოქრო-მეედელი მანდილოსანს.

— თვალ-მარგალიტი... ჩემი გაზრდილი გიგზავნის. მახარეს კი არ უთხრა, ნუ გაამეღავნებ!..

— ვერა გამიგია რა!..

— ამას რა გაგება უნდა?!.. მახარემ თავისი „ზარი“, ჩემი გაზდილის ხმა,

ულასყიდლოდ უძღვნა... იმას ვერ მისცა სასყიდელი, რადგანაც არ აიღებდა. ეხლა შენ გამოგიგზავნა, რომ იყიდო სამაგიერო ლითონები, და მახარემ მუშაობა შესძლოს...

— ეხლა კი მესმის!.. მაგრამ...

— მეჩქარება!.. მახარემ არ უნდა მნახოს!..

გატრიალდა ამ სიტყვებით და სასახლისკენ გაეშურა.

ოქრო-მჭედელმა თვალი გააყოლა. შევიდა გალავანში, და ამ დროს პირველი მზის სხივი კოშკს, ეთერის კოშკს ეცა და სარკმელი ააპეყრიალა. მახარეც ამ დროს საოქრო-მჭედლოს დერეფანში შემოვიდა და მიესალმა ოქრო-მჭედელს...

ოქრო-მჭედელი შეკრთა. ქისა უბეში ჩაიდო და ისე შეჰხედა.

მახარეს სველი თმა რო დაინახა, უთხრა:

— შვილო, ეხლა დრო არ არის ბანაობისა. რამდენი ხანია არ გიბანავია და ეხლა...

— მე ვიბანავე?!. განცვიფრებით შეეკითხა, მაგრამ სწრაფად მოაგონდა, რომ მორევში იყო და დაუმატა: „მეც არ ვიცი, როგორ ჩავვარდი მორევში...

— რას ამბობ, შვილო, როგორ ჩაჰვარდებოდი, როცა ტანისამოსი მშრალი გაქვს?!. რაღაც არაკს მიამბობ...

— მართალს ამბობ, მამავ, ჩემ თავს რაღაც არაკი მეორდება. სიცილით უთხრა მახარემ და შუბლი მოიწმინდა...

— მიამბე, შვილო, რა იყო შენ თავს?!. გეტყობა აღელვება... უთუოდ.

— ცოტა დრო მომეცი, მამავ, და მერე თითონ საქმე გამოაჩენს, რაც იყო და არის ჩემ თავს.

— შენი ნება იყოს, შვილო!..

— აი, მაგისთვის მიყვარხარ, მამავ, რო კრიჭაში არ ჩამიდგები ხოლმე, როგორც ჩემი პატარა მახარე...

— ვინ შენი პატარა მახარე, შვილო, რას ჰბოდავ?!.

— ხახახახაა!.. გულიანად გადიხარხარა მახარემ და დაუმატა: მართალი ხარ, მამავ, ვბოდამ... ვბოდამ!..

— შვილო, როგორც გატყობ, ღამე გიტეხია!.. შევიდეთ საოქრო-მჭედლოში... მე მივალაგ-მოვალაგებ, ცოტას ვიმუშავებ... შენ კი ჩაწექ ლოგინში და თვალი მოატყუე...

— გულთმისანი ჰყოფილხარ, მამავ... ღამე გავტეხე, მაგრამ კი არ მეძინება... მინდა...

— სუუ, ჩემო მახარე, წამოწექი და მერე ვნახოთ...

— კარგი, მამავ, მაგრამ, ვეჰვობ, დამეძინოს...

— არ დაგეძინება, და სხეული მაინც დაისვენებს...

ამ ლაპარაკით შევიდნენ საოქრო-მჭედლოში, მახარე ლოგინზე მიწვა, ოქრო-მჭედელი კი მიუჯდა მაგიდას და რაღაც ჩხირკედელაობა დაიწყო, რადგანაც იქ სამუშაო თითქმის არა ჰქონდა რა...

— რას აკეთებ, მამავ?!.

— ბევრს არაფერს... შენ ქინძისთავებს ვსინჯავ... იქნება რამე გავაკეთო...

— მამავ... მამავ... ჩქარა... შენ აღარ უნდა იმუშავო... მე... ჩქარა ავავსებ...

— დაიძინე, შვილო, იმედი მაქვს აავსებ საოქრო-მჭედლოს...

— საოქრო-მჭედლოსსს... სასა... სახლე... ოქროს... ზო... ღრმად ჩაეძინა მახარეს...

თუმცა ეგონა მახარეს, არ მეძინებაო, მაგრამ თავი ბალიშზე მიდვა თუ არა, მაშინვე თვალები მიელულა და გონება აერია...

3

— ნარგიზა, აბა, აქ მოდი და ნახე!.. კი არ შეჰკივლო და მახარე არ გააღვიძო?!. მიიხმო თავისთან ოქრო-ჭედელმა, როცა ნარგიზამ შუადღისას სადილი ჩამოუტანა და ჩვეულ ადგილს დადგა საჭმელი.

— რა დროს ეგეებია, კაცო, ადე პური ჭამე, თორემ გაგიცივდება...

— არა, არ გეხუმრები, ადამიანო, მოდი მეთქი!.. ნარგიზა მივიდა ქმართან და უეცრივ იკივლა:

— უი!.. კაცო, ეგ ვინ გაგიცარცვამს?!.

— სუუ!.. აკი გითხარ: კი არ იკივლო მეთქი... წასჩურჩულა ოქრო-მჭედელმა და ნარგიზას ტუჩებზედ ხელი მიაფარა.

ნარგიზამ კი თითონ თავისი ხელები თვალებზე მიიფარა და წაიბუტბუტა.

— კი არ დავბრმავდე?!.

— ეს, ჩემო ნარგიზ, ჩვენმა შვილობილმა მახარემ შეგვძინა...

— როგორ, კაცო?!.

— როგორა და თავის ხელობით!.. ოსტატობით, ამოდენა თვალ-მარგალიტი სოფელს დაიოკებს, თორემ ჩვენ ხომ სულ თავზე საყრელი გვექნება ყველაფერი, ეხლა, ჩემო ნარგიზავ, უნდა კარგა ეცადო და...

— რას უნდა ვეცადო?!.

— რასა და მახარეს კარგი საცოლე აუჩინოთ.

— უიმე, შენ შემოგევლოს თავს შენი ნარგიზა, ვინ უნდა მაგის საკადრისი

ამოვაჩინო. თუ კი მაგოდენა სარჩოს უნარი აქვს, მაგას ენაცვალოს ჩემი თავი, აბა მე როგორ აუჩენ საცოლეს?!. ბატონის ქალი თუ ეკადრება, თორემ აბა სხვა ვის დავასახელებ..

ოქრო-მჭედელი ცოლის სიტყვებზედ ღრმად ჩაფიქრდა ..

მართალს ამბობ, ჩემო ნარგიზავ, სიტყვა არას დროს არ ჩამოუგდო.. მერე აი, რასა გთხოვ: ნურც ამ თვალ-მარგალიტზე ეტყვი რასმე.

— რატომ ქაა?!.

— მაგან არ იცის, თუ ჩვენ ეს მაგის შრომაში მივიღეთ.

— ვერა გამიგია რა?!.

— ეგ არ აიღებდა ამ განძს, თუ პირდაპირ მაგას გადასცემდა, ამისთვის მე გამომიგზავნეს და დამავალეს: „მახარეს სამუშაო არ დააკლოვო.“

— ვინა და ბატონის ქალმა!

— ენამ ხომ არ მიყივლა ქა, წეღან, მაგრამ, გაიგე, მეფისგან კაცი მოჰსვლია ჩვენ ბატონს და იპატიჟებსო. სეფე წულს ეთერის შერთვა უნდაო,..

— გუშინ კი ვიღაც მხედარი მოვიდა ბატონთან და ის კი არ ვიცი ვინ იყო.

— მაშ მართალი ყოფილა, დილას ეთერის გადიას თავის დისწულისთვის ეთქვა: „ბატონს და ჩემს გამზრდელს მეფე იწვევსო, და ისენიც ამაღამ წავლენო...“

ღმერთმა აბედნიეროს!.. წამოიძახა ოქრო-მჭედელმა გულ-წრფელად.

— კიდევ ეთქვა ჩემი გაზრდილი იქაურობას სულ მოაჯადოვებს, ისეთი რამ მიაქვს თანაო...“ ნეტა ისეთი რა უნდა წაიღოს ეთერმა?!.

ოქრო-მჭედელმა მახარეს გადაჰხედა, რომელიც ისევ ისე იწვა, როგორც დილას, თავი მწარედ გაიქნია და შემდეგ ნარგიზას უთხრა:

— კმარა, ეხლა კი ვისადილებ, შენ კი, რაც მე გიამბე, მახარეს არ გაუმეორო

— უი, დამიდგეს თვალები, სულ გაცივდებოდა.

— არა უშავს რა!.. ამისთვის თვალებს ნუ იყენებ... ამ სიტყვებით ოქრო-მჭედელი სადილის ჭამას შეუდგა.

ნარგიზამ კი ამ დროს, როგორც ჩვეულება ჰქონდა, საოქრო-მჭედლო მორწყო და ჩამოგავა და ნაგავი გარეულ გაიტანა...

სადილის შემდეგ ოქრო-მჭედელი ვითომ სამუშაოს შეუდგა, რაღაცაც ჩხირკედელაობდა მხოლოდ იმისთვის, რომ ნარგიზასთან აღარ ელაპარაკნა და სახლში გაესტუმრებინა.

მართლადაც ნარგიზამ ჩქარა ჭურჭელს ხელი წამოავლო და წასვლისას წაიტუტუნა:

— მახარეს კერძი იქა დგასო!

— კარგია! უპასუხა ოქრო-მჭედელმა, მაშინვე ხელის ფათურს ხელი ანება და ჩაფიქრდა.

„... რას მოასწავებს ეს?!. ამოდენა თვალ-მარგალიტი... მახარე ასე გადარეული... ღამის გატეხვა... ბანაობა... სად?!. ეთერი... გადია... სეფე-წული... მეფე... დედოფლობა...“ ჭიანჭველებივით აუფუსფუსდნენ ტვინში ეს ამოდენა გაგონილი და ნახული და თავ-თავის ადგილს მოითხოვდნენ, მაგრამ ოქრო-მჭედელს ვერ მოეხერხებინა ეჩვენებინა თავისი ბინა... ამისთვის ორჯერ-სამჯერ საოქრო-მჭედლოდგანაც გავიდა, დიდხანს უმზერდა კოშკს, გალავანს, ეგონა იქ რასმე ამოიკითხავდა, მაგრამ არა.

მოიქანცა ოქრო-მჭედელი... მოსაღამოვდა კიდევაც. მახარეს ჯერ კიდევ ეძინა. უნდოდა გაეღვიძებინა, მაგრამ თავის განზრახვა უკუ აგდო...

„სჯობს დროს მივანდოვო“ უკანასკნელად ეს გაიფიქრა და დამშვიდდა.

ეხლა უკვე გადაწყვეტილ აზრს დაადგა: გამოძიება მოესპო. მახარესთვის არა ეკითხნა რა, და არც სხვისთვის.

„საიდუმლო არ დაიმალება. ამის გამომჟღავნებელი დრო არისო“.

დამშვიდებული ოქრო-მჭედელი ელოდა მახარეს გაღვიძებას, რომ შინ წასულიყო.

4

... უკვე კარგა შებინდებული იყო, როცა მახარე ელდა ნაკრავსავით ზე წამოიჭრა და თვალების ფშვნეტა დაიწყო... წამს ვერ მოიფიქრა თუ სად იყო.

ოქრო-მჭედელმა, რაკი მახარეს მოძრაობა შენიშნა, ხმა მიაშველა და დაეხმარა გამორკვევაში.

— შვილო მახარე, შინ მივდივარ და ახლა შენ უპატრონე საოქრო-მჭედლოს...

— უჰ, მამავ, რამოდენა მძინებია?!.

— მა რა იქნებოდა, შვილო, ღამის ნათევს მთელ დღეს გეძინებოდა.

თუმცა ოქრო-მჭედელმა გარდასწყვიტა არა ეკითხნა რა, მაგრამ თავის და უნებურად ისე ელაპარაკებოდა, რომ გამოკითხვას ემგზავსებოდა. ღთუოდ ოქრო-მჭედლის ბუნება ეგეთი იყო.

— იქნება ამაღამაც ვათოო! უნებურად უპასუხა მახარემ და ამით თითქმის საიდუმლო გასცა.

— თუ ათევ, შვილო, ხვალაც დღე დაიძინებ!.. ღიმილით უთხრა ოქრო-მჭედელმა და შემდეგ დაუმატა:

— ღამე მშვიდობისა!.. შენი სადილ-ვახშამი მანდ არის.

ოქრო-მჭედელი თითქმის მიჰხვდა, რომ ეთერი და მახარე ერთად ყოფილან და ამაღამაც ერთათ ყოფნას აპირობენ... და ცოტა დაკმაყოფილებული შინ წავიდა.

მახარე კი წყაროზე პირის დასაბანად გაქანდა, სწრაფად შეიბანა და იქვე ქანდაკებად გადიქცა. ეთერის სარკმელს შესცქეროდა და წინა ღამის ამბავს იგონებდა.

ეხლა კი სულ ყველაფერი თავის სიგრძე-სიგანით და სიღრმით თვალ წინ გადაეშალა და მთლად მოაჯადოვა, შებოჭა თავის ნაზი ქსელებით და ნეტარების მორევში შეითრია...

დიდხანს, დიდხანს ყურყუმალობდა მახარე შიგ და, თითქოს მეორდება ის ღამეო, თავის უსაზღვრო სიამით განიცდიდა ამ წამსაც. აგერ ეთერი სადედოფლოდან ძირს ისტუმრებს, თითქმის ძალით აგდებს და უკანასკნელად ჰკოცნის... „მთვარის ამოსვლისას აქვე იყავიო!..“ მკაფიოდ შემოსმა ეთერის სიტყვები და გამოერკვა...

იგრძნო საშინელი ძალა თავის სხეულში. ძარღვები ღვედებად დაჭიმა და ლომსაც კი ნეტარებით გაუმკლავდებოდა, რო ამ წამს წინ სდგომოდა; დაჭიმული მკლავების კუნთები მოაფონა და სიამით წამოიძახა:

— ახ, რა კარგია!..

— ჰაჰა, ჰაჰა, ჰაჰაჰა, ჰაჰაა!.. ვარკვევით ჩაეწვეთა ყურში დაბალი, ნიავსავით მფრინავი დაცინვითი ხარხარი...

თითქოს წყაროს მილმა წყალთან ერთად გადმოანთხია ეს უსიამოვნო ხარხარი...

მახარე წამს შეკრთა... გაფითრდა... მაგრამ ეს წამით იყო. მეორე წამს კი ძლიერად მოავლო ხელი წყაროს მილს და შესძახა მეხად:

— ვინ გაბედა ჩემ ბედნიერებას დასცინოს?!. გამოდი?!.

პასუხად მხოლოდ წყაროს წყლის ნაზი ხმაურობა ეგალობებოდა...

დაწყნარდა მახარე, დამშვიდდა, წყაროს ხმაურობის მეტი არა მოესმოდა რა და საოქრო-მჭედლოსკენ წამოვიდა.

ეხლა ღი იგრძნო სიმშილი... მერე რა სიმშილი. შევიდა თუ არა საოქრო-მჭედლოში, მაშინვე ნახათ ღვეფი გადაქეჭა, ნაკვერჩხლები ამოაჩინა, ჩინჩხვარი დააყარა და გაანთო ცეცხლი. რამდენიმე ხმელი ნაჭერი შეშა გუზგუზებდა ბუხარში, საოქრო-მჭედლოს აშუქებდა. ჭრაქიც აღარ. აინთო მახარემ ისე კარგად იყო გასინათლებული საოქრო-მჭედლო...

თავის წილ სადილ-სამხარ-ვახშამს იქვე შენახულს მოუჯდა, სულ ერთიანად გულიანათ შეექცა...

— ასე გემრიელად, მგონი, ჩემ დღეში არ მიჭამია პურიო!.. წამოიძახა მახარემ, როცა წყალი დალია და ახლად გადაშლილი წვერ-ულვაში ჩამოიწმინდა...

5

როდის გადმორაზა საოქრო-მჭედლოს კარი, კიდევაც დაავიწყდა მახარეს. მთელ საუკუნოდ ეჩვენება. დაჩქარდა მახარე, რათა ეთერისთვის სადედოფლოზე მიესწრო. იმაზე ადრე იქ ყოფილიყო. მიმალულიყო კლდის ძირას და ენახა ეთერისა და მთვარის ერთად ამოსვლა...

ჩაბარუხი დიდი ხანია თავის თავ-გარდასავალს უამბობს მახარეს... პირველში თუ დიდის გულმოდგინებით უსმენდა, ეხლა სულ ყურს აღარ უგდებს.

რაში ეპრიანებოდა ჩაბარუხის თავ-გადასავალი. თუ პირველში დიდის გულმოდგინებით ყურს უგდებდა მხოლოდ იმისთვის, რომ ეგონა, ეთერის შესახებ რამე. წამოსცდებაო, მაგრამ ის თავისას იმეორებდა და ეთერზედ კი, თითქოს ის არც კი არსებობსო, ხმას არ იღებდა, არე-მარეს ბევრჯერ შეეკითხა ეთერზე, მაგრამ მხოლოდ წუხანდელ ამბავს იმეორებდენ, სხვას არასფერს... არც ხე, არც ველი კრიტსაც არა სძრავდენ.... საშინელი მესაიდუმლოენი იყვნენ... მხოლოდ ერთ წამს ხემ წამოიშრიალა და ჩასჩურჩულა ყურში: ეთერი წუხანდელ ღამეებს ხშირად ატარებსო...

— სუ!.. წამოიყვირა მახარემ და სწრაფად წამოიჭრა ფეხზე.

უნდოდა ხელი მოევლო იმის ძირისთვის და ფესვიანად ამოეძრო, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისევ მიჯდა კლდის ძირას. ის ხომ დამალული იყო და ეთერის ამოჩენას, ამოსვლას ელოდა. მით უფრო ისევ მიჯდა, რომ მახარეს შეტევამ გასჭრა და ხე მიჩუმდა, და იმისი ფოთლები უხმოდ თრთოდნენ.

მახარე ხეს უმზერდა, იმის ფოთლებს, ტოტებს თვალის ისრებს უყრიდა და ელოდა, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია...

ეხლა თვალის ისარი სტყორცნა კლდის ნაპრალის კიდეს და შეეკითხა... მაგრამ იმანაც თავის თავ-გადასავალზე დაუწყო ამბავი. ზედ ნაპრალის პირას რაღაც ციხის ნანგრევი იყო. აი, იმის ამბავს მოუთხრობდა. ეთერის შესახებ კი სდუმდა. მარტო წუხანდელი ამბავი აგონდებოდა. იმას დაწვრილებით უამბობდა...

— ეთერი??.

— ეთერი... ეთერსაც... და გაჩუმდა კლდე.

როგორც კატა მოგეპარებათ და სულ მოულოდნელად, სულ უჩუმრად თავს

წამოგადგებათ და წამოგკნავლებთ: „მიაუუ!..“ო, ისე მთვარემ თავისი ცივი, უხილავი სხივებით გააშუქა არე-მარე.

მახარე შეკრთა, თვალები დაჭყიტა და კლდის ნაპრალისკენ ოდნავად წაიხარა. ეგონა ეთერის ამოსვლა გამომეპარაო...

მაგრამ ეთერი არა სჩანდა. მიავლო თვალი სადედოფლოს, ვერც იქ იხილა...

„იქმნება ისიც ჩემსავით სადმე ციხის კუთხეში მიიმალა, რაკი მომელოდაო“ გაიფიქრა და მაშინვე სწრაფად კლდის ნაპრალის ციხის ნანგრევებს მიაშურა.

სულ გადაჩხრიკა ყველა კუთხე შიგნით და გარედ, ვერსად ჰპოვა. შემდეგ ავიდა იმ მაღლობზედ, სადაც წუხელის ეთერი იდგა და მიათვალიერა არე-მარე იმ იმედით, რომ უეჭველია მთვარის შუქის სივრცეში სადმე იშობებოდა ეთერი...

და, აი, ქვევით თვალი მოჰკრა რამდენსამე მხედარს...

— უჰ, წამოიძახა მახარემ: ეს რაა?!. ეთერის მაგივრად ამდენი ცხენოსნები?..

უნდოდა თვალი მოეშორებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა...

თითქოს სხვაგან ძებნა არ შეიძლებოდა, გული ძალას ატანდა ამას!..

მახარეც დაიკქერდა.

აგერ ორი მხედარი დაწინაურდა...

სწრაფად გაარღვია მდინარე... ერთმა მათგანმა კიდევაც შემოჰხედა მახარეს... უცნაური ტანისამოსით იყვნენ ესენი...

იმათ მიჰყვა ორი მხედარი სხვა... მერე კიდევ სხვები...

და ჩქარა ყველა მხედრები იმის თვალს მიეფარნენ.

მახარე იმათ კვალს თვალს აშორებდა. გული ნებას არ აძლევდა... იმათ კვალს აედევნა მახარეს გული...

გულს ძალა დაატანა კარგა ხნის შემდეგ და ისევ სადედოფლოს თვალიერება დაუწყო. თან ყოველ ნაბიჯზედ ყური მახვილად ეჭირა. ეგონა ეთერის, თუ ხმა არა, მოძრაობა მაინც შემომესმისო.

მაგრამ არც ერთი და არც მეორე იმის ყურს არ ჰსმენია. მხოლოდ ვერხვის ქვეშ ახალ სუფრას წააწყდა.

6

გამხნევდა მახარე. „სუფრას რად გააწყობინებდა, თუ კი მოსვლა არ სდომნოდა“, ფიქრობდა მახარე და თან სუფრას ათვალიერებდა. ეგონა, ეხლა ან ერთ მხარეს მოუჯდება ეთერი, ან კიდევ მეორესაო, და თან ცდილობდა გამოეცნო, თუ რომელს მხარეს მოუჯდებოდა...

— მე დავასწრო!.. წამოიძახა მახარემ და სუფრას აღმოსავლეთით მოუჯდა...

აქიდგან უფრო კარგად დავინახავ ეთერს... დაუმატა და აჩქარებით არე-მარეს თვალი მიავლო...

მახარე ყოველ წუთს მოელოდა ეთერის მოსვლას. თვალის ძაფებს ძალას ატანდა და. სწრაფად ირგვლივ ატრიალებდა თვალებს.

დაიქანცა, თვალები მილულა და ფიქრობდა: „უთუოდ ეხლა მომეპარება, თვალებზე ხელს მომიჭერს და შემეკითხება: გამოიცან ვინა ვარო?“ და სიამის ერუანტელი ტანში უვლიდა. მაგრამ ყოველ გაფაჩუნებაზე თვალებს ახელდა და ირგვლივ ატრიალებდა...

— ეხ, მახარეე, ვერ ჰყოფილხარ მომთმენი!.. საყვედურით ეუბნებოდა თავის თავს და ისევ თვალებს მიჰლულავდა.

— უთუოდ ეხლა უნდოდა მომპარვოდა, და შენ კი შენი მოუთმენლობით დააფრთხე... იჯექ გაუნძრეველად... დაიწყნარე გული ..

მაგრამ ასეთი რჩევა არა ჰშველოდა.

სწრაფად გული აუტოკდებოდა ყოველივე ხმაურობაზედ და თვალების ძაფებს ისევ დაჰქიმავდა ..

— იქნება ეთერი იმისთვის არ ჩნდება, რომ მთვარის ამოსვლას არ მოვუცადე, როგორც მითხრა და უფრო ადრე ამოველ სადედოფლოში?!. უთუოდ შემნიშნა და...

გაფიქრების უმალ მახარე წამოხტა და დაეშო ქვევით... იქ პირდაპირ კლდის ძირიდგან დაუწყო ცქერა ზევით კლდის ნაპირას, სადაც წინა ღამეს ეთერი იდგა...

დიდხანს უმზირა, დიდხანს, მაგრამ რაკი ეთერი არ გამოჩნდა, ისევ აირბინა.

კიდევ მოუთმენლობა უსაყვედურა თავის თავს და უკანვე დაბრუნდა...

რამდენჯერმე აირბინ-ჩამოირბინა. საშინლად მოიქანცა. როცა უკანასკნელად უკვე განთიადისას ავიდა ზევით, ველარ ჰსუნთქავდა, გული საგულიდგან გადმოვარდნას ჰლამობდა, ძლივას მილასლასდა სუფრამდის და მოწყვეტით მიეგდო იმის გვერდით.

ეხლა მახარე უხალისოდ ეგდო, განძრევაც ეზარებოდა. არ ამჩნევდა არავითარ ხმაურობასა, მარტო თავის გულის ბაგაბუგი ეყურებოდა და რაღაც შუილი...

უკვე მოშუადღევებულიყო, როცა მახარე წამოდგა. ეძინა, თუ გულ-წასული იყო, ვერ გამოერკვია. თუ ეძინა, ასეთი უსიზმრო ძილი არას დროს არ ჰქონდა. ერთხელაც არ სძინებია, რომ სიზმარი არა ჰქონოდა. ეხლა კი...

— მაშ აქ არავინ მოსულა!.. გულის ტკენით წამოიძახა მახარემ, როცა ხელ-უხლებელ სუფრას თვალი გადაავლო, და ჩაფიქრდა...

— ღმერთო! წამოიძახა ცოტა ფიქრის შემდეგ მახარემ. იქნება ავად გახდა, და მე კი აქ რაღაც ღობე-ყორეს ვედები... ავრბივარ-ჩავრბივარ და...

„მაგრამ, რას ვამბობ, გაიფიქრა მახარემ: თუ ავად გახდა, რატომ არ მაცნობა... გადიაც ხომ იმასთან ერთად არ გახდა ავად?!. ვინ იცის... იქმნება ორივეს რამე დაემართათ...“

წამოდგა მაშინვე მახარე და სუფრას ლმობიერად მიაპყრო თვალები:

„ეთერ, ეთერ!.. სუფრა კი დაამზადე... გინდოდა, ერთად გვესვა, გვეჭამა, მაგრამ ველარ მოხველი... აი, შენი ნაზი ხელი ეტყობა დოქს, თასს, საჭმელს...“

უეცრივ მუხლზე დავარდა და კოცნა დაუწყო სათითოოდ ყველაფერს...

— შენც... შენც... შენც ხომ ხელი გახლო... შენც!.. პურსაც ემთხვია.

აიღო ხელში პური, რაზედაც რამდენიმე ჭიანჭველა დაცოცავდა, მოაშორა, აკოცა და შუაზე გადატეხა.

არ ჰგრძნობდა სიმშილს... მაინც ლუკმა პირში ჩაიდო, რომ ეთერის სიახლოვე უფრო მეტად ეგრძნო, ამავე განზრახვით სხვა სანოვაგესაც ხელი მიჰყო და ჩქარა გულიანად შექცევა დაიწყო, თურმე ძალიანაც მოჰშივნოდა...

ვერც კი შეიტყო, თუ როგორ მოაოხრა სუფრა და დოქიც გამოცალა...

მახარე უკვე უკეთეს გუნებაზე დადგა და გაიფიქრა:

— ამაღამ უეჭველად მოვა ეთერიო!.. ეხლა კი შინ წავალ და სწორედ მთვარის ამოსვლისას იქ დავდგები, საცა პირველ ღამეს ვიდექიო...

შინ წასვლამდის მოუნდა ეთერის სადედოფლოს მოჩხრეკა... ხომ ჯერ დღისით აქ არ ყოფილა.

სწორედ მჩხრეკავის თვალი მიავლო... კლდის ნაპრალის პირას ნაცნობი ციხის ნანგრევი დაინახა... მივიდა და აქედგან გადიხედა: აღმოსავლეთისკენ ჩაბარუხი ჩაქუხდა სწორედ ამ მდელოს ნაპრალიდგან. სამხრეთისკენ ჩაბარუხი მიქანავდა მთებ შუა და სულ ერთ მუხლად ჩანდა, ჯვარედინად კი მთებ შუა სასოფლო შარა გზა მიდიოდა, რომლითაც თითონ მოვიდა ჩაბარუხამდის... ეს სულ მოკლედ მოსჩანდა, რადგანაც აღმოსავლეთ-დასავლეთის მთების ქიმები სჭრიდნენ. დასავლეთით მხოლოდ გონების თვალით დაინახა მდელოსკენ ამოსასვლელი ბილიკი, რადგანაც სულ შეუმჩნეველი იყო უბრალო თვალისთვის. მახარე ვერას დროს ვერ მოიფიქრებდა, რომ აქ ამოსვლა შეიძლებოდა, თუ ეთერი არ ასწავლიდა...

მოდი და ეთერის კოშკში ადი გარედგან, სწორედ ისე იყო ალესილი ეს ადგილი და ხეებით დაფარული.

ნანგრევ ციხეს მოჰშორდა და აღმოსავლეთით კლდის კონცხზე აბობღდა. ეს კონცხი ჰფარავდა ჩაბარუხს.

კონცხის წვერიდგან მხოლოდ ჩაბარუხის ნაპირი დაინახა, საიდგანაც თავ-დაუჭერლივ ქვევით რუხ-რუხით ჩადიოდა და ჰბანდა სალ კლდეს. ზევით ჩრდილოეთისკენ სწრაფად თვალს ეფარებოდა და სადღაც იკარგებოდა...

მახარე ეხლა ჩრდილოეთისკენ ჩავიდა... იქ შეფენილი ტყე იყო. ვერხვიდგან დასავლეთის და აღმოსავლეთის მთები ჩრდილოეთისკენ ტყით შემოსილი მკერდს წარმოადგენდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ორი მთა ძუძუებათ წამობურცული სადღაც შორს, მიუვალ ადგილას უერთდებოდნენ...

შევიდა თუ არა ტყის პირში უეცრივ შესდგა, რადგანაც თვალს გადეშალა ანკარა სარკესავით უძრავი მორევი, რომელსაც რამდენიმე ათი წყდა სიგანე ჰქონდა. სიგრძე კი არ ჩნდოდა.

მახარეს ისე მოეწონა ეს დაფარული უმანკო მორევი, რომ მაშინვე გაიძრო ტანისამოსი და შეცურდა. ზევით და ზევით მიდიოდა მახარე. მორევი ღრმა არ იყო. დაყურყმელავდა თუ არა, მაშინვე ფეხზე დადგა და წყალი მხოლოდ მკერდამდის სწვდებოდა... ფეხდაფეხ აჰყვა ზევით. თანდათან სიღრმე აკლდებოდა. მახარემ უეცრივ დასავლეთისკენ შენიშნა რაღაც გვირაბი... შეეცადა ასულიყო, მაგრამ ყოვლად შეუძლებელი გახდა... ბობღება შეუძლებელი იყო... აჰყვა მდინარეს ზევით... უკვე მუხლებამდის ღა ჰფარავდა. კალაპოტი თანდათან ვიწროვდებოდა და თან ზევიდგან წყლის შუილი მოისმოდა.

ჩქარა ჩაბარუხის მეორე მუხლს წააწყდა.

გადმოსჩქეფდა ჩაბარუხი ერთი სამოცი წყდის სიმაღლიდგან. ორსავ მხრივ კი ჩამოლესილი კლდეები ჰქონდა.

მახარე გამოტრიალდა უკან. მით უმეტეს, რომ სიცივე იგრძნო, და აჩქარებულის ნაბიჯით წამოვიდა. გვირაბის კარი დაბრუნებისას მკაფიოდ ჩნდა, და აგრეთვე ოდნავად მოჰკრა თვალი გვირაბის პირას ქვევით მიმავალ ბილიკის დასაწყისს...

უფრო გამოაჩქარა ფეხი და ჩქარა შეიმოსა. მახარე თავის და უნებურად ეძებდა ეთერის კვალს. არ ფიქრობდა ამაზე, მაგრამ უნებური გრძნობა აიძულებდა გაეგო, თუ ეთერი ამ მდელოზე ისე უჩინრად როგორ გამოჩნდა.

ჩაიცო თუ არა ტანისამოსი, მაშინვე გვირაბის ბილიკის ძებნას შეუდგა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ იმ გვირაბს აქეთ ექნებოდა გზა...

ბუჩქებით მიმალულ მშვენიერ ბილიკს ჩქარა წააწყდა. მარტო ბუნების ხელი არ ეტყობოდა ამ ბილიკს; ადამიანისაც... მახარე ჩქარა გვირაბის პირს მიადგა. შეიხედა შიგ და დაინახა, რომ იქვე ქალის თავმანდილი ეგდო.

მაშინვე ხელში აიღო და, თითქოს თითონ ეთერი შეეფეთაო, აღარ იცოდა რა ექმნა: ხან გულში იკრავდა, ხან ჰკოცნიდა, ხან კიდევ უბეში იქუჩკავდა...

— ეხლა კი ვიცი, საიდგანაც მოსდიხარ, ჩემო დედოფალო, ვიცი და გთხოვ, ნუ გამიწყრები!.. ნუ გამიწყრები აგრეთვე, რომ შენ საბანაოში მეც ჩავიყურყმელავე... არ ვიცოდი, თორემ... ალარ ღაათავა, რადგანაც შემოესმა რაღაც ხმაურობა.

მახარე სწრაფად მიიმალა ბუჩქებში და გატვრინდა...

7

სისხამ დილას ერთ მთის კალთაზე დიდი მუხის ძირას ისხდნენ ეთერი, კაცია და სეფე-წული. წინ სუფრა ჰქონდათ გაშლილი. გადიც იქავე ახლოს იჯდა და იმასაც წინ ხორაგი ეწყო. ცოტა მოშორებით ტყის პირას მშვენიერი ცეცხლი გუზგუზებდა და მხლებლენი თხილის წამწვეტებულ ტოტებზე წამოცმულ ირმის ხორცს ნაკვერჩხლებზე აშხრიალებდნენ. ხაშლამად მოხარშული ირმის ხორცი წინ ბევრი ეწყოთ, კარგადაც შეექცეოდნენ, მაგრამ მწვადის სუნი ცხვირის ნესტოებს უღიტინებდა და ძლიერ მადას უღვიძებდა, თუმცა არც ერთი იმათგანი უმადობას უიმისოდაც ვერ იჩივლებდა.

აგერ მოარბენინებს უკვე შემწვარ ორ თხილის ტოტს და ერთს კაციას გადასცემს და მეორეს კიდევ სეფე-წულს. ისენი სწრაფათ სთლიან, ლავაშები ლბეგბიან წვნისაგან. სეფე-წული ეთერს აწვდის. კაცია კი გადიას. მწვადი ჩქარა დნება იმათ ხელებსა და პირში. მორბის კიდევ მწვადებით ახლა მეორე მხლებელი. ამასაც ისევ ის დღე ადგება.

თავს მდგომი ირემა ფიალებს ავსებს ღვინით და აწვდის ჯერ ეთერს, შემდეგ კაციას, შემდეგ კიდევ სეფე-წულს. რამდენიმე ფიალა პატარა ხონჩაზე ეწყო. შეავსებდა ფიალებს და შემდეგ ჩამოურიგებდა.

ეთერი თუმცა არა ჰსვამდა, მხოლოდ ტუჩებს გაისველებდა ხოლმე და წინ დაიდგამდა, რომ მეორედ ირემას არ მოეწოდებინოს, მაგრამ ირემა მაშინვე აცლიდა ფიალას და ხონჩაზე სდგამდა. პირველად ეთერი კიდევაც წინააღუდგა...

— იდგეს აქ ეს ფიალა, მეტი არ მინდა! ხომ ჰხედავ ისევ ისე სავსეაო?!.

— არა, დედოფალო, წამოესარჩლა სეფე-წული ირემას, „ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესია!“ ჩვენ ეგეთი ჩვეულება გვაქვს...

ეთერიც ალარ ეწინააღმდეგებოდა სავსე ფიალას ისევ უკან უბრუნდებოდა ირემას...

ჩვეულება კი არა... სეფე-წული დამთვრალი იყო ეთერის ნდომით და, რაკი ეს სურვილი ვერაფრით მოეკლა, ირემა დაარიგა, რომ ეთერის ფიალა იმისთვის მიეწოდებინა მეორე ჩამორიგებაზედ და იმისი კიდევ ეთერისთვის. ამით სე-

ფე-წული ოდნავად ჟინს იკლავდა. თითქოს ჰკოცნისო, ფიალას ისე ეწაფებოდა, როდესაც ეთერის ფიალა იმის ხელში გადადიოდა...

პირველ დღის ერთად მოგზაურობის უმალ სეფე-წულმა გადასწყვიტა: „მივიყვან თუ არა სასახლეში, იმავე დღეს ვიქორწილებ. მეტი მოთმენა აღარ შემიძლიანო“...

და ეს იყო იმის მიზეზი, რომ სეფე-წული საშინლად აჩქარებდა მგზავრებს... იმართლებდა თავს იმითი, რომ მეფე გამიწყრება, თუ თავის დროზე ფარშევანგის ამბავს არ შევატყობინებო...

მოიქანცნენ მგზავრები... ეთერი, შებინდდებოდა თუ არა და ბინას ამოირჩევდნენ, მაშინვე მკვდარსავით მიეგდებოდა, ღრმად ჩაიძინებდა. სხვებსაც ეგივე ემართებოდათ...

მხოლოდ სეფე-წული ფხიზლობდა. ოდნავად თვალის მოტყუებაც კი კმაროდა, რომ ისევ ძალ-ღონით სავსე გზას გასდგომოდა. ჩვეული იყო ნადირობას და ტყე-ღრეს ლხენით სიარულს. არც ირემა ჩამორჩებოდა სეფე-წულს, მაგრამ ირემას არ ადარდებდა რა და ამისათვის კარგა ისვენებდა. მაგრამ სეფე-წულს ყოველთვის აასწრობდა, გააჩაღებდა ტალკვესით ცეცხლს და დააღვიძებდა მხლებლებს, რომლებიც ვერ მიხვედრილიყვნენ, თუ ასე ადრე რად აყენებდნენ.

გაამზადებდნენ თუ არა საუზმეს, მაშინვე სეფე-წული ხმაურობას დაიწყებდა: კაციას გააღვიძებდა და ის კიდევ ქალებს...

როცა სიცხე შეაწუხებდათ, მაშინ ცოტათი შეისვენებდნენ, შენაყრდებოდნენ და ისევ ჩქარა მიდიოდნენ...

ირემა და სეფე-წული ჰხოცდნენ ნადირს, ფრინველს... ან კიდევ მწყემსების ბინას რომ მივიდოდნენ, რძით, მაწვნით, ხბოს ხორცით... არც ცხვარი და ბატკანი აკლდათ. ხშირათ ამ მგზავრობაში იმათ ახალი ხორცი არ შემოჰკლებიათ...

ეთერი ამ მგზავრობის დროს ერთ წუთსაც არ ეკუთვნოდა თავის თავს, რომ იმას ან წარსულზე ეფიქრნა, ან მომავალზე, ან კიდევ გადიასთვის ჩვეულებისამებრ გული გადაეშალა...

დღეს კი სეფე-წული არ აჩქარებდა... თუმცა ადრიანად დააღვიძა, მაგრამ საუზმეს ძალიან მძიმედ შეექცეოდნენ... მხოლოდ მხლებლები ჩქარობდნენ ჩვეულებრივ და მწვადები ზედი ზედ მიჰქონდათ...

— ცოტა მოიცადეთ, მწვადები ცეცხლს შორი-ახლოს დაუწყეთ... თქვენ კიდევ ისაუზმეთ... უბძანა სეფე-წულმა, როდესაც ეთერის ფიალა იმას ერგო...

— ეს შენი სადღეგრძელო იყოს, დედოფალო...

— კიდევ დედოფალო!.. ღიმილით უთხრა ეთერმა...

— უკაცრავად, რაღაც მემართება და სულ დედოფალს გიწოდებ... შენი სადღეგრძელო იყოს... სურვილები ბევრი მაქვს, მაგრამ ვერ ვამჟღავნებ?..

— რა გიშლის?..

— თევზივით პირი წყლით სავსე მაქვს...

— არა მგონია, წყალში იმყოფებოდე?!.

— უჰ, სულ ჩაყურყმეევებული ვარ და, როცა მივალთ მეფესთან, მაშინ შეიტყობ, ეხლა კი ბატონ კაციასთან გადავდივარ ფიალით.

— ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მეფე თავის წულით, შენც დღეგრძელობა მოგცეს და ჩემ ეთერსაც!..

დაილოცა კაცია, და ფიალა იმანაც გამოცალა...

— ბატონო ნადირ, როგორც გეტყობა, დღეს ცოტა სულს ამოგვათქმევინებ, შენი სადღეგრძელო იყოს!.. ბოლოს წარმოსთქვა ეთერმა.

— მართალს ბძანებ, ბატონის ასულო, ეხლა აღარ ვჩქარობ, რადგანაც უკვე ახლო ვართ მეფესთან და მენანება, რომ უნდა დროებით მოგშორდეთ...

— როგორ?!.

— მაშ მეფეს უეცრივ ხომ ვერ წაგაყენებთ თავს?!. უნდა ვაცნობო, რომ სტუმრად მოჰბძანდებით, და მერე სეფე-წულიც გავაფრთხილო. ხომ პირობა გვაქვს: სეფე-წული არ უნდა გეჩვენოს...

ეხლა ღა მოვიდნენ გონს ეთერიც და კაციაც, რა სახით წარუდგებიან მეფეს...

ორივენი აიწვნენ... ასეთი სტუმრობა არ შეჰშვენოდათ დიდ ბატონს კაციას და იმის ასულ ეთერს...

— იცი, ბატონო ნადირ, ჩვენ როგორღაც გაგვამაცხარაცე?!. ცოტა წყროლით სთქვა კაციამ და ეთერს გადაჰხედა...

— როგორ?!. დაეკითხა ფერ წასული ამ სიტყვებით სეფე-წული.

— როგორა და რას ემგზავსება ეს, როგორც ჩვენ მივდივართ?!.

— მამავ, ჩვენ ხომ უგზო-უკვლოდ ვიარეთ. ნადირობით მოვდივართ და მაშასადამე ჩვენი ასეთი სახით შემთხვევით სტუმრობა სრულებით არას გვავალებს...

მამაზე ადრე ვონს მოვიდა ეთერი და გამოსავალი გზა ჰპოვა.

— მგონი ბატონი ნადირაც დაგვეთანხმება, რომ შემთხვევითი სტუმრობაა!..

— ოჰ, დედოფალო!.. არა, არა, ბატონის ასულო, შენ სწორეთ ბრძენი ხარ და სწორედაც მოისაზრე... ეს შემთხვევითი სტუმრობაა და ამაზე თქვენ ვერ დაგზრახავს... ამისთვის მივეშურები მეფეს ვაუწყო ეს... თქვენ აქ კარგად დაისვენებთ, დილაზედ კი თქვენთან გავჩნდები...

8

როცა ნადირამ და ირემამ ცხენებით გაჭრეს და თვალთ მიეფარნენ, ეხლა-ღა შენიშნეს იმათ თვალ წინ მდებარე თვალ უწვდენელი მიდამო... ის იყო მა-შინ ჰტყორცნა პირველი ისარი ქვეყნის მნათობმა და მთლად გააცოცხლა არე-მარე, ააფერადა და დიდებული, დიადი სანახაობა გადაეშალათ თვალ წინ...

არც ეთერს, არც კაციას და მით უმეტესად გადიას ასეთი სიმშვენიერე არას დროს უნახავთ.. მარჯვნივ და მარცხნივ შორის-შორს ერთმანეთისაგან მთები, შუაში დაუსრულებელი მინდვრები, რომელსაც მიაპობდა დიდი ზლაზნია მდინარე. არც კი ეტყობოდა, მიდიოდა თუ არა, ისე ნელი იყო იმისი დენა. დაუსრულებელი მინდვრები მთებსაც ჰკვეცავდნენ და სადღაც შორს... შორს ცას უერთდებოდნენ, რომელ შეერთებიდგანაც იშვებოდა ეხლა მნათობი... თითქოს მზე მოცურავს ზღვაში და აქეთ-იქით აფრქვევს ათასად აფერადებულ ზღვის წინწკლებს...

აგერ მზე კარგად ამოცურდა... უკვე საგნებმა თავისი სახე მიიღეს... ეხლა მკაფიოდ მოჩანან სოფლები მარჯვნივ მთის გრეხილზედ შეფენილი თავის ვენა-ხებით, გზებით და მინდვრად კიდევ ყვითლად, ოქროს ფრად მოდებულ ნამკლე-ბით. მდინარის მარცხენა ნაპირსაც ვიწრო მინდორი ნამკლებით მოჩანდა, უფრო კი ტყით შემოსილი მთები და ვენახები აქა-იქ გაბნევით... მდინარე ეხლა მო-ლაპლაპებდა და სადღაც შორს იკარგებოდა... რასაც თვალი ვერ არჩევდა და ზღვად იმჩნევდა...

— რა ყოფილა მეფის ე დალოცვილი სამფლობელო!.. გულ-უპყრილოდ წამოიძახა გადიამ...

— განა, გადი, ჩემ დამტვრეულ საბატონოს არა ჰგავს?!.

— რას მიბძანებ, ბატონო, შენი საბატონო ძალიან კარგია, მაგრამ ესაც კარგი ყოფილა!..

შეეცადა გაექარწყლებინა თავის უნებური წამოძახილი, რადგანაც ეგონა, ბატონს ეწყინაო...

— ნუ, ჩემო გადი, ნუ აქარწყლებ შენ სიტყვებს. ეს მთელი სამეფოს თვა-ლია. მეფე ტყუილად კი არ ევლება თავს... და ჰდარაჯობს...

ეთერი კი ხმა გაკმენდილი გატაცებით უმზერდა ამ დიად სურათს და ხმას არ იღებდა. არც კი გაუგონია იმათი ლაპარაკი...

კაცია დააცქერდა ეთერს. გული გადაეშალა ეთერის სიმშვენიერით... სია-მაყე იგრძნო, რომ ასეთი სიმშვენიერე იმისი ასული იყო და ნაზად ხელი შეახო:

— ჩემო ეთერ, როგორ მოგწონს ბატონ მეფის სამფლობელო?!.—ნაზადვე შეეკითხა.

— ᲰᲐ?!. ᲝᲰ, ᲛᲐᲛᲐᲕ, ᲨᲔᲜᲐ ᲮᲐᲠ?!.

— ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲡ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝ?!.

— ᲐᲛᲑᲝᲛ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲝᲝ?!. ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲘᲧᲝ!..

— ᲠᲐᲡ ᲰᲑᲝᲓᲐᲕ, ᲨᲕᲘᲚᲝ?!.

— ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ!.. ᲘᲡᲔ ᲒᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲘᲧᲝ...

— ᲠᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ, ᲨᲕᲘᲚᲝ?!.

— ᲰᲝ, ᲛᲐᲛᲐᲕ, ᲠᲐ ᲛᲘᲣᲮᲕᲔᲓᲠᲐᲚᲘ ᲒᲐᲰᲮᲓᲘ!.. ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ ᲩᲔᲛ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲝᲖᲔ...

— ᲰᲝᲝ!..

— ᲰᲝ ᲓᲐ ᲛᲔ ᲘᲥ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ...

— ᲔᲰ, ᲛᲐᲛᲐᲕ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲪ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ?!. ᲘᲡ ᲐᲥ ᲓᲘᲓ ᲮᲛᲔᲑᲡ ᲘᲞᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ...

— ᲠᲐᲡ ᲰᲑᲝᲓᲐᲕ, ᲨᲕᲘᲚᲝ?!. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲐᲥ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲧᲘᲓᲜᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ „ᲮᲐᲠᲘ?“

— ᲛᲐᲛᲐᲕ, ᲮᲐᲠᲘ ᲐᲥᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ!..

— ᲠᲝᲒᲝᲠ?

ᲔᲗᲔᲠᲘ ᲡᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲔᲠᲙᲕᲐ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ... ᲛᲐᲛᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲤᲮᲘᲖᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲗ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ:

— ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲛ ᲨᲔᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲖᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲮᲛᲐ...

— ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲪᲘᲗ ᲠᲐ?!. ᲮᲝᲛ ᲓᲐᲰᲚᲣᲞᲔ ᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ-ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ.

— ᲒᲐᲓᲘ, ᲝᲥᲠᲝ-ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲘ ᲥᲘᲡᲐ?!. ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲒᲐᲓᲘᲐᲡ ᲔᲗᲔᲠᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲐ, ᲩᲔᲛᲝ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲝ!..—Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲒᲐᲓᲘᲐᲛ...

— ᲛᲔᲠᲔ ᲥᲘᲡᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲘᲧᲝ? ᲓᲐᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲙᲐᲪᲘᲐ...

— ᲗᲕᲐᲚ-ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ... ᲩᲔᲛᲘ ᲗᲕᲐᲚ-ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ...

— ᲡᲣᲚ ᲛᲘᲔᲪᲘ, ᲠᲐᲪ ᲗᲕᲐᲚ-ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ ᲒᲥᲝᲜᲓᲐ?..

— ᲓᲔᲓᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲣᲚ!..

— ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲡᲧᲘᲓᲔᲚᲘ ᲛᲘᲒᲘᲪᲘᲐ... ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲐᲛᲓᲘᲡ ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲐ, ᲗᲣ ᲘᲛᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲐ ᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔ ᲑᲔᲓᲝᲕᲚᲐᲗᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲡᲐᲰᲣᲥᲠᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲐ. ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲒᲔᲪᲐ ᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ...

— ᲛᲐᲛᲐᲕ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ?!.

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲘ?!.

— ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ.

— ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ, ᲛᲔᲪ ᲛᲐᲜᲓᲐ ᲕᲐᲠ. ᲨᲔᲜ ᲘᲪᲘ, ᲠᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲨᲐᲛᲘᲡᲐᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔ. ᲓᲦᲔᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲮᲐᲠᲔ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲥᲠᲝ-ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ. ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲨᲔ-

ნი თვალ-მარგალიტებით ლითონებს შეიძენს, ეს ყველაფერი მახარეს ხელთ ექმნება... გუშინ შენი ხმა მოეწონა, დღეს სხვისა ცხვირი მოეწონა, ხვალ სხვისა თვალი, ზეგ კიდევ ყური და...

— რას ამბობ, მამავ?!. თითქმის წამოიკივლა ეთერმა.

ეთერს ელდათ ეცა მამის სიტყვები: მახარეს „დღეს სხვისა ცხვირი, ხვალ...“ და სხვა... „ნუ თუ მახარეს მოეწონოს სხვისა ცხვირი, სხვისა თვალი, ან ყური და...“ გაიფიქრა და დასკვნა ხმა მაღლივ წამოიძახა:

— მახარეს, მამავ, ეგ არ დაემართება!.. ის სხვისა ყურს, თვალს და ცხვირს ვერ გააკეთებს...“

— რატომ გგონია, შვილო?.. თუ კი ყველაზე ძნელი შესძლო და შენი ხმა ლითონში გამოამწყვდია, თვალისა და ცხვირის გამოსახვა უფრო ადვილი არ უნდა იყოს მახარესთანა ადამიანისათვის?!. აბა შენი ქინძისთავი ამოიძრე და დაჰხედე, მაშინ ჰნახავ, შეუძლიან რისამე გამოსახვა მახარეს, თუ არა?!. მამისამ მითხრა, ქინძისთავი მახარეს გაკეთებულიაო...

— მამავ მახარეს ყველაფერი შეუძლიან, მაგრამ თითონ არ მოინდომებს სხვისა ცხვირის, ან თვალის გამოხატვას!..

— ჩემო ეთერ, მახარე, ეტყობა, ოცნების ახალგაზდაა... კაცია... ოცნების კაცებს კი ვერაფერს მიუხვდები... აბა, ვის მოუვიდოდა თავში, თუ არა მახარეს, რომ ქინძისთავი სამკაულად გაეხადნა... თუ კი ქინძი სათაყვანებლად გაიხადა, რატომ თვალი ლამაზი ქალისა არ გაუხდება სათაყვანებლად...

— მერე?..

— მერე ისა, რომ შეუყვარდება ვისიმე თვალი, გააკეთებს, როგორც შენი ხმა შეუყვარდა და ლითონში გამოამწყვდია, და უთავაზებს... ყველა შენსავით ვერ მოიქცევა...

— ოცნება რა შუაშია, როცა თავის ოცნებას ახორციელებს და...

— იმის ოცნება სიყვარულია და, აი, სწორედ ეს ფუჭად ჩაუვლის და გააღატაკებს!.. ეთერს უნდა ეპასუხნა, მაგრამ თავი შეიმაგრა...

ისე სასწრაფოდ მოხდა ყოველივე ეთერისთვის, რომ ვერ გამორკვეულიყო, ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, თუ ეხლა რა ასულდგმულებდა... თუ მახარეზე ამ გვარმა ბაასმა რად ააღელვა ესე და რად მიავიწყა თავისი პირვანდელი ოცნება, რომელსაც მთვარეს ანდობდა... ამავე ოცნებამ მახარეს შეჰყარა, და, როცა კარებში იდგა, ეხლა სრულებით აღარ იტაცებდა...

9

რაღაც ხმაურობაზედ დამფრთხალი მახარე ბუჩქებში მიმალული გულის ფანცქალით დიდხანს ელოდა, ეგონა, ეთერი გამოჩნდებაო, მაგრამ ხმაურობა მაშინვე მისწყდა და აღარც გამეორებულა... გამოვიდა ბილიკზე და ქვევით დაეშო..

მივიდა ვერხვის ქვეშ. ჩაჯდა და ვერხვის ძირს ზურგი მიაყუდა... თითქოს რაღასაც ფიქრობდა, მაგრამ მოუსვენრობა ეტყობოდა, ერთი აზრის დაჭერაც ვერ შეეძლო, რომ ბოლომდის მიჰყოლოდა... ხან ეთერთან გატარებულ ღამეს ჩაეგლაუპებოდა, ხან უმისოდ გატარებულს, ხან „ზარის“ შექმნის დროს, ხან კიდევ აწმყოს.—„ეთერი ავად ხომ არ არისო...“

უკანასკნელმა ძალა დაატანა. მაშინვე ზეზე წამოდგა.

დაჰხედა სუფრას. წამს ჩაფიქრდა. წამი ფიქრის შემდეგ ყოველივე ეს აალაგა, გამოჰკრა ბოხჩათ, ღვინის დოქიც აიღო და გადაწყვეტილის აზრით გვირაბს მიაშურა.

გვირაბი სინათლიანი იყო. სანათურები ჰქონდა დატანებული. მახარე მაინც ფრთხილად მიდიოდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. „არავის წავაწყდეო,“ ფიქრობდა. მით უმეტესად უნდა გაფრთხილებულიყო, რომ არ იცოდა გვირაბის დასაწყისი. ეს კი ბოლოდგან მიდიოდა...

კარგა სიარულის შემდეგ მიადგა კარებს, რომელიც ხელის შეხების უმალ გაიღო, და უეცრივ კიბეს წააწყდა. კიბესთანვე იყო დიდი კარები. მიაწვა... მერე გამოსწია, მაგრამ ვერა გააწყო რა.

შეფიქრიანდა მახარე... „სადა ვარო...“ დაეკითხა თავის თავს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო...

ფეხ-აკრებით აჰყვა მახარე კიბეებს. კიბეებმა კი მიიყვანეს ოთახის ოდნავად ღია კარებთან...

გული აუტოკდა. შედგა კარების ახლოს და ფიქრი დაიწყო, თუ რა მოემოქმედა: უკან დაბრუნებულიყო, თუ...

— ერთი თვალით მაინც შევიხედავ შიგ და... ვნახავ, თუ შიგ რაა?!.

მაშინვე დაიწყო ოდნავად ღია კარებიდგან ჰვრეტა, მაგრამ სიბნელის მეტი იმის თვალს არა ჰხვდებოდა რა... რაკი გადასწყვიტა ნახვა, ეხლა უკვე გაბედულად დაიწყო მოძრაობა. მეტად გაძოალო კარი, მაგრამ სიწყნარით კი, რომ არ ახმაურებულიყო, ეხლა მიჰხვდა, თუ რად იყო იმის თვალ წინ სიბნელე. შიგნიდგან შესავალი სქლად ქსოვილ ორ ფარდით იყო აფარებული, რომლის ნაპირები შუაში ერთი მეორეს ეფინებოდა...

მოსწყინდა მახარეს ასეთი კეკე-მალულობით სიარული და სწრაფად ორ ფარდის შუა შეიჭრა და წამს პირი ღია დარჩა...

კარგა დიდი ოთახი მორთული იყო მშვენიერი ხალებით, ჭერი, იატაკი, კედლები სულ ხალებით იყო მოფენილი... ერთ კედლის გვერდით მიდგმული ტახტი ხომ საუცხოვო ოქრო-ქსოვილებით და ბალიშებით იყო მოწყობილი...

მახარე ჩქარა გონს მოვიდა. გადადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი. ფეხი ხალის სიმსუქნეში ეფლობოდა...

— რა მომკლავდა, ასეთ ფუფუნებაში რო ვიყოვო, წამოიძახა და ერთ სარკმელთან მივიდა...

გადიხედა და ნახა გალავნის შუა მომწყვდეული სასახლე. თავის მოწყობილობით... გალავნის შუა დიდი კაკლის ხე... მზე კარგად გადახრილიყო დასავლეთისკენ... მახარე გამოტრიალდა და ახლა მეორე მოპირდაპირე სარკმელთან მივიდა, გადიხედა და მიჰხვდა სად იყო, ვინც იყო და რა მოვალეობაც ჰქონდა.

სხეული აუთრთოლდა... გულის ცემა შეუდგა... და კედელს მიეყრდნო...

მახარემ სარკმლიდგან დაინახა მამისას საოქრო-მჭედლო... დერეფნის წინ ქვაზე ჩამომჯდარი ღრმად ჩაფიქრებული მამისა და მიჰხვდა სადაც იყო...

სწორედ ამ სარკმლიდგან მოესმა პირველად მომჯადოვებელი ხმა ეთერისა, ამ სარკმელმა გამოაჩინა ბროლად გამოკვეთილი ეთერის მკლავები...

სწრაფად გონების თვალ წინ გაურბინა ეთერის „ბაგის“ შექმნამ თავის შედეგებით და...

— მაშ სად არის ეთერი?!. წაილუღლუღა მახარემ, მიიხედ-მოიხედა...

ეთერის სურნელობით იყო სავსე ეს ოთახი, და თითონ ეთერი კი არა ჰჩანდა...

მახარემ გადაჰხედა კიდევ საოქრო-მჭედლოს... კიდევაც დაეპირა სარკმელი გამოეღო და ეყივლნა ოქრო-მჭედლისთვის, მაგრამ თავი შეიმაგრა... დიდ კადნიერებათ ეჩვენა ამის ჩადენა...

უარეს კადნიერებად ეჩვენა იმის ეთერის ოთახში შესვლა... სწრაფად მივიდა ტახტთან, ეამბორა, იქვე თავისი ბოხჩა დადო და გარედ გამოვიდა ოთახიდგან...

საჩქაროდ ჩაირბინა კიბე, ფარული კარი გაიარა, მიხურა და გვირაბში ჩაიფლო.

მახარეს ეხლა ერთი სურვილი ჰქონდა: ჩქარა მისულიყო ოქრო-მჭედელთან და მოჭლაპარაკებოდა, გული გადაეშალა...

უკანასკნელად თვალი გადაავლო „სადედოფლოს“ და ქვევით დაეშო. ჩამოვიდა თუ არა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შარა გზისკენ, წინ შეეხეჩა ბატონ კაციას მოურავი.

— ოჰ, მახარე, სადა ჰყოფილხარ?!. მამისა ძალიანა სწუხს!..

— რათა სწუხს, სად დავიკარგებოდი?!. ცოტა დარცხვენით უპასუხა...

— მართლა, მახარე, რისთვის გაამწყრალე ბატონი?.. წუხელის მთვარის ამოსვლისას რო ვისტუმრებდი, მაშინაც კი წამომძახა: „ერთი ვნახავ, მახარე რას მოიგებს, რო გაყიდვაზე უარს ამბობსო“!.. რა არ მიჰყიდე?!.

— რის გაყიდვაც არ შეიძლებოდა!.. მთვარის ამოსვლისას სად უნდა წასულიყო ბატონი?!.

— მეფის კაცი რო იყო თავის მხლებლებით, იმათთან ერთად წავიდნენ. უთუოდ მეფეს ესტუმრებოდნენ.

— ბატონი კაცია?!.

— ჰო, თავის ქალით!.. გადიაც კი თან წაიყვანა ეთერმა.

მახარეს სუნთქვა შეუდგა. ცივმა ოფლმა შებურა, გული დაეძაგრა, უეცრივ მოსწყდა, რიყის ქვას დაეცა და მოკლედ გაჟღრიალდა ისე, როგორც ის ლითონის ფირფიტას ძირ ისმოდა, ჟღრიალებდა...

ეხლა სწრაფად მოაგონდა ყოველივე ზაფხულის ხანა, ეთერის ვედრება: „ჩემო ღვთაებავ, მეფის წულს უთხარ... იმის სურვილით თავბრუ მეხვევა... ბევრ ვაჟკაცთ უარის თქმით გული ჩაუკალ... შენ გელი... გელი, ჩემო საუნჯევ!..“ მაშინაც კი წამოაკვნესა მახარე ამ სიტყვების გაგონებამ და ეხლა ხომ თვალები აუხილა...

„მაშ“...

— მახარე, რა დაგემართა?..

— არაფერი!.. ძლივს წამოიძახა ღრმად ამოსუნთქვის შემდეგ... სულ თვალთ-მაქცობა ყოფილა!.. ჩაილუღლუღა თავისთვის მახარემ...

— რაა თვალთ-მაქცობა?!.

— გულის კისკასი, თვალთა ისარი, ტუჩთა გადაშლა!..

— მახარე, მგონი ჰბოდავ, ალი ხომ არ გეჩვენა?!. ამ მდინარემ იცის... აქ ბუდეა ალებისა. ღამე აქ არსად დარჩე...

— დავრჩი და კიდევაც მეჩვენა!..

— საწყალო მახარე, მგონი, შენი საქმე ცუდათ არის... მამისას მოველაპარაკები...

— მე თითონაც მოველაპარაკები... თუ გინდა შენც... შენი ნებაა... ეუბნებოდა და თან ფიქრობდა: „როდის მომშორდებაო“?..

მაგრამ მოურავი მოშორებას არ ფიქრობდა.

— მახარე, მანდით რათ მიდიხარ?!.

— საქმე მაქვს, ეხლავე დავბრუნდები.

მოურავმა თავი გაიქნივ-გამოიქნია და სოფლისკენ გაემგზავრა...

რაკი მახარემ თავი მარტოდ იგრძნო, მაშინვე გზის პირას ხის ქვეშ ჩაჯდა და მოიფიქრა თავის გარემოება...

შავ ღრუბლებით მოიმოსა იმისი ცა. რა გზას უნდა დასდგომოდა, რომ ცა მოეწმინდა. არ იცოდა. იქნება მართლა ალის მსხვერპლი გახდა?!. მაგრამ არა!..

ეთერი იგრძნო... ის მაშ ალად ქცეულა, ან ალი განხორციელებულა ეთერში, თორემ ასე მოღორება ადამიანისა როგორ შეიძლებაო!.. მამისას ხომ ვეჩვენები... რა ვუპასუხო, როდესაც გავცარცვე, და ეხლა სამუშაო ლითონებიც ალარ მოიპოვება საოქრო-მჭედლოში?!.

მკერდი აეწო... იგრძნო საშინელი წვა. ჩაიყო ხელი უბეში და ამოიღო ძვირფასი მანდილი ეთერისა... წამს თავში გაუელვა აზრმა „დაეხია და გაეცამტვერებინა“, მაგრამ მეორე წამს მოიფიქრა: „შეიძლება აპან რამ უშველოს და მამისა გაჭირვებისგან დაიხსნასო“...

მოუვიდა თავში ეს აზრი თუ არა, მაშინვე გადასწყვიტა: მიეტანა იმ ღამეს საოქრო-მჭედლოში და სალითონოში ჩაედო.

„როგორც უნდა მოიხმაროსო“, გაიფიქრა და ასეც მოიქცა. შუაღამისას საოქრო-მჭედლოში შეიტანა ეთერის თავმანდილი, გადარაზა ისევ საოქრომჭედლო და სთქვა: „სანამ არას ვიშოვი, ოქრო-მჭედელს ვერ ვეჩვენებიო“...

ამ ღამემ ჩანთქა მახარე. იმის მნახველი მამისამ ვეღარავინ იხილა...

10

სულ სამი საათის სავალი იყო მეფის სასახლემდის იმ ადგილიდგან, სადაც სეფე-წულმა ეთერი დასტოვა. ცხენებით კი ერთ საათში მივიდნენ სასახლეში და მაშინვე მამა მეფე ინახულა...

— არც ის მოგწონებია, შვილო, როგორცა ჰჩანს?!.

— მაგას ნუ მეტყვი, მამავ, მომეწონა კი არა, მეტიც დამემართა.

— როგორ, შვილო?..

— ხვალ თუ არ ვიქორწილე, ვეღარ ვიცოცხლებ... მეტის მოთმენა ალარ შემიძლიან.

მეფემ ააყოლ-ჩამოაყოლა გაკვირვებული თვალები შვილს... „თუ არ გადარეულაო“ გაიფიქრა და წყნარად უთხრა:

— მოხარული ვარ, შვილო, რო ძლივას იპოვე შენი შესაფერი საცოლე... მო, გადამეხვიე... მინდა გულში ჩაგიკრა, მაგრამ ხვალვე ქორწილობაზე კი ხელი უნდა აიღო.

— რა მიზეზით, მამავ?.. ღიმილით დაეკითხა სეფე-წული და მხურვალედ გადაეხვია.

— მიზეზი ბევრია: ჯერ ერთი შენი სატრფო ცხრა მთას იქით არის...

— მეორე?.. დაეკითხა სეფე-წული, როცა მეფე გაჩუმდა და ალარ განაგრძო მიზეზების ჩამოთვლა...

— უმთავრესი ეგ არის, შვილო, თუ შენი საცოლე ფრთებს შეისხავს, მაშინ კი... მერე ამბობ, დიდებული ქორწილი უნდა გადვიხადოვო... დიდებულ ქორწილს დიდებულად მომზადება უნდა... უნდა ყველა მოიწვიო და ამას კი ისევ ის ფრთები უნდა. მესამეც მოფრენილთა დახვედრას და გამასპინძლებას ისევ დრო უნდა, ან კიდევ მფრენავივით ხელი და ფეხი... მიპასუხე და მერე გეტყვი, ხვალ შეიძლება, თუ არა.

სეფე-წული სულ იღიმებოდა ამ მიზეზების ჩამოთვლაზე... ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს მეფე შეაფიქრიანა და დაინანა კიდევაც, რომ დასთანხმდა და კაციასთან თითონ ნადირა, თავის მემკვიდრე გაჰგზავნა. ერჩივნა თავმოყვარეობისთვის ეძლია და მოპატიჟე გაეგზავნა კაციასთვის...

— ეხლა მე გიპასუხებ, მამავ, დაიწყო ნადირამ, რაკი მამას დაღვრემილობა შეატყო. პირველი შენი მიზეზი უკვე დაძლეულია და მიზეზათ არ გამოდგება, რადგანაც ეთერი და იმისი მამა კაცია ცხრა მთას იქით კი არა, და ჩვენ შუა აი ეს პატარა გორაკი და ველია...

— როგორ?.. განა გადმოსახედში არიან?!.

— სწორეთ იქ, მუხის ქვეშ... და მე მხოლოდ მახარობლად წამოველ, რადგანაც არ მინდოდა ჩემი ბედნიერება სხვას ეხარებინა შენთვის...

— ვეეო, თუ კი მაგრეა საქმე მაშინ სხვა მიზეზების დაძლევას შევძლებთ!.. მო კიდევ ჩაგიკრა გულში და ტახტიც გადმოგილოცო...

— არა, მამავ, მხოლოდ ხვალ, როცა ეთერი ჩემი იქნება. დღეს იმან არა იცის რა... მე, როგორც წასვლისას გითხარ, მეფის კარის-კაცად გამოვაცხადე თავი. ძლივს დავიყოლიე წამოსულიყვნენ... ნამეტნავად ეთერს არ უნდოდა წამოსვლა, რადგანაც ჩემზე ბევრი ცუდი ხმა მიჰსვლია.

ვითომც ისეთ ხმას ვავრცელებ, რომ ქალები სტუმრად იმისთვის მოდიან, რომ თავი მომაწონონ და შევირთო ცოლად. მე კი წუნია პატარძალივით ყველას ვისტუმრებ...

— მართალი უთქვამს, შვილო!.. ჭკვიანი გოგონა ყოფილა...

— აი, სწორედ ამისთვის, რო ჭკვიანი გოგონაა, დავპირდი, რო იმაზედაც არ იფიქრონ: „დაწუნებული უკან გამოისტუმრესო...“

— შენ მაშინვე ითხოვე და გამოუტყდი, ვინცა ხარ...

— არა, მამავ, ეგ არ ჩავიდინე, რადგანაც უკვე თითონ შემეშინდა, არ დამიწყონოს და უარით არ გამომისტუმროს... მერე კიდევ იქმნება არ დაეჯერებინათ, რადგანაც ჯერ ერთი ვუთხარ და მერე მეორე, რო მეთქვა... ხვალ კი, როცა შენ დამლოცავ, სულ სხვა იქნება... მანამდის კი, ეთერს უნდა ვეგონო ისევ

კარის-კაცი. მხოლოდ ამ პირობით წამოვიდა, რომ სეფე-წული იმის სტუმრობის დროს შინ არ იქმნება.

— ეჰე, მართლა ამაყი ყოფილა, ნამდვილი სადედოფლო, თუ სილამაზეც აქვს...

— მაგას იტყვი, მამავ, ციდგან მოწყვეტილი ვარსკვლავია. ჩემ საყვარელ დაია მარეხს არ ჩამოუვარდება...

— იქმნება უკეთესია.

— არა მგონია!..

მეფეს ესიამოვნა, რომ იმის საყვარელ მარეხზე უკეთესი არ არის...

— მაშ ასე, მამავ, ვიდრე შენ არ დამლოცავ არც კაციამ, არც ეთერმა და არც იმისმა გადიამ არ უნდა იცოდნენ, თუ მე სეფე-წული ვარ. მარეხიც უნდა გავაფრთხილოთ, ყველანი სასახლეში და მოწვეულნი.

— ეგ ადვილია, შვილო, მაგრამ კაცია და თითონ ეთერი რას იფიქრებენ, რას იტყვიან, როცა ყველაფერი გამრმჟღავნდება?!.

— რა უნდა სთქვან, როცა ეთერი დედოფალი იქმნება და იმისი მამა კი-დეკ დედოფლის მამა?!.

მეფე ჩაფიქრდა. მოაგონდა თავის წარსული... თავის სათაყვანებელი ცოლი, რომელმაც დედოფლობა არად ჩაგდო, როდესაც მარეხი დაბადა, და ვიდაც მეჯინიბე შეიყვარა... აკი ამ მეჯინიბის მსხვერპლი გახდა... დაივიწყა შვილები და უკვალოდ სადღაც გადიკარგა... რამოდენა ცდა დასჭირდა მეფეს, რომ ეს მიეფარა შვილების და ქვეშევრდომთა თვალთაგან...

ამას როგორ გამოუცხადებდა ეხლა შვილს, ან ეჰვს შეატანინებდა, რომ დედოფლობა ისეთი თილისმა არ იყო.

— ეხლა ყველაფერი იცი, მამავ, და იმედია, ყველაფერი ასე იქმნება...

— შენი ბრძანება შესრულებული იქმნება...

— მამავ, ბრძანებელი შენა ხარ!..

— არა, შვილო, ძღივას მოვესწარ ამ დროს, როცა შემიძლიან ბრძანებლობა გადმოგცე, და ეხლა გინდა უკანვე დამიბრუნოო?!. არა, შვილო, ბრძანებლობა ჩემთვის დიდი ტვირთი იყო... ეხლა შენ იტვირთე...

— ხვალამდის მაინც, მამავ! ვიცი, გინდა ტვირთი ზურგიდან მოიხსნა, და, აჰა, მეც ვცდილობ ზურგი მოგიშველო... მაგრამ ხვალამდის. მე კიდევ უკანვე უნდა დავბრუნდე ამღამ. მაყრიონი წავიყვანო. მთელი ღამეს კი უდარაჯო ჩემ ეთერს და დილაზე შესაფერისად დავბრუნდე. ტრახტევანი უნდა წავიღო ეთერისთვის.

11

უკვე ᲭᲐᲛᲔᲡ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ გადმოსახედზედ დატოვებულებმა მხლებლებმა მაშინვე დაიძინეს... კაცია ბატონიც მიეცა ძილს... არ სძინავთ ᲧᲔᲠ ეთერს და გადიას...

თუმცა გადიას ეძინება, მაგრამ ეთერი არ აძინებს მალი-მალ შეკითხვით.

— დაიძინე, ჩემო თვალის ჩინო, ეშუდარება გადია ეთერს... დარწმუნებული იყავი, ჩემო გვრიტო, ნადირა დაპირებას შეასრულებს და დილაზე გაუთენებლივ თავს დაგვადგება... უძილობა შეგეტყობა სახეზე, და აბა, როგორ წაუდგები მეფეს...

— ჩემო გადი, ეგ სრულებით არ მადარდებს!..

— მაშ რა გადარდებს... შენი ოცნება... ეს დღე იყო, და, ეხლა მეუბნები: ეგ სრულებით არ მადარდებსო!..“ მაშ რა გადარდებს, ჩემო კარგო?!. მითხარი... დღეს სულ გატყობ რაღაც გაწუხებს... ბარემ მიამბე და...

— მეც არ ვიცი, გადი, რა მადარდებს!.. მხოლოდ ერთი ვიცი, როგორ წავიდეთ შინ... უკან დაბრუნება მინდა... ამაღამვე რო დავბრუნდეთ შინ, ოჰ, რა კარგი იქმნებოდა.

— გენაცვა, მაგას რას მეუბნები?!.

— არ ვიცი, გადი, არა ვიცი რა... სურვილი მაქვს შინ დაბრუნების... ვიშ!.. უეცრივ წამოიძახა ეთერმა.

— რა იყო?!.

— ჰხედავ?!. და ხელით გადასახედის წინ ალაგ ალაგ ველზედ გაჩაღებულ ცეცხლზედ უჩვენა...

— თუ რამ დღეობაა!.. დაუმატა ეთერმა და ისევ ჩაᲧდა.

ცეცხლების გარშემო ხალხი მოძრაობდა. ჩქარა სიმღერაც შემოესმათ...

მეტათ წარმტაცი იყო ეს სურათი. ეთერს თვალი აღარ მოუშორებია...

— ამ დროს არ ვიცი, რა დღეობა უნდა იყოს?.. წამოიძახა გადიამ და, რა, კი ეთერმა პასუხი არ მისცა, მიწვა...

ჩქარა ჩაეძინა გადიას. ეთერი კი, გატაცებული ამ სურათზე აშენებულ სურათებით, არას ამჩნევდა...

მთელ დღეს გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო. აწუხებდა რაღაც, მაგრამ ვერ გამოერკვია, თუ რა?!. უკმაყოფილო იყო თავის თავათ და კი ვერ გაეგო, თუ რად?.. მოუსვენრობა ყოველ იმის მოძრაობას ეტყობოდა. წამს მიეიდოდა დასკვნამდის, ეამბნო გადიასთვის, როგორც წინად იცოდა, მაგრამ მეორე წამს სულ სხვა აზრი გაურბენდა თავში, და ისევ შეაყენებდა... იმის გონე-

ბაში მახარე და სეფე-წული იბრძოდნენ... თუ ერთ წამს სეფე-წული გაიმარჯვებდა, მეორე წამს მახარე...

სრულებით მარტოკა რო ყოფილიყო, იქმნება გარდაწყვეტილ დასკვნამდის მისულიყო, მერე კიდევ შინ... მაგრამ მთელ ღღეს მამა, გადია და მხლებლები ერთ წუთს არ მოჰშორებიან...

კიდევაც დააპირა განმარტოვება შუადღისას, ტყეს მიაშურა, მაგრამ უკან მამა, გადია და ერთი მხლებელი აედევნენ...

„საშიშოა ტყეში მარტოკას შესვლაო“!.. უპასუხა კაცია ბატონმა, როცა ეთერმა უკმაყოფილობა გამოაცხადა...

და მართალი იყო ეთერი, როცა გადიას უპასუხა: „მეც არ ვიცი, გადი, რა მადარდებსო“...

მხოლოდ ეხლა, როდესაც აქა-იქ გადასახედის წინ გაჩაღებული ცეცხლი მოჰჩანდა და არავინ აწუხებდა, თავი ოცნებას მისცა...

ოცნება კი... მახარეზე შორს არ მიდიოდა... სულ უკლებლივ მოაგონდა მახარესთან გატარებული დრო... ტანში ჟრუანტელმა დაუარა და მიწვა... მოაგონდა ისიც, თუ როგორ თავის ხელით სუფრა გაშალა მეორე ღღეს ვერხვის ქვეშ... ვახშამი მოამზადა, რომ მახარეს ეთერის მისვლის იმედი ჰქონოდა და...

— ღმერთო, რა საზიზღარი ვყოფილვარ!.. წამოიკვნესა ეთერმა...

„ეს ხომ მახარეს თვალის ასახვევად ჩავიდინე?!. რო გზა და კვალი ამერია... მახარე!.. მახარე!..“

— რისთვის მომიწოდე, რა გინდა?..

— როგორ თუ რა მინდა?!

— მიმატოვე და...

— არა... არა .. მიგატოვე კი არა... ვახშამი დაგიმზადე!.. და, გეფიცები, მეც არ ვიცი რად დამიგვიანდა...

— არ იცი?!. რათა სტყუი?!.

— ვსტყუვი?!.

— ჰო!.. თუ არა სტყუი, მაშ რა არის?.. გული შენსკენ მომირბოდა... მთვარის ამოსვლისას კლდის პირას გადმოვეკიდე, შენ კი...

— მართალს ამბობ, მახარე, მართალს, მომიტაცეს მეფის მხლებლებმა და ვემუდარები: დამიხსენ!..

— შვილო, ეთერ, ადექ!.. დროა... ნადირა უკვე აქ არის და გელის...

— ეეხ, მამავ, წავიდეს უკანვე ნადირა, ჩვენ კი შინ დაებრუნდეთ...

— როგორ, ეთერ, მეფეს შენთვის ტრახტრევანი გამოუგზავნია და ეხლა ამბობ—შინ წავიდეთო?!.

ეთერი წამოდგა... მიიხედ-მოიხედა და გონს მოვიდა... გამოერკვა... ეხლა დრო არ იყო სიზმრისთვის ანგარიში გაეწია... მახარეს მაგივრად ნადირა დაინახა და სულთამხუთველად ეჩვენა. მაგრამ, ჰხედავდა, უნდა დამორჩილებულიყო, როგორც სულთამხუთველს...

სწრაფი საუზმის შემდეგ ეთერი და გადია ტრახტრევანში მოათავსეს, ნადირა ცხენით ერთ მხარეს ამოუდგა და კაცია კიდევ მეორე მხარეს...

დაბლობში რო ჩავიდნენ, იწყეს სიმღერა...

ეთერი ჯერ კიდევ არ გამორკვეულიყო, თუ იმის თავს რა იყო. იჯდა გაჩუმებული და ისმენდა მგზავრულ სიმღერებს...

როცა შემოესმა მაყრული სიმღერა: „მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს ხოხობი დედალიო...“ მაშინ კი შეკრთა ეთერი და დაეკითხა გადიას:

— გადი, ეს რა ამბავია ჩემ თავს?!.

— რა ამბავი უნდა იყოს, დედოფლად მიჰყევხართ!..

— ეს ხომ შეუძლებელია! სეფე-წულს არ ვუნახივარ და... მგონი, სხვისა სიმღერა უნდა იყოს... სხვა ვინმე მიჰყავთ საქორწილოდ...

მეფე წინ მიეგება... მარეხმა ტრახტრევანიდგან გადმოიყვანა ეთერი და შეიპატიჟა სასახლეში.

კაციაც გონს ვერ მოსულიყო, თუ ასეთი ყურადღებით რად მოექცა მეფე, როცა ეთერი მეფემ მარეხის მფლობელობის ქვეშ სასახლეში გაისტუმრა, კაციას მკლავში ხელი წაავლო და სასიყვარულო კილოთი. მიჰმართა: „ეჰ, ჩემო კაციავ, არ მეგონა, რომ ასეთი განძის პატრონი იყავი?!.“

კაცია ვერ მიჰხვდა მეფის აზრს და შეეკითხა?!.

— დიდებულო მეფევ, მყავს მრავალი ყმა... მომდურავი არ არის ჩემი ყმა... სხვა განძი კი არა მაქვს რა...

— კმარა... კმარა... შეაწყვეტინა სიტყვა მეფემ...

12

უზარ-მაზარი სასახლის ეზო სულ სხვა და სხვა დიდრონი ხეებით იყო შემკული. ხეებსა და ხეებ შუა გზები მარმალილოთი იყო ფენილი.

დიდი მხიარულება ტრიალებდა ღღეს ამ ეზოში. თითქმის ყველა ხეს ძირას სუფრა იყო გაშლილი, და რას მოინატრიდი სულო და გულო, რომ იქ არ ყოფილიყოს... „ჩიტის რძესაც კი“ იპოვიდი სუფრაზედ, და, აბა, სხვა ამაზე მეტი რა იქნებოდა იშვიათი?!.

აუარებელი ქალი და კაცი ამ დღისთვის მოწვეული, ყველა თავის ადგილას

იჯდა და ყველა ერთად ეძლეოდა საზოგადო სიმხიარულეს... ყველგან ერთი სული და ერთი გული ეტყობოდა, თუმცა ყოველ ხის ქვეშ ცალკე სუფრა იყო გაშლილი...

ეზოს დამამშვენებელ დიდ კაკლის ხის ქვეშ პირველი სუფრა იყო გაშლილი. ღა მეფე, კაცია, ეთერი, მარეხი, სეფე-წული ნადირა და რჩეულნი ისხდნენ...

და, აი, ეს სუფრა აერთიანებდა ყველა იქ მყოფთ... ყველას თვალის და გულის ძაფი ამ სუფრას უერთდებოდა და ექსოვდა, და აქედგან ისრუტავდა სიმხიარულეს... ან თუ თითონ რამ მიუვიდოდა სასიამო, აქით ჰგზავნიდა და ეს კი ყველას აწვდიდა...

სიმღერა, სიცილი, სადღეგრძელო ერთი მეორეს მისდევდა...

ეთერსაც დაუბრუნდა თავისი გაბედულობა, სიმხიარულე. დაითვრა ამოდენა პატივისცემით და დაიწყო თითონაც ბაასში მონაწილეობის მიღება; იმისი მოსწრებული სიტყვა-პასუხები სწრაფად ყველას ხვედრად ხდებოდა...

მარტო ერთი ღა აფიქრებდა... სეფე-წული სად უნდა ყოფილიყოს?!. „ნუ თუ ისე წავალ, რომ სეფე-წულს ვერ ვნახავო“... მხოლოდ იმისთვის კი წამოვიდა აქ... პირველმა თავის ოცნებამ გაიტაცა ეხლა ეთერი და შეაცურა უფრო ღრმად...

— შვილო, ეთერ, შენ კი არ იმღერებ?!. აი, მარეხი რა მშვენივრად მღერის...

— მარეხს მშვენიერი ხმა ჰქონია!.. წამოიძახა ეთერმა, როცა მარეხმა სიმღერა დაასრულა...

მეფემ აღტაცებით შეჰხედა მარეხს და ეთერის პასუხად წარმოსთქვა:

— მარეხი ჩემი იადონია!..

— ოჰ, მამავ, ნუ გამაწითლებ!..

მართლა წამოწითლდა მარეხი... კარგა გადახრილი მზე კაკლის ხის ხშირ ფოთლებს არღვევდა და აფენდა იქ მსხდომთ თავის სხივებს... მარეხის ნაზი ლოყების გაშუქებული ნაწილები წამს პარტახებად იქცა...

ეთერს გული გადაეფერფლა... მარეხი მეტად ნაზი და ლამაზი იყო... გონების თვალით შეადარა თავისი თავი მარეხს და...

— ეთერ, რატომ ჩაჰფიქრდი?!. შეეკითხა მეფე-წული: მამამ გთხოვა სიმღერა... ველით!..

— ჰო, შვილო, შენი ხმაც აიყოლიე!.. უთხრა მამამ...

ეთერი სწრაფად გონს მოვიდა. გაუბრწყინდა თვალები, ბაგე ღიმად გაეპო და გადიას გადაჰხედა, რომელიც იმის ზურგს უკან იჯდა და ხან თმას უსწორებდა, და ხან კიდევ მოძრაობის დროს შენაოჭებულ კაბას...

გადია მიჰხვდა ეთერის სურვილს და სწრაფად სასახლისკენ გატრიალდა...

— სულსწრაფი ჰყოფილხარ, ბ-ნო ნადირ, ცოტა მოითმინე.

— ოჰ, ეთერ, თუნდ სულ მოთმინებად გარდვიქცევი, ოღონდ შენი სიმღერა გავიგონო...

— ეს რას ჰნიშნავს, ბატონო ნადირ?..

— ყველაფერს!.. და გადიხარხარა...

მეფემაც ბანი მისცა ნადირას და ამათ კიდევ ყველამ...

ყველამ იცოდა განზრახი თვალთმაქცობა. არ იცოდნენ მხოლოდ კაციამ, ეთერმა და გადიამ. ეთერი ამ წამს ყველას სადედოფლოდ მიაჩნდა, და მხიარულობდა დედოფლის ასეთ გარემოებით... თითონ სეფე-წული, მეფე, მარეხი და ამათთან ყველა სიამოვნებდა ეთერის გულ-უპყვრილობით.

ვერც თუ კაცია მოსულიყო გონს... ბევრი რამ ეუცხოვებოდა, მაგრამ ვერ ჰბედავდა მეფის შეწუხებას თავის გამოკითხვით... ჯერ ერთი, რომ ამ ნადიმის დროს არც კი უხსენებიათ სეფე-წული. მართალია, ნადირა დაჰპირდა ეთერს: „სეფე-წული არ გეჩვენებაო“, მაგრამ ხსენებაზე კრინტი არ დაძრულა... ესენი კი არც-კი ახსენებენ...

ეთერისთვის კი სულ ერთი იყო. ეთერმა ნადირას სიტყვა ჩამოართვა, ვიდრე მახარეს შეჰხვდებოდა. ეხლა ნანობდა, რად ჩამოვართვი სიტყვაო... „მენახა მაინცო“, ფიქრობდა ეთერი... „დედოფლობა სრულებით აღარ მასულდგმულებს“... მხოლოდ სურვილი ჰქონდა ენახა სეფე-წული... მეტი არაფერი.

ნადირა რო იმ სუფრაზე არ ყოფილიყო, დიდი ხანია ჰკითხავდა მარეხს, მაგრამ ნადირას ჰსცხვენოდა...

გადიამ მოიტანა რაღაც სუზანში გახვეული.

ეთერს სახე აუფერადდა... სწრაფად სუზნის სუფრა გადაჰხსნა, გადიას დააპერინა ხელში, თითონ მარჯვენა ხელი ენას წაავლო და გაიფიქრა: „ეხლა კი ხვრელშიაც რო იყვეს დამალული სეფე-წული აქ გაჩნდებაო!..“

მაგრამ რისთვის?.. ხომ ეთერს ამ წამს სეფე-წულის ხილვა იმისთვის არ უნდა, რისთვისაც თავის ქალწულობის დროს იხმობდა და მთვარეს ემუდარებოდა?.. მაშ... ან რა უნდა, ემღერა?!. „შიშის ზარმა“ გაახსენა თავ-დავიწყების ღამე... ამაყად ასწია თავი, ჩამავალ მზეს, რომელიც ფოთლებს არღვევდა და უგზავნიდა სხვივებს, მიაპყრო თვალი და მედგრად ამეტყველდა და აამეტყველა „შიშის ზარიც:“

„მხოლოდ ერთხელ, ერთის წამით შენთან ვიყავ, შენ გეგუე, და ის წამი ნეტარებად მექმნება ნაზ ქსოვილით შემოსილი!..“

წამს არე-მარე განცვიფრებაში მოვიდა... პირი ღია დაჰრჩა ყველას და სა-

მარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მღეროდა მხოლოდ ეთერი და თან მისდევდა იმისი მეორე ხმა... მხოლოდ კაცია და გადია იღიმებოდნენ ასეთ შთაბეჭდილებით...

სეფე-წული ჩქარა გამოერკვია. აუძგერდა გული და ის იყო უნდა წაეგლიჯა ხელიდგან რაღაც ჯადო და ეტყორცნა შორს, რადგანაც იგრძნო, ეთერის გული სადღაც მიფრინავდა და ჰშორდებოდა...

— ეთერ!.. წამოიძახა მარეხმა და ეთერს მკლავი დაუჭირა: გეთაყვა შენ დაჩუმდი და მხოლოდ ეს ამღერე... შენ ხმას ჰგავს, მაგრამ თითქოს სხვა მღერისო, სხვა სული უდგასო!..

ეთერმა შეწყვიტა მღერა... ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა... სხეული გაუნთავისუფლდათ მოჯადოვებისგან...

სეფე-წული მაშინვე მივიდა ეთერთან. გადიას ხელიდგან წაჰგლიჯა „შიშის ზარი“ და მიჰმართა თავის დას:

— ჩემო დაო მარეხ, ამის სულის ძებნას შენ შეუდექ და დაეპატრონე, შენი იყოს და ეთერი კი თავის ხმით და სულით ჩემი!.. მეფე-მამავ, დაგვლოცე!..

უკანასკნელ სიტყვებთან ერთათ სეფე-წულმა „შიშის ზარი“ მიწოდების მაგივრად გადააგდო მარეხისკენ...

„შიშის ზარი“ ცერად დაეცა მარმალილოს ქვას და ეთერის ტკბილი ხმის მაგივრად ელრიალი გამოიღო და მიჩუმდა...

— აჰ!.. თითქმის ყველამ ერთად წამოიძახა ამ ელრიალზედ, გარდა სეფე-წულისა.

სეფე-წულს კიდევაც გაუხარდა ასეთი დამარცხება იმ ქაჯისა...

ეთერი იქვე წაიქცევოდა ამ ხმაზედ, რო ნადირას მარცხენა ხელი არ მიეშველებინა და არ მიესვენა თავის მკერდზედ...

მარეხი და გადია კი მაშინვე დასწვდნენ და ორივემ ერთად აიღეს „შიშის ზარი...“

მეფე მიუხვდა შვილის წადილს... წამოდგა... იმის წინ წინათვე გამზადებულ სუზნით წაფარებულ გვირგვინებს ხელი წამოავლო და ხმა მაღლივ დაიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!..

ყველა ფეხზე წამოდგა.

— დღეის შემდეგ თქვენი მეფე იქმნება ნადირა, ჩემი წული და, აი, ჩემი გვირგვინით იმის თავს ვამკობ, დავიღალე... დასვენება მჭირდება... და, აი, ეს კიდევ ჩვენი საყვარელ კაცია ასული თქვენი დედოფალია და იმის თავსაც ჩემი მეუღლის გვირგვინით ვამკობ.

თითქმის ტირილით წამოიძახა და ორთავეს თავი გვირგვინით შეამკო.

ეთერი გარინდებული მიჰსვენებოდა ნადირას მკერდს და სრულებით არა გაეგებოდა რა... არ უგრძვნია არც გვირგვინი და არც მამის მილოცვა...

— გენაცვა ეთერ, შეემუდარა მარეხი, რომელსაც „შიშის ზარი“ ხელში აეღო და ისე დაეჭირა, როგორც გადიას, აბა, კიდევ ხელი შეახე!..

ეთერმა ხელი ენას მოსდო და შემოჰკრა... ნაზი ხმის მაგივრად რალაც ჟღრიალი გამოიღო...

ამ ხმაზე შეთრთოლდა, ტანი შეუსველდა, ყურებში წაეშრიალა, და გონება დაკარგა.

მარეხი კი ამ ხმაზე ერთი წამოკივლის შემდეგ გულ-წასული მამას მიესვენა... „შიშის ზარი“ ხელიდგან გაჰვარდა, და ისევ ის ჟღრიალი გამოიღო...

(შემდეგი იქნება)

ღრამა

კ. გერგესელი

გზა-ჯვარედინზე[1])

დრამა ოთხ მოქმედებათ

მოქმედება მესამე

(ვლადიმერის კაბინეტი, მდიდრულად მორთული, სამი კარები აქვს).

ვლად. (მაგიდას უზის და სწერს. ეტყობა აღელვებულია. კითხულობს) „პასუხად გარეწარებს". არა, ეს სათაური... მაგრამ ღირსნი არიან. (წერილს ჩადებს კონვერტში. ზარს რეკავს, შემოდის მსახური) ეს ბარათი წაიღე ჩვენს რედაქციაში.

მსახური მესმის, ბატონო. იოსები გახლავს, გელოდებათ.

ვლად. იოსები? მოიტა კონვერტი. (გაუმართმევს) უთხარი შემოვიდეს. (მსახური გადის, შემოდის იოსები. დადგრეშილია).

იოსებ ღილა მშვიდობისა, ბ-ნო ვლადიმერ!

ვლად. (დადის) გამარჯობა. აი ეხლა რედაქციაში საპასუხო წერილს ვაგზავნიდი, მაგრამ შევჩერდი. მე მინდა ვიცოდე ავტორი იმ წერილისა, რომელიც ჩემს წინააღმდეგ არის მოთავსებული.

იოსებ ავტორი?

ვლად. შენ დაგავალე გაგეგო.

იოსებ საიდან უნდა გამეგო, მე მგონია ის იქნება, რომელზედაც მე ვთქვი.

ვლად. ლეო?!

იოსებ ასე მგონია.

ვლად. დარწმუნებული ხარ?

იოსებ ეს სახელი ხომ არის წერილის ქვევით?

ვლად. რისთვის არ შეიძლება, რომ ლეო პსევდონიმად სხვასაც ქონდეს... მაგრამ შეიძლება ასეც არის. (გაჯავრებული დადის).

1) ამ პიესის დადგმა ავტორის ნება-დაურთველად აკრძალულია.

იოსებ გეტყობათ, ბ. ვლადიმერ, ძლიერ გაჯავრებული უნდა ბრძანდებოდეთ.

ვლად. და შეიძლება არ გაჯავრდეს ადამიანი? ჩემზე ყოველ მხრივ მოაქვთ იერიში, როგორც პრესით, ისე ოჯახშიაც კი, და ყველა ამის დირეჟორი ის გათახსირებული ლეოა.

იოსებ მერე ოჯახი რა შუაშია?

ვლად. შენ იოსებ, ახლო ხარ ჩემს ოჯახთან, მე ვატყობ, რომ ლეო აქ კუნტულებს იჩენს, გავიგე, რომ ლენას ის ყვარებია, წინად არ მწამდა.

იოსებ მე ხომ გელაპარაკებოდი.

ვლად. არ დავიჯერე... როცა გაზეთებს მოვიტან, ლენა მუდამ ერთს დაეძებს. აბა თუ არის ლეოს მოხსენება, ან მისი წერილი და სხვა. ამას მე ვამჩნევ...

იოსებ (ეჭვით გადაჰქნევს თავს) არ ვიცი ..

ვლად. შენ არა გჯერა?

იოსებ მე ასე მგონია, ლენა ამას არ ჩაიდენს, ლეოც არ იკადრებს.

ვლად. მაშ რა არის, ნუ თუ ლენა ბედნიერი არ არის. მაგრამ... სხვაზე ფიქრობს. ეს წერილი უნდა დავბეჭდოთ.

იოსებ არ გირჩევ, ცეცხლზე ნავთს დაასხამთ, ხომ ხედავთ ყველაფერი მათ ხელშია, მათთან ბრძოლა ჯერჯერობით არ იქნება კარგი. მე მგონია, მუდამ ვერ ითარეშებენ. გუშინ მიტინგზე სანდრომ და ლეომ ერთმანეთის საწინააღმდეგოთ გამოვიდენ, ეტყობა განხეთქილება იწყება.

ვლად. რაში გამოიხატებოდა წინააღმდეგობა?

იოსებ სანდრო გადაჭრით მოითხოვდა ყველა სტამბები, ქარხნები, ერთი სიტყვით საწარმოო დარგები, ხალხს გადასცემოდა,—მუშათა კანტროლს მოითხოვდა, ლეო კი წინააღმდეგი იყო.

ვლად. ლეო წინააღმდეგი იყო?

იოსებ ზოგიერთმა მუშებმა ბურჟუაზიის გამოსარჩლებაც კი დასწამეს, მაგრამ მერე კენჭი უყარეს წინადადებას და ლეოს აზრმა გაიმარჯვა.

ვლად. მაშ ეს კითხვა კი დგას მუშებში?

იოსებ მერე როგორ, გადაწყვიტეს, ყველა ის გამგეები, რომელთაც რაიმე დანაშაული მიუძღვის მუშების წინაშე, უნდა დათხოვნილი იქნანო.

ვლად. და თუ არ დავთანხმდი?

იოსებ ძალა მის ხელშია. მეც ამისათვის გიახელით.

ვლად. შენ რაღა გინდა?

იოსებ უნდა დავანებო თავი თქვენთან სამსახურს (ამოიღებს გაზეთებს) აი რას სწერენ ჩემს შესახებ გაზეთში.

ვლად. რას?..

იოსებ ასეთი ალბგია შიგ. (კითხულობს) „ასეთი მუწუკები, როგორიც არის იოსები და მგზავსი მათი, დროზე უნდა იქმნან ყველა საწარმოვო დარგებიდან გაძევებულნი და მათი შავი საქმენი დღის სინათლეზე გამოტანილი“. ეს მე შემეხება.

ვლად. ეს უმნიშვნელოა!

იოსებ გუშინ კრება იყო, თქვენმა ცოლის ძმამ საჯაროთ ჯაშუშიც კი მიწოდა.

ვლად. მერე რისთვის პასუხი არ მოთხოვე?

იოსებ ის იყო დავაპირე, დამასწრო და წამოიძახა: შენი და ვლადიმერის „დაბეზღების ქალალდები“ ჩვენთან ინახება, მალე გამოვააშკარავებთო.

ვლად. რომელი ქალალდები?!

იოსებ ალბათ ის იქნება „ლეოს შესახებ“. რომ...

ვლად. (გაოგდის) მერე მე... რა იციან?

იოსებ ეხლა მე მინდა სრულებით წავიდე თქვენგან, ან და საქმე როგორმე მოვაგვაროთ.

ვლად. რა უნდა მოვაგვაროთ, ჩემ შესახებ არავითარი დოკუმენტები არ ექნებათ.

იოსებ მე რა უნდა ვქნა, არ მედგომება. ხსნის გზა მარტო ერთი-ღა დარჩენილა.

ვლად. რომელი?

იოსებ ლენა მივაგზავნოთ სანდროსთან, იქნებ რასმეს გავხდეთ.

ვლად. ეგ მიუღებელია, მე მათ ვთხოვო?! არა!..

იოსებ ეს მე უნდა დამავალოთ.

ვლად. შეუძლებელია... სანდრო ჯერ ჩემს სახლში არც კი ყოფილა. ლენას ახლოსაც არ ეკარება.

იოსებ ნუ თუ არ შეიძლება შეირიგოთ?

ვლად. არა, ეს დაუშვებელია.

იოსებ ლენას ძალიან გულით უნდა, რომ სანდრო შეირიგოს.

ვლად. ლეოსაც არა?!.

იოსებ მას ეს არ უთქვამს. ლუკამ კი მითხრა მასზედაც.

ვლად. ვიცი... რასაც ლენა მალავს, ალბათ იმას მისი ინვალიდი მამა აკეთებს. ჩემი შეხედულება მართალია: ჩემს სახლში გველები ბუდობს.

იოსებ ჩემს შესახებ მაინც...

ვლად. ალბათ ლენას წუხანდელი საქციელი ბევრი რამეს მთქმელია.

იოსებ ბ-ნო ვლადიმერ, გთხოვთ ჩემს შესახებ იფიქროთ. იყო დრო, მე სასარგებლო კაცი ვიყავი თქვენთვის.

ვლად. ეხლა წადი, მერე მოვილაპარაკოთ, წადი...

იოსებ მე წავალ, მაგრამ...

ვლად. კარგი, კარგი ყველაფერი გაკეთდება.

იოსებ სანდროს თუ შეირიგებთ, მაშინ ყველაფერი მოეწყობა (კარის).

ვლად. არ ვცდები (ზარს რეკავს. შემოდის მსახური). სად არის ლენა?

მსახური ბაღში გახლავთ.

ვლად. რას აკეთებს?

მსახური ფრინველის გალობას ისმენს, გალია ჩაიტანა ქვეით.

ვლად. წადი და დაუძახე! (მსახური კარის. ვლადიმერი ფანჯრიდან კარისკენ შემოდის ლენა).

ლენა (უკმაყოფილო და სევდიანი სახე აქვს) რისთვის მეძახით?

ვლად. არ გესიამოვნათ?

ლენა ახირებული შეკითხვაა.

ვლად. ალბათ წუხანდელი ტემპერამენტი კიდევ გაწუხებთ.

ლენა სჩანს ასეთი შესავალით წუხანდელ ამბავს უბრუნდებით.

ვლად. შენი აზრით საჭიროა, არა?

ლენა ჩემი აზრი? მერე გწამს, რომ მე აზრი მაქვს?

ვლად. დავანებოთ თავი რეპლიკებს. მე მინდა ეხლა საფუძლიანათ მოგელაპარაკო.

ლენა გისმენთ.

ვლად. ვერ ამიხსნია, თუ რას მიეწერება წუხანდელი შენი საქციელი.

ლენა რისთვის მარტო წუხანდელი დაგამახსოვრდათ.

ვლად. ამ შემთხვევაში თითქოს ლოგიკურ დასკვნას ვხედავ; შენი პირადობა ჩემთვის დღეს აშკარაა.

ლენა სავსებით შემიგენი არა?

ვლად. სავსებით.

ლენა (შწარეთ გაიდიმება).

ვლად. სარკასტიობის გარეშე!

ლენა ყოველ დღე ახალი ტერმინები.

ვლად. იმ დროს, როცა მატყობ ვღელავ, შენ გინდა უადგილო თავისებურობით გული მომიკლა. მე პასუხს გთხოვ!

ლენა და ვალდებული ვარ, როგორც ქმარს, სასწრაფოთ გიპასუხოთ! მაგრამ ერთ წუთს მომეცი ნება შეგეკითხო.

ვლად. ჩემს შეკითხვას კი გვერდს უვლი.

ლენა დამშვიდდით, — მასთან არის დაკავშირებული.

ვლად. რა უნდა შემეკითხო?

ლენა მე მინდა გავიგო, ჩემს პიროვნებაში ვის ხედავ?

ვლად. უცნაური შეკითხვაა და თანაც უაზრო.

ლენა უაზროც, არა?! როგორ მოხდა, რომ „პოტენციური“ ძალის მატარებელს ასეთი უაზრობა დასჩემდა.

ვლად. (ირონიით) პოტენცია.

ლენა ნუ იუცხოვებთ. ეს შენი საყვარელი სიტყვა იყო ერთ დროს, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე თავიდან გატყობდი, რომ ცდილობდი შენი „აღზრდის“ მეთოდი ჩემდამი ისეთი ყოფილიყო, რომელშიც ჩემი საკუთარი ნების-ყოფა უნდა გამომწყვდეულიყო, პირველ შემთხვევაში მე საშინელი სულის ტყვეობა ვიგრძენი, თითქოს დავრწმუნდი, რომ ჩვენს დამოკიდებულებაში ამ საფეხურს აუცილებლივ უნდა გაევლო. თუმც მუდამ ამ დროს თან ვატარებდი ჩემს სუსტს, მაგრამ დამოუკიდებელ აზრს, რომელიც კრიტიკა იყო ჩემივე მოქმედების და ეს დღემდის მომყვა.

ვლად. და დარწმუნდი იმაში, რომ შენი კრიტიკა საღი იყო?

ლენა დამაცადე... შენ კი ამ დროს ისე შეტოპე უფლების განსაზღვრულ სივრცეში, რომ სრულიად დაგვავიწყდა ჩემი პიროვნება, დაგვავიწყდა, რომ მეც შემწევს უნარი საგნების გარჩევისა.

ვლად. მერე რაში დაგარწმუნა ასეთმა გარჩევამ.

ლენა. ბევრ რამეში, მაგრამ გვიანღაა... ერთი მრავალთაგანი ჩემი პირადობის დამცირებისა წუხანდელი შემთხვევა იყო.

ვლად. შენი დამცირებისა?!

ლენა სჩანს შენთვის ესეც გამოურკვეველი ყოფილა. შენ ამაყათ, მრისხანეთ, ვით მონას უბრძანებენ, სასტიკი კილოთი საზოგადოების თვალ-წინ, საკრებულოში იძულებულს მყოფდი შენი სიტყვები ამესრულებინა და ილიასთან ვალსი მეთამაშნა.

ვლად. და იმის მაგიერ, რომ წესიერად გეპასუხნა...

ლენა მართალია, ჩემი კილო არ იყო დარბაისლური, მაგრამ მე იმ დროს შენი „უფლებიანი“ გამოსვლით ისე ავირიე, რომ მეც არ ვიცი, ვინ წარმოსდგა ჩემი სახით; როცა მომაგონდება წუხანდელი ლენა, მზათ ვარ ვილოცო მასზე.

ვლად. რა ფანტაზიაა... ზე-ქალური განცდაა... და ასეთმა კი უბრალო მორალის ელემენტარული მცნებაც ვერ შეიგნო.

ლენა მორალი დაირღვა არა?!

ვლად. ილიას პიროვნებას შეურაცყოფა მიაყენე.

ლენა ილიას, პიროვნება? მაგრამ, არა! დარჩეს (გაიგეის).

ვლად. რაღაც უნდა გეთქვა?

ლენა მერე რა უნდა ვთქვა! ის ხომ შენი მეგობარია, კარგათ იცნობ. გაიხსენე კიდევ წუხანდელი მეორე შემთხვევა, როგორ გინდოდა ბაღში, სეირნობის დროს, ჩემი მოშორება! ეს ისე ხელოვნურად გამოგივიდა, რომ შენმა საქციელმა თითონვე გაგაწითლა და ჩემთვისაც სამძიმო შეიქმნა.

ვლად. (ენთება ბრაზით) აუტანელია, ლენა! ასეთი მეშჩანობა! ნუ თუ შენს კანტროლ ქვეშ უნდა ვიყვე?!

ლენა „მეშჩანობა!“ კიდევ რა?

ვლად. კიდევ ის, რომ შენ საშინლად არ გეხერხება ჩვენს წრეში რიგიანად თავი დაიჭირო. შენი ტრადიციული ქინიანობა ზოგჯერ ისეთს მდგომარეობაში მაყენებს, რომ გამოსასვლელს ვერ ვპოულობ, შენ კიდევ გაკლია არისტოკრატიული აღზრდა და შესაფერი მორიდება—სიდარბაისლე.

ლენა „ჩვენი წრე“, „ტრადიციული ქინიანობა“, „არისტოკრატიული აღზრდა“ და შეიძლება აქედან ბუნებრივად გადმომდინარეობს ჩვენი სულის გათიშვა.

ვლად. არ ვიცი, მაგრამ ასეთი აღზრდა კი შენთვის აუცილებელი იყო.

ლენა (ღრმად დაფიქრდება. ხაუზა).

ვლად. დიახ, ეს მდგომარეობა ღრმა დაფიქრებას მოითხოვს.

ლენა როგორ გარკვევით, მკაფიოთ გამწვივიან ის სიტყვები, ხომ გახსოვს, როგორ გატაცებით, მჭერმეტყველურად მომითხრობდი, რომ ჩემში ახალი ერა უნდა შეგექმნა. მე მწამდა შენი სიტყვები, ისე გულწრფელად, თითქმის დაუფიქრებლად უარვყავ აღმზრდელი ქერა. (ძწუხრეთ) ყველა ჩამომშორდა, სანდრომაც შემიძულა.

ვლად (მიაჩერდება) კიდევ ვინ?

ლენა ნაცნობ-მეგობრები რაღაც შურით მიცქერიან. მუდამ, ყოველ წუთში ვგრძნობ სულის ობლობას. მრრთულობა, ადამიანები დეკორაციები მგონია. შენ, ვლადიმერ, ჩემს წარმოდგენაში თითქოს დაცალიერდი, შენგან რაღაცას მოველოდი და იმის მაგიერ ჩემი საკუთარი ნების-

ყოფა დავკარგე. მე აღარა ვარ ის ლენა, როგორიც წინათ ვიყავი.

ვლად. წარსულს მაშინ დატირიან, როცა ის დიდებულია.

ლენა ჩემთვის დიდებული ყოფილა, ის შენ წამართვი და სამაგიეროდ კი არაფერი... სიცალიერე...

ვლად. არ ვიცი! რას მოელოდი არა ჩვეულებრივს?

ლენა მართალია, მაშინ როლში იყავი. მოხდენილად თამაშობდი.

ვლად. რა გულუბრყვილო პერესპეკტივით ყოფილხარ გატაცებული.

ლენა შენ კი მოხერხებულად ისარგებლე ჩემი გულუბრყვილობით, არა?

ვლად. ასეთი გრძნობები ცხოვრების ორონ-ტრიალში არ არის მისაღები. საჭიროა მეტი ინიციატივა, აქტიური ნება. სულ ერთია ეს რა დარგშიც უნდა იყოს. შენ კი ჩემს ოჯახში დედოფალას სახე მიიღე. განუსაზღვრელი ხარჯები შენი გამშვენიერებისთვის და ამავე დროს გარდაუქმნელობა.

ლენა დედოფალა, უსულო, რომელსაც მექანიკურად ათამაშებენ.

ვლად. და ამ დროს უხეში სიამაყე, სწორი დირექტივების მიუღებლობა.

ლენა (დრმად დაფიქრდება) მართალი ხარ, ვლადიმერ, ცუდი მოწაფე გამოვდექი.

ვლად. უბედურება ის არის, რომ ასეთი სიცუდე შენვე ვერ შეგიგნია.

ლენა შენ ასე გგონია?..

ვლად. ნათლად სჩანს.

ლენა და ყველაფერი გათავდა... წერტილი დავსვა? (შემოდის მსახური, ვლადიმერს წერილს გადასტყმს. წაიკითხავს).

ვლად. (მსახურს) ილია თუ მოვიდეს, ცოტა შემიცადოს, ეხლავე დავბრუნდები (გადის. ლენას ფიქრები გაატაცებს, ჩამოჯდება ფანჯარასთან და კარეთ იცქირება. მსახური გადის, მაგრამ პატარა პაუზას შემდეგ ისევ შემოდის).

მსახური ქალბატონო, კარებში მამა თქვენი დგას.

ლენა როგორ თუ კარებში?

მსახური შეიძლება თუ არა შემოსვლაო?

ლენა (სწრაფად წამოვარდება). ღმერთო, რა უბედურებაა, როგორ მეკითხება? (გადგებს კარებს) რა არის, მამა ჩემო, ასეთი შეკითხვით გულს რომ მიკლავ, ნუ თუ ჩემთან შემოსვლისთვის ნებართვა გინდა?

ლუკა (დასუსტებული) ალბათ, შვილო, ამასაც უნდა მოვსწრებოდი. ამ ოთხი თვის განმავლობაში ამ ოთახში მეორეხელ მიხდება შემოსვლა, როცა პირველად დაუკითხავად შემოვედი, ვლადიმერი გაჯავრდა.

ლენა მერე რა გითხრა ისეთი, რომ საწყენი იყო?

ლუკა არაფერი არ უთქვამს, მაგრამ ზოგჯერ უსიტყვოთაც ბევრი ითქმის.

ლენა მე მგონია, მამა ჩემო, კმაყოფილი უნდა იყვე აქ? ხომ კარგი მოვლა გაქვს? დღეიდან საკუთარი მოსამსახურე გეყოლება.

ლუკა სულ წინააღმდეგ მოხდა, შვილო! მეც მეგონა, რომ კარგ ცხოვრებას შეეძლო ყველაფერი შეექმნა ადამიანში, მაგრამ ეხლა დავრწმუნდი, რომ ძნელი ყოფილა სულიერი მარტოობა.

ლენა ძალიან გიჭირს, მამა, სანდროს მოშორება?

ლუკა სანდროს წინად ღვინის სმა უყვარდა, მეშინოდა სადმე ქუჩაში უპატრონოდ და სასირცხოდ არ მომკვდარიყავი და ამ გრძნობამ ძალიანი შემაშინა. დღეს სანდრო ღირსეული წევრია საზოგადოების, ლეოც თავისუფალია. ჩვენები მხიარულად არიან, მე კი აქ რაღაც მარტოობას განვიცდი.

ლენა რისთვის ასე ლაპარაკობ, მამა?.. განა მე, შენი შვილი აქ არა ვარ?

ლუკა აქ ხარ, შვილო, მაგრამ ჩემთან მოსვლას ვერ ახერხებ. ასე მგონია თითქოს წინანდელი ლენა არ ხარ. ძალიანი გამოიცვალე, ჩემთვის ყველანი უცნობი შეიქმენით.

ლენა აბა რას ლაპარაკობ, მამა. ნუ თუ მე, შენი, ლენა უცნობი ვარ?!

ლუკა არ ვიცი, ასე მგონია რაღაც გაწუხებს, შენ უფრო მხიარული იყავი, თვალები მუდამ გიცინოდა, იქნება მე მეჩვენება.

ლენა მე ხომ ხშირად მოვდივარ შენს ოთახში?

ლუკა მუდამ თვალები ცრემლებით გაქვს სავსე, მამის გული მუდამ მიხვდება შვილის სულიერ ცვლილებას.

ლენა მამა-ჩემო, ძვირფასო (კოცნის) სჩანს მუდამ ჩემზე ფიქრობ!

ლუკა სანდრომ დაგვივიწყა... ძნელი ყოფილა ნაცნობ-მეგობრების მოშორება, ნუ თუ ვერ შევირიგებთ?

ლენა როცა გზაში შემხვდება, გადაუხვევს, ვლადიმერი თვალის დასანახავად ეჯავრება.

ლუკა კერპია... (ბაუსს) გუშინ ვერ მოვითმინე და გავიარე. ლეო შემხვდა.

ლენა ლეო?!

ლუკა როგორც დამინახა, გადამეხვია, მუშათა გამარჯვება მომილოცა. ჩვენთან რისთვის არ ხარო. ჩვენ ვლადიმერივით მდიდრები არა ვართ, მაგრამ სიხარული, აღფრთოვანება ჩვენში მეტიაო. ბევრი მელაპარაკა ახალ წესწყობილებაზე. თვალები ცრემლებით ამევსო. მომაგონდა ჩვენი ლარიბული ცხოვრება. თვალ წინ წამომიდგა ჩემი პატარა სამუშაო დახ-

გა. და ისე მომესურვა მუშაობა, რომ... სიღარიბეშიც ყოფილა, შვილო, სიყვარული, გატაცება.

ლენა სანდროზე რა გითხრა?

ლუკა ბევრი რამ, ეხლა სანდრო ჩემთვის უფრო ძვირფასიაო.

ლენა ვლადიმერი არ უხსენებია?

ლუკა არა. (მაჩერდებიან ერთი მეორეს).

ლენა მამა, შენს თვალებში ცრემლები...

ლუკა თითქოს შენცა სტირი...

ლენა მეც... (ჩეკვრებს გულში).

ლუკა ლენა, შვილო, რაღაცას მიმალავ?

ლენა არაფერს, მამა... (შეშოდის მსახური).

მსახური ქ-ნო, მამა თქვენს ექიმი ელოდება (გადის).

ლენა წადი, მამა-ჩემო. (აკოცებს. ისმის ქუჩიდან რეოდიუმიური სიმღერა. ბუნა. ლუკა და ლენა ფანჯარაში ისედებიან).

ლენა სანდროს ხმა არის!

ლუკა ლეო ტრიბუნაზე ადის... დღეს დიდი მიტინგია. ნეტავ შემეძლოს დასწრება. (ლუკა გადის. ლენა დიდხანს დგას გადებულ ფანჯარასთან და ისმენს სიმღერას, მერე მობრუნდება, მწუხარედ მიმოიხედავს ოთახს ირგვლივ).

ლენა რა მშვენიერებაა, რა სიხარულია იქ... აქ კი გულის მომკელელი სიცალიერეა (შეშოდის მსახური).

მსახური (შეშოიქვს წერილი) ქ-ნო ეს წერილი თქვენი გახლავთ.

ლენა ვისგან არის?

მსახური აქ რომ ექიმი დადის, მან გადმომცა.

ლენა კარგი (გაშოიბრუნებს წერილს). ვლადიმერს რომ წერილი გადაეცი, ვისგან იყო?

მსახური ექიმის დამ გამოუგზავნა.

ლენა (ეჭვიანი სახით) ექიმის დამ?!

მსახური დიახ, ქ-ნო.

ლენა კარგი წადი. (მსახური გადის) საინტერესო არის, რას მწერს. (კონვერტს გახსნის და კითხულობს). „მშვენიერო ლენა! ოთხი თვე იქნება რაც თქვენ გაგიცანით, მაგრამ წუხელ საზოგადო საკრებულოში სულ ახალი სახით მეჩვენეთ, მე მუდამ მწამდა, რომ თქვენ მთლიანი პიროვნება იყავით და მუდამ სწორად აზროვნებდით. ყოველ შემთხვევას, რაც გინდა იგი მძიმე ყოფილიყო, ამაყათ შეხვდებოდით; მე თქვენი შეურაცყოფილ სულის მოძრაობას მუდამ თვალ-ყურს ვადევნებდი, მინდო-

და უგრძნობ ვლადიმერისთვის შესაფერი პასუხი მიმეცა; ერთხელ და უკანასკნელად დამერწმუნებინა, რომ ის შენში მშვენიერ გარეგნობას სცემს თაყვანს და თქვენის სულის სისათუთეს ფეხქვეშ თელავს. წუხანდელმა მისმა გამოსვლამ თქვენ წინააღმდეგ, მე მგონია დაგარწმუნათ იმაში, რომ ის თქვენი მშვენიერ განცდების ჯალათია. მხოლოდ მე ერთი ვგრძნობდი თქვენი სულის ქვითინს და ეს ჩემი გრძნობა თქვენდამი ისე მძლავრია, რომ გადაჭრით გადავწყვიტე ვეზიარო თქვენი სევდით და გიხსნა იმ ტყვეობიდან, რომელშიაც ეხლა იმყოფები. დღეს მამა-თქვენის სანახავად მოვალ, წინასწარათ წერილი იმისთვის გამოგიგზავნეთ, რომ მოემზადოთ, თანამგრძნობელ ადამიანს შესაფერად შეხვდეთ. სხვას პირადათ გეტყვით. **ექიმი ილია.** (სევდიანათ კაკადიმება). საზიზღრები... უკვე დაიწყეს... სურთ სულიც გამირყვნან და ქალურ ამპარტავნობაზე ხელი ამაღებინონ (წერილს დახევს) ლენას სული ჯერ კიდევ არ დაცემულა და უკიდურეს მდგომარეობაშიაც არ დაკარგავს სიმტკიცეს. (კარის ტოტა ხნის შემდეგ შემოდის ვლადიმერი. და ილია).

ილია გეუბნები, ყურს ნუ ათხოვებ მეთქი. ვინც შენზე რამეს დასწერს თუ ყველას პასუხი გაეცი, ვინ იცის სანამდის მიხვალ. არ ვიცი, თუ ასეთი მიმდინარეობა მიიღო საზოგადოებრივმა აღმაშენებლობამ, ყველაფერი დაიღუპება.

ვლად. გასაკვირველიც არ იქნება, თუ დაიღუპება, ჩემი ცოლის ძმა სანდრო ქვეყნის მართველია.

ილია ხა, ხა, ხა. ბედნიერი ხარ, ვლადიმერ, ასეთი ცოლის ძმა გყავს, მაგრამ შენი სიძულვილით ლამის სანდრომ მამაც და დაც დაივიწყოს.

ვლად. ძალიან მეპიტნავება. თუ არ შემაწუხებენ უფრო კმაყოფილი ვიქნები.

ილია (ჯიუდის) თუ ამჩნევ, ლენა უკანასკნელად საგრძნობათ გამოიცვალა.

ვლად. ვამჩნევ.

ილია შენი მოპყრობა მისდამი მაინც შეუფერებელია.

ვლად. მაგალითად?

ილია ლენა ისედაც ვერ ეთვისება აქაურ ოჯახის წესებს და ამასთან შენც ძალიან ცივად ეპყრობი.

ვლად. რამდენიმედ მართალია.

ილია ყველაფერს გულში იხშობს, თითქოს არავინ არ ყავდეს სევდა გაუზიაროს. თუ ასეთი სულიერი მდგომარეობა მასში დიდხანს გაგრძელდა, ცუდათ იმოქმედებს.

ვლად. უკანასკნელად მეც ვამჩნევ. ვერ ამიხსნია რაშია საქმე, ათას ვარი მიზეზები მიტრიალებენ გონებაში და საბოლოოთ რომელიმეს ვერ დავყრდნობივარ.

ილია ცუდია, როცა ქმარი ცოლის სულიერ მდგომარეობას ვერ გაიგებს.

ვლად. ხშირად მიდის მამასთან ოთახში, კოცნის მას და ტირის

ილია კარგია მამას თუ უზიარებს თავის სევდას.

ვლად. წარმოიდგინეთ, მამასაც არ ელაპარაკება რა აწუხებს.

ილია ერთი გარამოება კიდევ მიემატება სევდათ.

ვლად. რომელი?

ილია ეხლა მამამისზე საბოლოო დასკვნა გამოვიტანე, ის უნდა იქნას გადაყვანილი საავადმყოფოში, ან მოხუცთა თავშესაფარში.

ვლად. ამას მეც ვფიქრობდი. ატმოსფერა იწამლება. საშიში ავადმყოფია.

ილია ლენაზე ცუდათ იმოქმედებს.

ვლად. ჩემის დაკვირვებით, ლენაც არ უნდა იყვეს კარგათ?

ილია (ღიმებს) ბუნებრივია, მემკვიდროებითი სენი ადრე თუ გვიან ადამიანის ორგანიზმში თავს იჩენს. ზოგჯერ ლენა არა ჩვეულებრივი ხმით ახველებს. ხომ გახსოვს ჩემი რჩევა.

ვლად. მიშლიდი შერთვას... მაგრამ...

ილია მაგრამ შენ, როგორც სილამაზის თაყვანისმცემელი, ლენამ მოგხიბლა. საკვირველი ის იყო, რომ მასში რაღაც პოტენციურ ძალას ხედავდი და მისგან არა ჩვეულებრივი ფორმის გამოკვეთას ფიქრობდი (ირონიით) მაგრამ არ ვიცი, მოდელი გამოდგა ცუდი თუ მოქანდაკე.

ვლად. შენ, როგორ ფიქრობ?

ილია მახსოვს, სადღაც წამიკითხავს: მხატვარმა დაინახა მშვენიერი ქალი, მისმა გარეგნობამ ისე გაიტაცა ის, რომ ეგონა მისი სულიც ისე მშვენიერი იყო და აღფრთოვანებით დაიწყო ტილოზე ქალის სახის გადატანა. როცა სურათი ჩამოყალიბდა, ქალმა გაკვირვებით დაუწყო გამოკითხვა მხატვარს, თუ ვინ დახატა მან. სურათი ისეთი სათნო და წარმტაცი იყო, რომ თვით საგანმა ვერ გამოიცნო თავის თავი. მხატვარი უპასუხებს: მე მინდოდა შენი სხეულის და სულის სიმშვენიერე შემეზავებინა ერთ მთლიან სახეთ და ტილოზე თვალსაჩინოთ აღმეგზეკდაო. ქალმა გადიკისკისა, რადგანაც მისი ხორციელი სიმშვენიერე სრულიად წინააღმდეგი იყო მისი სულისა.

ვლად. ამით რა გინდა მითხრა?

ილია ის, რომ ლენა შენ ვერ შეიგენ, როგორც იმ მხატვარმა ვერ შეიგნო

ის ქალი. ლენას გარეგნობა შენი მიზანი იყო. მას მიაღწიე. თუ ზოგჯერ მის შემომქმედ სულზე ლაპარაკობდი ეს ტრაფარეტი იყო, თუ ლენას გარეგნობა აგიტაცია იყო კაცის ვნების გაღიზიანებისა, ამის გვერდით მისი შინაგანი ფსიხიური განწყობილება წინააღმდეგი იყო ამის. ლენა გონებრივი ნებისყოფაა და შედეგრი ქალის სპეტაკი პიროვნებისა.

ვლად. და მერე მის სისპეტაკეს არ ვცემდი პატივს?

ილია სულიერ მთლიანობას მარტო პატივისცემის გრძნობა არ განსაზღვრავს. აღზდის სხვა და სხვაობა ფსიხოლოგიაში დიდი ადგილი აქვს. ყველა არსის ურთიერთ შორის გარმონიული სიმთლიანე შეგუების კანონს ექვემდებარება, შენს პიროვნების ლაბირინტში ლენა არ შემოჭრილა. ის მარტო დგას.

ვლად. და ეს რომ ასე მოხდებოდა, ლენამ იცოდა?

ილია ადამიანი ვერას დროს წინასწარათ ვერ წარმოიდგენს მის მომავალ ცხოვრებას. ერთს მარტივს და ბრმა შემთხვევას შეუძლია ყველაფერი დაღუპოს. მოვლენის გარდამავლობა ადამიანს არწმუნებს, რომ ცხოვრებას სწორეთ ალღო ვერ აუღო. ლენამ ეხლა სინამდვილის გავლენით შეიგნო თავის თავი. და ეს არის სწორეთ მიზეზი თქვენი წინააღმდეგობისა. (კარედან მოისმის ლენის სევდიანი, ნელი სიმღერა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ შეწყდება. ვლადიმერი და ილია სიჩუმით ისმენენ) აბა განიცადე ლენას სიმღერის საიდუმლოება.

ვლად. ლენას სიმღერით გატაცება ხშირად უყვარს ხოლმე.

ილია ცვალებადობას უნდა ამჩნევდე. ლენა ისე არ მღერის, როგორც იმღერებენ სიამით სავსენი, არამედ იგი თავისი ობოლი სულის კვნესას გვამცნობს. იყო დრო, ის ვით არწივი უძახდა თავის მომავალს, ეხლა...

ვლად. ეხლა რა?..

ილია ეხლა კი თავის მომავლის სასაფლაოზე ცრემლებს აფრქვევს.

ვლად. შენმა სიტყვებმა მე ღრმად დამაფიქრეს. შენი აზრით მე ლენას სულის ჯალათად გადავქცეულვარ.

ილია შენ როგორ ფიქრობ?

ვლად. მეტის მეტად აზვიადებ.

ილია მე არაფერსაც არ ვაზვიადებ, ეს თავისთავად ასე არის.

ვლად. მე არ ვარ დამნაშავე, ეს მწამს.

ილია სუსტი მოსამართლე ვიქნები (შემოდის მსახური).

მსახური ქალ-ნს სურს გალიიდან ფრინველი გაანთავისუფლოს, მითხრა: თქვენ-გან ნებართვა ამეღო.

ვლად. რა ახირებული საქციელია!

ილია თუმცა ახირებულია, მაგრამ საინტერესოც არის, როგორც ერთი დეტალი სულის ცვალებადობისა.

ვლად. მე ნებას არ ვაძლევ.

ილია ეცადე ლმობიერათ მოეპყრა.

ვლად. წავიდეთ (გადიან. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის სანდრო, უკან მოუყვება **მსახური**).

მსახური თქვენ ვინ ბრძანდებით? ყველა ბალში არიან.

სანდრო ხომ იცი, აქ რომ მოხუცი არის?

მსახური ლუკა, ლენას მამა, არა?

სანდრო სად არის ეხლა?

მსახური აივანზე იყო.

სანდრო გადაეცი, სანდრო მოვიდათქო!

მსახური თქვენ ქა-ნის ძმა ბრძანდებით?

სანდრო ქალ-ნს მე ვერ ვიცნობ, დამიძახე მამა-ჩემს.

მსახური თვითონაც აქეთ მოდის. (გადის. შემოდის ლუკა, კოტნის სანდროს).

ლუკა ჩემო ძვირფასო შვილო, დაგინახე აქეთ მოდიოდი, რისთვის მრგვიჟულე, შვილო, ნუ თუ მოხუც მამას ასე უნდა მოექცე?

სანდრო შენს წინაშე დამნაშავე ვარ, მამა, მე მეგონა აქ კარგათ იყავი. ლეოს შეხვედრიხარ და კიდეც გიტირნია, გავიგე, ცეცხლი მომედო, ვერ მოვითმინე, კრება მივატოვე და წამოველი. შემოვედი ისე დაუკითხავათ უკან კარებიდან.

ლუკა რა გაუხარდება ლენას! შვილო, უნდა შეურიგდე სიძეს, ასე ხომ არ დარჩებით სულ, ლენა მუდამ ტირის.

სანდრო ლენა სტირის?! საკვირველია...

ლუკა ძნელია, შვილო, როცა ძმა დას გაუჯავრდება... შერიგდით.

სანდრო ეს კითხვა ეხლა არ მაინტერესებს. მას როგორც სურდა ისე მოიქცა. შენ, მამა, უფრო გამხდარხარ. რას ნიშნავს ეს?

ლუკა არ ვიცი, შვილო, თანდათან ცუდათ ვხდები... ვგრძნობ, დიდხანს ვერ ვიცოცხლებ.

სანდრო მერე იქ მარტო, ცალკე ოთახში უნდა შეხვდე სიკვდილს?

ლუკა მე, შვილო, გადაწყვეტილი მაქვს ისევ ჩემს ღარიბ ცხოვრებას დავუბრუნდე. აქ სული რაღაც ვერ ისვენებს, მარტოობას ვგრძნობ.

სანდრო ალბათ ლენას დრო არ აქვს, რომ მოგიალერსოს?

ლუკა ხომ იცი ქმრის განკარგულებაში არის, თავის ნებაზედ ხომ ვერ იმოქმედებს?

სანდრო მაშ ასე, მამა-ჩემო, წამოხვალ არა?

ლუკა თუმც გაწყენინე, შვილო, მაგრამ...

სანდრო აბა რას ლაპარაკობ, შენ ისევ ჩემი ძვირფასი მამა ხარ, როცა მარტო ვრჩებოდი, ცრემლები მომადგებოდა თვალებზე, მტანჯავდა ის გრძნობა, რომ ამ გამარჯვების დროს ჩვენთან არ იყავ.

ლუკა ჩემო შვილო. ეხლა სიკვდილს არ ვდარდობ.

სანდრო წავიდეთ, მამა, ეხლა თავისუფლები ვართ, ვერავინ დაგვიჭერს, დღეს მე და ლეომ მოვილაპარაკეთ სააგარაკოთ გაგიშვათ, ლეოს ოჯახი ხომ იცი, სააგარაკო მხარეა.

ლუკა მგონი, ლენაც მიდის სააგარაკოთ. მე, შვილო, თუ კარგად ვიქნები კიდევ ვიმუშავებ. ვერ გავძელი. მინდა რაღაცას ვაკეთებდე.

სანდრო ჩვენ, მამა, თავისუფლები ვართ, მაგრამ ისევ დარიბები. ჩვენი სიმდიდრე ჩვენი სიყვარული და ერთობაა, წინანდელთან შედარებით უფრო კარგათ ვიცხოვრებთ.

ლუკა ლენა... რაღაც მეცოდება.

სანდრო რისთვის?

ლუკა მარტო რჩება, ჩემი წასვლით დასევდიანდება.

სანდრო წავიდეთ, მამა-ჩემო, მე აქ ვერ ვძლებ.

ლუკა ჩემ ოთახში ავიდეთ ჯერ.

სანდრო ეცადე, მამა-ჩემო, ყველაფერი საკუთარი წამოიღო.

ლუკა ამ ტანისამოს დავტოვებ, ჩემი ძველი პიჯაკი ისევ შენახული მაქვს.

სანდრო ის ჩაიცვი, წავალთ სახლში, იქ შენთვის ყველაფერი მაქვს (გადაინ. შემოდიან ილია და ვლადიმერი)

ილია კარგი, ვლადიმერ, ხომ დაინახე ისედაც ცუდ ხასიათზე არის, ან რა უნდა იყვეს უბრალო ფრინველის გაშვება, ასე რომ აღელდი.

ვლად. მის ჟინიანობას საზღვარი არ აქვს, საჭიროა აილაგმოს.

ილია გაზვიადება მეტად გაამწვავებს მდგომარეობას (ისედაც ფანჯარაში) აქეთ. მოდის, ეტყობა ნერვიულ მდგომარეობაშია, ნურაფერს ეტყვი.

ვლად. ლამის...

ილია კარგი (შემოდის ლენა).

ლენა ბ-ნო ექიმო, მამა-ჩემს თქვენ განუცხადეთ, რომ საავადმყოფოში უნდა წავიდეს?

ᲘᲚᲘᲐ მერე ვინ გითხრათ?

ᲚᲔᲜᲐ მეეზოვე ეტლისთვის მიდიოდა..

ᲘᲚᲘᲐ ეს იმიტომ, რომ თქვენი ოჯახის ჯანმრთელობა მოითხოვს.

ᲚᲔᲜᲐ შეუძლებელია. მე უმისოდ არ ძალმიძს აქ ცხოვრება, ის ხომ ცალკე ოთახშია?

ᲕᲚᲐᲓ. სულ ერთია... ამ ჰერქვეშ არის (შუმოდის მსახური).

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ქალ-ნო, თქვენი ძმა გიახლათ.

ᲚᲔᲜᲐ ჩემი ძმა?!.

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ლუკას ოთახშია.

ᲚᲔᲜᲐ (მიდის ოთახისკენ, ამ დროს შუმოდის სანდრო და ლუკა. ლუკას სხვა ბიჯაკი აცვია. მსახური გადის) სანდრო!, (კოტნის სანდრო ეჯელას სალამს მისცემს).

ᲘᲚᲘᲐ ძალიან ცუდათ იქცევით, სანდრო, ასე უბრალოდ რომ გაებუტეთ სიძეს და თქვენს დას.

ᲚᲔᲜᲐ ნუ თუ არ გგახსენდით, სანდრო, მე თუ გინდ მომიძულე, მაგრამ მოხუცი მამა ხომ გიყვარდა?

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ მეგონა თავის ქალიშვილის ხელში არა გაუპირდებოდა, მაგრამ...

ᲚᲔᲜᲐ მამა-ჩემს მოვლა არ დაკლებია!

ᲕᲚᲐᲓ. მადლობის მაგიერია.

ᲘᲚᲘᲐ პირიქით ყოველ დღე საექიმო დახმარებას ვაწვდიდით.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ბოდიშს ვიხდი, ბ-ნო სიძე, რომ მადლობის მაგირ გისაყვედურებთ, ვეცდები დანაკლისი აგინაზღაუროთ, თქვენიც მადლობელი ვარ, ბ-ნო ექიმო, რომ მამა-ჩემზე ზრუნავდით და სულით რომ დაგემშვიდობებინათ, თავშესაფარში აგზავნიდით.

ᲚᲔᲜᲐ მე ამის ნებას არავის მივცემდი.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ვინც თავისთავს ყიდის, მას ნების-ყოფა არა აქვს.

ᲘᲚᲘᲐ მეტის მეტია.

ᲕᲚᲐᲓ. აუტანელია.

ᲚᲣᲙᲐ რა არის, შვილებო, ნუ თუ კიდე დაშორებულნი უნდა იყვეთ, შერიგდით. მე ისევ ჩემთვის ვიშრომებ, არვის შეგაწუხებთ. შვილო, სანდრო, შერიგდით.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ტყვილი ცდაა, მამა-ჩემო, ჩვენი შერიგება შეუძლებელია.

ᲚᲣᲙᲐ ვლადიმერი ჩვენი სიძეა, შვილო, ლენა ხომ შენი და არის?

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ეს უმნიშვნელოა.

ᲘᲚᲘᲐ მართალია. (მიდის სარკმელთან. შუმოდის მსახური).

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ მოხუცის წასაყვანად ეტლი გიახლათ.

ᲚᲔᲜᲐ — რა ეტლი?

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — თავ-შესაფარიდან.

ᲚᲔᲜᲐ — თავ-შესაფარი...

ᲘᲚᲘᲐ — არ არის საჭიროა.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ — არა საჭიროა. იმ ეტლით ჩვენ წავალთ, მამა-ჩემო.

ᲚᲣᲙᲐ — (უმშვიდობᲔᲑᲐ ᲣᲤᲚᲘᲡ) ნუ დაგვიიწყებ, ლენა.

ᲚᲔᲜᲐ — ნუ თუ მიდიხარ, მამა-ჩემო?!

ᲚᲣᲙᲐ — მივდივარ, შვილო, ნუ გეწყინება (ᲓᲔᲜᲐ ᲐᲢᲠᲣᲛᲓᲔᲑᲐ).

ᲘᲚᲘᲐ — კარგი, ლენა, მოხუცს იქ უჯობს. (ᲒᲐᲓᲘᲘᲜ ᲓᲣᲤᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ).

ᲚᲔᲜᲐ — (ᲥᲕᲘᲗᲘᲜᲔᲑᲘ) მამა-ჩემი მიდის, ყველა წავიდა. მამა, სანდრო... (ᲐᲥᲕᲘᲗᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲣᲠᲓᲚᲝᲑᲐ).

ᲤᲐᲠᲓᲐ

ᲛᲝᲚᲘᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

(ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘᲗ, ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ. ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲐ. ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘ).

ᲘᲚᲘᲐ — (ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ) ვისია ეს ბინა?

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — ჩვენი გახლავთ.

ᲘᲚᲘᲐ — ვის აქვს დაქერილი?

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — ᲕᲘᲚᲐᲪ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲘᲚᲘᲐ — სახელი და გვარი არა აქვს იმ კაცს?

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — გვარი არ ვიცი, ბატონო.

ᲘᲚᲘᲐ — სახელი მითხარი.

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ — ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ.

ᲘᲚᲘᲐ — კარგია. ჩვენი ყოფილა (ᲒᲐᲠᲗ ᲔᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲔᲜᲘᲡ) გადმოდი, ლენა, ეტლიდან. აქ არის ჩვენი ბინა. (ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ) შენ, წადი და ეტლიდან ავეჯი გადმოიტანე. აქ დაალაგე. (ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ, ᲨᲔᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲚᲢᲝᲢᲘ. ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲔᲜᲘᲡ) როგორ მოგწონს, ლენა, ეს ბინა? კარგი ალაგია არა?!

ᲚᲔᲜᲐ — არა უშავს.

ᲘᲚᲘᲐ — მთებიდან ჰაერი პირდაპირ აქეთ მოდის, ეს თქვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არის.

ᲚᲔᲜᲐ — კარგი მდებარეობაა.

ილია გამჩნევთ შგზავრობამ დაგღალათ?

ლენა არა უშავს. ვლადიმერი რისთვის ჩამოგვშორდა?

ილია ხომ იცი, მას აქ ბევრი ძველი ნაცნობ-მეგობრები ყავს, შეხვდენ, მიიპატიჟეს, იქნებ შეზარხოშებული მოვიდეს.

ლენა (შუბლზე ხელს მიიდებს) თავი ამტკივდა.

ილია პარაშოკს მოგცემთ, დალიეთ და გაგივლის.

ლენა არა უშავს, ისედაც გამივლის.

ილია ალბათ; ვლადიმერის შეუფერებელმა სიტყვებმა მოახდინეს ცუდი გავლენა?

ლენა- არ ვიცი.

ილია ახირებული კაცია, ვერ შერიგებია ფრინველის გაშვებას. გაუშვი და მორჩა, გათავდა, ამით მსოფლიო კატასტროფა ხომ არ მომხდარა.

ლენა ერთი მიზეზთაგანია.

ილია საკვირველია. თითქოს ვლადიმერს ვერ ვცნობ. სულ ბრაზიანობს, ჩემს დარიგებას არაფრად აგდებს. თქვენც, ლენა, არ ხართ ჩვეულებრივ მხიარული.

ლენა მართალია.

ილია (გაიგდ-გამოიგდას. ეტყობა რაღაც უნდა უთხრას ლენას, გერ გაუბედნია) ერთი შეკითხვა მინდა, ლენა.

ლენა ბრძანეთ, ვისმენ.

ილია თქვენმა მსახურმა მითხრა, როცა ფრინველისთვის გალიის კარი გაგიღიათ, მაშინ გითქვამთ: „მე ჩემი ტყვეობა მეყოფა, შენ მაინც განთავისუფლდიო," ამ სიტყვებში მე დავინახე თქვენი სულის განწყობილების არა ჩვეულებრივობა. ასე მგონია თქვენ ეხლაც ტყვეობას განიცდით და ის ფრინველი სიმბოლო უნდა იყოს თქვენი სულის სწრაფვისა.

ლენა (გაიტაცებს მოგონება) მართალია, სევდიანი სულის კარნახი იყო, მახსოვს... ვლადიმერმა იმ ფრინველის დაჭერის და აღზდის ამბავი ზღაპრული სახით მიამბო; მაშინაც ვიგრძენ ფრინველის ტყვეობა, მისი ობლობა, მოველი თუ არა ვლადიმერის ოჯახში, პირველად ის ფრინველი ვინახულე. ის გალობდა... თითქოს ტიროდა... მე მივხვდი, გავიგე მისი წუხილი, ცრემლები გადმომცვინდა.. და ის ცრემლები კიდევ არ შეწყვეტილა. მეც მას მერე ტყვეთ ვგრძნობ თავს. იმ დღეს ვერ მოვითმინე, გავაღე გალიის კარები და ფრინველი განვათავისუფლე... დაიჭიკჭიკა, თითქოს მადლობა მიძღვნაო. მივჩერებოდი... მის

თავისუფალ ფრთებზე მეც ვიყავი... სადღაც მივქროდი... მაგრამ ის... გაფრინდა... მე... მე კი... ისევ...

ილია მშვენიერი ფანტაზიაა! როცა გაიფანტა წარმოდგენის ბურუსი, ფრინ-ველის მაგიერ გალიაში, თქვენ იგრძენით თავი არა?

ლენა ასე იყო.

ილია არა, ლენა, ნუ თუ გგონია, რომ შენს დატყვევებულ სულს არ გაუ-ღებენ კარებს თავისუფლებისას.

ლენა ჩემი სულის თავისუფლების კარები მე თვითონ დავკეტე და ისე, რომ ვერვინ მიწვდება მას.

ილია ლენა, რომ იცოდეთ როგორ მინდა, თქვენს სევდიან სულს მეგობრის სახით დავუახლოვდე. ჩემს წერილს ყურადღება არ მიაქციე.. იქ რამო-დენიმეთ ჩემი გულის აღსარება გითხარით.

ლენა (მიაჩერდება ილიას ადელვებული, მაგრამ მშვიდი და სათნოიანი სახით) ბ-ნო ილია, თქვენ ხომ ვლადიმერის მეგობარი ბრძანდებით?

ილია რათ მაძლევთ ასეთ შეკითხვას?..

ლენა მე მინდა ამის შესახებ თქვენგან გარკვეული პასუხი მივიღო.

ილია შეიძლება მე ვლადიმერის მეგობარი ვიყო, მაგრამ ეს რა მოსატანია, როდესაც...

ლენა როდესაც?..

ილია სიყვარული იპერს ადგილს.

ლენა (მიაჩერდება ირონიული და მრისხანე სახით) სიყვარული?!.

ილია (შემკრთალი კილოთი) თქვენი კილო და სახის გამომეტყველება მე იძუ-ლებულს მყოფს წმინდა გრძნობა არ გაგიმჟღავნოთ.

ლენა სიყვარული... წმინდა გრძნობა... რა მშვენიერი, წარმტაცი ნიღაბია გაქნილ ხელოვანის გასამშვენიერებლად.

ილია თქვენ ვერ აფასებთ მოვლენას.

ლენა (მტკიცედ) კმარა! გრცხვენოდეს და ოდესმე მაინც იგრძენით სიწითლე, რომ ჩემს დევნილ ცხოვრებას გახრწნილ მიზნებით უპასუხებთ.

ილია ლენა, თქვენ ცდებით...

ლენა ალბათ ძლიერ დარწმუნდი იმაში, რომ თქვენი არა ჩვეულებრივი სი-დარბაისლე თვალებს ამიხვევდა.

ილია ამ შემთხვევაში...

ლენა თქვენმა მეგობარმა ხომ ჩამიკლა სიცოცხლის აზრი, თქვენც უთანაგ-რძნობთ, გინდათ ჩემი სიამპარტავნეც მჩვარათ გაიხადოთ... შესდექით... აქამდინ მაინც ვერ მიაღწევთ.

ილია (უსერხულ მდგომარეობაში) ლენა, მე თქვენ მეტის-მეტად მამცირებთ, შეიძლება ამის მიზეზი აღელვება იყოს?

ლენა დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე აღელვება გონებას არ მიბნევს.

ილია მაშ, რა საბუთით მაყენებთ ასეთს შეურაცხყოფას?

ლენა საბუთი?!. გეშინიათ, რომ ოფიციალურ პასუხისგებაში არ მიგცეთ?

ილია პასუხის გება სხვა გვარიც შეიძლება.

ლენა რასაკვირველია, ესეც იცით, თუმც საეალდებულო არ არის. მე მინდა გავიგო: რამ გაიძულათ სააგარაკოთ წამოსულიყავით?

ილია თქვენი აზრით, თქვენმა გრძნობამ არა?

ლენა ახსენით.

ილია გმადლობთ, მე კი არ მეგონა, თუ ასეთი შეხედულება ქონდათ ჩემზე.

ლენა მართალია... ძალიან ძნელია გამოგიცნოს ადამიანმა, სად იწყებით და სად თავდებით, მაგრამ ჩემთან ალბათ სწორი მიზან-სცენები არ დაგირჩათ.

ილია მე თქვენთვის ძალა არ დამიტანებია.

ლენა აჰა მართლა შეგიძლიათ დაამშვიდოთ სინიდისი, ვითომც ზნეობრივი დასაყრდნობი დაგრჩენიათ. მაგრამ თუ მოუხეშავი ადამიანი ასეთს შემთხვევაში ფიზიკურ ძალას მიმართავს და გამხეცდება, ამას თქვენ ვითომ უფრო „პატიოსნურ“ ფორმებით აკეთებთ, მიზანი კი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

ილია ბოდიშს ვიხდი, მე ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე. ეხლა გთხოვთ ჩემი წერილები დამიბრუნოთ. ვლადიმერმა რომ ნახოს, არ არის კარგი.

ლენა დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. მე დრამების თამაშს არ ვარ ჩვეული. თქვენს წერილებს მიღების თანვე ვხევდი. შეგიძლიათ ვლადიმერს პირნათლად შეხვდეთ (ლენა ზარს რეკავს. შემოდის მსახური).

მსახური რას მიბრძანებთ?

ლენა წყალი მომიტანე.

მსახური ამ წუთს (გადის).

ილია წავალ, ვლადიმერს მოვნახავ. ლენა, გთხოვთ ყველაფერი დაივიწყოთ.

ლენა არ მოგაგონებთ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

ილია გარწმუნებთ, ასეთი შემთხვევა არ განმეორდება ჩემ მხრივ. საკმარისი სიწითლე ვიგრძენი.

ლენა მე შენდობას არ გთხოვთ.

ილია ვეცდები შეცდომა მომავალში გულწრფელ მეგობრობაზე გადავიტანო.

ლენა (დიმიდით) კარგ საფუძველზე წარმოიშვა (იდაა კარის. შემოდის მსახური).

მსახური (შემოაქვს წყალი) ინებეთ.

ლენა (წყალს დალევს) შენ დიდი ხანია აქ მსახურობ?

მსახური ხუთი თვე იქნება.

ლენა (ფანჯარას გაიყურებს) აი იქ, მთის ფერდობზე რომ ხალხი სჩანს, რა შემთხვევაა იქ.

მსახური აი იქ, პირდაპირ, არა?

ლენა მარჯვნივ.

მსახური როგორც მოგახსენებენ, ვილაც მუშა მომკვდარა. ამხანაგებში ცნობილი ყოფილა, პატივის ცემით ასვენებენ.

ლენა სახელი და გვარი არ იცი?

მსახური თუ გნებავთ, გავიგებთ.

ლენა კარგი, არ არის საჭირო.

მსახური სხვას ხომ არაფერს მიბრძანებთ?

ლენა არაფერს, წადი. (მსახური გადის. ლენა ოთახს აწყაგებს, აიღებს ვლადიმერის ბალტოს, ჯიბიდან კონცერტი გადმოვარდება, ლენა კონცერტს აიღებს, კითხულობს) № 14, ოლიას. მარტო სახელი, ეს ხომ ილიას და არის... დაბეჭდილია. გახსნა ხომ უზნეობა იქნება? (დაფიქრდება), არა, ზოგჯერ ეჭვი გზის მანათობელია, გასაკვირვი არ იქნება. (კონცერტს ხსნას, სხვ. უფიფრდება, კითხულობს ფურცლით). ჩემო ძვირფასო ოლია! ჩვენი თავისუფალი ტრფიალის დრო დადგა. თქვენი ძმის რჩევით ლენა საგარაკოთ მიმყავს. ილიაც, როგორც თვითონ მითხრა, ამ სეზონზე აგარაკზე დარჩება, ლენამ რომ ეჭვი არ აიღოს, ღრო გამოშვებით ვინახულებ. მეტი დრო შენთან ვიქნები, თუ ლენას ავადმყოფობამ უმატა, მაშინ ჩვენი შეერთების კითხვა გადაწყვეტილი იქნება. აზრად მაქვს, ლენას ავადმყოფობა მოვიმიზეზო და კიდეც გავეყარო მას; შემდეგ უშიშრად ჩავეკვრებით ერთი მეორეს. შენი სულის ნახევარი ვლადიმერი. (ლენა დიდხანს გარინდებული სდგას) შენი სულის მეორე ნახევარი... ბედის საშინელი დაცინვა... საწყალი ლენა... როგორ მოსტყვილდი... სადა ხარ... (ირგვლივ მიმოიყურებს ოთახს სკვდით მოტეული) სადა ვარ... ღმერთო, როგორ დაცალიერდა ყველაფერი, ნუ თუ ეს არის აღტაცებული ოცნების ნაყოფი. (შორიდან ისმის ორკესტრის სამგლოვიარო მარში) რა ბედნიერია ის მუშა, პატივს სცემენ. როგორ გაქრა სიყრმის აღმაფრენა (სკვდით გაფლიმება. ბუზა. მუსიკა სწყდება, ისმის ვლადიმერის ხმა კულისებიდან).

ვლად. აბა, ილია, ჩემს მოსვლამდინ არ მომიწყინო სტუმრები. მაქ სჯობს ხის ძირში (შუმადის სკვნაზე) აბა, ლენა, წამოდი ძველი მეგობრები მესტუმრენ (დენა ჩუმად დგას) რაშია, ლენა, საქმე? ნუ თუ კიდევ გაბუტული ხარ? აუტანელია!..

ლენა მართალია, ვლადიმერ, აუტანელია, რადგანაც შენი სულის მეორე ნახევარი აქ არ არის.

ვლად. რა არის, რას ლაპარაკობ?

ლენა ასე სჯობს, ვლადიმერ, მე ნებას გაძლევ... ისარგებლე უშიშრად, „უშიშრად“... „ჩემი ავადმყოფობით“... წადი... ოლია გიცდის.

ვლად. ვინ ოლია?!.

ლენა მე აღარ ვარსებობ შენთვის, ალბათ ასე უნდა მომხდარიყო.

ვლად შენ, ლენა, ეშვით ხარ ავად... სტუმრები გვიცდიან.

ლენა (წერილს მისცემს) ეშვი... კარგი იყო გაფრთხილებულიყავი, შეგეძლო ორეოფობა ბოლომდინ შეგენარჩუნებინა.

ვლად. (წერილს დახევს და ხელში დამუჭნავს) ლენა... ეს...

ლენა სიტყვები ამის შემდეგ აღარ არსებობს (შუმადის იდეა).

ილია ვლადიმერ, ჩვენ მოვეწყვეთ, გიცდით, ლენა, თქვენ?

ვლად. ამ წუთს... ლენა, წამოდი ყველაფერი სისულელეა (ბადის)

ილია ლენა, ისევ გაჯავრებული, ნუ თუ... ასე გაწყენიეთ?

ლენა ღვთის გულისათვის... მომასვენეთ!..

ილია ბოდიშს ვიხდი (ბადის).

ლენა (ბაუ'ხა) რა მალე შემოკლდა ცხოვრების გზა (ჩაშოჯდება, ოავს ხელებზე დაიურდნობს. კუდისებიდან ისმის სიმღერა).

„ტურფავ, ტურფ რას უყურერებ,
მოაცურე ჩვენსკენ ნავი.
ერთად დავსხდეთ და უყუროთ!..“

ჩემი ყოფნის ნავი უკვე ჩაიძირა...
ისმის მუსიკის სამგლოვიარო ხმა) რა კარგია სიკვდილი... მიასვენებენ... დენა ისმენს მუსიკის ხმას და იტრემდება, როცა მუსიკა შეწყდება, აურდება ქვითინი, ამ დროს შუმადის დეო. დენას რომ დაინახავს ამ მდგომარეობაში, გაჩერდება) „რა კარგი იყო, როცა ძონძებ ქვეშ ყვაოდა გული,“ მხოლოდ ეს სიტყვები დამრჩენ... „და ბრძოლისა ქარიშხალში სიყვარული დამარხული...“ მე დამნაშავე ვარ, ლეო, დავიბენ...

ლეო (შეკრთება, მიეკა დენასთან ახლოს) ლენა!

ლენა (როცა ლეოს დაინახავს, თვალებს არ უჯერის) ლეო... აქ... მოჩვენება ხარ თუ...

ლეო. გამარჯვება, ლენა, ჩემს სახელს ახსენებდი... იქნებ მომესმა...

ლენა შენს სახელს... არ ვიცი...

ლეო. არ შემეძლო არ მოვსულიყავი, თუმცა არ მინდოდა... აუტანელია, როცა აქ მხიარულება და სიმღერაა...

ლენა მომიტევე... ლენა აღარ არსებობს, ის ყველამ უარყო, მე მარტო ეული, განწირული დავრჩი... მამა ჩემიც მომაშორეთ... არავის ვახსოვარ!

ლეო. მე არ გასამართლებ, ლენა. მხოლოდ გვინდოდა გაგვეგონა შენი ხმა პირველად და უკანასკნელად და ყველაფერი გათავდებოდა.

ლენა უკანასკნელად... ყველა...

ლეო. მითხარი, ლენა, რამ დაგიხშო ერთ დროს მოსიყვარულე გული, რომ მამის სახე ამოირეცხე იქედან.

ლენა არა, ლეო, მამა-ჩემი როცა ჩემთან იყო ბევრჯერ მის გულზე ცრემლები მიღვრია... უარყოფილი მასში ვპოებდი სულის დასაყრდნობს, მაგრამ სანდრომ არ შემიბრალა... წამართვა უკანასკნელი ნუგეში...

ლეო. საკვირველია, ლენა, მამა ასე გიყვარდა და მის გაცივებულ სახეს უკანასკნელად...

ლენა რა სთქვი, ლეო?!!

ლეო. მამა-შენი გარდაიცვალა, ხომ გაიგონე სამგლოვიარო მუსიკა?

ლენა როგორ! მამა გარდაიცვალა, მოკვდა?!! მას ასაფლავებენ! (ტირის. კუ-ლისებიდან ისმის სიმღერა).

ლეო. ნუ თუ არ გაგიგია, ლენა?

ლენა ღმერთო... არ გამაგებინეს...

ლეო. როგორ! ჩვენ გაცნობეთ.

ლენა (მაყარდება სარეკელს) ახ... დაჩუმდით, დაჩუმდით!! (შემოდის ვლადიმერი).

ვლად. რა არის, ლენა? (შესდგეს ლეოს) შენ აქ?..

ლეო. ლენას რისთვის არ გააგებინეთ მამის გარდაცვალება?

ვლად. ახ, დამავიწყდა!.. ილია, გაჩუმდით! (გადის).

(ლენა ქვითინებს, ისმის ზარის ხმა და ნელი კადობა, ეს ფარდის ჩამოშვებამდი გრძელდება)

ლეო. (გაისედავს) ლენა, მამა მიასვენეს ეკლესიის გალავანში.

ლენა ასაფლავებენ...

ლეო. (სეფდანით გადის)

ლენა მამას ველარ ვნახავ... ყველა წავიდნენ... (მიეურდნობა კარებს) მამა, მიუტევე განწირულ ლენას; შენთან იმარხება ჩემი სიცოცხლის გაუშლელი ყვავილი... ჩემი მომავალი... შენ იყავ, მამა, მწარე მარტოობის დროს თავშესაფარი ჩემი დევნილი სულის... მე მრცხვენია... ვერ ვბედავ უარის მყოფელმა ახლოს მოგეკარო... მომიტევეთ... სანდრო... ლეო... დაასაფლავეთ ლენაც,... ისიც მოკვდა... აღარ არსებობს თქვეთვის. . (ნელა და ნესტი ხმით ქვითინებს. ეკლესიის ზარი ნიშნად დასაფლავებისა რამოდენჯერმე მძიმედ დაირეკება. მსა უერთდება მუსიკის და კადობის ხმა).

(ფარდა ნელა ეშვება)

პრიფაცი

ᲕᲐᲠ. ᲮᲣᲠᲝᲫᲔ

ᲔᲛᲘᲚ ᲕᲔᲠᲰᲐᲠᲜᲘ

Ა

ემილ ვერჰარნს თითქმის არც კი იცნობს ქართველი მკითხველი. მართალია ჩვენს ენაზე მოიპოვება ორიოდე მისი ნათარგმნი ლექსი, მაგრამ ისეთი დიდი მგოსნის გაცნობა, როგორიც იყო ამ საშინელი ომის დროს ტრაღიკულად დაღუპული ვერჰარნი, ყოველად შეუძლებელია.

ვერჰარნი საქვეყნოდ ცნობილი პოეტია; ის ისე დიდი და მიუწდომელია, როგორც გიოტე, შექსპირი, დანტე, ტოლსტოი, ბაირონი, რუსთაველი. ვერჰარნის სახელი ისე ათრთოლებს ევროპიელის გულს, როგორც დასახელებული საქვეყნო პოეტები. როგორც გიოტეს, შილლერის, ბაირონის და სხვათა სახელებთან შეკავშირებულია მთელი ლიტერატურული ეპოქა, ისე ვერჰარნის შემოქმედება ფარგლავს მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ უშესანიშნავეს საფეხურს.

ვერჰარნის შემოქმედება ერთის მხრივ საზღვარს უდებს ძველი ქვეყნის ნაგრძნობსა და ნაფიქრს და მეორეს მხრივ იწყებს ახალი ხანის, ახალი ცხოვრების ახალ შემოქმედებას. ემილ ვერჰარნმა ერთის ხელით რომ ძველი, სხვების მიერ დაწყებული სურათი დაასრულა, მეორეთი ახლის ხატვას შეუდგა. და ეს ახლის ხატვა არ ყოფილა მდარე ნიჭის მდარე მუშაობა, ბორძიკით ახალი გზის ძებნა. არა, ეს იყო დიდი ხელოვანის მიერ გენიალურად კალმის მოსმა და გენიოსის ინტუიციით ბრწყინვალე მომავლის განჭვრეტა. ერთის ფეხით ძველ ნიადაგზე მდგომი და მეორეთი მთელის არსებით ახლისკენ მიმართული მგოსანი, მთელის თავის მომჯადოვებელის შემოქმედებით ჯერ უცნობ და უნახავ მერმისისკენ მიისწრაფის... აი ამიტომ ეძახიან ემილ ვერჰარნს „ხვალინდელი დღის“ მგოსანს, რომელმაც დღევანდელ ბურჟუაზიულ ქვეყანას „სულთათანა“ უმღერა და თან მთელ კაცობრიობას დაანახა მომავლის განთიადი.

ემილ ვერჰარნი იყო შვილი პატარა ნეიტრალური სახელმწიფოსი, რომლის სახელი მრავალ-ტანჯული ბელგიაა.

წარმოიდგინეთ პატარა, საქართველოს ოდენა ქვეყანა ნემეცთა ზღვის ნაპირას, განათლებულ ევროპის საუკეთესო ადგილს მოთავსებული. მისი მკვიდრნი თუ მეტი არა ორჯელ მაინც აღემატება ჩვენი სამშობლოს მცხოვრებთ. მთელი მხარე ფაბრიკა-ქარხნებითაა მოფენილი, ციური ღრუბლის ნაცვლად გამურული

ტრუბების კვამლი ბურავს ცის კაბადონს. მზის სსივები კვამლის ხვეულში გაწოგნილი ეფინება მიდამოს. ფაბრიკების გვერდით ამართულია მონასტრები, ეკლესიები. ქარხანათა ზუზუნი და ზარების რეკვა ხშირად მიაქვს-მოაქვს ზღვის ნიავს ნახევრად პროლეტარულ და ნახევრად კლერიკალურ ბელგიის კარ-მიდამოში. ქარხანა და მონასტერი, სახარება და ჩაქუჩი, პროლეტარი და ჩასუქებულ-გაპარსული ბერი—აი რა ახასიათებს ამ თავისებურ ქვეყანას, სადაც წარმტაცად არის ერთი მეორესთან გადახლართული ძველი და ახალი, დრო მოქმული წარსული და მისს წიაღში აღმოცენებული ახალი.

აი ამ ბურუსიან და თითქოს მომაწყენელ ქვეყანაში გადადო თავი თავზე ძველმა და ახალმა; აი ამ ქვეყანაში, სადაც „ქვა-ნახშირია ყველაფრის ბატონი,“ დაეჯახა ერთი ეპოქა მეორეს. ცნობილ ისტორიკოსის სენიებოსის ცნობით 1831 წელს ბელგიის საგარეო ვაჭრობა უდრიდა 400 მილიონს, ხოლო 1890 წელს კი 6 მილიარდს. ვაჭრობა მრეწველობის ასეთი სწრაფი ზრდა ისტორიაში საკვირველებას შეადგენს. სწორეთ ამიტომ არის, რომ მონასტრის გვერდით ბელგიაში ქარხანა აზუზუნდა: ძველი ჯერ კიდევ არ დამარხულიყო და ახალი წამოიჭიმა მის წინაშე. ამ პირობებში, რასაკვირველია, წამავალსა და მომავალს შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამართულიყო და ეს ასეც მოხდა. ახალი გრძნობისა და ფიქრის აკვნად შეიქნა არა პარიზი და არც ლონდონი, არც ნიუიორკი და არც ბერლინი, არამედ გატყვიისფერებულ ცის გუმბათის ქვეშ ნესტიან ზღვის პირად მოთავსებული ანტვერპენი, რომლის ნავთ-საყუდარში პროლეტართა მოქანდაკემ, კონსტანტინე მენიემ აღმართა მოწიწების აღმძვრელი დიდებული ქანდაკება ნავთ-სადგურის მუშისა.

ბევრი შესანიშნავი ხელოვანი მისცა კაცობრიობას ამ პატარა ქვეყანამ, ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მწერლები დაბადა მან. სახელ განთქმული მორის მეტერლინკი ბელგიის შვილია, აქ გაიფურჩქნა მისი სევდიანი, მეოცნებე იისთვალა მუზა, მუზა დამფრთხალი, ნარნარი, გულის ამჩუყი და თან ღრმა, უსაზღვროთ ღრმა, თავჩაქინდრული. აქვე აწკრიალდა ვერჰარნის მებრძოლი ქნარი, ქნარი იმედიანი, გამბედავი, მომქმედი და მომავლის მომღერალი; საკაცობრიო ოცნებით აღტაცებული, მსოფლიო განთიადზე მღაღადებელი. აქვე აამეტყველა პროლეტარულის ენით მარმარილო და ბრინჯაო კონსტანტინე მენიემ, რომელსაც ახლო მომავალში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

ბ

ვერჰარნი დაიბადა დაბა სენ-ამანში, ანტვერპენის ახლო, 1855 წ. 21 მაისს. მამა-მისი იყო გვარიან შეძლებული მესაკუთრე, რომელიც საკუთარის ქონების შემოსავლით ირჩენდა თავს. ბიძია მისს ერბოს ქარხანა ჰქონდა. 14 წლის ემილი

იეზუიტების კოლეჯში მიაბარეს სასწავლებლად. აქვე მის დროს სწავლობდენ ბელგიის საქვეყნოდ ცნობილი ხელოვანნი: როდენბახი, მორის მეტერლინკი და შარლ ლერბერგი. ვერჰარნი გატაცებული იყო შატო ბრიანის, ჰიუგოს და ლამარტინის რომანტიზმით. ეს რასაკვირველია, არ მოსწონდათ კოლეჯის სულიერ მამებს და რომანტიზმის კორიფეებს გააფთრებით სდევნიდენ. სულიერი მამების ცენზურამ, მისტიურმა კარ-მიდამომ, ჩაფიქრებულმა კედლებმა და მიბნელებულმა ყურეებმა შესაფერი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდა მგოსნის სულსა და გულზე.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ მომავალმა პოეტმა განაცხადა, რომ მას სრულებითაც არ ეპიტნავება ერბოს ქარხნის მემკვიდრე გახდეს, მან იურისტობა მოინდომა და ამ მიზნით შევიდა ლუვენის უნივერსიტეტში—კათოლიციზმის ბუდეში. აქ ის მონაწილეობას ღებულობს ატეისტების საწინააღმდეგოთ დაარსებულ ჟურნალში, რომლის სახელია „ქრისტეს გულისთვის.“ 1881 წ. ვერჰარნი ცდილობს ვექილობას შეუდგეს, მაგრამ მალე ამ განზრახვას თავს ანებებს და შეუდგება ლიტერატურის სამსახურს.

იმ ხანებში ბელგიაში იყო მწერალთა წრე „ახალგაზრდა ბელგიის“ სახელით, რომელსაც თავის დროშაზე ნატურალიზმის პრინციპები ეწერა; აი ამ წრეს მიეკედლა ვერჰარნი და მალე შესაფერი ადგილიც მოიპოვა იქ.

1883 წელს ვერჰარნმა ცალკე წიგნათ გამოსცა თავისი ნაწერები „ფლამანდიელების“ სათაურით. (ფლანდრია ბელგიის ერთ ნაწილს ეწოდება) მთელი წიგნი ნატურალისტურად იყო დაწერილი. „გლეხები“, „მეძროხე ქალები“ „რძით სავსე ძუძუებით მოღრუტუნე ღორები,“ „მსუქანი გავები,“ „ძროხის წველა,“ „გამობერილი ფაშვი“,—აი რა სიტყვები გხვდებათ ყოველ გვერდზე. ასეთ პროზაულ საგნებზე წერამ, რასაკვირველია, შეაშფოთა ძველი აკადემიური შკოლის წარმომადგენელთა დამჟავებული გემოვნება და ვერჰარნიც უარყოფილ იქმნა, ზიზღით იხსენიებდა მას ძველი პარნასი. ყურებს თითებით იცავდენ, რომ არაკეთილხმოვანი სიტყვები არ გაეგონათ, ცხვირზე ხელს იკიდებდენ, რომ ცუდი სუნი არ სცემოდათ ვერჰარნის ნაწერერების კითხვის დროს. „ეგ ნეხვის რაფაელი მოგვევლინა,“ გაჰკიოდნენ ერთნი; „ისე გასქდა, როგორც ჩირქიანი მუწუკიო“ უმატებდენ მეორენი.

ჭეშმარიტად შეურაცხყოფილნი იყვნენ პარნასელები! იქ, სადაც მათი მუზები ფერიებს აცხოვრებდენენ, ნატურალისტმა ვერჰარნმა ძროხები და ხარები გამორეკა, ტალახიანი და დამკლავებული მეძროხე ქალი წამოაპრძანა. ისინი, ძველები მზრუნველობით ვარცხნიდნენ და ალამაზებდენ ცვილის ადამიანებს—ზრდილობიანათ, სათნოთ, კეთილგონებით, ვერჰარნმა—ლოყებიანი, სახე გაჟენილობულნი, თმა აბურძგნილნი, ჩვეულებრივი სიტყვებით მოლაპარაკენი. აქ სიცოცხლე დუღს და გადადუღს, შეუჩერებლივ სცემს ცხოვრების მაჯა, ერთადაა

ათქვეფილი ლამაზი და ულამაზო, გულის ამრევი და დამატკბობელი. აქ ყველგან ძალაა, ენერგია სჩქეფს, სიცოცხლე ფეთქს.

ვერჰარნი გამოდის ჯანსაღი სხეულის მაღმერთებლად, ხელუხლებელი ძალის გუნდრუკის მკმეველად, ბუნების სინამდვილის პოეტად, ცხოვრების სუნთქვის მგოსნად. „ფლამანდიელები“—ეს ახლად გაშლილი კოკობი ვარდია, რომელიც ერთიანად გიზიდავს და გაფრთოვანებს, გიღვიძებს სიცოცხლის ინსტიკტს და ერთიანად განახლებს. მომქმედნი პირნი აქ ნამდვილი ადამიანები არიან მთელის თავის ავ-კარგით, ქალი ქალს გავს, კაცი კაცს. არსად უიმედობა და მოღლილობა, დაღვრემილი სახე, უსასოო გამომეტყველება. პირიქით, ყველა მათ ძარღვში თავხედი სისხლი სჩქეფს, თავაშვებული ვნება ღელავს, მოზღვავებული ენერგია ვერ ეტევა კანში.

რასაკვირველია, რომ ყოველივე ეს ეჩოთირებოდა სისხლ გათეთრებულ პარნასს, გონიერებისა და ზომიერების ფარგლებში ჩაჭედილ აკადემიზმს, ადამიანების უსულ-გულო ჩონჩხად მხატავ მწერლებს. მათი ქალები ფერ მკრთალი იყვნენ, ლაჟვარდოვანის თვალებით, დაღლილნი, გამოფიტულნი, ჩამომჭკნარნი... ვერჰარნის კი წითლად ღუოდენ, ვნებით ფეთქდენ, დამკლავებულნი იყვნენ, ოფლის სუნი ასდიოდათ, შაშხებს ჭრიდენ დაკოჟრებულის ხელებით...

8

მაგრამ დიდხანს არ შერჩა ვერჰარნი ნატურალიზმს, 1886 წლიდან მის შემოქმედებაში იწყება მეორე ხანა, რომელსაც აზის მისტიციზმისა და რელიგიურ ასკეტიზმის ბეჭედი. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდის მეორე ხანის ვერჰარნი მისტიციზმს შერჩა. ამ ხანებში იგი ავადმყოფობდა და საზოგადოდ ფიზიკურად შერყეული იყო. გრძნობდა, რომ სიკვდილი უახლოვდებოდა და მისი შინაგანი არსებაც შესაფერად შეირყა: შიშმა და გაურკვევლობამ დაიუფლა იგი. აი ამ კრიზისის ხანაში გამოჩნდა ის გავლენა, რომელიც აღზრდის დროს მასზე მოახდინა კლერიკალურმა ბელგიამ თავის მონასტირებით, ბერებით და ზეცას აწვდილ ისრისებურ გუმბათიან ეკლესიებით. სთქვა თავისი სიტყვა იეზუიტმა აღმზრდელმა, წმ. ბარბარეს სახელობის კოლეჯმა, სადაც ვერჰარნი სწავლობდა. ამ დროს ის ხატავს მონასტრების ცხოვრებას, გამოყავს ტიპებად ბერები, რომლებსაც ამკობს ასეთის ეპიტეტებით: „გულუბრყვილო“ „მორწმუნე“, „თავმდაბალი“, „ეპიკური“, და სხვა.

ვერჰარნის დიდი ნიჭის დამახასიათებელ თვისებებს ჩვენ ამ კრიზისის ხანაშიც ვხედავთ. მის მიერ დახატული ბერების ტიპები უბრალო პორტრეტები კი არ არის, არამედ ერთგვარი განსაზოგადოებრივებული, სიმბოლოებად ქცეული სახეები. კათოლიკურ ბელგიას, რასაკვირველია, სიამოვნებდა, რომ მისი ყოფაცხოვრება ასე მიმზიდველად და ერთგვარის შარავანდედით შემოსილი გამოჩანდაკა დიდმა ხელოვანმა, ამიტომ იყო, რომ ვიღაცამ ვერჰარნს „ბერების მგოსა-

ნი“ უწოდა, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, რომ ამაზე შეუფერებელი სახელი ვერჰარნისთვის ჯერ არავის უწოდებია, ვინაიდან ეს დიდი ნიჭის პატრონი კაცი, რომელშიაც ძალუმად სცემდა სიცოცხლის ინსტიკტი, მხოლოდ ცოტა ხნით დაიმორჩილა მისტიურმა სულიერმა განწყობილებამ, მონასტრების ყოფა-ცხოვრების მოჩვენებითმა იდეალიზაციამ. სულ ცოტა ხნის გატაცების შემდეგ ვერჰარნმა მონასტრის ყოფა-ცხოვრების სურათები ამავე მონასტრების ასაფეთქებლად იხმარა. მან შეუდარებლად გამოსახა მონასტრის მიბნელებულ ზღუდეებში ჩახშობილ სულის შეუდრეკელი ბრძოლა, შეუკავებელი ქარტეხილი, „წითელი“ შენანიება. პოეტს აქვს პიესა „მონასტერი“, რომელშიც ჩვენ ვხედავთ არა მშვიდ, წყნარ, ღვთის მოსავ და მორწმუნე ბერებს, არამედ ნამდვილ რევოლიუციონერებს და მონასტრული ცხოვრების ძირიანათ შემრყევთ.

ამავე ბელგიის სასიქადულო შვილი მორის მეტერლინგი თავის „და ბეატრისეში“ გადახატავს ისეთ არსებას, რომელიც გაექცა მონასტერს, მაგრამ გადის დრო და მოთვინიერებული ისევ ბრუნდება მონასტერში. ვერაფერს ამის მაგვარს ჩვენ ვერ ვხედავთ ვერჰარნის შემოქმედებაში. სიმბოლოდ ქცეული მისი ტიპები იბრძვიან არა იმისთვის, რომ დროებითი აჯანყების შემდეგ უკან დაბრუნდენ... არა, ვერჰარნი თავის მისტიკით უფრო მოჩვენებითი მეგობარი იყო კათოლიკე ბერების, სინამდვილეში კი მისებური ლახვარი მგონი არავის ჩაუკრავს კრეტიკალიზმისთვის.

1887—88 და 90 წ. წ. ვერჰარნის სულიერი კრიზისი უაღრესად ვითარდება. ამ დროს ის მთელის თავის არსებით დასტრიალებს საკუთარ პიროვნებას და პირად ტანჯვაში ეძიებს განსვენებას. „საკუთარი თავის ჯალათი შენვე იყავ, ნურავის ასიამოვნებ შენის წამებით“,—სწერს ის ამ დროს. თითქმის სულით ავადმყოფი მგოსანი სწერს ამ ხანებში: „მეც მოვითხოვ ჩემთვის ჩემს ეკლის გვირგვინს“-ო. ვერჰარნი ვერსად სანუგეშოს ვერა პოვებს, მისი გული გაყინულ საამარედ ქცეულა. ამ დროს გამოდის მისი კრებულები: „საღამოები“, „განადგურება“ და „შავი ყინულები,“ სადაც იგი პირადი ტანჯვის პოეტად მოგვეელინება. რამდენიმე ხნის შემდეგ ვერჰარნის ამ დროინდელი სულიერი განწყობილება ინგლისის დიდ მწერალს ოსკარ უაილდსაც ეწვია, ის სწერდა: „სიხარული მშვენიერ სულისთვის ტანჯვა არისო.“

თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისული ვერჰარნი გულ ამოსკვნილი სტირის „გაქრა, დაიღუპა წარმტაც იმედიანობის დრო.“ მას ეჩვენება „ტრაურის გოლგოთა, ჯვარს გაკრულ საღამოებით, ჰაეროვან ტანთსაცმელიდან სისხლათ მწრეტავი.“

მაგრამ გადის რამდენიმე წელი და ვერჰარნიც კვლავ გასწორდება წელში, ის მამაცურად შეაქცევს ზურგს განმანადგურებელ მისტიკას და მთელის თავის გატაცებით გადასცურავს სიხალისითა და ბრძოლის ტალღებით მფეთქავ ცხოვრე-

ბაში. ის მსწრაფლ „შთაინთქება ხალხში და იწყებს მისის სიცოცხლით ცხოვრებას.“ 1893 წ. გამოდის მისი „გაგიჟებული მინდვრები,“ 1895 წ.—„ბრეტალიანი ქალაქი,“ 1896 წ.—„გამქრალი სოფლები“ და 1898 წ.—„განთიადზე.“

აი ამ უკანასკნელმა წიგნებმა გახადეს ვერჰარნი მსოფლიო მგოსნად, ამ წიგნებით შეიქნა მთელი ახალი ეპოქა მსოფლიო ლიტერატურაში.

დ

ვერჰარნის ნიჭის ხელახალი აღორძინება და ფრთების გაშლა მჭიდროთ არის შეკავშირებული მაშინდელი ბელგიის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ოთხმოცდა-ათიან წლებში აქ იწყება მუშათა ფართო მოძრაობა, რომელიც ეკონომიურ მოთხოვნილებებთან ერთად აყენებს პოლიტიკურ საკითხებსაც—სახელდობრ კონსტიტუციის გადასინჯვას. იმართება ჯერ უნახავი გრანდიოზული მანიფესტაციები, მრავალ-რიცხოვანი მიტინგები, ლექციები. კლერიკალური ბელგია თრთის და ცახცახებს, დამფრთხალი ბურჟუაზია ყოფნა არ ყოფნის კითხვის წინაშე დგას.

ამ დროის ერთ-ერთ მოწოდებაში ეწერა: დადგა დრო, როდესაც უნდა ვაჩვენოთ მმართველებს, რომ ჩვენ არ გვინდა ჩვენს სამშობლოში ვიყოთ მარტო სახედარ პირუტყვათ და ზარბაზნის ხორცად. 1893 წ. მუშებმა მართლაც დიდი გამარჯვება მოიპოვეს. გუშინდელი მონა წელში გასწორდა და იმედიანად გაუსწორა თვალი მომავალს; ერთ დროს დაქსაქსული და დანცალკევებული, საკუთარი „მე-ს“ ნაჭუჭში ჩამარხული და ყოველგვარ სოლიდარულ გრძნობას მოკლებული მუშა, დღეს ქვეყნის მომავალი ბატონ-პატრონის სახით გამოჩნდა; ის უკვე არ არის გუშინდელი კაცი, ის მთელის თავის არსებით „ხვალეს“ შესაქმის სახეში.

და ვერჰარნიც გაიტაცა ამ ძლიერმა სახალხო მოძრაობამ, ისიც მშრომელებთან ერთად გახდა „ხვალის“ მგოსნად. გრანდიოზულმა დემოკრატიულმა მოძრაობამ თავისი სიტყვა სთქვა არა მარტო ეკონომიკაში და პოლიტიკაში, არამედ ხელოვნებაშიც. მოძრაობის ტალღა ძალუმად მიეჭრა ამპარტავან პარნასს და მძლავრად ააჟღერა მთელი ქვეყნის გულის ამთრთოლი ქნარი. 1892 წელს ბრიუსელის სახალხო სახლთან არსდება სოციალისტური სექცია, რომელშიც ვერჰარნი მუშაობს ვანდერველდესთან, დესტრესთან, ეკგუდთან და სხვებთან. ესენი იქ მართავენ ლექციებს, კონცერტებს, წარმოდგენებს. პირველად აქ ითამაშეს ვერჰარნის „განთიადი“, რომლის პირველი მაყურებელნი იყვნენ მუშები.

ამ ხანებში ვერჰარნი ერთიანად ესისხლხორცება მუშათა მოძრაობას, უახლოვდება მას და სავსებით იჟღინთება ქალაქური პოეზიით, ახალი, დღემდის უნახავის კულტურის ზეგავლენით. ის ხდება არა მარტო პრაკტიკულ მუშაკად, არამედ ახალი მოძრაობის ტალღები შეაქვს ხელოვნებაშიც. აი ამ დღიდან ხდება ვერჰარნი საქვეყნო პოეტად და მსოფლიო მოქალაქეთ. ბრწყინვალე და გულის

წარმტაცი მომავალი,—აი მისი ქნარის მთავარი საგანი. ერთ დროს თითქოს შავი ვერჰარნი, დღეს წითელი რევოლიუციონერია. ამ დროს ის ქმნის „ამაფეთქებელ ძალებს“, „ქალაქის სულსა და გულს“ და სხვა.

ამოძრავებულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ვერჰარნის არსებაში ნახა უღარესად მგრძნობიარე, ნიჭიერი და დიდი პირად გამოცდილება—განცდის მქონე მხატვარი. ბრიუსელი, პარიზი, ლონდონი, ბერლინი, მადრიდი, ჰენტი, მიუნქენი... ყველა ეს ქალაქები თავისი თვალით ენახა პოეტს, ეცხოვრა იქ და შეესისხლხორცებია მათი ავი და კარგი, შემოქმედება და პოეზია. ქალაქიდან ქალაქად ხეტიალმა ღრმად მგრძნობიარე მგოსანი ერთიანად გარდაქმნა და დააშორა სოფლურ, მონასტრებიან ბელგიას. ახალმა ტალღამ, რომელიც გამაცოცხლებლად მოევლინა ამ ბერებით განაწამებ ქვეყანას, ერთიანად აიტაცა ხალხის საუკეთესო შვილი—ვერჰარნი.

ამავე ხანაში ფრთა გაშალა დიდი მოქანდაკის კონსტანტინე მენიეს მძლავრმა ნიჭმა, რომელმაც ბრინჯაოს ენით ოსანა უგალობა ქვეყნის ქვაკუთხედს—შრომას: შექნა მჭედლის, მაღაროს მუშის და სხვათა უკვდავი ქანდაკებანი. მუშათა მოქანდაკეს დიდებულ მენიეს ვერჰარნმა უძღვნა აღტაცებული წერილი. აი რასა სწერს იგი აქ სხვათა შორის: „ეს სწორეთ იმ დროს იყო, როცა მუშათა საკითხებმა ბერძნულის ცეცხლივით იფეთქეს და როცა დემოკრატიულმა პარტიამ ბრიუსელში დიდი აქტიობა გამოიჩინა. მაგრამ,—დასძენს ვერჰარნი,—მენიე არ იყო პროგრამული ნიჭი. ის არც არას მოითხოვს და თუ გნებავთ არც არაფერს ამტკიცებს. ის მხოლოდ მიმდინარე ჟამის გამომსახველია, ის გვიჩვენებს თუ რა აზრები და იდეები დაფარფატებს ამ წუთს ჰაერში“. ეგ სიტყვები სავსებით შეეფერება თითონ ვერჰარნსაც, რომელიც, მართალია განსაზღვრული კლასის, სახელდობ, პროლეტარიატის სულის კვეთების მგოსანია, მაგრამ ამავე დროს მის შემოქმედებას სრულებით არ აზის სივიწროვისა და შემოფარგლულობის ბეჭედი. რუს პოეტის ვალერი ბრიუსოვის სიტყვით „ვერჰარნმა ისე გააფართოვა პოეზიის სამფლობელო, რომ მთელი ქვეყანა ჩატია მასში. მისთვის არ არსებობს „პოეტური“ და „არა პოეტური“ სიუჟეტი. ყველაფერ იმას, რაც აღელვებს და აინტერესებს ადამიანს, ვერჰარნი გაბედულად ხდის თავისი ქნარის საგნად და სჭედს საკუთარ გრდემლზე მუსიკალურ ლექსად. მისი შემოქმედება უაღრესად სრულია. ის ამაყად უახლოვდება კაცობრიობისთვის ურთულეს საკითხებს და ცდილობს ეს სამარადისო და თან ყოველ დღიური კითხვები გადასჭრას არა მეცნიერულის მეთოდით, არამედ ხელოვნურად.“ ამავე ბრიუსოვის აზრით ვერჰარნამდის „არავის არ მოსვლია ფიქრად დიდი რომანი ლირიკულ ლექსამდე შეეკუმშა, ან და თუ შესაძლებელი იყო სოციალური კითხვების გიჟურ პოემებში გაშუქება“.

Ე

ვერჰარნის ქნარი ერთის მხრივ რომ აწმყოს დაგალობს, მეორეს მხრივ მომავალს უმღერის, დღევანდელი დღე და „ხვალე“—აი ის წრე, რომელშიც ტრია-

ლობს ამ დიდი შემოქმედის აზრი და გრძნობა. სინამდვილე და ოცნება, რეალიზმი და რომანტიზმი გულის და გონების წარმტაცად არის შეზავებული ვერჰარნის შემოქმედებაში. დღევანდელი დღის სურათებათ ასახვის დროს ის არ არის მარტო უბრალო ფოტოგრაფი, ცხოვრების მემატიანე, არა, ყოფა-ცხოვრების აღმწერთან ერთად ჩვენს წინ დგას ცხოვრების ფილოსოფოსიც, რომელსაც ღრმად შეუგნია ყოველ დღიური ცხოვრების მიმდინარეობის დედა ძარღვი და ოსტატურადაც გვიშლის ამ დედა ბოძის სახეს. ვერჰარნი არ არის ზეზეური მწერალი, კინემატოგრაფის ლენტისთვის მასალის დამგროვებელი; მარტო ამ გვარი მუშაობა არ აკმაყოფილებს მას, ის ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ყოველ დღიურ ფაქტებში დაგვანახოს დაფარული, მარადიული აზრი და მისწრაფება. უბრალო ცხოვრების უბრალო ფაქტები მას აყავს ერთგვარ პრინციპიალურ სიმაღლემდე და მხატვრულ გასაზოგადოების მეთოდით შეიარაღებული, გვიხატავს სხვა და სხვა სიმბოლოებს, ყოველ დღიურ ცხოვრების უცვლელ და შემკრებლობით, სახეებს.

ვერჰარნის რეალისტური ნიჭი იმავე დროს სიმბოლისტურიც არის, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერჰარნის სიმბოლიზმი სრულებით არა გავს მეორე გვარ სიმბოლიზმს, რომლის წარმომადგენლებია ევროპაში ბოდლერი, ვერლენი, მეტერლინკი და სხვა. რუსეთში ივანოვი, სოლგუბი და სხვა, ხოლო ჩვენში ყანწელები.

სად ტრიალებს დიდი პოეტის შემოქმედება, ვის და რას დაჰფარფატებს მისი მუზა? სოფელი და ქალაქი,—აი სად არის ვერჰარნის სამოქმედო ასპარეზი.

ახალმა ცხოვრებამ, ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ, ახალი ადგილები ამოირჩია სამოქმედოთ, სოფელში ყოფნა მას არ შეუძლია. ამწვანელებული მინდვრების მაგიერ მისს სულსა და გულს ქვებით მოკირწლული ქუჩები იტაცებს, გადანამულ მიდამოების სანაცვლოდ, დამტვერული ტროტუარები იზიდავს მას; სოფლის მიწყნარებულ შუკების მაგიერ მისი სული და გული აბობოქრებულ პროსპეკტებისკენ არის მიქცეული. ქრება და იღუპება სოფლის იდილია, სოფლური პოეზია, მის ნაცვლად ქალაქის შემოქმედება გვევლინება, ახალი გრძნობა, ახალი აზრი.

ეს პროცესი საშინელის სისწრაფით დატრიალდა მთელს ბელგიაში, რომლის მრეწველობა, როგორც ზევით დავინახეთ, საოცარის სისწრაფით განვითარდა სულ მოკლე ხანში. დაცალიერდა სოფლები, გაპარტახდა და გაჩანაგდა მწვანით შემოსილი ველ-მინდორი, ახალი ცხოვრების მძლავრი ტალღები შეუბრალებლად მიერეკება საწყალ სუფთა ჰაერზე გაზრდილ სოფლელს ქალაქების მოწამლულ ჰაერისკენ, დახშულ სარდაფებისკენ. მწვავეა და ტრაგიკული ეს პროცესი, რომელიც ბოლოს და ბოლოს, მართალია ახალ და პროგრესიულ ცხოვრებას ქმნის, მაგრამ იმავე დროს თანამედროვეთათვის, ამ მოძრაობაში მონაწილეთათვის, მწვავეა და ტკივილებით აღსავსე.

ყოველივე ეს შესანიშნავად დახატა ვერჰარნმა. დაცალიერდა სოფლები, მოკვდა ოდესღაც ლამაზი და მიმზიდველი ცხოვრება. „სოფლები, ფერმები, ქოხები... ყველაფერი იღუპება, ყოველივე კვდება“,—აი როგორ კვნესის პოეტი. ყველაფერი გაეერანდა, მოისპო, შთაინთქა. „განადგურდა ამწვანებული ეზო-გარემო“,—აი რა ითქმის მოკლეთ.

სოფლური წისქვილები დაინგრა, მინდვრები დათალხულია, სამრეკვლოები სდუმან, ირგვლივ სიღარიბე მეფობს, აუწერელი სიღატაკე. ერთ დროს სახელგანთქმული ფერმერ-მემამულის სახლკარი უპატრონობის გამო ლპება და ინგრევა, ნელ-ნელა ეთხოვება წუთი სოფელს. არც ბაღჩა, არც ეზო-გარემო, ყველაფერი მოსპობილი და გაპარტახებულია. სასახლის სახურავი ჩამონგრეულა, ჩამომპალა... და ყოველივე ამის სიმბოლოთ, გულის მომკვლელ გამოხატულებად დროთა ვითარებაში გახრწნილ და დამპალ საძირკვლის წინ ჩონჩხივით ამართულა ზეციისკენ გატიტვლებული ხე, ფოთლებ გაძრცვნილი, მეხისგან ტოტებ ჩამომტვრეული, ღამღამობით ბუს გადმოსაძახებელი ბინა... ჭეშმარიტად გულის გამგმირავი სიმბოლოა!

სოფელი საშინელი სიღარიბისა და სიბნელის ბუდეა. სოფლებზე გაუნათლებელი, დამონებული და გონება დაჩლუნგებული არსებანი არსად ცხოვრობენ. აქ ყველა ძველი ჩვეულებისა და ტრადიციის მონაა. სოფლად ადამიანები ვერჰარნის სიტყვით „შიშითა და ძრწოლით სცხოვრობენ“, „გამოყეყეჩებულნი დაძრწიან“, იქ კეთილი და პატიოსანი აზრი თუ გრძნობა ვერ ხეირობს, „მინდვრები თითქოს გაგიჟებულნი არიან“, „კარ-მიდამო გალიუცინაციებს შეუპყრია“ და ყოველივე ეს ღუპავს და სპობს ადამიანის პიროვნებას, აზრსა და ნების-ყოფას. „სასაფლაო ძვლებით არის მოფენილი“, შეუბრალებლად იღუპებიან ამ ბრძოლაში ადამიანები.

ეს საწყალი არსებანი, რომელთათვისაც მათ-და სატანჯველად განგებას მიუსჯია მათთვის ადამიანის სახის ტარება, ყველაფრის წინაშე თრთიან და ცახცახებენ, მათ ყველაფრის ეშინიათ—თავისიანისაც და გარეშესიც, სოფლისა და ქალაქისაც, იმ ქალაქის, რომელიც ყველაფრის მამსპობ და განმანადგურებელ ვეშაპად მოევლინა იდილიურ სოფელს. მოვიდა და კიდეც მოსპო იგი, შეუბრალებლად გაანადგურა და მკაცრის ხელით შეიერთა კიდეც.

გლეხებს ეშინიათ ქალაქის, თავზარს სცემს მათ ეს ყვითელი ეშმაკი, მაგრამ რაღაც ფატლური ძალა მაინც არ ასვენებს მათ და ამ საშინელებისკენ მიერეკება. ვით თვალებ აბნეული ჩიტი მის და უნებურად ვარდება გველის დაღებულ ხახაში, ისე საბრალო გლეხები შიშითა და თრთოლვით თავის ბედის მკრულავნი ბარბაცით მიექანებიან მათ დამღუპველ ქალაქისკენ. მიექანებიან მოუსვენებლივ, დიდი და პატარა, ღლით და ღამით; გარბიან, მიქრიან ეტლებით! თან მიაქვთ საოჯახო ნივთები: ტასტი და სკამი, ლოგინი და აკვანი; მიყავთ კატა, ღორი, გალიით ქათმები, მიკრიჭინობს ურემი, მიჩახჩახებს დროგი.

ეგ მისწრაფება რაღაც შავ-ბედითი და აუცილებელია, ვერავინ აღუდგება ამ ტალღას წინ. „ქალაქისკენ, ქალაქისკენ“, გაჭკივის სიმბოლიური სურათი ვერჰარნის მიერ დახატული.

ბევრ მწერალს აუწერია სოფლის დაცალიერება და ახალი, ქალაქური ცხოვრების გაფუჩქვნა; ასეთ მწერლებათ ითვლებიან ავსტრიაში რო ზეგერი და ფრანკი, საფრანგეთში რენებაზენი, გერმანიაში—პალენცი, დიახ, ბევრი მწერლის ნიჭს აღუნიშნავს ეს დიადი მოვლენა, მაგრამ არავის ისე არ გადმოუცია, როგორც ეს ვერჰარნის ნიჭმა მოიმოქმედა. ასე მოკლეთ, სიმბოლოებით და გასაზოგადოებით ჯერ არავის დაუხატავს სოფლური ცხოვრების დანგრევა და ამ ნგრევაზე აღმოცენებული საშინელი ტანჯვა და ტრაგედია. ის სურათი—სიმბოლოები, რომელიც ამ სფეროში ვერჰარნმა შექმნა, ის განსაზოგადოებრივებული ხატებანი, რომელიც ბელგიელმა პოეტმა ასახა,—ყველა ქვეყნისთვის, სადაც კი კაპიტალიზმი შესულა, გასაგები და საკუთარია. შეიძლება სხვა და სხვა ერში ეს პროცესი სხვა და სხვანაირად ჩატარდეს გარეგნულის შეხედულობით, შეიძლება ფაქტები სხვა და სხვანაირად დალაგდეს, მაგრამ თვით ამ მოვლენებში და ყოველ დღიურ ფაქტებში ჩამარხული აზრი, უხილავთ მამოძრავებელი ძარღვი ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივეა, მუდამ ერთნაირი იქნება.

აი, ამიტომ ვამბობთ, რომ ვერჰარნი მსოფლიო პოეტია, ინტერნაციონალური შემოქმედია. მართალია ის ბელგიელია და ამ ქვეყანამ მისს აღმაფრენას შესაფერი ბეჭედი დაასვა, მაგრამ ამავე დროს ის მსოფლიო მოქალაქეც არის; ვინაიდან თავის სამშობლოში ნანახ მოვლენებში მან თავის მძლავრის ნიჭის მეოხებით ისეთი კითხვები ამოიცნო, რომელიც ერთიანად აღელვებს ყველა ერს. ა'რი ინტერნაციონალურია, ფორმა და მისი გამოსახვა კი წმინდა ნაციონალური. ბელგიურად ჩაცმულ-დახურული ვერჰარნის მუზა, იმავე დროს მთელი ქვეყნის გრძნობისა და ფიქრის მატარებელიც არის.

ჯერ-ჯერობით რაცა ვსთქვით ამის მიხედვით ვერჰარნი აწმყოს პოეტია, არსებული ცხოვრების მხატვარი და მისი შინაგანი აზრის გადმომცემია, გადმომცემი ღრმა და ორიგინალური, საქვეყნო ყურადღების დამამსახურებელი.

ახლა გავიცნოთ ვერჰარნი, როგორც „ხვალინდელი დღის“ მგოსანი.

3

გაპროლეტარებული და ახალის ცხოვრების ეტლის მიერ გაჩანაგებული სოფლის გვერდით ვერჰარნი ხატავს ახალი ცხოვრების ცენტრს—ქალაქს. სოფელი სასაფლაოებით არის მოფენილი, მან უკვე ითამაშა თავისი როლი, სთქვა რაც უნდოდა ეთქვა, დღეს კი მის ადგილს ქალაქია გაბატონებული, აქ სცემს დღევანდელი ცხოვრების მაჯა, აქ ფეთქს სასიცოცხლო ენერგია. ამან, ამ „ყვითელმა ეშმაკმა“ შთანთქა სოფლები, მის გახურებულ მკლავებზე იხრაკება მრავალ ადამიანთა მსხვერპლი. დღევანდელი ქალაქი ძველი დროის კერპად მოგვევლინა, იმ კერპად, რომლის გავარვარებულ მკლავებზე მრავალ ადამიანთა გვაში დახრუკულა.

ვერჰარნის ლექსთა ერთ ციკლს „ცხოვრების სახეები“ ეწოდება, ეს წიგნი უმეტესად ქალაქის ცხოვრებას ხატავს. აქ მგოსანმა დაგვიხატა სხვათა შორის „მჭედელი,“ [1]) „ტრიბუნი,“ „ბანკირი“ [1]), „აჯანყება,“ „ქალი გზა ჯვარედინზე“ და სხვა. ყველა ამ ტიპების შექმნის დროს ვერჰარნს უპირველეს ყოვლისა აინტერესებს არა მათი ყოველ დღიური პროზაული ცხოვრება, არა ის, რაც ყოველ წუთს შეგვიძლია თვალით დავინახოთ და სინემატოგრაფის ლენტზე გადავიტანოთ, არამედ სულ სხვა რაიმე, ამ ფაქტთა არსებაში ჩაფლული მარადიული აზრი ცხოვრების ცვალებადობისა. მისი მჭედელი ერთის მხრივ რომ დღევანდელი დღის კაცია—მშრომელი, ხელებ დაკოჟრებული, გამურული—მეორეს მხრივ, რაც თავი და თავია, მომავლის ადამიანია, აწმყოზე ფეხებ მომაგრებული, ის მთელის თავის არსებით მომავლის ბურუსს მისჩერებია, კითხვითი ნიშნი დგას მომავალ საუკუნეთა წინაშე და არწივისებურის გამომეტყველების პატრონი თავისი ბედის ამოკითხვას ცდილობს. მას შავი აწმყო აქვს, მისი ჩაქუჩი მძიმეზე მძიმეა, ხელები და წვერ-ულვაში ნაპერწკლებმა შეუტრუსა, მაგრამ ბედს მაინც არ ემონება, ქედს არ იხრის ცხოვრების სისაძაგლის წინაშე და შეუდრკელად უპირებს ბედს შებმას. მჭედელს სწამს, რომ მარტო იგი არ არის ასეთ მდგომარეობაში. ის მარტო არ დგას ბრძოლის ველზე, მას გვერდს უმშვენებს მასავით მშრომელთა უთვალავი არმია, რომელიც პირველ შეძახებისთანვე „ამოიცნობს ყველა ამოცანებს.“ ვერჰარნის მჭედელი კოლექტიურად მგრძნობი არსებაა, მისი სული და გული შეუჩერებლივ სცემს სხვებთან ერთად. ის ჯამს ელის, ჯამს საერთო ყიჟინისას, კოლექტიურ ამოძრავებისას. მანამდე კი „დღიდან დღე, წლიდან წლამდე, შეუსვენებლივ სჭედს რკინას სადღაც ქალაქის განაპირას მოთავსებულ მიბნელებულ ნესტიან სამჭედლოში, საიდანაც რწმენითა და იმედით ალსავსე ჩაჰყურებს თვალებში მომავალ საუკუნეთა გრეხილს.“

მჭედელი სიმბოლიური ფიგურაა, იქ გაზოგადოებული ტიპია. მწერლის სიდიადე, სხვათა შორის იმითაც გაიზომება, თუ რა გვარ მოვლენებს ხატავს იგი. დიდი მწერალი, გენიოსი შემოქმედი ყოველთვის განსაზოგადოებრივებისკენ მიილტვის. მსგავსად მეცნიერებისა, რომელიც რამდენიმე ფაქტის მიხედვით გამოიტანს ამა თუ დასკვნას, კანონს, დიდი მგოსანიც ცხოვრების სურათების აღნუსხვით აკეთებს ერთგვარ მხატვრულ დასკვნებს, ქმნის ტიპს, სიმბოლოს.

როგორც უკვე დავინახეთ, ვერჰარნი ყოველთვის ასეთ სიმბოლისტად გვევლინება. ასეთის მეთოდით დაგვისურათა მან სოფელი და ასეთნაირათვე გვიხატავს ქალაქსაც. მჭედლივით სიმბოლიურია მისი „ბანკირიც,“ რომლის კაპიტალი მთელ ქვეყანაზედ დაბანდებულა და მთელ მსოფლიოს სისხლსა სწოვს. თვითონ ბანკირი რაღაც საშინელ, უძლეველ და ყველაფრის დამმორჩილებელ არსებად გვიდგება თვალწინ. „სახე მოღუშული, მკაცრი, გამომეტყველება გაქვავებული, ცოტათი მოხრილი ზის იგი გახუნებულ სავარძელში და სწერს, აჩქარებით სწერს ქაღალდებით დატვირთულ მაგიდაზე. „ის თავის მაგიდას უზის, მაგრამ აზრით მთელი ქვეყნის გარშემო ტრიალებს: ინდოეთის ოკეანე, ჩინეთის

[1]) ეს ორი ლექსი ქართულადაც არის თარგმნილი.

ნავთსადგურები, ბატავია, კოლომბო და კაპშტატი; თვალწინ ეხატება უდაბნოებში მის მიერ გაყვანილი რკინის გზები, სადგურები, მთელი ევროპა მისი კანტორებით არის მოფენილი, ნავთის შადრევნები მის გასამდიდრებლად გადმოსჩქეფენ მისი ძლიერების წინაშე თრთიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მას თაყვანსა სცემენ სამეფო ტახტები, მდიდარი და ღარიბი. ზღაპრული არსება, ჩვენი დევ-გმირი იბრძვის განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ, იბრძვის უთოფოდ, უკვალოდ, მკვდარი ციფრების კბილები შეუჩერებლივ ღრღნის მარადიულ ამოცანებს.“ ბანკირის ძალა დღე და დღე იზრდება, ჰქუხს, ვით ნიაგარის წყალვარდნილი, იჟღინთება მთელ ქვეყნის სიმდიდრით, მსოფლიოს ოქრო შეუჩერებლივ მიცოცავს მისი გაუმაძღარი ჯიბისკენ. ხალხი კიდეც სწყევლის და კიდეც შენატრის მას, ყოველივე მის წინაშე ცახცახებს. ბანკირი არავის არ ინდობს, ის უკანასკნელ გროშსაც კი ამოაცლის ღარიბ-ღატაკს, ბედნიერებს აუბედურებს, აშენებულს ანგრევს და თავის ნებაზე აშენებს. თითონ ის უსულგულო მანქანას გავს, უგრძნობს, უვნებოს, მან არ იცის რა არის სიხარული, მოწყენა, ის მუდამ ჟამს ერთია, ერთის გრძნობით, ერთის გამომეტყველებით. ბანკირი ჩუმად ზის თავის კაბინეტში, მაგრამ ამავე დროს მთელ ქვეყანას ატრიალებს თავის ნებაზე: მისი სურვილის თანახმად იმართება ომები, ემხობა მეფეთა ტახტები, იღვრება ცრემლთა ნაკადულები. ის ნელა, გაქვავებულის სახით შეჰყურებს მთელ ქვეყანას და თავის ნების მიხედვით უნდა გადასჭრას ყველა თავსამტვრევი, საუკუნეთა განმავლობაში გადაუჭრელი კითხვები.

ასეთია ის შემკრებლობითი ტიპი, რომელიც ერთგვარ სიმბოლოდ დაგვიხატა ჰენიოსის ნიჭმა.

სოფლის მაგიერ გაბატონებული ქალაქი საშინელი რამ არის, ერთის მხრივ ის „ყვითელი ეშმაკის“ სახეს ატარებს, სპობს ყველაფერს, არავის უბრუნებს, „იღუპება და სხვასაც ღუპავს,“ „იხრწნება და სხვასაც ხრწნის.“ ქალაქის ამ დამღუპველ და გამხრწნელ მხარის განსაზოგადოება ვერჰარნმა სხვათა შორის გვაჩვენა ლექსში: „ქალი გზა ჯვარედინზე“. ეს ქალი კაპიტალიზმის ცოცხალი მსხვერპლია, მან შეიწირა მისი უმანკოება, სინიდისი და პატიოსნება; წაართვა ყოველივე ადამიანური და თანაც მისი შეუბრალებლობა იქამდის მიდის, რომ უბედურ არსებას სიკვდილიც არ აღირსა; არა, ის აცოცხლებს მას და თანაც მუდამ ჟამს კლავს, სპობს. უბედური არსება თითონ გაუხდა თავისივე თავს ჯალათად, მისი სული და გული მისივე არსების საწამებელი ეშაფოტია, მისივე გილიოტინა, გილიოტინა მუდმივი, გაუთავებელი. და ქალიც გამწარებულია, ის თითქოს ვნება გაგიჟებული ელის „იმას, ვისაც მისი მოხვევა და ალერსი უნდა,“ მოუთმენლად ელის, რათა გიჟურად ჩაიკრას გულში, „დაიღუპოს და ისიც დაღუპოს.“ აი ამიტომ დგას იგი გზა-ჯვარედინზე და გამწარებულის გამომეტყველებით ელის თავის მსხვერპლს.

ზ

ქალაქი არ არის მარტო საშინელებათა ბუდე, ყოველგვარ სიკეთისა და წინსვლის სამარე. მართალია ბევრ რამეში საშინელია იგი, მომსპობი და განშანდ-

გურებელი ძალის მატარებელია, მაგრამ იმავე დროს მის წიაღში ინასკვება პროგრესიული ძალაც. უბედურებისა და ტანჯვა-წამების გვერდით ბედნიერების ძარღვიც ფეთქს. დამანგრეველ ძალის გვერდით ამაღორძინებელი ენერგია გროვდება. ქალაქი არ ცხოვრობს მარტო დღევანდელის დღით, დღევანდელის საშინელებით. არა, ის ამავე დროს ბრწყინვალე მომავლის თავდებსაც თან ატარებს, თან ზრდის და ფუჩქნის განახლების ძალას, მთელი ქვეყნის გამაბედნიერებელ ნაკადულს. უსულგულო ბანკირის გვერდით იზრდება მეორე ძალა, რომელიც, მართალია, თრთის და კანკალებს ბანკირის ძლევა-მოსილობის წინაშე, თითქოს სამუდამოდ დამონებია მას, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია, გარედან სჩანს. ბანკირი არც ისე უზრუნველყოფილია, როგორც მას გონია, მისი მომავალი არც ისე ბრწყინვალე და უძლეველი იქნება, როგორც ეს დღეს არის და როგორც ეს მას ესახება. ბანკირის „ნიაგარისებურ წინსვლას“ წინ უდგება არა ნაკლებ ძლიერი ძალა, რომელიც დამხობას უქადის მას. გახუნებულ სავარძელში მოკალათებულ და ჩოთქების მორახუნე ბანკირს ტყვილა გონია, რომ მთელი მსოფლიო სამუდამოდ დაემონა მას და უხმოდ გაინართხა მის წინაშე. არა, ეს ასე არ არის. აი რას ამბობს ვერჰარნი „აჯანყებაში“.

აღსდგა ქუჩა, ერთ წამს დადგა ბეჭების ზღვები, ხელების ოკეანეები, თავების თვალ უწვდენელი მგორავი ტალღები. მოდის, მობობოქრებს ბრბო უძლეველი, შურისძიებით აღვსილი. ანგრევს ყოველივეს, არ ინდობს არაფერს: სახლებს, კოშკებს. ზანზარებს ძველი ქვეყანა, ემხობა ბანკირის სამფლობელო, ცეცხლის ალი ნთქავს საანგარიშო წიგნებს, ილეწება კარები, ფრიალებს წითელი დროშები. დაქრის ცელ მოღერებული სიკვდილი, არ ინდობს გუშინდელ მეფეებს, აღსდგა დამონებული და მტვერ წაყრილი ხალხი, ის ხალხი, რომელსაც აგრე შეუბრალებლად გამოსწოვა ქალაქმა სასიცოცხლო წვენი, დაატოვებინა მშობლიურ სოფლების კარ-მიდამო და აქ ჩამორეკა შიმშილით დასახოცად, უსუფთაო ჰაერში ჩასაღრჩობად. კლავენ, მაგრამ ამავე დროს ქმნიან და აშენებენ, ანგრევენ, მაგრამ ამავე დროს ახალს აგებენ. ბანკირი კიდევ ცდილობს გადარჩენას და მისი მთავრობაც ბრბოს ტყვიებს უშენს. ეცემიან ტყვიებით დაცხრილულნი, ქუჩა სისხლით იღებება, მაგრამ აჯანყება მაინც არ ცხრება, წმიდა შურის ძიება შეუჩერებლივ ბობოქრობს.

ამავე ბრბოში ჭექს და ჭექხს მგოსნის მიერ შექმნილი ტრიბუნი, რომელმაც თავისი აღმაფრენა და აღფრთოვანება, გიჟური ლტოლვა და რკინისებური ენერგია მთელ ხალხს შეუერთა, მის არსებაში გაითქვიფა, აერია, ჩაესხა. ის ამავე ხალხის შვილია, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ბავშობა მტვრიან ტროტუარებზე გაატარა, აღიზარდა ქალაქის განაპირას, სადაც ყველა მონები იყვნენ, „თავ დახრილნი, მტვერ წაყრილნი“. პატარაობიდანვე შრომობდა, მუდამ დაღვრემილ და წელში მოხრილ სახეებს ნახულობდა, ყოველ ღღე მასთან ერთად სუფრას უჯდებოდა გაჭივრება და სიღარიბე. ასე აღიზარდენ მისი წინაპრები, ასე იზრდებიან მისი ტოლნიც. შავ მდინარესავით მოლივლივებს მისი წარსული, შავად მიტბორავს მისი აწმყო. სანამდის, სანამდის?! მაგრამ ის უცებ

გასწორდა წელში, თვალი გაუსწორა მძლეთა-მძლე ბატონს და მისს ყიჟინს ხმა გასცა მთელმა მიდამომ, მისებრ ტანჯულთა და წამებულთა გროვამ. „და მუშტებ მომართული შავი ბედის წინაშე ოქროს ფასადს ფასადზე ამხობს“... მიდის, მიდის შეუდრეკელი, ყველაფერს ანგრევს და იმორჩილებს. მისი სიტყვა შეკრულ ისართა კონაა, ბასრია, დაუნდობელი, დამშხამავი. გულის წყრომა და რისხვა, სიყვარული და სათნოება,—აი რა არის არეული ერთი მეორეში მის სიტყვებში. ტრიბუნი არ არის მარტო დამანგრეველი ძალა, ის ამავე დროს ახალსაც ქმნის ძველის ადგილს, სიძულვილის გვერდით სიყვარულს ამეფებს, კბილთა ღრჭენის მეზობლად ბედნიერების წყაროს აჩქეფებს. ტრიბუნის ხმა მთელ ქვეყანას ათრთოლებს, თითქოს ყველა მოელოდა მისი სულის აღტყინებას და ენის ამეტყველებას, მას შეჰხარიან, გუნდრუკს უკმევენ. „ის საშინელებაა, ბოროტებაა, სიკვდილი და სისხლია! ის მშვიდობიანობაა, წეს-რიგი, ძალა და სიყვარულია“. სიკვდილია ძველისთვის, სიცოცხლე ახლისთვის, დამრღვეველი და ამრევია ბანკირთა სამეფოს, მომწესრიგებელი და დამამშვიდობებელია მშრომელთა კერის. ის, მსგავსათ გულ-გაყინულ ბანკირისა, სიმბოლიურ სახეთ დგას ქვეყნიერების გზა-ჯვარედინზე და ძველი ქვეყნის სვეტებზე ხელ მოხვეული ბიბლიურ სამსონივით, ძალუმად არყევს მთელ ქვეყანას. „ყვითელი ეშმაკის“ განსახიერება ბანკირი და „წითელი შრომის“ ხატება ტრიბუნი—აი ორი ქანდაკება, რომელიც დაჰყურებს თანამედროვე კაცობრიობას. პირველი დღევანდელი ძალაა, ძალა კონსერვატიული, ტრადიციული, მეორე ხვალინდელი დღის მგოსანია, ენერგიით მფეთქავი, უტრადიციო, რევოლიუციონერი. პირველი ცდილობს ერთ ადგილზე აბრუნოს ისტორიის ბორბალი, მართალია ერთ დროს ამ ბორბალს ისიც წინ მიაგორებდა, მაგრამ ახლა კი, როცა გაბატონდა, წინ სვლის უნარი წაერთვა და დამბლა დაცემული დგას. სამაგიეროდ ამ ბორბალს პროლეტარი მისწვდა და საშინელის გრუხუნით ატრიალებს წინ წასასვლელად.

ასეთია ვერჰარნის მიერ გაშუქებული თანამედროვე ცხოვრება, აი ასე ჩაიხედა მან მომავლის თვალში. ის სწერს ერთ ადგილას: „ამ ქალაქებში, სადაც წამდა-უწუმ ინთება ხოლმე თვალის წარმტაცი ცეცხლები, ატირებული და აცრემლებული ბრბო ერთი ქუჩიდან მეორეს ასკდება; აი ამ ქალაქებში, რომელთაც ასე არყევს მოულოდნელი სისხლიანი აჯანყებები და ღამის საშინელებანი, აი აქ არის, რომ ჩემი სული და გული ცეცხლად ინთება, თრთის და ღელავს, ფართოვდება და იზრდება“.

მგოსანი რომ აქ სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს, რომ მართლა იგი ცხოვრობს ქალაქის სურათებით, იტაცებს მისი კარგი, ზიზღს გვრის მისი საშინელება, ეს მან მშვენივრად გამოსახა თავის ნაწერებში. არავის ისე არ უგრძვნია ქალაქის პოეზია, როგორც ვერჰარნს, არც ერთ მგოსანს ისე არ განუცვრეტია ქალაქური ურთიერთობის მომავალი სახე, როგორც ვერჰარნის გენიას.

ვერჰარნის გენიალური განჭვრეტის გვირგვინი მისი დრამა „განთიადია,“ რომელსაც ქვევით შევეხებით, ახლა კი ორიოდე წამით შევჩერდებით მისს მეორე დრამაზე „ელენე სპარტანელზე“.

თ

„ელენე სპარტანელი“ ვერჰარნმა შექმნა 1908 წ.; ამ ნაწარმოებით ერთგვარად სრულდება და გვირგვინდება მისი შემოქმედება. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბელგიელ მგოსნის შემოქმედებას მისი „განთიადი“ ადგამს გვირგვინს, ამიტომ გვინდა ჯერ „ელენე სპარტანელის“ მოკლედ განხილვა.

ელენე სპარტანელი ელინთა მშვენიერი ელენეა, რომლის ძიება, როგორც ვიცით, რაღაც კლასიურ მსვლელობად შექმნილა. ვერჰარნამდის არსებული მშვენიერი ელენე ვნებათა ღელვის აღმძვრელი ქალია, ქალი პატრონი მშვენიერის სხეულისა, სისხლის ამღვრევი, გრძნობათა მოღიტინე. აი ამიტომ არის რომ მის გარშემო საშინელებანი დატრიალდება. მშვენიერი ელენე ბევრის თვალში დღესაც ავხორცობის ემბლემაა, მისი მშვენიერების მოგონებისას ბევრს აუთამაშდება ხოლმე ქვენა, ცხოველური გრძნობები. დღესაც ბევრი მგოსანი უგალობს მის მშვენიერ სხეულს. დიახ ასე უყურებდენ ვერჰარნის შემოქმედებითი ნიჭის დაკვესამდე, მაგრამ დიდებულმა პოეტმა, ვიტყვი ერთიანად იდეიურმა შემოქმედმა — ამ ანტიურ ფორმულში სულ სხვა შინაარსი ჩადო, მისი სიმშვენიერე სულ სხვა გრძნობათა ასათამაშებლად გამოიყენა. სწორედ ამიტომ გამოუცვალა მან „მშვენიერ ელენეს“ ეს სახელი და „ელენე სპარტანელი“ უწოდა.

ამ დრამაში ერთის მხრივ ჩვენ ვხედავთ ელენე სპარტანელს და მეორეს მხრივ ხალხს; მთელი პიესის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მშვენიერი ქალის სილამაზე მდაბალ ქვენა გრძნობებს კი არ იწვევს, არამედ ზეცისკენ მიაქანებს მაყურებელ მშრომელს და ფრთას ასხამს მის არსებაში ყოველგვარ კეთილშობილ გრძნობას და მისწრაფებას. დღემდის მშვენიერი ელენეს სხეული ცხოველურ გრძნობებს უკიდებდა ცეცხლს და აღტაცების მიზანი მისი სხეულის დაპატრონება ყოფილა, ხოლო სულ სხვაა ვერჰარნის ხელში, სულ სხვაფრივ გააშუქა დიდმა მგოსანმა უკვდავი სილამაზე, მისი ერთი ხილვა გმირულ გრძნობებს უღვიძებს ხალხს, ერთიანად გარდაქმნის და აღამაღლებს მას. დედებს ბავშვები აუყვანიათ და ელენეს სილამაზეს აჩვენებენ, — „ახსოვდეთ, რომ ოდესმე დაუნახავთო;“ ხალხში გაისმის: „ერთის შეხედვით ის გმირებს ქმნისო.“

ელენე სპარტანელის სილამაზე ბედნიერების ხილვაა ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთათვის, წელში სწორდებიან დამონებული შრომის შვილები, სიხარული და აღტაცება ეუფლება მათ სულსა და გულს.

ელენეს ხორციელი სილამაზე რომელიმე ბურჟუას ქვენა გრძნობებს გაუღიტინებს, ცხოველურის მიზნებით ააჩქეფებს მისს სისხლს, ხოლო უბრალო მუშა, მევენახე, სალოცავ ხატად იხდის მის წმინდა სახეს და შავი ცხოვრების ულლის წევის დროს იმედის ვარსკვლავად ხატავს მას, იგონებს ჭირსა და უბედურებაში, მისის მშვენების მოგონებით იმსუბუქებს ცხოვრების ტვირთს.

ასე უყურებს. საზოგადოდ სილამაზეს მშრომელი მასა, რომელიც მთელის თავის არსებით ჩაფლულია ცხოვრების ტალღებში, მას არ სცალია სქესობრივ გრძნობათა ხელოვნურად გასაღვიებლად, ყოველი მისი ნაბიჯი და მოქმედება ბუ-

ნებასთან არის შეთანხმებული, მისი კანონების მიხედვით მიმდინარეობს. გაბატონებულთ კი სულ სხვა ელფერი მისცეს ამ ბუნებრივ და შეუბღალავ გრძნობას; ქალისადმი ლტოლვილებას მათ თვალში პირადი გრძნობიერების ბეჭედი აზის. სულ სხვა ნაირის შეხედულობის არის, ვერჰარნის განჭვრეტით, მშრომელი ხალხი, რომელსაც სილამაზე საგმირო, რევოლიუციონურ საქმეებისკენ იწვევს.

II

„განთიადი“ ვერჰარნის გენიალური შორს განჭვრეტაა, მომავალ ბედის ტრიალის წიგნის გადაფურცვლაა. მას, ვინც მიუწვდომელის სინამდვილით და განსაზოგადოებრივებულის ნიჭით ასახა დანგრეულ სოფელთა ყოფა-ცხოვრება; ვინც იგრძნო მთელი დღევანდელი ცხოვრების მომავალი, მთელის არსებით შეედულა თანამედროვე ცხოვრების ფეთქას, მას ვიმეორებ, უსათუოდ უნდა გადაეგდა ნაბიჯი ბნელით მოცულ მომავლისკენ, უნდა გაეშუქებია იგი თავისებურად. ეს ნაბიჯი მართლაც გადადგა ვერჰარნმა, მან გენიალურად განჭვრიტა დღევანდელი ქალაქური ცხოვრების მომავალი და უდიდესი სიმბოლოებიც შექმნა დრამა „განთიადში.“

ამ დრამაში პირველ მომქმედ პირად დასახელებულია „ხალხი,“ შემდეგ კი მუშები, მათხოვრები, ფერმერები, ჯარის კაცები, ქალები და სხვა., ტრიბუნი იაკობ ერენიანი, ქალაქთა ბედის წინასწარ მთქმელი, სოფელთა ბედის წინასწარ მთქმელი და სხვა და სხვა. მომქმედ პირთა აღნუსხვის შემდეგ ვკითხულობთ: „ჯგუფები მოქმედებენ ვით ერთნი, მრავალ სახოვანი პიროვნებანი.“ ერთის სიტყვით ჩვენ საქმე გვაქვს გაზოგადოებულ ტიპებსთან და არა ცალკე ინდივიდებთან.

დიდი ქალაქი ოპიდომანი აღყა შემორტყმულია მტრის მიერ, ოპიდომანი თავისი მილიტარიზმით სხვას უპირებდა გადაყლაპვას, მაგრამ... დღეს თითონ მის გადასაყლაპად მოსულა მტერი, ქალაქის მეფე თავს იცავს, ჯარები პოზიციებზე დგანან. მაგრამ ქალაქის დაცვაში ყველა როდია დაინტერესებული, ეს გაბატონებული კლასის საქმეა, ხოლო გაღატაკებული და გაძვალტყავებული ხალხი გვერდზეა გამდგარი, გაფიცულა და მსგავსად რომაელ პლებეების „სამღვთო მთაზე“ გახიზნვისა, ისინიც ავენტინს შეკედლებიან. მთავრობა იწვევს მათ შესარიგებლად, მოუწოდებს თავდაცვისკენ, აწვდის ჩვენი დროის „სამოქალაქო შერიგებას“, საერთო მტრის მოახლოვების გამო კლასთა ბრძოლაზე ხელის აღებას, მაგრამ არაფერი გამოდის, „პარაჟენცები“ მედგრად დგანან ავენტინში, დაღუპვის კარზე მიმდგარი ძველი მთავრობა მოლაპარაკებას მართავს მშრომელთა ტრიბუნთან—ერენიანთან, რომელსაც შესთავაზებს მინისტრის პორტფელს, ოღონდ მან მუშები გადმოიყვანოს მთავრობის მხარეზე. ერენიანი ხედავს, რომ ძველი მთავრობა დაემხობა, მისი არსებობის წუთები დათვლილია, ძველ მთავრობასთან ერთად მისი მომავლინებელი კლასიც ჩაბარდება ისტორიას და მის მაგიერ მშრომელთა კლასი გაბატონდება ოპიდომანში. ერენიანი ხედავს, რომ მომავალი ხალ-

ხისაა და კიდეც ღებულობს მთავრობის წინადადებას, მიდის აჯანყებულებთან და ქალაქში დაბრუნებას ურჩევს.

აჯანყებულთა შორის არის აგიტატორი ენო, რომლის რწმენით ხალხის გასამარჯვებლად „საჭიროა აჯანყების გაგრძელება, სამოქალაქო ომის დაწყება, სიღარიბის გაღვივება, ბანკებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა ხელში ძალით ჩაგდება“ და სხვა ასეთები. ენო მოუწოდებს აჯანყებულთ მიმართონ ტერორს, ვინაიდან აქ არის ხსნა, დახოცონ მთავრობის წარმომადგენელნი და ამნაირად ჩაიგდონ ხელში ძალა უფლება.

აჯანყებულებთან მოდის ერენიანი და უცხადებს მათ თავისს აზრს. ამ დროს გამოდის ენო და უკმეხად იძახის „ჩვენ არასოდეს არ შეუთანხმდებით მთავრობას“.

ერენიანი. თუ ჩვენ უარს ვიტყვით შეთანხმებაზე, უსათუოდ მთავრობა შეგვებრძოლება. ჩვენ იდეით გატაცებულნი აქ ცოტანი ვართ და ჩვენის მოქმედებით მთელი ხალხის ბედსა ვჭრით. დღეს თუ არა ხვალ ჩვენ მოწამენი ვიქნებით ბლეგეების გამარჯვების და განა დღეს ჩვენის მოუფიქრებლობის წყალობით მახეში უნდა გავებათ?

ენო. ყოველივე ის, რასაც მთავრობა გვაწოდებს, განურჩევლად უნდა უკუვაგდოთ.

ერენიანი. არა, ჯერ კბილი უნდა გავუსინჯოთ ყოველივე იმას, რასაც იგი გვაწვდ-ს და იქედან სარგებლობა უნდა გამოვიტანოთ...

ენო. თქვენ გინდათ მთავრობა ჩამოაგდოთ და მერე თითონ თქვენ დაგვადგათ კისერზე უღელი... თქვენ სასირცხოთ ვაჭრობთ, თქვენ საეჭვო რამეებზე გინდათ დაეთანხმოთ მთავრობას...

ბუნტარი ენო, რომელსაც გონია, რომ თუ კარგი გეგმა ექნება გამომუშავებული, გამარჯვება უსათუოდ მისი იქნება, მარცხდება; ხალხი უჯერის საყვარელ ტრიბუნს ერენიანს, რომელიც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, მათში აღზრდილა და მათი ძუძუ უწოვია. აჯანყებულნი ბრუნდებიან ქალაქში, ერენიანი უსაჭიროესი კაცია დღეუპის კარზე მისულ მთავრობისთვის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული სახალხო ტრიბუნი ყავარჯნად გაიხადოს. მაგრამ ერენიანსაც თავისი გეგმები აქვს, მისი მიზანია ძველი მთავრობის დამხობა და მშრომელთა გაბატონება. ეს კიდევ ცოტაა: ერენიანი ინტერნაციონალისტია და ერთ წუთსაც კი არ ივიწყებს ამას; ის ჩუმად მოლაპარაკებას აწარმოებს მტრის ჯართან, აძმობილებს თავისიანებთან და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც დაამობილებს ორ მოწინააღმდეგე ჯარს: გაიღება ქალაქის კარები—ერთს ეწოდება ბაბილონის კარები, მეორეს რომის (ესეც სიმბოლიურია) და ახლობამდის ერთმანეთის სისხლის მღვრელი ერები „ხალხთა მოედანზე“ სამუდამო ძმობას ეფიცებიან ერთმანეთს. თითონ ერენიანი პრავაკატორის ტყვიამ მოკლა და მისს ნეშტზე აათამაშებენ ერენიანის პატარა შვილს, მომავლის იმედს.

ასეთია მოკლეთ ამ შესანიშნავი დრამის შინაარსი; ჩვენ აქ არ შეგვეძლო გადმოგვეცა ყოველივე წვრილმანი, რომელიც აგრე ახასიათებს ამ გენიალურ ნაწარმოებს. მიუხედავათ ისისა, რომ ეს დრამა დიდის ხნის უკან ჯრის დაწერი-

ლი, ასე გეგონებათ, რომ დღეს ჩვენი რევოლიუციის დროს დაუწერია იგი პოეტს. ბევრი მომქმედი პირი ჩვენი ახლო ნაცნობი და ნანახიც კი გვგონია. ასეთის ინტუიციით არის დაჯილდოვებული დიდი პოეტის დიდი არსება, რომელიც არა მარტო აწმყოს ამოცანას კითხულობს, არამედ მომავალსაც სისწორით განჭვრეტს.

Ი

ჩვენ ვსთქვით, რომ ვერჰარნი სიმბოლოების შემქნელი მგოსანია, ისიც ვსთქვით, რომ იგი არ არის ისეთი სიმბოლისტი, როგორიც არის მეტერლინკი, ბოდლერი და სხვა. საჭიროდ მიგვაჩნია ამაზე უფრო დაწვრილებით შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

სოფლის დაკრუნჩხული ხელები, ბანკირი, ტრიბუნი, ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲘ, ქალი გზაჯვარედინზე, ერენიანი, ენო, სოფლისა და ქალაქის ბედის წინასწარ მთქმელი, ელენე სპარტანელი და მრავალი სხვა—აი ვერჰარნის მიერ შექმნილი სიმბოლოები, ასახული ტიპები, წარსულის, აწმყოს და მომავლის დამახასიათებელნი.

საიდან შექნა მგოსანმა ეს ტიპები, თითონ შეთხზა და გამოიგონა, თუ ცხოვრების სინამდვილეში ასახა ისინი?

წარმოიდგინეთ ხე, რომელიც თანდათან, წლიდან-წლამდე იზრდება და ბოლოს, მრავალი ხნის შემდეგ უკვე ზრდა დათავებული ამაყად გადმოყურებს მიდამოს, შეუპოვრად ხვდება ბუნების მოვლენებს, მედგრად უხვდება ᲥᲔᲥᲐ-ᲥᲣᲮᲘᲚᲘ. ამავე დროს ის ერთგვარად დამამშვენებელი სიამაყეა მიდამოსთვის, მისი მემატიანეა, მისი მებაირახტრეა, მტრისა და მოყვრის დამხვედრი.

აი ასეთია ვერჰარნის მიერ შექმნილი სიმბოლოები: ყველა მათგანი დედამიწის პირიდან ნელ-ნელა აღმართული სახეები, თან-და-თანობით გაზრდილი და დავაჟკაცებული ნატვრანია. ეს სიმბოლოები ნახევრად რეალური ცხოვრების შვილებია, აქ უდგიათ ფეხი, ამ ცოდვილ დედამიწას უწოვებია მათთვის ძუძუ, ერთის სიტყვით ისინი ამ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠᲘ არსებანი არიან, ხოლო იმავე დროს იმ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘᲐᲪ სცხოვრობენ. ერთსა და იმავე დროს რეალურნიც არიან და არა რეალურნიც, გვიჩვენებენ ცხოვრების იდეალსაც და ყოველ დღიურ წუმპესაც.

ვერჰარნი არ არის მარტო ფაქტების აღმნუსხავი, მშრალი პროტოკოლისტი, უპერსპექტიო და უიმედო ნატურალისტი, ეს საფეხური მან უკვე გაიარა, დიახ, გაიარა, მაგრამ სავსებით არ უარ უყვია, არ დაუგდია. მან მხოლოდ შეასწორა იგი, არ იკმარა ის; რასაც ნატურალიზმი აძლევდა და ცხოვრების სინამდვილეში უფრო ღრმად ჩახედვით, მან გვითხრა, რომ თვით ყოველ დღიური სინამდვილეც, მომწამვლელი პროზაც, ერთგვარ იდეალიზმს ატარებს, წინ მსვლელობის ნიშნებს ქმნის. ნატურალიზმის შავი და უიმედო კედელი, გაუვალი ზღუდე, ვერჰარნმა გენიალურად განკვრიტა და მის გადალმა დაინახა მსხნელი ვარსკვლავი.

აი ამიტომ არის, რომ მისი სიმბოლოები ერთის მხრივ რომ სინამდვილეს გვაჩვენებენ თვალწინ და გვასწავლიან, მეორეს მხრივ ამ სინამდვილეშივე გვიჩვე-

ნებენ პროგრესის ნაპერწკლებს. ვერჰარნის სიმბოლოები ყოველ დღიურ მოვლენითა განსაზოგადოებრივება და ერთ სახედ შეკუმშვაა.

ამავე დროს ვერჰარნი არ არის მშრალი, უსულგულო. პირიქით მისი სიმბოლოები ნამდვილი, ცოცხალი არსებანი არიან, გულის წარმტაცნი, უსაზღვრო ალმაფრენის მომგვრელნი. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი მგოსანი უპირველეს ყოვლისა ცოცხალი სინამდვილის მგოსანია, ყოველ წუთს მფეთქავ ცხოვრების მომღერალია. ვერჰარნი არ თხზავს თავის ტიპებს, არ იგონებს მათ სახეებს, არამედ თითონ ცხოვრების სინამდვილიდან იღებს მათ და თავისი შემოქმედებითი ნიჭის წყალობით მომხიბლავ მშვენიერების ჩადრში ხვევს. ვერჰარნი თავის იდეებს თვით ცხოვრების მრავალ ფეროვნებაში ეძიებს, ის არ ზის ზოგიერთებივით და საკუთარ თითებიდან არა სწოვს იდეებს და ტიპებს.

ასეთია შინაარსის მხრივ ემილ ვერჰარნი, მაგრამ მკითხველი ვერ იქონიებს მასზე შესაფერ წარმოდგენას, თუ არ შევეხებით მის პოეტურ ტემპერამენტს და საზოგადოთ აზრთა გამოთქმის საშვალებებს, ნაწარმოებთა ფორმას.

ბოდლერმა სთქვა: ის სიტყვები, რომელსაც პოეტი ხშირად ხმარობს, მისი ნიჭის სულსა და გულს შეადგენს, ლეოვ-როგაჩევსკის სიტყვით ასეთი სიტყვებია მეტერლინკის შემოქმედებაში: „დაკეტილი კარები," „შეუცნობელი," „სიკვდილი," „შიში," ხოლო ვერჰარნის კი—„აჯანყება," „აფეთქება," „გაფეთრებული," „წითლად მოკიაფე" და სხვა.

ვერჰარნის მთელი პოეზია ცხოვრების მოძრაობის გადმოშლაა, ამაფეთქებელ ძალთა ხოტბა-ქებაა და რასაკვირველია, რომ ასეთ მგოსანს სიტყვებიც შესაფერი უნდა გამოენახა, მისი ლექსიკონი ერთიანად უნდა შეესაბამებოდეს იმ ცნებებს, რომელზედაც პოეტი გვიმღერს. შინაარსი ყოველთვის თავის შესაფერ ფორმას მოითხოვს.

თრთის და ცახცახებს ცხოვრება, წესი ეგება ძველს, გზას იკვლევს ახალი; ირყევა ძველი კოშკები, მოქანაობს ელექტრონის ტრამვაი, გაჰკივის ქარხანა, თვალ უწვდენელ სივრცეს სერავს რადიოს ტალღა. ამ პროცესის მგოსანიც სწორეთ ასე სწრაფი, მკვეთრი და მკვირცხლი უნდა იყოს. ის ისე უნდა კვესდეს, როგორც ელექტრონის ცეცხლი, ის ისეთივე დაუდგრომელი უნდა იყოს, როგორც მის გარშემო მფეთქავი ცხოვრება.

ასეთია ვერჰარნიც. ის მუდამ თვდავიწყებული მღერის, გიჟურად მიილტვის შორს, არაფერს ეპუება, გაცეცხლებული გაჰკივის, გაფთრებული სცემს ბუკსა და ნაღარას. მან არ იცის, რა არის ყოყმანი, ერთ ადგილზე დგომა, არსებულით დაკმაყოფილება, ის მუდამ კედლის იქეთ იხედება, ზღუდეებს უპირებს გადალახვას, მოუსვენარია.

ბუნტარი ენო ამბობს ტრიბუნ ერენიანის შესახებ: „ის ყოველთვის არსებულს იქეთ იხედება, მე მისი ვერა გამიგია რაო". ეგ სიტყვები საესებით ითქმის ვერჰარნის შესახებაც. ის არ არის მონა დღევანდელი დღის, ის არ ემორჩილება ყოველ დღიური ცხოვრების ფაქტებს.

მარქსიზმის ერთი დიდი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი ამბობს: „ხელოვნების

მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხის ყურადღება მოაშოროს ყოველ დღიურ მოვლენებს და მისცეს საშვალება ამ მოვლენათა მაღლა დადგეს. ეს გამომდინარეობს თითონ ხელოვნების არსებითი თვისებიდან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თავის ობიექტს იგი ქმნის ხელოვნურად (არა ბუნებრივად) და თავის სურვილის მიხედვით. ყოველ დღიურ ცხოვრებას არ სჭირდება მხატვრული შემოქმედებით გაშუქება. მე იმიტომ მივმართავ ხელოვნებას, რათა დავივიწყო ეს ყოველ დღიური მოვლენანი".

ამ სიტყვებით კაუცკი ერთიანად უარყოფს ნატურალიზმისა და გულუბრყვილო რეალიზმის (ადრინდელი შემეცნება რეალიზმისა) თეორიას და მეორე მხრივ სავსებით ამართლებს ვერჰარნის შემოქმედებას, რომელიც ერთის თვალით რომ წარსულსა და აწმყოს მიჩერებია, მეორეთი ბრწყინვალე მომავალს გაჰყურებს.

და ის, ვისაც არსებული ურთიერთობა უნდა გადალახოს და რაიმე ახალი შექმნას, არ შეიძლება იყოს უენებო, უგრძნობი; ტემპერამენტი ამ დროს მთათა შემრყევია. „Безумству храбрыхъ поемъ мы славу". ამბობს ვერჰარნის გვერდის დამამშვენებელი მაქსიმ გორკი. სწორეთ ეგ გიჟური ტემპერამენტია რომ მომხიბლავად ქმნის ბელგიელ პოეტს, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის გულის მესაიდუმლეთ ითვლება.

ვერჰარნი ახალ შინაარსთან ერთად ქმნის ნაწარმოების ახალ ფორმასაც; მან ვებერთელა პოემები ლირიკულ ლექსებად შეკუმშა. ობიექტიური ამბის, პოემის ლირიკულ ნაწარმოებად გადაქცევა—ეს ვერჰარნის ნიჭის საქმეა. მისთვის თავი და თავი ლექსის შინაგანი მხარეა, ხოლო რითმები და სხვა ასეთები მეორე ადგილს დგას. ვერჰარნის მთელი არსება იდეებით არის დატვირთული. ყოველთვის კალმის ხელში აღებისას მას რამდენიმე სიმბოლო—იდეა აწუხებს და გამოხატვას მოსთხოვს. ამ დროს, რასაკვირველია, ლამაზ-ლამაზი სიტყვები და წაშაქრული რითმები პოეტს არ აინტერესებს. ამიტომ არის, რომ ვერჰარნის ლექსი ერთის შეხედვით მძიმეა და ულამაზო. მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, მაშინვე თქვენ გადაგეშლებათ ქმნილების შინაგანი მუსიკა, იდეასთან შედუღებული ფორმა და თქვენც ერთიანად იხიბლებით.

ვერჰარნი აბობოქრებული ცხოვრების, ათას თავიანი მდევის მგოსანია; მის ნაწერებში თქვენ საშინელი ხმაურობა და გრიალი გესმით, აქ პირველ მომქმედ პირად ხალხია გამოყვანილი, მრავალ სახოვანი კოლექტივი, გამოწვდილი მილიონი ხელები. ქაოსის ამწერს მუსიკაც ქაოტიური უნდა ექნეს, თავისუფალი და მრავალფეროვანი. ასეთია ვერჰარნის ლექსიც.

სარედაქციო კოლეგია:
ივ. გომბრთელი
ს. ახაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ოხთალი მუშა

ცისარტყელა



№ 6 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1920 Წ. № 6

შინაარსი

პოეზია:

აკაკი—რჩევა

ს. აბაშელი—ჩრდილი

ს. ბერეჟიანი—როსკიპი

გელა—რომი

დუტუ მეგრელი—თოვლი

იასამანი—წყლულები

ობოლი მუშა—სისხლის ცვარები

ვარ. რუხაძე—როს ცისკარი იფეთქებს

ი. ტოფაძე—დღეს მეცა ვმღერი

გ. ქუჩიშვილი { 1. ქარხანაში
2. სამხედრო გზაზე

ბელეტრისტიკა:

შიო არაგვისპირელი—გაბზარული გული

ვასილ ბარნოვი—ყვავილი მიმომავალი

არჩილ რუხაძე—ნაზი ყვავილი

ლეო ქიაჩელი—Escalade

კრიტიკა:

ივ. გომართელი—სალიტერატურო შენიშვნები

აკაკი პაპავა—ფიქრები თეატრის კრიზისზე

გ. სვ—სკ—ლი—ჩემი აზრი

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

№ 6
მაისი
1920

პროგნოზი

აკაკი

რჩევა [1])

(ზოგიერთების საპასუხოდ)

„შენი გზა აღმაფრენაა
და მარტო ჩანგი ხელობა!
დაბლა, ქვეყანას რას არგებს
შენი ზრუნვა და მსჯელობა?

ჰაერში მოჭიკჭიკე ხარ,
ზე ანატაკი ტოროლა!
ქვეყანას ზოგიერთები—
ვეყოფით თვითო-ოროლა.

ჩვენ დაგვაცადე! ჩვენ ვიცით,
რაც უნდა ჩვენსა მხარესა.
შენ წადი და ესაუბრე
ვარსკვლავებს, მზეს და მთვარესა“.

ასე ურჩევდენ მგოსანსა
ხოხონიკა და ტეტია.—
ერთი მათგანი ბრიყვია
და მეორე კი ცეტია.

ჯერ არ იციან არც ერთმა,
თუ „რა ხილია ხურმაო?“
„ჩემზე მეტს რომ იწველიდეს,
დამწიხლოს მე იმ ფურმაო“!..

---

[1]) დაუბეჭდავი ლექსი აკაკი წერეთლისა. დაწერილია 1868 წ., ცნობილ პოლემიკის დროს გრიგოლ ორბელიანსა და გრიგოლ დადიანს შორის. გადმოღებულია მგოსნის დედანიდან სისწორით. **რედ.**

ს. აბაშელი

ჩრდილი

საღამოს სინაზე ქალური.
შრიალი შუქის და ჩრდილისა.
მთის გაღმა მთვარე ნამგალური.
ჰაერში სიწყნარე ძილისა.
ოცნება ცრემლით მოკალული.
სიმშვიდე დაფერფლილ გრძნობისა
და გულში ჩუმი სიბრალული
უდროოდ გამქრალის ყრმობისა.

ს. ბერეჟიანი

როსკიპი

მიბინდულ ქუჩებს ესტუმრება მორთული ქალი,
შეკხებულ სახეს მოგანათებს მღვრია ლოდინით;
თვალს ჩაუკრავთ და წამოგყვებათ გველურ ზოზინით;
ნაპერწკალს სისხლში გააღვივებს ტანი დამღრალი.

ბნელი სასტუმრო ჩაგიხუტებთ ბინძური ხელით,
ალმური ვნების მდიდარ ქისას არ დაინანებს;
აჟურის ჩულქში ჩაიკეცავს ხუთ თუმნიანებს;
სანათი ქრება და ფერების ცეკვას მოელით.

ბოხი ხველებით შეიჭრება ისევ ქუჩებში;
მიფერფლილ გრძნობებს კვლავ მოელის ცეცხლი მუშტარის;
მისთვის ერთია ვინც იქნება მისი სტუმარი,
მისთვის ერთია ვინ აკოცებს ჩამქრალ ტუჩებში.

ნათელი დილა შეეცვლება სიზმრის სავანეთ,
მილანდულ ფიქრებს სიგარეტის კომლი იამა!
მთრთოლვარე ხელით იფურცლება კუპრინის „яма“,
დობილთ უძახის: „შენდობისთვის დავაგვიანეთ!“

სუფთა სოფელში გაიზრდება უგულო ბავშვი;
გარყვნილ დედილოს მოეხვევა ჩუმი გოგონა,
უმანკოება მოკლე კაბამ მას მოაგონა:
„ქალწულო დედავ, ნუ, ნუ ჩასვამ ჩემს შვილს ჩემს ნავში!“

მიბინდულ ქუჩებს ესტუმრება სნეული ქალი,
ხანტი ზოზინით მიაკითხავს ნაცნობ მიკიტანს;
„დამისხი ჩქარა, თორემ გული მეტს ვერ აიტანს!“
ნაცნობ პროფილებს გააცინებს როსკიპი მთვრალი.

გ ე ლ ა

რ ო მ ი

I

მოგვილის გრძნობა, შემოსილი ფერად მანტიით,
იქ თვალ-წინ ღელვით გადიშლება დიდება მზისა,
გაივლი ქუჩებს ცად აზიდულ კოშკთა ორგიით
და მოფრინდება მახარობლად ფერია დღისა!

მოგვეკლინება ცის ტალღებათ შადრევანები,
ლამაზ მოედნებს ინახულებ ურიცხვ ძეგლებით,
და იქ სიცოცხლის აიაზმით გაიბანები,
სიკვდილს გააკრავ ცის სვეტებზე მძლავრის ხელებით!..

მოღლილ ყვავილებს შორს გადისვრი თავ-განწირული,
და ლტოლვის რაშებს მოუწოდებ წინ გასაფრენათ,
გინდა მალულად მოიტაცო რომულის გული
მისი ველური სილამაზის გამოსაფენათ!..

დიდების ძეგლებს დაედევნე--მოგიწოდებენ,
სიცოცხლის ნაშთი მრავალია—მარგალიტები,
აქ ტრიბუნაზე კაი-გრაკხებს მოიწონებენ,
სად ციცერონის მაღლით სჭექდა მძლავრი სიტყვები!

ნგრეულ სამყაროს გადახედე უძველეს რომის
პლებე ვერ პოვო, ვერც პატრიცი პატივ-მოყვარე,
ნახე დიდება დანგრეული ძველი აღდგომის,
მკვლელი ცეზარის აქ ისვენებს კოშკი მდუმარე!..

უმანკო ვესტებს ინახულებ შვენიერებით—
სად უქრობ ცეცხლის მფარველები წარმოდგებიან,
მიახლოვებას უარყოფენ ნაზი ხელებით,
ბანოვანები შადრევნებში თითქო კრთებიან!..

და კალიგულა გადმოდგება განრისხებული
იქ შავ სარდაფში მას განგმირავს ურჩი ჭერია,
შორს კოლიზეუმს გადახედავ განცვიფრებული,
ტიტანიური კედელთ მჩენი—საკვირველია!..

მიდამოვ ძველო! ჩამობურულ შენს დიდ წარსულში
ცხოვრება ვპოვე გადაშლილი მძლე თაიგულათ,
ო, ძველო მხარეე! მძლეთ შეიქერ ამ დღით ჩვენს გულში,
სიცოცხლის ტალღებს რო ისროდი კაცთა სადგურათ!..

დაინგრევიან უიმედოთ ზოგი ზღუდენი
ჩვენ კი შენს ნაშთებს ავამღერებთ, წარსულო რომო,
რომ გასულ დროის ამოვხატოთ კულტურის დღენი
და წინ წავგზავნოთ სანუგეშოდ ძალა უზომო!..

II

ო, რომო, რომო!.. განახლებულ ცეცხლის კვილში
უზომო ფიქრებს მისცემია შენი გენია,
და ახალ დროით გამოტყორცნილ დიად ძახილში
დიად მნათობის სხივი უხვათ მოგიფენია!..

მოკვდა ნერონი— განადგურდა მისი სახლობა,
სხვის გასართობათ არ კვნესიან კაცთა შვილები,
დაიფრქვა სივრცით განახლების ფიქრთა გალობა,
აქ ხელოვნების ამობრწყინდა ცელქი სხვები!..

მაშ, წამოდეგით!.. მოიხადეთ ქუდები კრძალვით,
და ნელა, ნელა მორიდებით შეაღეთ კარი,
და დაინახეთ იმ კუთხიდან უჩინარ თვალით
ვინ ღაღადისობს ფრთებ-შესხმული, ვინ არს ცოცხალი!..

ნუ გწამს ღმერთები!.. ხელოვნების მარად მლოცველი,
„პიეტროს გუმბათს“ და „ვატიკანს“ მიებარები,
უმღერებ მიწას, ვით პირველი მახარობელი,
და ქვეყნის შვილი მტოკავ ფრინველს დაედარები!..

მძლე ფიქრთა გროვა ფერად ღელვად ამობრწყინდება,
მიქელ ანჯელოს სახეობა დადგება წინა,
იქ რაფაელი ნაზი გრძნობით შემოფრინდება
და გაიშლება სადიდებლათ ხელოვანთ ბინა!..

ამიყვანს მაღლა ეგ მიქელოს ფიქრთა ზოლები,
მონობის ურჩი თვით შეგიპყრობს განდიდებული;
აქ ჯოჯოხეთის საშიშ კედლებს ეამბორები,
იქ ქანდაკება აგატოკებს თვით აგზნებული!..

და ხმით ოცნების მოგიწოდებს ნაზი მადონა,
ო, ნეტარება! ვინ ვიხილე, ვინ არის იგი!
ვინ წარმოგზავნა სადიდებლათ, ვინ მომაგონა
მისი ციური სახეობა—და მზის წესრიგი!..

რაფაელს იქვე ხელ-დაკრებით შეევედრები,
თავი-დახარო ვით ობოლმა მადონას წინ და
მის მძლე კვარცხლბეკზე ჩამოღვარო კრძალვის ცრემლები,
საგულ-ცისკროვნოთ უგალობო ლოცვები წმინდა!..

აქ აფროდიტეს ქანდაკება აყვავილდება,—
ვენერა მორცხვათ მოსცურდება თმა დავარცხნილი,
თვით აპოლონი ვერ მოითმენს, ახმატკბილდება,
და სიყვარული გაიშლება, ვით დღის ყვავილი!..

მიქელ-ანჯელო უგალობებს თავის „აღდგომას“,
„მოსეს“ უბრძანებს: „წამოდექი—არ ხარ უმწეო“
და რაფაელი არ იკადრებს ვისმეს გაწყრომას:
თვით ცეცხლის ალში გამოუხმობს: „ამოდი მზეო“!..

დე-ვინჩი სევდით წამოდგება სახე-რჩეული;
„სავანაროლა“ ვინ ჩაჰკეტა საკანში აგრე;
აქ ლავერენო შემოხედავს დადუმებული
იოვანეს თავს ვინ დაჰყურებს გლოვით,—მდუმარე!..

ვერ მოვისვენო დამშვიდებით ხელოვანთ ზღვაში,
ქანდაკებანი ვით ცოცხალნი ნაზათ დგებიან,
„ფერის ცვალება“ გაგაოცებს უსაზღვრო ცაში,
უკვდავთ აჩრდილნი რა რიგ ღელვით ირაზმებიან!..

ო, რომო, რომო!.. განახლებულ ცეცხლის კივილში
უზომო ფიქრებს მისცემია შენი გენია
და ახალ დროით გამოტყორცნილ დიად ძახილში
დიად მნათობის სხივი უხვათ მოგიფენია!..

მაშ, წამოდექით, - მოიხადეთ ქუდები კრძალვით,
და ნელა, ნელა, მორიდებით შეაღეთ კარი,
და დაინახეთ იმ კუთხიდან უჩინარ თვალით,
ვინ ღაღადისობს ფრთებ-შესხმული, ვინ არს ცოცხალი!..

რომი. 25 იანვარი 1920 წ.

დუტუ მეგრელი

მოვლ ი

რა კარგი იყო, რა ნაზი, რბილი,
როცა თეთრ ფიფქად ციდან ცვივოდა
და, მზემ რომ პირველ აკოცა ტკბილად,
რა მომხიბვლელად ბრწყინავ-ღვიოდა!

უმანკო, ჩვილ ყრმას შეეძლო მხოლოდ
მას სისპეტაკით შეჯიბრებოდა,
და ჩვენც ვხაროობდით უმწიკვლო თოვლით,
მისი სიწმინდე გვენატრებოდა!

ახლა-კი, ვაი, ცრემლად რო დნება,
რა გულ საკლავად მოსჩანს მიწაზე!
სადღაა მისი უმანკოება?
სადღაა მისი სიწმინდ-სინაზე?

მაგრამ, განგებით დაკისრებული,
ხომ შეასრულა რაც ჰქონდა ვალად
და მიწა, მისგან გაცოცხლებული
კვლავ გადიშლება მშვენიერ ხალად!

მაშ, დიდება მას, — ფიფქი, თუ ცრემლი,
იგია ღირსი ბუნების შვილი;
სიცოცხლე ქონდა მას სანატრელი,
სანატრელივე არის სიკვდილი!..

იასამანი

წყლულები

უსწორო ველებს დაეფარება
მჩაგრავი სუსხი უჩვეი თოვლის,
და მიმწვევ ბანად გაიბზარება
სადღესასწავლო ზახილი მოლლის.

მიბნედილები შმუშვნით და რიდით
აიშლებიან მლოცველნი ზეზე,
შეიფუთნება ხანმოკლე ბინდით
მეჩეთის მთვარე ამოსულ მზეზე.

მტკიცე მორწმუნე, როგორაც შარშან,
გაყვება გასწვრივ ნაცნობ მდინარეს,
რომ სისხლი თავით ადინოს დაშნამ,
მხურვალე ტანჯვა გასცეს მინარეთს.

წინასწარმეტყველს ასმინოს აჯა,
რათა წყლულებმა დაბადონ შვება.
შეწყდეს ლოცვები, სალმობა, ტანჯვა,
იშვას სამოთხე და პატიება.

მიუვა ალაჰს ერთგულის ჰუნე:
გზა შემოკლდება რიდით სავალი.
თავსისხლიანი ივლის მორწმუნე
ბნელ უდაბნოში წელი მრავალი.

ოგოლი მუშა

სისხლის ცვარები

რკინის სალტებით შემორკალულ ყოფნის ზღუდეში
ცეცხლის ქარიშხლად აგიზგიზდა სულის კვეთება.
და იმ წუთს შემდეგ შეუცნობელ ქვეყნის უბეში
ოცნება ჩემი უგზო-უკვლოდ დაეხეტება.

ძველი სამყარო შემომყურებს, როგორც ცოდვილი,
და სინანულის ცივ ბურუსში შავად ეხვევა;
სისხლ-დაწრეტილი, უნუგეშო, გულ-დაკოდილი
შემიბრალეო—შემქვითინებს... და ხმალს ემთხვევა!

მაგრამ მე ვიცი, რომ დასრულდა მისი დიდება,
და ხმალს ავიქნევ გამარჯვების ლამაზ იერით;
ცოდვის შავ ბურუსს სხივთა ჩქერი წაეკიდება,
და მყის იელვებს უცხო სახე პირ-მშვენიერი!

მე მას ვადიდებ და მას ვეტრფი გულ-ანთებული,
მისკენ მიმიწევს ცის მნათობი წითლად მგზნებარე;
მისთვის ვალმერთე მსხვერპლთა ძვლებით ამოვსებული
ღრმა ნაპრალები... და ცრემლის ზღვა, სისხლად მჩქეფარე!

შორს არის იგი მონარნარე ნაზი მშვენება,
მაგრამ ისეა ჩემი სული მისით დამწვარი,
ისე წმინდაა მასზე ფიქრით ღამის თენება,—
რომ ჯერ არავის არ უხილავს ტრფობა ამგვარი!

და მე მწამს, როცა დავეცემი სადმე დაჭრილი,
და ცის სიღრმეში ჩავიხედავ გაოცებული,—
თვით უკვდავებას ვესტუმრები, როგორც აჩრდილი,
სისხლის ცვარებად, მზის სხივებით აორთქლებული!

ვარ. რუხაძე

როს სისკარი იფეთქებს

როს ცისკარი იფეთქებს
და ცა მოიფარჩება,
ფირუზ გულ-მკერდს შეიბნევს
ალისფერი ღილებით,
ღამის დედოფალისა
მხოლოდ ლანდი დარჩება
და რძის ნაკადულები
სჩქეფენ ოქროს მილებით,—

ჩემი ფიქრიც ფრთებსა შლის,
ვტოვებ მიწას სისხლიანს,
ლურჯ სივრცეში დავცურავ,
მსურს შევიპყრო ნათელი,
რომ ძირს გაშლილ ქვეყანას,
ჩაბნელებულს, ნისლიანს,
ვესროლო და ავუნთო
სასიცოცხლო კანდელი!

ი. ტოფაძე

დღეს მესა ვმღერი

საქართველოში მე ვიდოდი როგორც ფირალი,
ეს მზის ქვეყანა ჩემთვის იყო რკინის გალია.
ჭაბუკ ოცნებას გარს ეხვია ფიქრი მტირალი,—
უკუნის ჟამში სასიკვდილო შხამი დალია...

მზის ქვეყანაში მე წამერთვა თავშესაფარი,
და ჩემი ქვეყნის პირ მცინარე მთიები ცისა,
სხვის სამეჯლიშოთ გადაიქცა... და ჩემი ზარი
ფსალმუნი იყო ჩემი ერის მომავალისა...

დღეს გადავსერეთ ჟამთა სივრცე სულით ძლიერით,
და მივადექით ყვავილების სამეფოს კარებს;
დღეს ჩვენთან მოვა—ვინც სავსეა სიმშვენიერით,
თორემ ურწმუნოთ მზის ქვეყანა არ გაიკარებს...

ჩემ სამშობლოში მე ვიდოდი როგორც ფირალი,
დღეს კი დავდივარ როგორც მეფე გვირგვინოსანი;
შორს მიმოვფანტე ფიქრი მწარე, სევდით მტირალი,
დღეს მეცა ვმღერი, ვმღერი როგორც შვების მგოსანი...

გ. ქუჩიშვილი

ქარხანაში

ყურთა სმენა აღარ არის,
მანქანების გრიალია;
ფერხულია ძმათა ჯარის,
საქმიანი ტრიალია.

რვა საათის შრომის შემდეგ
დაყრუვდება ქარხნის კერა
და ქუჩებში გადმოჰხეთქავს
ზღვა მუშების მხნე სიმღერა.

სამხედრო გზაზე

მთვარით დაფერილ თეთრ შარა გზაზე
მიდის ურემი, მიიზლაზნება;
დუდუნებს მტკვარი მცხეთის ამბავზე
და თბილისისკენ მიიკლაკნება.

ურმის კოფოზე ღიღინებს გლეხი,
ღამის სიჩუმე ბანს ეუბნება;
ღიღინებს გლეხი და ამ ღიღინში
ვალალებს ტანჯულ ხალხის ოცნება.

ბიბლიოგრაფია

შიო არაგვისპირელი

გაგზარული გული

(ქართული არაკი)

მეოთხე კარი

1

ყველა ქორწილში მყოფი მებატონე კაცია-ბატონს შურის თვალით შეჰცქერის... იმისი ქალი ეთერი ეხლა დედოფალია. ჰშურთ ყველას: იმათაც, ვისაც გასათხოვარი ჰყავს და სადედოფლოდ ამზადებდა, და იმათაც, ვისაც საცოლე ვაჟი ჰყვანდა და კაცია ბატონის ქალის რძლობა უნდოდა, რადგანაც იმის საბატონო დიდ განძეულად ითვლებოდა ..

ეხლა კი ასე უცნაურად, მოულოდნელად ყველას პირში ჩალა გამოევლო...

— დიდი თვალთ-მაქცი ყოფილა კაცია!..— პირველ შეხმაურობაზედვე სხვა მებატონენი წამოიძახოდნენ... თითქოს თავისთვის იჯდა, სასახლეს არ ეკარებოდა. და მარტო თავის ყმა და მამულზე ფიქრობდა... ეხლა კი ირკვევა, თუ რა ხვრელით სასახლისკენ მიისწრაფოდა...

— ჩვენ კი ნაწლევზე ფეხს ვიდგამდით და .. უმატებდნენ შორიდგან მოსულნი მეორე, მესამე დღეს სტუმრები...

ცხრა დღეს გაგრძელდა ქორწილი მეფე-ნადირასი, და თითქმის სამეფოს ყველა მებატონე დაესწრო. ზოგი მეცხრე დღეს ღა მოვიდა, რადგანაც მოპატიჟე სიშორის გამო გვიან მიუვიდა. .

მართალია, დედოფალი პირველ დღეს ცუდათ გახდა, იმასთან ერთად მარეხიც... ცოტა ამან დაარღვია სიმხიარულე, მაგრამ ჩქარა ორივე მოსულიერდა და სიმხიარულე ისევ გაგრძელდა...

— მეფის ასულო მარეხ, ნურა გეფიქრება რა მაგ ზარისა!. განგებ მიჰმართა მარეხს კაცია ბატონმა,—ამით თავის ქალსაც დაამშვიდებდა... მაგის გამკეთებელი უფრო მალე გაამრთელებს, ვიდრე პირველად გაკეთა და ისევ ისე ნაზად აახმაურებს...

— ნება მომეცი, დიდებულო მეფევ. გავგზავნო ვინმე ჩემ საბატონოში და ვაცნობო ჩემი ესეთი ბედნიერება! . მიჰმართა შემდეგ მეფეს...

— დღეის შემდეგ, ჩემო მძახალო, ჩვენი მეფე ჩემი შვილია და დედოფალი კიდევ შინი ქალი ეთერი!.. იმათ მიჰმართე!..

— მაპატიე, ჩემო საყვარელო სიმამრო, ეგ ჩემი ბედნიერება მე უნდა მეცნობებინა შენი ყმებისთვის, მაგრამ დამავიწყდა, ისე ვიყავ მოცული და შებოჭილი ჩემი ბედნიერებით!.. ეხლავე გავგზავნი სასწრაფოდ ჩემ ერთგულს, შენს ნაცნობს ირემას... ყველაზე ადრე ის მივა .. ამ წამსვე გავგზავნი...

— ირემას დამიძახეთ!.. მიუბრუნდა შემდეგ მეფე-ნადირა მსახურთ...

— ირემა!..

— ირემა!..

— ირემა! .

გადადიოდა მსახურთა ხმა ერთი მეორისგან.

— ამ წამს აქ იყო!..

— ამ წამს აქ იყო!..

— ამ წამს აქ იყო!..

მოისმის პასუხად, მაგრამ ირემას გზა და კვალი დაიკარგა. .

„სად გაჰქრა ირემა“... ყველა ეკითხება, ყველას თვალწინ უდგას... აქ ტრიალებდა .. მხიარულობდა... იხედებიან... თვალებს აცეცებენ, რომ მეფის ბრძანება შეასრულონ, მაგრამ მიწამ უყო პირი, თუ ცამ უეცრივ ჩაყლაპა ..

კარგა ხნის შემდეგ მეფე ნადირას მოახსენეს, რომ ირემა ვერ იპოვეს... მეფეს არ ესიამოვნა ერთგული ყმის ასე უცნაურობა, მაგრამ არავის შეამჩნევინა თავის უსიამოვნება...

— ნულარ ეძებთ ირემას!.. ბძანა მეფე-ნადირამ... გამიგეთ ეხლავე, ვინ იცის კაცია ბატონის საბატონო და ამ წამს აქ გაჩნდეს!..

— ვინ არ იცის კაცია ბატონის საბატონო?!. თითქმის ერთხმად უპასუხეს იქ მდგომ მხლებლებმა: გვიბრძანეთ!..

— მაშ თუ აგრეა, ვეფხვავ, შენ წახვალ საბატონოში და აუწყე ჩემი და ეთერის ბედნიერება... და რჩეული ყმები კაციასი აქ გვეახლნენ. .

— არა, სიძე-მეფევ, აქ ნურც ერთ ყმას ნუ დავიბარებთ... ჩაერია კაცია ბატონი... მოიყვანე მხოლოდ ოქრო-მჭედლის შაგირდი მახარე .. ჩემი ყმები, უეპველია, თავიანთ ნებით გამოჰგზავნიან ვისმე მოსალოცად... მახარე კი უეპველად აქ მოიყვანე .. ის ცოტა ჯიუტია!.. აი, აქ დაგპირდება მეფის ბრძანება ის გაამრთელებს ამას... მიიშვირა ხელი გაბზარულ ზარისკენ და მარეხს შეჰხედა...

ეთერს გული გადაექანა... მარეხს თვალები გაუბრწყინდა... მეფე ნადირას კი

ფერი ეცვალა... „ხომ ეს განგებ ქვაფენილზედ დავანარცხე... წამს გაიფიქრა... რომ გამეტეხა და ეხლა ისევ“... მაგრამ ეთერს შეჰხედა და დამშვიდდა... ეთერი ამ დროს ნადირას შეჰსცქეროდა ლმობიერად და ნატრობდა: „ნეტავი მახარე არ მოვიდეს, თორემ რა პირით შევხედავო“... თავის სასარგებლოდ ახსნა ნადირა-მეფემ... ეთერი კი ემუდარებოდა მეფე-ნადირას, შენი სახელით ძალას ნუ დაატან მახარეს აქ მოვიდესო...

მეფე-ნადირას კიდევაც შეჰრცხვა. ვიღაც ოქრო-მჭედლის შაგირდზე ექვი მივიტანეო...

— უთხარ, მეფე გიბრძანებს და უნდა წამოხვიდე-თქო...

ეთერი წელში აიმართა და მედგარი სახე მიიღო...

— ჩემ მოურავს კი ეტყვი: ცხრა დღე და ცხრა ღამეს ჩემ სახლში უხვი მასპინძლობა არ შესწყდეს... გამვლელ-გამოვლელიც არ გაუშვას მიუპატიჟებელი... დაუმატა კაცია-ბატონმა...

2

... ეთერი ჯერაც ვერ გამორკვეულიყო თუ ასე უეცრივ რამდენიმე თავს დაატყდა .. მახარეს „ზარი“ მოსტაცა... მერე ეს ნადირა... თურმე ეს სეფე-წული ყოფილა .. ის უკვე დედოფალი ყოფილა, როდესაც ამის გულისთვის ზარის ხელში ჩაგდებას აპირებდა.— რომ სეფე-წული მოეხიბლა... „უზაროდაც“ თურმე მოხიბლული ჰყოლია ეთერს, და ეს კი არ იცოდა... „იქნება მაშინ“... გაიფიქრა ეთერმა, როდესაც ოთახი შეიკეტა და თავი ბალიშზე მიდო . „მაშინ რა“?!. უეცრივ დაეკითხა თავის თავს ეთერი, და იმისი ტანი სიამის ალმა აწო... მახარე და ნეტარება ერთად აერია, ერთ ქსი-ვილად ჩაენასკვა, და ამით წაიბურა დალალულ-დაქანცული სხეული...

მეორე დილას დასვენებული სხეულით და გონებით უფრო საღად შეჰხედა გარემოებას... ეხლა უკვე უტყუარი ამბავია იმის გადედოფლება. ეს მოხდა უცბად და ასეც უნდა მომხდარიყო. „განა ტყუილ უბრალოდ ეკედრებოდა თავის ღვთაებას, რომ ასე არ მომხდარიყოს“?.. მაგრამ ეს მახარე რაღად გამოენასკვა?!

აი, ეხლა თითონ მეფემ დაიბარა მახარე, ის უეჭველად მოვა, მეფის სიტყვას ვერ გადაუვა, უნდა და არ უნდა ნახვა. ასე ჩქარა არ მოელოდა იმის ნახვას... თითონაც ფიქრობდა: „როცა დედოფალი გავხდები, მაშინ ჩემ გვერდით ვიყოლიებ მახარესაო“, მაგრამ ასე ჩქარა ხომ არ მოიწვევდა?!.

ჩვეულებად იყო, მეფე-დედოფალი, ვიდრე ქორწილი არ გათავდებოდა, დაძმურად იქცეოდნენ...

ეთერიც ამ ცხრა დღის განმავლობაში თავისთვის იძინებდა, როგორც შინ, თავის კოშკში და გვერდით მეორე ოთახში იმის მფარველად გადია წვებოდა...

ჯერ დღეც მახარეს სახე არ ჰშორდებოდა... მით უფრო, რომ მარეხი ხშირად ეკითხებოდა მახარეზე, იმის ქნარზე, თუ როგორ მოხდა, რომ მაგრე დაამგზავსა ეთერის ხმას...

ეთერი ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: არ ვიცი; მაგრამ მარეხი მაინც კიდევ და კიდევ ჰკითხავდა...

ეთერი ყველასგან დღის განმავლობაში დიდს პატივის ცემაში იყო... გულწრფელი იყო ეს, თუ პირფერული ძნელი გამოსაცნობი იყო, მაგრამ დიდი მეფე და ნადირა-მეფე რომ გულ-წრფელად თავს ევლებოდნენ, ეს კი უტყუარი იყო.

მხოლოდ ეთერი ამას ყურადღებას არ აქცევდა და ერთ დონეზე იქცეოდა .. ყველანი თანაბრად მიაჩნდა და განსხვავებას არ აძლევდა...

ფიქრობს მახარეც ავიწყდებოდა, როცა მარეხი არას ჰკითხავდა ..

ღამე კი... მთლად მახარესგან მოქსოვილ ბადეში ეხვევოდა და იმისი გაბზარულის ზარის, რომელიც ეხლა მარეხის ოთახში ინახებოდა, ხმა ესმოდა და ეს ხმა ძილშიაც ჰყვებოდა.

ერთხელაც არ მოჰგონებია თავისი ქმარი მეფე-ნადირა ამ ცხრა ღამეს. .

ქორწილის მერვე დღეს მეფე-ნადირამ მოიგონა ირემა, როცა მარეხი შეეკითხა: კაცია საბატონო შორიაო, რო იქ გაგზავნილმა კაცმა დაიგვიანაო...

— ირემა რო წასულიყო, აქნობამდის აქ გაჩნდებოდა!!. მართლა, მერე მიუბრუნდა მახლობლებს და შეეკითხა: ირემა ჯერ კიდევ არ გამოჩენილაო? .

— იმის შემდეგ არავის გვინახავსო... უპასუხეს ერთხმად.

— საკვირველია, ღმერთმანი!.. ჩაილაპარაკა მეფე ნადირამ: რა დაემართა ი კაცს?!. უნდა მოჰსძებნოთ და ან მკვდარი, და ან ცოცხალი აქ მომიყვანოთ.

— აი რვა დღეა ვეძებთ და ვერ გვიპოვია! უპასუხა ერთმა მხლებელთაგანმა.

— ტყე-ღრე უნდა მიმოვლოთ და ან მკვდარი, და ან ცოცხალი ირემა მოგიყვანოთ, ან მომიტანოთ!.. მრისხანე ბრძანება გასცა ნადირა-მეფემ.

ძალიან უყვარდა მეფე-ნადირას ირემა და ეხლა თავის თავზე გაჯავრდა კიდევაც, რო ასე გადააგიწყდა, მაგრამ გასამართლებელი საბუთი ჰქონდა, რადგანაც ეხლა თავის თავიც კი დავიწყებული ჰქონდა, სულ ეთერზე ზრუნავდა და იმას შესცქეროდა თვალსა და წარბში და ცდილობდა, თუ რით ესიამოვნებინა და რით არა...

ეთერს კი მარტო ერთი ღა აზრი უტრიალებდა თავში, თუ მახარეს როგორ შეჰხედავს, როცა ის გამოცხადდება აქ, ამ ქორწილის დროს, და რას ეტყვის.

მეფე-ნადირას ფიანდაზად დაგებას არც-კი ამჩნევდა. ეს თითქოს ასეც უნდა ყოფილიყოსო, ისე იქცეოდა ..

გათავდა ქორწილი მეათე დღეს. სტუმრები მოღლილ მოქანცულნი დიდად დაჯილდოვებულნი თავიანთ საბატონოებში გაეშურნენ... მეფე-დედოფალი მიიწვიეს თავიანთას ..

სწორედ ამ დროს გაქაფებულ ცხენით შემოიჭრა ეზოში ვეფხვა... სწრაფად ცხენიდან ჩამოხტა და მივიდა მეფესთან.

— რა ამბავია, ვეფხვა?!. ჰკითხა მეფე-ნადირამ: ხომ შეასრულე დავალება?!.

— მშვიდობა, დიდებულო მეფევ, ყველაფერი შევასრულე... კაცია ბატონის ეზოში დიდი დღესასწაულია... მთელ საბატონოს მხიარულება მოედვა...

სწრაფად ყველგან, საცა კი სოფელი შემხვდა და ვუთხარი, დიდი, თუ პატარა სიხარულმა შეიპყრო და მაშინვე კაცის სახლისკენ გაეშურნენ... სასახლეში ხომ ენით გამოუთქმელია, რა ალიაქოთი ასტეხეს... მაშინვე ამოირჩიეს დარბაისელნი და აქით გამოგზავნეს საჩუქრებით მოსალოცად...

ეთერი, კაცია და მარეხი აქვე იყვნენ და სიამით უსმენდნენ ვეფხვას დელოდნენ მეორე დავალებაზე რას იტყოდა...

— მე ბევრი მთხოვეს დავრჩენილიყავი იქ და იმათთან ერთად მედღესასწაულა ბედნიერება, მაგრამ აქეთ გამოვეშურე მომეხსენებინა, რო ოქრო-მჭედლის შეგირდი მახარე თვალით აღარავის უნახავს იმის შემდეგ, რაც ბატონი კაცია თავის ქალით აქით გამომგზავრებულა...

— მარტო მოურავი ამბობს, რომ მეორე დღეს სალამოს პირას ჩაბარუხთან ვნახეო .. დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ ვეფხვამ.

— ესაც მეორე ირემა!.. წამოიძახა მეფე-ნადირამ... ეს რაღაც უცნაურობაა!..

კაცია დაღონდა .. ეთერი შეფიქრიანდა და მარეხი კი სასო-წარკვეთილებას მიეცა...

— რატო თითონ ოქრო-მჭედელი არ წამოიყვანე?!. შეეკითხა კაცია-ბატონი ცოტა სიჩუმის შემდეგ...

— ის თითონ მოვა . სურვილი გამოაცხადა რჩეულებთან ერთად აქ გეახლოს და მოგილოცოს ..

3

ნადირა-მეფეს სული მწარედ მოელოდა ამ მეათე დღის დაღამებას, რომ ეთერთან ერთად ღამე გაეტარებინა, მაგრამ, დახე უიღბლობას, ეთერი უეცრივ ავად გახდა და თავის ოთახში კარი შეიკეტა. მხოლოდ რამდენიმე წუთიო თუ შევიდო-

და მეფე-ნადირა, რომელიც მიაღერსებასაც ვერა ჰბედავდა, რადგანაც ეთერს მუდმივ გვერდით გადია ეჯდა...

სწუხდა მთელი სასახლე მეფე-ნადირასთან ერთად. კაცია ბატონი ხომ სულ ირეოდა... მალი-მალ შედიოდა ეთერთან, მაგრამ იქიდგან არავითარი სასიამოვნო ამბავი არ გამოჰქონდა...

მხოლოდ ყოფილი მეფე ანუგეშებდა ნადირას და კაცია-ბატონს, თუმცა იმისი საყვარელი მარეხიც კარ ჩაკეტილი იყო და არავის ინახულებდა...

თუმცა კაციამ რამდენჯერმე გადია გამოიხმო, როდესაც ეთერს ჩაეძინდებოდა, და შეეკითხა, თუ ეთერს რა დაემართაო, მაგრამ გადისაგან ვერა გაიგეს რა...

მკითხავები და მკურნალები კი ხან რას ეტყოდნენ, და ხან რას, და ათას ნაირად ულოცავდნენ და ბალახ-ბულახს უდუღებდნენ... რაც რასაკვირველია ეთერს შეღავათს არ აძლევდა..

ეთერი კი მართლადაც ავად იყო... იმას არა სტკიოდა რა.. სხეული არას ეუბნებოდა და არ ანიშნებდა ტკივილის ადგილს, მაგრამ მთლად კი მოდუნებული, ლოგინში გადასვენებული იწვა კი არა იდო.. განძრევის სურვილიც არ ჰქონდა... არც თუ რისამე.. თავიც აღარ ემორჩილებოდა... უსიცოცხლოდ გამომცქერალი თვალები არავის არას ეუბნებოდა... რას აკმევდნენ, ან რას ასმევდნენ იმასაც არ ჰგრძნობდა... მთელ დღეს რო არა ეკმიათ რა, ის არ მოითხოვდა, რადგანაც არ ჰგრძნობდა არც სიმშილს, და არც წყურვილს...

მარტო ერთხელ ოდნავად გაიღიმა, როდესაც მარეხმა თავის თავს ძალა დაატანა, ძლივს ღონღილით შევიდა რძალთან... ეთერი გაშტერებით უმზერდა მარეხს... მარეხმა ხელი შეახო და ჰკითხა:

— ჩემო კარგო, იქმნება „ზარი“ გინდა შემოგიგზავნო?!

აი, სწორედ ხელის შეხებაზედ და ამ კითხვაზედ ოდნავად გაეღიმა ეთერს და თავი გაიქნია, რითაც „არა“ ენიშნა...

ეთერი ყველას ცნობილობდა, შეკითხვა ესმოდა, მაგრამ ხმის ამოღება და ლაპარაკის სურვილი არ კი ჰქონდა. მხოლოდ თავის გაქნევ-გამოქნევით უპასუხებდა...

მარეხი და ეთერი ერთ დროს გახდნენ ავად. ეს ვეფხვა რო დაბრუნდა კაციას საბატონოდგან და იქაური ამბავი მოახსენა მეფეს... ეთერი და მარეხი იქვე იყვნენ და ყველაფერი შეიტყეს... მახარეს დაკარგვამ მარეხი საშინლად ააღელვა, აათრთოლა, გული აუკანკალა... ეთერი კი წარბ-შეუხრელი იდგა..

მარეხი მაშინვე თავის ოთახისკენ გაეშურა... ეთერი კი კიდევ იდგა იქ, ემშვიდობებოდა სტუმრებს... დაჰყო იქ, ვიდრე უკანასკნელი სტუმარი არ გაემგზავრა და მხოლოდ მაშინ ალერსით გამოეთხოვა დიდ მეფეს, მამას და ნადირა-მეფეს,

რომელთაც მიაცილეს სადედოფლო ოთახის კარამდის... იქ კი მიესვენა გადიას მხარს და ძლივას შევიდა ოთახში, ჩაწვა ლოგინში გადიას დახმარებით და...

თუ ეთერს ამ მდგომარეობაში არა აღელვებდარა, და არა რაიმე სურვილი ჰქონდა, სამაგიეროდ მარეხს გარკვეული აზრი, და იმან თავის აღელვების მიზეზიც კარგად იცოდა...

როცა ეთერს შეეეედრა და სთხოვა: „შენ ნუ მღერი, მხოლოდ ეგ აახმაურეო“ და „ზარზედ“ (ეხლა რღვევის შემდეგ მხოლოდ „ზარს“ ღა ხმარობდნენ) მიუთითა, მაშინვე იცოდა, რასაც ეძებდა. ის მოჯადოვდა „ზარის“ ხმით და იმის შემოქმედით... შემოქმედი კი „ზარის“ ხმაში იყო ჩაქნილი .. ამისთვის შეეეედრა, რომ ეთერის ხმას ის არ დაეჩრდილოს და ამოეცნო იმის სული და ამით გაეღენთილიყო. მაგრამ აგერ ნადირა მიუახლოვდა ეთერს, თაყვანი სცა მას და „ზარი“ კი ამას უთავაზა, მაგრამ ისე უცნაურად მოაწოდა, რომ ხელის მოვლება ვერ მოასწრო, ლოფენილს დაეცა და გაიბზარა .. წამს გონება დაეკარგა, და როცა გონს მოვიდა, კაცია-ბატონის განკარგულება შემოესმა „ამ ზარის გამკეთებელი აქ მოვიდესო“, გამხიარულდა... მაგრამ ვეფხვას მოტანილმა ამბავმა შემუსრა ეთერი და ლოგინად ჩაგდო...

ყველა ამას იგონებდა მარეხი და ბორგავდა. „ნუ თუ ეს აღარ მეღირსება, რომ ამის ხმა გავიგონოვო“... თან ფიქრობდა მარეხი და უმწეოდ უმზერდა იმისავე გვერდით მდებ გაბზარულ ზარს...

მერე მოაგონდა ეთერი... იმის ავადმყოფობაზე ბევრს ელაპარაკებოდნენ... როგორც იყო წამოდგა... ამავე დროს მოაგონდა ვეფხვას სიტყვები: „ოქრო-მჭედელიც მოვაო“ და გამხნევდა... „იქმნება გაამთელოსო“ გაიფიქრა და ეთერის სანახავად წავიდა...

ეთერი რო ასე დაჰხვდა და ზარის იმასთან დარჩენას დასთანხმდა, ამ გარეგნობამ უფრო გაამხნევა, და ჩქარა ჩვეულებრივ ცხოვრებას ხელი მიჰყო... ამავე დროს სული მწარედ მოელოდა ოქრო-მჭედლის მოსვლას .. იმედი ჰქონდა, ის გაამთელებდა ზარს, თავის ხმას გამოაღებინებდა; იმის სულს შეიხმატკბილებდა მარეხი და მეტიც არა უნდოდა რა...

4

სწორედ მეოცე დღეს, ქორწილის პირველი დღიდგან რო ვიანგარიშოთ, კაცია ბატონის ორმოცამდის ყმა ოცი დატვირთულ ურმით სასახლის კარს მოადგა... იმათ შორის ოქრო-მჭედელიც იყო...

თუმცა დიდი მეფე, მეფე-ნადირა, და კაცია ბატონი დიდათ შეწუხებულები

იყვნენ დედოფლის ავადმყოფობით, მაინც ასეთი სტუმრების ნახვა ძლიერ ესიამოვნათ.

ნადირა მეფემ გასცა ბრძანება ხელმეორედ გადაეხადათ ქორწილი. ხელად ამ ათი დღის წინად ალაგებული სუფრა იმავე ადგილას გაიშალა, და „აჩნდა შესანიშნავი მრავალ ყმათა სიმხიარულე... დარბაისლური სადღეგრძელოები, დარბაისული შეჯიბრება სიმღერებისა მოსულთა და იქაურთა ყმათა... გალაღებული ყმები კაციასი ერთ სიმღერას მეორეზე უკეთესს ამბობდნენ, რომელიც ხან ჰჩქეფდა და ქუხდა, როგორც ჩაბარუხი, ხან კიდევ ნაზად მორაკრაკებდა იმათი ხმა, ვითა წმინდა ანკარა... არც თუ ადგილობრივი ყმები უვარდებოდნენ. მოსულთა შემდეგ ახლა ისენი იწყობდნენ სიმღერას ჯერ დაბალის ხმით, ოდნავის ხმით, თითქოს თავიანთ მდინარის ჩუმ ბუტბუტს უნდა დაამგზავსონ თავიანთ ხმა, თან და თან აძლიერებდნენ და ბოლოს კი ისე ძლიერად დაჰძახოდნენ, თითქოს ეს ზღვა სივრცე, როგორადაც ეთერს მოეჩვენა გადასახედ ქედიდგან, თავიანთ ხმით უნდათ გაავსონ, გაჟღინთონ...

მარეხიც იქ იჯდა მამის გვერდით და აღტაცებაში მოდიოდა კაცია ბატონის ყმების სიმღერებით... თავიანთებური სწორად ჰსმენია და ყური კარგად ჰქონდა შეჩვეული... და ფიქრობდა „აი, ზარის გამკეთებელს რა ხმები ჩაუქნია შიგ!.. რა ძლიერი ადამიანი ყოფილა, რო ხელ შეუხებელი ხმები ხელში დაუჭერია და შიგ ჩაუქნია... იმის და უნებურად, თუ ნებით თავისი სულის ხმაც შიგ ჩაურთავს, რომელსაც ოდნავ ყური მოვკარი, როდესაც ეთერი ამღერებდა... ნეტამც ვეღირსო იმის ხმის გაგონებას... იმის დანახვას და მეტი არა მინდა რა“!..

უეცრივ მარეხს თავში ელვასავით აზრმა გაუკვესა: „ეთერი იქნება იმიტომ არის ავად, რო ის დაჰკარგა ჩემი ძმის ვერაგულის მოქმედებით!!. ხომ ნახული ეყოლება ეთერს მახარე, რადგანაც იმას გამოართვეს ზარი“?!. „ჰო!.. ჰო“!.. სწრაფად ფიქრობდა მარეხი: „ეს ასე უნდა იყოს“!.. და თან და თან შუბლი ეჭმუხნოდა, რადგანაც ეთერი თან და თან ებრალებოდა...

„შეუძლებელია“, გულის ტკენით წამოიძახა უსიტყვოდ: „რომ ქალმა ისეთი ძლიერი ადამიანი ნახოს და არ ემონოს“!..

მარეხი თითქმის დარწმუნდა, რომ ეთერს მახარე უყვარს, და ავადაც ამ მიზეზით არის. . გადასწყვიტა, დაეხმაროს რითაც კი შეიძლება, და თავისი სულის კვეთება სრულებით დაავიწყდა...

5

ეთერს თუმცა მოახსენეს იმის ყმების მოსვლა და იმათთან ერთად ოქრომჭედლისაც, მაგრამ არა გაუგია რა. მერე თითონ კაცია და მეფე-ნადირა შემოვიდ-

ნენ. ეთერმა ჩვეულებრივ შეჰხედა, იცნო ისენი, მაგრამ იმათი ნათქვამი არა გაუგონია რა...

გინდა ოქრო-მჭედლის ნახვა მაინცაო, როცა ჩაეკითხნენ, ეთერმა თავი გაიქნია...

გაიქნია თავი მხოლოდ იმისთვის, რომ წასულიყვნენ... იმათი სიტყვები კი არ შეჰსმენია.

გადია აცრემლდა... აღარ შეეძლო თავის გაზრდილის ასეთი ყოფა და თავის ოთახში გავიდა, რათა გული ტირილით მოეხოკა...

ეთერს უბრწყინდება თვალები, ელვარება ემატება. სხეული უმოძრავდება, ღონე ემატება და ..

„სიზარია ეს, თუ ცხადი“?!. პირველად აუმოძრავდა გონებაც... ესმის სამშობლოს ხმები. . იქაური სიმღერეები... იყუჩეს ამ ხმებმა .. მერე სხვა ხმები, სხვა სიმღერეები... მომჯადოვებელი სიმღერეები! . ეს უცნობია, მაგრამ ძლიერი, დამმონავებელი... „ხომ არ ვგიჟდები“?!. წამოიკივლა და წამოჯდა...

— რა დაგემართა, ჩემო მშვენიერო?! გულგახეთქილი ეთერის ხმაზე შემოვარდა გადია და მოეხვია.

— გადი, მითხარ, რაა ჩემ თავს?!. შენც გეყურება სიმღერეები?!.

— ყრუ არა ვარ, ჩემო მშვენიერო, რასაკვირველია, მეყურება.

— მაშ ამიხსენი, რა ამბავია?!.

— რამდენჯერმე მოგახსენეს: ჩვენ საბატონოდგან მოსალოცად მოსულების შესახებ. . მამა-შენიც იყო, და შენი მეუღლე მეფეც და გკითხეს: „ოქრო-მჭედელი აქ არის, შენი ნახვა უნდა და ხომ არ ისურვებ მიღებასო“... შენ უარი უთხარი. .

ეთერს თან და თან შუბლი ეჭმუხებოდა, უნდოდა მოეგონებინა, მაგრამ არა აგონდებოდა რა...

მერე გაბრწყინვებულის თვალებით შეეკითხა გადიას:

— მაშ ოქრო-მჭედელი აქ არის?!.

— აკი გითხარ!..

— მაშ ეხლავე დამიძახე!..

გადია მაშინვე გახარებული გარედ გავიდა, კარი გააღო და წინ მარეხს შეეჯახა, რომელსაც გაბზარული ზარი ხელში ეჭირა.

— ეთერი როგორ არის?

— მარეხ, შენა ხარ?.. გამოეხმაურა ეთერი ოთახიდგან და მიიპატიჟა.

მარეხი სიხარულით ცას დაეწია, რომ ეთერის ხმა გაიგონა, და სწრაფად იქ გაჩნდა.

ნაზად გადაეხვია მარეხი ეთერს...

— რა მიხარიან, ჩემო მშვენიერო რძალო, რო მოგიხედნია, ღმერთს უნდა ეუმადლოდეთ...

ეთერს გაეღიმა და ზარს თვალი გადაავლო, რომელიც მარეხმა წინ დაუდგა.

— განა ოქრო-მჭედელმა უკვე გაამრთელა?!.

— არა, ჯერ არც კი უნახავს...

— მაშ რად მოიტანე?!

— შენია ხომ ეს?!

— არა... ჩემმა ქმარმა შენ შემოგთავაზა და იმისი სიტყვა გარდაუვალია...

— გინდაც რო არ მივიღო?!

— არ ძალ-გიძს!..

— ეთერ, რა არაკით მელაპარაკები?!

— მარეხ, მეც ვერ გამიგია, თუ რად მოიტანე ეს აქ?!.

— ჰო, ეხლა კი მივხვდი!.. გენაცვა, ეთერ მაპატიე!.. მართლა, რა სულელი ვარ... სულელი რო არ ვიყო, გაბზარულ ზარს რად მოგიტანდი!.. მესმის, ჯერ გაემთელებინა და შემდეგ მომეტანა, მაშინ სულ სხვა იქმნებოდა, თორემ...

— მარეხ, მაშინაც კი...

სიტყვა შეაწყვეტინეს. ამ დროს შემოვიდა მეფე-ნადირა გახარებული, კაცია და იმათ მოსდევდა ოქრო-მჭედელი... ოქრო-მჭედელს ეტყობოდა, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერ გატეხილიყო...

— მიხარიან, დედოფალო, და მადლობას ვწირავ ზე არსთ, რო პირი სიცოცხლისკენ გიბრუნეს... აღტაცებით მიეალერსა მეფე-ნადირა...

— მადლობა, მეფევ, მომღერალთ უძღვენ, იმათმა სიმღერამ ამიმოძრავა გონება... ოქრო-მჭედელს ვხედავ... როგორა ხარ?!. ნარგიზა როგორ არის?..

— ღმერთს მადლობას ვწირამ, მშვიდობით გხედავ, დედოფალო, თორემ გული მამიკვდა, როცა შენი უქეიფობა მითხრეს...

— ეს უთუოდ დავიღალე, თორემ რა უნდა დამმართოდა?!. მგზავრობა, მერე მოულოდნელი ცვლილება და ცხრა დღის ქორწილი .. მეფე-ნადირა ძალიან ეცადა გაჭიანურებას... ეხლა უთუოდ დავისვენე და მეც გონს მოვედი, მოვღონიერდი...

— რამდენი დღეა, რაც გაუნძრევლად ვწევარ?.. უეცრივ შეეკითხა გადიას.

— ეს მეთერთმეტე დღე არის! . თითქმის ყველამ ერთხმად უპასუხა, გარდა ოქრო-მჭედლისა. .

— ჰო და ვგონებ, თერთმეტი დღის დასვენების შემდეგ რაც უნდა დაღლილი იყოს ადამიანი, მოღონიერდება .. ზედაც ეს სიმღერები... ვის არ გამოაცოცხლებენ?!.

გაკვირვებით ისმენდნენ იქ მყოფნი .. „ეთერი სრულ სიმართლეს ამბობს; და რატომ აქნობამდის არც ერთს თავში არ მოუვიდა, რომ მართლაც დაღლილობისგან წაერთვა ძალა“, ფიქრობდნენ ისინი,—„და ჩვენ კი ყოველ დღე მოსვენებას არ ვაძლევდით, ვითომ და მზრუნველობის მიზეზით“. .

მხოლოდ ოქრო-მჭედელი სულ სხვას ფიქრობდა და თვალით ემუდარებოდა: „მითხარ... მითხარ .. მახარე სად არის?..“

ეთერმაც მიაპყრო ოქრო-მჭედელს თვალები და შეეკითხა: „მითხარ... მითხარ მახარეს ამბავიო?..“

მარეხი შეინძრა... უნდა ამდგარიყო და წასულიყო, რადგანაც ეთერი მართალს ამბობდა, და ეს კი თავის დახმარებას უპირობდა... მაგრამ ეთერმა სწრაფად მარეხს ხელი წაავლო, რომ ადგილიდან არ დაძრულიყო და ოქრო-მჭედელს, თუმცა თვალით ისევ მახარეს ამბავს ეკითხებოდა, სიტყვით მიჰმართა:

— ძვირფასო ოქრო-მჭედელო, ჩემი მული მარეხი ძრიელ შეწუხდა, როცა ჩემმა მეუფემ ეს ზარი საჩუქრად მიართვა ჩვენ შეუღლების ნიშნად, მაგრამ ამ დროს ლოფინს დაეცა და გაიბზარა...

— იქნება .. დაიწყო ოქრო-მჭედელმა, მაგრამ ეთერმა თითქოს იცოდა, რასაც იტყოდა ოქრო-მჭედელი, ისე შეაკვერა თვალები, რომ მაშინვე გაჩუმდა. .

— ეხლა მარეხის დასამშვიდებლად, გთხოვ, გაამთელო ეს ზარი და, ხომ იცი როგორი სასყიდელი გამოგიგზავნე—გადიას ხელით ამ ზარისა?!.

— დაილოცოს შენი სახელი, დედოფალო, როგორ არ ვიცი?!. მთელი ქისა!

— ჰო და .. ეხლა თუ გაამთელებ, მაშინ დედოფლურად... ეხლა დედოფალი ვარ... დაგასაჩუქრებ უკეთესად ..

— არა მგონია, დედოფალო, შევძლო მაგის გამთელება .. ჩემი შვილობილი, რომ აქ იყოს...

შესდგა ცოტა ხანს ოქრო-მჭედელი და თვალებში ჩააცქერდა ეთერს, თითქოს იქ უნდა ამოეკითხა მახარეს ამბავი...

— შენი შვილობილი რო აქ იყოს, მაშინ შენც არ მოგმართავდით ამ თხოვნით!.. ვიცით, შენმა შვილობილმა გააკეთა, ეს რამდენჯერმე მითქვამს მამიჩემისთვის .. მაშ რატომ შენი შვილობილიც არ წამოიყვანე, თუ კი ასე საძნელო იყო შენთვის, ხომ მეფემ ბრძანება გამოსცა?!.

— ჩემი შვილობილი არ ვიცი სად არის...

— შენ შვილობილს ხომ შენ ასწავლე ხელობა!!. მგონია შენც შეგეძლება .. მაშ წაიღე ეს ზარი და გაამთელე... ზარი ჩემთან იქნება. . ეხლა ცოტა არ იყოს დავიღალე .. შენც უთუოდ დაღლილი ხარ... დაისვენე... ბინას ჩემი მეუფე მიგიჩენს... როცა კი მოისურვებ, ყოველ წამს შეგეძლება ჩემთან მოსვლა და ზარის

წაღება... თუ რამ იარაღები და მასალა დაგჭირდეს, ისიც მაშინ მითხარ, და მაშინვე შენ ხელთ იქმნება...

ეთერმა ყველას გზა მოუჭრა სალაპარაკოდ. „დავიღალეო“ სთქვა და მაშასადამე დასვენება უნდოდა, თუ დასვენებას არ დააკლიდნენ, მაშინ შეიძლება ის დაემართოს, რაც აქნობამდის დაემართა, ისევ ისე ლოგინად ჩავარდნილიყო. პირველად მეფე-ნადირამ აიკრიფა ფეხი, იმას მიჰყვა კაცია, ოქრო-მჭედელი და მარეხი. მარეხმა გადაკოცნა თავის რძალი და უთხრა:

— მაპატიე, ჩემო ეთერ, ამ ბოლო დროს სულ სხვანაირად ვფიქრობდი... მეგონა შენი ავადმყოფობის მიზეზი სულ სხვა იყო... ეხლა კი დავრწმუნდი, რომ შენ რაც სთქვი სულ მართალია... ჩემ ძმასაც კი ვკიცხავდი...

— რათა?!

— მოტყუებით რომ მოგიყვანა და შენდაუნებურად თავს მანდილი მოგხადა...

ეთერი აწითლდა... რომ დაეფარა თავის აღელვება, აკოცა და სწრაფად ბალიშს მიაფარა სახე...

6

ოქრო-მჭედელი გამოვიდა თუ არა ეთერის ოთახიდგან და მოსასვენებელი ბინა მიუჩინეს, მაშინვე მეფეს და კაციას მიჰმართა:

— სჯობს, ეხლავე ი „ზარი“ გამოვიტანო და გავსინჯო, შევძლებ თუ არა გამთელებას...

— რასა ჰჩქარობ, ჩემო ოქრო-მჭედელო, მოესწრობი! . უთხრა კაციამ.

— მერე, ვაი თუ უდრო—უდროვოდ იყოს!..

— მართალს ამბობს ოქრო-მჭედელი!.. წამოიძახა მარეხმა, რომელიც ამ საუბრის დროს მოვიდა და ყურს უგდებდა: ეთერს ჯერ არ სძინავს, ეხლავე რო გამოიტანოს, ემჯობინება... ეთერიც ალარ მოელოდინება ოქრო-მჭედელს და უფრო მშვიდათ დაისვენებს ამის შემდეგ, და თითონ ოქრო-მჭედელიც...

— მარეხი ყოველთვის მართალია!.. თითონაც უფრო ჩქარა იხილავს გამთელებულ „ზარს“!.. მოუჭრა სიტყვა მეფე-ნადირამ.

— ოჰ, ნადირ, გინდა გამაჯავრო, მაგრამ, ხომ ხედავ, არ ვჯავრობ?!.

— ჩემო დაო მარეხ, განა არ იცი, რო შენი სიამოვნების მეტი არა მინდა რა?!.

— როგორ არ ვიცი, აკი ისე სიამოვნებით მომაწოდე „ზარი“, რო ლოფინზე დაეცა და გაიბზარა?!.

ამ ხუმრობა-ბაასით დაუბრუნდნენ სუფრას მარეხი, მეფე-ნადირა და კაცია ოქრო-მჭედელი კი მაშინვე ეთერისკენ წავიდა...

— რა ნაირად მიხარიან, ჩემო მშვენიერო დედოფალო, რო პირი სააქოსკენ ჰქმენ!.. წამოიძახა გადიამ, როცა მარეხი გავიდა ოთახიდგან, და ეთერი ისევ მოგზიარულდა...

— ეჰ, გადი, ცუდად ჰქმენ, რო იმდენი წამომაყენე თავს!.. ოქრო-მჭედლის ნახვა მინდოდა და შენ კი...

— რა ვქმნა, ჩემო მშვენიერო, უხილავად ვერ მივიდოდი ოქრო-მჭედელთან, რადგანაც უჩინ-მაჩინის ქუდი არა მაქვს. შეაწყვეტინა გადიამ საყვედური ეთერს და დაუმატა: უპირველესად ისენი შემომგებნენ, მკითხეს შენზე, მეც ვუთხარი სასიამოვნო ამბავი... ფრიად გაუხარდათ და მაშინვე აქეთ გამოეშურეს. თან ოქრო-მჭედელიც წამოიყვანეს.

— მართალი ხარ, გადი, გაგეხუმრე მხოლოდ... სხვანაირად არ მოხერხდებოდა ოქრო-მჭედლის მოყვანა ამ დროს. ჩემივე ბრალია... ეხლა, ცოტა არ იყოს, გამოვასწორე ჩემი შეცდომა. ეხლა, მგონია, ოქრო-მჭედელი ისევ ჩქარა მოვა აქ... შეეატყე, იმას უფრო უნდოდა ჩემი ნახვა, ვიდრე მე... იქმნება შენმა ჩემთან ყოფნამ ისევ ისე დაამუნჯოს, როგორც იმათთან იყო, და ამისთვის გადი გარედ და ცოტა ხანს დაუცადე... თუ დაინახო ოქრო-მჭედელი რო აქით მოდიოდეს, მაშინვე შემოდი, კარი ღია კი დასტოვე...

— იყოს ნება შენი!.. უპასუხა გადიამ მოკლედ და გავიდა..

სულ არ გასულა რამდენიმე წუთი, რო გადია უკანვე შემობრუნდა და დაიძახა:

— გულთმისანი ჰყოფილხარ, ჩემო მშვენიერო, ოქრო-მჭედელი მოდის!..

— მაშ შედი შენ ოთახში და არ გამოხვიდე, ვიდრე არ დაგიძახო..

ოქრო-მჭედელს ეთერის ოთახის კარი ღია რო დაჰხვდა, მოურიდებლივ შეევიდა. ამავე დროს ეთერმაც ხმა მიაწვდინა, რაკი ფეხის ხმა შემოესმა...

— ვიცოდი, ჩქარა მოხვიდოდი და ამისთვის კარი ღია დავაგდებინე, რო კარებ წინ არ გეტრიალა და დრო არ დაგეკარგა...

— ჩემო დედოფალო, აღელვებით წამოიძახა ოქრო-მჭედელმა, როგორც შეეძლო აჩქარებით მივიდა ეთერის სარეცელთან და მუხლზე დაეცა: თუ ემაგის გამთელების იმედით მომელოდი, ეხლავე სჯობია გულ-ახდილად გითხრა: ტყუილი იმედი გქონია!..

— არა, არა, ჩემო უტკბესო ოქრო-მჭედელო, ამისთვის არ მოგელოდი. კარგად ვიცი, რომ ამის გამთელება შენ არ შეგიძლიან... ამას მხოლოდ ის გაამთელებს, შენგან მხოლოდ იმის შესახებ ამბის შეტყობას მოველი...

— როგორ?!.

— ჯერ დაჯექი, მუხლზე ნუ სდგეხარ, და მერე გეტყვი, როგორ.

ოქრო-მჭედელი იქვე სარეცელთან მდგომ სავარძელზე ჩამოჯდა...

— აი, ეხლა მიამბე, თუ მახარე როგორ არის და სად არის?!.

— დედოფალო, სწორედ მაგ ამბის შესატყობად მოვეშურებოდი შენკენ და შენ მკითხავ მაგას?!.

— ოქრო-მჭედელო, სთქვი სისწორით, ნუ მატყუებ!.. ხომ მახარე დაიმალა იმისთვის, რომ მეფის ბრძანება არ შეესრულებინა და აქით არ წამოსულიყო. ერთის მხრივ კარგიც ქმნა!... ოქრო-მჭედელო, დაგავალებდა რამეს, მითხარ... მითხარ?..

ოქრო-მჭედელი გაცვიფრებული შეჰყურებდა ეთერს და ხმის ამოღებას ველარ ახერხებდა... „მცდის, თუ რა არისო“?!. ფიქრობდა ის ამავე დროს ..

— რად შემომცქერი მაგრე, რატომ არას მეტყვი?!.

— დედოფალო, ენა აღარ მემორჩილება, ისე გამაცვიფრა შენმა ნათქვამმა!..

— მაშ გამოვიცან, განა?!.

— არა, დედოფალო, და კიდეე არა!..

— ნუ მაჯავრებ, ოქრო-მჭედელო!..

— ნუ გამირისხდები, დედოფალო, და ნება მიბოძე ორი სიტყვა მოგახსენო!..

— გინდ ასი, მხოლოდ იმაზე და მხოლოდ მართალი.

— ჩემი ნათქვამი მხოლოდ იმას შეეხება და მხოლოდ სიმართლე იქნება...

— მაშ ჩქარა დაიწყე...

— ჩვეულებისამებრ ერთ დილას საოქრო-მჭედლოში შეველი... არც მახარე და არც ენდე ეგ, „ზარზე“ მიიშვირა ხელი, არ დამხვედა. გამიკვირდა... გამოვედი და დერეფანში დავჯექი და ველოდი მახარეს მოსვლას... ამ დროს მოდის შენი გადია და სავსე ქისას მაწვდის და მეუბნება, — რომ მახარეს კი არა ვუთხრა რა და ამის ლითონები მეყიდნა ..

— ეგ ხომ მეც კარგათ ვიცი!.. მოუთმენლად შეაწყვეტინა სიტყვა ეთერმა.

— ბოდიშს ვიხდი, დედოფალო, და სწორედ მეც ამისთვის მოგახსენებ, რომ მოგაგონო ყველაფერი. .

— კარგი, განაგრძე უბოდიშოთ...

— ჰო და იმას მოგახსენებდი, რომ მაშინ მივხვდი, თუ მახარე სად იყო და თავისი „ზარი“ ვის გადასცა უსასყიდლოდ... სულ არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მახარეც მოვიდა და, ღმერთო, რას ჰგვანდა?!.

— რას?!.

— თითქოს ფრთები გამოჰსხმოდა, ისე იქცეოდა.... კი არ დადიოდა, დაფრინავდა... კი არ ლაპარაკობდა, მღეროდა... ეტყობოდა, ზეცას ეალერსებოდა და დედა-მიწისა არა გაეგებოდა რა... როგორც იყო დავაძინე... მთელ დღეს ეძინა გაუნძრეველად... მხოლოდ შებინდებისას გამოეღვიძა.

ეთერი გაბრწყინებულის თვალებით უსმენდა უკანასკნელ სიტყვებს, და თითონაც ზეცად გაფრინდაო, ისე შესუმბუქდა და სარეცელი დაავიწყდა... მახარეს მთელი დღის ძილის ამბავი არც კი შემოჰსმენია... ის დანავარდობდა თავის „სადედოფლოში“ მახარესთან ერთად და თავის აუზში ბანაობდა გადიასთან ერთად კი არა, მახარესთან...

გამოერკვა მხოლოდ მაშინ, როცა ოქრო-მჭედელმა ამბავი შეწყვიტა, რადგანაც შეატყო, რომ ის სრულებით ყურს აღარ უგდებდა იმის ამბავს...

— განაგრძე, განაგრძე, ჩემო ოქრო-მჭედელო!

ოქრო-მჭედელი ჩაფიქრდა. მერე განაგრძო:

— შებინდებისას რო გამოეღვიძა...

— ვის გამოეღვიძა?.. განა ეძინა?!.

— აკი მოგახსენე, დედოფალო, ძლივას დავაძინე მეთქი და მთელ დღეს გაუნძრევლად ეძინა...

— ჰო, მართლა!.. მერე?!.

— მერე, როცა გამოიღვიძა, მე შინ წაველ, რადგანაც უკვე შებინდებული იყო, და ის საოქრო-მჭედლოში დავტოვე... ამის შემდეგ ის თვალით აღარ მინახავს...

— აახ!.. წამოიკვნესა ეთერმა და ბალიშს მიესვენა...

— დედოფალო, რა იყო?!. გულ-გახეთქილი ოქრო-მჭედელი ზეზე წამოდგა...

— დაჯექ, დაჯექ და განაგრძე!.. უთხრა ეთერმა და თავი ისევ ასწია ..

— მეორე დღეს დილით, როცა ჩამოველ საოქრო-მჭედლოში, კარი ისევ გადარაზული დამხვდა... გავაღე... შეველ თუ არა, მაშინვე თვალთ მეცა, აი, ეს!.. ოქრო-მჭედელმა უბიდან ამოიღო ხელსახოცი, გახსნა და იმის დედისეული თავმანდილი ამოაჩინა...

— აი, ეს ისე თვალ-საჩინო ადგილას იდო, რო შემსვლელი მაშინვე დაინახავდა...

ეთერი გაფითრდა... ენა დაება...

— არ ვიცი, რა განზრახვით დადო ამის მომტანმა, ვფიქრობ, მახარე იქნებოდა ამის მომტანი... იქმნება სხვაა?.. შენ გეცოდინება... რა განზრახვით დადეს საოქრო-მჭედლოში, ვინც უნდა იყვეს ამის მომტანი, არ ვიცი, მაგრამ პირად გადავწყვიტე, უკანვე დაგიბრუნო.. ინებე!..

ეთერმა ჩამოართვა თავ-მანდილი და გაფითრებული მიესვენა ბალიშზე...

— ველოდი მთელ დღეს... დაღამდა... შეშინებული ნარგიზა ჩამოვიდა. იმ

ღამეს საოქრო-მჭედლოში დავრჩით. . არ მოვიდა... მეორე დღეს დილით გავიგეთ მოურავისგან, რო მახარე მზის ჩასვლისას ჩაბარუხის ნაპირას ყოფილა... მერე კი იმის მნახველი ვეღარავინ ვნახეთ...

ეთერი გარინდებული იწვა... ხმას არ იღებდა ..

— ეგ მანდილი, განაგრძო ოქრო-მჭედელმა, მაშინვე დავმალე... ნარგიზასაც არ ვაჩვენე... აქედან რო მახარობელი მოვიდა შენი ბედნიერებისა, მაშინვე ავედევნე ჩვენებს, რომ ეგ დამებრუნებინა და...

— გმადლობ, ძვირფასო ოქრო-მჭედელო, ვიცი კიდევ რის გაგებაც გინდოდა, მაგრამ, ვფიცავ ზენას, მეც მენატრება იმის ამბის გაგება, აი თუნდ ამ თავმანდილის შესახებ, თუ როგორ ჩაუარდა ხელში, მაგრამ არა ვიცი რა!..

— დედოფალო, ის ნაშვილობია და... ნუ დამიმალავ!.. თვალ-ცრემლიანი შეემუდარა ოქრო-მჭედელი

— აკი გითხარ, გეფიცები ზენას, არა ვიცი რა! . თითონაც გული აუჩუყდა, და თვალთ ცრემლი მოერია, მაგრამ თავი შეიმაგრა და ცრემლებს ნება არ მისცა.

— გჯერაა?!.

— მჯერა, დედოფალო!.. ხმის კანკალით უპასუხა ოქრო-მჭედელმა.

— მაშ თუ გჯერა, ეხლა ეს უნდა წაიღო...

— რისთვის?!.

— თუნდაც იმისთვის, რომ გაამართლო მიზეზი ჩემ ოთახში შემოსვლისა!

— მართალს ბრძანებ!.. დაავლო ზარს ხელი და გარედ გასასვლელად დაემზადა.

— ოქრო-მჭედელო, უნდა მაგას რამ უყო, რომ ხმა გამოსცეს... იქმნება ძველებური არა, მაგრამ მაინც ხმა, ბორემ რაღაცნაირად ჟღრიალებს...

— ვეცდები, დედოფალო!..

7

— ჩემო მშვენიერო, ყველაფერი გავიგონე, ყველაფერი... ე დედისეული თავმანდილი იმის საოქრო-მჭედლოში როგორ გაჩნდა?!. წამოიძახა გადიამ, როდესაც ოქრო-მჭედელი ზარით ოთახიდგან გავიდა, და მეორე ოთახიდგან გამოვარდა ..

— არც ერთი სიტყვა არ გამომპარვია თქვენი ნალაპარაკევიდან...

— გადიავ... გადიავ!.. სასოწარკვეთილებით წამოიკვნესა ეთერმა და ცრემლები ნაკადულად წამოაფრქვია...

— გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო უტკბესო ეთერ, თვალებს ნუ ითხრი!.. ალერსით ხელი მოჰხვია ეთერს და გულზედ მიისვენა...

ეთერს ჯერ ოქრო-მჭედელთან საუბრის დროს რამდენჯერმე გული ამოუჯდა, ყელს მიებჯინა, მაგრამ საშინელის ნებაყოფლობით თავი შეიმაგრა, ცრემლებს დენის ნება არ მისცა... კარგად იცოდა ეთერმა, რომ ცრემლებთან ერთად გულიც გაეხსნება, ყოველივეს ცხად ჰყოფს იმისთვის იქ ჩამარხულ საიდუმლოებას... ეხლა კი ველარ შესძლო თავის შემაგრება. მით უმეტესად, რომ ეხლა იმას ალერსებოდა გადია...

ალერსზედ ეთერს გული უფრო ამოუჯდა, უფრო ახმაურდა ის და, თავის და უნებურად, ცრემლის ნაკადს გულის ნადებსაც აყოლებდა...

— ჩემო გადი...— ქვითინით ემუდარებოდა ეთერი:—მიშველე რამ!.. ლამის დავიღრჩო...

— თავს შემოგევლოს შენი გადია, ჩემო ლამაზო, მითხარ, რა გაწუხებს, და ცა და დედამიწას შევსძრამ და შენ კი გიშველი...

— გადი, მახარე უნდა მოსძებნო და...

— უი, გენაცვალოს გადია, მაგას ნუ გამაგონებ!.. ღმერთმა იმის კლანჭებიდგან გამოგგლიჯა, ამისთანა ბედს ჩაგაგდო და შენ კიდევ იმ ავ სულს დაეძებ?!.

— ღმერთმა კი არა, ჩემი თავი თვით მე დავლუპე!.. რაღასაც ვეძებდი, ველტოდი და, რაც ხელთ მქონდა, რაც ჩემი იყო, ისაც დავკარგე... რაღაც მეგონა დედოფლობა, ამას ველტოდი . ამისმა ფიქრმა დამაკარგვინა ბედნიერება... მინდა უკანვე დავიბრუნო!.. წავიდეთ აქედგან, ვიდრე გვიან არ არის...

— სად, ჩემო ორთავ თვალის სინათლევ?!. შენ შენს სახლში ხარ... ნუ გავიწყდება, რომ დედოფალი ხარ, და შენი მეუღლე კიდევ მეფე ნადირა... თუ გაბზარული ზარის დაბრუნება გინდა, დაანებე თავი ამას... იქმნება ოქრო-მჭედელმა გაამთელოს, მაშინ მარეხს მიეცი, როგორც შენმა მეუღლემ შესთავაზა...

ეთერი ცოტა გარინდული უსმენდა გადიას, რომელიც ამავე დროს ალერსით იმის თმაში ჩაყრილ თითებს ამოძრავებდა...

— გადი, ვერ მიმიხვდი, ვერა!.. გაბზარული ზარი სრულებით არ მეპიტნავება, როცა თვით ჩემი გული გაიბზარა...

— გენაცვალოს შენი გადია!.. გაკვირვებით ჩაეკითხა გადია, თუ გაბზარული ზარი არ გეპიტნავება, მაშ რა?!. თითქოს მხოლოდ იმის შეძენისთვის ყოველგვარი საშუალება მიიღე?!.

ღამეს საოქრო-მჭედლოში დავრჩით. . არ მოვიდა... მეორე დღეს დილით გავიგეთ მოურავისგან, რო მახარე მზის ჩასვლისას ჩაბარუხის ნაპირას ყოფილა... მერე კი იმის მნახველი ველარავინ ვნახეთ...

ეთერი გარინდებული იწვა... ხმას არ იღებდა ..

— ეგ მანდილი, განაგრძო ოქრო-მჭედელმა, მაშინვე დავმალე... ნარგიზასაც არ ვაჩვენე... აქედან რო მახარობელი მოვიდა შენი ბედნიერებისა, მაშინვე ავედევნე ჩვენებს, რომ ეგ დამებრუნებინა და...

— გმადლობ, ძვირფასო ოქრო-მჭედელო, ვიცი კიდევ რის გაგებაც გინდოდა, მაგრამ, ვფიცავ ზენას, მეც მენატრება იმის ამბის გაგება, აი თუნდ ამ თავმანდილის შესახებ, თუ როგორ ჩაუარდა ხელში, მაგრამ არა ვიცი რა!..

— დედოფალო, ის ნაშვილობია და... ნუ დამიმალავ!.. თვალ-ცრემლიანი შეემუდარა ოქრო-მჭედელი

— აკი გითხარ, გეფიცები ზენას, არა ვიცი რა! . თითონაც გული აუჩუყდა, და თვალთ ცრემლი მოერია, მაგრამ თავი შეიმაგრა და ცრემლებს ნება არ მისცა.

— გჯერაა?!.

— მჯერა, დედოფალო!.. ხმის კანკალით უპასუხა ოქრო-მჭედელმა.

— მაშ თუ გჯერა, ეხლა ეს უნდა წაიღო...

— რისთვის?!.

— თუნდაც იმისთვის, რომ გაამართლო მიზეზი ჩემ ოთახში შემოსვლისა!

— მართალს ბრძანებ!.. დაავლო ზარს ხელი და გარედ გასასვლელად დაეშზადა.

— ოქრო-მჭედელო, უნდა მაგას რამ უყო, რომ ხმა გამოსცეს... იქმნება ძველებური არა, მაგრამ მაინც ხმა, თორემ რაღაცნაირად ჟღრიალებს...

— ვეცდები, დედოფალო!..

7

— ჩემო მშვენიერო, ყველაფერი გავიგონე, ყველაფერი... ე დედისეული თავმანდილი იმის საოქრო-მჭედლოში როგორ გაჩნდა?!. წამოიძახა გადიამ, როდესაც ოქრო-მჭედელი ზარით ოთახიდგან გავიდა, და მეორე ოთახიდგან გამოვარდა ..

— არც ერთი სიტყვა არ გამომპარვია თქვენი ნალაპარაკევიდან...

— გადიავ... გადიავ!.. სასოწარკვეთილებით წამოიკვნესა ეთერმა და ცრემლები ნაკადულად წამოაფრქვია...

— გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო უტკბესო ეთერ, თვალებს ნუ ითხრი!.. ალერსით ხელი მოჰხვია ეთერს და გულზედ მიისვენა...

ეთერს ჯერ ოქრო-მჭედელთან საუბრის დროს რამდენჯერმე გული ამოუჯდა, ყელს მიებჯინა, მაგრამ საშინელის ნებაყოფლობით თავი შეიმაგრა, ცრემლებს დენის ნება არ მისცა... კარგად იცოდა ეთერმა, რომ ცრემლებთან ერთად გულიც გაეხსნება, ყოველივეს ცხად ჰყოფს იმისთვის იქ ჩამარხულ საიდუმლოებას... ეხლა კი ვეღარ შესძლო თავის შემაგრება. მით უმეტესად, რომ ეხლა იმას ალერსებოდა გადია...

ალერსზედ ეთერს გული უფრო ამოუჯდა, უფრო ახმაურდა ის და, თავის და უნებურად, ცრემლის ნაკადს გულის ნადებსაც აყოლებდა...

— ჩემო გადი...— ქვითინით ემუდარებოდა ეთერი:—მიშველე რამ!.. ლამის დავიღრჩო...

— თავს შემოგევლოს შენი გადია, ჩემო ლამაზო, მითხარ, რა გაწუხებს, და ცა და დედამიწას შევსძრამ და შენ კი გიშველი...

— გადი, მახარე უნდა მოსძებნო და...

— უი, გენაცვალოს გადია, მაგას ნუ გამაგონებ!.. ღმერთმა იმის კლანჭებიდგან გამოგგლიჯა, ამისთანა ბედს ჩაგაგდო და შენ კიდევ იმ ავ სულს დაეძებ?!.

— ღმერთმა კი არა, ჩემი თავი თვით მე დავღუპე!.. რაღასაც ვეძებდი, ველტვოდი და, რაც ხელთ მქონდა, რაც ჩემი იყო, ისაც დავკარგე... რაღაც მეგონა დედოფლობა, ამას ველტვოდი . ამისმა ფიქრმა დამაკარგვინა ბედნიერება... მინდა უკანვე დავიბრუნო!.. წავიდეთ აქედგან, ვიდრე გვიან არ არის...

— სად, ჩემო ორთავ თვალის სინათლევ?!. შენ შენს სახლში ხარ... ნუ გავიწყდება, რომ დედოფალი ხარ, და შენი მეუღლე კიდევ მეფე ნადირა... თუ გაბზარული ზარის დაბრუნება გინდა, დაანებე თავი ამას... იქმნება ოქრო-მჭედელმა გაამთელოს, მაშინ მარეხს მიეცი, როგორც შენმა მეუღლემ შესთავაზა...

ეთერი ცოტა გარინდული უსმენდა გადიას, რომელიც ამავე დროს ალერსით იმის თმაში ჩაყრილ თითებს ამოძრავებდა...

— გადი, ვერ მომიხვდი, ვერა!.. გაბზარული ზარი სრულებით არ მეპიტნავება, როცა თვით ჩემი გული გაიბზარა...

— გენაცვალოს შენი გადია!.. გაკვირვებით ჩაეკითხა გადია, თუ გაბზარული ზარი არ გეპიტნავება, მაშ რა?!. თითქოს მხოლოდ იმის შეძენისთვის ყოველგვარი საშუალება მიიღე?!.

— მაშინ, გადი, მაშინ!.. ეხლა კი ვხედავ, რომ უმთავრესი გამომეპარა... ეხლა უმთავრესმა ჩემი გული გაბზარა და...—აუვარდა საშინელი ტირილი...

გადიას კიდევაც შეეშინდა. ხან რას ეუბნებოდა, და ხან რას...

თითქმის გულ-მკერდი სულ დაულბო გადიას... ეთერი თან და თან დამშვიდდა... გადიას ალერსმა გამოიწვია ეს ცრემლის ნაკადული და იმისმავე ალერსმა შეწყვიტა .. სამაგიეროდ ეთერის გულის კარი ყურემდის გააღო, და იქ ჩამარხული საიდუმლო გადიას თვალ-წინ გადიშალა...

გადია დაიბნა ამის ხილვით... შეეშინდა. ტანის თახთახი აუვარდა, და თვალებ დაჭყეტილი ეთერს შეჰყურებდა...

— ჩემო ტკბილო გადი, ხომ ჰხედავ, უკვე მახარეს ცოლი ვარ და როგორ შემიძლიან ეხლა ნადირასი ვიყვე?!.

გადია ხორც იწიწკნიდა, და მაინც გონს ვერ მოსულიყო... თავის თავს ჰკიცხავდა და ლაფს ისხავდა, რომ იმ ღამეს მარტონი დასტოვა და...

— უჰ!.. სასოწარკვეთილებით ამოიქშვინა და ეთერს თვალი მოაშორა...

თითქოს ამ ამოქშინვამ ამოწშინდა იმის გული, გონებას გადაკრული ბადე გადააფხრიწაო, ისე გამოერკვა გადია და ეთერს ისევ სიყვარულით შეჰხედა..

— ჩემო მშვენიერო, ღმერთმა თითონ მოგცა გამოსავალი გზა: მახარე გადაიკარგა, ეგ ზარი გაიბზარა, და მეფემ კიდევ გაგადედოფლა...

— გადი, სწორედ ეგ მტანჯავს!..

— სწორედ ამაში უნდა ეძიო ხსნა... დახსნილიც ხარ, ჩემო ლამაზო!.. ღმერთმა თითონ გიხსნა იმ ავი სულისაგან, რომელიც მახარეს სახით მოგეკლინა... უთუოდ დაბადების უმალ აგედევნა ავი სული, ბევრს გდარაჯობდა და, აი, რა ნაირად მოგაჯადოვა... მაგრამ შენმა მფარველმა ღამის მნათობმა გიხსნა... ისე მოგაჯადოვა, რომ იმ... იმ მახარეს დაჰნებდი... ამით უფალმა გონება აუბნია... ზარი თან გამოგატანა და ამით ხელ-ფეხი შეიკრა .. შენ რო არ დაჰნებებულიყავი, ზარს არ გამოგატანდა და დღესაც იქ კოშკში იჯდებოდი უნუგეშოდ...

— რას ამბობ, გადი?!.

— იმას, ჩემო მშვენიერო, რომ დღეს შენ დედოფლად ხარ და რაც მოხდა იმ ღამეს, ყველაფერი ისევ უნდა ყრუდ გულში ჩაიმარხო... მეც, რაც გავიგონე ჩემ გულში მექმნება ჩამარხული, და საფლავში თან ჩავიტან...

— მე ვცდილობ იმ ღამის დაბრუნებას და შენ კი, გადი, რას მეუბნები!..

— რამაც განვლო, ვეღარ დააბრუნებ!.. რა განვლო, და დიდხანს არ გასტანა ამან, უნდა გახარებდეს... გახსოვს, პირველად რო შემოგესმა შენი ხმა,

რანაირად შეგეშინდა?!. რათა? იმიტომ რომ ის წყეულის ხელთქმნილი იყო... კეთილი სული არ შეგაშინებდა... მაშინვე ვამბობდი: ავი სული გვემანჭება... ავი სული რო არ ყოფილიყო მახარე, აბა, ლითონში როგორ გამოამწყვდევდა შენ ხმას?!. ვის გაუგონია, ლითონი მღეროდ-გალობდესო?!.

— გადი, ნუ ამბობ მაგას!..

— რატომ, გენაცვალოს შენი გადია?!. ხომ არავის ახსოვს, არც იციან როგორ გაჩნდა მახარე... საიდგან მოვიდა... ვისი შვილი... ვიცით მხოლოთ რო ოქრო-მჭედელმა ვიღაც დედაკაცი შეიხიზნა, რომელსაც თან ახლდა ბავშვი...

— განა ეგ საკმარისი არ არის, გადი, რომ მახარე ადამიანია და არა ავი სული...

— საქმემ ხომ გვაჩვენა, რომ საკმარისი არ არის... ეს მხოლოდ თვალის ასახვევად ყოფილა. მერე სწორედ შენი ხნისა...

აკი, გითხარ, დაბადებიდანვე ავი სული აგდევნებია და კიდევ, კარგი ეგრე მოიშორე თავიდგან. . ეხლა ის გადიკარგა... ველარას გავნებს... ზარიც გაიბზარა...

— და ჩემი გულიც!.. წამოიკვნესა ეთერმა...

— ჩემო მშვენიერო, შენ გულს დრო გაამთელებს, და იმ ზარს კი, მგონი უფრო გაბზარავს, თუ სულ არ დაამშვრია, და არ გააკამტვერა...

— ეგ ბოლო ხომ ყველას მოგველის!..

— ყველას მოგველის. მაგრამ მანამდის კი, ჩვენ ვიცოცხლებთ, ვსიამოვნებთ, და ის უხმარებლად ეგდებაკ...

— გადი, გაბზარული გულით არა მგონია ვისიამოვნო რამ! .

— დრო საუკეთესო მალამოა გულისა, მანამდის კი ჩემო უტკბესო, გამიგონე და ნადირას ცოლობა უნდა ეხლავე გაუწიო...

გაჩუმდი გადი, მაგას ნულარ მეტყვი!..

— ჩემო მშვენიერო, გაჩუმებით საქმეს წავახდენთ... ვაი, თუ...

— გადი, ვეხვეწები!..

— ვაი თუ დაგვიანებამ საქმე სულ გააფუჭოს და შენმა სიჯიუტემ მამაშენს და ჩვენც თავზე ლაფი დაგვასხას...

— მაგას რას მეუბნები, გადი?!.

— შეიძლება, იმ წყეულისგან ფეხ მძიმედ შეიქმნა და მაშინ... თუ ეხლავე ცოლობა არ გაუწიე, შენი საიდუმლო ყველასთვის ცხადი შეიქმნეს, რითაც ავი სული გაიხარებს...

— ვაჰმე!.. წამოიკივლა ეთერმა და გონება დაკარგა...

8

ოქრო-მჭედელმა მეორე დილით შეუტანა ეთერს ზარი .. მთელ ღამეს იმუშავა და, როგორც შეეძლო, გააკეთა. აიღო რკინა, გამოწკეპლა სოლად და გაბზარულში ჩაატარა... ცეცხლის საშუალებით გამოკვერა და ამ სახით გამთელებული შეიტანა ეთერთან... უხაროდა კიდევაც ოქრო-მჭედელს, რომ ასე მოაგვარა...

ეთერმა მაშინვე მარეხს შეატყობინა ეს სასიხარულო ამბავი, რომელიც მაშინვე მოვიდა .. იმას დიდი მეფე, ნადირა მეფე და კაცია შემოჰყვნენ და ზარს სინჯვა დაუწყეს. გასინჯვის დროს ზარს გამოკვერილი ადგილი ეტყობოდა, მაგრამ მთელის შთაბეჭდილებას კი ახდენდა.

ფრიად გაუხარდათ მეფეებს, მარეხს და კაციას და ულოცავდნენ ოქრო-მჭედელს გამარჯვებას. .

— ეს შენი ნამოქმედარია და ტყუილად მახარეს მიაწერე, თორემ, აბა, ი შენი შაგირდი, როგორ მოახერხებდა!.. დაუმატა კაციამ თავის მხრივ და ოქრო-მჭედელს მხარზე ხელი დაადო

— გეფიცები ზენას, ბატონო, ეგ მახარეს დამუშავებულია!.. მონაწილეობა მე არ მიმილია .. ეხლა კი, რა ვიცი, იმისგანვე მქონდა გაგონილი, თუ ეს ჩემით მოვიფიქრე, რკინა და ცეცხლი ვიხმარე და ისე გავამთელე.

მარტო ეთერი იჯდა ლოგინში გაჩუმებული და ამ სიხარულში მონაწილეობას არ იღებდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ზარის შემქნელი მახარე იყო და მხოლოდ ის თუ გაამთელებდა, თუ კი კიდევ არსებობს... საეჭვოდ მიაჩნდა ზარის გამთელება... „უთუოდ ისე გაამთელა ოქრო-ჭედელმა ეს ზარი, როგორც ჩემმა გადიამ ჩემი გულიო“, ფიქრობდა ამ დროს და მხოლოდ მარეხის ხელის შეხებამ გამოარკვია...

— გენაცვა, ჩემო ეთერ, ჩემო დედოფალო, აბა, აამღერე ეგ!..

ეთერმა მწარედ გაიღიმა. ამ ღიმით ენა შეაბა ზარს, გადიას დააჭერინა და თითონ კი ხელი აამოძრავა და...

მარეხმა უეცრივ იკივლა და გულწასულმა წაიპირქვავა, გადიას ხელიდან ზარი გაჰვარდა, კანკალმა აიტანა, დიდ მეფეს, კაციას და ოქრო-მჭედელს კინაღამ სიდამბლავე მოუვიდათ, მეფე-ნადირა ეთერს მიჰვარდა და აკანკალებულის ხმით შეეკითხა, რომელსაც ღიმი არ შესცვლია:

— ჩემო მშვენიერო, ხომ...

— ჩემო მეუფევ, მარეხს მიჰხედეთ!.. და მარეხზე ანაშნა, რომელიც გულწასული წაპირქვავებული იყო...

მხოლოდ ეხლა შენიშნა ყველამ რა მდგომარეობაშიც იყო მარეხი, და მაშინვე იმას მიჰვარდა...

— გარედ, გარედ ჰაერზე!.. გადი, შენ რაღას ჰკანკალებ... მიეხმარე... ძმარი მოატანინე და... ეთერი უკარნახებდა იქ მყოფთ და ისინიც სასტიკად ემორჩილებოდნენ იმის განკარგულებას ..

— შენ კი აქ დარჩი, ოქრო-მჭედელო!..

მარეხი გარედ გაიტანეს... ოქრო-მჭედელი კი იქ დარჩა...

— მაპატიე, დედოფალო, არ მოველოდი ამას, მეც კინაღამ დამბლად დავარდი, ისე შემაზარა მაგისმა ხმამ.

— ენა აქ რად დასტოვე?! შენვე რო გეცადნა, მაშინ ეს არ მოხდებოდა, რაც ეხლა აქ ვნახეთ...

— ჩემო დედოფალო, აკი გემუდარები...

— მუდარებისთვის არ გეუბნები... გააწყვეტინა სიტყვა ეთერმა... გუშინვე აკი გითხარი: მარეხის სანუგეშებლად გთხოვ წაიღო... არ მეგონა, თუ ისე გულმოდგინებას გამოიჩენდი...

— დედოფალო, გემუდარები!..

— მუდარებას თავი დაანებე მეთქი, აკი გეუბნები... ეხლა უკანვე უნდა წაიღო, შენ მიერ ჩარჭობილი სოლი ისევ მოაშორო მახარეს ქნარს, თორემ მაგის ხმა სამარის ხმას ემგზავსება... თითქოს კუბოს თავს ლოდებს აყრიანო, ისეთი ხმა გამოიღო...

— სწორედ მაგ ხმამ კინაღამ დამადამბლავა, დედოფალო, და მაკვირვებს, შენ როგორ გაუძელ და მაგრე მხნედ როგორ გამოგვარკვიე ყველანი?!.

— უარესს მოველოდი და იმისთვის!.. მოკლედ უპასუხა ეთერმა.

— ამაზე უარესი რაღა იქმნებოდა?!.

— ჩემო ეთერ... შემოვიდა ამ დროს მეფე-ნადირა და ეთერთან სიყვარულით მივიდა: მარეხი გონს მოვიდა და თავის ოთახში წაიყვანეს... შენი გადიაც იქ წაიყვანა მარეხმა... გადიას მიესვენა მარეხი და ისე წავიდა... თუ რამ გინდა, მითხარ, გენაცვა, გადიაობას მე გაგიწევ!..

— ჩემო მეფევ, — მწარის ღიმილით მიუბრუნდა მეფე-ნადირას: გადიის შველა დიდიხანია აღარა მჭირდება და ამისთვის შენი მოშველებაც მეტია ამ წამს. ეხლავე მარეხთან წადი, და მეც ჩქარა იქ მოვალ.

— როგორ... მაშ შენ უკვე კარგად გაჰხდი?!.

— გუშინ აკი გითხარი მიზეზი ჩემი ავადმყოფობისა... დღეის შემდეგ მიბრძანე, ჩემო მეუფევ, რაც მოისურვო!.. იმავე ღიმილით უთხრა ეთერმა...

— ოჰ, დედოფალო, შენა ხარ ჩემი ბრძანებელი, ჩემო ...

უნდოდა გადაჰხვევნოდა, მაგრამ ისეთი თვალით შეჰხედა ეთერმა, რომ მეფე მაშინვე ცივ-წყალში ამოვლებულსავით შეთრთოლდა... მოწიწებითი ღიმილით ოდნავ რაღაც წაილულლუღა და მაშინვე გარედ გავიდა.

ოქრო-მჭედელი განცვიფრებაში მოვიდა ამ სურათით და თითონაც ათრთოლდა... ზარს ხელი წამოავლო და წასვლა დააპირა...

— ოქრო-მჭედელო, ვგონებ ისევ ჟღარუნის გაგონება სჯობია, ვიდრე სამარის კარის ხმისა... ეცადე, გინდა სხვა ადგილსაც გაიბზაროს, შენი სოლი ამოიღო...

— ვეცდები, ჩემო დედოფალო!..

(შემდეგი იქნება)

ვასილ გარნოვი

ყვავილი მიმოფავალი

1

ისე გარდივლის ზოგი არსი ცხოვრების არეს, როგორც ვარსკვლავი მოწყვეტილი ცის კამარაზედ. გაავლებს კვალსა წამს გაშუქებულს და განქრება, განქარდება საუკუნოდ; არარად იქცევა მისი სახე ლამაზად ქმნილი.

არა! დასტოვებს თავის აჩრდილს ტურფას ხსოვნაში ვინმე მეოცნებესი, რომელი შეჰმზერდა მაშინ ნათელის ბინდით ალაჟვარდებულ ცას: ის ეტრფიალა იმ უხანო მნათობს წამიერს, არა სხვა ვარსკვლავთ, მტკიცედ რომ უბყრიათ სამყაროში თვისი ადგილი, სამუდამოდ, დაულეველ ჟამთა დალევამდინ.

უმზერ იმ ადგილს, სად განქრა ნათელი იგი წუთიერი, და ველარ ჰპოვებ თვით ნიშსაც კი გარდასრულისას, საფლავის ნასახს; მთლად წაშლილა სამარე მისი ლურჯ კაბადონზედ უსამზღვრო ცისა.

არა! აქვს ბედშავს ცის სივრცეში სამარე თვისი მთლად უჩინარი, მეოცნებესთვის ნათლად მჩინარი: მის ხსოვნაში მკაფიოდ არის აღნიშნული საბედნიერო ადგილი იმ მოციაგის არარად ქმნისა.

აღარ არის იგი მნათობი ეთეროვანი... იყო კი! ნაზი შუქებით აცისკროვნებდა იგი იმ არეს, სად გარდეფურჩქნა ლაღ ბუნებას ის მშვენიერი, სახიერი, ზრდილი, ნარნარი. ყვავილი იყო იგი მიწისა და ცის საუკეთესო ძალთაგან თხზილი, ცხოვრების გზაზედ დასაღონად აღმოჩენილი...

2

— როგორ ნაღვლიანად დაჰყურებს მოსთვლილ ყვავილებს თითონ ყვავილი ახლად ფურჩქვნილი! რამ დააღონა და ჩააფიქრა სიცოცხლით სავსე ნორჩი ქმნილება?!

— ბევრჯერ შევნიშნე ნანოს თვალებში ეს სევდა-ღიმილი, ცრემლების ნამით გარმოდებული.

— ნანო ჰქვიან?

— ნანო! კარგა ხანია ვიცნობ მე მაგ ქალს. ბევრჯერ უნებლიეთი ოხვრაც კი ამოჰხდენია ლამაზ მკერდიდან, ტკბილის სიამით რომ უნდა იყოს სავსე, ღელვილი. უსაგნო არის მუქი ჭმუნვა ნორჩ არსებაში...

— ვინ იცის! რთულია ადამიანის ბუნება, ღრმა არის მის გრძნობათა საგუბარი. მეც მუდამ ჩაკვირებულსა ვხედავ მაგ ქალს, ლამაზ კაეშნის ნისლით მობურულს: გამოვა ყვავილოვან გზაში, დადის მარტოდ-მარტო თითონ ყვავილი სიტურფით სავსე... მეგონა, მხოლოდ მე მეჩვენება ეგეთი სახით.

— მეც ეგრე ვხედავ! მამწონს ეგ ქალი, მაგის კალთაზედ ვარ გამობმული, მაგრამ რომ მივუახლოვდები, არშიყობის მაგივრად, გიჟურ აღტაცების ნაცვლად, გაურკვეველი სევდის ბურუსი მეხვევა მეც გულს, მძიმე, გარნა ძვირფასი დარდის აჩრდილები დამტრიალებენ. მასაც თავს ევლებიან იგი აჩრდილნი მუქ-ფრთებიანი: მინახავს მე ისინი მის მტკიცე შუბლზედ, სხივთა კულულით გარმოდებული მის ლამაზ თავზედ.

— ჰაბუკი ხარ ჯერეთ მთლათ ნორჩი და როგორ შეიძლება შენმა მიახლებამ არ განუფანტოს ქალწულს ფიქრთა ბურუსი?

— არ ვიცი! მინდა მოწიწებით ვემთხვიო მას სარტყელის ფოჩებზედ და ვანუგეშო. მაგრამ რად, რის გამო?! არავითარი დარდი არ უნდა ჰქონდეს მშვენიერს.

— მე კი მეგონა, დარდით დასერილი ჩემი გული უნებლიედ ჰფენს მის ნათელ არსებას სევდის საბურავს მისთვის მთლად უფერს...

ესე უბნობდნენ ხანში შასული კაცი და მთლად ახალი ჰაბუკი. ისინი დაკვირვებით უმზერდნენ ლობის იქით აივნის მოაჯირზედ დაყრდნობილ ქალწულს, რომელი დაფიქრებული დაჰყურებდა დალონებული თვალებით ყვავილთა ბუნჯგალს ახლად დაკრეფილს და თითო-თითოდ არჩევდა, ათვალიერებდა. ვაჟკაცები აქეთ ეზოში იყვნენ, ლობის გადმოლმა, ხის ქვეშ. მაგიდას მოსხდომოდნენ წიგნებით სავსეს. ქალი ვერ ამჩნევდა, რომ ის იყო მათი მზერის საგანი, მათი საუბრისა: გაფოთლილი ხის ხშირი ტოტები თუ ჰფარავდა მისგან მოსაუბრეებს.

3

ხნიერი კაცი საზაფხულოდ იყო მოსული სააგარაკო ადგილას, ახალგაზრდა კი იქაური იყო, იმ დაბის მკვიდრი მემამულე; სამსახურიც იქვე ჰქონდა ნაშოვნი. არც მისი მამული, არც მისი სამსახური თვალსაჩინო რამ არ იყო; მაინც ჰყოფნიდათ, უზრუნველად აცხოვრებდა მათ პატარა ოჯახს. სხვაგან უკეთესი სამსახური შეეძლო ეშოვნა: განათლებაც შესწევდა საიმისო, უფლებაცა ჰქონდა, მაგრამ მის-

თვის ხელსაყრელი იყო იქვე დატრიალება, იმავ დაბაში: სახლს უვლიდა, დედას ეშველებოდა ამ მძიმე საქმეში, რომელიც ეტვირთნა მას, ახალქალობაშივე დაქვრივებულს. თვის გასათხოვარ დისათვინაც იმავე ქალაქში ეშოვნა მცირე რამ სამსახური: გულს აყოლებდა ქალი, ჯიბის ფულიცა ჰქონდა თვისუფლად.

არჩილს სხვა რამ თილისმაც იჭერდა მაგრა იმ ქალაქში: აგერ ერთი წელიწადი იყო, რაც შეყვარებული თვალი შეეყენებინა ლამაზ ნანოზედ; საბედისწერო ნაბიჯის წარდგმას კი ვერ ახერხებდა. თითონ გაუბედავი ახალგაზრდა იყო, გამჭრიახობას თუ ძალუმ თვითმოქმედებას მცირედ რამ მოკლებული და ვერ გაებედნა უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა. არჩილს მოსწონდა ქალი, მისი დედა ჯერ ისევ ყოყმობდა, გადაწყვეტილ ჰაზრს ვერ დასდგომოდა ქალის შესახებ.

— კარგია, შვილო, ნანო ქალი, ღვთისნიერი, ყველას პატივის მცემელი, ყველასათვის მოსაწონი, მაგრამ თითქო ფხა აკლია; ვერ ემჩნევა მოქმედების უნარი; ვაი თუ გაუჭირდეს, ვერ შესძლოს ცხოვრება ზრუნვით მოცული.

ატყობდა გამოცდილი ადამიანი, რომ მის შვილს გერგილი არა ჰქონდა სათანადოდ განვითარებული; გრძნობდა იმასაც, რომ ამაში თითონ იყო ცოტად დამნაშავე: ალერსი მეტისმეტი, უკან დევნა დაუცხრომელი, ფრთებ ქვეშ ფარება...

— ჯერ მთლად ახალგაზრდაა, დედი, შეეჩვევა ზრუნვას და გარჯას. არც თუ უსაქმო ქალია... მაინც ისე რა გაგვიჭირდება, ერთი ადამიანი ვერ ვაცხოვროთ.

— ღმერთმა ნურა გაგიჭივროს. რა! ქალი, მართალს ამბობ, მოსაქმეც არის, მაგრამ... მე ის არ მომწონს, რომ ყოველთვის თითქო სხვა რამეზედ ფიქრობს შორეულზედ, სულ ოცნებობს, ზღაპრულ არეში სცხოვრობს; თითქო ვერ ესმის, რა ხდება მის გარშემო, ან რას ამბობენ.

— ეგ კი მართალია! იმ დღეს მარაო დარჩენოდა ხეზედ, რაღაცა რტოთი იგრილებდა სახეს. რამდენი ვეძებე! იცი; დედი, მაგ მეოცნებობით უფრო მიზიდავს მე ის თვისკენ.

— ჰე, როცა კაცს კაცი უყვარს, ჭაპიჭუპი ნაზ ჭამად ესმის, ბრაგიბრუგი კეკლუც გავლადა. გიყვარს... ღმერთმა გზა დაგილოცოთ. უფრო ფულიანი და გამჭრიახი კი მერჩივნა რძლად, მაგრამ ცოლ-ქმრობის საქმე ალბად მართლა ცაში რიგდება.

4

დედის უნებლიედაც გადაწყვეტილი ჰქონდა არჩილს გაეცხადებინა ქალისათვის სიყვარული, დედის თანხმობამ უფრო გაამხნევა იგი და ეხლა მარჯვე დროს ღა ელოდდა სურვილის აღსრულებისთვის. ვერ კი იცოდა ჭაბუკმა, როგორ შე-

ჰხვდებოდა ქალი მის ნატვრას: არ ერიდებოდა ნანო მას; არც ძალად მიისწრაფოდა იგი მისკენ: ხანდისხან თითქო ვერც კი ამჩნევდა ვაჟს თავის გვერდზედ, თუმცა კი ყოველთვის ლმობიერად და ალერსიანად ეპყრობოდა მას. ეს იყო მიზეზი, რომ ხშირად ვერ დადიოდა ჭაბუკი ქალიაანთას, თუმცა ისწრაფოდა, ყოველთვის ჰხლებოდა ქალწულს, განუწყვეტლად ემზირნა მის გატაცებულ თვალებში. ეხლა მარჯვე შემთხვევით სარგებლობდა არჩილი და თითქმის ყოველდღე დადიოდა თავის წინანდელ მასწავლებლის ბინაზედ, რომლის ეზოს მხოლოდ ღობე ჰყოფდა ქალიანთ სახლიდან და მის დიდ ეზოდან. ბატონ სვიმონს ეზოში უყვარდა ხის ქვეშ ყოფნა. აქ კითხულობდა დილით საღამომდინ, სწერდა; აქვე ისვენებდა გაშლილ ხალიჩაზედ. არჩილი თითქმის ყოველდღე მიდიოდა მასთან: ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდა.

მის მოხუც მეგობარს ბევრად აღარ ირთობდა ცხოვრების სილამაზე, სიცოცხლისადმი მისწრაფების პირად-პირადი ყვავილები: იგი უკვე გასცდენოდა ნივთიერ ყოფის ტკბილ დასკვნათა საზღვრებს; უკვე გაევლო გზა ცხოვრებისა, დასდგომოდა თავდაღმართს სიცოცხლისას, უფსკრულისაკენ რომ მიაქანებს ყოველ სულდგმულს, ყოველსავე არსს. ეხლა მისი სანავარდო ასპარეზი ფიქრთა სამფლობელო ღა იყო, რომელი უცნაურად აერთებს წუთი-სოფლის ცხოვრებას ნივთიერს და დაუსრულებელ არსებობას სულიერს. მას ადრევე ჰქონდა შეღებული ბეჭე უცვლელ იდეათა სამფლობელოში, თვის სიჭაბუკეშივე; ეხლა მთლადაც იქ ტრიალებდა და თუ გამოდიოდა იმ ნათელ სიერციდან, მხოლოდ მისთვის, რომ მაინც ჯერ ისევ ნივთიერი არსებობა ემოსა და შეუძლებელი იყო მთლად გაეწყვიტნა კავშირი ხორციელ ცხოვრებასთან. ლამაზი კი ბევრი რამ დარჩენოდა სვიმონს ნივთიერ არსებობაში, უნებლიედ მიეტოვებინა მრავალი ეშხიანი ყვავილი, გზა აექცივნა: იგი ფერად-ფერადი მდელო სუნნელი აღარა ფშოდა აწ იმისათვის, აღარ მიაბყრობდა მისკენ თავის ლამაზ პირს მოღიმარეს.

არჩილის აღტაცებამ კი სვიმონიც გამოიყვანა განყენებულ ჰაზრთა არედან, მიაქცევინა მეტი ყურადღება ამ უცხო ყვავილისადმი, რომელი აღმოცენებულიყო მივარდნილ კუთხეში, ვის მახლობლად მოჰხდომოდა მას შემთხვევით დავანება.

ძნელი არ იყო მისთვის ქალის ახლო გაცნობა: მისი მასპინძელი და ქალის დედა მეზობლები იყვნენ, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთთან; მხოლოდ სვიმონი არ აქცევდა მასპინძლის სტუმრებს არავითარ ყურადღებას და განმარტოვებით ატარებდა დროს. ეხლა კი გაეცნო იმ მეზობლებს მასპინძლის სახლში. მალე დაიმეგობრა ნანო: წიგნები შეურჩია, მარჯვე განმარტებები მიუთხრა; ჩაახედა ზოგ რამ დასკვნაში მწიგნობრობისა; მოხიბლა ნორჩი გონება გულწრფელის ახალგაზრდისა.

გავიდა ჟამი. დაბრძნობილი ვაჟკაცი თითონაც მოიხიბლა თავისი ახალი მოწაფის სულიერის სიმშვენივრით და თავისებურობით, მისის გონების უცნაური მიმართულებით, საოცარ ყვავილებით მისის გულისა.

— ბატონო სვიმონ! თქვენ რომ წიგნი მიბოძეთ, ძალიან მადლობელი ვარ იმ წიგნისათვის. სკოლაში როდი გვაძლევდნენ ამისთანა საკითხებს.

— ძლიერი ნიჭის ნაწარმოებია ეგ მოთხრობა, მეტად რჩეულისა, კალმით მხატვრისა. მაინც რა უფრო მოგეწონა იქ?

— ის გამეხარდა, რომ ცხადად მეჩვენნენ ყველანი, ვინც იქა უბნობს და მოქმედობს.

— როგორ?!.

— აი ეხლაც, დავლულავ თვალებს და ჩემს წინ დადგებიან ისინი. შემეძლება ვესაუბრო: მეტყვიან, პასუხს მომცემენ, სთქვა ქალმა.

და დახარა მიჯრით მიწყობილი წამწამთა ტევრი, დაფინა სხივთა იგი მჭელეული აცისკროვანებულ ღაწვთა არეზედ, დახედა სვიმონმა და... და იგრძნო, რად იყო მისი ჯაბუკი მეგობარი ისე მოხიბლული ქალწულისაგან: ჰხამდა მოწიწებით ჰმთხვევიყავი ამ გაბედულად მოხაზულ თვალთა მიდამოს, მოლიმარე ბაგით აგეკრიფნა დაფენილ სხივთა მთრთოლარე სიტკბოება.

— მესმის! მაგრამ შენ რომ მეუბნები, ჩემო ქალო, ეგ იქნება იმდენად წიგნის უნარი არ იყოს, რამდენადაც შენი საკუთარი გონების თვისებისა და გრძნობათა სიმძლავრისა: განგიცდია, მკვეთრად აგისახავს სურათები და გაცოცხლებულან იგინი შენ თვალთ წინ.

— გამოგიცდია, ბატონო, ესეთი რამ?

— ბევრჯერ! აი ეხლა ისეთი სამუშავო მაქვს, რომ მხოლოდ ცივი გონებით უნდა გაისინჯოს; გულის მისწრაფების ძალას აქ დიდი სარბიელი არა აქვს; მაინც ისე ცხადად მიდგანან თვალწინ დასკვნილი დებულებები, რომ იგი ხორცშესხმულნი არიან ჩემთვის, ხელ შესახებნი.

— მე კი... მე კი ვერვისთვის მითქვამს ჩემ ჩვენებათა შესახებ: ვერ გაუგიათ, უკვირთ, განცვიფრებულნი მიყურებენ.

— რადა, ქალო?

— ნერვებ აშლილი ხარო... რას ვაშავებ?!. თუ საქმე არის რამე, გულდასმით ვაკეთებ; არ მეზარება. მხოლოდ...

— მხოლოდ რა?

— მხოლოდ ხანდისხან დამავიწყდება, რასა ვმუშაობ და ხელში შემიჩერდება საკეთებელი; შემიგვიანდება; ხან სხვაგან მივდივარ, სხვა გზაზედ კი შევუხვევ...

— ეგ არაფერი! რამე ჰაზრი თუ სურათი გიტაცებს და გავიწყებს ყველა-

ფერს, რაც კი შენს გარშემო ხდება. მეც ხშირად მომდის ეგრე; შენოდნობასაც ვიცოდი ეგრე.

— თქვენც გამოგიცდიათ ამისთანა რამე, ბატონო? კვლავ ჰკითხა ქალმა.

და სიხარული დაეტყო სახეზედ.

5

მისთვის უამა ნანოს უფროსი ადამიანის სიტყვა, რომ მას აქამდისინ ვერვინ ენახა ისეთი, რომელსაც შესაძლებლად მიეჩნია და ბუნებრივად იმ გვარი ხილვები, მის ჩვენებათა სინამდვილე, არსებობა იმ სანახავთა, როდესაც მღვიძარე იმყოფება ცხადის სიზმრების ტურფა არეში.

— მაშ მიმიხვდებით, ბატონო! უცნაურ სახეებს ვეალერსები ტურფა წალკოტში, თანაც სხვებისავითა ვარ: ყველაფერს სხვებთან ერთად ვხედავ, ვისმენ, ვგრძნობ, ვფიქრობ. გამიგონია, ძილში სული ამოვა და განთავისუფლებული მიმოვლის ქვეყანაზედ, ბევრს რასმე საკვირველსა ჰნახავს...

— შენი ლამაზი სული ცხადვივაცა ჰხედავს ზღაპრულ ქვეყანას, ჩემო კარგო: ძლიერი ამხატველი ნიჭი გაქვს, გონების თვალი მჭრელად მხედველი.

კიდევ უნდოდა ეთქვა რამე ქალს, მაგრამ შენიშნა დამკვირვებელი თვალი სვიმონისა და შეკრთა, შეიკუმშა. სათქმელი კი ჰქონდა: უნდოდა გაენდო მისთვის, რომ სხვა და სხვა ბგერა მის გონების თვალთ წინ მოძრაობდა განსახებული, ცეკვავდა განმარტოებული თუ სხვებთან ერთად; ბევრი სიტყვა ნივთიერ სახედ ეხატებოდა; ბგერას, ხმას, სიტყვას ფერად-ფერადი სახე ჰქონდა განკერძოებული; ფრასაც აფერადებული იყო წითლად, მწვანედ, ყვითლად; იყვნენ სხვა ყველა ფერნიც, შავი ფერებიც სამგლოვიაროა ძაძით მოსილ-მობურულები. ხომ გინახავს ასოთა ღიმილი, გაგიგონია სიტყვათა ქვითინი, მოკასკასე ფრასა მხიარული? ყვავილთა მდინარე დაქანებული, ფართო ზოლად რომ მოიგრაგნება შენს გონების თვა.....

— ჰო და ამისთანა სახილველებით იყო ნანო გარშემორტყმული. სხვებს კი უკვირდათ, რა ემართება, რომ ხანდისხან სინამდვილეს ვეღარა ჰხედავსო. საწყლები! ისინი მხოლოდ მძიმე სინამდვილესა ჰხედავდნენ, უსახო ნივთით პირთამდინ აღსავსე არსებობას, პირდაპირ რომ გადაჰლობებია სულდგმულის უშნოდ გახირულ სათარივით, გვერდ შელეწილი ლოდივით ტლანქად ჩაწოლილისა. ამბობენ, როგორ შეიძლებაო სხვა სინამდვილის ყოფა, უსხეულო სხეულთა არსებობაო?!.

მართალს ამბობენ ბევრეულნი: ცხოვრება მხოლოდ ნივთიერ არსთა დაუცხრომელი მიმდინარეობაა პირად-პირადად ხლართული, ყველასათვის თვალსაჩინო არსებობა, ხრწნადი, უჟამო, მსწრაფლ წარმავალი, წუთიერ-წამიერი.

ქალის ცხოვრების ამ უჩინარ მხარეს ვერვინ ჰხედავდა, შინაური თუ უცხო: თვალი არ ესხნეს სანახავად იმ უცხო არსთა და ყურნი სმენად იმ უცხო ხმათა. ცოტას რასმე მიმხვდარიყო არჩილი: ქალისადმი სიყვარულს ოდნავ შეეღო მისთვის იმ უცხო წალკოტის კარი უცნაურისა; ისიც მხოლოდ ალღოთი იყო მიმხვდარი, ნამდვილ კი ცხოვრებას იგი საღი თვალით უყურებდა: უნივთო ნივთთა სამშობლო მხოლოდ ოცნება ეგონა უნაყოფო, საარაკო რამ არე ბალღური.

არჩილის დედა მთლად ფხიზელი ადამიანი იყო. მძიმე ცხოვრებისაგან ბევრჯერ მიწამდინ დახრილს, საკუთარი შრომით გაეკაფნა გზა მძიმე არსებობისა და სრულებით არ ესმოდა მეოცნებე სიტყვა ზღაპრული. როდის და სად მოიცლიდა ის ამისთანა არაჩვეულებრივ ამბავთა საცნობელად?!. ეხლაც ფხიზლად უყურებდა შვილისაგან დაწყობილ საქმეს: იცოდა, რომ ოცნება და ეკლიანი გზა უხეში ყოფისა უარსა ჰყოფდნენ ერთი მეორეს. უნდოდა, მისი შვილი დასდგომოდა მთლად საღ სავალსა.

— ვისაც სახლში შემოიყვან, შვილად მივიღებ: მაგრამ შენ თითონ შეიქმნები უკმაყოფილო, როდესაც ორი ტვირთის ზიდვა დაგჭირდება, საკუთარი შენი სიმძიმისა და შენი ცოლის საზიდ ბარგისა. შენ იცი, როგორ იძალება ხარი, როცა ცალს დაუდებენ მას.

ჰაი, ჰაი იცოდა, როგორ ძნელი იყო უღელის წევა ტოლ დადებულისა, მაგრამ გრძნობდა ალფრთოვანებული, რომ იგი ტვირთი ერთობ სასიამოვნო იქნებოდა მისთვის, თუნდაც დაეძლივნა იმის სიმძიმეს ვაჟკაცი, დაეხარნა მიწის პირამდინ.

— არ ვიცი, დედი, რა იქმნება შემდეგ, ეხლა კი ნეტარებას ვეწევი; ჩემთვის დღეს მეტად სასურველია მისი მიახლება, მისი ჩემად წოდება. ეს ჩემთვის ძვირფასი საქმეა დღეს და რა სამართალი იქმნება, კარგს ცუდი მოჰყვეს, კეთილმა ხეხილმა გამოიღოს ნაყოფი ხენეში?!.

მართლა და როგორ შეიძლებოდა კარგიდან დრკუ რამ წარმომდგარიყო, დუხჭირი სახე?!. ეხლა ალარც არჩილის დედა ჰხედავდა რაესმე შავს ამ სიახლოვეში. არც იყო სიავე! მხოლოდ ის იქმნებოდა უფერი, თუ ქალი ვიწროებაში ჩავარდებოდა. ცხოვრების გზაზედ, არსებობის მწირ თუ მოუხეშავ დენის დროს.

— იყავენ ნება უფლისა! სთქვა გულში დედამ.

და ალარ დაუშალა წასწრაფებულიყო არჩეულ სადინელზედ. ჭაბუკმა იგრძნო ეს და გულ სავსედ წავიდი მისთვის ამონათებულ სხივისაკენ მშვენიერისა, როგორც რამ ფრინველი ღამის სიბნელეს შესწრებული უეცრად აღმოჩენილ სინათლისაკენ შორეულისა.

6

ზაფხული ზეიმობდა, გალაღებულიყო განდიდებული. მზე და მთვარე ერთმანეთს შეჰშველებოდნენ ქვეყნის ალერსში, მის ნებივრად დაჰერაში: მზე რომ მცხინვარე სინათლით სიცოცხლეს უხშირებდა ქვეყანას და მრავალსახეობას ამრავლებდა ეშით გამთბარ ნივთიერებაში, მთვარე ტკბილ ნანას უმღეროდა მოკასკასე სიცოცხლით მიქანცებულ ბუნებას, უალერსებდა შუქთა ნაზი შეხებით, თვის მიმზიდველ სხივთა ეთეროვან ამბორით.

ხალხიც გალაღებული მისცემოდა სინებივრეს: დღისით რომ მზის მწვავ კოცნას გაურბოდა და ჩეროებში სთვლემდა გარინდებული, ღამით ენანებოდა ძილისათვის მიეცა თავი; უფრო უხაროდა ლბილ მდელოზედ, ხუჭუჭად გაშლილ ხეთა შორის, მოკამკამე ნაკადის პირას ეგემნა არსებობის სილამაზე. წყვილ წყვილად თუ ჯგუფჯგუფად მიმოვიდოდნენ, უბნობდნენ, იცინოდნენ, შესტრფოდნენ ლაჟვარდ ცას, უხვად მანათობელ პირმანგს, თვალჟუჟუნა ვარსკვლავებს.

ხალხში გამოსულიყვნენ ნანო და არჩილიც, მაინც განცალკევებულიყვნენ: ისხდნენ ნაკადის პირას, სად მდინარე შეგუბებულ-შეღრმავებულიყო და ოდნავ მღელვარე ტალღებში არხევდა მნათობთა სახეს, ამსხვრევ-აპნევდა მოციმციმე ჭვლეტზედ მათ შარავანდედს. საოცნებო ღამეს სინამდვილედ გარდაექმნა მარად მეოცნებე ნანოს' საყვარელი სურათები. იგი ეხლაც შესტრფოდა იმათ, იდუმალი ღიმილით ეალერსებოდა, თვალს ადევნებდა, აცისკროვანებულ მორევად მორღვეულ თვალებს. სიხარულით შეჰყურებდა ჭაბუკი მას თვალებში, გარნა ეს სიხარული არ იყო მდულარე წასწრაფებული, ღელვით მავალი, ფრიად უთმინო; ეს სიხარული იყო რღმა, უძირო და თანაც ფრთხილი, რომ უხეშად არ შეჰხებოდა აღტაცებისას თუნდ გრძნობათა დენაში, ჯერეთ უხორცო გრძნობათა სვლაში. ნაღვლიანი იყო ეს ჯერ უთქმელი სიხარული.

— ნანო, გენაცვალე! შენ არა ხარ გაჩენილი ცხოვრების ძნელი სინამდვილესთვის; შენთვის ნივთიერი არსებობა მძიმეა, სუნთქვის შემხუთველი.

— ეგრე გგონია?

— მგონია! ოცნებათა არეა შენი ნამდვილი არსებობის სიერცე, ისევ იქნება ბოლომდისინ...

— არჩილ! ჰხედავ იმ ორ ვარსკვლავს, ერთად რომ ბრჭყვიალებენ ცის განაკიდზედ? უთხრა ქალმა და გაიწოდა ხელი ჩრდილოეთისკენ.

— რომელს?

— გააყოლე ჩემს ხელს თვალი! პირდაპირ დიდი ვარსკვლავია მოწითანო.

— ვხედავ!

— იმის ქვეით ორი მბეჟუტავი...

— როგორ მიუჟეულან საწყლები! ნეტა ჩვენი ვარსკვლავები იყვნენ ისინი. უსამზღვრო სივრცეში განმარტოვებული ვიყო შენთან უქრობლად, მარად ჟამს, დაუსრულებელ დროთა დენაში, ინატრა ჭაბუკმა და მოწიწებით შეეხო ბაგით ქალის სარტყლის ფოჩს. ნანომ წყნარად დაუშვა მკლავი მუხლზედ, მოსწყვიტა თვალი ლაჟვარდ კამარას და დაჰნათა ვაჟს ლმობიერი ხედვით მცირედ გაკვირვებულით.

— გიყვარვარ, საწყალო?

— მიყვარხარ, სალოკავო ჩემო!

ქალმა აღარა უთხრა რა; მხოლოდ დაიხარა მისკენ და შეეხო ბაგით მის შუბლს ხუჭუჭებით გარემოდებულს.

ნაზი იყო ამ ჟამს ქალ-ვაჟის წრფელი ალერსი უნივთო, მოტრფიალე ვარსკვლავთა ალერსი იყო იგი, ცის კიდურზედ სხივებით რომ უალერსებენ ერთმანეთს საუკუნეთა განმავლობაში. იგი წუთი გარდუვალი იყო მათთვის, სამარადისო, როგორც დროთა ბრუნვა დაუსრულებელი. უსაზღვრო სივრცეში ერთმანეთს შეხვედრილ ვარსკვლავებს რომ ჰგვანდნენ ისინი, იმისთვის უღიმოდნენ მათ თვალ-ჟუჟუნა ცის მნათობები. მანგმაც მიაქცია ნათელი ხედვა ამ დატოლებულთ და დალოცა სხივთა შეხებით. გრილი იყო იგი დალოცვა საამსოფლო მცხინვარებას გამოკლებული: თავის ახლო თუ უნდოდა მათი სათუთად შენახვა სხვა თანამავალ ვარსკვლავებთან ერთად; არ თუ ემეტებოდა, ამ ქვეყნადვე დამწვარიყო მათი არსება საერთო ცეცხლით და ფერფლად დაჰფენოდა შავს მიწას გულგაციებულს.

— სად იყავით, შვილო? ჰკითხა მათ ვაჟის დედამ.

— აქ გახლდით, დედი, მდინარის პირას.

— განცალკევებულხართ, არ იღებთ მონაწილეობას ახალგაზრდათა ჟიჟინში.

— არ ვიყავით განცალკევებულნი: ერთად ვიყავით! ქვეყნის მანათობელნიც სულ ჩვენთან იყვნენ, გარს გვეხვეოდნენ! მიუგო არჩილმა და დედათა წინ აკოცა ქალს ხელზედ.

დედები ერთ წამს უთქმელად გაჩერდნენ, თითქო შეეყოყმანდნენ, გარნა მხოლოდ ერთს წუთს; მალე მოეგნენ გონებას; გადაეხვივნენ ბედნიერ შვილებს, სიყვარულით გადაჰკოცნეს ერთმანეთიცა.

ქალ-ვაჟი წინ მიდიოდა ხელიხელ ჩაკიდებული. დედები მოშორებით მოსდევდნენ. არ უბნობდნენ ახალგაზრდები; ნაწყვეტ ალერსს თუ შესძღვნიდნენ ერთმანეთს ობოლ მარგალიტივით.

სიტყვა ვერ ჰხატავს იმ განცდის სილრმეს, ვერც თუ მის სიტკბოს ან სუნ-

ნელებას; თქმა მხოლოდ ზღუდავს აქ გრძნობათა ნავარდს ლაღს, თავისუფალს: დუმილი შეჰშვენის სათუთ საიდუმლოს.

დედები კი გაბმით ლაპარაკობდნენ, მხიარულად მიუბნობდნენ ახალი მძახლები. ცხოვრების საგნებზედ თუ მსჯელობდნენ, მათ თვალწინ დაწყებულ ახალ სიცოცხლის ახალ ნაკადულზედ.

— არჩილ, გენაცვალე, გესმის ჭოტის ხმა?

შესდგა ჭაბუკი. მკაფიოდ გაისმა მიკოტის ხმა შორი-ახლო.

— პატარაობიდანვე გაურკვეველ შიშსა მგვრის მაგ ფრინველის ძახილი, არ ვიცი რად.

— ბნელის შვილია, წყვდიადში მონადირე, ხოლო ბნელსა და ბოროტს განუყრელად აერთებს ქართველთა ჰაზრი. ალბად ამისთვისა აქვს ჩვენს ხალხს ჭოტის ძახილი ცუდად დაცდილი, მიუგო არჩილმა.

და გულში ჩაიკრა ქალის ხელი ოდნავ ათრთოლებული. არც თითონ ჭაბუკს უხაროდა ამ ჟამს ჭოტის ძახილი; ერჩივნა, ბულბულს ეგალობა მათთვის ამ სხივოსან გზაზედ ახალის ყოფისა.

7

აღივდა კერძო ბედნიერება კერძო ადამიანებისა, პირადი სიხარული გულუბრყვილო წყვილისა, ქვეყნისათვის უჩინარი, ხოლო ქალ-ვაჟთათვის დიდად მჩინარი ნეტარება უჩრდილო. გაზიარებულმა სიყვარულმა არ დაარღვია ჭაბუკის მხრივ უსამზღვრო პატივცემა, რომელს გრძნობდა ის ქალისადმი და რომელი ისახებოდა ყოველ მის სიტყვაში თუ მოქმედებაში, უნებლიეთაც კი იხატებოდა, შეუგნებლად. ქალს ძლიერ ულობდა ეს გულს და თანისთან უვსებდა სიყვარულის საწყაულს.

არჩილი მეტადა გრძნობდა ქალისადმი მისწრაფებას და უძნელდებოდა სურვილთა გულში დატევნა. გრძნობა აღარ თავსდებოდა მის არსებაში. გაძლიერებულმა ნდომამ მეტად აამაღლა ქალი მოტრფიალეს თვალში: მზის უჩრდილო რამ ნაკვეთად დასახა მან ნანო მოელვარედ, მანათობელ-დამათბობელად. ვეღარა სძლებდა ვაჟი უმისოდ; უნდოდა ყოველი თავისუფალი წუთი მის გვერდზე დაელივნა.

სვიმონის ყვავილი მოსიარულე აღარ იყო ეხლა მარტო: ჩრდილივით ასდევნებოდა მას კიდევ სხვა ყვავილი მიმომავალი. და ეს წყვილი ბუტკო უფრო საამო შექმნილიყო მისთვის, ძვირფასი თუ გასახარო მის კეთილი გულისათვის ლმობიერისა. ცხოვრებაში სვიმონის კერა ვერ მოეწყო სასურველად: ვერ გამეფდა იქ სიყვარული თბილი, ვერც ნათელი საამებელი. გაგრილებულ-ჩაბინდულმა კერამ ვერ

აღზარდა საესავო მომავლები, ვერ გამოიღო ისეთი ნაყოფი, რომელს შესტრფოდა ვაჟკაცი თვის ჰაზრთა სამფლობელოში. თითონაც იყო ამაში დამნაშავე: ვერ შესძლო ემსახურნა წიგნისა და კერისათვის, ერთად ორისათვის. ყველას როდი შეუძლია ემონოს რამდენსამე მბრძანებელს თუნდაც თავის სურვილით არჩეულს! იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ვერ დაივანა მის ოჯახში გრძნობათა დამაამებელმა დიასახლისმა, აი ისეთმა, როგორიც დადგებოდა ეს ნანო ქალი, არჩილის დანიშნული ბედნიერისა. ისე უხაროდა ამ უცხო ადამიანს ახალგაზრდათა დაახლოვება, თითქო მამა ყოფილიყო მათი ან ბიძა კეთილის მქნელი. ისე შეეჩვია ქალ-ყრმის ნახვას, რომ თუ შემთხვევით ვერ გამოჩნდებოდნენ ისინი გადაღმა ეზოში, უხერხულობასა გრძნობდა უცნაურს; კიდეც ჯავრობდა გულში, წყრებოდა, იბუტებოდა.

ვაჟის დედაც მალე შეეტკბო სძლად დასახელებულს. ნანოს წრფელმა გულმა, ლმობიერმა ხასიათმა და გულუბრყვილო მეოცნებობამ შეისყიდა მისი გული: გამოცდილი დედაკაცი ისე უყურებდა ქალს, როგორც საყვარელ ბავშვს ხელზედ შესანახს. ჩაფიქრა კიდეც ქალმა დედაკაცი: მას არ შეჰხვედროდა ესე მოზრდილი, ბალღობიდან უკვე მთლად გამოსული, ამ ზომად სახიერი, მთლად გულკეთილი.

— თითონ რომ კარგი სული არის ნათელი, სხვებიც ეგეთები ჰგონია; მგელიც კი კრავად მიაჩნია, თუნდაც თვის ქერქში ეჩვენოს იგი მას, მტაცებელის ტყავში სისხლის მსმელისა.

— მართალს ამბობ, დედილო! ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლება კაცს ბოროტი ჰაზრი ამოქმედებდეს ან ავი გრძნობა; ყველანი ღვთის შვილები ჰგონია.

— თითონ რომ ღვთის შვილია, იმიტომ ჰგონია ეგრე; თორემ მისი გონების პატრონი ადვილად უნდა განსჭვრეტდეს სხვის პიროვნებას, ავის მომნდომნელ ბოროტ ქმნილებას.

— ოღონდაც რომ ნათელი გონება აქვს ფართოდ მხედველი! ვერ წარმოიდგენ, დედი, რა განათლებულია და ნაკითხი.

— კარგია! შორიდან რომ ვუყურებდი, არ მეგონა, ეგეთი საყვარელი იქმნებოდა. გიბედნიეროს და გაბედნიეროს მასთან! ჩემმა კელილმა სალოცავებმა თუ მიგიყვანეს მაგათ კარს ობლობაში გამოზრდილი ახალგაზრდა; ალბათ ბედს უნდა საკუთარის კეთილდღეობით გაგახაროს დღეს.

თითონაც ძალიან ისწრაფოდა არჩილი საკუთარი ცხოვრება დაეწყო სამხიარულო. იმისთვისაც ეჩქარებოდა, რომ უსაგნო შიშსა თუ შურს შეებყრო ჭაბუკი: ეგონა, აი ეხლა, აი ეხლა მოვა ბედისაგან კეთილად აღნიშნული სხვა ვინმე ჭაბუკი და ხელიდან გამომაცლის ჩემს საუნჯესაო; შეიძლება სხვა რამ ავმა შემთხვე-

ვამაც დამაკარგვინოსო ჩემგან ხელდადებული ღობალი ჩემი, და ვერ ვეწიო მურაზს მშვენიერს.

— ეი, არჩილ, ფხიზლად იყავ, თორემ დევი მოვა სამთავიანი ვეშაპზედ მჯდომი და მოიტაცებს შენს ქალთამზესა: გრძნეული ეტყვის მას, ის ბნელის შვილი, და გამოგზავნის შენის ყისმათის წარსატაცებლად; გახსოვდეს მეცანი ბოროტის მქმელი!

— მახსოვს! მეშინის!

— ამ დევით, ვეშაპზე მჯდომ სამთავიანი დევით, აშინებდა დედა თვის არჩილს პატარაობისას, რომ დაეშლევინებინა ჩვეულობა რამ უგვანო და უშნო საქციელი. ეხლა ბალღობის შიშიც კი განუახლდა დიდ ბედნიერებასთან მიახლებულ ჭაბუკს: ბნელი ბოროტი მრავლად არის გაბნეული ქვეყანაზედ და მარად სცდილობს ჩააშავოს სხვის სხივი სიხარულისა, მოსპოს იგი მთელ დუნიაზედ.

8

— რაღას ვახანებთ ნეტა, დედილო? რაკი ჩვენად დავასახელეთ ნანო, ბარემ მოვიყვანოთ: ჯვარს დავიწერ გახსნილებისას.

— ცოტა რამ მომზადება მაინც უნდა ქალს: უყიდიან, შეუკერავენ.

— ეჰ, თუ რამ ემეტებათ ან ეთხოვებათ, მერმეც მოაწვდიან. თითქო რიღასიც მეშინიან; ვერ დავწყნარდები, სანამ შინ არ დავიგულებ მას ნამდვილ ჩემად.

— ნუ გეფიქრება: არვინა გტაცებს შენს მზეთ უნახავს! მაგრამ, ჰო, გვარად მოგიდისთ ამისთანა შემთხვევებში აჩქარება: საწყალმა მამა შენმა არც ბელგის მოცემა, არც ნიშანი არ მოისურვა, ეხლავე უნდა ვიქორწინოვო; წინა დღეს რომ გამიცნო, მეორე დღეს ჯვარი დავიწერე იმავ კაბაში, გაცნობის დღეს რომ მეცვა, მიუგო დედაკაცმა.

და გაიღიმა. იმაზედ იღიმებოდა გაკვირვებული დედა, რომ თითონაც ძალიან ეჩქარებოდა რძლის შემოყვანა სახლში. რაკი ახლო გაიცნო ქალი, შეუყვარდა; ეგონა ყველას ძალიან მოსწონსო და ეფიქრებოდა, არავინ შეგვეცილოს, არავინ გადაეღობოს ჩემს შვილს გზაზედაო. ამაო შიში! ნაცნობებში არჩილის მჯობი ჯერ არავინ მოსჩანდა; ან რაღად გასტეხდა ქალი თავის აღთქმას, როდესაც სიტყვა ჰქონდა ვაჟისთვის მიცემული?!. გონება ესე არწმუნებდა დედაკაცს, მაგრამ ცხოვრებისაგან ნაწრთობს, ბევრჯერ შემკრთალ-შეშინებულს, ეხლაც უცნაური საშიშრობა ელანდებოდა: ვერა სჯეროდა თავისი შვილის უცილო ბედნიერება, კერის განათება უჩრდილო სიხარულით.

— შუადღე მშვიდობისა, შვილო ნანო! მიესალმა არჩილის დედა ფეხზედ წამომდგარ ქალს.

და თვალები ამოუკოცნა.

— რას ჩასჯდომიხარ ეგრე გულმოდგინედ, რომ ძლივსღა გაიგე ჩემი შემოსვლა?

ქალი ეზოში იჯდა ხის ქვეშ გაშლილ ხალიჩაზედ და რაღასაც ჰკერავდა გულდადებით; დაჰღიღინებდა საკერავს.

— დედამ დამავალა, ეს მალე შეკერეო და ვეჩქარებოდი დამეთავებინა...

— სად არის დედა?

— დილასვე წავიდა ბაზარში, გოგოც გაიყოლა, მიუგო ქალმა.

და სახეზედ ზრუნვა აღებეჭდა დედის ხსენებაზედ; რიღასიც შერცხვა. დედაკაცმა მაშინვე შეატყო ეს ქალს და დააკვირდა.

— რა იყო, შვილო, რამ შეგაფიქრა?

— არაფერი, დედი! როცა მიდიოდა დედა, მითხრა, საქმელი დგას ცეცხლზედ და მიხედეო ..

— შენ კი მთლად გადაგავიწყდა. წამო, გენაცვალე, ვნახოთ ი საქმელი.

წყალი მთლად ამომშრალიყო. კარგი, რომ ცეცხლი ჩამქრალიყო, თორემ მთლად დაიხახებოდა მოსახარშად შედგმული სანოვაგე.

— ლამაზად კი მოიკაზმება შენ ანაბარად დარჩენილი სუფრა! დასცინა საღედამთილომ.

და მოეხვია ქალს, უნებლიეთ გული არ ვატკინოვო გამკილავი სიტყვით. გამოაკეთეს გაფუჭებაზე შემდგარი საზრდო. დააგზნეს ცეცხლი. ქალის დედამ ვერაფერიც ვერ შეატყო საქმელს. მხოლოდ რძალ-დედამთილის საიდუმლო იყო ეს და უჩუმრად ულიმოდნენ ერთმანეთს, როცა სუფრას შემოუსხდნენ და მიირთმევდნენ.

მძახალო, ჩემი ვაჟი სულ იმაზედა ნაღვლობს, ქორწილი გვიანდებაო. სჯობს ავაჩქაროთ; გახსნილდება თუ არა, ჯვარი დავსწეროთ.

— ვამბობ, ქალი შევამზადო მეთქი: არც თუ ღარიბი ოჯახიდან მიგყავსთ, უმზითვოდ გამოვისტუმრო.

— ვიცი, გენაცვა! მეც ეგრე ვფიქრობდი, მაგრამ რაღა საპირია ჩვენში ანგარიში: შენი ქალისათვის რაც გემეტება, მერმეც შესძლებ დაეხმარო.

დაასკვნეს, ჯვარი გადაეწერნათ გახსნილებისასვე, მარიამობის შემდეგ. საგვირგვინო კაბა და მორთულობა კი სრული უნდა ყოფილიყო. მოასწრობდნენ: ფარჩა უკვე ნაყიდი იყო, თეთრი აბრეშუმი თითქმის თავისივე ფერი ყვავილებით დაფენილი, და მკერვალმაც აღუთქვა ტანსაცმლის გამოყვანა აღნიშნული დროსთვის. ორივე ოჯახი აჩქარებით ემზადებოდა საქორწინოდ. დიდი მზადება კი არა სჭირდებოდათ; ისეთი გამოჩენილი ქორწილიც არ იყო, მთელი დაბა თავს დასცემოდათ.

ვაჟი ძალიან გახარებული იყო, დღეებსა სთვლიდა, საათებსაც. მის სიხარულს ბუნდოვანი რამ შიშის აჩრდილი მაინც არა სცილდებოდა. ეს მდგომარეობა აღელვებდა მას, მოუსვენრობას განაცდევინებდა; თითქო დაკარგა ახალგაზრდამ სულის სიმშვიდე; ველარ მიაგდო თვისი თავი ვერც ერთ საქმეზედ. ქალს კი არ ეტყობოდა დიდი რამ ღელვა: თავისებურად მშვიდად ცხოვრობდა ოცნებათა სამფლობელოში ჩაბმულ-გართული; მხოლოდ ეხლა ამ ჰაეროვან სურათებში შეპრილიყო მისი გულის მეგობარი არჩილი, რომელს თავს ევლებოდნენ ქალის ფიქრები ფრთადაფერილნი.

— ოცნებოს, შვილო, მანამ დრო აქვს ნატვრისა და პირად-პირადი სურათებით გართობისა. შენც ინატრე, ოცნებე! სიხარული იცის უნივთო სურათმა ლამაზლამაზმა. მოვა დრო, ცხოვრების უღელი დაგხრით მიწისკენ და დაგანახვებთ ზრუნვებით სავსე სინამდვილესა. მაშინ თქვენც მხოლოდ მუშაკნი შეიქმნებით ყოველდღიურის არსებობისა, დამკლავებულნი მშრომელნი, ოფლით რომ მოიპოვებენ პურს არსებობისას. მაშინაც გეყოფათ ღრტვინვა თუ სიმძიმილი, ურვა თუ დარდი.

ტყუილად უქადაგებდა გამოცდილი ადამიანი თავის გამოუცდელ შვილს: გახარებულ ჰაბუკს ცხოვრება ედემი ეგონა, სადაც ყოველ კუთხეში მომწიფებულიყო მისთვის სიამე ნოყიერი, ყვავილად გარდაშლილიყო სიხარული მოღიმარ-მოცინარე; იმ ნაკურთხ წალკოტში ჯერ არ აღმოცენებულიყო ეკალი თუ უნდო რამ მდელო, გველსაც ჯერ არ დაეგესლა იგი მულღაზარი.

9.

ახლოვდებოდა დღე ბედნიერებისა. აღარაფერი ედგა წინ ახლო მომავალ სიამეთა სისრულეს. ხელით მისაწდომი გამხდარიყო იგი მზიური კეთილი, თვალით დასანახი. უფრო დატკბა ისეც ტკბილი ქალი, გადაშალა თვისი გული ვაჟის წინაშე, რჩეულ ყვავილთაგან შეთხზილი თაიგული. თვალებში შეჰყურებდა ჰაბუკი. მთელი მისი ქვეყნიერება იქ იყო ასახული, იმ ნათელ სირღმეში და მაშ ვის შეჰხედავდა სხვას, ან რასღა დაინახავდა მის გარეშე მთელ დუნიაზედ?!.

— შეუმზადოთ ბუდე ლამაზი მშვენიერ გვრიტებს! მაგათ ტრფიალს რომ ვუყურებ, ნათელ მისწრაფებას ერთმანეთისადმი, ვრწმუნდები, ყოველი დაყოვნებული წუთი მარგალიტია ზღვაში გადატყორცნილი, მაგათ გულისპირიდან აწყვეტილი თვალი ძვირფასი.

— აკი ვეჩქარებით, გენაცვალე! მიხარიან, რომ ეგრე შეაწყეს გული ერთმანეთს: ახალგაზრდობას მაგონებს, ლამაზ წუთებს ჩემის ცხოვრებისა.

— ღმერთმა დიდი დღე მისცესთ და ეს წუთები წლებად უქციოსთ! კარგი

ქალი გყოლია, ნამდვილი ღვთის შვილი. არც ხომ ჩემი ბიჭია დასაწუნი, ჩემი ქოჩორა არჩილი!

— და ვინ იწუნებს ჩემს კოხტა სიძეს?! ჩვენ რომ დაუჩაგრივართ ბედს ცხოვრებაში და ჯერეთ ისევ სავსე ფიალა მოუცლია სიტკბოებისა, ჩვენ დანაკლის სიამეს ამათ მიუძღვნის.

— ოღონდაც რომ მიუძღვნის! ღირსნიც არიან: მართლმსაჯულია ყოვლადმოწყალე. სად არიან ნეტა?

— გავივლ-გამოვიველითო, მითხრეს; კვერნაკისაკენ წავალთო.

— იარონ, ისიამოვნონ! ვარდის თვე სდგას იმათი მხიარულობისა.

ნანო და არჩილი აღარ ეკრძალებოდნენ ერთმანეთს, აღარც სხვებს, ხელგაყრილნი მიდიოდნენ ბილიკზედ, რომელიც ასდევდა გორას. საუკეთესო სასეირნო იყო ეს ადგილი. ბილიკს აქეთ-იქით მოსჭროდა ბუჩქნარი, წვრილიანი, ტყე შემაღლებული. გორის თხემზედ, შეკვეთილ ადგილას წავაკებულს, ტყე აღარ იყო. ზედვე, კვერნაკის მარცხნივ, გორას მოჰბმოდა ნაძვნარით შემოსილი დიდებული მთა, რომელსაც ჩამოსდევდა პატარა მდინარე. მთის წყალი სჭრიდა კვერნაკს ცალ მხარეს და გადადიოდა ფრიალოზედ საშინელის სისწრაფით, ქაფად აშლილი, ჯგუფ-ჯგუფ წინწკლებად თუ ჭავლებად დაშლილ-დალეწილი. ამ ლამაზ ჩანჩქერის სანახავად მოდიოდა ხალხი. მის სახილველად წამოვიდნენ ახალგაზრდები.

აღმართში ქალი მინდობილად დაეყრდნო შეყვარებული ჭაბუკის მარჯვენას. თავს რომ დაჰხრიდა ვაჟისაკენ, სხივად ასინათებული ხუჭუჭი ეხებოდა ჭაბუკის სახეს, უალერსებდა მის ახლად აშლილ წვერ-ულვაშს. არჩილმა რამდენჯერმე მოსტაცა კოცნა ეშხიანი.

— მაცა, გენაცვა, იყუჩე! უთხრა ქალმა.

და როცა არჩილმა კიდევ წარსთქვა საალერსო, ქალმა ქორფა თითი დააფარა პირზედ. შეჩერდა. ერთხანს თავწახრილი რასმე ისმენდა. არჩილს უნდოდა ჩაეკოცნა ყვავილის ღეროდ ამოსული ყელ-ყურა, მაგრამ ვერ გაბედა განძრევა.

— გესმის?

— რა, გენაცვალე?

— ხეების ხმაურობა, მათი უბნობა.

— მესმის. შრიალი. საღამოობით აქ ყოველთვის იცის ნიავი; ის აშრიალებს ფოთლებს.

— და ასაუბრებს! ერთმანეთს უალერსებენ ხეები; ჰკოცნიან სიყვარულით ერთურთს.

— ესრე, გენაცვალე?

— მაცა!... მე სულ ვიცი, რასაც მცენარე ამბობს. იცი? ესენი ეხლა იგონე-

ბენ ზამთრის ქარს, მის მყინვარე მობერვას; შიშით იხსენებენ. ზამთრობით არ დამიგდია ამათთვის ყური: ვინ წამომიყვანდა?!

— მე წამოგიყვან, რომ დაზამთრდება.

— რა კარგი იქმნება!

— რა კარგი ხარ!

ავიდნენ კვერნაკზედ. ტყე წვრილათ თავდებოდა აქ. ზევიდან ჩამოშვებული ნაძვნარიც უეცრად შემდგარიყო. ყვავილოვან ველისათვის დაეთმოთ ტყეებს ადგილი. მთიდან გიჟმაჟი ხტომით მომდინარე წყალსაც რღმა სადენი ვერ გაეჭრა წვაკებულზედ: ძირში სალი კლდე იყო და მდინარეს მცირედ ღა გაეღარნა იგი თავქვისაკენ. ხეც თუ მისთვის ვერ იკიდებდა აქ ფეხს, რომ ნიადაგი რღმა არ იყო, მიწა ფიფქად ეყარა სალს, ბალახით კი ალაღებულიყო ფერად-ფერადად აღყვავებული დიდებული გადასახედი! როგორც ხელის გულზედ, ისე მოსჩანდა ძირს გაშლილი არე. ჩამავალი მზე პირდაპირ დაჰნათოდა გიჟური ხლტომით ჩამდინარე წყალს. მის ქაფებში, აქოჩრილ ჭავლებში, შხეფად ადენილ წინწყალთ ბუნჯგლებში იმტვრევოდ-იმსხვრეოდა მნათობის სხივები და აცისკროვნებდა მქუხარ ჩამდინარეს.

10.

— დავისვენოთ!

— დაიღალე, საყვარელო?

ვაჟმა დაუგო ბალახზედ შალი. დასხდნენ.

— ჰო, დავიღალე... ჯერ ჩვენს მეტი არავინ ამოსულა.

— ადრეა ცოტა; მთვარის ამოსვლისას მოიკრიფებიან.

— მშვენიერება იქნება აქაურობა ბადრი მთვარით გაკაშკაშებული.

— დღეს თხუთმეტისაა მთვარე... ნეტა ხილი რამე წამომეღო შენთვის.

— მე წამოგიღე შაქრის პურები. აი! უთხრა ქალმა.

და გადახსნა ფარჩის პარკი, ამოიღო ქაღალდში გახვეული მცირე რამ ნუზლა.

— აღარა სთქვა, დიასახლისად არ ვარგაო ჩემი ნანო.

— ვიტყვი, სატრფო არის მეთქი ჩემი დიასახლისა.

მართლა დაღლილიყო ქალი. მიეყრდნო თავის დანიშნულს. გარინდებული გაჰყურებდა სივრცეს. უფრო დაიხარა მზე; პირდაპირ დაასვა სხივთა მჭელეულები ჩახრიალას, აალაპლაპა, აცისარტყელა. მზის ალერსით გალაღებულმა მდინარემ უმატა ქვესრბოლას ფიცხელს, ხლტომას, გრგვინვასა ძირს, უფსკრულში, ღრმად გაეთხარა ჩანავარდნ წყალს კლდოვანი ნიადაგი და შეგუბებულიყო უზარმაზარ ჯუზად, ტრიალებდა.

— დავათვალიეროთ ჩახრიალა!

— გავსინჯოთ! ხომ მეტყვი, რას მოგვითხრობენ გიჟი ტალღები?

— გიამბობ, კარგო!

წამოხტა არჩილი, უბყრა ქალს ხელი. ჩაიწია განიერმა სახელობამ, აღმოაჩინა მკლავი სპეტაკი. ეშხით დაკოცნა ვაჟმა ფუნთუშა.

— მოდიან სხვებიც, მოეფინებიან. აბა გადაჰხედე!

— მხოლოდ ის არ წამოვა, ვისაც შნო არა აქვს, დასტკბეს მშვენებით, ვისაც არ ესმის არსის ძახილი.

— მიყვარს ბუნება! შენც გიყვარს განა?

— მიყვარს! მიყვარს ძლიერ!

— მიყვარს და ვეტრფი; სულდგმულად ვსახავ; მსურს ჩავეკონო.

— შენ ჩაეკონო? მკერდში ჩაეკრა?!. მძულს მე ბუნება!

— უჰ, როგორი შურიანა ხარ! განა ისე მიყვარს, გიჟო, როგორც მიყვარ-ხარ...

წარსდგნენ ფრიალოსაკენ. ახლო უნდა მისულიყენენ, რომ მათ წინ დაჩენილიყო ჩანჩქერი მთელი თვისი ალაპლაპებული ტანით. ძალიან ახლო კი არ შეიძლებოდა მისვლა: შხეფს რომ ისროდა შეოთი მდინარე, წინწკალთ აფრქვევდა და მიდამო კლდე მოსიპული ჰქონდა, მთლად მოლიპული, როგორც ყინული. აქ შველიც კი ვერ უახლოვდებაო წყალის სასმელად: ფეხს ვერ იკიდებსო.

— რა ლამაზია! დააკვირდი, გენაცვალე! ჩანჩქერის ალავარდნილ ნატეხებში იხატება სახე ათასნაირი და ჰქრება: კაცი, მფრინველი, დევი, ნადირი, ნამსხვრევი ცისარტყელისა...

— ბალღივით აღფრთოვანებული რომ...

— იყურე! მწყობრი რამ ხმები...

დაჩუმდა ქალიც, წინ წარსდგა ბიჯი. მიჰყვა ვაჟი.

— რა მშვენიერობა, ვაჰ, გენაცვალეთ! წარმოსთქვა ქალმა

და წარსდგა ფეხი. მოსწყდა ფრიალოს .. წაეტანა ჭაბუკი... გამოფრიალებული სარტყელი ღა შერჩა ხელში...

უფსკრულში მოსჩანდა ნანო საბრალო. ნახევრად ჩაეთრია მორევს; მბრუნავი ტალღა არხევ-ანძრევდა, ეზიდებოდა ბნელ უბსკრულისაკენ: ფერიები თუ ეწეოდნენ თვის ახალ დობილს. ტალღები ჰრეცხდნენ სისხლის შხეფებსა: უნდოდათ თუ, დაეფარნათ თვით კვალი უბედურობისა.

— უჰ, რამოდენა ლოდი დაგიდვიათ! ხომ შეეხუთა სუნთქვა ნაზ ნანოს... დრუნგილის შატური უნდოდა ჰაეროვანი... ეს ყვავილთ კონა?

— ყოველ წელს მოდის მის სიკვდილის დღეს...

არჩილ რუხაძე

ნაზი ყვავილი...

უცხო მინდვრათ მზის სხივებზე ნარნარებს ნაზი ყვავილი...
ის ობლათ გამოიყურება...
მის ირგვლივ ველურ ბალახთა მთელი ტყეა...
და აჰა საცაა ველურ ბალახთა ტყე დააჭნობს მის მკინარე ნაზ ფოთლებს...

* * *

ნაზი ყვავილი...
მის ხავერდოვან ფოთლებზე ნამი ჰვიატობს...
თითქო სტირის ობლობას... ირგვლივ არც მეგობარი, არც ნათესავი...
მხოლოთ ბალახი, შავი ბალახი, შურის ძიებით რომ შესცქერის მის ლამაზ მარგალიტის თვალებს...

* * *

დილის მკინარე მზეს ფარავს ტყვიისფერი ღრუბელი...
ცა იკუმშება, გრგვინავს...
და ნაზ ყვავილს შავ დღეებს უმზადებს...

* * *

ობოლი ყვავილი!..
რამდენ ვარამს უნდა გაუძლოს მან?..
ირგვლივ მტრები...
მკაცრი ბუნება...
შავი დღეები...
ტყვიისფერი ღრუბელი თავს დასტირის ნაზ ყვავილს...
შავი სუდარით მობურული ბუნება გაქრობას უქადის. უცხო მინდვრათ მონარნარე ობოლ ყვავილს...
სილამაზეს სიკვდილის ხელებს უპერს სიმახინჯე....
და ნუ თუ ვერ სძლევს სილამაზე სიმახინჯეს!..
ნუ თუ ასეთია ბუნების წესი, რომ სილამაზე ჩანთქას სიმახინჯემ?!
არა. არა...

ის ობოლია დღეს... მას უქადიან გაქრობას .. შავი ბუნება რისხვას უგზავნის მას ..

მაგრამ... სილამაზე სძლევს ულამაზობას და გაბატონდება ამ ქვეყნათ...

ნაზი ყვავილი გაუძლებს ბუნების რისხვას და მიეალერსება მზის მცინარე სხივებს... გამარჯვებული, სიცოცხლით სავსე...

ორი ეპიზოდი

გაზაფხულის მყუდრო ღამეა...

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა სიხარულით დაჰყურებს ღრმა ძილში გახვეულ ქალაქის განაპირა უბანს.

მოციმციმე ვარსკვლავები თითქო ეუბნებიან დადუმებულ დედამიწას:

— ხვალ გაზაფხულის ნაზი სხივები შეეხებიან ზამთრისგან გაცივებულს შენს კანს და სითბოს მოჰვვრიან მას.

შენი მინდვრები, ტყე-ველნი აყვავდებიან, აბიბინდებიან გაზაფხულის მზის სხივებზე.

ზამთრის სუსხისგან დატანჯული კაცობრიობა მოიხსნის თბილ ქურქს და გამოვა გარეთ მზის სხივებთან მისასალმებლათ...

აყვავებულ-აბიბინებულ ბუნებასთან ერთად დაიბადება სიყვარული, ნაზი გრძნობით აფეთქდება მიჯნურის გული, ვარდ-ყვავილოვან ბაღში დაუსტვენს ბულბული...

ზამთრის წამება გაივლის და მის ალაგს დაიჭერს კეკლუცი, მომხიბვლელი, გრძნობით აღსავსე გაზაფხული...

* * *

ციმციმებენ ვარსკვლავები...

სდუმს არე-მარე...

რაღაც ფიქრ-ჩახვეული, იდუმალებით სავსე სიჩუმე დამყარებულა ირგვლივ.

თითქო დედა-მიწა მოკრძალებით ასაფლავებს დრო-მოჭმულ ცივ ზამთარს...

მხოლოდ ქალაქის განაპირა უბნის ერთ-ერთ ქუჩის ბოლოში ორი სილუეტი ფეხ-აკრეფით უახლოვდებიან პატარა ქოხს, ხელში იარაღს იმარჯვებენ და იდუმალობით მიეყრდნობიან ქოხის კარებს...

ერთმანეთს გადახედავენ, რაღაცას ეუბნებიან.

კიდევ ერთი წუთი და გაისმის კარების კაკუნი...

გაღებულ კარებიდან გამოანათებს ოდნავ მბჟუტავი სინათლე...

და ხელებ-გაბაწრული ტყვე მიჰყვება ქალაქის ბნელ ქუჩებში საიდუმლო სილუეტებს...

* * *

ძილში გახვეულ ქალაქის მყუდროებას ვერ არღვევს საიდუმლო სილუეტების და პატიმარის ფეხის ხმა...

ბნელი, ოღრო-ჩოღრო ქუჩებით ისინი ჩაუვლიან ქურდულათ შავ სახლებს...

სილუეტები მისჩერებიან მხოლოდ ერთ წერტილს — ტყვეს, აჩქარებით მიისწრაფიან სადღაც და უკან სტოვებენ განაპირა უბანს, თვით ქალაქს თავის კოშკებით...

თითქო ვიღაცას რაღაც მოჰპარეს და მიეჩქარებიან, რომ დამალონ ბოროტმოქმედების კვალი...

ქალაქის ზევით რახ-რახით გააღებს პირს შავი სახლი და ზღაპრულ გველ-ვეშაპივით ჩაყლაპავს სილუეტებს ;

კიდევ ერთი წუთი და ორი სილუეტი ისევ დაჰყვებიან ქალაქის ქუჩებს...

გველ-ვეშაპის მუცელში დარჩება მხოლოთ ტყვე...

და დილით ადრე მოვა ჩინ-ორდენებით აჭრელებული მოხუცი, თავის მკაცრი თვალებით გადახედავს ტყვეს და უბრძანებს რკინის სამაჯურები დაადვან მას ხელ-ფეხზე...

* * *

გაზაფხულია...

ნამდვილი, ცხადი გაზაფხული...

ცელქმა მზემ უხვად მიმოფანტა თავისი სხივები და გამორეკა ქუჩებში ზამთრისგან განაწამები კაცობრიობა...

სიხარულით გამთბარ დედამიწის ზურგზე დაიმსხვრა მონობის ჯაჭვები და თავისუფალი ერი შეუდგა დღესასწაულს, ზეიმს...

ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე აჩქარებით და იდუმალ-მეტყველებით მიემართება სამი კაცი...

ეტყობა, მათ რაღაც დიდი მინდობილობა აქვთ ..

ქალაქის მმართველის სახლთან ერთად შეჩერდებიან ისინი, მიმოავლებენ თვალს ირგვლივ, თითქო ვიღაცას ეძებენო და კიბეზე ავლენ.

— ვინ გნებავთ?

— X სახლშია?

— გახლავთ...

უცნობნი დაუკითხავათ შევლენ სახლში... და ასეთი იმათი მოქცევა ეხამუშება არა თუ მეკარეს, თვით ამ კედლებსაც კი.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ. მიბრძანდით!

— მე?!..

— დიახ, თქვენ...

— მე... გუბერნ..

— დიახ, თქვენ დღეს აღარ ხართ გუბერნატორი... შეხედეთ ამ მზეს, ამ გაზაფხულის მშვენებას, გახარებულ ერს, ზეიმს.

— მე... გუბ...

— თქვენ დამნაშავე ხართ დღეისგან. თქვენ დაგსჯის თქვენ მიერ ნაწამები ხალხი, რომელიც დღეს თავისუფალია...

მოხუცმა ღენერალმა მწუხარებით დახარა თავი ძირს.

— თქვენი სახე მენახულება, — ძლივს წაილუღლუღა მან.

— მეც გიცნობთ, თქვენი რაინის სამაჯურების დაღი დღესაც შამჩნევია... მიბრძანდით...

* * *

ქალაქის ქუჩებში ზეიმს არ აქვს დასასრული...

მზე ცელქობს, თამაშობს ცის ტატნობზე...

ქალაქის შენობები ყვავილებით და ათფსგვარი სამკაულებით შეუმკიათ...

შავი ღენერალი შავათ დაღვრემილი ქურდულათ ჩაუვლის ქალაქის სახლებს და თვალს ვერ უსწორებს მოციმციმე მზის სხივებს...

ქალაქის ზევით რახ-რახით გაიღება შავი შენობის შავი კარები და ზღაპრულ გველ-ეშაპივით ჩაყლაპავს ის შავ ღენერალს...

ლეო ქიაჩელი

ESCALADE

სადღესასწაულოდ მორთულ მდიდარსა და ძალზე ახმაურებულ კაფეში ვიჯექ, მაგრამ მაინც მოწყენილი ვიყავი. ჩემს გარშემო საზეიმო მხიარულება სუფევდა, თამამი, შეუკავებელი და გიჟური... ჩემში კი მძიმე დუმილი ფუსფუსებდა, შავ-ფიქრიანი და გულ-ჩათხრობილი.

ნაირად მორთული ახალგაზდობის ფაფარ-აყრილი ტაღლა როკვითა და ყიჟინით შემოდიოდა კაფეში, ცეკვავდა, ბუქნაობდა, სვამდა და შემდეგ ქუჩაშივე გარბოდა აღტყინებული, რომ საერთო ფერხულში ჩაბმულიყო და ხალხის აზვირთულ მდინარეს შემატებოდა...

ხოლო მე მაინც ჩუმი რამ სევდა მიღიტინებდა გულში, და გამოურკვეველი სულიერი განწყობილების ნემსი გულის მიმღებელი თანდათანობით მიჩხელეტდა სულს.—უცხო იყო იქ ჩემთვის ყოველი, როგორც ყაიდა ქეიფისა და მოლხენის, ისე საერთო წესი დღესასწაულისა. უცხონი იყვნენ იქ ჩემთვის როგორც უნიღაბო, ისე ნიღაბიანი სახეები, და შუბლ-შეკრული ნაღვლიანად ვიყავ მიჩქმალული გაბრწყინვალებული კაფეს მივარდნილ კუთხეში...

უკანასკნელი ღამე იწყებოდა სამი დღე-ღამიანის ეროვნულის უქმისა, რომელსაც ყოველს წელს დიდის ზეიმით აღნიშნავს ხოლმე პატარა რესპუბლიკა მშვენიერი ჟენევის კანტონისა, მესამე და უკანასკნელი ღამე ნიღაბოსანი „Escalade"-ისა.

დიდსა თუ პატარას, კაცსა თუ ქალს, ყველას განსაკუთრებით მოელხინა ამ საღამოს. როგორც ქუჩებში, ისე კაფეებში ტევა არ იყო.

ჩემს გვერდით კაფეში უცნაურს ჯგუფს მოეკალათნა. ათამდინ იქნებოდნენ. ხმის კილოზე ვამჩნევდი, რომ ქალებიც ერევნენ. ყველას ნიღაბი ჰქონდა სახეზე აკრული. ფანტასტიურად იყვნენ მორთულნი.– ჰყვიროდნენ, ჰფსტვენდნენ, სვამდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

— მე ვსვამ, — ამბობდა ვაჟთაგანი, — ჩვენი წინაპრებისთვის, რომლებმაც უკუაქციეს ჩვენს ტურფა სამშობლოზე გამოლაშქრებული მტერი!.. დავლიოთ თავისუფლებისა და გამარჯვებისათვის!

— მე კი ვსვამ სიყვარულისთვის! — კრიალა ხმით გამოაცხადა ქალთაგანმა.— სიყვარულისთვის და სხვა არაფრისთვის!

— რომელი სიყვარულისთვის, ჩემო პატარავ? კაცური სიყვარულისთვის, რომელმაც იესოს ჯვარცმა მოგვცა, თუ ქალურისთვის, რომელმაც შენ გუშინ rendez-vous-ზე ორს საათს გაუურყუტა?— ხუმრობით მიმართა ქალს მეზობელმა ვაჟმა, მოხდენილი სიმარდით აიყვანა ხელში და მუხლზე დაისვა. — რომელი სიყვირულისთვის, ჩემო ჩიტუნავ?

— იმ სიყვარულისთვის, რომელიც ოთხ საათს მაყურყუტებს rendez-vous-ზე, ჩემო რაინდო!— თამამად მიუგო ქალმა.—შენი სახელი, რაინდო?— მიეხმატკბილა და გულში ჩაეკრა

— ხუმრობა იქით იყოს! ამაოებაა ყოველი, გარდა ღვინისა!.. დავლიოთ სმისთვის, მეგობრებო!—სთქვა რომელღამაც.

— მე ვსვამ მხოლოდ სიყვარულისთვის!—უფრო ბეჯითად წარმოსთქვა ვაჟის გულში ჩახუტებულმა ქალმა.

— რომელი სიყვარულისათვის, ჩემო გაპენტილო ბამბავ? იმ სიყვარულისთვის, რომელიც სიბრძნის წყაროა, თუ...

— რომელიც rendez-vous-ზე რვა საათს მაყურყუტებს, ჩემო კლდე რაინდო!

— ჰე, თავი მოგვეზეზრდა ამ სიყვარულისაგან! ვსვამ სიცოცხლისათვის!.. იგი მეუფეა სიყვარულისა!— ადგომით განაცხადა ქალთაგანმა.

— თუ მაგრეა, ვსვამ სიკვდილისათვის, რომელიც უფალია თვით სიცოცხლისა!—გაეჯიბრა ქალს ვაჟთაგანმა.

— მე მაინც ვსვამ სიყვარულისათვის! — კვლავ დაჟინებით ჩაარაკრაკა ამის პირველმა მთქმელმა.

— რომელი სიყვარ ..— დაიწყო ისევ მისმა რაინდმა, მაგრამ ამ დროს ერთმა. წითელ-ყვითელში შემოსილმა შავ-ნიღაბიანმა ქალმა დაჭკრა სუფრას ხელი და დაიკივლა:

— სმენა! სიტყვა ჩემია!.. გაავსეთ ჭიქები!.. გული სფინქსის ბრჭყალმა ჩამომკაწრა და უცნაურობა რამ საწამლავივით შემესხა სისხლში!.. ეს სიყვარული როდია! არც სიკვდილია იგი!..

— ისევ და ისევ სიყვარულისთვის!—ჩაურია თავისი ვაჟის მუხლზე მჯდომარე ქალმა.

— რომელი სიყვარულისთვის?.. გადაობა მის სიტყვას მისმა რაინდმა.

— ალბად იმ სიყვარულისთვის, — დაცინვით უპასუხა წითელ-ყვითელში შემოსილმა შავმა ნიღაბმა, - რომელიც ჩვენს მეგობარს თექვსმეტს საათს აყურყუტებს rendez-vous-ზე!

— დიახაც! — დიახაც! — დაუდასტურა სიყვარულის მოტრფიალე ნიღაბმა. — თექვსმეტი რაა? ოცდათორმეტს საათს!!

— ეს ერთნაირი „Escalad"-ია, ჩემო კარგო! ამ მხრით მისაღებია შენი მაზვილობა!.. სიტყვა გამაწყვეტინეთ... მე ვსთქვი, რომ სფინქსმა დამბრუყალა მეთქი და საწამლავი რამ უცნაური სისხლში შემესხა მეთქი... მეგონა, რომ იგი სიყვარული არ იყო... ახლა კი ვგრძნობ, რომ სიყვარულია... მეგობრებო, შეყვარებული უნდა ვიყო!!

— ვაშა! ვაშა!

— ვაშა, თუ ეს კიდე არ მოგჭარბებია!

— ასე თუ ისე მე ვსვამ სადღეგრძელოს... დიახ... ყურადღება!.. ვსვამ სადღეგრძელოს იმ ყმაწვილისას, რომელიც ჩვენს გვერდით ზის, მაგრამ ჩვენთან არ არის!.. მე მომწონს მისი ნიღაბი და თავდაჭერილობა. არისტიული!.. უცხოელსა ჰგავს, მაგრამ ამას არ იგონებს!.. შეყვარებულსა ჰგავს, მაგრამ არც ოდეს ყოფილა შეყვარებული!.. შეუბრალებელსა ჰგავს, მაგრამ ტყუილია!.. არისტოკრატსა ჰგავს, მაგრამ დემოკრატია!.. სწავლულსა ჰგავს, მაგრამ იგონებს... კაცსა ჰგავს, მაგრამ...

— ხა-ხა-ხა!.. ხა-ხა-ხა!.. მაგრამ რა არის? — ერთხმად გადიხარხარა ყველამ.

— მაგრამ სფინქსია! — ბრძანებითი კილოთ სთქვა წითელ-ყვითელიანმა. — მაშ, გაუმარჯოს უცნობს! ჩვენს მეზობელ უცნობს, რომელსაც საკუთარი სახე ასე მოხდენილად ნიღაბად აუფარებია!

ამ სიტყვებით სწრაფად მოშორდა თავის ადგილს ამ უცნაური სადღეგრძელოს ავტორი და მაღლა ამართული სავსე ჭიქით ჩემსკენ წამოვიდა.

ახმაურდნენ დანარჩენები. წამოცვივდნენ ფეხზე.

— გაუმარჯოს უცნობს! — დასძახეს და ჩემს სუფრას გარს შემოეხვივნენ.

რაღა დამრჩენოდა, უნდა გამეცა პასუხი. სავსე ჭიქით მივეგებე უცხო სახეებს და მადლობა მოვახსენე.

— მოხარული ვარ, — მივმართე წითელ-ყვითელიანს, — რომ ჩემი ნიღაბი მოგწონებიათ! ჩემდა სამწუხაროდ მის არჩევაში მონაწილეობა არ მიმიღია... შემიძლია დაგარწმუნოთ, ჩემგან რო ყოფილიყო დამოკიდებული, სხვანაირს ავარჩევდი!.. მაგრამ... ჩემი ნიღაბის ისტორია ცოტა გრძელია და არ მინდა თავი მოგაწყინოთ!.. გთხოვთ დაბრძანდეთ... ბედნიერი ვარ... ჰეი, შამპანური!

— ჰო, ჰო.. რა თავაზიანი ყოფილა! ნეტავი, მართლა უცხოელია, თუ კარლოც მოგონილი აქვს?.. თქვენი ვინაობა, ბატონო?

ამის პასუხად ამოვიღე ჩემი სადარბაზო ბარათი და გადავეცი. რამდენიმე თავი შეჯგუფდა ბარათის წასაკითხად.

— ბარათზე ხომ არაფერი სწერია?—ერთხმად წამოიყვირეს.

— შეგშლიათ, უცნობო... აქ თქვენი ,ვინაობა არ არის აღნიშნული!—ახმაურდნენ!

— ეს არის ჩემი სადარბაზო ბარათი, ბატონებო!—უპასუხე.

— უცნაურია!.. საკვირველია!

— ახირებულზე უახირებულესია!

— მე კი მშვენიერად ვკითხულობ ამ ბარათზე უცნობის ვინაობას! ახლა მისი სახელიც ვიცი, გვარიცა და ეროვნებაც!—მტკიცედ განაცხადა წითელ-ყვითელიანმა.

— მისტიური რაღაც ამბავია!

— შენი ხელი, მეგობარო!—ხელი გამომიწოდა შავ ნიღაბიანმა ქალმა.—მე და შენ ტყუპები ვართ! ჩემი ვინაობაც მაგ ბარათზეა აღნიშნული!.. წამო ჩემთან!—ამ სიტყვებით დამატანა ხელი და თვალის დახამხამებაზე კაფედან გარედ გამაქანა.

საოცარი და უცნაური იყო ქუჩა. ჰაერში ყიჟინა და აღტყინების სუნი ტრიალებდა.

მთელი ქალაქი გაკუდიანებულიყო. ჭინკებს გიჟური ფერხული გაემართათ.

— ეს თუ სინამდვილეა, წარმოდგენა რა უნდა იყოს?—ვკითხე ჩემს თანამგზავრს, რომელიც ჭინკასაებრ გაჭიოდა და სულ წინ მეზიდებოდა.

— ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე, მეგობარო!—მიპასუხა ნელი ხმით და შემდეგ უცებ შესდგა და რაც ღონე ჰქონდა მთელი ქუჩის გასაგონად დაიყვირა:

— ჰეი, ისმინეთ! აზრისა და ფიქრის ბორბალი ამ ღამეს შეჩერებულია! ამ ღამეს მაინც ბედნიერია ჩვენი ქალაქი! ბრუნავს მხოლოდ ერთად-ერთი ბორბალი სიგიჟისა, რომელსაც უძველეს ღვთაების მთვარის შუქი აბრუნებს! კურთხეულ იყოს იგი!!

ჩვენს გარშემო კუდიანები და რქიანები შეგროვდნენ.

— კურთხეულ იყოს! კურთხეულ იყოს!—გაიმეორეს.

— დიახ, ბრუნავს მხოლოდ ბორბალი სიგიჟისა!.. აი, როგორ?.. აი, ასე!

დაიჩხავლეს და მყისვე შეჰკრეს ფერხული. დატრიალდა რგოლი გიჟური სისწრაფით.

მე და ჩემი მეგობარიც ფერხულში შავებით.

არ გასულა ხუთი წამიც, რომ გაისმა ჩემი მეგობრის:

— შესდექით!.. მინდა ვიცეკვო ამღამინდელი ცეკვა!

— ვაშა! ვაშა!—მოეწონათ.—უკუდო კუდიანს ცეკვა უნდა!.. გაიშალენით!

გაქანდა ჩემი მეგობარი და ფერხულის რგოლის შუა ჩადგა.

— დაჰკარით საცეკვაო!

ატყდა ფსტვენა, კივილ-წივილი.

საიდღამაც დოლის ხმაც გაისმა.

უცებ მოსწყდა მის ადგილს წითელ-ყვითელიანი შავი ნიღაბი და თითქო ქარს შეესვას ფრთებზე, ზეაფრინდა, მაღლა ჰაერში შეტრიალ-შემოტრიალდა. ვერ მოვასწარი გაკვირვება, რომ იქვე მდგარ ხის ტოტს წაატანა ხელი და ტანის უცები მაღლა შესროლით ზე მოექცა მეორე ტოტს.

— ჰაუ! — დაიკივლა და მესამე ტოტზე გადავიდა, მესამედან მეოთხეზე და ხის წვერზე მოიკალათა.

— ნამდვილი კუდიანი! ნამდვილი კუდიანი! — დაიგრიალა ხალხმა. — დაიჭირეთ, ვინც ვაჟკაცი ხარ!

— დიახაც! დამიჭირეთ, თუ ვაჟკაცები ხართ! მისი ვიქნები, ვინც პირველი ამოვა ხეზე და დამიჭერს .. დეე, გაიმართოს calade Escalade!..

— ჰოო... ნამდვილი Escalade .. აი, ნამდვილი Escalade! ყოჩაღ, ქალო! ყოჩაღ!

— Escalade! Escalade! — გაისმა ახლა ყოველი მხრიდან. შეინძრა ქუჩა. მიაწყდნენ ხეს ვაჟები. მოიტანეს ჩირაღდანი.

— Escalade! Escalade! — მოისმოდა ხიდან ენებიანი მთვრალი ხმა ჩემი უცნობი მეგობრისა. — მე ვარ შუქი მთვარისა, ასული მისი!.. მე ვატრიალებ ბორბალს ამღამინდელი სიგიჟისას!.. Escalade! Escalade!..

რა მეგობარი ვიქნებოდი უცნობისა, თუ პირველი არ ავიდოდი ხეზე.

გავიხსენე ჭაბუკური... ქართველური ქარის სარტყელი შემოვირტყი და ევროპიელთ გადავაბიჯე...

ხეზე რომ აველი, მიმოვიხედე, თვალი მოვკარი, რომ ჩემი უცნაური მეგობარი სულ მაღლა ასულიყო და საკვირველად ჩამოკიდებულიყო ხის წვერის უკანასკნელ სუსტ ტოტზე.

— მართლა კუდიანი არ იყოს მეთქი, გავიფიქრე და შევსდექი. ეჭვი დამებადა, რომ ის ტოტი, რომელზედაც უნდა ავსულიყავ, დამიმაგრებდა.

უხმე მეგობარს.

პასუხად ზედ ყურთან მომესმა ჩურჩული:

— ეს ხომ შენა ხარ, მეგობარო!? ყოჩაღ!.. მოგელოდი კიდეცა. ჩუმად იყავ!.. ისეთი აზრი მომივიდა, რომ პირდაპირ საუცხოოა! წამოდი აქეთ!.. მომყევი!.. არ შეგეშინდეს!

— მოვითმინე... ხმა ჩემი მეგობრის მესმის, მაგრამ ჩემს წინ კი სხვა სდგას!.. ვისაც ვეძებ, აი, იმ ტოტზე ჰკიდია!..

— არა! ის მე ვარ!.. ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა, მართლა! იმ ტოტზე ჩემი შავი ნიღაბი და წითელ-ყვითელიანი მოსასხამი ჰკიდია მხოლოდ!.. ეს ჩემი იდეაა!.. დამაცადე ახლა!.. დეე, ხალხი მას მიაწყდეს!.. ჩვენ კი გავიპაროთ და სეირს უცქიროთ ქვეშიდან!.. სუ... ჩუმად!.. ჩქარა მომყევი, სანამ ამოვიდოდნენ!

ამ სიტყვებით გაჰყვა ქალი ტოტს...

— Escalade! Escalade!—დაიკივლა კიდე რამდენიმეჯერ და კატის სიმარდით დაეშვა ძირს ტოტიდან.

მეც მივბაძე მის მაგალითს.

აუარებელი ხალხი ირეოდა ხის ძირში. ყველა ისე იყო ჯიბრით გატაცებული, რომ არავინ შეგვნიშნა.

ყვიროდნენ:

— Escalade!.. ჩქარა!.. Escalade!

ვინ ხეზე ადიოდა, ვინ ზურგზე ისვამდა ამხანაგს და ეხმარებოდა ..

დიდი ხმაურობა იყო... ჩოჩქოლი...

მე და ჩემი მეგობარი ახლა შორიახლოს დავდექით.

— აი, ჩემი იდეა!.. ხომ კარგია!.. შეხედე, რა ამბავია?.. თითქო ხეზე მართლა ვინმე იყოს?.. ხახახა! რა სულელია ხალხი... ნახავ, თუ ჩხუბიც არ მოუვათ!..

ხის ძირში აურ-ზაური იზდებოდა. აქა-იქ გაისმოდა გინებაც. ბევრი ასულიყო კიდეც ხეზე... ტოტებს ლაწა-ლუწი გაჰქონდა

— Escalade! Escalade!—გმინავდა ახლა მთელი ქალაქი.

— ადით ჩქარა!.. არ ჩამორჩეთ!..

— მომეცი ხელი!..

— მომეშველე...

— ჰე, ჩამოვარდა!..

— სისხლი!..

— ექიმი!..

— ჰააუუ!..

ნამდვილი ჯანყი ატეხილიყო. ნამდვილი ბრძოლა გამართულიყო.

— ხახახა!.. მეგობარო, არ გეცინება?.. როგორ მოგწონს ჩემი იდეა?.. არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას?.. მის ბრძოლას?.. მის ცხოვრებას?.. რა კარგია! განა ასე ტყვილა არ იბრძვის კაცობრიობა?.. განა ასე თავდაყწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი!.. ჰაჰა... მიდი ჰო!.. Escalade!.. Escalade!.. აჰა, ვინ იგდებ ხელთ მშვენიერ ქალს!.. ვინ ხარ მამაცი?.. ვინ ხარ პირველი?!

საშინლად დამცინავი ხმა ჰქონდა ჩემს მეგობარს. შევხედე მას:—ჩვეულებრივი ქალი იდგა ჩემს გვერდით. არც ლამაზი, არც ულამაზო. მოკლე კაბიანი და მოკლე თმიანი, მაგრამ კოხტა და მოხდენილი, როგორც ფრანგის ქალი.

— ხახახა!—გულითად იცინოდა იგი და მთელი ყურადღება ბრბოსკენ ჰქონდა მიქცეული.—მიწვდით? ჩამოიყვანეთ?.. ხახა!.. ვინ მიდი პირველი? ხახა!

— პირველი მე ვიყავ, მეგობარო! დაგავიწყდა?—

— ჰო, მართლა! კი, შენ იყავ! ხახახა!—მოპრუნდა და ისე მითხრა რაღაც გამომწვევი სიცილით.—კი შენ, იყავი, მაგრამ... ხა-ხა-ხა... მეშინია, რომ. . ხა-ხა-ხა... მეც... შენც...

ვიგრძენი, რომ დამცინოდა უცნაური ნაცნობი.

— მაგრამ... მაგრამ მე ხომ არ მოვტყვილებულვარ, მეგობარო?

— ვაიმე, რომ კი!.. ხა-ხა-ხა... ხა-ხა-ხა! მეც იგივე ვარ, რაც ჩემი ნიღაბი ხეზე!..—მითხრა და თვალის დახამხამებაზე გაჰქრა ქალი .. ათასნაირ ჭინკებსა და კუდიანებში გაერია!

სახტად დავრჩი...

ისევ კაფეში ვიჯექ...

მთვრალი კაფე უკანასკნელს ჭიქას სცლიდა.

ქუჩიდან კიდე მოისმოდა:

— „Escalade!“ „Escalade“!..

არ ნელდებოდა ფსტვენა, ყიჟინა... ყვირილი!..

— საკვირველია ეს ბებერი ევროპა!.. გაგიჟებაც სცოდნია!!.

კრიტიკა

ივ. ბოლმართელი

სალიტერატურო შენიშვნები

1) ჩინჩხალი, 2) ეროვანშინდული, 3) რაუდ გოკოხია.

ქართველი მწერალი მუდამ მსხვერპლის მწირველი იყო და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება.

იმიტომ რომ მისი აუდიტორია მეტათ პატარაა და ვერ მისცემს ამის გამო მწერალს იმას, რაც მისთვის აუცილებლად საჭიროა.

ქართველი კრიტიკოსი ხომ პირდაპირ უბედური ადამიანია, რადგანაც ყოველი მწერალი მას იცნობს და ისიც ყველას იცნობს.

სიმართლის თქმა თუ უცნობისათვისაც ადვილი საქმე არ არის, ნაცნობისათვის ხომ მეტათ ძნელია.

ნაცნობობა თითქოს კიდეც გავალებთ, რომ უსათუოდ კარგი თქვათ.

თუ კი კარგის თქმა არ შეიძლება? მაშინ უნდა გაჩუმდე.

გაჩუმება რომ ასე ადვილი იყოს, ჩვენი პოეტების ნახევარს გულწრფელად ვურჩევდი გაჩუმებას.

მწერლობა ერთგვარი მოთხოვნილებაა, თუ გნებავთ — სნეულებაც. ყოველი მწერალი უწინარეს ყოვლისა თავისთვისა სწერს, თავისი სულიერი წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

როდესაც მან ქაღალდზე გადიტანა თავისი წყურვილი, გულს მოეშვა და მისთვის ეს დაწერილი ქაღალდი საჭირო აღარ არის.

ამიტომ იხ აძლევს მკითხველს მას, რაც აღარ ესაჭიროება.

მაგრამ აი აქ ჩნდება წყეული კრიტიკოსი და დაუწყებს ჩხრეკასა და ზომას. მართალი გითხრათ, უმადური ხელობაა, მაგრამ რას იზამთ, —

> რაცა ვის რა ღმერთმან მისცეს,
> დასჯერდეს და მას უბნობდეს.

თუ გნებავთ, ჩვენს დროს აღარც ეს სიტყვები შეეფერება. აქ ბატონების ლექსია, და ნაყმევებმა დიდიხანია უარჰყვეს ასეთი ქადაგება.

პირიქით — არაფერს არ უნდა დავჯერდეთ და სულ მეტისათვის უნდა ვიბრძოდეთ.

მხოლოდ აქაც გამონაკლს ქართველი კრიტიკოსი შეადგენს, — ის უნდა შეურიგდეს ბედს, დასჯერდეს თავის უმადურ ხელობას და განაგრძოს ნაცნობებისა და მეგობრების მომდურება.

მეტი რა გზაა, ჩვენც უნდა განვაგრძოთ.

დავიწყოთ ღოღობერიძის ჩინჩხალიდან.

ავტორი ტუჩაბზუებით იხსენიებს ყველას, ვინც სხვის ნათქვამს იმეორებს.

ცხადია, ავტორს უნდა საკუთარი გზით სიარული.

მეტად კარგი განზრახვაა.

ნათქვამია ფრიდონისაგან, ძალი შემწევდეს ქადილსაო

როგორია ავტორის ძალა?

ზღაპარიყო, ზღაპარიყო,
ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში არ კმარიყო.

ჩინჩხალი მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ ღირებულებას. აქ არ არის არავითარი პოეზია.

თუ არ გჯერათ, აი ისმინეთ:

მე ვარ ჩიორა, ვინ გითხრათ,
როდის ამწერეთ ასედა!
მე არწივის ვარ მძლეველი—
და უფრო მეტიც მაზედ!

აიღეთ გვარდიელის ნაკვეთი:

ეგ ჩემი მოძმე როდია,
სახე არ უგავს იმასო,
ჩვენს მტერსა ტყვიას არ ესვრის,
ძალათ აშორებს მიზანსო

ან კიდევ მე-6 გვერდზე:

ნაკურთხს თქვენს მბრწყინავ საფლავზე
მუხლ-მოდრეკილნი ვიქნებით,
და თქვენ ჩვენს გულში მარადის
კელაპტრ-სანთლებათ იქნებით.

მე მგონია, საკმარისია. ასე არასოდეს არა სწერდენ; ჩვენს დროში ხომ ამგვარად წერა დიდი დანაშაულია.

ეუვარგისი პოეტისათვისაც ერთი რამ აუცილებლად სავალდებულოა — ქართულის ცოდნა.

ავტორის ქართული საშინელი რამ არის.

„მხიარულად გაჩვენთ თავსა, ვტანჯულობთ, და წეველი, ყველას ვუთხარ.

ჩვენ გვჯერავს, ბუდეს იკეთს, ისინი ჩემგნით გარბოდა, აბობოქრდა მშვიდობიანმა მდინარემ“.

ნეტა რა დააშავა ქართულმა ენამ, რომ ასე უღვთოთ აწამებს ჩინჩხალის ავტორი?

მივმართოთ ისევ ერთაწმინდელს.

იმის პატარა წიგნაკს აწერია პოეტი-არწივი.

ვინ არ იცის, რომ არწივი ფრინველთა მეფეა.

თითონ არწივმაც იცის ეს, მაგრამ მას იმდენი თავდაბლობა შესწევდა, რომ თვითონ არ დაირქვა ეს სახელი, არამედ იცადა, სანამ ადამიანი დაარქმევდა.

ერთაწმინდელმა კი არავის არ უცადა, — აიღო და თვითონ დაირქვა სახელი მეტად დიდი, მეტად საპატიო, მეტად პასუხსაგები და სახიფათო.

ფსევდონიმის არჩევაშიაც ერთგვარი რიდია საჭირო

ერთაწმინდელს აქვს პოეტური ცეცხლი და საკუთარი სახე. ეს უკვე თავდებია, რომ შრომით მას შეუძლია საკუთარი კვალის გავლება ჩვენს პოეზიაში.

ჩვენი დრო დიდი კულტურის დროა. დიდი კულტურა კი შესაფერ შრომას, ცოდნას და განვითარებას ითხოვს. მარტო ნიჭით დღეს ველარავინ ველარ გავა ფონს, თუნდა შოთას მირონითაც იყოს ცხებული.

ერთაწმინდელში სჩქეფს ენერგია, ძალ-ღონე, ბუნების სილაღე. იმის პოეზიაში გვესმის ძგერა, გაუტეხელი, უშიშარი, შეუდრეკელი და მასთან კეთილშობილი გულისა. პოეტის სული სავსეა მოუსვენრობით, ძიებით.

მთელი პოეზია ერთაწმინდელისა გაჟღენთილია მოძრაობით, გატაცებით, მისწრაფებით.

ის სავსეა სიცოცხლით, სიყვარულით, სიმტკიცით.

ამ მხრივ ერთაწმინდელის პოეზია ახალი დროის პოეზიაა, პოეზია ნგრევის, პოეზია გიჟური გატაცების, რომელიც თავის გზაზე ყოველისფერს ანადგურებს და მებრძოლთა გულს იმედით ავსებს.

შიში, იქვი, გულ-გატეხილობა მისთვის უცნობია.

და თუ დაეცე უღრანზე, გელიოს ღონე,
მოკვდი თამამად! არ იყო სულის დამღონე.

ან კიდევ:

დეე, დავეცე! საზვარაკო სამსალა ვლიო;
მოვკვდები პირზე ღიმილითა, მოუსვენარი...
ოღონდ მოგზაურს შევეწიო, გზა გავუკვლიო,
და ამა ქვეყნად ავაყვავო შვების ბაღნარი.

მოუსვენარ პოეტს მოუსვენარი ხალხი უყვარს:

იქ დამასვენე, სად ხალხი ყიჟინებს ურჩი.

პოეტის სათაყვანებელი ტანჯული ხალხია, მისი ლხენა — ბრძოლაა, მისი ასპარეზი — ქუჩა და მისი მეგობრები — ქუჩის რაინდები.

ამ მხრივ საყურადღებოა მისი ქუჩის პოეტი:

ჩირაღდნით ხელში შეტევაზე ვიხმობ კერპთ ურჩებს,
თავისუფლების კავალრებით ვავსებ ლურჯ ქუჩებს.
დეე, დავეცე მონათ ტანჯვის ტროფობა-ღელვაში,
ოღონდ აღვაგო ძეგლი ქუჩის ჭრელ ბრბოს გუგუნში!

საუცხოო სურათია აჯანყება, სადაც რევოლიუციის ცეცხლში გახვეული ქუჩაა დახატული.

პოეტის მთელი სიყვარული ამ ქუჩისკენ არის, ქუჩაა მისი სადარაჯო. ის უშიშარი, შეუპოვარი და გულ-გაუტეხელი ჯალათია და მესაფლავე ძველი დროსი, სწამს გამარჯვება და მთელი მისი. პოეზია გამსჭვალულია ამ რწმენით.

შინაარსს საუცხოოთ შეეფერება საგმირო მუსიკა, რიტმი და თავისებური რიფმა.

ერთაწმინდელს უყვარს სართულებიანი რიფმა რამოდენიმე სიტყვიდან წარმოებული: ოჰ, თუ.. რად, ლოთურად. ასეთი რიფმა რამდენათაც ლამაზია, იმდენათ სახიფათოა: შეიძლება რიფმამ აზრი გადიტანოს და კისერი მოსტეხოს. ასე ემართება პოეტს რამოდენიმე ალაგას.

გვ. 15. ანტუანეტა — ან თუ... აჰ, ნეტა
გვ. 18. ოსმალო — ოჰ, მალო!
გვ. 47. ბუხარი — ბუ, ხარი.

აქ ყველგან რიფმა მეტის-მეტად ნაძალადევია და უაზრო.

საერთოდ ერთაწმინდელის პოეზია კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ არის საკმაო ბუნებრივი მასალა და ცეცხლი, ხოლო დამუშავება, გაზრდა და ხვეწა ესაჭიროება.

რაუდ გოგოხიას ზამთრის ჩუქურთმა თავისი შინაარსით სათაურის სრული გამართლებაა.

პირველსავე ლექსში ავტორს ეტყობა უტყუარი ნიჭი; ის მდიდარია გრძნობით, განცდით, სახეებით, რიტმით, მუსიკით.

ლამაზია თოვლი, მიპატიჟება სათოვლაოდ, დეკემბრის მელოდია.

კარგია პოეტის ახალი სიტყვა შორეთი.

ლექსები დაწერილია ასონანსებით, რომელთა შერჩევაშიც პოეტს თავისუფლება და ბუნებრივობა ეტყობა.

წიგნი საუცხოოდ არის გამოცემული, მაგრამ ერთობ ბევრია შიგ კორექტურული შეცდომები, რისთვისაც პოეტი საყვედურის ღირსია.

აკაკი პაპავა

ფიქრები თეატრის პრიზისზე

4

ელინთა ცხოვრება კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებით მით იპყრობს ყურადღებას, რომ ამ ცხოვრებისა და ხელოვნების შუა მჭიდრო და შეუწყვეტელი კავშირი არსებობდა მუდამ, აქაც გამოსჩვივის ელინურ მთლიანობის ხასიათი, რომელმაც ერთ არსად შეადუღა ხელოვნება და ცხოვრება.

ძველმა ელინმა არ იცოდა—სად იმყოფებოდა ამ ორ მცნებათ გამთიშველი ჭეშმარიტი საზღვარი: ხელოვნება ცხოვრების საზღვრებში ფართოდ იჭრებოდა და, წინააღმდეგ, ცხოვრება ხელოვნებით სახეობდა და მასში იშლებოდა სრულად

აქედან ცხადია ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც ძველმა ელინმა აკუთვნა თეატრს საკუთარ ცხოვრებაში...

თუ რამდენიმედ მაინც მართალია ის დებულება, რომ ხელოვნება ცხოვრების სარკეა, განსაკუთრებით იგი მართლდება ელინთა ხელოვნებაში.

აქ სრული ასახვაა ელინის ცხად ხალისიანობისა, მისი გარკვეულობის, მთლიანობის და მტკიცე ვნების; ესე იგი, ყველა იმისა, რაც ახასიათებდა ძველ ბერძნებს.

მათი ნათელი, მზიანი და ცხადი დღე ნაკლებად წააგავს ჩვენს გაურკვეველ, მოღუშულ და ბუნდოვან დღეს; წინანდელ ცხადობას დღეს წინ უდგება ცრიალობა და იგი თავისებურ გაურკვეველ და ნაღვლიან კილოს აძლევს შემოქმედებას.

ამ განსხვავებას უფრო აშკარად დავინახავთ, თუ შევადარებთ ძველ ელინთა ქანდაკებას დღევანდელს.

რაკი ასე ახლო იდგა ელინთა ხელოვნება მათ ცხოვრებასთან, აშკარაა, მას დიდ მნიშვნელობას მიაკუთვნიდა ძველი ელინი და ცხოვრების უმთავრეს მომენტებს აუცილებლად მასში გამოხატავდა.

ყოველი თვალსაჩინო პოლიტიკური აქტი, ომი, ზავი და სხვა იწყებოდა და თავდებოდა განსაკუთრებულ ჰიმნებით, რომელნიც პოეტურ ექსტაზს გამოხატავდენ.

ორხესტიკა შედის როგორც პოლიტიკაში, აგრეთვე რელიგიაშიც; როგორც ომიანობის, აგრეთვე მშვიდობიანობის დროში, რომ შეაქონ და ასახელონ გამარჯვებულნი და მოიხსენიონ მიცვალებულნი.

როცა რამდენიმე დამარცხების შემდგომ ათინელებმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მას, ვინც ხელახლა მოინდომებს მათ ამხედრებას სალამინის უკანვე დასაპყრობად, სოლონი გეროლდის ტანთსაცმელში და ჰერმესის ქუდით, მოულოდნელად გამოვიდა ხალხის კრების წინ, შედგა მაღლობზე და წარმოსთქვა მისმიერვე შეთხზული ელეგია ისეთის სიძლიერით და ექსტაზით, რომ ხალხი სწრაფად შეიარაღდა და, იმედით აღჭურვილი, გაიჭრა საბრძოლველად მშვენიერ კუნძულის გასათავისუფლებლად.

ლაშქრობის დროს სპარტაკელები დეკლამაციით წარმოსთქვამდენ ჰმინებს; ლამით, ნავაზმებს, თვითეული რიგ-რიგად წარმოდგებოდა და წარმოსთქვამდა შესაფერის მიმიკით და ინტონაციით ელეგიას, რისთვისაც სარდალი მას ღირსეულად ასაჩუქრებდა.

ზემო აღნიშნული სალამინის ბრძოლის შემდგომ მუსიკამ დაუკრა მარში და, ათინელ ყრმათა შორის ულამაზესმა, 15 წლის სოფოკლემ გაიხადა ტანთსაცმელი და შიშველმა შეასრულა ცეკვა გამარჯვების ტროფეის წინ, დღესასწაულის დროს აპოლონის სასახელოდ. მაგრამ ღვთის მსახურების კულტმა ორხესტიკას უფრო მეტი მასალა მისცა, მინამ პოლიტიკამ და ომმა.

ბერძნის აზრით ღმერთებისათვის ყველაზე საამო საყურებელი იყო ლამაზი, ყვავილოვანი და ჯანსაღი შიშველი ტანის ცქერა.

აი, ამის გამო მათი რელიგიური დღესასწაული, ოპერას და სერიოზულ ბალეტს წააგავდა. (ტენი).

ერთი ამგვარი დღესასწაული, ცეკვა, განსხვავებულ ტიპის დიფირამბი, თანდა-თან გადვიდა და გარდაიქმნა ელინურ ტრაგედიად.

უკანასკნელიც პირველ ხანებში ატარებდა რელიგიურ, სახალხო დღესასწაულების ხასიათს.

ამრიგად ჩვენ გადავედით თეატრზე და დავინახეთ, რომ იგი შეადგენდა ელინთა ცხოვრების ერთ უმთავრეს მხარეს და ატარებდა ხალხოსნობისა და რელიგიურ ელემენტებს, რომელთაც მოკლებულია დღევანდელი სცენა.

ამ მხრივ რეინჰარტის თეატრიც ახალი არ არის; ამ ორ ელემენტის აღდგენას შეეცადენ გერმანიის ერთ პროვინციაში. ობერამერგაუში (ბავარიაში) ყოველ ათი წლის განმავლობაში, პერიოდულად, იდგმება სახალხო წარმოდგენები ცის ქვეშ, რომლის სიუჟეტი ამოღებულია იესოს ცხოვრებიდან.

ამ ბოლო ხანებში ამავე საკითხით დაინტერესდა მეორე გერმანელი აქტიო-

რი—მწერალი კარლ ვეიზერი, რომელმაც დასწერა „იესოს ცხოვრება“ და შეეცადა სახალხო ტიპის თეატრი აღედგინა, მაგრამ მის ცდას ჯერ არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

ყოველ შემთხვევაში ეს უკანასკნელი უფრო შესაძლო უნდა იყოს, რადგან ქრისტიანული ჰანგები და მისი პრინციპები უფრო ენათესავება თანამედროვე ნაზ, უფნებო ბუნების პატრონ ადამიანს, მინამ წარმართ ელინთა სულის კვეთება.

5

როცა ელინის სულის სიმტკიცეზე და მის განცდათა მთლიანობაზე ვლაპარაკობთ, ამ მთლიანობას უფრო დიდი და ღრმა მნიშვნელობა უნდა ვაკუთვნოთ, მინამ პირველად გვგონია.

რადგან იგი მთლიანობა თავისთავად მრავალ მხრივი იყო და თვითოეულ პიროვნებას ჰარმონიულად ასრულებდა.

ძველ ელინთა შორის არ იყო განვითარებული დიფერენციაცია: ყოველი მათგანი თითქმის ერთგვარად გრძნობდენ და განიცდიდენ მოვლენებს, ყველასათვის ნათელი და ცხადი იყო ხელოვნებაც და ელინიც არ ყოფდა მას სხვა და სხვა პირთა შორის და არ საზღვრავდა ისე სასტიკად და მკაფიოდ, როგორც დღეს.

მან იცოდა სიცხოვლე, ხალისიანობა და ეს სიცხადე თითქმის ერთნაირათ შლიდა ყოველ ელინის წინ ბუნების მთლიან მშვენებას. თვითოეულ მათგანის გრძნობა ენათესავებოდა ყველა დანარჩენთ და მგოსნებიც საერთო ლტოლვას სახავდენ.

ძლევამოსილი მზე ყველასათვის ერთნაირად აშუქებდა მიდამოს და ყველას თავისკენ იზიდავდა.

დღევანდელი ცრიატი დღე ბურუსით ანელებს მზის შუქს და თვალნამიანი თანამედროვე, მკვნესარე ადამიანი ვიწრო ინდივიდუალურად განიცდის მოვლენებს... ამიტომ თანამედროვე ხელოვნება ვერ არის ყველასათვის ერთნაირად მიმზიდველი და გასაგები.

ამას უნდა დაუმატოთ კლასობრივი გათიშვა და საზოგადოებრივი დიფერენციაცია, რომელიც მრავალ სხვა და სხვაობის სახეს ატარებს და საზოგადო მთლიანობას არღვევს.

მაგრამ ჯერ მეორე მხარეს შევხედოთ ამ მთლიანობისას: თვით შემოქმედება ელინთა ატარებდა დამთავრებულ სახეს.

ბერძენთა პოეზია არა მარტო ხმა მაღლა და დეკლამაციით გამოითქმოდა

არამედ მას ამღერებდენ სხვა და სხვა საკრავებზე; მასვე ანხორციელებდენ მიმიკით და პლასტიურის რხევით—ცეკვით.

არა მარტო აღსრულება არამედ თვით შემოქმედებაც, მთლიანი და დასრულებული იყო ერთის მხატვარის მიერ და, ამ რიგად, ერთგვარ სინტეზად ხდებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ სამოსში პოლიკრატს ყავდა თავისთან ორი პოეტი: ივიკი და ანაკრეონი, რომელნიც არა მარტო **მართავდენ დღესასწაულებს**, არამედ **აუცილებლად თვითონვე თხზავდენ ამისათვის, როგორც ლექსებს აგრეთვე მუსიკასაც.**

ყოველი ლირიკოსი-პოეტი, იმავე დროს, საუკეთესო მუსიკოსი და პლასტიკის მცოდნეც იყო.

არსებობდა განსაკუთრებული სახალხო ტიპის სკოლები, საცა ყველა ამას შეისწავლიდა მდიდარი ნიჭისა და ბუნების პატრონი ელინი. ზოგიერთ ასეთ სკოლებს ქალებიც მართავდენ. აქ იკრიბებოდენ სხვა და სხვა მხრიდან და სწავლობდენ ერთსა და იმავ დროს: მუსიკას, დეკლამაციას, მიმიკას და დამახასიათებელ პოზებს.

ამრიგად, ძველი ელინი თანდაყოლილ თვისებებს თავიდანვე ანვითარებდა და ავარჯიშებდა. ეს მაშინ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგან მათი ცხოვრება უმთავრესად თეატრალურ სახით მიმდინარეობდა და სიყვარული ამ თეატრალობისადმი ბუნებრივი იყო.

6

თანდათან მუშავდებოდა და სრულდებოდა აქტიორული თვისებანი და მას არც ერთი ელინი არ იყო ობსოლიუტურად მოკლებული; იგი არა იძულებით, არამედ დამოუკიდებლად, თავისუფლად და ლაღად ეწეოდა ამ აქტიორობას და თავის თამაშში თითონვე პოებდა შეუდარებელ ნეტარებას და სიამეს; მისი ენებიანი ბუნება კმაყოფილდებოდა, რადგან ლამაზის თამაშით მან იცოდა—ასიამოვნებდა მშვენიერების მოყვარულ ღმერთებს.

არავითარის გარეშე, მდაბალ ანგარიშებით იგი არ ხელმძღვანელობდა ამ დროს და მისი თამაშიც ზედმიწევნით ბუნებრივი და თავისუფალი იყო, რასაც დღეს ნაკლებ ვამჩნევთ. მაგრამ უფრო საინტერესოა მეორე მხარე ელინურ თეატრისა, რომელიც ფორმალურად გადმოიღო რეინჰარტმა, მაგრამ არსებითად კი ვერ განაცხოველა.

მე ვლაპარაკობ მთლიანობის ერთეულ განცდაზე ელინურ ტრაგედიის წარმოდგენის დროს, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ძველი ბერძნები.

ავტორი, მსახიობი, ხორო სავსებით შეერთებული იყო მაყურებელთან და მათი განცდა სავსებით ენათესავებოდა ერთმანეთს.

მსახიობთა გატაცება, მათი მომხიბლავი თამაში და გრძნობანი, რომელთაც უფრო ძლიერად შლიდა რითმიული ტანის მოძრაობა, მიმიკა და მუსიკა, იტაცებდა სავსებით მაყურებელსაც... ტრაგედია მათთვისაც ნათესაური იყო, იგი მათი არსების ნაწილს შლიდა მხატვრულ სანახაობაში

აქტიორის თამაში მაშინ აღწევდა მიზანს, თუ იგი აშკარად ხედავდა და გრძნობდა საკუთარ ჭირვეულობას, უსაზღვრო გატაცებას, როცა არც ერთი მხარე მისი „მე"სი არ დარჩებოდა გარეშე ამ ტიპისა, რომელიც შექმნა ავტორმა.

ამ ნაირად მსახიობი ეზიარებოდა ავტორის შემოქმედ ნიჭს და, მასთან ერთად, იგრძნობდა საიდუმლო ძალას, ენტუზიაზმს.

დღეს ამ სიტყვამ რამდენიმედ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, ხოლო ძველ ელინს იგი ესმოდა ღმერთების ბუნების განცდად, მათ ზიარებად და იგი მართლაც გრძნობდა, რომ ამ თამაშის—ღვდელმოქმედების დროს, მის ბუნებას იპყრობს ზეობა, ღმერთები, რომელნიც უშრეტელ ძალას აძლევენ მას...

ამ განწყობილებას გადმოსცემდა დამსწრეთ ხორო, რომელიც მაყურებელთ ავტორთან და მსახიობებთან აერთებდა; მაყურებელიც გრძნობდა ამ ღმერთების ძალას და მასაც იპყრობდა ექსტაზი და ისიც თამაშობდა, მისი სული ორგანიულად უკავშირდებოდა მსახიობისა და ავტორის სულს; ამრიგად მთლიანობა ორგანიული იყო.

ამას ხელს უწყობდა ერთგვარი განცდანი ბუნების თავისუფალ შვილთა, რომელთაც მთელის არსებით ესმოდათ ხელოვნება.

ესხეულა ძველი მაყურებელი ხოროს, უკანასკნელი მსახიობთ და ისიც ავტორს და ამ საერთო ჯაჭვით იყო გადაბმული ძველი თეატრის ელემენტები.

დღეს საზოგადოება დარღვეულია, თვით პიროვნებაც ვერ განიცდის გრძნობათა მთლიანობას, მისი სული დაწეწილია და სცენის პარტერთან შეერთება და მსახიობთა ხალხიდან თამაში სრულებით გაუგებარი ხდება ჩვენთვის.

ძველი რელიგიური ექსტაზი ვერ გვატყვევებს, ენტუზიაზმი ვერ გვიტაცებს და გვიპყრობს და ვერც მსახიობი სცილდება თვის „მე"-ს.

მუსიკას კი სულ თავისებურად განიცდის ყოველი ინდივიდი და სავსებით ირღვევა მთლიანობის პრინციპი, რომელიც ელინურ ტრაგედიის ქვაკუთხედი იყო და რომლის არსებას ვერ მისწვდება თანამედროვე ბუნების მატარებელი ადამიანი...

წ ე რ ი ლ ი მ ე ე ქ ვ ს ე

I

რეინჰარტის უმწეობამ ნათელყო, რომ ელინთა ხელოვნება დამთავრებული გამოხმაურებაა, რომელიც შექმნა ბერძენთა განსაკუთრებულმა სულის კვეთებამ და განსაზღვრულმა ისტორიულმა პირობებმა და რომ იგი ინდივიდუალობა ისტორიაში, სავსებით იმავე სახით, აღარ განმეორდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავდა ინდივიდუალობის თვისებებს.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მისი ზოგადი პრინციპების განხორციელება სხვა სახით მაინც შეუძლო იყოს, წინააღმდეგ, ელინთა მდიდარი მხატვრული ბუნება იქიდან გამოსჩევის, რომ მათ მიაგნეს ხელოვნების უტყუარ პრინციპებს და რომ წმინდა წყლის ხელოვნებისათვის ამ პრინციპების უარყოფა შეუძლებელი ხდება. რამდენათაც უფრო სრულად ატარებს თანამედროვე ხელოვნება ამ პრინციპებს, იმდენად უფრო ემსახურება იგი თავის მიზანს.

შესაძლოა დადგეს დრო, როცა ყველა მთავარი მომენტები ელინურ ხელოვნებისა აღდგენილ იქმნას, მაგრამ სხვა მხრით.

ამ სხვა რამეს შეითვისებს მომავლის თეატრიც და მაშინ ისეთი ფატალური აღარ გახდება ბედი ელინთა ტრაგედიის აღდგენისა...

მაგრამ, ვიმეორებ, ეგ მოხდება ელინურ ხელოვნების პრინციპების სხვა, უცხო სახითი განხორციელებით.

მაგრამ სანამ მომავლის თეატრს შევეხებოდეთ (ამ შეხებას ჰიპოტეზის ძალა ექმნება), მანამ საჭიროა თანამედროვე თეატრის ბედი ასე თუ ისე გადავსწყვიტოთ.

ამ მრავალს ძიებათა შორის ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი, რომელიც სასიცოცხლო ძალას მისცემს და უზრუნველ ყოფს დღევანდელ თეატრს.

ცხადია, უნდა იყოს გზა, რომელსაც გაყვება თანამედროვე თეატრი და რომლითაც არ წაშლის სავსებით თვითონ ელინურ თეატრის ზოგად პრინციპებს.

ასეთი გზა უკვე იპოვა თანამედროვე თეატრმა და აქედან იწყება ხანა მისი მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებისა.

უმთავრეს დანიშნულებას ამ თეატრისას შეადგენს გარეგნული მთლიანობა, რომელიც ახასიათებდა ანტიურ თეატრსაც; მაგრამ ეს გარეგნული მთლიანობა იქ შეერთებული იყო შინაგან, უფრო ძლიერ, სულიერ მთლიანობასთან. დღეს დღეობით ასეთი სულიერი მთლიანობა ადამიანისა, როგორც დავინახეთ, შეუძლებელი გამხდარა, მას არ მოეპოება ენება და ძლიერი ნება.

მაგრამ შესაძლებელია მიწვდეთ გარეგნულ, ფორმალურ მთლიანობას თეატრალურ ელემენტებისას: შესაძლოა მათი პსიხოლოგიური გაერთიანება, თუ არ ობსოლუტურად, რამდენიმედ მაინც.

და რამდენადაც თანამედროვე თეატრი შესძლებს ამ საერთო განწყობილების შექმნას, იმდენად იგი მისაღები და მიზანშეწონილი გახდება.

წინა წერილში ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ ამგვარი მთლიანობა, გაერთიანება მარტოოდენ ელინთა ბუნებას შეეძლო, მაგრამ რამდენიმედ მაინც შესაძლებელი გახდება იგი დღესაც, თუ კი ავტორი ჩაწვდა სულის სიღრმეში თანამედროვე ადამიანს და მისი ზოგადი თვისებანი: სწრაფვა, დაუდგომლობა, დაწეწილობა, ოხვრა, ნაღვლიანობა და სხვ. ამგვარები ამოკრიბა.

ელინთა მთლიანობა მტკიცე ნებაზე და ხალისიანობაზე ეყრდნობოდა, მათი ტანჯვაც კი ნეტარებისათვის და ცხოვრების ტრიუმფისათვის იყო საჭირო.

დღეს ეს თვისებები სრულებით წაშლილა ჩვენს ფსიხიკაში და ამ ნიადაგზე მთლიანობას ვერ დავამყარებთ, მაშასადამე იგი სულ სხვა საძირკველზე უნდა ავაგოთ; რეინჰარტის დამარცხების საიდუმლოებაც აქ იხსნება, რადგან ის პირდაპირ, სოფოკლეს ტრაგედიის დადგმით, შეეცადა ამ მთლიანობის აღდგენას.

მაშასადამე, საჭირო იყო თანამედროვე ფსიხიკასთან შეთანხმება, შეგუება; ახალ პიროვნებათა შორის საერთო სრულებით ეწინააღდეგება ძველ ელინთა მხარეებს და თუ ღრმად ჩავუკვირდებით ახალ პიროვნებას, დავინახავთ, რომ მათი შემაერთი მხოლოდ ის არის, რომ პიროვნება მოკლებულია მთლიანობას.

2

ამ რიგად ფორმალურ მთლიანობის—განცდის მთლიანობის მხრივ საინტერესო ხდება დღევანდელი თეატრი, რომელიც სისწორით აღბეჭდავს თანამედროვე ცხოვრების უკუღმართ სახეს და მისგან დაავადებულ, დაწეწილ სულს.

ასეთ განწყობილების და სულის კვეთების შექმნელი თეატრი გაჩნდა ბოლო დროს რუსეთში, რომლის გავლენის ქვეშ კარგა ხანია ჩვენაც ვიმყოფებით.

მე მოგახსენებთ მოსკოვის „სამხატვრო თეატრზე რომელმაც მთელი განათლებული კაცობრიობის ღირსეული ყურადღება მიიპყრო.

მისმა სულის ჩამდგმელმა ბ-ნმა სტანისლავსკიმ დიდი ღვაწლი დასდო თანამედროვე თეატრს და „სამხატვრო“ ტიპის თეატრები დღეს მთელ რუსეთს იპყრობს.

ამ თეატრმა საკვლევით გასწყვიტა რომანტიზმის თეატრთან, მან დაგმო მისტიციზმის თეატრიც, მან უკანასკნელიდან გადმოიღო სიმბოლიზმის პრინციპი.

ამ რიგად მან დასტოვა ამ თეატრის მისტიური მხარე, ხოლო სიმბოლიურს კი ახალი განსხვავება მისცა და რეალურ სახედ აქცია.

ეს თეატრი უმთავრესად ტიპებისაა და ყოველი ტიპი სიმბოლიური ხატებაა და არა ასლი არსებულ კონკრეტიულ პიროვნებისა და მოვლენის.

მაშასადამე სიმბოლო სამხატვრო თეატრისა რეალურია და აქ არის განსხვავება მისი მისტიურ სიმბოლოთა სამეფოსაგან.

გარეგნული ეფექტები მხოლოდ იმდენად იტაცებს ამ თეატრს, რამდენადაც ისინი აღრმავებენ ტიპის შინაგან განცდას; ეს განცდა კი ყოველთვის უნდა სინამდვილეს შეესაბამებოდეს და თვით ცხოვრების ტრაგედიის ილიუზიას ქმნიდეს

სამხატვრო თეატრი ამ რიგად **ფსიხოლოგიურ რეალიზმის თეატრია**... იგი ჩამაფიქრებელია თავის ტრაღიკულ სახით.

მაყურებელი არასოდეს პასიური არ უნდა იყოს, მან უნდა იგრძნოს, მსახიობთა შეთანხმებულ მოქმედებით, ავტორის მთავარი სულის კვეთება და, მაშასადამე, ორგანიულად განიცადოს ავტორის სულის თამაში, მას ესხეულოს.

მაგრამ ყოველი ავტორი ვერ ჩასწვდება თანამედროვეთა ტრაგედიის სიღრმეში და, მით უმეტეს, ბუნებრივად ვერ გამოხატავს მას.

ყოველი მწერალი ვერ აღნიშნავს ამ საერთო ვარამისა და ტანჯვის მთავარ მომენტებს სრულის ხელოვნურის ალღოით.

მხოლოდ რჩეულნი თუ მოგვცემენ ასეთი ხასიათის სინტეტიურ სახეს ჩვენის სულის კვეთებისას და ამ ნაწამებთა ძახილს მარტოოდენ რჩეულნი გამოსახავენ შესაფერ ფორმაში.

თუ ამ ფორმალურ მთლიანობის განხორციელება მაინც გვაინტერესებს, როგორც მთავარი საიდუმლო ძალა თეატრისა, უნდა ისეთი ავტორი ავიღოთ, რომელიც ამ სულის კვეთებას ნათესაურად გრძნობს, თვითვე განიცდის და შეუდარებელის ნიჭით აღწერს.

საჭიროა მაშასადამე, მწერალთა შერჩევა და „სამხატვრო თეატრმაც“ ღირსეულად შეასრულა ეგ მისია; მან სწორად აუღო ალღო და ისეთ ავტორს დაუთმო ადგილი თვის სცენაზე, რომლის სულის კვეთება აგრერიგად ენათესავება, როგორც მსახიობთ, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებასაც.

ეს მწერალი გახლავთ ყველასათვის ნათესავი, თბილი და ნაზი გრძნობების პატრონი, თანამედროვე ეპოქის სისწორით ამსახავი, ჩეხოვი! და ტყუილად არ მიუმართავთ მისთვის ამ თეატრის მესვეურთ და უთქვამთ ჩეხოვის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში: „ძვირფასო ანტონ პავლესძეო! განსაკუთრებით შენ ჩვენთვის ხარ დაუფასებელი და საყვარელი. მოსკოვის „სამხატვრო თეატრი“ ხომ შენი თეატრია“...

რა თქმა უნდა, ეს თეატრი მარტოოდენ ჩეხოვზე ვერ შეჩერდებოდა და სხვა მწერალთათვისაც უნდა დაეთმო ადგილი, მაგრამ მთელ თავის სიძლიერეს იგი გრძნობდა მაშინ, როცა ჩეხოვის პიესებს სდგამდა.

უკანასკნელის სული დიდად ენათესავებოდა მას და ჩეხოვისებურ განწყობილებას თვითვე განიცდიდენ მსახიობნი და რეჟისორები.

აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ხელოვნების კარგად მცოდნე, მერეჟკოვსკი: „ჩეხოვის პიესებში მაყურებელი დაშორებულია სცენას მარტო ძგიდეთი, ესე იგი უბრალო პირობებრივ, ფიზიკურ ხაზით, რომელსაც შინაგანი მნიშვნელობა არა აქვს „სამხატვრო თეატრში“ ჩეხოვი ხორციელდება უვნებლივ და უკლებლივ. კიდევ მეტიც, რეზისორისა და მსახიობთა შედეგებით ავტორთან, ჩეხოვი სცენაზე თითქოს იზრდება, მდიდრდება“.

თითქმის იმავეს ამბობს ცნობილი ჟურნალისტი, მეგობარი მერეჟკოვსკისა, ფილოსოფოვი: „როცა ჩეხოვის პიესას დგამდენ „სამხატვრო თეატრში“ თითქოს რაღაც **სასწაული** ხდებოდა: სრული შეერთება ავტორისა და მოთამაშეთა; რაღაც გამოუცნობი სულიერი სიახლოვე და ნათესაობა.

ეს სასწაული მართლაც რომ ხდება ამ შემთხვევაში და იგი იმ სულიერ ნათესაობაში გამოიხატება, რომელსაც განიცდიან რეზისორი, მსახიობნი და მაყურებელნი. ყოველი ინსტიქტით გრძნობს, რომ ჩეხოვის დრამა მათ აერთებს, რომ ეს თვითეული მათგანის საკუთარი დრამაა და, როცა მხატვარის ენით ლაპარაკობს, მას ჰგონია ეს სიტყვა მისია, საკუთარ სულის ძახილია.

ამ რიგად მსახიობნი ტიპების სულის სიღრმემდე აღწევენ, ამ გაღრმავებაში ისინი საკუთარ „მე“-ს ნაწილს პოებენ, მას ჰარმონიულად შეუთანხმდებიან, ეზიარებიან და თვის პიროვნების თვისებათა სრულ დავიწყებით, ხელახლა აღდგენენ ამ თვისებებს სხვის განპიროვნებაში. ეს არის მკვდრეთით აღდგომა და, აშკარაა, მას სასწაული უნდა ვუწოდოთ.

აქ ჩვენ ვხედავთ მარიონეტკების ნაცვლად, ნამდვილ ადამიანებს; მათ უმწეო სულის კვეთებას, უნაყოფო ლტოლვას, უსაზღვრო მგრძნობიარებას და სულის მოძრაობას...

ყველა ეს ყოველდღიურობაა, ჩვენი საკუთარი ყოფა და თვის ფსიხოლოგიურ რეალობით, თვის ნამდვილ სახით გვიტაცებს და გვატყვევებს.

აქ მეორე მხარეა ამავე სასწაულისა, რომლითაც მაყურებელი ეზიარება მსახიობთ და მათთან ავტორს ესხეულება.

ამ რიგათ ვგრძნობთ და ვხედავთ სრულ ქმნილ მთლიანობას.

ყველა ამ სასწაულთა მიზეზები კი უნდა ვეძიოთ ჩეხოვის და ჩეხოვისებურ შემოქმედებათა თვისებებში, რომელიც ჩვენს საკუთარ ტრაგედიას მხატვრულ

ფორმულას აძლევს და მშობლიურის სინაზით და სიყვარულით შლის გულის სიღრმეში ფარულ ლტოლვასა და გრძნობებს.

ჩვენ მას ვერაფერს დავუმალავთ, რადგან ვიცით, მისი ნაზი სული კი არ დასცინის და გასთელავს ჩვენს უნაყოფო ოცნებებს, ლამაზ ფიქრებს, არამედ გულში ჩაიხუტებს და გააცბობს სევდის ცრემლებით.

დღეს ჩვენი გული დატკივნებული და დაოსებულია, სული ცხოვრების ისრებით მწარედ დაცხრილული, არ არის სიმტკიცე ვნებისა და ძალა ნებისა და სოფოკლეს დიდი ხელოვნება გაგვაერთებს, მაგრამ ვერ გაგვათბობს, ვერ ჩააწევს სულის წიაღში, იგი სცენიდანაც მარტოოდენ ამ გაოცებას წარმოშობს თავის უჩვეულო სანახაობით.

ჩეხოვი სოფოკლესთან ძალიან პატარა სჩანს, მაგრამ იგი ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელია, რადგან მასაც ღრღნის ჩვენი სევდა და აკვნესებს ჩვენი ტკივილები. თვითეულ ჩვენგანს ჩეხოვის მდიდარ ბუნებაში პატარა და თბილი ადგილი უპირავს.

ამიტომ სცენიდან ჩეხოვი კი არ გვაოცებს თვის უცხო სანახაობით, არამედ გვატყვევებს და გვიზიდავს თავის ნათესაობით.

3

ყველა ამის მიზეზები თანამედროვე ცხოვრების პირობებში და დღევანდელ ადამიანის განსაზღვრულ სულის კვეთებაში უნდა ვეძიოთ.

„სამხატვრო თეატრმა" ამ მხრივ მოუარა საკითხს და სისწორით გადაჭრა იგი. თანამედროვე რეალიზმის თეატრმა ნატურალიზმის თეატრს სიმშრალე, უსიცოცხლობა ჩამოაშორა ერთის მხრით და მისტიციზმის თეატრს მარტოოდენ საიდუმლოებისადმი ლტოლვის წყურვილი და ამქვეყნიურის უბრალო სიმბოლოდ ქცევა მოაცილა მეორე მხრით და, ამ დანარჩენის შერიგებით, შექმნა „სამხატვრო თეატრი", ფსიხოლოგიურ რეალიზმის თეატრი.

მან შეუძლებელს თავი გაანება, ოცნება ოცნებად დასტოვა და მტკიცედ შეუდგა ისეთი თეატრის აღდგენის საქმეს, რომელიც მთელ მასალას ჩვენს ყოველდღიურობაში პოებდა და თავის ტრაგედიას ჩვენს საკუთარ ტრაგიზმის საზღვრებში გაშლიდა.

იგი შეჩერდა ჩეხოვზე იმიტომ, რომ უკანასკნელი, როგორც ვსთქვით, საუკეთოსო გამომხატველია თანამედროვე ეპოქის, გარდამავალ ხანის, როცა მარტოოდენ ოცნება ახალ ცხოვრებისათვის და მოქმედებისათვის ავსებს მთელ ჩვენს „მე"-ს და ნამდვილ მოქმედებას გზას უხშობს.

საქართველოს ბედი ბევრათ არ განსხვავდება რუსეთის ბედისაგან და ორივე ეროვნების იდეალები ახლო არიან ურთი ერთისაგან, ორთავეს ისტორიული პირობები და საზოგადო მხარეები დღეს თითქმის ერთი და იგივეა და ამიტომ მათი ძიებანი ჩვენც გვენათესავება და მათის ტკივილებით გული ჩვენც გვტკივა, რადგან, იმავე დროს, ეგ ჩვენი საკუთარი ტკივილებიც არის.

ამიტომ თანამედროვე რუსეთის ყოფის ტრაგედიის ამსახავი, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს ყოფის ტრაგედიასაც სახავს და, ცხადია, ჩეხოვი არა მარტო რუსების საკუთრებას შეადგენს, არამედ ჩვენთანაც მეტად ახლო არის; მისი საერთო მოტივები, ნაღვლიანი კვნესა, ოცნებანი, უმოქმედობა, დაავადება მეტად ნაცნობია ჩვენთვისაც და ყოველი ჩვენგანის ღრმად ჩამაფიქრებელიც.

აკი საქართველოც, დღეს დღეობით, ძველისა და ახალის შუა გამომწყვდეულა და ამ გარდამავალ ხანას განიცდის, მის ტრაგედიას ღრმად გრძნობს.

მაგრამ, შესაძლოა, ჩეხოვის შემოქმედობის მოტივებთან ვერ დაუკავშიროთ რუსეთის ტიპები, მათში სრული შეთანხმება ვერ ვპოოთ; შესაძლოა, ვერ ვიცნოთ სავსებით გაევი, ლოპახინი, ფირსი და სხვა., რადგან ისინი, უწინარეს ყოვლისა, რუსები არიან და ეროვნული ინდივიდუალური სახე, მათი განსხვავებული ბუნება განსაკუთრებულ საზღვრებში აყენებს ჩვენს მათდამი ნათესაობას.

ამიტომ საჭირო იყო ჩეხოვის ნათესაური ჰანგები ქართველი ტიპების სახით გარდაშლილიყო და ქართულ სცენასაც მოვლინებოდა ეროვნული ჩეხოვი.

საჭირო იყო ჩვენთვის პრინციპების სხვა ფორმაში გამოხმაურება, საჭირო იყო ჩეხოვის ტრაგედია ქართველის გულში გატვივებულიყო. ასეთი მწერალიც მალე გამოუნჩნდა ქართველ ერს და საკვირველი ის არის, რომ ჩვენ უცბათ ვიცანით იგი და დავაფასეთ კიდეც.

თითქოს ინსტინქტით ვიგრძენით, რომ იგი ჩვენი სულის ნაწილი იყო და ჩვენის ენით ლაპარაკობდა მისი ვარამიც.

მისი გმირებიც ისეთივე უნებრ, მოფუსფუსე, მეოცნებე, ცხოვრებას მოწყვეტილი ადამიანებია, როგორც ანტ. ჩეხოვის ნაწერებისა.

რა თქმა უნდა, მას აკლია ჩეხოვის სიღრმე და ფართო ბუნება, მაგრამ მთავარი მოტივი ჩეხოვისა მისთვისაც სავსებით ნათესაურია.

თუ ჩეხოვის სევდა-ვარამი მთელი რუსეთის ყოველ კლასის, წოდებისა და პროფესიის ხალხის სევდა-ვარამია, ჩვენი მწერალი, უმთავრესად, თავად-აზნაურობას დასტრიალებს თავს და მის გადაშენებას, რღვევას ზედმიწევნილის ხელოვნებით ხატავს.

აშკარა იყო ქართველი ჩეხოვიც მალე თვალსაჩინო ადგილს დაიჭერდა ჩვენს

სცენაზე და ჩეხოვისებური ნაზი, ნაღვლიანი სევდა ქართველ ადამიანისა ჩვენაც მოგვხდებოდა გულს.

მგონია, მიმიხვდა მკითხველი, რომ ლაპარაკი მაქვს ჩვენს ნიჭიერ ბელეტრისტზე ბ-ნ დავ. კლდიაშვილზე.

4

კლდიაშვილის ნიჭი უმთავრესად გამოიხატა მის ბელეტრისტულ ნაწერებში, მაგრამ სხვა და სხვა სურათები ამ მოთხრობისა იმდენად ცოცხალი და ნათესაურია, რომ მკითხველს ერევა ბუნებრივი წყურვილი მათი სცენაზე ნახვისა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ბელეტრისტი მომავალში შეეცდება ჩვენი ცხოვრების რღვევის და დაკნინების სურათები დრამატიულ ნაწარმოების სახით გადმოგვცეს.

მას შემდგომ იგი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე და შესძლებს ქართველ სამხატვრო თეატრის ტიპის შექმნასაც.

დღეს დღეობით კი, მისი ორიოდე პიესაც დიდ ყურადღებას იპყრობს და თავის ბუნებრიობით ნამდვილ ცხოვრების ილიუზიას ქმნის. კლდიაშვილმა სავსებით სძლია დაბრკოლებებს და მთლიანობა შექმნა, რომელიც მოსკოვის თეატრში ჩეხოვმა განამტკიცა. იგი სავსებით ჩვენი ეპოქის მწერალია და მის მიერ ასახული ტიპები მრავალია ჩვენს ყოველდღიურობაში; მაგრამ აქ ჩვენ მარტო მათ გარეგნულ ტრაბახობას, ამპარტოვანობას და დარბაისლობას ვამჩნევთ, რომელიც მუდამ სიყალბეზეა აგებული. ხოლო კლდიაშვილის გმირები კი თანდასითან შლიან ჩვენს წინ არსების მეორე, უმთავრეს ნახევარს, საცა უსაზღვრო გულის ტკივილი და ნაღველია დაბუდებული; ნიჭიერი მხატვარი ამ ნიღაბს ხდის და მათი სულის ნამდვილ სახეს მხატვრულად შლის... და ჩვენც ვხედავთ, რომ ეს ნამდვილი სახე შორს არის ხალისიანობა-ხუმრობისაგან, მას გარეგნულ სილაღესთან კავშირი არა აქვს და, რომ იგი დაღარულია ღრმა მწუხარებით. აქ იწყება ნამდვილი ტრაღედია; ჩვან მას ვიცნობთ, ის იგივე სევდაა, რომელიც ჩვენ გულში ბინადრობს და მათი კვნესა, უნიადაგო ფუსფუსი, დარღვეული ოცნება ჩვენი საკუთარი ყოფაა; და ჩვენც გვინდა საცოდავი ფილიპე ბარბაქაძე, ირინე, კაროჟნა, დარისპანე გულში ჩავიკრათ, გავათბოთ და მათ ცრებლებს ჩვენიც შეუერთოთ.

როგორც ჩვენ, აგრეთვე მსახიობთაც იპყრობს ეგ ნათესაური ყოფა, მშობლიური ნიადაგი და საკუთარი ვარამის სახით ეშლებათ ამ გმირთა მწუხარება; მსახიობი გრძნობს, რომ რასაც ამბობს და მოქმედებს, ის მისი საკუთარის გულის სიღრმიდან ამოდის და იგი შეუგნებლად უერთდება ავტორის სულის კვეთებას.

ამრიგად მაყურებელიც და ნსახიობიც სავსებით უერთდება ავტორს და მათ ერთი განწყობილება ატყვევებს; აქ იბადება და იზრდება მთლიანობა.

ამ მთელობას თავს დასტრიალებს ერთი მთავარი სულის კვეთება – ნაღველნარევი ღიმილი, ცრემლ მორეული სიცილი.

რამდენად სასაცილოა მათი უნიადაგო ფუსფუსი და წანწალი, მათი უთავბოლო ბაქიობა, იმდენად სატირალია მათი ყოფა, მათი დაოსებული გულის ხილვა, ღრმა იარების გარდაშლა.

ყველა ეგ ჩვენი ცხოვრების სურათებია და უშრეტელ ძალას გვაძლევს სავსებით ვეზიარაოთ ამ პირთა ტრაგედიას და შევიყვაროთ, თანაგრძნობით მოვეპყრათ ამ ნაწამებ საცოდავ ადამიანებს, რომელნიც ვერ შეეგუენ თანამედროვე ცხოვრების სისასტიკეს და ნელა სჭკნებიან, ვით თავდახრილი მცენარე ჩრდილში, რომელსაც ხშირფოთლებიანმა ხემ არ აღირსა ცხოველმყოფელი მზის სხივები.

ამ სიბრალულთან და თანაგრძნობასთან ერთად გვიპყრობს მეორე გრძნობაც, რომელიც ჯერ მარტოოდენ ჩასახულა, მაგრამ საკმაოდ ვერ განვითარებულა ჩვენი სუსტი ბუნებისა და უნებობის გამო... ეს არის მზის წყურვილი და მისი ხილვის იმედი.

ასეთივე მკრთალია იგი ჩეხოვის ნაწერებშიაც და ეს მკვნესარე, ლამაზი ტანჯვითა და სევდით პყრობილი უნიადაგო ადამიანები მკრთალად ოცნებობენ იმ დღეზე, როცა ადამიანებს შვება მოეპოვება, როცა სევდიანი „დები“ იხილავენ დიდ მოსკოვს, როცა „ძია ვანო“ და საბრალო ქალი „დაისვენებენ, ანგელოზების წყნარ ხმებს მოისმენენ და მთელ ცას ალმასის თვლებით მოჭედილს იხილავენ“...

5

„სამხატვრო თეატრი“-ს გაძარჯვებაც ამ თანამედროვე მოტივებთან შეგუებაში უნდა ვეძიოთ. მან არა მარტო ის მწერლები აირჩია, რომელნიც თანამედროვე ეპოქას სისწორით გადმოგვცემენ, არამედ, ამასთან ერთად, შეეცადა თვით ამ სასცენო სანახაობაში გაეშალა; მან აამეტყველა ავტორის სული და მისი ტრაგედია ჩვენაც გადაგვიშალა; ამის გამო, სამხატვრო თეატრში დადგმული პიესა, უფრო მეტია, მინამ დაწერილი დრამა, იგი უფრო მეტია მინამ ცხოვრების მშრალი სურათები, რადგან თეატრი დრამის აზრს ეძიებს, მწერლის სულის თამაშს ხსნის. ამიტომ, როცა „სამხატვრო თეატრზე“ ლაპარაკობთ, უნდა უმთავრესად განწყობილების შექმნაზე (настроеніе) ილაპარაკოთ და ეს განწყობილება, ჩვენ

მიერ ხშირად ნაცადი, შეუგნებლად გარდალახული, სცენიდან ტრაგიზმის მხრით იშლება და ამიტომ ღრმად ჩამაფიქრებელია. ჩვენ მის აზრს ვეძიებთ, გონებას ვამოძრავებთ, ორგანიულად ვეზიარებით ავტორს და ამ ღრმა განცდაში ვმოქმედებთ კიდეც; ეს მოქმედება კი მთავარი ელემენტია იდეალურ თეატრისა: მოქმედება სცენაზე და შეთანხმებული მოქმედება ხალხში თვის შერიგებას პოებს ავტორის ბუნებაში, რომელიც ამრიგად სინტეზად იქცევა.

მაგრამ ცოტა რამ „სამხატვრო თეატრის“ მოქმედების ხასიათზეც...

ხელოვნების ჟურნალ „აპოლონი“-ს ცნობილი თანამშრომელი ევ. ზნოსკო ბოროვსკო თანამედროვე თეატრს უმოქმედობის თეატრს უწოდებს და ამბობს, რომ უმოქმედო ელემენტებმა ცხოვრებაში (თანამედროვე ადამიანმა) ვერ გადალახა ეს უმოქმედობა ხელოვნებაშიაც და თვით მოქმედება ჩვენთვის მარტოოდენ სასაცილოდ ხდებოდა, კომიკურ ელემენტად რჩებოდა, მაშინ როდესაც ჩვენს უმწეო უმოქმედობაზე ჩვენ ცრემლთა ზღვას ვღვრიდით“.

ეს დებულება მისაღები იქნება, თუ მოქმედებად მარტოოდენ გარეგნულად სახულ რეალურ აქტს მივიღებთ.

ამ მხრივ მართლაც უძლურია თანამედროვე თეატრი და კერძოდ „სამხატვრო“-ც, და **დღეს დღეობით სწორედ ამაშია მისი ძალაც.**

შეუდარებელ, ტიტანიურ ძალის მატარებელი სოფკლეს გმირება, რომლებიც ღმერთებსა და ბედისწერას დაუცხრომლად ებრძვიან, მოძრაობენ და მოქმედებენ და რა დამარცხდებიან ამავე ბედით, თვითვე ითხრიან თვალებს, რომ ეგ საშინელება აღარ იხილონ და თვითვე დასაჯონ თავისი თავი,—ამ ძლიერი ბუნებისა და დაუცხრომელ ნების პატრონი ადამიანების მოქმედება დღეს გაუგებარი ხდება ჩვენთვის; თანამედროვე ადამიანს იქვი კლავს და მის მოქმედებასაც გზა შეკრული აქვს... იგი მარტოოდენ ოცნებობს ამ ნების ძალაზე, მას იტაცებს სურათოვნობა მოქმედებისა, მაგრამ თვით მოქმედების ძალა არ შესწევს და მას შიში იტაცებს ამ დროს.

ამის გამო ოცნება მისი რეალურ აქტის სახით ვერ ხორციელდება და მარტოოდენ ანალიზი იპყრობს მის სულის კვეთებას.

აი რატომ არის თანამედროვე თეატრი მოკლებული საბედისწერო კატასტროფებს და წარმტაც სანახაობებს.

მაგრამ რამდენადაც სუსტია მასში ეს გარეგნული აქტის სახვის პროცესი და ნამხელი მოქმედებითი ძალა, **იმდენად ძლიერია მის სიღრმეში შინაგანი ბრძოლა ნების, სურვილის, ვნების, ოცნების და სხვა ელემენტებისა...** თუმცა მისი სული დანაწილებულია, მაგრამ ამ ნაწილთა შორის ვერც ერთი აბსოლიუტურად ვერ ჭარბობს და ვერ სძლევს დანარჩენებს; ამის გამო, ამ ნაწილთა

შორის, ჰარმონიის ნაცვლად, დისჰარმონია და დაუღალავი ბრძოლა გამეფებულა; და სადაც მუდმივი ბრძოლაა, იქ მუდმივი მოქმედებაა.

მაშასადამე, თანამედროვე ადამიანის ბუნება ატარებს შინაგან ბრძოლას, რომელიც ამხელს ტენდენციას დისკრეტოპის, ნაწილების გაერთიანებისას და მის გარეგნულ მოქმედებად მხელისას.

ამგვარი მოქმედება სჩანს თანამედროვე სცენაზეც და იგი ბუნებრივი და წარმტაცია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც ნამდვილ თანამედროვე ცხოვრებას ხატავს; ცხოვრებას, რომელიც მომავლის სამზადისია, გარდამავალი და, მაშასადამე, შინაგან ძალთა ჩუმი ბრძოლა და განვითარება... ძველსა და ახლის ბრძოლა, რომელიც მალე ნამხელ, გარეგნულ მოქმედებად გარდაიქცევა და ახალ ცხოვრების დროშას გაშლის.

მაშასადამე, თანამედროვე თეატრი მისაღებია იმდენად, რამდენადაც იგი **არსებულ განწყობილებას** ობიექტიურად **სახავს**, მხატვრულად შლის და შინაგანის მოქმედებით, სულის მოძრაობით მიმდინარე ცხოვრების უნებო პასიურ ელემენტებს აცხოველებს და—რამდენადაც გვამზადებს ახალ, მომავლის თეატრისათვის, რომელიც ჰარმონიულად შეუთანხმებს შინაგან მოქმედებას გარეგნულსაც და მათ განავითარებს. ესე იგი, მოკლედ რომ ვსთქვათ, იმდენად რამდენადაც ცხოვრების სვლას მისდევს და მის ტენდენციას სახავს...

ამ გარეგნულ უმოქმედობას, უმწეობას და შინაგან ფსიხიურ ბრძოლას განიცდის დღეს საქართველოც. მასში ნელ-ნელა გროვდება ელემენტები, რომელნიც ძველს ებრძვიან და ბოლოს გარდალახავენ კიდეც... ეგ ნელი პროცესი ბოლოს, აშკარად ნამხელ, აქტის სახელს მიიღებს, რომელიც აღმოაცენებს ახალ საქართველოს.

ეგ ბრძოლა თანამედროვე ქართველის ბუნებაშიაც მკვიდრდება; მისი პიროვნება ორდება, იგი ოცნებით ერთისაკენ მიიწევს, მაგრამ ამ ლტოლვის გარეგნულად სახვა ეშინია... იგი პასიური და უმოქმედოა იმდენად, რამდენადაც მას იპყრობს იქვნეულობა, ანალიზი და რეფლექსია, როგორც გარდამავალ ეპოქის შვილს...

ამ მომენტს რუსეთის ცხოვრებაში ეხება ბ-ნი ფილოსოფოვიც და ამბობს: „ისინი (თანამედროვე ადამიანები) ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ არაფრისათვის გამოსადეგნი არ არიან, მათი წილია მარტო ოხვრა და ოცნებობა იმაზე, რომ ორას-სამასი წლის შემდგომ ცხოვრება კარგად მოეწყობა. და როცა დრო და ვადა უცებ შემოკლდა, როცა დაიწყო მოქმედება და ყოველ „ძია ვანოს“ და „სამ დებს“ უთხრეს: „აიდა! წავიდეთ მოსკოვს. დროა. კმარა ლოდინი. შესაძლოა ხვალვე დადგეს უკეთესი დღეები. ოცნება დამთავრდა, დაიწყო მო-

ქმედება, მოდით შევქმნათ ახალი ცხოვრება“-ო, ისინი შეშინდენ. შეკრთენ, რომ იძულებულნი გახდებიან გასწყვიტონ ამ ტკბილ თვლემასთან“... (იხ. Старое и Новое გვ. 237).

ასეთ სულის კეთებას და მოქმედების შიშს შეუპყვრია თანამედროვე იქვნეული ადამიანის სული.

მოიგონეთ შიუკაშვილის „სიმახინჯიდან“ თანამედროვე ახალგაზრდათა ტიპები: სონა და შაქრო, რომელნიც საშინელ აპატიას და უმოქმედობას შეუპყვრიათ, რომელნიც ჯდომაში, ოხვრაში და წიგნთა კითხვაში ატარებენ დღეებს. ეს უნებო სონა, რომელმაც სასოწარკვეთილების დროს ვერ გაბედა მტარვალ საბასათვის სიცოცხლე მოესპო, სიტყვა საქმედ ექცია და თვითვე გაიგმირა გული.

საშინელ სევდას შეუპყრია ახალგაზდობა და უნაყოფოდ სჭკნება ნორჩი თაობაც.

აი, ეს სულის კვეთება გვენათესავება იმდენად, რამდენადაც გარდამავალ ხანის შვილნი ვართ და გარეგნულ მოქმედებისა გვეშინია; და თანამედროვე სცენამ უნდა სისწორით ასახოს სინამდვილე და ტიპები... უნდა მათი ტრაგედია გარდაგვიშალოს; შინაგანი, ფსიხოლოგიური ბრძოლა დაგვანახვოს და სრული ილიუზია შექმნას. ამავე დროს, მან უნდა ამოკრიბოს ამ ბრძოლის ტენდენცია, მომავლის წყურვილი და იმედი გაალრმაოს, ე. ი. ავტორის მთავარი განწყობილება და მისი იდიალი სიმბოლიურად მოქმედებაში გაშალოს—გვამზადოს ახალი, მომავლის თეატრისათვის.

უნდა ბუნებრივი გახდეს გარდასვლა მომავლის მტკიცე ნიადაგზე, რომლის შესახებ ფსალმუნის სიტყვებით, ვნება მორეულნი, ვღაღად ვყოფთ: „და აღმომიყვანე მღვიმისაგან გლახაკობისა და თიხისაგან უყისა; და დაამტკიცე კლდესაზედა ფერხნი ჩემნი და წარმართნე სვლანი ჩემნი“... (ფსალ. დავ. 39—2).

წერილი მეშვიდე

1

მინდოდა აქ წერტილი დამესვა და ფიქრებიც შემეწყვიტა, მაგრამ ვგრძნობ, რომ კიდევ რაღაც მრჩება სრულებით განუხილველი.

საუბედუროდ, ამ რაღაცაზე ლაპარაკი გადაწყვეტილად და გარკვევით სრულიად შეუძლებელი ხდება, რადგან იგი მომავალს ეკუთვნის, ეს მომავალი მისცემს მას შესაფერ მსვლელობას და თავისებურ ხასიათს დაუმკვიდრებს.

მე მოგახსენებთ მომავლის თეატრზე, რომლის ბედი ყველა ჩვენთვის საინ-ტერესოა.

ერთი აშკარაა; რომ თეატრი ხელოვნების ერთი მხარეა და, მაშასადამე, უკვდავი, იგი ყოველის მხრივ განიცდის საზოგადო ევოლიუციას და ვით ლიტერატურის გზა, თეატრის გზაც მრავალგვარია და თანდისთან უახლოვდება თავის წმინდა დანიშნულებას.

აშკარაა, რომ მომავალში თეატრი კი არ მოკვდება, არამედ უფრო გაძლიერდება და ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ხელოვნებაში.

მაგრამ ძნელია ითქვას—როგორი იქნება იგი; ძნელია აღწერა მისი მომავლის სახისა, მაგრამ ზოგი მისი მხარეები შესაძლოა დაახლოებით გამოირკვეს იმ ტენდენციების მიხედვით, რომელსაც იჩენს საზოგადოდ ხელოვნება და კერძოდ თეატრი, და რომელთა განხორციელებას, საბედისწეროდ, ეღობება წინ დღევანდელი ტლანქი ცხოვრების ბნელი ძალები. იდეალური ხელოვნება ყველაზე უწინ აბსოლიუტურად თავისუფალი უნდა იყოს, იგი თავისუფალ გენიოს მხატვარის შეუზღუდველ სულის კვეთებას უნდა გამოსახავდეს, მის ლაღ ბუნებას ნელი ნელ შლიდეს.

ამ სახის ხელოვნება უნდა მოკლებულ იქმნას წინასწარ აღებულ და განსაზღვრულ ტენდენციურ აზრებს.

თუ ავტორი წინასწარ აღებულ, განსაზღვრულ რწმენას ქადაგობს და სცდილობს შემოქმედების ფორმაც ამ იდეის მსვლელობას შეუგუოს და მით იდეალის განმტკიცებას ხელი შეუწყოს, აშკარაა, ამით იგი პოეტურ ვნებას აცხრობს და შემოქმედებასაც შეუმცნებლად კლავს.

თუ კი ამგვარი ტენდენცია ჩასახულია დრამატიულ ნაწარმოებში, ყველაზე უწინარეს იგი ხვდება მსახიობის გულს და ისიც შეუგნებლადვე ამ ტენდენციას აღრმავებს; ამ გაღრმავებას ხელს უწყობს დღევანდელი ცხოვრების პირობები.

მხატვარში და მსახიობში იბრძვის ორი დასაწყისი: ჭეშმარიტი ხელოვანი, თავისუფალი ღმერთი, ექსტაზის შვილი, და თანამედროვე უკეთმართობის მონა, ცხოვრების სიბინძურეში და მის ტყვეობაში მომწყვდეული, არსებობისათვის ბრძოლაში ჩამბული.

და თუმცა პირველი თითქოს ამარცხებს მეორეს, მაგრამ უკანასკნელიც ჯერ კიდევ ძლიერია და იგი თავისებურ დაღს ამჩნევს ხელოვანის ფსიხიკას... ტლანქი ცხოვრება ლაღ ფანტაზიას ჰკლავს.

რამდენადაც ძლიერია ბრძოლა და ჩაგვრა ეროვნული, კლასობრივი, პიროვნული, იმდენად მისი ცუდი გავლენა ვითარდება მხატვრის ბუნებაზე.

რამდენადაც მხატვარი თავისუფალი და ავტონომიურია, რამდენადაც იგი

მთელის არსებით ეძლევა ღვთიურ ქვეყნიერებას: ინტუიციას, შთაგონებას, ფანტაზმს, რამდენადაც მისი ბუნება **ავტონომიური, მიკროკოსმიურია**, მისი შემოქმედება იდეალურია.

არსებობისათვის ბრძოლამ შთანთქა მომაკვდავი პიროვნება და მას გააფთრებით ებრძვის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შემოქმედი პიროვნებაც.

მრავალი ჩვენგანი, ამ არსებობისათვის ბრძოლით პირდაპირ დაინტერესებული, თავისებურ იდეებს ახვევს თავს მხატვარს და ბრძოლის იარაღად სცდილობს მის შემოქმედების გამოყენებას.

„ლირიკას ჩვენ ვაქცევთ პროზად და ღვთაებრივ შთაგონებას გარდავქმნით უტილიტარულ სახელმძღვანელოდ. განა ჩვენ შეგვიძლია მიუდგომლად სილამაზის დაფასება? ჩვენ მოგვართვი ხელოვნება, ვით საცდელი ველი, ვით პანოპტიკუმი ანომალიათა, ვით სიკოკხლის ენციკლოპედია“ (ბურკნინი) ასეთია დღევანდელი ხელოვნება, რომელიც იბრძვის, მაგრამ ჯერ რამდენიმედ კიდევ ემონვის ცხოვრების არსებულ პირობებს; მისი უტილიტარული სახე მომაკვდინებელია, ისე როგორადაც ტენდენცია თეატრისათვის, რომელსაც მას თავს ახვევენ და რომელსაც იგი ებრძვის...

(შემდეგი იქნება)

ბ. სვ—სკ—ლი

ჩემი აზრი[1])

ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ გაუცნობელის, ნამდვილი ნიჭით დაჯილდოვებულის ბელეტრისტის ნაწარმოებს („ახალი ტალღები)“ მინდა შევეხო და გამოვსთქვა საერთო მოსაზრებანი. დაწვრილებითი გარჩევა კრიტიკოსისათვის მიმინდვია, რომელიც, რასაკვირველია, უფრო დაკვირვებით და ვრცლად განიხილავს ამ ნაწარმოებს. მე ამისათვის დრო და გარემოება ხელს არ მიწყობს.

წამიკითხავს ბელეტრისტული ნაწარმოები ჩვენი და სხვა ერების ავტორებისა, მაგრამ ასე სიამოვნებით არც ერთი მათგანი არ აღბეჭდილა ჩემს გულში, როგორც ეს ახალი თხზულება. ამის მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ აქ „ახალ ტალღებში“ ვხვდებით ჩვენს ნაცნობს არე-მარეს, ჩვენს ბუნებით კეკლუცათ მორთულს ტყე-მინდვრებს, ნაცნობს, ჩვენთვის ადვილად მისახვედრს, ტიპებს, მათ ფსიხოლოგიას და თავგადასავალს. კიდევ, შესაძლოა, რომ ეს ნაწარმოები იპყრობდეს ჩვენ ყურადღებას მით, რომ აქ ბევრ ჩვენთაგანის მიერ განცდილი სულისკვეთება იყოს დასურათებული, მაგრამ თითქმის ასეთივე შინაარსის ბელეტრისტული ნაწარმოები შეგვხვედრია, რომელთაც ასე არ მოუჯადოვებივართ. აიღეთ შპილგაგენის ცნობილი მოთხრობა, რომელიც რუსულ ენაზე არის ნათარგმნი: „Одинъ въ полѣ не воинъ“, თუ გინდა შატრიანის „გლეხი-კაცის ისტორია“, „ემმა“—შვეიცერისა და ვერბიცკაიას რამოდენიმე მოთხრობანი თანამედროვე ხასიათისა, წაიკითხეთ ისინი და მერე ჩვენი ნიჭიერი ავტორის „ახალი ტალღები“ და ჩემს ნათქვამში თქვენც დარწმუნდებით.

განვლილი ხანა განმათავისუფლებელი მოძრაობისა მდიდარია თავისი შინაარსით და საუცხოვო მასალებს იძლევა ძლევამოსილი ნიჭისათვის დასასურათხატებ-

---

[1]) რედაქციამ მიიღო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული მოთხრობა „ახალი ტალღები“—ზოტიკესი, რომელიც დაწერილია ქუთაისის ციხეში. ვათავსებთ „სვირ-სკანდელის“ ქუთაისის ციხეში დაწერილს რეცენზიას ამ მოთხრობის შესახებ.

სვირ-სკანდელს (გიგა ჯუღელს) პოლიტიკურ დანაშაულისთვის კატორღა ჰქონდა მისჯილი, რომელიც გაათავა ხარკოვის საკატორღო ციხეში, იქ დაავადმყოფდა და ციმბირში გადაიცვალა.

რედ.

ლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ არ დამდგარა ამისათვის შესაფერისი დრო, კიდევ ბევრია მიზეზი გარეშე ხასიათისა, რომლის მიხედვით შეუძლებელი ხდება ფარდა აეხადოს და მზის შუქი იხილოს განვლილი მოძრაობის ამა თუ იმ პერიოდმა და ამ პერიოდების გამომხატველმა გმირებმა. ეს გმირები დროებით დაჩრდილულნი არიან. შპილგაგენმა ლეოს სახით თუ დაგვიხატა რამოდენიმეთ დიდებული ლასალი, ჩვენ ამასაც ვერ შევძლებთ თანამედროვე პირობებში. სამაგიეროთ შესაძლებელი ხდება საშვალო ნიჭის, ენერგიის და გაბედულების გამომხატველი პირების დასურათება. და ამას ვხედავთ „ახალ ტალღებშიაც“.

ნამდვილი გმირი, ამ სიტყვის პირდაპირი და კეთილშობილური მნიშვნელობით,—„ახალ ტალღებში“ არ გამოსჩანს. ამის მიზეზი ან ჩემ მიერ ზემოთ დასახელებული გარემოებაა, ე. ი. თანამედროვე პირობებია ხელის შემშლელი, ანდა ნამდვილი გმირები არ წარმოუშობია მოძრაობას საქართველოში. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა და აქვე სჯობს შევწყვიტოთ ამის შესახებ მსჯელობა. ყოველ შემთხვევაში „ახალი ტალღების“ საშვალო გმირები და მათი საქმენი კეთილი ყველასათვის ახლობელი საქმეა, ყველა იქ გამოყვანილი მომქმედნი პირნი ჩვენი ნაცნობ-მეგობრები არიან...

1909-ში გამოიცა ერთი ბელეტრისტული ნაწარმოები როპშინისა „Конь блѣдный“ („უფერული მერანი“), ეს წიგნი, შესაძლოა, ბევრს ქართველ ინტელიგენტსაც დარჩა შეუმჩნეველი. ქართულად არ არის გადმოთარგმნილი. ეს წიგნი შეიცავს როგორც დადებითს, ისე უარყოფითი მხარეებს: ე. ი. იქ ვხვდებით ბევრს უარყოფითი და დადებითი ხასიათის თვისებებს—საქმეებს, რომლებიც უმთავრეს გმირების მოქმედებაში, თუ საუბარში გამოიხატა. ბევრს შემთხვევაში „უფერული მერანის“ ავტორმა, ბატონმა „როპშინმა“, ალალი, მართალი, გულწრფელი სიტყვა ათქმევინა თავის მომქმედ პირებს, ზოგანაც გადაამლაშა, გაამწუთხა აღწერა ამა თუ იმ მოვლენისა, სქმიანობისა და ჩრდილი მიაყენა საერთო საქმით გატაცებულ პიროვნებათ. და იქ გამოყვანილ ზოგიერთ პიროვნებათა აღსარებამ პირდაპირი კონტრასტი მოგვცა იმისა, თუ რა არის პრინციპის საჯაროთ აღიარება და გულის კუნჭულში ფარული აზრთა შეთხზვა, დამალვა. „უფერულ მერანში“ გამოყვანილი გმირები ერთი განსაზღვრული ჯგუფის წევრებია, ერთი პრინციპით შეიარაღებული, მაგრამ საქმის გაკეთების თვით პროცესის დროს პრინციპი უბრუნდებათ, თავბრუ ესხმით და უპრინციპობის მორევში იხრჩობიან. ამ მხრივ ეს მოთხრობა უარყოფითი თვისებებს უფრო ბევრს შეიცავს, ვიდრე დადებითს, წასაბაძავს. ავტორმა ვერც ფოტოგრაფიული სურათი მოგვცა და ჩირქიც მოსცხო თავისი პსიოხოლოგიური ანალიზით ხალხის სასარგებლოთ მომუშავეთა პიროვნებებს. ამით ბ. როპშინმა დიდი სამსახური გაუწია ეგრედ-

წოდებულ „ევეზისტებს“, ე. ი. „მორჯულებულთ“ და „მოჭკვიანებულთ“, კადეტების მსგავს რუსეთის ლიბერალებს, რომლებმაც თავიანთი პროგრესიული აზრი—საქმის გაყიდვა მოინდომეს „ოსპის შეჭამადის“ გულისათვის მინისტრების პორთფელების შესაძენათ და „წითელი ჩვარი“ ჭიჭ ივით შეიბულეს.

დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. „უფერული მერანი“ იმიტომ მოვიხსენიე, რომ რამდენათაც ამ ნაწარმოებში უარყოფითი ხასიათის პსიხოლოგიის საქმეს წავაწყდით, იმდენათ „ახალ ტალღებში“ გაცისკროვნებული და მშვენიერი სურათები ვიხილეთ. ასეთი ნაწარმოები, რამდენათაც ვიცი და როცა ამ ჩემს აზრს სხვას ეუზიარებ, რუსეთის საზოგადოებას არ მოვლინებია და ამიტომ „ახალი ტალღები“ უფრო ბევრად ღირსია ჩვენი ყურადღებისა.

ღრმა დაკვირვება, ცხოვრების ყოველივე კუნქულის ცოდნა, სოფლის ავკარგის მხატვრულ სამოსელში დასურათება, ენა-წყლიანი, პსიხოლოგიური ანალიზი ბუნებრივი, ჭეშმარიტი და არა გადაპარბებული—აი, რა ხიბლავს მკითხველს და ამშვენებს „ახალ ტალღებს“.

8/1—1909 წ.

ქუთაისის ციხე.

სარედაქტიო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ობოლი მუშა